K 128·632
3

ილია ჭავჭავაძე

სრული კრებული

სამეცნიერო

IV

ბათუმი
2011

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Институт истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили

Н. А. Бердзенишвили

Вопросы истории Грузии

КНИГА IV

Издательство „МЕЦНИЕРЕБА"
ТБИЛИСИ · 1967

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ნ. ბერძენიშვილი

საქართველოს ისტორიის საკითხები

წიგნი IV

K 128.632
3

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი · 1967

სპეს-2000
ფეიმოდმეზულია

9(с 922)

9 (с 41)
9 (47—922)
ბ 571

აკად. ნ. ბერძენიშვილის თხზულებათა IV წიგნი წარმოადგენს სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ნაშრომთა კრებულს საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკვანძო საკითხებზე. წიგნში მთავარი ადგილი უჭირავს საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიას. კრებულში მოთავსებულ შრომებში განხილულია აგრეთვე ფეოდალური საქართველოს ეკონომიკის, კულტურისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები.

სარედაქციო კოლეგია:

გ. აკოფაშვილი, მ. ბერძნიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. ჯამბურია.

1—6—1
110—1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე*

წინასიტყვაობა

უეჭველია, საპატიო საფუძველი მოეპოვება ისტორიულ ნაწარმოებთა ფართო მკითხველი საზოგადოების სურვილს, რათა სამშობლოს გადასული ამბავი წინაპართა გმირობის წარმტაც ეპოსს წარმოადგენდეს.

აღნიშნული მოტივი, უეჭველია, უმნიშვნელო არ იყო, რომ ქართველი ისტორიკოსები ჩვენი ხალხის თავგადასავალს უფრო საგვარეულო საზოგადოებისათვის შესაფერის სურათებად გვიხატავდნენ.

მაგრამ ერთი საქმეა ფართო მკითხველი საზოგადოების პატრიოტული სურვილი, ან კიდევ პედაგოგიური მოსაზრებები, და სულ სხვა საქმეა ისტორიული სინამდვილის **მეცნიერული შესწავლა**, სადაც უნდა განხილულ-წარმოჩენილ იქმნას ეს სინამდვილე მთელი მისი სიავკარგით.

თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ, თუმცა დაგვიანებით და დიდის ტანჯვით (ამასაც თავისი განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა...), მაგრამ საბოლოოდ სძლია საკუთარ ჩამორჩენილობას და დღეს, მაგალითად, არავინ დასწერს, რა თქმა უნდა, რომ წარსულში ქართველი ხალხი მხოლოდ სამშობლოს ხსნისათვის ძმადშეფიცულ გმირთა კოლექტივს წარმოადგენდა თუნდაც უპირსისხლიანეს „ბაბრ-ფოცხვერის“ წინააღმდეგ ბრძოლაშიაც კი... თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ უხვად მოიძია ფეოდალური ხანის საისტორიო მწერლობასა თუ სხვა წყაროებში მასალა ჩვენი საზო-

---

* პირველად დაიბეჭდა 1944 წ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბილისი, 1944, გვ. 3 — 169.

გადოების ბრძოლისა და ზრდის შესახებ. მან უდავოდ ცხადყო, რომ ფეოდალურ საქართველოში საზოგადოებრივი საშინაო თანხმობის შესახებ მოგონებაც კი გამქრალი იყო, ხოლო უცხო დამპყრობელთან ბრძოლისას მარტო აზნაურთაგან როდი გამოდიოდნენ „მოღალატენი“, — „წვრილი ერი“ არანაკლებ კლასობრივი ინტერესის თვალსაზრისით აფასებდა ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას და, მაშასადამე, უცხოელთა ომსაც...

შედარებით უფრო მძიმე მდგომარეობაა საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიის უბანზე. დიდხანს ეს ურთიერთობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში მხოლოდ ომების სახით იყო წარმოდგენილი. ქართველი ხალხი ხან ერთ მტერს ებრძოდა, ხან მეორეს; ხან თავს ესხმოდა მეზობლებს, უფრო ხშირად კი თავს იცავდა...

მეზობლებთან ურთიერთობის სხვა ფორმების შესახებ ჩვენი ისტორიოგრაფია იშვიათად თუ რამეს აღნიშნავდა.

ქართული ფილოლოგიის უდავო და დიდი დამსახურებაა საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში, რომ მან პირველმა აღნიშნა დიდი კულტურული ურთიერთობის ფაქტები ქართველი ხალხისა მის მეზობლებთან. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ კმარა და ვერც მარტო ფილოლოგია, რაგინდ მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს მისი შესაძლებლობანი, დასძლევს ამ ისტორიულ ამოცანას...

ჩვენი ქვეყნის საგარეო ურთიერთობანი ყოველმხრივ შესწავლის საგნად ჩვენმავე ისტორიოგრაფიამ უნდა გაიხადოს!..

ამ მხრით კი ჯერჯერობით მეტად მცირე რამ არის გაკეთებული. ასეთი ჩამორჩენის ერთ-ერთი საპატიო მიზეზი, უეჭველია, წყაროების თავისებურებაც არის: ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის ყურადღება საგარეო ურთიერთობის მხრით უპირატესად ომს ექცეოდა და იდეურ-კულტურული თუ სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობანი მეზობელ ხალხებთან ჩვენი ისტორიოგრაფიის ყურადღების გარეშე რჩებოდა. ამიტომაც აღნიშნული საკითხების შესწავლისათვის საჭირო მასალის მოსაძიებლად მკვლევარს დღეს რთული წყაროთმცოდნეობითი ხერხების გამოყენება სჭირდება. მაგრამ ამ უბანზე ჩვენი ჩამორჩენა კიდევ უფრო შორს მიდის: თვით პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებიც კი მეზობელ ქვეყნებთან უმრავლეს შემთხვევაში ყოვლად არასაკმაოდაა შესწავლილი. საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობა, მაგალითად, წარმოდგენილია ყოვლად მარტივად; სრულიად გაუთვალისწინებელია რთული საერთაშორისო გარემო და მისი გავლე-

ნა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაზე. ჩვენ ამხელად ამ მხრით სანიმუშო ნაშრომის წარმოდგენა არ გვიკადნიერებია და, როგორც ეს ქვემორე აღნიშნულია, არც განზრახვა გვქონია საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობა აღნიშნულ მომენტში ამოწურვით შეგვესწავლა. და თუ, მიუხედავად ამისა, შესწავლილი მოვლენის სირთულე ყურადღებას იქცევს ჩვენს ამ გამოკვლევაში, ეს წყაროთა სიუხვის ბედნიერ შემთხვევას უფრო მიეწერება, ვიდრე ავტორის საკვლევო ხელოვნებას.

მეორე გარემოება, ყურადღებას რომ იქცევს ჩვენს გამოკვლევაში, ესაა რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ-პოლიტიკური ურთიერთობის რთული სურათი. რა რეალურ მოტივებს მოჰყავდა რუსეთი ამიერკავკასიისაკენ და როგორ პირობებში, რა საშუალებებით მოდიოდა ის. რა განსაზღვრავდა რუსეთთან ურთიერთობის დროს საქართველოს მეფე-მთავართა პოლიტიკას საზოგადოდ, ან ყოველ კერძო შემთხვევაში (ეს განსაზღვრული მომენტები არც ერთი კონტრაგენტისათვის სრულიად უცვლელი არა რჩებოდა...), როგორი იყო ამ კონტრაგენტების საერთაშორისო პოლიტიკური პოზიციები... მოკლედ, რა რეალურ ისტორიულ საფუძვლებზე ვითარდებოდა ამა თუ იმ დროს რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა, სად და რაში იყო ამ ორი ქვეყნის ინტერესთა თანხმობის თუ უთანხმოების მომენტები...

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებს არა ერთი ავტორი შეჰხებია, ზოგი სპეციალურად, ზოგი სხვათა შორის. მაგრამ იშვიათია, რომ რომელიმე მათგანს ურთიერთობის ეს სირთულე სასურველი სისრულით გაეთვალისწინებინოს და მის აგრე შესწავლას წარმატებით ცდილიყოს. კიდევ უფრო იშვიათია ამათ შორის ისეთი ავტორი, რომელიც თანაბარი გულისყურით მოპყრობოდეს ამ საკითხის როგორც რუსულს, ისე ქართულ მხარეს. უმრავლეს შემთხვევაში, ამიტომ, ეს **ურთიერთობის** საკითხი არა მხოლოდ **ცალის მხრით** („რუსეთის პოლიტიკის თვალსაზრისი" ან „საქართველოს პოლიტიკის თვალსაზრისი"), **ცალმხრივადაც** გაშუქებული გამოიყურება.

ამ სურათის სიმძიმეს რამდენადმე ანელებს განსვ. პროფ. მიხეილ პოლიევქტოვის მიერ ამ მიმართულებით ნაწარმოები დიდი მუშაობა. საუბედურ-ოდ, განსვენებულ მეცნიერს არ დასცალდა აგრე წარმატებით წამოწყებული საქმის დამთავრება. მაინცდამაინც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მასალათა გამოცემანი და

რუსეთის ისტორიის ღრმა ცოდნით და საკითხისადმი მეცნიერული კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით შესრულებული ამ გამოცემათა შესავალი წერილები მიხეილ პოლიევქტოვისა არის ის, რაც ჯერჯერობით საუკეთესო გაკეთებულა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საქმეში. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იმას არ მოწმობს, რომ აღნიშნული შრომები უნაკლოა და ჩვენ ზრუნვა არ გვმართებს, რათა კიდევ უფრო მაღალი ღირსების სამეცნიერო გამოკვლევები ვუძღვნათ ამ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ საკითხს.

კარგი განზრახვა საქმის კარგად შესრულების საკმაო გარანტია როდია. არც ჩვენ გვგონია, რომ მკითხველი საზოგადოების წინაშე წარმოდგენილი ეს ჩვენი ნაშრომი სანიმუშოა. ჩვენ იმისიც კმაყოფილი ვართ, რომ შევძელით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არაერთი საკითხი ახლებურად ან სულ პირველად დაგვესვა. ხოლო, თუ რა მნიშვნელობისანი ჩანან ეს საკითხები და როგორ მართებულად ან უმართებულოდ არიან ისინი დასმულ-გადაჭრილი, ამისი მსჯავრის დამდები საბჭოთა მკითხველი საზოგადოებაა.

* *

წინამდებარე გამოკვლევა — „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI — XVII საუკუნეთა მიჯნაზე"* — არის ერთი თავი ავტორის „საქართველოს ისტორიის" იმ ნაკვეთისა, რო-

---

* ასეთი სახელი ამ ნაშრომს მისი ცალკე გამოტანის შემდეგ დაერქვა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს XVI საუკუნეში არა ერთი ავტორი შეჰხებია, ზოგი სხვათა შორის, ზოგი სპეციალურად: Б е л о к у р о в-ი (Сношения России с Кавказом, შესავალი I, CXXIX), ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი (Присоединение Грузии к России, გვ. გვ. 22—53), П л о ე н-ი (Исторический обзор дипломатических сношений между российскими государями и грузинскими царями и владетелями... ob. M. Б р о с с е, Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г. I—XXII), ზ. ე დ ი ლ ი (საქართველო და რუსეთი, „სახალხო გაზეთი", 1910 წ. №№ 31, 33, 35, 38, 41, 44, 46, 50), მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი (Материалы по истории Русско-грузинских взаимоотношений 1615—1640 гг. Издание Тбилисского гос. университета, 1937 г., предисловие, I—XX; Экономические и политические разведки Московского государства XVII в. на Кавказе. Издание Научно-исследовательского института кавказоведения Академии наук СССР, Тифлис, 1932), ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, (საჯარო მოხსენება: „მეფე ალექსანდრე"); ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე (Борис Годунов и Грузия); ი. ც ი ნ ც ა ძ ე, (სადისერტაციო ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც ეწოდება „ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე". ეს გარემოება განსაზღვრავს ამ გამოკვლევის ხასიათს: რაკი გამოკვლევა მიზნად არ ისახავდა დასახელებული თემის დამოუკიდებელ შესწავლას, ამიტომაც მას არ ახლავს არა ერთი ისეთი საკითხის განხილვა, რაც განთვისულ მონოგრაფიულ ნაშრომს უსათუოდ მოეთხოვებოდა (ხოლო აქ ზედმეტი იქნებოდა).

აღნიშნული გარემოებით აიხსნება აგრეთვე ამ გამოკვლევის სამეცნიერო აპარატის თავისებურება. ავტორს წესად აქვს ლიტერატურის მიმოხილვა მთლიანი მონაკვეთის შესავალში წარმოადგინოს და არა ისტორიული თხრობის ტექსტში. ამიტომ არის, რომ ამ გამოკვლევაში არაა ნაჩვენები, თუ რა ლიტერატურული მასალით და როგორ სარგებლობდა ავტორი თავისი შრომის არასპეციალური ნაწილის შესწავლისას (ავტორი ფიქრობს, რომ ეს გარემოება ცალკე გამოტანილს ამ ნაშრომს არ უქმნის მაინც არსებით ნაკლს). რაც შეეხება საკვლევო საკითხის სპეციალურ ნაწილს, აქ დასახელებულია ავტორის მიერ გამოყენებული პირველწყაროც და ლიტერატურაც.

პირველწყაროების შესახებ უნდა აღინიშნოს: ავტორი უმთავრესად ბეჭდური გამოცემებით სარგებლობდა. დიდი ჩხრეკა არაა საჭირო, რომ ამ გამოცემათა (განსაკუთრებით ბელოკუროვის გამოცემის) ნაკლი შეამჩნიოს მკვლევარმა. ავტორს, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამოპარვია, როგორც ეს გარემოება, აგრეთვე თვით ამ წყაროთა ხასიათი, მათი თავისებურება...

ამ ნაშრომის წყაროების ენა უმთავრესად ძველი რუსულია. საკუთარი სახელები (პირთა თუ გეოგრაფიული) არარუსული სინამდვილიდან იქ მეტისმეტად გადასხვავებულად არის წარმოდგენილი. ავტორი არ ცდილა მათ აღდგენას (ორიოდე გამონაკლისს გარდა): ასეთი სპეციალური შრომაც განთვისულ მონოგრაფიას შეშვენდებოდა. საკუთარი სახელების ქართულად გადმოცემას, ამიტომ, საჭიროებისდაგვარად, თან ახლავს მათი წყაროსეული გამოთქმაც.

რისხის მოსაპოვებლად, წარმოდგენილი თბილისის სახ. უნივერსიტეტში). სამი უკანასკნელი ნაშრომი არ დაბეჭდილა. მე მათ არც ხელნაწერით ვიცნობ, არც ზეპირი მოსმენით (ნ. ნიკოლაძის შრომა მიმდინარე წლის თებერვალში წასაკითხად გადმომცა კ. მარქსის სახ. სჯ. ბიბლიოთეკის საკონსულტაციო განყოფილების გამგემ ამხ. თ. მაჭავარიანმა. სამწუხაროდ, შრომა მეტად ნაკლულია: გადარჩენილია მხოლოდ შესავალი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ, როგორც კერძო თავი უფრო ვრცელი შრომისა, წინამდებარე გამოკვლევა მაინც იძლევა ერთს, საკმაოდ სრულს, სურათს საქართველოს ისტორიული წარსულისას და ამდენადვე მისი ცალკე გამოტანა ავტორმა შესაძლებლად დაინახა.

* *

ოსმალეთი და რუსეთი ერთიმეორეს უკვე მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში დაუპირისპირდნენ. ასტრახანის დაპყრობით რუსეთმა ხელთ იგდო მეტად მნიშვნელოვანი პუნქტი, სადაც ძველი დროიდანვე თავს იყრიდნენ დიდი სავაჭრო გზები დასავლეთიდან (კაფატანაზე), აღმოსავლეთიდან (გურგანჯზე), სამხრეთიდან (შამახია-დარუბანდზე) და ჩრდილოეთიდან (მოსკოვ-ყაზანზე). ასტრახანს (და ყაზანს) ყირიმის ხანი იჩემებდა, უკანასკნელი კი 1475 წლიდან ოსმალეთის სულტანის ყმა იყო. 1569 წელს სულტან სელიმმა ასტრახანის დაპყრობა სცადა, მაგრამ უშედეგოდ, ამის შემდეგ ხონთქარი დაჟინებით მოითხოვდა მოსკოვის მეფისაგან ასტრახანზე თავისუფალ გზას მუსლიმანებისათვის. ამავე დროს სელიმ სულტანი არანაკლების დაჟინებით მოითხოვდა რუსეთის მეფისაგან იმ ციხის მოთხრას, იოანე მეოთხემ რომ ააგებინა იმიერკავკასიაში მდინარე თერგის ნაპირზე. მოსკოვის მეფე უნაყოფოდ ცდილობდა დაერწმუნებინა ოსმალეთი, რომ აძ ციხის დანიშნულებაა მხოლოდ მეფის სიმამრის, ჩერქეზთ-ბატონი თემურყვას, ქვეყნის დაცვა სხვა ჩერქეზთ-ბატონებისა და შამხლის თავდასხმებისაგან. ოსმალეთის სულტანი (ყირიმის ხანის მეშვეობით) ამ დროს უკვე ყველა იმიერკავკასიის ხალხს: ჩერქეზებს, ყუმუხებს, ლეკებს, თუ სხვა, ვითომცდა ერთმორწმუნეებს, იჩემებდა. ის კარგად ხედავდა, რომ თერგზე ციხეების აგებით რუსეთი იმიერკავკასიის საქმეებში ერეოდა და ოსმალეთის ექსპანსიას წინ ეღობებოდა. 1571 წელს მეფე ივანე იძულებული იყო სელიმ სულტანის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და თერგზე ციხეები მოეთხარა, ხოლო მეციხოვნე ჯარი ასტრახანს დაებრუნებინა[1]. ოსმალეთის მუქარის წინაშე რუსეთმა, მართალია, უკან დაიხია, მაგრამ იმიერკავკასიაში მასთან მეტოქეობაზე საბოლოოდ ხელი სრულიადაც არ აუღია. თერგზე თანდათან

---

[1] С. М. Соловьев, История России с древнейших времен, том VI, гл. V, 211—227 (СПб, издание товарищества „Общественная польза").

ჩამოსხდნენ ყაზახები. ეს არა ნაკლებ აწუხებდა ოსმალეთის სულ-ტანს. ყაზახები მოსკოვის კარნახით მოქმედებდნენ. ამავე დროს „უბატონო ყაზახების“ მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას მოსკოვის მეფე არ კისრულობდა[2].

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა განსაკუთრებით მე-16 საუკუნის ოთხმოციან წლების შემდეგ გამწვავდა, როცა ოსმალეთი ამიერკავკასიაში გაბატონებასთან ერთად იმიერკავკასიის უფრო მტკიცედ დაუფლებას შეეცადა. დონის, ვოლგისა და თერგის ყაზახები ძლიერ აფერხებდნენ ოსმალთა საქმეს. თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ, ატყვევებდნენ, ხოცავდნენ ოსმალო მოხელეებს, იენიჩართა მცირე რაზმებს, ვაჭრებს. 1585 წელს ოსმალეთი მოითხოვდა რუსეთისაგან ყაზახების ალაგმვას. მოსკოვის მეფე მეტოქის ამ მოთხოვნას არ ასრულებდა და თავის მხრით სულტანისაგან მოითხოვდა ყირიმ-ხანის თათართა ურდოებისა და „ჩერქეზთა“ ტომების ალაგმვას, მოსკოვის სამეფოს სამხრეთ ნაპირებს რომ ძარცვავდნენ. სხვა თავის მეზობლებთან რუსეთს ეხლა სამშვიდობო დამოკიდებულება ჰქონდა და ამიტომაც ოსმალეთის მუქარას აგრე რიგად აღარ ეპუებოდა[3].

ამავე დროს განახლდა რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობა.

ოსმალეთთან მეტოქეობაში რუსეთი მოკავშირეებს ეძებდა იმიერსა და ამიერკავკასიაში. მოსკოვის სამეფოს პოლიტიკის მესვეურთ, ბუნებრივია, აზრად მოუვიდათ კახეთთან პოლიტიკური კავშირის აღდგენა, ძალაუნებურად რომ გაწყვიტეს 1570-იან წლებში[4].

1585 წელს მოსკოვის მეფის მოხელემ, ასტრახანელ მეთოფეთა ასისთავმა, ტოლმაჩმა რუსინ-დანილოვმა[5] მოვლო საშამხლო, შარვანი, კახეთი. დანილოვს რამდენიმე დავალება ჰქონდა. მოსკოვის მთავრობას სურდა სამხრეთის საქონელი რუსეთისაკენ მიეზიდა. დანილოვი ასტრახნის სარდლების სახელით არწმუნებდა იმიერ და ამიერკავკასიის ხალხებს ევაჭრათ ასტრახანს, სადაც ყველა პირობა საამისოდ მზად იყო[6]. ამავე დროს დანილოვს ევალებოდა

---

[2] Белокуров. Сношения России с Кавказом., შესავალი, LXXXVIII—XC.
[3] იქვე, XC—XCII.
[4] იქვე, XCIV—XCV.
[5] იქვე, 30.
[6] იქვე, შესავალი, XCIV.

შეესწავლა საქართველოსაკენ მიმავალი გზები და ისიც, თუ რას წარმოადგენდა ეს ქვეყანა. დანილოვმა ალექსანდრე კახთა მეფეს თედორე რუსთა მეფის წიგნი მიუტანა. რუსეთის მეფე პოლიტიკურ კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა საქართველოს[7].

მეფე ალექსანდრე ამაზე უმჯობესს ეხლა ვერას ისურვებდა თავისი ქვეყნისათვის. ამიერკავკასია თითქმის მთლიანად ოსმალეთს დაეჭირა და ხონთქარი მის საბოლოოდ დაუფლებას გამალებით ცდილობდა. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებიდან მხოლოდ კახეთი იყო, სადაც ოსმალეთს ჯერ თავისი ლაშქარი არ შეეყვანა. მაგრამ უეჭველი იყო, რომ ოსმალეთი, როგორც კი მოიცლიდა (ე. ი., როგორც კი ქართლის წინააღმდეგობას საბოლოოდ გასტეხდა), კახეთის მოხარკეობას[8] აღარ დასჯერდებოდა და ამ ქვეყნის დაპყრობას შეეცდებოდა[9]. ამავე დროს მეორე დამპყრობელი — ერანი დაცემულ-დამარცხებული იყო. კახეთის „საპატრონოდ“ შაჰს ეხლა ხელი არ მიუწვდებოდა; ის საკუთრივ ერანის ქვეყნების დაცვასაც კი ველარ ახერხებდა. ამდენადვე კახთა მეფეს ფორმალურ-იურიდიული უფლებაც კი ჰქონდა „საწუნელ პატრონს“ წასვლოდა და სხვა შეერჩია[10].

---

7 დანილოვისათვის მიცემული პოლიტიკური დავალება წაკლულად გადმოცემული ჩანს როგორც Грузин. стат. список № 1 л. л. 1-8-ის (Белокуров, Сношения..., 10), ისე Выписка из персидских дел-ის (М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615—1640, стр. 1) შემდგენელთა მიერ. ალექსანდრე კახთა მეფის საპასუხო მოქმედებიდან (ელჩებისა და წიგნის გაგზავნა მოსკოვის მეფესთან) ირკვევა, რომ ტოლმაჩ დანილოვს კახეთის მეფესთან მნიშვნელოვანი დიპლომატიური დავალებაც ჰქონია. მას ალექსანდრე მეფისათვის მოსკოვის მეფის მოკითხვის წიგნი გადაუცია და სიტყვა ჩამოუგდია იმის შესახებ, რომ ხელმწიფე მზადაა კახთა მეფე და მისი ქვეყანა „ურწმუნოთა“ მხრით ძალადობისაგან დაიცვას (Белокуров, Сношения.., 12; М. Полиевктов, Материалы.., 1). ამ მოსაზრებას მთლიანად ადასტურებს: Белокуров, Сношения..., 562. Вопрос о Грузии... в сношениях России с Персией.

8 „Грузинская де земля ясачная ево, турсково царя“, см. Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией, изданы под редакцией Н. И. Веселовскаго, II, стр. 350.

9 იმის შესახებ, თუ როგორ ეხატებოდა ალექსანდრე კახთა მეფეს ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ, კახეთის საერთაშორისო მდგომარეობა მე-16 საუკუნის მიწურულს ‹ხ. Белокуров, Сношения... 214.

10 სწორედ ასეთი იყო მოსკოვის დიპლომატების არგუმენტები, კახთა მეფის ამ პოლიტიკური ნაბიჯის გასამართლებლად რომ მოახსენებდნენ შაჰ-აბასს 1607 წელს (Белокуров, Сношения..., 574).

მაგრამ კავკასიაში ოსმალეთის გაბატონების სხვა შედეგებიც ფრიად მძიმე იყო კახეთისათვის.

XVI საუკუნეში იმიერკავკასია მრავალი ფეოდალურ-ტომობრივი ერთეულისაგან შედგებოდა. ურთიერთ შორის ამათ ჩვეულებრივი ქიშპი-მტრობა, თუ კეთილმეზობლობა ჰქონდათ. ოსმალეთ-ყირიმხანი ადვილად გაუპატრონდნენ ზოგ მათგანს. მოძმისა თუ მეზობლისაგან შევიწროებული ესა თუ ის ფეოდალი-მთავარი ახლად მოსულ ძალაში „მფარველს“ ეძებდა, დანარჩენთ კიდევ დამპყრობელი თავის ბატონობას ძალად ახვევდა თავზე. ესენიც იბრძოდნენ და ამ მოძალადის წინააღმდეგ, თავის მხრით, სხვა „მფარველს“ ეძებდნენ[11].

კერძოდ, შამხლის სამთავრო ოსმალეთის ერთგული დასაყრდენი შეიქნა იმიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ამ სამთავროს პოლიტიკურ პოზიციებს ეხლა ორი გარემოება არკვევდა. სამხრეთიდან მას დარუბანდის სახანო ესაზღვრებოდა. დარუბანდი კი შარვანთან ერთად 1579 წლიდან ოსმალთა ხელში იყო. ჩრდილოეთიდან საშამხლოს მეზობლად ჩერქეზთა ერთ-ერთი სამთავრო გამოდიოდა. უკანასკნელი რუსეთის პოლიტიკურ ორიენტაციას ადგა და შამხალთან ქიშპში ზურგი მოსკოვის მეფისაგან ჰქონდა გამაგრებული[12].

ოსმალეთის გაბატონებას იმიერკავკასიაში ტყვეებით ვაჭრობის გაძლიერება მოჰყვა. ოსმალეთი ამ „საქონლის“ დიდი მომხმარებელი იყო. ეს ვაჭრობა მეტად სარფიანი საქმე იყო: ტყვე ძვირად იყიდებოდა. ეკონომიურად შევიწროებულმა მთის მოსახლეობამ, ბუნებრივია, ამ საქმეს ხელი მოჰკიდა. ტყვეების შოვნა ადვილი საქმე არ იყო და მისი მოქმედი ამ სახიფათო საქმეზე ხშირად თავსაც წააგებდა ხოლმე, მაგრამ მთის მოსახლეობის ეკონომიური შევიწროებულობა ისე დიდი იყო, ხოლო ტყვეები ისეთი ძვირი

---

11 Белокуров, Сношения..., შესავალი; М. Полиевктов, Материалы..., Предисловие; Соловьев. История, loc. cit. და 627, აგრეთვე გვ. 99—100.

12 მაინცდამაინც თერგზე ციხეების აგებას შეშფოთებულ ყირიმის ხანს და ოსმალთა მთავრობას მოსკოვის მეფე სწორედ იმით უსაბუთებდა, რომ ის ამ ციხეებით თავის ყმას, ჩერქეზთ-ბატონს, მომტრე მეზობელთაგან, და მათ შორის, შამხლისაგან, იცავდა. Белокуров, Сношения..., შესავალი; Соловьев, История (op. cit.), 218.

„საქონელი“, — რომ სახიფათოობისდა მიუხედავად ადამიანთა ტყვეებად დატაცება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

შამხალს კახეთთან სამტრო მრავალი რამ ჰქონდა. კახეთის მეფე საშამხლოს შინაურ საქმეებში ერეოდა: ალექსანდრე შველოდა შამხლის სახლის კაცს, რომელიც შამხალს მთავრობას ეცილებოდა. კახეთი ამ დროს ჯერ კიდევ ფლობდა დაღისტნურ-ლეკურ ზოგიერთ პირაქეთელ თემს და იალაღს[13], რომლებზედაც შამხალიც პრეტენზიებს აცხადებდა. კახთა მეფის მიერ შამხალი პირადადაც შეურაცხყოფილი იყო: ალექსანდრემ უარჰყო შამხალთან მოყვრობა, ხოლო მის მოქიშპეს დაემძახლა[14]. მაგრამ ახალს პირობებში, როგორიც ოსმალთა გაბატონებით შეიქმნა ამიერ და იმიერკავკასიაში, მთავარი საფუძველი კახეთის მიმართ შამხლის სამტრო განწყობილებისა ის იყო, რომ ეს მდიდარი საქრისტიანო ქვეყანა მთიელებისათვის, ოსმალთა მიერ ხელისშეწყობით, შესაძლებელი იყო ტყვეებისა და სხვა საშოვრის დაუშრეტელ წყაროდ ქცეულიყო.

სანამ ერანი შარვანს ფლობდა და შაჰის ხელმწიფობას შამხალი სცნობდა, უკანასკნელი ერანის საყმო ქვეყნების ძარცვას აგრე ხელაღებით ვერ ბედავდა. თანაც, ამ დროს შუა და პირიქითი დაღისტნის ტომები შამხლის გავლენას ჯერ კიდევ ნაკლებად განიცდიდნენ. თვით შამხალს ამ დროს კახეთის მეფის რიდი ჰქონდა და მისი მომსმინოც იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც კავკასია ოსმალეთმა დაიჭირა და შამხალს მფარველად მოევლინა, უკანასკნელმა შუა დაღისტნის ტომები უფრო დაიმორჩილა[15] და კახეთის მიმართაც სამტრო მოქმედება გააძლიერა[16]. მთიელთა ქედფიცხელი ტომები არც

---

13 ...от Казаныча до Казыкумука до Сафурского с 4 днища — а Сафурской подданной Александра царя; а от Сафурского до Иверские земли ходу з 2 дни (Белокуров, Сношения..., 59),

...«И Грузинские земли город Цакур, а в нем Адикорклю князь, у него 200 человек конных» (Белокуров, Сношения..., 293).

14 Белокуров, Сношения..., 213.

15 კახეთში კარგად იციან, რომ დაღისტნელი ტომები შამხლისაგან შევიწროებული არიან. კახელ პოლიტიკოსებს, ამიტომ, იმედი აქვთ, რომ ხერხიანი მოქმედებით ამათი ამხედრება შამხლის წინააღმდეგ შესაძლებელია... „А Шевкала они и сами не любят, что им от него обида. А государь бы их ратным своим не велел воевать; а они станут на Шевкала з государевыми людми заодно“,—მოახსენებდნენ კახეთის ელჩები (ყაფლან ვაჩნაძე, კირილე წინამძღვარი და ხურშიტ აღა) 1588 წელს მოსკოვის კარს. Белокуров, Сношения..., 59.

16 Тысяча лет есть, что мы православные хрестьяне есми да сею землею владеем и царствуем, а в которых всегда те неверные собаки Шевкал-

აგრე რიგად ყმობდნენ შამხალს, რომ თავისდაუნებურად ყოველ საქმეზე გაჰყოლოდნენ მას, მაგრამ კახეთის რბევა ღარიბ მთიელებს ისეთ მიმზიდველ საქმედ ეჩვენებოდათ, რომ ის ტომებიც კი, რომელნიც შამხლის პოლიტიკურ ჰეგემონობას სრულიადაც არ სცნობდნენ, კახეთის ტყვენვა-რბევაში ხალისით თანამშრომლობდნენ ამ საქმის ორგანიზატორთან.

საშამხლო მცირე სამთავრო იყო. კახეთის მეფეს მეტი ლაშქრის გამოყვანა შეეძლო, ვიდრე შამხალს[17]. ამისდა მიუხედავად კახეთს შამხალთან ბრძოლა განსაკუთრებით უჭირდა. შამხალი დიდი ჯარით კახელებთან აშკარა ომს ერიდებოდა: ასეთ ომებში, ჩვეულებრივ, კახელები იმარჯვებდნენ (ომები 1580, 1588, 1589, 1604 წლებში). ამიტომაც იყო, რომ „ლეკები" ქურდულად მოდიოდნენ. ღამით და შედარებით მცირე დასტებით თავს ესხმოდნენ კახეთის განაპირა სოფლებს და ტყვეებითა და ალაფით საჩქაროდ გარბოდნენ მიუვალ მთებში. სწორედ ასეთი მტრის წინააღმდეგ სუსტი იყო ფეოდალური ქვეყანა[18].

საჭირო იყო ლეკი მოთარეშეების საპასუხოდ მუდმივად მზად ყოფნა. მაგრამ ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა (ბატონყმურ-თავადური) ასეთი თავდაცვის ორგანიზაციის შექმნას მეტისმეტად აძნელებდა. საჭირო იყო ლეკთა შემოსასვლელი გზების შეკვრა ციხეებით, სადაც საკმაო მეციხოვნეები გამოუწყვეტლად იქნებოდნენ. საჭირო იყო დაღისტნის დასამხარ განაპირა კახური სოფლების განსაკუთრებული გამაგრება მუდმივი ჯარით. კახეთს კი თავისი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შესაბამისი ფეოდალური ლაშქარი ჰყავდა, რომელიც, საჭიროების მიხედვით, მეფის ბრძანებისამებრ საკუთარის ნუზლითა და ცხენ-იარაღით მოკლე ხნით გამოდიოდა. სხვა დროს კი ეს მოლაშქრეები ჩვეულებრივი მიწის

ские покорены под нашею рукою... Да в коем времени Туркский царь хрестьянскую землю стал громити, а они в те поры Шевкалские отступили и хрестианский род в пленение и в неверности едут—სწერდა 1588 წელს ალექსანდრე კახთა მეფე მოსკოვის მეფეს. ამავე საგნის შესახებ იხ. Белокуров. Сношения..., 56, 214, 302.

17 იქვე, 293, 302.

18 შამხლისა და სხვა დაღისტნელი აბრაგების წინააღმდეგ ბრძოლის სიძნელის შესახებ იხ. ალექსანდრე კახთა მეფის წიგნი მოსკოვის მეფესთან, Белокуров, Сношения,.., 225, მისივე წიგნები მოსკოვის პატრიარქთან, გოდუნოვთან (იქვე, 233, 234, და სხვა მრავალი ადგილი ამავე გამოცემაში. გვ. გვ. 163, 213—215, 302, 401 და სხვ.).

მფლობელნი ან კიდევ მიწის მუშა მეურნენი იყვნენ. ასეთი ჯარი კი ქურდ თავდამსხმელთაგან ქვეყანას მუდმივად ვერ დაიცავდა („მოლრიგე ლაშქრის“ სისტემა ამ დროს საქართველოს ახლოს არსად იყო და რომც ყოფილიყო, მისი კახეთში შემოღება იმავე სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის გადაულახველ სიძნელეებს წააწყდებოდა).

ჯარის დაქირავება (როქის სპა) საქართველოში უძველესი დროიდანვე იცოდნენ, მაგრამ ასეთი რამ ეხლა მცირე ხნით თუ შეიძლებოდა მხოლოდ. თავადურ-ბატონყმური ქვეყნის მთავრობა ღარიბი იყო. მას უცხოელთა ხანგრძლივად დაქირავების სახსარი არ გააჩნდა, მით უფრო, როდესაც ასეთი ჯარი მხოლოდ ქვეყნის თავდაცვას ემსახურებოდა და არა უცხო ქვეყნების დარბევა-დახარკვას. მონასპის სისტემასაც იცნობდა ფეოდალური საქართველო, მაგრამ ზემოხსენებული მიზეზების გამო ასეთი ლაშქარიც მრავალრიცხოვანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო და მისი დანიშნულებაც, უმთავრესად, საპოლიციო-საჟანდარმო საქმე უნდა ყოფილიყო. ალექსანდრე კახთა მეფესაც ჰყავდა ხუთასი „იენიჩარი“[19], რაც ლეკ-აბრაგთა მიერ რბევისაგან ქვეყანას, რა თქმა უნდა, ვერ დაიცავდა.

ჩვეულებრივ პირობებში ფეოდალური ქვეყანა სამაგიერო ტყვენვა-რბევით უპასუხებდა ხოლმე მტრის ქვეყანას. კახეთს საშამხლოს მიმართ ამის საშუალებაც არა ჰქონდა. საშამხლო-დაღისტანი კახეთიდან ძნელად მისადგომი მთიანი ქვეყანა იყო. ძლიერი ოსმალეთიც მას მფარველობდა. ასე რომ ეს მტერი კახელებისათვის თითქმის ხელმიუწვდომელი გამხდარიყო.

ამრიგად, ფეოდალური კახეთი განსაკუთრებული სიძნელის წინაშე იდგა და მის დასაძლევ გზებს ეძებდა.

შამხალთან მტრობას კახეთისათვის კიდევ ერთი უსიამოვნო შედეგი ხდებოდა. სავაჭრო-სამიმოსვლო გზა კახეთიდან თერგსა და ასტრახანისაკენ დაღისტან-საშამხლოზე გაივლიდა (ძეგამი — ყაზიყუმუხი — ყაზანიჩი — ქიაფირყუმუხი — ტარკი — ტიუმენი—თერგი). კახეთისათვის ამ გზას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს უმოკლესი მაგისტრალი იყო (ქარავანი მას 6—7 დღეს გაივლიდა) და შარვან-დარუბანდის გვერდის ავლით მარჯვედ შედიოდა იმიერ-კავკასიაში[20]. კახეთი ამ გზით უძველესი დროიდანვე სარგებლობდა მთა-

---

[19] Белокуров, Сношения..., 171..

[20] ეს იყო, უეჭველია, ქართულ წყაროში აღნიშნული „გზა ბელაქნისა“, კახეთ-ჰერეთიდან რომ ღუნძეთს შედიოდა. იხ. ქამთააღმწერელი, 691 (846).

სა და იმიერკავკასიასთან ურთიერთობისას. ძველად ამ გზის უდიდესი ნაწილი საქართველოს (კახეთის) საყმო ქვეყნებზე გაივლიდა. ეხლა კი ამ გზის ოთხი მეხუთედი შამხლისა და მისი მორჩილი დაღისტნის ტომების ხელთ იყო. საშამხლოსა და კახეთის მტრობის გამო სავაჭრო-კულტურული ურთიერთობისათვის ეს გზა ჩაკეტილი იყო. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთისათვის ამ გზას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მისი გახსნა და უშიშროება ქვეყნის პოლიტიკურ მესვეურთა ერთ მთავარ საზრუნავთაგანს შეადგენდა მე-16 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში[21].

ალექსანდრე მეფეს კარგად უნდა ხსომებოდა კახეთის პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ მოსკოვის სამეფოსთან[22]. უეჭვე-

---

[21] Белокуров, Сношения..., 10, 15, 30, 38, 57, 58, 59, 60, 61, 62, 85, 88, 96, 112, 116, 162, 174, 215, 253, 255, 257, 318, 319, 322, 333, 391.

[22] საინტერესოა, რომ რუსეთ-კახეთის ურთიერთობის შესახებ მე-16 საუკუნის 60—70-იან წლებში არც მოსკოვი და არც კახეთის მეფე ეხლა არას ამბობდნენ. ლევან კახეთის მეფესა და ივანე მეოთხეს შორის აღნიშნულ დროს პოლიტიკური ურთიერთობა რომ არსებობდა, ამის უეჭველი მოწმობა არა ერთია. (იხ. Белокуров. Сношения... LXXXIII—LXXXIV; М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640 гг. 71). ამ ურთიერთობის შესახებ თითქო კარგად ახსოვდათ კახეთშიაც და მოსკოვშიაც. მით უფრო უცნაურია ეს დუმილი. შეიძლება ეს მოვლენა შემდეგი გარემოებით აიხსნებოდეს: ლევან მეფე მოსკოვის მეფის ხელდებული არ შექმნილა (წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი რამ მოუხსენებელი არ დარჩებოდა მოსკოვ-კახეთის ცხოველ დიპლომატიურ ურთიერთობისას 1586—1605 წლებში). ამდენადვე მოსკოვის დიპლომატებს არ მიაჩნდათ საჭიროდ სიტყვა ჩამოეგდოთ ერანის შაჰთან ამ ურთიერთობაზე: მოსკოვის საბუთიანობას კახეთზე მფარველობის უფლების შესახებ ამ ფაქტის აღნიშვნა ვერაფერს შეჰმატებდა. ბელოკუროვის მიერ გამოცემულ მასალებში მოიპოვება ერთი ადგილი, რომელიც შეიძლება, ამართლებდეს **ვახუშტის** ცნობას ივანე რუსთა მეფის მიერ ლევან კახთა მეფისათვის მეციხოვნე ჯარის თხოვების შესახებ: 1590 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე თერგის ციხიდან რუს მეთოფეებს მოითხოვდა. მოსკოვ-კახეთის მფარველობა-ხელდებულობის პირობა ასეთ დახმარებას ითვალისწინებდა. მოსკოვის მეფის ელჩები მეთოფეთა თხოვებაზე უარს არ ამბობდნენ, ოღონდ თერგის ციხიდან მათ მოსაყვანად კახეთის მეფისაგან ცხენებს ითხოვდნენ. ამაზე ალექსანდრე მეფის დიპლომატებმა, თავადმა სოლომონ და თარსა მდივანმა, რუს ელჩებს მიუგეს: „Преже сего здеся государевых казаков было пятсот человек; а лошадей у них не было и те люди пеши шли же“. (Белокуров, Сношениия..., 210). არაა საფიქრებელი, რომ ეს ცნობა იმ ყაზახებს შეეხებოდეს, სიმონ ქართლის მეფესთან რომ იყვნენ 1586—1589 წლებში (Белокуров, Сношения..., 125; С. М. Соловьев, История..., 100).

ლია, კახეთის მეფეს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა გზით და როგორ შეეძლო მოსკოვის მეფეს მისთვის დახმარება აღმოეჩინა. კახეთ-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის განახლებისათვის დროც მარჯვე იყო. ერანი ოსმალეთს დაეძალა და შაჰს კახეთის „პატრონობის“ თავი არ ჰქონდა[23]. ოსმალეთი კი მოძალადე იყო და კახეთის მეფეც საშუალებას სწორედ ამ მოძალადისაგან თავის დასაცავად ეძებდა.

ალექსანდრე მეფემ დანილოვს მოსკოვის მეფესთან თავისი ელჩებიც გაატანა.

1586 წლის 9 ოქტომბერს ალექსანდრეს ელჩები, იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ჩერქეზი ხურშიტი, მეფე თედორეს წარუდგნენ და კახთა მეფის „აჯა“ მოახსენეს. კახეთის მეფე „თავს უდებდა“ მოსკოვის ხელმწიფეს და მისგან „მფარველობას“ ითხოვდა. ეს მფარველობა შემდეგში უნდა გამოხატულიყო: კახეთი რუსეთს **ყველა მტრისაგან** უნდა დაეცვა; ამხელად კი რუსეთის მეფეს თერგზე უნდა ციხე აეგო, აქ დიდი ჯარი მოეთავსებინა და გზა თერგიდან კახეთამდის, საშამხლოზე რომ გადიოდა, საკუთრად დაეჭირა.

მართალია, მოსკოვის მეფის წიგნი, ალექსანდრეს რომ გამოუგზავნა ბირკინისა და პივოვის ხელით, საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქო თერგზე ციხის აგებისა და შიგ რუსი მეციხოვნეების მოთავსების საკითხი მოსკოვის მეფის წინაშე ალექსანდრეს წამოეყენებინოს (ისევე როგორც კახეთ-თერგის გზის დაპყრობის საკითხიც), მაგრამ, თუ თერგის ციხესთან დაკავშირებულ სხვა ისტორიულ მონაცემებსაც გავითვალისწინებდით და, მათ შორის, თერგის ციხის აგებამოთხრის ამბავს, XVI საუკუნის 70-იან წლებში რომ მოხდა (Белокуров, Сношения..., XXV), ჩვენ გვექნებოდა საფუძველი საეჭვოდ მიგვეჩნია, თითქო რეალური ინიციატივა თერგის ციხის აგების საკითხში ალექსანდრეს ჰკუთვნებოდეს (ესევე შეიძლება ითქვას კახეთ-თერგის გზის შესახებაც).

ეს ფორმალური ხასიათის გარემოება, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ მოწმობს, რომ ალექსანდრე მეფეს და მის დარბაისელთ ეს მოსკოური გეგმა მთელის სისავსით **კახურად** არ ესმოდათ და ამ გეგმის განხორციელების მნიშვნელობა კახეთის ინტერესებისათვის გათვალისწინებული არ ჰქონდათ. პირიქით, კახეთ-მოსკოვის ურთიერთობის შემდგომი განვითარებიდან უეჭველად ჩანს, რომ ალექსანდრე მეფეს ეს გეგმა არანაკლებ რეალურად ესმოდა, ვიდრე მის

---

23 ჩვენ შეიძლება დავეთანხმოთ ვახუშტის (თუმცა მისი წყაროს შესახებ არაფერი ვიცით), როცა ეს მეცნიერი მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის შეფერხება-შეწყვეტას მე-16 საუკუნის 60—70-იან წლებში ერანის შაჰის, თამაზის, პოზიციით ხსნის (საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, გვ. 163, ჭიჭინაძის გამოც).

კონტრაგენტს (Белокуров, Сношения.., 37, 38 და განსაკუთრებით 214 და სხვ.).

თერგის ციხის სანახებიდან კახეთში რამდენიმე გზა მოდიოდა. კახელების აზრით უმარჯვესი, ნაკლებმთიანი და ადვილად სავალი ის გზა იყო, რომელიც საშამხლოზე გამოდიოდა. კახელი ელჩების ცნობით მისი მიმართულება შემდეგი იყო: კახეთი, წახური, ყაზი-ყუმუხი, ყაზანიჩი, ქიაფირ-ყუმუხი, ტარკი, ტიუმენი—თერგის ციხე. ეს გზა მხედრისათვის $7^1/_2$ დღის სავალი იყო, ხოლო ქვეითისათვის 15 დღისა (საამისო ტექსტში, როგორც ჩანს, შეცდომაა. გამოტოვებულია ყაზი-ყუმუხ-წახურს შუა მანძილი, რომელიც 2 დღის სავალი უნდა ყოფილიყო, როგორც ეს საფიქრებელია სავალ დღეთა საერთო ჯამიდან (Белокуров. Сношения..., 59).

მეორე გზა ის იყო, რომელიც ჩერქეზთა ქვეყანას და შემდეგ ხევსა და მთიულეთს გაივლიდა და ჟინვანით საკუთრივ კახეთში შედიოდა. ამ გზაზედ შემდეგი პუნქტებია დასახელებული: Ларской кабак, Черебашов кабак, Сонской кабак, Архидьякон Степан და არაგვის საერისთავოსა და კახეთის საზღვარზე არაგვის მარჯვენა ნაპირას Аристов кабак (შეიძლება ვიფიქროთ, ჟინვანი). ეს გზა შორი იყო, მაღალმთიანი და ძნელად სავალი (Белокуров, сношения..., 58).

მესამე გზა სუნჯა—საჩაჩანო—ხუნძახზე მოდიოდა. კახელი ელჩები ამ გზას ახლო არ იცნობდნენ (უნდა ვიფიქროთ, ამ გზით მიმოსვლა კახეთში ცხოველი არ იყო). ჩერქეზ მთავართა (Ших Мурза და Алкас князь) ელჩები კი ამ გზას დიდად აქებდნენ: მცირე მთიანია, არც დიდი მდინარეები აფერხებს და არც უდაბურიაო („дорога добре добра: гор мало и воды не велики и государевым ратным людем, которые будут в провожанье, прокормитца будет мочно". Белокуров. Сношения..., 60. ამ გზის მანძილები იყო: А ходу от Терки от Суншина городища до Шиха пешему 2 дни, а конному день... А до Аварского от Шиха 3ж дни; а от Аварского до Черного князя з днище; а от Черного князя до Иверские земли днищь з 10. И всего по той дороге ходу с 15 днищ". Белокуров. Сношения..., 60—61).

კახელი ელჩები უპირატესობას მაინც პირველ გზას აძლევდნენ და მის გახსნას და დაცვას მფარველსა სთხოვდნენ.

კახეთის მეფის აჯა მოსკოვში ხელსაყრელად ეჩვენათ. ბოიარებმა თედორე მეფეს მისი დაკმაყოფილება განუზრახეს. კახთა მეფის თხოვნა თერგზე ციხის აგების შესახებ მით უფრო მისაღები იყო, რომ ამასვე ითხოვდა ოსმალებისა და შამხლის მძლავრობისაგან შევიწროებული არა ერთი ჩერქეზთ ბატონი[24]. ასე რომ თერგზე ციხე რუსის ჯარით, ე. ი. მოსკოვის სახელმწიფოს უშუალოდ ჩარევა კავკასიის საქმეებში სავსებით მომწიფებული ჩანდა.

---

[24] Белокуров, Сношения..., გვ. 49.

იმისათვის, რომ საბოლოოდ გაფორმებულიყო კახეთ-რუსეთის ურთიერთშორის დამოკიდებულება, ქართველ ელჩებს თედორე მეფემ თან გამოატანა „წყალობის სიტყვით“[25] თავისი ელჩებიც— **ბირკინი და პივოვი.** ამათ დაევალათ: გაერკვიათ როგორც ალექსანდრე მეფის „ხელდებულობის“, აგრეთვე მოსკოვის მეფის „მფარველობის“ ხასიათი, ურთიერთის მიმართ მათი უფლება-მოვალეობანი; ზედმიწევნით შეესწავლათ იმიერკავკასიიდან კახეთს მიმავალი გზები[26], შეემუშავებინათ კახეთის მეფესთან ერთად თერგის ციხის გარნიზონის შენახვის პირობები და, ბოლოს, როცა ყველაფერი გაირკვეოდა, ბირკინსა და პივოვს რუსეთის მეფის ერთგულებაზე ფიცი უნდა მიეღებინათ ალექსანდრე კახთა მეფისთვის მისი შვილებით და დარბაისლებით. ფიცის ტექსტი მოსკოვს იყო შემუშავებული და ელჩებს თან მოჰქონდათ. ყველა ამის შესრულების შემდეგ ალექსანდრე მეფე კვლავ თავის ელჩებს გაგზავნიდა მოსკოვის მეფესთან და აჯას მოახსენებდა. ხელმწიფე მოუსმენდა, „შეიწყალებდა“ ხელდებულს და **წყალობის წიგნს ოქრო ბეჭედით** გამოუგზავნიდა[27]. ამით მფარველობა-ხელდებულობის აქტი საბოლოოდ ძალაში შევიდოდა[28].

---

25 «Жаловальным словом». Белокуров. Сношения..., 15.

26 ხსენებული გზების შესახებ იხ. М. А. Полиевктов, Экономические и политические разведки московского государства XVII в. на Кавказе. Издание научно-исследовательского института Кавказоведения Академии наук СССР, Тифлис, 1932 г., გვ. 28—31.

27 «Грамоту жаловалную з золотою печатью». Белокуров. Сношения..., 15.

28 დანასაქმით (наказ) ბირკინსა და პივოვს ალექსანდრე მეფესთან დანილოვის ელჩობის მოგონება არ ევალებოდათ. მოსკოვის მეფის კარი ეხლა ასეთი წარმატებით დასრულებული, საკუთარი ინიციატივის შესახებ დუმილს ირჩევდა. ამას მოითხოვდა, სხვა არსებითი ხასიათის მოსაზრებათა გვერდით, თვით საქმის ფორმალური მომენტიც: **კახეთის მეფე მოსკოვის მეფის ხელდებული ხდებოდა. ამიტომ მასვე შეშვენოდა როგორც „აჯა და მოხსენება“, ისე საამისო წინასწარი მოსამზადებელი საქმიანობაც.**

ბირკინსა და პივოვს სიტყვა იმით უნდა დაეწყოთ, რომ კახეთის მეფემ ხელმწიფეს „თავი დაუკრა“, ელჩები გაუგზავნა, მისი მფარველობა ითხოვა და მორჩილება აღუთქვა. ასევეა საქმე წარმოდგენილი კახთა მეფის ფიცის წიგნში და მოსკოვის მეფის წყალობის სიგელშიაც, (Белокуров, Сношения..., 14—15, 19—20, 24. განსაკუთრებით, 25, 26, 32, 36, 38, 87).

რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ამ დეტალს ჩვენ უყურადღებოდ დავტოვებდით, რომ მას მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგები

ელჩები დარიალის გზით მოვიდნენ კახეთს. ეს გზა ნუგზარ არაგვის ერისთავის ხელთ იყო[29]. ნუგზარი, თუმცა კახეთის მეფის ყმა იყო, თავს საკმაოდ დამოუკიდებლადა გრძნობდა. კახეთის მეფესთან მიმავალი მოსკოვის ელჩები რომ თავის ქვეყანაზე გაეტარებინა, ის საგანგებო წიგნსა და „წყალობას" ითხოვდა რუს ჩელმწიფისაგან. ნუგზარი არა მარტო მთიულეთს, ხევსაცა ჰფლობდა. ამ დროს მას მტრობა ჰქონდა მეზობელ ჩერქეზ ბატონ ალკასთან იმიერკავკასიაში[30].

28 აგვისტოს 1587 წელს თეოდორე მეფის ელჩები მეფე ალექსანდრეს წარუდგნენ.

ერთი თვის მოლაპარაკებით შეთანხმებას მიაღწიეს. 28 სექტემბერს 1587 წელს ალექსანდრე მეფემ თავისი შვილებით (ერეკლე, დავითი, გიორგი) და დარბაისლებით (იასონი, გორჯასპი, შერმაზანი, ზაალი, დავითი და ანდერმანი) მოსკოვის მეფის ხელდებულობის ფიცი მიიღო. კახეთის მეფე აღთქვამდა, რომ მან საუკუნოდ თავი დაუკრა მოსკოვის მეფეს, რომელმაც შეიფარა კახეთის მეფე და თავს იდვა მისი ქვეყნის დაცვა **ყველა მტრისაგან.** ალექსანდრე მეფე ფიცსა დებდა, რომ ის სხვას აღარავის დამორჩილებოდა, არც მოსკოვის მეფის სამტროს რასმე იმოქმედებდა; მოსკოვის მეფის მტრის მიმართ ის მტრობას ივალებდა, ხოლო მოყვრის მიმართ მოყვრობას[31].

არ მოჰყოლოდა. არაერთი ისტორიკოსი, ზოგი განზრახ, ზოგი საჭირო დაკვირვების არქონის გამო ხსენებულ ურთიერთობას სწორედ ისე წარმოგვიდგენს, როგორც ეს მოსკოვის მეფის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელობას სურდა... მაგალითისათვის საკმაოა ბელოკუროვი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მასალათა გამომცემელი, რომელიც ხსენებულ საკითხს მის მიერვე გამოცემული დოკუმენტების უდავო ჩვენებათა წინააღმდეგ აშუქებს (Белокуров. Сношения... XCIV—XCV CXVII; Соловьев. op. cit. 61), და ეს არა მხოლოდ ამ შემთხვევაში, ისევე არა სწორად და სრულიად შებრუნებულად არის გაშუქებული რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის წამოწყების საკითხი ყველა იმ შემთხვევაში (და ასეთი შემთხვევა კი საკმაოდ ხშირია), როცა ამ ურთიერთობის წამოწყების ინიციატივა მოსკოვის მეფის მხრიდანაა..

29 Белокуров, Сношения..., 34—35... არაგვის ერისთავის შესახებ რუსულ წყაროებს უხვი ცნობები შემოუნახავთ. ქართულ გვიანფეოდალურ ერისთავისა და საერისთავოს ბუნების შესასწავლად ეს ცნობები განსაკუთრებით ძვირფასია.

30 Белокуров, Сношения..., 32—33, 41.

31 ალექსანდრე მეფის ამ ფიცის წიგნის რუსული ტექსტი და მისი ქართულად გადმოცემა იხილე შრომის ბოლოს, დანართი № 1.

ამასთან ერთად, როგორც მოსკოვი, ისე ალექსანდრე კახეთის მეფე მომხდარი აქტის საერთაშორისო ლეგალიზაციას ცდილობდნენ. მფარველსაც და ხელდებულსაც კარგად ესმოდათ, რომ ხსენებული აქტი კავკასიის საერთაშორისო ვითარებაში მეტად მნიშვნელოვანი გარემოება იყო და ის ერან-ოსმალეთის განსაკუთრებული ყურადღების გარეშე ვერ დარჩებოდა. მაგრამ, თუ ოსმალეთთან საქმე (უფლების თვალსაზრისით) შედარებით მარტივი იყო (ქრისტიანული კახეთი ოსმალეთის მიმართ სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ხოლო მოსკოვის მეფე ერთმორწმუნე ქრისტიანების მფარველობას ოფიციალურად იჩემებდა), ერანთან ურთიერთობის საკითხი სულ სხვა რიგად იდგა. მრავალი ათეული წელი იყო, რაც ერანის შაჰები კახეთს თავის ხელქვეშეთ ქვეყნადა სთვლიდნენ. კახეთის მეფე იძულებული იყო მორჩილების ნიშნად ყოველწლიური ხარკი ეძლია შაჰისათვის, ხოლო ერთგულების საწინდრად ერთ-ერთი კახი ბატონიშვილი (XVI საუკუნის სამოციანი წლებიდან იესე ლევანის ძე, ხოლო 80-იანიდან — კონსტანტინე ალექსანდრეს ძე) შაჰის კარზე ჰყოლოდა. ამას გარდა, კახეთის მეფე მოვალე იყო შაჰის მოწოდებაზე სალაშქროდ გამოსულიყო თავისი ჯარით, როცა ერანის ხელმწიფეს ომი კახეთის საზღვრად მოუხდებოდა. შაჰი თავის მხრით მოვალე იყო კახეთი უცხო დამპყრობელთაგან დაეცვა. (Веселовский, Памятники... 110; Белокуров, Сношения..., 574). ჩვენი მსჯელობა ერან-კახეთის პოლიტიკური დამოკიდებულების უფლებრივი მხარის შესახებ ემყარება: 1. ფაქტებს, XVI საუკუნის სიგრძეზე რომ ჰქონდა ადგილი ერან-კახეთის ურთიერთობაში; 2. თანამედროვე მწერალთა მსჯელობას; 3. რუს ელჩების და მოსკოვის სამეფო კარის თვალსაზრისს, რაც, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, კახეთის სამეფო კარიდან მიწოდებული თვალსაზრისი შეიძლება იყოს და 4. სხვა ქვეყნების ანალოგიურ ურთიერთობას შუასაუკუნეებში).

XVI საუკუნის 80-ანი წლებიდან ერან-კახეთის ურთიერთობაში განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა. ოსმალეთმა ერანი დაამარცხა და ის ამიერ-კავკასიიდან თითქმის განდევნა. მაგრამ, თუ ერანს ძალა არ აღმოაჩნდა კახეთის დასაცავად, კახეთის მეფეს კიდევ უფრო ნაკლები ხალისი აღმოაჩნდა ერანთან ერთად ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლისა (ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, რომ ალექსანდრე კახთა მეფის ასეთი საქციელი შეიძლება რამდენადმე შაჰის კართან მისი პირადი უკმაყოფილებითაც აიხსნებოდეს. ვგულისხმობთ მამისეული ტახტისათვის ალექსანდრეს ხანგრძლივ ბრძოლას თავის ძმებთან და ერანის შაჰის პოზიციას ამ საქმეში). ერანი ბრძოლას განაგრძობდა და კახეთის მეფეც მოვალე იყო (შაჰის თვალსაზრისით) ოსმალეთს არ მორიგებოდა. მაგრამ სულ სხვაგვარად მოიქცა კახეთის მეფე. ის უმალ გაეწყო ოსმალებს და ახლად შექმნილი ვითარების გამოყენება საქართველოს (=კახეთის) პოლიტიკურად გასაძლიერებლად სცადა. ალექსანდრე მეფემ ერთგულება და პოლიტიკური კავშირი შესთავაზა ოსმალეთს, თუ კი ხონთქარი მას ქართლს (თბილისით) უწყალობებდა. ასეთი შეთანხმება არ მოხდა და ალექსანდრე მეფისათვის ჩქარა სავსებით აშკარა შეიქმნა ოსმალეთის დამპყრობლური ზრახვები საქართველოს (და კერძოდ კახეთის) მიმართ. მაგრამ ხერხიანი გეგმაშეწონილი პოლიტიკით ალექსანდრე მეფემ იმას მაინც მიაღწია, რომ ოსმალო დამპყრობელი კახეთის შიგნით არ შემოუშვა. ხონთქარი კახეთიდან ყოველწლიურ მცირე ხარკს დაკმაყოფილდა. კახეთ-ოსმალეთს შორის ამის შემდეგ, მართალია, „პატრონ-ყმური სიყვარული“ არ ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვარდნილა, მაგრამ არც მშვიდობა დარღვეულა. სპარსული თვალსაზრისით ალექსანდრე მეფის საქციელი ორგულობა იყო. შაჰი ამის შემდეგაც კახეთს ძველებურად თავის მოხარკე ქვეყნადა სთვლიდა (და მრავალი წლის გადაუხდელ ხარკს ერთად ახდევინებდა მას, როცა კი საამისო დროს იხელთებდა). კახური თვალსაზრისით ორივე, ოსმალეთიცა და ერანიც, მოძალადენი იყვნენ და გაჩსხვავება მათ შორის მხოლოდ ის იყო, რომ ერანი თავის „უფლებას" ნახევარ საუკუნოვან ტრადიციაზე ამყარებდა, ოსმალეთი კი ეხლა ცდილობდა ასეთი „უფლება" მოეპოვებინა.

კახეთ-რუსეთის ხელშეკრულება (მფარველობა-ხელდებულობის აქტი) ფორმალურად ერანის უფლებების დარღვევა იყო. მოსკოვში ერანის ამ თვალსაზრისს არ იზიარებდნენ და კახეთს ერანის მიმართ თავისუფალ ქვეყნად სცნობდნენ, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ შაჰი თავის ყოფილ მოხარკეზე აგრე ადვილად ხელის აღებას არ აპირებდა (Веселовский, Памятники..., 410; Белокуров, Сношения..., 573 — 574). აღნიშნული ხელშეკრულებით მფარველი და ხელდებული ერანის შაჰს „მომხდარი ფაქტის წინაშე" აყენებდნენ. მოსკოვის დიპლომატები სარგებლობდნენ იმ გარემოებით, რომ ოზბეგებისა და ოსმალებისაგან შევიწროებული შაჰი დახმარებას სთხოვდა რუსეთის მეფეს და პოლიტიკური ექსპანსია, მოსკოვი რომ კავკასიაში ეწეოდა, ერანისთვის მეგობრობა-დახმარების აქტად მოხერხებულად გამოჰქონდათ. 1589 წელს რუსი ელჩი ვასილჩიკოვი შაჰ-აბასის კარის კაცს ფარჰად-ხანს აცნობებდა, რომ მოსკოვის მეფის ხელდებული კახეთის მეფე და ჩერქეზთ მთავრები, — ყველანი (თერგის ციხის სარდლების ხელმძღვანელობით) ყირიმის ხანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ერთიანდებიანო (Веселовский, Памятники... 93.). კახეთის მეფის შესვლა რუს-ხელმწიფის მფარველობის ქვეშ ჯერ კიდევ 1588 წელს ოფიციალურად აცნობეს მოსკოვში ხუდაბანდა-შაჰის ელჩს ანდი-ბეის (Белокуров, Сношения..., 563).

შაჰ-აბასი, გასაგებია, კახეთის საკითხში ერანის უფლებების შელახვაზე „მეგობართან" სიტყვის ჩამოგდებას ეხლა მოერიდებოდა. და მოსკოვიც არ იყო უკმაყოფილო შაჰის ასეთი პოზიციით (თუმცა რუსეთ-კახეთის აქტის იურიდიულად ცნობას ერანის შაჰის მხრით მოსკოვი ამის შემდეგაც დაჟინებით ცდილობდა, მაგრამ ასეთ ცნობას ასეთივე დაჟინებით გაურბოდა შაჰ-აბასი...).

ალექსანდრე მეფეც მოხერხებულად დიპლომატობდა. კახეთის მეფე სწორად აფასებდა რუსეთ-ერანის პოლიტიკურ მეგობრობას და თავის საკუთარ პოლიტიკასაც ამ ვითარებას უფარდებდა. მოსკოვის მეფისადმი ხელდებულობის ფიცის მიღების შემდეგ ალექსანდრე მეფემ ერანის ტახტზე ახლად ასულ შაჰ-აბასს ელჩი ჰუსეინ ბეგი (Усеин бек) აახლა, გახელმწიფება მიულოცა, მოსკოვის მეფის საფარველში კახეთის შესვლა აუწყა და მასაც მფარველობას ეაჯა (Веселовский, Памятники..., 65..).

ოსტატური სვლა იყო. ერანს საპატრონოდ კახეთზე ხელი არ მიუწვდებოდა. მათ შორის ოსმალო ჩამდგარიყო. ალექსანდრე მეფემ კარგად იცოდა, რომ ამის მიუხედავად ერანი კახეთზე ხელის აღებას არ აპირებდა. მაგრამ შაჰის ეს პრეტენზია სულ უფრო და უფრო უწყინარი ხდებოდა: საშუალებები მისი რეალიზაციისათვის, რაც დრო გადიოდა, შაჰს სულ უფრო და უფრო უმცირდებოდა.

ასეთ პირობებში შაჰის ეს პრეტენზია შეიძლება კახეთისათვის სასარგებლოც აღ-
მოჩენილიყო: კახეთი ოსმალეთის ანაბარად მიტოვებული ქვეყანა კი არ იყო,
არამედ ძლიერი მოკავშირეების (ერან-რუსეთის) ორ მხრივ ხელდებული სახელ-
მწიფო. ამიტომაც ალექსანდრე მეფე არ ჩქარობდა ერანის პრეტენზიების უარ-
ყოფას იმისდა მიუხედავად, რომ ეს „მფარველი" თავის უმთავრეს მოვალეობას,
ოსმალეთისაგან კახეთის დაცვას, დიდი ხანია ვეღარ ასრულებდა. მეორე მხრით,
შაჰის ამ რომანტიკული პრეტენზიების არ უარყოფა ალექსანდრე მეფეს ხელს
სრულიადაც არ უშლიდა თავისი ქვეყნის გადარჩენის მიზნით ოსმალეთისათვის
„ერთგულება" ეჩვენებინა.

მით უფრო არ იყო სასურველი ერანელი „მფარველის" საქვეყნოდ „დაწუნე-
ბა" მას შემდეგ, რაც რუსეთსა და ერანს შორის ოსმალეთის წინააღმდეგ მიმარ-
თული „მეგობრობა" გაიჩარხა და მოსკოვის მეფემ კახეთს ოფიციალურად მფარ-
ველობის ხელი დასდო. ამიერიდან კახეთის მეფის ცდაც იქით იყო მიმართული,
რათა ორი დიდი სახელმწიფოს ეს პოლიტიკური მეგობრობა თავისი ქვეყნის
სასარგებლოდ მაქსიმალურად გამოეყენებინა. ამისთვის კი საჭირო იყო, რათა
ალექსანდრე მეფეს კახეთისათვის გარკვეული ადგილი მოეძებნა ერან-რუსეთის
პოლიტიკურ მეგობრობაში... კახეთის მეფეც ამ მიზნით ოსტატურად ცდილობდა
ერან-მოსკოვის პოლიტიკური ურთიერთობის მოსაშუ-
ლედ გამოსულიყო, რათა კახეთს ორივე მეგობრის მფარველობით თანაბრად
ესარგებლა. კიდევ მეტი: კახეთის მეფე ოსმალეთის წინააღმდეგ ერან-მოსკოვის
სამხედრო ღონისძიებათა დაჩქარების ინიციატივის ხელში აღებასაც კი შეეცადა
(1589 წელს კახეთის მეფე ერთი მხრით მოსკოვის მეფეს შამხლის წინააღმდეგ
ლაშქრობას აჩქარებდა, მეორე მხრით ის დიპლომატიურ მოციქულს გზავნიდა
ერანს, შაჰს ოსმალთა განზრახვას აცნობებდა და კახეთის გადასარჩენად „მფარ-
ველს" დაუყოვნებლივ სალაშქროდ მოუწოდებდა. დიპლომატი მეფე აქვე აცნო-
ბებდა შაჰს რუს-ქართველთა მომავალი შეერთებული ლაშქრობის შესახებ ერანის
ჯართან ერთად).

ალექსანდრე მეფემ, უეჭველია, კარგად იცოდა, რომ საბოლოოდ ერანი და
რუსეთი კახელი ხელდებულის თანაბრად მფარველი ვერ იქნებოდნენ, რომ მათი
პოლიტიკური ინტერესების შეჯახების უბანი ამიერ-კავკასიაში კახეთიც იყო,
მაგრამ ჯერჯერობით, სანამ ორივე პარტნიორისათვის ოსმალთა წინააღმდეგ
ბრძოლა პირველ რიგში იდგა, კახეთს გულმშვიდად შეეძლო ორივე „მფარველის"
ოფიციალური კეთილგანწყობილებით თანაბრად ესარგებლა. კიდევ მეტი: ერან-
რუსეთის ფარული ქიშპისას (ამ ქიშპის ერთ-ერთი მთავარი საგანი სწორედ კახე-
თი იყო) თითოეული მათგანისათვის კახელი ხელდებულის ერთგულება-მორჩილე-
ბა ჩვეულებრივზე ძვირად უნდა დაფასებულიყო. კახეთის მეფე, უეჭველია
ასეთი ხელსაყრელი მდგომარეობის სათანადოდ გამოყენებას არ დააყოვნებდა.

რა თქმა უნდა, ეს ასე იყო მანამ, სანამ კავკასიის საერთაშორისო ასპარეზზე
ამ დროისთვის შექმნილი ძალთა განწყობილება უცვლელი რჩებოდა.

შესაფერი მოქნილობით დახვდა შაჰ-აბასი მოსკოვისა და კახეთის მეფეების
ამ დიპლომატიურ შეტევას. კახეთის მეფეს შაჰმა უქო საქციელი, რომ მან, რო-
გორც ეს ერთგულ ყმას შეეფერებოდა, ხელმწიფე-პატრონს (ე. ი. შაჰს) თავისი
პოლიტიკური ნაბიჯის შესახებ აცნობა, ხოლო თვით აქტის გამო შაჰმა დიპლო-
მატიური სიამოვნება გამოსთქვა, რომ „მეგობარმა" ხელმწიფემ (ე. ი. რუსეთის

მეფემ) ალექსანდრე მეფისა და კახეთის (ერანის მოხარკის) დაცვა-მფარველობა იკისრა. ამავე დროს შაჰი კახეთის მეფეს, თავის მხრით, ოსმალთა და სხვა მტერთაგან დაცვას შეჰპირდა (Веселовский. Памятники..., 65). თუ ნამდვილად რა აზრისა იყო შაჰ-აბასი რუსეთ-კახეთის მფარველობა-ხელდებულობაზე, ეს შემდეგ წლებში თანდათან ნათელი გახდა, თუმცა შემდეგაც შაჰი ისე მოხერხებულად მოქმედებდა, რომ მისი ნამდვილი ზრახვები კახეთის მიმართ ბევრმა ერთობ გვიან გაიგო. ზოგს კიდევ ბოლომდისაც გაუგებარი დარჩა. ასე რომ, კახეთის საერთაშორისო მდგომარეობის საბოლოო გადაჭრა, როგორც რუსეთმა და კახეთმა, აგრეთვე შაჰ-აბასმა მომავალ დროს მიანდვეს. ამჟამად აღნიშნული საკითხის კარდინალურად დასმას ორივე მხარე თანაბრად მოერიდა და ეს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამიერ-კავკასიაში ამ დროს ამათგან დამოუკიდებელი და მათი მოწინააღმდეგე მესამე ძალა (ოსმალეთი) იმდენად დიდი ფაქტორი იყო, რომ ორი ხელმწიფის ხელდებული ალექსანდრე მეფე, „Будучи промеж таких великих государей во обереганье" (Веселовский, Памятники..., 65), იძულებული გახდა ომის მუქარის ქვეშ ხონთქრისათვის მორჩილება გამოეცხადებინა და მისთვის ყოველწლიური ხარკიც ეძლია (Веселовский. Памятники... 111).

პატრონობა-მფარველობის განხორციელების გზით მოსკოვის ხელმწიფე თერგზე ციხეს[32] ამთავითვე ააგებდა და თერგ-კახეთის გზას დაიჭერდა.

თერგის ციხის გარნიზონის პურით მომარაგების საკითხი დადგა. მფარველის აზრით, ეს საქმე ალექსანდრეს უნდა ეკისრა: თერგის მეციხოვნეები კახეთის დაცვას ემსახურებოდნენ. ალექსანდრე მეფეც არ იდგა უარზე, მაგრამ სიშორის, უგზოობისა და ამოდენა მარაგის უქონლობის გამო (15000 ჩეტვერტი წლიურად) ამ მოვალეობის შესრულებას არ კისრულობდა. მაშინ მოსკოვის ხელმწიფემ თერგის მეციხოვნეების ასტრახანიდან მომარაგება იკისრა და სამაგიეროდ კახთა მეფეს **„ხაზინით დახმარება"** მოსთხოვა: ორმოცდაათი ყიზილბაშური ოქრონემსული ფარჩა და ათი ოქროქსოვილი ხალი ყოველწლიურ „მოსაკითხად" უნდა მიერთმია „ხელდებულს" „მფარველისათვის". კახთა მეფე ამის თანახმა იყო,

---

32 კახეთს ყოფნისას ბირკინმა და პივოვმა შეიტყვეს, რომ შამხალი ოსმალეთის სულტანს თერგზე ციხის ჩადგმას აჩქარებდა. შეიძლება ეს ცნობა მართალიც იყო, მაგრამ აქ ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ ოსმალეთის ანტიმოსკოური განზრახვების შესახებ რუს ელჩებს ალექსანდრე მეფის კარზე ატყობინებდნენ. ისიც შესაძლებელია (სხვა ანალოგიური ფაქტების მიხედვით), რომ მოსკოვზე დიპლომატიური ზემოქმედების მიზნით ეს ცნობა ალექსანდრე მეფის კარზე შეეთხზათ და ეს დამოუკიდებლად **იმის**გან, რომ მოსკოვის პოლიტიკოსები ამ საქმეში ზემოქმედებას არ საჭიროებდნენ. რუსმა ელჩებმა განაგონი სასწრაფოდ აცნობეს მოსკოვის მეფეს (Белокуров, Сношения..., 563).

მხოლოდ ჩიოდა, რომ ასეთი საქონელი კახეთში არ მზადდება, ის ერანიდან შემოჰქონდათ; ერან-ოსმალეთის ომის გამო კი სავაჭრო გზა ერანისაკენ დიდი ხანია შეკრულია; ასე რომ ასეთი გადაკვეთილი „მოსაკითხის“ ძლევა მას გაუჭირდება. კახეთის მეფე, ამიტომ, ითხოვდა, რომ „მოსაკითხად“ კახური საქონელი ყოფილიყო დასახელებული: **აბრეშუმი** და **ბედაურები.**

მოსკოვის მეფე ჰპირდებოდა ალექსანდრეს, რომ კახეთის დასაცავად თერგიდან მეთოფეთა ჯარს გამოუგზავნიდა. კახთა მეფეს ამ ჯარის გადმოსაყვანად უნდა ცხენ-უნაგირი მიეწოდებინა, ხოლო კახეთში მოსული ეს ლაშქარი უნდა საკუთარი ხარჯით შეენახა. ალექსანდრე ამ პირობის თანახმა იყო, მაგრამ მისი შესრულება მხოლოდ მას შემდეგ მიაჩნდა შესაძლებლად, როცა თერგ-კახეთის გზა რუსთ-ხელმწიფის ხელში იქნებოდა[33].

1589 წელს ალექსანდრე მეფემ მოსკოვის მეფის „წყალობის სიგელი“ მიიღო, სადაც დადასტურებული იყო ამ ახალი მფარველ-ხელდებულის უფლება-მოვალეობანი[34].

ალექსანდრე მეფე რეალისტი პოლიტიკოსი იყო. მას კარგად ესმოდა, რომ, სანამ თერგსა და კახეთს შორის ოსმალეთის მომხრე საშამხლო იყო, რუსეთ-კახეთის ამ საკავშირო აქტს დიდი ფასი არ ჰქონდა, რომ მოსკოვის მეფე კახეთს „ყველა მტრისაგან“ ვერ დაიფარავდა. ასეთ პირობებში რუს მეთოფეთა მცირე რაზმების ჩამოყვანა კახეთში (დიდ ლაშქარს, რომც მოეცათ, ვერ მიიღებდა კახეთის მეფე...) საქმეს ვერ უშველიდა; პირიქით შეიძლება საზარალოც აღმოჩენილიყო. რეალური დახმარების ერთადერთი გზა საშამხლოს დაპყრობა და თერგ-კახეთის სავაჭრო სამიმოსვლო გზის გახსნა-გაწმენდა იყო. ამიტომაც იყო, რომ ალექსანდრე მეფე, უპირველეს ყოვლისა ამ გზის გახსნას მოითხოვდა „მფარველისაგან“[35]

საშამხლოს დაპყრობით მოსკოვის მეფე არა მარტო ლეკების თავდასხმებისაგან იხსნიდა კახეთს. თერგ-კახეთის გზაზე საშამხლო-დაღისტანში ციხეების აგებით კახეთს მფარველისაგან „ზურგი მობმული“ ექნებოდა, ხოლო ოსმალების საბატონო იმიერდა ამიერ-კავკასიაში გაწყვეტილი აღმოჩნდებოდა კახეთ-დაღისტან-

---

33 Белокуров. Сношения..., 13—41.

34 ამ წყალობის სიგლის რუსული ტექსტი და მისი ქართულად გადმოცემა იხილე შრომის ბოლოს, დანართი № 2.

35 Белокуров. Сношения..., 38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერგის ზოლით. ამის შემდეგ მოსკოვის სამეფო ამიერკავკასიაში ერან-ოსმალეთის მართლაც ღირსეულ მოქიშპედ გამოვიდოდა.

1588 წელს მოსკოვის მეფემ ციხეები მართლაც ააგებინა თერგზე და აქ საკმაო მეციხოვნე ჯარი განაწესა. ამავე დროს ასტრახანიდან ზღვით და ხმელეთით უნდა წამოსულიყო ლაშქარი, რომ შამხალი ნებით თუ ძალით დაემორჩილებინა და კახეთის გზა გაეხსნა.

თერგის ციხე მოსკოვის საგარეო პოლიტიკის ერთი ყველაზე უფრო შესანიშნავი აქტი იყო ახლო-აღმოსავლეთში. სამხედრო დანიშნულების გვერდით თერგის ციხეს უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მოსკოვის მთავრობას ბრწყინვალედ გაეთვალისწინებინა თერგის ციხის ეს ორივე მნიშვნელობა და ახლო-აღმოსავლეთის რთულ პოლიტიკურ ურთიერთობაში თავისი ამ ნახელავით დიდი ოსტატობით სარგებლობდა.

თერგის ციხე კავკასიაში მოსკოვის პოლიტიკური ექსპანსიის დასაყრდენი იყო. ეს კარგად ესმოდა მოსკოვის მტერსაც და მოყვარესაც, მეტოქესაც და მოკავშირესაც. მაგრამ თითოეული მათგანი მოსკოვის მეფის ამ აქციას საკუთარი ინტერესების თვალსაზრისით განიხილავდა და ხსენებული მოვლენისადმი თავის დამოკიდებულებას ამისდა მიხედვით განსაზღვრავდა.

თერგის ციხე (სუნჯა-თერგის ხერთვისთან) ჯერ კიდევ 1567 წელს ჩადგა ივანე IV (Соловьев, op. cit. 217—218; Белокуров, Сношения..., შესავალი, XVIII), მაგრამ მოსკოვის ეს პირველი პოლიტიკური სვლა შორეულ კავკასიაში ნაადრევი აღმოჩნდა. ყირიმი და ოსმალეთი გადაჭრით წინ აღუდგნენ ამ აქტს. ივანე მეფის ფიცი, რომ ამ ციხის მეზობელ მთავრებისაგან შევიწროებული ჩერქეზ ბატონი თემურყვას, მეფის სიმამრის, დაცვა აქვს მიზნად, არავის სჯეროდა. თანაც ოსმალეთი, ვითომცდა სჯულის ერთობის საფუძველზე, მთელ იმიერკავკასიას თავისად აცხადებდა (Белокуров. Сношения..., შესავალი, LXXIV). ამავე დროს მოსკოვსა და ყირიმ-ოსმალეთს შორის ყაზან, ასტრახანის საკითხის გამო უთანხმოება არ დასრულებულიყო (ყირიმ-ოსმალეთი ამ ყოფილს თათრულ სამეფოებს, მოსკოვმა რომ დაიპყრო XVI საუკუნის 60-იან წლებში, თავისთვის მოითხოვდნენ). თერგის ციხის გარშემო ატეხილ მეტოქეობაში მოსკოვი განმარტოებული აღმოჩნდა (მცირე ვინმე მომხრე ჩერქეზ-ბატონი ძალთა განწყობილებას საგრძნობლად ვერ სცვლიდა). ერან-ოსმალეთს შორის ჯერ კიდევ გრძელდებოდა ზავი და შაჰ-თამაზი მოსკოვის ცდებს, კავკასიაში ექსპანსიისაკენ მიმართულს, უეჭველია, სიამოვნების გრძნობით არ შეხედავდა. მარტო ის რად ღირდა, რომ მოსკოვის მეფემ ერანის მოხარკე ქრისტიანულ კახეთზე ხელის დადებაც კი სცადა. ვახუშტი სარწმუნო ჩანს, როცა ამტკიცებს, რომ ლევან მეფის მიერ კახეთიდან დათხოვა ყაზახ რუსთა ჯარისა, იოანე IV რომ ათხოვა მას მეციხოვნეებად, შედეგი იყო შაჰ-თამაზის მტრული პოზიციისა ამ საქმეში (იხ. საქართველოს ცხოვრება, 1469—1800, ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, 163). და მოსკოვმაც დასთმო რამდენადმე ნაადრევად წამოწყებული და ამდენადვე პოლიტიკურად მოუმზადებელი საქმე. 1571 წელს იოანე მეფემ თერგზე ციხე მოშალა (Соловьев, op. cit., 223; Белокуров, Сношения..., შესავალი, LXXV).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად შეცვლილი იყო პოლიტიკური ვითარება XVI საუკუნის 90-იან წლებში. ერან-ოსმალეთს შორის დიდი ომი წარმოებდა. მართალია, ოსმალეთი უტევდა და მოწინააღმდეგე მას საკმაოდაც დაეძალა, მაგრამ ერანი ფარ-ხმალს არა ჰყრიდა და თავს მედგრად იცავდა. შევიწროებული შაჰი მოკავშირეს ეძებდა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მოსკოვის მიმხრობას ცდილობდა. ოსმალეთს არც დასავლეთის მეზობლებთან ჰქონდა მტკიცე ზავი და ერანთან ომის დროს, ბუნებრივია, მოსკოვთან კონფლიქტს უნდა მორიდებოდა. იმიერკავკასიის მთავრები ურთიერთშორის ძველებურად კინკლაობდნენ. მოქიშპე ფეოდალთა დაჯგუფებანი დახმარების მიღებას ზოგი ყირიმ-ოსმალეთში ცდილობდა, ზოგი კიდევ მოსკოვისაკენ იცქირებოდა. ამიერკავკასია ოსმალეთის ხელში გადადიოდა. ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროები დამპყრობელის წინააღმდეგ ბრძოლაში დამხმარე-მოკავშირეს მოწყურებული ეძებდნენ.

შექმნილი ვითარება მოსკოვმა სავსებით შეისწავლა, ხელსაყრელი პირობები სწორად შეაფასა და შესაფერისი ნაბიჯიც გადადგა. 1588 წელს მოსკოვის მეფის, თეოდორე ივანეს-ძის, ბრძანებით თერგზე (ეხლა უკვე ამ მდინარის შესართავში) ციხე კვლავ ჩადგეს.

რუსეთის დიპლომატიამ საქმე ისე ოსტატურად გაჩარხა, რომ თერგზე ციხის აგებას და შიგ მეციხოვნეთა დიდი ჯარის მოთავსებას მოსკოვის მეფეს ერთსა და იმავე დროს სთხოვდნენ მთელი რიგი ჩერქეზთა მთავრები და კახეთის მეფე ალექსანდრე და, თითქო თვით შამხალიც კი (Белокуров. Сношения.. 49, 87, 117 163). ამავე დროს ხელმწიფის ეს ხელდებულნი თავს იდებდნენ შესწეოდნენ მფარველს თერგის ციხის გარნიზონის შენახვის ხარჯში (იქვე, 20) და აგრეთვე, იარაღით ხელში გამოსულიყვნენ რუსეთის ექსპანსიის ამ დასაყრდენის დასაცავად, თუ მტერი-ვინმე ამ ციხის წინააღმდეგ ომით წამოვიდოდა (იქვე, 22). ამის შემდეგ რუსი დიპლომატები დაჟინებით არწმუნებდნენ მოსკოვის მეფის ხელდებულებს იმიერსა თუ ამიერკავკასიაში, რომ თერგის ციხე მხოლოდ მათი თხოვნის შედეგად და მათ დასაცავად იქნა აგებული.

როგორც აღვნიშნეთ, მოსკოვს სავსებით სწორად ჰქონდა შეფასებული ამ ციხის მნიშვნელობაც და დანიშნულებაც. იმიერკავკასიაში, რუსეთ-ოსმალეთის მეტოქეობისას თერგის ციხის დანიშნულება იყო „чтоб всем Черкасам мимо всех смотрити на государя и быти от государя неотступним“ (Белокуров, Сношения..., 18). ამავე დროს თერგის ციხე ყირიმ-დარუბანდის გზაზე დიდი სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტი იყო. შორს, შარვანში შეჭრილ ოსმალთა ლაშქარს ამ გზით მისდიოდა დახმარება ყირიმიდან. მართალია, მოსკოვის დიპლომატები საკითხის ნაადრევად გამწვავებას ერიდებოდნენ და შეშფოთებულ ხონთქარს დაჟინებით არწმუნებდნენ, რომ ყირიმ-დარუბანდის გზა ძველებურად თავისუფალია ოსმალო ჯარებისა, მოხელეებისა თუ ვაჭრებისათვის, მაგრამ რომ ეს ასე არ იყო (რომ ყირიმ-დარუბანდის გზის თავისუფლება ამიერიდან მოსკოვის კეთილგუნებაზე იყო დამოკიდებული), ოსმალეთშიაც ისევე კარგად ესმოდათ, როგორც მოსკოვში. მიუხედავად ამისა, ოსმალეთს არ აღმოაჩნდა მეტოქეზე რეალური ზემოქმედების საშუალება. ომის მუქარა

(1593 წ.) გამოცდილმა მოსკოვის დიპლომატიამ, სავსებით საფუძვლიანად, არასერიოზულ გამოსვლად ჩასთვალა და მას სწორედ იმდენი ანგარიში გაუწია, რამდენის ღირსიც ეს პოლიტიკური შანტაჟი იყო (იქვე, შესავალი, XCIX—C). ბოლოს და ბოლოს ოსმალეთი იძულებული იყო შექმნილ ვითარებას შერიგებოდა.

მაგრამ თერგის ციხის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურებოდა. ეხლა, ერან-ოსმალეთის ომის დროს, მოსკოვის მოახლოებას დარუბანდის კარებთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. შევიწროებული ერანი მოკავშირეს ეძებდა (ხუდაბანდა-შაჰი მზად იყო მოსკოვისათვის დიდმნიშვნელოვანი დარუბანდი და ბაქოც კი დაეთმო, ოღონდ რუსეთი ოსმალეთთან ომში მის მოკავშირედ გამოსულიყო. ასეთ პირობებში ადვილი საქმე იყო, მოსკოვის დიპლომატები წარმატებით ცდილიყვნენ და თერგზე ციხის ჩადგმა შაჰისადმი მეგობრობის აქტად გაესაღებინათ. ერანში ეჭვნარევი ყურადღებით, მაგრამ მაინც სიამოვნებით ისმენდნენ რუსი ელჩის ვასილჩიკოვის ან სხვა რუსი დიპლომატის მტკიცებას, რომ მოსკოვის მეფემ ხუდაბანდა-შაჰის სიყვარულისათვის ჩადგა თერგზე ციხე, რომლის დანიშნულებაა გზა შეუკრას ყირიმ-ოსმალთა ჯარს, თუ უკანასკნელი იმიერკავკასიაზე გამოვლით შარვანისაკენ წამოვიდოდა (Веселовский, Памятники.., 1, 54, 51, 97, 139). მოსკოვის დიპლომატებმა არც ეს იკმარეს და თერგის ციხე მსოფლიო პოლიტიკის სარბიელზე ოსტატურად გაიტანეს. ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მოსკოვი არწმუნებდა, და ამის წინააღმდეგ არც არაფერი ითქმოდა, რომ თერგის ციხე რუსეთმა ქრისტიანობის ამ საერთო მტერთან (=ოსმალეთთან) საბრძოლველად ააგო და, მაშასადამე, ამით ანტიოსმალურ კოალიციას, რომელიც უნდა შეიქმნას, მან უკვე რეალური სამსახური გაუწია.

* *

რუსეთის ჩარევამ იმიერ და ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალთა ახალი გადაჯგუფება გამოიწვია. ოსმალეთ-ყირიმ-შამხალს რუსეთ-კახეთი დაუპირისპირდა. იმიერკავკასიის მრავალრიცხოვანი ბატონები ზოგი რუსეთის მხარეზე დადგა, ზოგი ყირიმ-ოსმალეთის ერთგული დარჩა. ერანი ცალკე იდგა. ოსმალეთთან მეტოქეობაში ის რუსეთს უჭერდა მხარს, მაგრამ იმიერ და ამიერკავკასიის საქმეებში შაჰი დამოუკიდებელ მესამე ძალად გამოდიოდა. ერანი აქამდის ფლობდა განჯა-ყარაბაღს და ქართლის მეფეც ჯერ კიდევ შაჰის აშკარა მოკავშირედ რჩებოდა.

ვიდრე მოსკოვ-კახეთის მფარველობა-ხელდებულება საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა, ერანში შაჰ-აბასი გახელმწიფებულიყო. 1587 წელს 15 ოქტომბერს შაჰის აგენტი, ხოჯა მაჰმუდი, კახეთს მოსულიყო და აქაურ პოლიტიკურ ამბებს ზვერავდა. რუს ელჩებთან საუბარში შაჰის აგენტმა მნიშვნელოვანი ცნობები გამოარკვია: მოსკოვის მეფე მზად იყო ანტიოსმალურ პოლიტიკას გადაჭრით დასდგომოდა; ოსმალეთის საწინააღმდეგოდ ის შაჰთან შეთანხმება-კავშირზე ფიქრო-

ბდა. კიდევ მეტი: ირკვეოდა, თითქო, რომ მოსკოვის საშუალებით შეიძლებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ ქრისტიანულ სახელმწიფოთა მთელი კოალიცია შექმნილიყო (Белокуров, Сношения..., 42).

ხოჯა მაჰმუდი სწრაფად ეახლა თავის ხელმწიფეს (იქვე, 44) და რუსი ელჩები უკან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ, რომ შაჰ-აბასის ელჩი, ჯიმშიტ, ალექსანდრე კახთა მეფის კარზე გაჩნდა (1588 წ. თებერვალი). ჯიმშიტმა ბირკინი და პივოვი ინახულა. შაჰი თავის ელჩის პირით სიამოვნებას გამოსთქვამდა რუსი ელჩების მიერ მიწოდებული ცნობების გამო, მზად იყო ხელმწიფესთან დიდი ელჩობის გასაგზავნად, როგორც კი ხუდაბანდა-შაჰის მიერ მოსკოვის მეფესთან გაგზავნილი ელჩი, ანდი-ბეკი, უკან დაბრუნდებოდა (იქვე, 44). ასე რომ შაჰ-აბასი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ყველაფერს, რაც კი მის გარშემო პოლიტიკურ სამყაროში ხდებოდა. რუსეთ-კახეთის შეთანხმების შესახებაც, უეჭველია, დაუყოვნებლივ აცნობებდა შაჰს მისი პოლიტიკური მზვერავი. ჯიმშიტ ელჩის ალექსანდრე მეფესთან სწრაფად მოვლინების ერთ-ერთი მიზეზი ეს გარემოებაც უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, კახეთიდან შაჰს უსიამოვნო და სასიამოვნო ცნობა ორივე ერთად მიუვიდა. მის წინაშე ამოცანა იდგა: შესაძლებელი მოკავშირე კახეთს ართმევდა მას, მტერი კი — ნახევარ ერანს. ასეთ პირობებში კახეთის მოსაჩვენარი დათმობა მოსკოვთან კავშირის მოპოვების ფასად, რა თქმა უნდა, გონივრული იყო.

რუსეთის მიერ თერგზე ციხეების აგებამ ოსმალეთს მოსვენება დაუკარგა. იმიერკავკასია მას თავის განუყოფელ საბატონოდ ეგულებოდა. გარდა ამისა, შარვან-დარუბანდის პროვინციას ოსმალეთი ლაშქარით თუ სხვა მოწყობილობით ყირიმ-დარუბანდის გზით ამარაგებდა. ამ გზაზე ყაზახებისა თუ სხვა თავდამსხმელთაგან მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად ოსმალეთს გადაწყვეტილი ჰქონდა თერგზე რამდენიმე ციხე აეგო და შიგ იანიჩარები ჩაეყენებინა. რუსეთმა დაასწრო და ყირიმ-საშამხლოს გზის დიდი ნაწილი თავის კონტროლის ქვეშ მოაქცია. დარუბანდ-შარვანის დიდ შემოსავლიანი პროვინცია საფრთხეში იყო. მით უფრო, რომ რუსეთის მფარველობით იმედმოცემული კახეთის მეფე ურჩობას ჰბედავდა და ოსმალეთს შირვანისაკენ კახეთზე მიმავალ გზას უჭერდა (ამ დროს განჯა-ყარაბაღი ჯერ კიდევ ყიზილბაშებს ეჭირათ და ოსმალეთს შარვანს მისასვლელი მხოლოდ ორი გზა ჰქონდა: ყირიმიდან საშამხლოზე. და არზრუმიდან სამცხე-ქართლ-კახეთზე). ოსმალო მოხელის მხრით ომის მუქარაზე (1588 წელი, 25 აპრილი) კახეთის მეფემ ფრიად უსიამოვნო სინამდვილეზე მიუთითა ხონთქრის ჩაუშს: რომ ასტრახანი და თერგი უფრო შორს არაა, ვიდრე სტამბოლი...[36] მაგ-

---

[36] Белокуров. Сношения..., 44—45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ სწორედ იმავე 1588 წელს ოსმალეთმა ამიერკავკასიაში ახალს წარმატებას მიაღწია. ფარჰად ფაშამ განჯა დაიპყრო და ამით ერანს ამიერკავკასიაში სულმთლად ფეხი ამოუკვეთა. შაჰ-აბასს სხვა არაფერი დარჩენოდა და მანაც დიდი მსხვერპლის გაღებით ზავი გამოსთხოვა ხონთქარს (1590 წ.).

ასეთ მეტოქესთან საქმის ომამდის მიყვანა რუსეთს ამხელად სასურველად არ მიაჩნდა. ის ჯერჯერობით მომავალი ომის პოლიტიკურ სამზადისში იყო. ამიტომ იყო, რომ კახეთის მეფის ელჩებს მოსკოვში ჯერ კიდევ 1587 წელს ურჩიეს, რათა რუსეთის მეფის ხელდებული ალექსანდრე მეფე ოსმალებს ნუ განარისხებს, არამედ დაყვავებით ატყუოს მოძალადე, სანამ მოსკოვის მეფე მოლაპარაკებისა თუ სხვა გზით ოსმალთა მძლავრებისაგან კახეთს არ დაიხსნის[37]. ალექსანდრე მეფემ ჩქარა დაინახა, რომ ჯერჯერობით ასტრახან-თერგი „უფრო შორს" იყო კახეთიდან, ვიდრე ოსმალეთი და ისიც ძალაუნებურად გაეწყო შექმნილ ვითარებას. მოსკოვის ხელმწიფის ხელდებული კახეთის მეფე ოსმალეთისათვის ხარკის ძლევას განაგრძობდა (წლიურად 30 საპალნე აბრეშუმი) და ლოიალობის დამამტკიცებელ სხვა საქმეებსაც აჩვენებდა მოძალადეს[38].

თავის მხრით შამხალიც თადარიგს იჭერდა. რუსეთს ის მორჩილებას ჰპირდებოდა. ამავე დროს ოსმალეთს კახეთის დასაპყრობად იწვევდა და არც თითონ ზოგავდა ძალ-ღონეს მოსკოვის ხელდებულისათვის ვნების მისაყენებლად. შამხალი ეკედრება ოსმალეთს, დაასწროს რუსეთს თერგზე ციხეების აგება და აფრთხილებს: თუ მოსკოვმა მოასწრო აქ ციხეების აგება, მაშინ ის (შამხა-

---

[37] Белокуров. Сношения... 175 — 176: С. М. Соловьев. op. cit., 627.

[38] Белокуров. Сношения...,იქვე, 310 და სხვ. 1588 წელს ალექსანდრეს უფროსი ვაჟი ერეკლე ხონთქართან „გაიქცა" (Белокуров. Сношения... 155—156). მართალია, მამა საქვეყნოდ ჰგმობდა შვილს ამ ურჩობისათვის, მაგრამ მისი ამ ფიცის არავისა სწამდა და ერეკლე ბატონიშვილს კახეთის მეფის მიერ ხონთქრის კარზე გაგზავნილ მძევლადა სთვლიდნენ. ფრთხილი ალექსანდრე კიდევ უფრო შორს წავიდა. ის ჯერჯერობით აღარ მოითხოვს მოსკოვის მეფისაგან, მფარველობა-ხელდებულობის აქტით რომ იყო გათვალისწინებული, კახეთში რუს მეთოფეთა რაზმის შემოყვანას და მფარველს მხოლოდ საშამხლოს დაპყრობასა და თერგ-კახეთის გზის გახსნასა სთხოვს. .

1589 წელს კახეთის მეფის მოხელე ო მ ა ნ ი მოახსენებდა რუს ელჩებს, რომ ალექსანდრე მეფეს რუს ხელმწიფის რაზმი კახეთში არც სჭირია (Белокуров, იქვე, 175—176), სათხოვარი მას მხოლოდ ისა აქვს, რომ ხელ-

ლი) იძულებული გახდება ეყმოს რუსთა მეფეს[39]. 1588 წელს კახეთის განაპირა სოფლებს ყუმუხები დაეცნენ. ალექსანდრეს სარდლებმა მიუსწრეს და სასტიკად დაამარცხეს მომხდურნი[40]. ავაზაკობით ნიადაგ მოხდომას არ კმაყოფილდებოდა და 1590 წლისათვის შამხალი განადგურებით ემუქრებოდა კახეთს. მისი გეგმით ოსმალეთი და დაღისტანი ერთად შეუტევდნენ ურწმუნოთა ქვეყანას და საბოლოოდ მოშლიდნენ იქ მოსკოვის ექსპანსიის დასაყრდენს.

ოსმალეთ-ყირიმი მრავალგზის პროტესტით მიმართავდნენ რუსეთს, ყაზახების ალაგმვას და თერგის ციხეების მოშლას მოითხოვდნენ.

1593 წელს სულტანი ომით დაემუქრა მოსკოვის მეფეს, თუ უკანასკნელი მის მოთხოვნას არ შეასრულებდა და ყირიმ-დარუბანდის გზას არ გაათავისუფლებდა[41]. თეოდორე მეფე 1594 წელს უპასუხებდა ხონთქარს: დონზე აზოვის ახლოს მას ციხეები არ აქვს, იქ მოსახლე მეკობრე ყაზახები არავის ემორჩილებიან; რაც შეეხება ციხეებს თერგსა თუ საშამხლოში, ეს მან იმ ყაბარდო-ჩერქეზთ ბატონების თხოვნით ააგებინა, რომელნიც მამა-პაპით მოსკოვის მეფის ყმები არიან; ხონთქრის სამფლობელო დარუბანდ-ბაქო-შამახიას თუ სხვა ერანულ ციხე-ქალაქებს, ოსმალეთმა რომ ყიზილბაშებს წაართვა, — ამ ადგილებს მოსკოვის მეფის ლაშქარი არც სხვა ვინმე მისი ხელქვეშეთი არაფერს აწყენს; ყირიმ-დარუბანდის გზაც თავისუფალია ოსმალთა მოხელეებისა, ვაჭრებისა თუ ლაშქრისათვის; ოღონდ ეს არის, სულტანმაც უბრძანოს შარვანის ოსმალი მოხელეებს, არ შეავიწროონ რუსეთის ვაჭრები შარვანში და კეთილმეზობლობდნენ ყაბარდო-ჩერქეზთსა და საშამხლოში მდგომ რუსთა მხედრობას.

მოსკოვის მეფის პასუხი ოსმალეთისათვის დამაკმაყოფილებელი არ იყო: რუსეთი თავის უფლებებს აღმოსავლეთ ციმერკავკასიაზე ოფიციალურად ადასტურებდა, ამავე დროს ოსმალეთის ასეთ-

---

მწიფეს ჯარი თერგის ციხიდან შამხალზე წამოვიდეს; ოსმალეთს კი ალექსანდრე მეფე თვით გაეწყობა სწორედ ისე, როგორც ეს რუს-ხელმწიფემ 1587 წელს ურჩია მას....

39 Белокуров. Сношения..., 563.

40 იქვე, 215.

41 იქვე, შესავალი, XCIX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავე უფლებებს საშამხლოზე არ სცნობდა, არც ციხეების მოშლას აპირებდა.

ოსმალეთმა მუქარა ვერ შეასრულა. მოსკოვთან ომი ეხლა სახიფათო იყო: ერანი გამალებით ემზადებოდა რევანშისათვის. სულტანი იძულებული იყო თავი დაკმაყოფილებულად ეცნო და ყირიმ-დარუბანდის გზის თავისუფლების შესახებ პირობითსა და სათუო აღთქმას და რუსთა ციხეების დანიშნულების არანაკლებ საეჭვო ოფიციალურ ახსნას დასჯერდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად ესმოდა ამ ციხეების სხვა დანიშნულებაც.

ოსმალეთი იძულებული იყო იმით დაკმაყოფილებულიყო, რომ მოსკოვის მეფეს ამიერკავკასიის საქმეები მსჯელობის საგნად არ გამოჰქონდა და აქ მინატაცებს, ერანის სამფლობელო შარვანს, ოსმალეთის საკუთრებად ოფიციალურად აღიარებდა.

არც ერანის შაჰსა სწამდა მთლად მოსკოველი მეგობრისა და კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მის ფეხის მოკიდებას ალმაცერად უყურებდა. მაგრამ ამჟამად რუსეთთან თანხმობა მას უფრო ძვირად ეღირდა. შაჰ-აბასი მთელი ძალღონით ცდილობდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაეთრია მოსკოვის მეფე. ის ოსმალთა მიერ მიტაცებულ დარუბანდ-ბაქოსაც კი უთმობდა მოკავშირეს, თუ უკანასკნელი ამ ქალაქებს ოსმალებს წაართმევდა[42].

შაჰი კარგად ხედავდა, რომ მოსკოვის გამოსვლა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე საბოლოო ანგარიშში ერანს უფრო ნაკლებად როდი ემუქრებოდა, ვიდრე მის მტერს, ოსმალეთს. საშამხლო-დაღისტანს, რომლის დაპყრობას მოსკოვი აპირებდა, ერანი თავის საყმო ქვეყნად უყურებდა, ხოლო კახეთი, რომლის მფარველობას, სჯულის ერთობის საფუძველზე, მოსკოვი ოფიციალურად იჩემებდა, ერანის ძველი მოხარკე ქვეყანა იყო. ამავე დროს ერანის ეს მეგობარი საეჭვო ინტერესს იჩენდა შაჰის ხელქვეშ ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყნებისადმი, შარვან-გილანისადმი (Веселовский. Памятники.., 142, 147, 149). მაგრამ ერანის პოლიტიკური მდგომარეობა მძიმე იყო და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მოსკოვის შესაძლებელი მოკავშირეობა მისთვის მეტად ძვირფასი რამ იყო. გარდა ამისა, ერანს მოსკოვის შუაობით დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან დაკავშირების და დიდი ანტიოსმალური კოალიციის შექმნის პერსპექტივი ესახებოდა. ამის გამო იყო, რომ შაჰ-აბასი მოსკოვის ექსპანსიის ამ უსიამოვნო გამოვლინებებს დიპლომატურად ითმენდა. მით უფრო, რომ მეგობრის ეს ზრახვები, უმთავრესად მომავალში და მისი ოსმალეთთან ომის გზით ჩანდა შესასრულებელი.

---

[42] Веселовский. Памятники..., 129.

1589 წლისათვის კახეთის მეფეს განსაკუთრებით რთული მდგომარეობა შეექმნა. მოსკოვის მეფესთან კავშირისათვის ოსმალეთი აოხრებით ემუქრებოდა მას. ერანის შაჰი თავის მხრით ელჩს ელჩზე უგზავნიდა „ორგულ“ მოხარკეს, ხონთქრისადმი მორჩილებას უსაყვედურებდა, მოვალეობას მოაგონებდა და ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრებას უბრძანებდა[43]. ამავე დროს არაფერი სანუგეშო ჯერ-ჯერობით მოსკოვთან კავშირს არ მოჰყოლია. თერგზე ციხეები, მართალია, ააგეს, ყაზახებმა შამხალს კოისუს ხეობის ნაწილიც წაართვეს, მაგრამ საშამხლოს დაპყრობა და კახეთ-თერგის გზის გახსნა ჯერ არსად ჩანდა, ხოლო შამხალმა არა მარტო კახეთზე თავდასხმებს მოუხშირა, არამედ ამავე დროს ეს მთავარი ფრიად ენერგიულად ცდილობდა ოსმალეთი კახეთის დაპყრობის აუცილებლობაში დაერწმუნებინა. დროს მოსაგებად კი შამხალი მოსკოვის მეფეს ელჩებს უგზავნიდა, ყმობას უცხადებდა, შვილის მძევლად მიცემას ჰპირდებოდა[44]. მეორე მხრით შამხალი მეგობრობა-ერთობას სთავაზობდა კახეთის მეფესაც. ალექსანდრეს ამ თავის მეტოქისა არაფერი სწამდა. მან შამხლის გულისნადები უეჭველი ცნობებით იცოდა.

ახლო-აღმოსავლეთის პოლიტიკური პირობების იმ ვითარებაში, როგორიც მე-16 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისათვის შექმნილიყო, მოსკოვ-კახეთის ეს შეთანხმება (მფარველობა-ხელდებულობის აქტი) ორივე მხარის ინტერესებს შეესაბამებოდა. მაგრამ ეს გარემოება, რასაკვირველია, იმას კიდევ არ ნიშნავდა, რომ მოსკოვისა და კახეთის პოლიტიკური ინტერესები ახლო აღმოსავლეთის ყოველ საკითხში იდენტური იყო, რომ მხარეთა დაინტერესებულობა ყველა ამ საკითხში თანაბარი იყო და თანხმობის გვერდით ინტერესთა სხვაობა მხარეებს შორის აღარ არსებობდა.

იმიერკავკასიაში შემოსვლით მოსკოვი ოსმალეთს შეეჯახა, მაგრამ ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადგილობრივი ხასიათის კონფლიქტი და მოსკოვი ოსმალეთის წინააღმდეგ გადამწყვეტი ხასიათის საერთო შეტევის დაწყებას ამით სრულიადაც არ აპირებდა. საქართველო კი ოსმალეთის აგრესიასთან გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდა და კახეთის მეფე მოსკოვის წინაშე ოსმალეთის განადგურების საკითხს პრაქტიკულად სვამდა. „მესამე რომისთვისაც“ ოსმალეთის მოთხრა (და ქრისტიანული „მეორე რომის“ განთავისუფლება) სასურველი იყო, მაგრამ ეს „პროგრამა მაქსიმუმი“ სრულიადაც მისი ოსმალური პოლიტიკის დღის წესრიგში არ იდგა (და ალექსანდრე მეფეც ანგარიშს უწევდა მფარველის ამ პოლიტიკურ პოზიციას და ოსმალეთთან კახეთის ურთიერთობის მოწესრიგებას რეალური პირობების შესაბამისად ცდილობდა).

---

[43] Белокуров. Сношения.., 169, 173.

[44] იქვე, 64.

ოსმალეთის მიერ შევიწროებული ერანი მოსკოვთან დაახლოებას ეძებდა. ყირიმ-ოსმალეთის მოქიშპე მოსკოვს ერანთან ასეთი დაახლოება სასურველად მიაჩნდა. ამ პირობებში ჩაეყარა საფუძველი რუსეთ-ერანის პოლიტიკურ მეგობრობას, რომელმაც ფორმალურად თითქმის ორი საუკუნე იცოცხლა. კახეთი ერანის ყოფილი მოხარკე იყო და შაჰი კახეთს ძველებურადვე თავისად სთვლიდა. კახეთის ახალი მფარველი, მოსკოვი, შაჰის თვალსაზრისს არ იზიარებდა (იხ. Белокуров. Сношения..., 574), თუმცა ერანელ მეგობართან ამ საკითხის გადაჭრით დასმას ერიდებოდა და მის საბოლოოდ მოსაგვარებლად უფრო ხელსაყრელ პოლიტიკურ მომენტს უცდიდა (დამახასიათებელია: თუ 1588 წლიდანვე არა, 1593 წლიდან მაინც რუსეთის მეფის ტიტულაციაში უკვე შეტანილი იყო „государь Иверской земли Грузинских царей"—Белокуров. Сношения.., შესავალი, С VII, მაგრამ შაჰთან პოლიტიკური მიმოწერისას მოსკოვის მეფის წოდებულებიდან ამ ნაწილს საგანგებოდ ამოშლიდნენ ხოლმე. იხ. Веселовский. Памятники.., I, 377, შენ. 1). კახეთი კი ერანს ისევე უყურებდა, როგორც ოსმალეთს: შაჰიც ქართველობის ისეთივე მტერი იყო, როგორც ხონთქარი. მიუხედავად ამისა კახეთის მეფე საჭირო ანგარიშს უწევდა ერან-მოსკოვის პოლიტიკურ მეგობრობას (ალექსანდრე მეფეს კარგად ესმოდა ამ მეგობრობის ანტიოსმალური საფუძველი) და იძულებული იყო სათანადოდ გასწყობოდა ამ მდგომარეობას. ასეთ პირობებში შემუშავდა კახეთის მეფის კარზე ის დიპლომატიური ფორმულა, რომელიც მთელი ორი საუკუნის განმავლობაში არა ერთხელ წამოუყენებიათ საქართველოსა და ერან-რუსეთის ურთიერთობაში ქართველსა თუ რუს პოლიტიკურ მოღვაწეებს (პეტრე I, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ერეკლე II): საქართველო (მოსკოვის ხელდებული) რუსეთ-ერანის კავშირის მოსაშუალე.

სრულიად განსაკუთრებულად იდგა მოსკოვ-კახეთის ურთიერთობაში საშამხლო-დაღისტნის საკითხი. თავდაპირველად მოსკოვის მეფე საშამხლოს ისევე უყურებდა, როგორც სხვა მაჰმადიანურ სამთავროს იმიერკავკასიაში. მაგრამ ჩქარა საშამხლოს საკითხს, სხვა იმიერკავკასიის სამთავროთა საკითხთან შედარებით, მოსკოვის თვალში გაცილებით მეტი მნიშვნელობა მიენიჭა. ამ ხანებში ერან-მოსკოვის დიპლომატიური ურთიერთობა გაცხოველდა.

შევიწროებულმა ერანმა მოსკოვს ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირი შესთავაზა და საზღაურად ბაქო-დარუბანდის დათმობას მოხერხებულად შეპირდა. ეს ქალაქები ამ დროს ოსმალთა ხელში იყო. რუსი პოლიტიკოსები, ფრთხილად, თუმცა დიდის სურვილით, საკითხის შესწავლას შეუდგნენ. ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ რა პირობებში იქნებოდა შესაძლებელი ამ მნიშვნელოვანი კომპენსაციის მიღება (და მეტისაც: შამახიასაც თვალი გაუყარეს) მინიმალური რისკის ფასად. რუს პოლიტიკოსთათვის აშკარა იყო, რომ საშამხლოს საკითხის წინასწარი გადაჭრა სავსებით აუცილებელი იყო ბაქო-დარუბანდის მიღების საკითხის პრაქტიკულად დასმისათვის: საშამხლო თერგის ციხიდან დარუბანდ-ბაქოზე მისასვლელი გზა იყო.

მეორე მხრით, საშამხლო ოსმალეთის შარვანს (იმავე ბაქო-შამახია-დარუბანდს) მოსკოვისაგან (თერგის ციხიდან) იცავდა და იგივე საშამხლო ოსმალთათ-

ვის შარვანის მხრიდან თერგის ციხეზე მისასვლელი გზაც იყო. ამიტომაც ყირიმ-დარუბანდის გზაზე მდებარე საშამხლოს საკითხი ოსმალეთისათვის ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო.

მესამე მხრით, საშამხლო, კახეთივით, ერანის ყოფილი მოხარკე ქვეყანა იყო და შაჰი მას ეხლაც თავის საყმო ქვეყნადა სთვლიდა. შამხალმა ჩინებულად გამოიყენა თავისი ქვეყნის ეს განსაკუთრებული საერთაშორისო მნიშვნელობა და საშამხლოს პოლიტიკური ბედი ოსტატურად დაუკავშირა მოსკოვ-ერან-ოსმალეთის ურთიერთობის საკითხს ამიერსა თუ იმიერკავკასიაში. ასე რომ მოსკოვი საშამხლოს საკითხის გადაწყვეტისას იძულებული იყო თავისი მოქმედება აღნიშნულ საერთაშორისო ვითარებისათვის შეეფარდებინა.

კახეთისათვის საშამხლო-დაღისტნის საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. შამხალთან დამოკიდებულება ერთი უმთავრესი მიზეზი იყო, რამაც ალექსანდრე მეფე მოსკოვის მეფის ხელქვეშ მიიყვანა (კახეთის მეფის ელჩი ყაფლან ვაჩნაძე მართალი იყო, როცა 1589 წელს მოსკოვში რუს დიპლომატებს არწმუნებდა, „что государь их Александр царь для того государю бил челом в подданные, чтоб государь оборонил его от недруга его от Шевкальского“, (Белокуров. Сношения..., 61). კახეთის მეფეს ჩინებულად ესმოდა რომ, სანამ რუსეთი საშამხლო-დაღისტნის საკითხს არ გადასწყვეტდა, მოსკოვ-კახეთის კავშირი მხოლოდ ნომინალური და კახეთისათვის საზიანოც იქნებოდა. ამავე დროს კახეთისათვის საშამხლოს საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი ფორმა იყო მისაღები: მისი დაპყრობა რუსთა ჯარის მიერ. მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთი საშამხლო-დაღისტანს სულ დაიპყრობდა და კახეთის საზღვარზე, ყაზი-ყუმუხში, თავის მეციხოვნე ჯარს ჩააყენებდა, საქართველოს (კახეთს) რუსეთის მხრით ზურგი მობმული რეალურად ექნებოდა, კახეთი დაღისტნის მხრით ტყვენ-ვა-ოხრებისაგან მოისვენებდა და საქართველოს შეკრებისა და ერან-ოსმალო დამპყრობელთაგან მისი განთავისუფლების საქმე წარმატებაში შევიდოდა (იხ. Белокуров. Сношения..., 190, 482 და სხვ.).

კახეთის მეფე შეეცადა დიპლომატიური ზეგავლენა მოეხდინა საკუთარ მფარველზე და მოსკოვი, რაც შეიძლება ჩქარა, შამხლის წინააღმდეგ აემხედრებინა. ზემოქმედებისათვის ალექსანდრე მოხერხებულად მიმართავს მკვეთრ საშუალებებს, რაც უეჭველად მოწმობს როგორც მის მაღალ პოლიტიკურ ნიჭს, აგრეთვე ფართო პოლიტიკურ ცოდნასაც.

ალექსანდრე მეფის სახლთუხუცესმა ომან ჩოლოყაშვილმა რუს ელჩებს, ჟინვანიდან გრემისაკენ მიმავალთ, აცნობა, რომ შაჰ-აბასი ალექსანდრეს მეგობრობს, რომ შაჰის ელჩი ეხლაც კახეთის მეფესთანაა. არ ვიცი, მიუსწრებთ თუ არაო. ვგონებ, ვერ მიუსწროთო. შაჰი ალექსანდრე მეფეს ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირში მოუწოდებს და სამაგიეროდ კახეთის საზღვრად ქვეყნების დათმობას ჰპირდებაო. არ ვიცი კი, რაზე შეთანხმდნენო. რუსი ელჩები არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბნენ. ჰკითხეს ალექსანდრე მეფის დიპლომატს, თუ რა გზით, როგორ და როდის მოვიდა შაჰის ელჩი? ომანმა ამაზე სრული პასუხი არ გასცა. უპასუხა მხოლოდ: შაჰის ელჩები ალექსანდრე მეფესთან თქვენი ხელმწიფის მოციქულის (посланник) შემდეგ მოვიდნენო. რუსმა ელჩებმა (ზვენიგოროდსკი და ანტონოვი) გრემს მისვლის შემდეგ გამოიკითხეს, მართლა იყო თუ არა შაჰის ელჩი კახეთს და შეიტყვეს, რომ „Уман то лгал, а послы от Кизылбашского к Олександру царю не бывали[45]".

თუ რუსი ელჩების ცნობა სინამდვილეს შეეფერება (შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ცნობა სწორია) და შაჰის ელჩი კახეთის მეფესთან ნამდვილად არ ყოფილა, ეს ფრიად საინტერესო ფაქტია. უეჭველია, ომან სახლთუხუცესი ასეთ რამეს საკუთარის პასუხისმგებლობით ვერ შეთხზავდა და ეს ალექსანდრე მეფესთან შეთანხმებული ხერხი იყო. რად სჭიროდათ ასეთი სვლა? უეჭველია, მფარველზე ზემოქმედების მიზნით: კახეთის მეფის პოლიტიკური წონა ანგარიშ-გასაწევია, შაჰი მას მეგობრობა-კავშირს სთხოვს და ქვეყნების დათმობას ისევ ჰპირდება, როგორც შაჰ-ხუდაბანდა მოსკოვის მეფეს ჰპირდებოდა ბაქო-დარუბანდს. ამით ალექსანდრე მეფე რუს-ხელმწიფის თვალში უნდა გაძვირფასებულიყო: ერანმოსკოვის ურთიერთობაშიაც მას შეეძლო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა. თანაც ეხლა სწორედ ის დრო იყო, როცა შაჰი რუსეთის შეუტყობლად, ოსმალეთს ზავს სთავაზობდა[46].

ამავე დროს ომან სახლთუხუცესმა კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავი არ დაივიწყა: რომ ბატონიშვილი ერეკლე ალექსანდრეს ძე ხვანთქართან „გაიქცა". მართალია, მანვე დაუმატა, თითქო რუსი ელჩების სანუგეშოდ: იქ უპატიოდა გდიაო[47], მაგრამ ეს საქმეს არ შველიდა: შაჰ-აბასი მეგობარ მოსკოვის ზურგს უკან ოსმალეთს ეზავებოდა და სპარსელ ბატონიშვილს (ჰამზა მირზას ძეს ისმაილ მირზას) მძევლად უგზავნიდა ხონთქარს, შაჰი ალექსანდრეს მეგობრობდა და მოსკოვის მეფის ამ ხელდებულს ქვეყნებს ჰპირდებოდა, ალექსანდრე მეფე ერანის შაჰსაც გასწყობოდა (კონსტანტინე ალექსანდრეს ძე დიდიხანია შაჰის კარზე მძევლად იყო) და ოსმალეთის ხონთქარსაც (მოსკოვში, რა თქმა უნდა, შეეჭვდებოდნენ, რომ ალე-

---

45 Белокуров. Сношения..., 155.

46 Веселовский. Памятники..., 140—141, 168—169.

47 Белокуров. Сношения..., 155—156.

ქსანდრე კახეთის მეფემ ერეკლე ბატონიშვილი ისევე მძევლად გაუგზავნა ხონთქარს, როგორც შაჰ-აბასმა თავისი ძმისწული). მოკლედ, ახლო აღმოსავლეთში დიდი პოლიტიკური ამბები წყდებოდა მოსკოვის მონაწილეობის გარეშე. ასეთ პირობებში მოსკოვი იძულებული შეიქმნებოდა თავისი ხელდებულისათვის მეტი ყურადღება მიექცია, უფრო დაეფასებინა ის. მოსკოვის პოლიტიკა ხომ იქით იყო მიმართული, რათა ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ცენტრში მხოლოდ ის, მოსკოვი, მდგარიყო, ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციური ბრძოლის სადავეები მხოლოდ მას სჭეროდა ხელთ[48]. მოსკოვის ამ პოლიტიკურ გეგმას სრულიად არ ეთანხმებოდა ის, რაც ეხლა ერანსა და კახეთში ხდებოდა...

შემდეგი დიპლომატიური იერიში რუს ელჩებზე ალექსანდრე მეფემ თავისი მდივნის, თარსას[49], პირით მიიტანა. „შამხალმა მოციქულით შემომითვალაო: ამას წინათ ჩვენ ორნივე ოსმალეთის ხელქვეშ ვიყავით და ურთიერთს ვმეგობრობდით. ეხლა შენ მოსკოვის ხელმწიფის საფარველში შეხველ და მე მარწმუნებდი, რომ შენი სურვილია რუსთა ჯარის გამოყვანა ოსმალთა ციხის, დარუბანდის, წინააღმდეგო"... საეჭვოა, რომ თარსა მდივნის მონათხრობი მართალი იყოს. უფრო საფიქრებელია, რომ კახეთის მეფე თითონ თხზავს შამხლის შემონათვალს. როგორც არ უნდა იყოს, აქ საინტერესო ისაა, რომ დიპლომატიური საუბრის საგანია დარუბანდი, — რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი კავკასიაში. — „ეხლა კი ირკვევაო, — შემოუთვალა თითქო კახთა მეფეს შამხალმა, — რომ შენ რუსთა ჯარი ჩემ წინააღმდეგ აგიმხედრებიაო, ტიუმენის ციხიდან დიდად შემავიწროესო, კოისუც წამართვეს და იქ ციხის ჩადგმას აპირებენო. მოდი, ისევ ძველი მეგობრობა განვაახლოთო; გავიგე ჩემი ძმის ქალი შენი ვაჟის, გიორგისათვის, გითხოვიაო. ჩემ ქალსაც გამოგიგზავნი და ჩემი ძმისასაცო: აირჩიეო, ერთი გიორგი ბატონიშვილს შერთე, მეორე, ყიზილბაშში რომ შვილი გყავს, იმას გაუგზავნეო, და შევიქნებით ურთიერთის ერთგული და ერთად ვიქნებით მტრების წინააღმდეგო. მე ელჩები მოსკოვ-ასტრახან-ტიუმენსაც გავგზავნეო". ასეთი რამ (დაახლოებით) შეეძლო შამხალს კახეთის მეფისათვის შემოეთვალა... მაგრამ ალექსანდრე მეფე სულ სხვა მიზნით იყენებს მას (და არა იმ

48 იქვე, 175.

49 ეს თარსა (Терс) არის ის მათარსი, გრემის ეკლესიის სამენოვან წარწერაში რომ იხსენიება.

მიზნით, რომ რუს ელჩებს მოახსენოს მათთვის სასურველი: რუსთა მეფის ძალით შამხალი გატყდაო). თარსას მონათხრობიდან შემდეგი გამოდიოდა: შამხალთან კახეთის მეფეს ფორმალურად ზავი ჰქონდა; ორნივე ოსმალეთს მორჩილებდნენ; მაგრამ შამხალი კახეთის მტროსისაგან ხელს არ იღებდა, ქურდობა-აბრაგობას არ იშლიდა; ქრისტიანული კახეთი ნამდვილ მოკავშირე-მფარველს ეძებდა; ოსმალეთი არ შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო: მას მთელი საქრისტიანოს გამაჰმადიანება სურდა; კახეთის მეფისა და შამხლის ერთობა-მეგობრობა მოუხერხებელი იყო: შამხალი მთელ დაღისტანს დაპატრონებოდა და კახეთი მთიანეთიდან გამოეძევებინა; კახეთ-თერგის გზაც მთლად ხელთ ეგდო; ოსმალეთი კი შამხალს უჭერდა მხარს; და კახეთის მეფე რუსთა მეფის საფარველში შევიდა, რომ შამხალი დაიმორჩილოს, რათა საქრისტიანოს მხრიდან „ზურგი მოიბას".

კახეთს შამხლის გულწრფელობისა არა სწამდა. შამხლის გულწრფელობის არც მოსკოვს სწამდა, მაგრამ, ალექსანდრე მეფისაგან განსხვავებით, მოსკოვის მეფე შამხლის ამ მოსაჩვენარ მორჩილებას ამჯერად საკმაო მიღწევად სთვლიდა. „შამხალი მატყუილებსო, — განაგრძობდა თარსას პირით ალექსანდრე მეფე. — ვიცი, რომ შამხალმა ტიუმენს და ასტრახანს მართლაც გაგზავნა ელჩები, მაგრამ მოსაჩვენარადო. ნამდვილი ელჩები კი მან ოსმალეთს გაგზავნაო. ხონთქარს შეუთვალაო: ალექსანდრე მეფე შენი მორჩილი იყოო, ეხლა მოსკოვის მეფის ხელდებული შეიქმნა იმ მიზნით, რომ მე ჩემი ქვეყნიდან გამაძევოს, ან გამაქრისტიანოსო. თერგის მეციხოვნეები მავიწროვებენო. კოისუ მდინარე წამართვეს და ჩემს ქვეყანაში ციხე ჩადგესო. ამავე ზაფხულს ტიუმენ-ასტარხნიდან, ვიცი, რუსთა ჯარი წამოვა ჩემზედო. ალექსანდრე მეფე კი თავის მხრიდან შემომიტევსო. შენ მუსლიმანთა იმედი ხარ, ვიდრე ჩემზე რუსთა ჯარი არ წამოსულა, კახეთს დიდი ლაშქარი შეუსიე ან ააოხრონ, ან დაიპყრონ და მუსლიმანად მოაქციონო. თუ ამ წელს ამას არ იქმ, მოსკოვის მეფის ჯარი ჩემზე წამოვაო, ალექსანდრე მეფეც შემომიტევს და დამიჭერენო. გასაქცევი არსაით მაქვს, ქვეყანას ამიოხრებენ, გამაქრისტიანებენო... და როცა ჩემს ქვეყანას აიღებენ, შენმა დარუბანდ-შამახია-შარვან-განჯამ და ყველა იმ ციხეებმა, შენ რომ ყიზილბაშებს და ალექსანდრე მეფის სიძეს, სიმონს, წაართვი, როგორ გაუძლონო? ყველას მოსკოვი დაიპყრობს, მუსლიმანებს გაჟლეტენ და ღმერთს შენ გაეცი პასუხიო; ამის შემდეგ რუსთა ჯარი ყიზილბაშისას შეუერთდება

ალექსანდრე და სიმონ მეფეებთან ერთად და შენ მათ თვით სამეუფო ქალაქამდის, სტამბოლამდის, ვეღარ შეიკავებო და, როგორც კი სამეუფო ქალაქს ეს ჯარი ამ მხრიდან მოადგება, მეორე მხრიდან ფრანგები და ესპანიის კოროლიც შემოგადგებიან და თვით შენ მაგ ქალაქში როგორღა დამაგრდებიო? აგიღებენ, მუსლიმანებს გაქლეტენ, გააქრისტიანებენ. მუსლიმანობა შენის მიზეზით მოიშლება, რომ არ მოგვეშველო და ღმერთიც პასუხს შენგან მოითხოვსო[50].

ნამდვილად გაგზავნა თუ არა შამხალმა ასეთი ელჩი, ამას ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს (თავისთავად დაუჯერებელი აქ არაფერია, თუმცა ალექსანდრე მეფის აგენტებმა შამხლის ეს ელჩი მისი წიგნით ხელში ვერ ჩაიგდეს..). სარწმუნოა, რომ შამხლის წიგნის ეს შინაარსი საკუთარ მფარველზე დიპლომატიური ზემოქმედების მიზნით კახეთის მეფის გაჭედილი იარაღი იყო. ალექსანდრე მეფე კარგად იყო მიხვედრილი მოსკოვის შორეულ გეგმებს ოსმალეთის მიმართ: „მეორე რომის“ კეისრად „მესამე რომის“ — მოსკოვის ხელმწიფე უნდა იყოს; მხოლოდ მას, ავგუსტუს იმპერატორის ჩამომავალს (მოსკოვის მეფეთა ასეთ ჩამომავლობას რუს ელჩებს კახთა მეფე „წერილზე“ დაყრდნობით უმოწმებდა[51]...) აქვს სამეუფო ქალაქში (და მთელს მსოფლიოში) ხელმწიფობის უფლება... და დიპლომატი მეფე თვალწინ გადაუშლის თავის მფარველს მისი უმაღლესი მიზნის განხორციელების რეალურ გეგმას და ამ გეგმის განსახორციელებლად კახეთის დაცვა-შენარჩუნების საქმეს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საკითხად წარმოუდგენს. კავკასიაში საშამხლო-ოსმალეთის კავშირზე კახეთ-მოსკოვის კავშირის გამარჯვება რუსეთის მეფეს სტამბოლს ჩაიყვანს.

შემდეგი დიპლომატიური იერიში რუს ელჩებზე ალექსანდრე მეფემ თავადი სოლომონისა და მდივანი თარსას პირით მიიტანა. შეუთვალა: თქვენ იცით, ჩემი ქვეყანა როგორ ურთიერთობაშია უცხო ქვეყნებთან. მინდა გულისნადები გაგანდოთ. სტამბოლს, ევროპას, გილანს, ყაზვინს ჩემი ხალხი, ვითომც ვაჭრები, ყველგან დადიან. ერთი ჩემი სომეხი რომს იყო. პაპმა ის დააჭერინა. საქონელი მძევლად დაატოვებინა: თუ ალექსანდრე მეფის კაცი ხარ,

---

50 Белокуров. Сношения..., 203.

51 იქვე, 161. „წერილით“ საეჭვოა. მაგრამ ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ საზოგადოებაში, შეიძლება, ზეპირად უკვე გავრცელებული იყო „მესამე რომის“ მესვეურთა ეს იდეოლოგია.

წადი, მისგან წიგნი მომიტანე და საქონელსაც დაგიბრუნებო. აჰ სომეხმა მაცნობა: ესპანეთის კოროლს ინგლისი დაულაშქრავს, მასვე ფრანგების კოროლთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ გამოულაშქრიაო. და, მართლაც, ჩემმა ელჩმა, ოსმალეთს რომ იყო, დიდ მარხვაში დაბრუნდა, ამბავი მომიტანა, რომ წელს ესპანელთა და ფრანგთა ჯარებმა ოსმალებს ხუთი ათასი კატარღა დაუღუპესო[52]. ეხლა მინდა ის სომეხი ვაჭარი გავგზავნო და პაპს, ესპანეთის კოროლს და კეისარს გამარჯვება მიულოცო, შემდეგი ომისათვის მოუწოდო და ვაუწყო, რომ მე მოსკოვის მეფის ხელდებული შევიქენო.

რუს ელჩებს ძლიერ ემწვავათ: სანამ მოსკოვი ცარიელი დაპირებით ჰკვებავდა ხელდებულს და არა თუ ოსმალეთი, შამხალიც კი ვერ დაემორჩილებინა, ესპანეთის კოროლს და იმპერატორს ოსმალეთიც კი ძლიერ დაუმარცხებიათ. მფარველის მიმართ უსიამოვნო საყვედურად გაისმოდა კახეთის მეფის ეს სიტყვები. ასეთი მფარველი შეიძლება საწუნელადაც შერაცხილიყო...

რუს ელჩების პასუხის (საკმაოდ სუსტის) შემდეგ ალექსანდრე მეფის მოციქულებმა კიდევ უფრო დაგრიხეს დიპლომატიური საუბარი: ჩვენი მეფე ღმერთს სულ იმასა სთხოვს, რომ რუს-ხელმწიფე და ყველა ქრისტიანი საერთო ძალით აღდგნენ მუსლიმანებზედო, და ასეც მოხდება, რომ სამაჰმადიანო დაიღუპებაო. ეს წიგნებში სწერიაო: ქ რ ი ს ტ ი ა ნ თ ა ხ ე ლ ი ს ა მ ა ჰ მ ა დ ი ა ნ ო ზ ე დ ა რ უ ბ ა ნ დ ი ს მ ხ რ ი დ ა ნ ა ღ ი მ ა რ თ ე ბ ა ო, ქ რ ი ს ტ ი ა ნ თ ა ლ ა შ ქ ა რ ი გ ა დ მ ო ლ ა ხ ა ვ ს რ კ ი ნ ი ს კ ა რ ე ბ ს ო. და იმ ქრისტიანებს: რომის პაპს, კეისარს, ესპანეთის კოროლს და ფრანგთა მეფეს შეუძლიათ დარუბანდის მხრით მოსვლაო? თითქო გულუბრყვილოდ იკითხეს სოლომონმა და თარსამ. შეშფოთებული რუსი ელჩები დამშვიდნენ: დარუბანდის მხრით მხოლოდ ჩვენი ხელმწიფის ლაშქარს შეუძლია მოსვლა, სხვას არავისო[53]. რაც არ უნდა იყოს, ეს აზრი, სულერთია „წიგნებში" ეწერა ის თუ არა, მეტად საინტერესოა: კახეთში, მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლში თურქები გაბატონდნენ და დასავლეთის საქრისტიანოსთან საქართველოს ურთიერთობა გაწყვიტეს, შემუშავებულია აზრი — იმედი (შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი რამ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიქმნა, როცა ასტრახანს მოსული მოსკოვი იმიერკავკასიაში ფე-

---

52 იქვე, 205.

53 Белокуров. Сношения..., 206

ხის შემოდგმით ოსმალეთს დაუპირისპირდა), რომ საქრისტიანოს ხსნა დასავლეთიდან კი არა, დარუბანდის კარებზე გამოსვლით (ჩრდილოეთიდან) მოვაო. და სოლომონი და თარსა ეხლა უკვე თავისად ეუბნებიან რუს ელჩებს იმას, რაც წინადღით შამხლის მიერ ხონთქრისადმი მიწერილად უთხრეს: ჩვენმა მეფემ კარგად იცის, რომ დარუბანდის ახლოს რუს-ხელმწიფის ქვეყანა არისო, რომ მხოლოდ ხელმწიფის ლაშქარს შეუძლია ზღვით და ხმელით დარუბანდზე მოვიდესო. და როგორც კი მოსკოვის მეფე დარუბანდს მოვა, ჩვენი მეფე ალექსანდრე ალაზანზე ყიზილბაშის შაჰს შეეყრება და მეორეს მხრით ესენი წამოვლენ და ყველა ციხეს, ოსმალთა ხელში რომაა, გაათავისუფლებენო. ამათ ვერავინ დაუდგება, და ჩვენ ვიცით, რომ ოსმალთა მეციხოვნეებს გული უსკდებათ: იციან, რუსთა ჯარი, თუნდაც მცირე, რომ გამოჩნდეს, იმათ უნდა ციხეები დასცალონ; იქაური ქრისტიანები და სომხები ხომ ღმერთს ევედრებიან, რათა ურწმუნოთა ხელიდან იხსნასო. ჩვენ კი, ალექსანდრე მეფის აზნაურები, მხოლოდ იმის ნატვრაში ვართ, რომ მოვესწრათ ტარკში რუს-ხელმწიფისა და ალექსანდრე მეფის ჯარების ერთად შეყრასო. ამას მოვესწრათ და შემდეგ თუნდაც მოვკვდეთო. ალექსანდრე მეფე მოხუცია, მისი ერთადერთი სურვილი ისაა, რომ მფარველის წყალობა თავის სიცოცხლეში იხილოსო. ეს აქვს ჯავრად მასაც და ჩვენცო.[54] შესანიშნავად არის საკითხი დასმული: დარუბანდი მოსკოვის გაძლიერებისა და ოსმალეთის დასუსტება-დაღუპვის გამოსავალი წერტილია.[55] მაგრამ დარუბანდის დასაპყრობად საშამხლოს დაპყრობა აუცილებელია.

ამის შემდეგ ალექსანდრე მეფე სოლომონისა და თარსას პირით კიდევ ერთხელ აუწყებს რუს ელჩებს „თავის გულისნადებს". მოუთხრობს მათ კახეთის პოლიტიკურ ამბებს, მის ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან. კახეთის მეფე განსაკუთრებით ამახვილებს ქრისტიანებისა და მაჰმადიანების ურთიერთ დამოკიდებულებას, მაჰმადიანთ შემოტევას, საქრისტიანოს მოშლას და ამ ბრძოლაში

---

54 Белокуров. Сношения..., 207.

55 კახეთში, ჩანს, კარგად იციან მოსკოვის პოლიტიკოსთა ზრახვები დარუბანდ-ბაქოს მიმართ.

ოსმალეთს წარმოადგენს მაჰმადიანობის მფარველად, ხოლო მოსკოვს ქრისტიანობის მცველად. ალექსანდრეს მიზანია ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვას კახეთ-საშამხლოს საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში: საშამხლო-კახეთშია განასკვული მაჰმადიანობისა თუ ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვება ახლო აღმოსავლეთში; საშამხლო-კახეთის ბრძოლა ეს მაჰმადიანობისა და ქრისტიანობის ომია, ოსმალეთის და რუსეთის შეტაკებაა. მაჰმადიანთა სულისათვის (თუ მათ გაქრისტიანება დაემართებათ) ღვთის წინაშე პასუხისმგებელი ხონთქარია, ქრისტიანთა დაღუპულ (გამაჰმადიანებულ) სულთათვის კი ღვთის წინაშე პასუხს მოსკოვის მეფე აგებს.[56] მაგრამ, მოხერხებულად შემოაბრუნებს სიტყვას დიპლომატი მეფე, ასეთ პასუხისგებამდის ხელმწიფე-მფარველს საქმე არ მიუვა. ამის საწინდარია მისი წყალობის სიგელი და ჩემი ფიცის წიგნიო...

ამავე დროს კახეთის მეფე ცდილობს დაარწმუნოს მფარველი, რომ ეს პატარა ქვეყანა საკმაოდ დიდი ძალის მქონეა. ალექსანდრე მეფე აღლუმს იწვევს და რუს ელჩებს თავისი ლაშქრის საგანგებო ნაწილს აჩვენებს[57]. ლაშქრის სიმრავლე, მისი შეჭურვილობა სასურველ შთაბეჭდილებას ახდენენ: ასეთ ხელდებულს მფარველი დიდად უნდა აფასებდეს და ფრთხილობდეს, რომ მფარველობის იმედგაცრუებული ხელდებული არ განდგეს და სხვას არ მიუვიდეს...

დასასრულ, ალექსანდრე მეფე განსაკუთრებული მნიშვნელობით საიდუმლოდ აცნობს რუს ელჩებს, როგორი დიდი პოლიტიკური წარმატება ელის რუსეთს ამიერკავკასიაში, თუ ხელმწიფე კახეთს საქმიან დახმარებას ეხლავე გაუწევს: დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები, ოსმალეთს რომ ძალით უპყრავს, სუყველანი რუს-ხელმწიფის ხელდებულობას ეცდებიან, როგორც კი კახეთს მოსკოვის მეფის მფარველობით გაბედნიერებულს იხილავენ.[58]

მოსკოვის მეფის კარმა, უეჭველია, ამ დროს უკვე იცოდა, რომ ამიერკავკასიაში კახეთს გარდა არა ერთი „საქართველო“ არსებობდა. ეს იმ დანასაქმიდანაც კარგად ჩანს, მოსკოვის მეფემ თავის ელჩებს, ბირკინსა და პივოვს რომ

---

56 Белокуров. Сношения.., 215.

57 იქვე, 172.

58 იქვე, 220.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისცა 1587 წელს (იქვე, 25). რა თქმა უნდა, ისიც იცოდა, რომ ეს საქართველოები" ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ მედგარ ბრძოლას აწარმოებდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა ამ სამეფო-სამთავროს მიმართ მოსკოვში რაიმე მტკიცედ გარკვეული სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ შემუშავებული არ ჰქონიათ. თანაც ეს ქვეყნები ოსმალეთში ითვლებოდნენ (იმის შესახებ, რომ „опричен государства нашего иную Иверскую землю Турские люди поимали и городы у них поставили" ჯერ კიდევ 1588 წელს ატყობინებდა ალექსანდრე მეფე მოსკოვის ხელმწიფეს. იქვე, 55), ხოლო მოსკოვის ანტიოსმალური გეგმები ჯერ-ჯერობით იმიერ და ამიერკავკასიის აღმოსავლეთს არ სცილდებოდა. კახეთის მეფეს ახალი მომენტი შეჰქონდა მოსკოვის ანტიოსმალურ პოლიტიკაში. ქართულ სამეფო-სამთავროებზე მფარველობის ხელის დადებით მოსკოვი ოსმალეთთან გადამჭრელ ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო. ამ ბრძოლის მიზანი მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო: ოსმალეთის აღგვა და ქრისტიანობის აღდგენა ახლოაღმოსავლეთში... ამით ალექსანდრე მეფეს XV საუკუნის ქართველ პოლიტიკოსთა ანტიოსმალური გეგმა კვლავ გამოჰქონდა. თუმცა უნდა აქვე ითქვას: ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო ლაშქრობის იდეა ქართველ პოლიტიკოსთა ცხოველი იდეა იყო მთელ XVI საუკუნეში. განსხვავება ის იყო, რომ კახეთის მეფის ხერხიანი გეგმით საქართველოს გამოხსნა-აღდგომა წინასწარი პირობა იყო ოსმალეთის წინააღმდეგ შეტევის წარმატებისათვის. ალექსანდრე კახთა მეფის მიერ წამოყენებული ეს დიპლომატიური ფორმულა ორი საუკუნის მანძილზე მომქმედ პროგრამად დარჩა რუს და ქართველ პოლიტიკოსთათვის: ოსმალეთის (თუ ერანის) წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მიზანია ქართულ სამეფო-სამთავროთა შემოკრება, საქართველოს მიზანია რუსეთის მფარველობის ქვეშ გაერთიანება და აღდგომა...

ყოველივე ამასთან ერთად ალექსანდრე სჩივის მფარველის მხრით მოვალეობის შეუსრულებლობას, რამაც აგრე გასაჭირში ჩააგდო მფარველობის მოიმედე ხელდებული: შამხალი უარესად არბევს კახეთს, ოსმალეთი დაპყრობით ემუქრება მას, მეზობლებს სასაცილოდ არ ჰყოფნით კახთა მეფის პოლიტიკური მარცხი... და აი, მფარველისაგან ხელაღებული ალექსანდრე მეფეც თადარიგს იჭერს, რათა საკუთარი ძალღონით პასუხი გასცეს თავის მტერ-მოყვარეთ და, როგორც ელჩები დაინახავდნენ, მას მრავალი ჰყავს ხალხი, ლაშქარი მხედარი და კარგად შეჭურვილი ახლავს, ხაზინაც მდიდარი მოეპოვება. მართალია, მისი ქვეყანა დიდი არაა, მაგრამ უხვია და არც არა აკლია და არც არავისი მორჩილია ის. აქ დიპლომატი მეფე ხერხიანად შემოაბრუნებს შეწყვეტის პირზე მიყვანილ საუბარს: მან მხოლოდ ერთადერთ რუს-ხელმწიფეს დაუკრა თავი და, როგორც ეს „ფიცის წიგნში" სწერია, ემსახურება კიდეც მას; მაგრამ მოითხოვს მფარველისაგან „წყალობის სიგელ-

ში“ აღთქმულის შესრულებას[59]. ალექსანდრეს არ სურს რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტა. ერიდება მფარველის წყენას და კახეთის საქმის დაბრკოლების მიზეზად... საკუთარი ელჩები გამოჰყავს, რომელთაც, თითქო, მეფის დანასაქმი რუს-ხელმწიფის წინაშე ჯეროვნად ვერ გაარიგეს...[60] მეფე უმეორებს რუს ელჩებს თხოვნას ზარბაზნის ჩამოსხმისა და სროლის ოსტატის ბოძების შესახებ და აქაც დიპლომატიურად უმატებს: ასეთი ოსტატები მას საკუთარიც ჰყავს, ოღონდ მფარველის წყალობა სასახელოდ სჭირია...[61]

1590 წელს რუსი ელჩები მოსკოვს დაბრუნდნენ. ალექსანდრე მეფემ მათ თავისი მოციქულებიც გაატანა (თავადი სოლომონი და ხურშიტ-აღა). „ფიცის წიგნით“ გათვალისწინებული მოსაკითხიც გაუგზავნა ხელდებულმა მფარველს და აჯა-მოხსენებაც აახლო: შამხალ-დაღისტნელთაგან თავისი ქვეყნის შეწუხება აცნობა და „წყალობის წიგნით“ აღთქმული მფარველობის შესრულება სთხოვა, — საშამხლოს დაპყრობა და თერგ-კახეთის გზის გახსნა. ხელდებულს არ ავიწყდება აქვე მოაგონოს მფარველს, რომ ამ საქმიდან „დიდი სარგებელი“ („великая прибыль“) ელის თვით მას, რუს-ხელმწიფეს. დიპლომატი მეფე არ აღნიშნავს, თუ რას ჰგულისხმობს ის ამ დიდ სარგებელში. ამას, უნდა ვიფიქროთ, ქართველი და რუსი ელჩები ზეპირად საიდუმლოდ მოახსენებდნენ მოსკოვის მეფეს. მაგრამ ჩვენთვის ეხლა უკვე ძნელი აღარაა ალექსანდრე მეფის ნაგულისხმევი ზოგადად მაინც გამოვიცნოთ: მხოლოდ ამ გზით (საშამხლო-დაღისტნის დაპყრობით) შეეძლო დაეწყო მოსკოვს დიდი საქმის განხორციელება, — დარუბან-შარვანის დაპყრობა, „საქართველოებზე“ ხელის დადება, მეგობარ ერანთან და ხელდებულ საქართველოსთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობა და საქრისტიანოს (კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის)[62] განთავისუფლება მაჰმადიან დამპყრობელთაგან.[63]

---

59 Белокуров. Сношения..., 220.

60 იქვე, 219.

61 იქვე.

62 იქვე, 208.

63 იქვე, 333.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმაზე დამოუკიდებლად, თუ რამდენად რეალურად შესასრულებელი აღმოჩნდა ეს დიპლომატიური ღონისძიება, გადაჭრით შეიძლება ითქვას კახეთის მეფის სასარგებლოდ, რომ თავის დროსა და პირობებში გვიან-ფეოდალურ ხანაში უფრო ფართოდ, ღრმად და უფრო მარჯვედ საქართველოს საკუთარი ინტერესების დაკავშირება ახლო-აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებთან იშვიათია, რომ ვინმეს მოეხერხებინოს. ალექსანდრე კახთა მეფის მიერ საქართველოს საკითხის ეს დიპლომატიური გამართვა mutatis mutandis სახელმძღვანელოდ რჩებოდა ჩვენი ქვეყნის ყველა შემდგომ მსხვილ პოლიტიკოსისთვის.

ალექსანდრე მეფემ ცალკე წიგნები გაუგზავნა მოსკოვის პატრიარქს და ბორის გოდუნოვს. მოსკოვის პატრიარქთან გაგზავნილ მოხსენებაში კახეთის მეფე შესაძლებლად სცნობს ისეთ საკითხსაც შეეხოს, რომლის შესახებაც მოსკოვის მეფესთან მიმოწერაში ის დუმილს ირჩევს. კახი დიპლომატი აქ უფრო მკვეთრად სვამს მაჰმადიანობისა და ქრისტიანობის დაპირისპირების საკითხს და ქრისტიანობის მტრად მხოლოდ ოსმალებს (შამხალ-დაღისტნელებით) როდი ჰგულისხმობს, არამედ ასეთივე მტრებად ასახელებს ყიზილბაშებსაც. აქ კახეთის მეფე იგონებს კონსტანტინე დიდს, ქრისტიანთ მოდგმა რომ წარმართობისადმი მიქცევისაგან იხსნა; იგონებს იმ დროს, როცა „брат брату помогал и рука способствовала, потом и в дело происходило“, ე. ი. როცა სხვადასხვა ქრისტიანული ხალხები („ძმები“) ურთიერთს მხარში უდგნენ. რა თქმა უნდა, ასეთი დრო არასოდეს ყოფილა, მაგრამ არც საქართველო ასეთი უმეზობლო, უკეთ, უკეთილმეზობლო, ასე მტრებშემოცული არასოდეს ყოფილა და ადვილად გასაგებია, რომ საქართველოში ცოცხლობდა წარსულის რომანტიკული იდეალიზაცია, როცა ჩვენი ქვეყნის გვერდით იყვნენ ძლიერი ბიზანტია და სხვა ქრისტიანული ხალხები, რომლებთანაც ქართველი ხალხი საუკუნეთა მანძილზე აგრე ნაყოფიერად კულტურულად თანამშრომლობდა.

გოდუნოვისათვის წიგნში განსხვავებული ისაა, რომ აქ ალექსანდრე მეფე საკითხს კატეგორიულად სვამდა: თუ ხელმწიფის ჯარი შამხლის წინააღმდეგ არც ეხლა გამოიგზავნება, ხელდებული ამის შემდეგ მფარველს დახმარებას ვეღარა სთხოვს[64]. ეს უკვე პოლიტიკური ურთიერთობის გაწყვეტის მუქარა იყო.

ალექსანდრე მეფის ცალკე სათხოვარს შეადგენდა მხატვრები, სონღულები ბაზიერებით და ზარბაზნის ჩამოსხმისა და სროლის ოსტატები.

---

[64] Белокуров. Сношения..., 234.

ალექსანდრე მეფის დიპლომატიურმა ღონისძიებებმა გასჭრა: რუსი და ქართველი ელჩების მოხსენებათა შედეგად 1591 წლის 18 აპრილს თედორე მეფემ ბოიარებთან მოითათბირა. გადაწყდა: დაუყოვნებლივ გაიგზავნოს შამხლის წინააღმდეგ ლაშქარი თავადი ზასეკინის სარდლობით[65].

ქართველი ელჩები უკან გამოისტუმრეს (1591 წლის 25 აპრილს). მათთან ერთად კახეთის მეფეს ამ სასიხარულო ცნობით რუსი ელჩებიც (პლეშჩეევი და კუდრინი) მოუვლინეს. ხელდებულს მფარველისაგან „წყალობაც" მოუვიდა: ოთხი სონღული ორი ბაზიერით, სამი მხატვარი, ხოლო ზარბაზნის ოსტატების გამოგზავნა, მათი მოუცლელობის გამო, სხვა დროისათვის გადაიდო[66].

შამხლის დამორჩილებას მოსკოვის სამეფო კარი უმთავრესად თავის კავკასიელ ხელდებულთა საშუალებით აპირებდა. რუსთა მცირე რაზმს საშამხლოზე ჩერქეზთ ბატონები უნდა მიჰყოლოდნენ, ხოლო სამხრეთიდან, როცა ამას რუსთა სარდლობა მოითხოვდა, ალექსანდრე მეფეს უნდა დაეკრა. შამხალიც, ასე ჰფიქრობდნენ მოსკოვში, დამორჩილდებოდა რუსთა მეფეს[67].

პლეშჩეევს და კუდრინს რთული დავალება უნდა შეესრულებინათ. კახთა მეფის ელჩები მათ ისე სწრაფად უნდა წამოეყვანათ, რომ ასტრახანსა და თერგის ციხეში შამხალზე მიმავალი რუსი მხედრობა მათთვის არ ეჩვენებინათ, სუნჯაში კი ისინი განზრახ უნდა შეჩერებულიყვნენ, რომ ქართველ ელჩებს ყაბარდო-ჩერქეზთა ლაშქრის საშამხლოზე შეყრა საკუთარი თვალით ენახათ. რუს ელჩებს ალექსანდრე მეფისათვის უნდა ეცნობებინათ, რომ საშამხლოში ხუთიათასი რუსი მეთოფე იგზავნება და ათიათასი ჩერქეზი[68]. გარდა ამისა, რუს ელჩებს დაევალათ, ურთიერთობა გაებათ სხვა ქართველი მეფე-მთავრებთან[69]. ხელმწიფის მფარველობას შეჰპირებოდნენ და მოსკოვის მეფის ხელ-ქვეშ ყველა მათ გაერთიანებას ცდილიყვნენ „ქრისტიანობის საერთო მტრის" (ოსმალეთის) წინააღმდეგ. მოსკოვში ეხლა უფლება ჰქონდათ ეფიქრათ, რომ სხვა ქართველი მეფე-მთავრებიც, რაკი ალექსანდრე კახთა მეფის გაბედნიერებას იხილავდნენ, მიჰბაძავდნენ მას და ხელმწიფის საფარველს მიაშურებდნენ.

---

65 Белокуров. Сношения..., 235.

66 იქვე, 227.

67 იქვე, 242, 244.

68 იქვე, 242.

69 იქვე, 247—248.

1591—92 წელს, ზამთარში რუსთა და ჩერქეზთ ლაშქარი მართლაც დაეცა საშამხლოს. შამხალი დაიჭრა ბრძოლაში, ერთი ციხეც წაართვეს მას[70], მაგრამ საქმე ამის იქით არ წასულა. რუსთა მცირე მხედრობას საშამხლოს იარაღით დაპყრობა არც ჰქონია მიზნად. მას უნდა შამხალი მოსკოვის მეფის მორჩილებაში მოეყვანა. შამხალი კი დამორჩილებას არ აპირებდა. რუსთა ჯარი უკან დაბრუნდა.

ჯერ კიდევ 1588 წელს ხუდაბანდა-შაჰის ელჩს, ანდი-ბეგს, ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარებისა და კავშირისათვის მოსკოვის კარზე მისულს, რუსმა დიპლომატებმა შესჩივლეს, რომ შამხალი, როგორც ეს კახეთიდან რუსმა ელჩებმა მოიწერეს, რუსეთს მტრობდა: შამხალს ოსმალეთის ხონთქრისათვის ელჩი გაუგზავნია, მოსკოვის მეფის განზრახვა თერგზე ციხის ჩადგმის შესახებ უცნობებია მისთვის და უთხოვია, რომ ოსმალეთმა დაასწროს, დაუყოვნებლივ ციხე ჩადგას თერგზე და ამით შამხლის ქვეყანა რუსეთის მიერ დაპყრობისაგან დაიცვას, თორემ, თუ მოსკოვმა დაასწრო და თერგზე ციხე ჩადგა, შამხალი მოსკოვის მეფის ყმობას ვერ ასცდება. მეორე მხრით, შამხალმა ჩერქეზი ალკას მურზა დაატყვევა იმიტომ, რომ უკანასკნელმა კახეთს მიმავალი რუსი ელჩები თავის ქვეყანაზე გაატარა და ისინი კახეთის საზღვრამდის მიაცილა; და ყველაფერი ეს იმ დროს, როცა შამხალი მოსკოვის მეფეს ელჩებს უგზავნიდა და თაყვანისცემით არწმუნებდა, რომ მის მაღალ მფარველობაში შესვლა სურდა. რუსმა დიპლომატებმა სთხოვეს ანდიბეგს, ნამდვილი აცნობოს. თუ როგორ მორჩილებს შამხალი შაჰს. (Белокуров. Сношения... 563).

მოსკოვში კარგად იცოდნენ, რომ შამხალი შაჰის ყმა იყო; იცოდნენ, რა თქმა უნდა, ისიც, რომ შაჰის უდასტუროდ მის ყმაზე ხელის დადების ცდა მეგობრობაში არ ჩამორთმეოდა მოსკოვის მეფეს. რუსი დიპლომატების ცდაც იქით იყო მიმართული, რათა დახმარება-მეგობრობის მათხოვარ შაჰისაგან, ნაგვიანევად მაინც, მიეღოთ იმის ფორმალური დასტური, რის შესრულებაც მოსკოვმა უკვე შაჰის უდასტუროდაც დაიწყო. შაჰთან საუბრის ჩამოგდებით შამხლის ორგულობაზე, პირისმტეხელობაზე და ოსმალეთის მომხრეობაზე მოსკოველი დიპლომატები საამისო ნიადაგს სინჯავდნენ.

შაჰის ელჩმა პასუხად მხოლოდ რუსი დიპლომატების ნათქვამი დაადასტურა შამხლის უპირობის შესახებ და იმედი გამოსთქვა, რომ ერანის შაჰი და მოსკოვის მეფე, რაკი დამეგობრდებიან, ორგულ შამხალსაც ადვილად დაიმორჩილებენ (Белокуров. Сношения..., 564).

მოსკოვის მეფის ელჩს ვასილჩიკოვს (1588—89 წწ.) ნაბრძანები ჰქონდა მოეხსენებინა შაჰისათვის, რათა მას თავისი ყმა, შამხალი, მტკიცე მორჩილებაში მოეყვანა, რომ შამხალს და მის შვილებს შაჰის ორგულობა ვეღარ გაებედნათ, როგორც ეს აქამდის იყო, როცა შამხალი შაჰს მორჩილებდა, მას მსახურებდა და ამავე დროს კი ოსმალთა ფაშას ყიზილბაშთა წინააღმდეგ სამოქმედოდ მოუწოდებდა (Белокуров. Сношения... 564). ასეთი რჩევის უფლებას მოსკოვის მეფეს საერთო საქმის ინტერესი აძლევდა: მოსკოვში პრინციპულად მისაღებად სცნეს შაჰის წინადადება მეგობრობისა და ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო გა-

---

70 იქვე, 255—266.

ლაშქრების შესახებ; რუსთა ლაშქრობა ოსმალეთის წინააღმდეგ ყირიმს ან შარვანს იგულისხმებოდა; ამ საქმეში წარმატებისათვის მოსკოვში აუცილებლად მიაჩნდათ ოსმალეთის წინააღმდეგ ამხედრება იმიერ და ამიერკავკასიის ხალხებისა, რომლებიც მოსკოვის სარდლების საერთო ხელმძღვანელობით იომებდნენ (Белокуров. Сношения..., 564); Веселовский..., Памятники..., 91—92). შამხალის პოზიცია ასეთ პირობებში მეტად მნიშვნელოვანი გარემოება იყო.

შაჰ-აბასის ვეზირი ფარჰად-ხანი შეჰპირდა ვასილჩიკოვს, რომ შაჰი საჭირო ზომებს მიიღებდა, რათა ხსენებული მთავრები (და მათ შორის შამხალიც) ყველანი მოსკოვისა და შაჰის ჯარებთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ამხედრებულიყვნენ (Веселовский..., Памятники..., 91—92),

ერან-მოსკოვის ურთიერთობაში, ამრიგად, შამხლის საკითხმა თავიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. შამხალი ერანის შაჰის ყმა იყო. ერან-ოსმალეთის ომში ეს მთავარი სულ უფრო და უფრო ოსმალთა გავლენის ქვეშ მოექცა. ერანის მიერ შარვანის დაკარგვის შემდეგ შაჰისა და შამხლის პატრონ-ყმობა არსებითად შეწყდა. მაგრამ შაჰი, რა თქმა უნდა, ამის შემდეგაც შამხალს თავის ყმადა სთვლიდა.

კავკასიაში მოსკოვის სახელმწიფოს აქტიურმა გამოსვლამ შამხალი შეაშფოთა. რუსეთ-კახეთის კავშირი და თერგზე ციხე, მოსკოვი რომ ჩადგმას აპირებდა, შამხალს მეტად სახიფათო მდგომარეობაში აყენებდა. მოსკოვ-კახეთის ეს ღონისძიებანი, უპირველეს ყოვლისა, შამხლის გასატეხად ჩანდა მიმართული. შეეიწროებული ერანი შამხალს ეხლა ვერ უპატრონებდა. ერთადერთი იმედი ოსმალეთი ჩანდა. და შამხალმაც მას მიჰმართა და თერგზე ციხის ჩადგმა სთხოვა, რათა მოსკოვისათვის დაესწრო და ის (შამხალი) მოსკოვის ხელმწიფის მორჩილებისაგან ეხსნა.

კავკასიაში პოლიტიკური გამოსვლისათვის მოსკოვმა მეტად ხელსაყრელი დრო შეარჩია. ოსმალეთის მიერ დამარცხებული ერანი რუსეთს მეგობრობასა და კავშირს სთხოვდა. მომავალ მოკავშირეს შაჰი დიდმნიშვნელოვანი ადგილების, ბაქო-დარუბანდის, დათმობასაც კი აღუთქვამდა. მოსკოვი ხერხიანად სარგებლობდა ერანის სიძნელეებით და საერთო საქმეში (ოსმალთა წინააღმდეგ მომავალი ლაშქრობა) წარმატების საბაბით შამხლის დამორჩილებაში მეგობრისაგან დასტურსა და დახმარებას მოითხოვდა. ამით მოსკოვი საშამხლოზე შაჰის უფლებას აღიარებდა. მაგრამ ისიც კარგად ჩანდა, რომ მეგობარს შაჰისათვის ამ ორგული ყმის (ისევე როგორც საქრისტიანო კახეთის) წართმევა განეზრახა.

შაჰ-აბასი კარგად იყო მიხვედრილი მეგობრის განზრახვას. ამიერიდან საშამხლოს საკითხი (ისევე როგორც კახეთის საკითხიც) დიპლომატიური ბრძოლის საგანი იყო ერან-მოსკოვის პოლიტიკურ ურთიერთობაში. შაჰ-აბასი საშამხლოს პატრონობას არ ეხსნებოდა და მოსკოვთან დამოკიდებულებაში შამხლის მოქმედების კონტროლს იჩემებდა. ასეთ პირობებში, ვიდრე მოსკოვის მეფესა და ერანის შაჰს შორის პოლიტიკური მეგობრობა გრძელდებოდა, რუსეთი საშამხლოს ძალით დაპყრობას, შაჰის უდასტუროდ, ერიდებოდა. შაჰი კი ასეთი დასტურის მიცემას დაჟინებით გაურბოდა.

ამავე დროს შამხალი აქტიურად მოქმედებდა. კახეთს არბევდა და ოსმალეთს რუსეთ-კახეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ მოუწოდებდა.

კახეთის მეფე კი წყალობის წიგნით ნაკისრ ვალდებულების შესრულებას

(ე. ი. საშამხლო-დაღისტნის დაპყრობას და თერგ-კახეთის გზის გახსნას) მფარველისაგან დაჟინებით ითხოვდა.

და მხოლოდ 1591 წელს, როცა ერან-ოსმალეთს შორის ზავის დადების გამო რუსეთ-ერანის პოლიტიკური მეგობრობა დროებით შეწყდა, მოსკოვმა შამხლის დასამორჩილებლად უფრო მოქმედ საშუალებას მიმართა (1591 წელს 19 აპრილს ბორის გოდუნოვი ალექსანდრე მეფის ელჩებს, თავად სოლომონს და ხურშიტ-აღას, შამხლის წინააღმდეგ რუსთა ლაშქრობის დაყოვნების სხვა მიზეზსაც უსახელებდა: ყირიმელი უფლისწული მურად-გირეი რუსთ ხელმწიფეს მისვლოდა; ამ უფლისწულს შამხლის ქალი ცოლად ჰყავდა; მურად-გირეიმ სთხოვა ხელმწიფეს, არ გაეგზავნა ლაშქარი საშამხლოს დასაპყრობად და აღუთქვა მას, რომ თავის სიმამრს უომრად დაუმორჩილებდა. და იგულისხმეო, ეჰლა, როცა ეს იმედი არ გამართლდა, ლაშქარიც იგზავნება შამხალის გასატეხადო, დაასკვნიდა გოდუნოვი (Белокуров. Сношения.., 231). გოდუნოვის მიერ მოთხრობილი ფაქტი მართლაც იყო, მაგრამ ის სრულიადაც არ გამორიცხავს ჩვენ მიერ ნავარაუდევ მიზეზს. პირიქით, ყირიმელი უფლისწულის აჯის შეწყნარება, შამხლის დალაშქრვისაგან თავის შეკავება და მისი უომრად დამორჩილების ხანგრძლივი ცდა, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, ჩვენ მიერ ზემორე აღნიშნულ ამ მთავარ მიზეზს ემყარებოდა).

შამხალი ნიჭიერი პოლიტიკოსი და უშიში მეომარიც იყო. ეს მთავარი საფრთხეს არ შეუშინდა და ენერგიულად იბრძოდა. მის დასამორჩილებლად მოსკოვში ნავარაუდევი საშუალება არ აღმოჩნდა საკმაო და შამხალიც ამხელად გადარჩა.

1592 წელს კახეთიდან დაბრუნებულ რუს ელჩებს მოსკოვს თან მიჰყვნენ ალექსანდრეს ელჩებიც (თავადი იორამი და კირილე არქიმანდრიტი).

მოსკოვის მეფისადმი მოხსენებაში ალექსანდრე მწუხარებით აღნიშნავდა, რომ შამხალი ძველებურად მტრობს კახეთს. სთხოვდა მოსკოვის მეფეს, მეთოფეთა დიდი ჯარი გამოგზავნოს და მას ტარკის აღება და შემდეგ ხუნძახის დაპყრობა უბრძანოს, რომ გზა კახეთიდან თერგ-ასტრახანზე გაიხსნას.

ამავე დროს მეფე საკუთარი პოლიტიკური საქმიანობის შედეგსაც აცნობებდა მფარველს. ალექსანდრე მეფეს მეგობრობს და მის კარზე არის შამხლის მეტოქე კრიმ-შამხალი, გიორგი უფლისწულის სიმამრი, რომლის მხარეზეა ყუმუხების ნახევარი. ამის გამო შამხლის ძალა შესუსტებულია: იქ ურთიერთშორის ბრძოლაა გაჩაღებული. დასასრულ, არც ამ მოხსენებაში ავიწყდება კახთა მეფეს ზარბაზნის ჩამოსხმისა და სროლის ოსტატების თხოვნა[71].

---

71 Белокуров. Сношения..., 253—254, 256. ალექსანდრე მეფის ამ წიგნში განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ადგილი: დიპლომატი მეფე, ხელმწიფეზე ზემოქმედების მიზნით, ცდილობს კახეთის დაცვის საქმე მოსკოვის სახელმწიფოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის აჯა-მოხსენებას ალექსანდრე უგზავნის ბორის გოდუნოვს და მასა სთხოვს ხელმწიფის წინაშე შუამდგომლობას[72].

ამ დროს მოსკოვში კახეთის საქმეები თედორე მეფემ ბორის გოდუნოვს მიანდო[73]. უკანასკნელის ინიციატივით მართლაც გადაწყდა შამხლის წინააღმდეგ „დიდი ლაშქრის" გაგზავნა. სარდალს ხვოროსტინინს დაევალა აეღო ტარკი, დაელაშქრა ყუმუხები, გაეხსნა და გაეწმინდა კახეთ-თერგის გზა[74].

გოდუნოვმა ენერგიულად დაიწყო. ხუთმეტი ათასი მეთოფის გაგზავნა შამხლის წინააღმდეგ ალექსანდრე მეფეს აცნობა (ეს რიცხვი, რა ი,ქმა უნდა, ვაბერილი იყო) და ხელდებულს მთელი რიგი ბრძანება აუწყა: გიორგი ბატონიშვილი კახეთის ჯარით და კრიმ-შამხალი ტარკს უნდა ხლებოდნენ რუსთა ჯარის სარდალს, რათა საშამხლო საერთო ძალით დაეპყრათ[75]. ტარკში კი შამხლის ადგილზე კრიმშამხალს დასვამდნენ. ალექსანდრე მეფეს თავისი შვილი გიორგი ან შვილისშვილი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მოსკოვს უნდა გაეგზავნა დიდხელმწიფის სათაყვანოდ. ამავე დროს მას ძმისშვილების სამუდამოდ მოსკოვში გაგზავნას სთხოვდნენ. გარდა ამისა, ალექსანდრე მეფეს შაჰ-აბასის კარიდან უნდა გამოეყვანა მძევალი

პრესტიჟის საკითხად წარმოუდგინოს მფარველს. „ეხლა უკვე ყოველ ქვეყანაში ხმა გასულია, ყველა მტერმა და მოყვარემ ჩვენი საქმე იცის, რომ დიდმა ხელმწიფემ ალექსანდრე მეფეს მფარველობის ხელი დასდო"—სწერს კახეთის მეფე. ხოლო თუ რა უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა პრესტიჟის საკითხს, ამის შესახებ არა ერთხელ სწერდა ხელდებული მფარველს: კახეთის მფარველობის რეალიზაციაზე იყო დამოკიდებული არა ერთი ქართველი მეფე-მთავრის მიერ მოსკოვის საფარველს ქვეშ შესვლა...

72 იქვე, 255—256.

73 იქვე, 262.

74 იქვე, 256.

75 სწორედ ამ დროს (1593—1594 წწ.) შაჰ-აბასის ელჩი, აჯი ხოსროვ, მოსკოვს იმყოფებოდა. შაჰს 1590 წელს შეწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა სურდა. მოსკოვიც არ იყო ამ ურთიერთობის განახლების წინააღმდეგი, ოღონდ ცდილობდა ესარგებლნა მოხერხებული შემთხვევით და „მეგობრისაგან" ხელშესახები დათმობანი მიეღო..., ბორის გოდუნოვთან აუდიენციისას შაჰის ელჩს სიტყვა ჩამოუგდეს, რომ მოსკოვის მეფემ კახეთის მეფის მფარველობა იკისრა და რომ შამხალი კახეთის მტრობას არ იშლის. ამიტომ ხელდებულის დასაცავად და ორგული შამხლის გასატეხად ხელმწიფის დიდი ჯარი გაიგზავნაო, აცნობა ბორის გოდუნოვმა ელჩს აჯი ხოსროვს (В е с е л о в с к и й. Памятники..., 186—187).

კონსტანტინე ბატონიშვილი და მოსკოვს გაეგზავნა[76] (შაჰ-აბასთან საამისო შუამდგომლობას მოსკოვის მეფე ჰპირდებოდა ალექსანდრეს). ამიერიდან კი კახთა მეფეს რუს-ხელმწიფის ნებართვის გარეშე არავისთვის არც ვაჟი, არც ქალი არ უნდა მიეცა[77].

რუსთა „დიდი ჯარი" მართლაც გაიგზავნა შამხლის წინააღმდეგ. სარდალმა ხვოროსტინინმა ზღვის ნაპირის ადგილები აიღო. მდინარე კოისუზე ციხე ააგო და ტარკის აღებას ცდილობდა. ეს იყო 1594 წელს[78].

ალექსანდრემ რუს-ხელმწიფეს და გოდუნოვს არა ნაკლებ ენერგიული და დიპლომატიური პასუხი გასცა. კახეთის მეფეს არ აკმაყოფილებდა რუსთა ჯარის მცირე წარმატება. თითონ კი მისდა მისაშველებლად არ იძვროდა: ეშინოდა, რომ სათნოება უგუნურებად არ გადაქცეოდა[79]. სანამ რუსთა მხედრობას შამხალი არ გაეტეხა, კახთა მეფე ვერ გამოვიდოდა, რადგან მფარველის ჯარის უკუქცევის შემთხვევაში შამხალს ოსმალთა ფაშებიც მიეშველებოდნენ და კახეთსაც გაათავებდნენ. ამიტომაც ალექსანდრე კატეგორიულად მოახსენებდა თედორე მეფეს: სანამ ხელმწიფის ჯარი ყაზიყუმუხში ციხეს არ ააგებს, ე. ი. სანამ საშამხლოსა და დაღისტანს არ დაიპყრობს და თერგ-კახეთის გზას არ გახსნის, მანამდის კახეთიდან ვერც მოციქული, ვერც ვაჭარი და ვერც ლაშქარი საშამხლოში მომქმედ რუსთა მხედრობასთან ვერ მივა.

---

76 საშამხლოს საკითხთან ერთად მოსკოვის დიპლომატებს არც კახეთის საკითხი ავიწყდებოდათ; მოხერხებულად სცადეს, რათა შაჰს მოსკოვ-კახეთის მფარველობა-ხელდებულობის აქტი, თუ ოფიციალურად არა, არაპირდაპირ მაინც ეცნო. მეფე-ბოიარების ბჭობის თანახმად ბორის გოდუნოვმა მისწერა შაჰ-აბასს, რომ „ძმური სიყვარულის" ნიშნად ალექსანდრე კახთა მეფის მძევალი ერანის კარზე, ბატონიშვილი კონსტანტინე, ხელმწიფისათვის დაეთმო და მოსკოვს გამოეგზავნა (Веселовский. Памятники..., 216—217).

77 Белокуров. Сношения..., 261—262. გოდუნოვი ენერგიული ჩანს. მას სურს საქმით, რეალურად, დაიცვას ხელდებული, მაგრამ ერთგულება-მორჩილების ახალ ნიშნებსაც მოითხოვს მისგან. მოსკოვის კარის ასეთი ნაბიჯი მოულოდნელს არაფერს შეიცავდა. მხოლოდ ეს იყო, რომ ჯერჯერობით, სანამ მფარველს თავისი მთავარი ვალდებულება ხელდებულის მიმართ ვერ შეესრულებინა, ყველაფერი ეს უსაფუძვლოდ გამოიყურებოდა.

78 იქვე, 266, 273, 301; შესავალი, CV; იხ. აგრეთვე Полное собрание Русских летописей, XIX, 45-46 (ვსარგებლობ Э. С. Зевакин-ის მიერ ამოკრებილი მასალით: Материалы о сношении с Персией, 62).

79 კახეთიდან საშამხლოზე ლაშქრობის შეუძლებლობას ალექსანდრე მეფე დაღისტნის მიუდგომლობით უსაბუთებდა მფარველს (თუმცა მოსკოვში ამ საბუთებისა არა სჯეროდათ.).

საერთო საქმეში მონაწილეობის სახით ალექსანდრე მეფე შესაძლებლად სცნობდა კახეთის მოსაზღვრე ერთი მცირე დაღისტნური თემი დაერბია[80]. ბატონიშვილი გიორგის თუ კონსტანტინეს მოსკოვს გაგზავნის შესახებ ალექსანდრე დიპლომატიურად დუმდა. ხოლო მოღალატე ძმისწულების გაგზავნას ენერგიულად და კატეგორიულად უარყოფდა[81].

ალექსანდრე მეფე ამ წიგნს ბორის გოდუნოვსა სწერს. იწყებს ის მოსკოვის მეფის წყალობის სიგლის მოხსენიებით. შემდეგ აღნიშნავს, რომ ხელმწიფემ ხვოროსტინინის სარდლობით შამხალ-ხუნძახის წინააღმდეგ მართლაც დიდი ლაშქარი გამოგზავნა. კახეთის მეფის აზრთა მსვლელობა აშკარაა: ხელდებული ადასტურებს, რომ მფარველმა ნაკისრი მოვალეობის შესრულება იწყო. შემდეგ ალექსანდრე მეფეს მოჰყავს ადგილი იმ წიგნიდან, რომელიც მას ხვოროსტინინის ლაშქრობასთან დაკავშირებით მფარველისაგან მიუღია (ეს წიგნი კახეთის მეფეს ბორის გოდუნოვმა გამოუგზავნა): „А государь писал: Божьим произволеньем в которые поры Шевкалского повоюют и через Кумыцкую землю дорогу очистят и всю Кумыцкую землю под его царскую руку покорим (sic, ნ. ბ.) и мне б в те поры прислати к воеводам сына своего царевича Юрья с своею ратью на помочь“ (Белокуров. Сношения.., 263). ჩვენც ხელმწიფის ბრძანების აღმასრულებელი ვართო. დაასკვნიდა ალექსანდრე მეფე და შემდეგ განაგრძობდა: ხვოროსტინინმა ძლიერად ილაშქრა, საშამხლოს ზღვისპირა ადგილები დაიპყრო, მაგრამ ის ხელმწიფის ლაშქრითურთ ჯერ კიდევ შორსა დგას და კახეთ-თერგის გზაც არ გაწმენდილაო... და, როგორც კი ყუმუხის ქვეყანაზე გზა გაიწმინდება, ჩვენც ხელმწიფის სარდლებთან გიორგი ბატონიშვილს ჩვენის ლაშქრით გამოვგზავნითო. (Белокуров. Сношения.., 263).

ზემომოტანილი ამონაწერის შედარებიდან გოდუნოვის წიგნის შესაბამის ადგილთან ირკვევა, რომ კახეთის მეფეს სულ სხვაგვარად ესმის, ან უკეთ, სულ სხვაგვარად სურს გაიგოს მფარველის „ბრძანება“. მოსკოვის მეფე (ბორის გოდუნოვის პირით) ალექსანდრე მეფეს კი ატყობინებდა, რომ მისი ვედრების თანახმად შამხალ-ხუნძახზე დიდი ლაშქარი გაიგზავნა და უბრძანებდა: „чтоб

კახთა მეფეს სხვა უფრო საპატიო მიზეზიც ჰქონდა იმისა, რომ ქართველთა ჯარი ხევ-ყაბარდოს გზით სუნჯა-თერგზე რუსეთის ჯართან შესაერთებლად არ გაეშვა, თუნდაც რომ ეს შორი გზა უზრუნველი ყოფილიყო. ლაშქრობის დამარცხებისას კახთა მეფის ჯარი ამ უცხოეთში შეიძლებოდა სულ ერთიანად განადგურებულიყო; და მეორე, ვიდრე ეს ამოდენა ძალა აგრე დიდის ხნით უცხოეთში იქნებოდა, დაუცველად დარჩენილი კახეთი მეზობელ დაღისტნელების სარბევ-სათარეშოდ გადაიქცეოდა (Белокуров. Сношения.., 385).

ასეთ სახიფათო ლაშქრობას ფრთხილი ალექსანდრე, რა თქმა უნდა, არ გადასწყვეტდა და არც კახეთის ფეოდალები დაუმტკიცებდნენ მას ასეთ ომს.

80 Белокуров. Сношения..., 262.

81 იქვე, 264.

Александр царь к Таркам послал от себя рать свою с сыном своим с царевичем Юрьем и с тестем его Крым-Шевкалом, сослався царского величества с околничим и воеводою со князем Ондреем Ивановичем Хворостининым с товарыщи, чтоб им прити на Шевкала царского величества с воеводами вместе и великого государя нашего его царского величества и своим делом велел бы им промышляти с воеводами вместе, чтоб Шевкала извоевать и разорить" (Белокуров. Сношения.., 257).

ამრიგად, საშამხლოს დამორჩილებისა და თერგ-კახეთის გზის გაწმენდის საკითხში მფარველი და ხელდებული სხვადასხვა შეხედულებისანი აღმოჩნდნენ. მოსკოვის მეფის აზრით, შამხლის წინააღმდეგ ლაშქრობა და თერგ-კახეთის გზის გახსნა, რუსეთისა და კახეთის საერთო ძალით უნდა შესრულებულიყო (აქვე იგულისხმებოდა სხვა კავკასიელ ხელდებულთა დახმარებაც), ალექსანდრეს აზრით კი ეს საქმე მხოლოდ მფარველის მოვალეობას შეადგენდა.

ამ საკითხის შესწავლიდან შემდეგი ირკვევა.

ალექსანდრე მეფეს ჯერ კიდევ 1586 წელს უთხოვია მოსკოვის მეფისათვის იმ გზის დაჭერა მუსლიმანთა ქვეყანაზე გავლით რუსეთიდან რომ კახეთს მოდიოდა (Белокуров. Сношения.., 15). ასევე 1587 წელს, რუს ელჩებსა და ალექსანდრე მეფეს შორის დიპლომატიური მოლაპარაკებისას, კახეთის მეფე ხელდებულობის ფიცის მიღების წინ სრულიად გარკვეულად სვამდა საკითხს, რომ მოსკოვის მეფის მიერ კახეთის მფარველობა რეალური მხოლოდ მას შემდეგ იქნებოდა, რაც თერგ-კახეთის გზა, საშამხლოზე რომ გადიოდა, რუსეთის ძალით გაიწმინდებოდა.

თერგ-კახეთის გზის დაცვის საკითხი უშუალოდ უკავშირდებოდა შამხლის მტრობისაგან კახეთის დაცვის საკითხს. ეს უკანასკნელი კი იყო ის საკითხი, რომელიც ამხელად კახეთის „ყველა მტრისაგან დაცვის" ზოგად ფორმულაში უპირველეს ყოვლისა კონკრეტულად იგულისხმებოდა. შამხალ-ლეკთა მტრობისაგან კახეთის დაცვა იყო ალექსანდრე მეფის უმთავრესი სათხოვარი მფარველის წინაშე და კახთა მეფის ხელდებულობის უმთავრესი პირობაც (Белокуров. Сношения.., 61). ალექსანდრე მეფის ენაზე, მაშასადამე, ეს გზა მხოლოდ ეკონომიური კატეგორიის მოვლენა როდი იყო. თერგ-კახეთის გზის საკითხის გადაჭრა, კახთა მეფის აზრით, რუსეთ-კახეთის მფარველობა-ხელდებულობის რეალიზაციის აუცილებელი წინასწარი პირობა იყო.

გასაგებია, ამ საკითხის გადაჭრის სასურველი ფორმა კახთა მეფისათვის სრულიად გარკვეული იყო: თერგ-კახეთის გზა თერგის ციხიდან კახეთის საზღვრამდის მოსკოვის უშუალო მფლობელობაში უნდა ყოფილიყო. ამიტომაც იყო, რომ მფარველის გეგმა ამ საკითხში ალექსანდრე მეფეს არ აკმაყოფილებდა. მოსკოვი საკმაოდ სთვლიდა, თუ შამხალი რუს ხელმწიფის მფარველობას მიიღებდა, ხელმწიფის ხელდებულ ალექსანდრე კახთა მეფის მტრობას მოშლიდა, თერგ-კახეთის გზას გახსნიდა და ამ გზაზე მშვიდობიან მიმოსვლას უზრუნველყოფდა (Белокуров. Сношения.., 100).

შამხლის მტრობისაგან კახეთის დაცვა და თერგ-კახეთის გზის გახსნა მოსკოველი მფარველის მოვალეობა იყო კახელ ხელდებულის წინაშე. ამას რუსი დიპლომატები არაერთხელ ოფიციალურად აღნიშნავდნენ (Белокуров. Сно-

шения.., 62, 57, 77, 79, 85, 96, და სხვ.). ამ მოვალეობას ითვალისწინებდა „წყალობის წიგნის“ ერთ-ერთი მუხლიც: „и мы великий государь царь и великий князь Федор Иванович всея Русии тебя, Александра царя, и твоих детей и всю твою Иверскую землю пожаловали, под свою царскую руку приняли и обороняти тебя и твою землю ото всех твоих недругов нашим Астраханским и Терским воеводам велели есмя и на нашего непослушника, а на твоего недруга, на Щевкала рать свою послать и дорогу в наше государство ис твоей Иверской земли очистить велим“ (Белокуров· Сношения.., 88).

შამხლის მტრობისაგან კახეთის დაცვისა და თერგ-კახეთის გზის გაწმენდის საქმეს ემსახურებოდა თერგის ციხე. ის ხომ, როგორც რუსი დიპლომატები ამტკიცებდნენ, კახელი ხელდებულის დასაცავად იქმნა აგებული და ალექსანდრე მეფეც შამხლის მტრობისაგან კახეთის დასაცავად მოყვანილ რუსთა ჯარის, თერგის ციხის მეციხოვნეების, შენახვის ხარჯად ყოველწლიურ „მოსაკითხს“ უგზავნიდა მფარველს (Белокуров. Сношения.., 20, 24, 38, 39, 40, 96...).

ამ საფუძველით კახეთის მეფეს უფლება ჰქონდა ემტკიცებინა, რომ მოსკოვის მეფისათვის ყოველწლიური მოსაკითხის გაგზავნით ის ხელდებულის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა და მფარველისაგან შესაბამისი მოვალეობის შესრულება (საშამხლოს დაპყრობა და თერგ-კახეთის გზის გახსნა) დაჟინებით მოეთხოვა.

თერგ-კახეთის გზის გახსნა და მისი უშიშარყოფა, როგორც ვხედავთ, მოსკოვ-კახეთის მფარველობა-ხელდებულობის აქტით გათვალისწინებული იყო და ამ საქმის შესრულებას მფარველი ოფიციალურად ივალებდა. ეს გზა შამხალ-ყუმუხების ხელთ იყო. შამხალი კახეთის შეურიგებელი მტერი იყო, ხოლო მოსკოვის ურჩი — (непослушник). კახეთშიაც და მოსკოვშიაც იმ აზრისა იყვნენ, რომ თერგ-კახეთის გზის გასახსნელად საჭირო იყო შამხლის დამორჩილება. მაგრამ შამხლის დამორჩილება და გზის გაწმენდა, რაც თავდაპირველად აგრე ადვილ ამოცანად ესახებოდათ მოსკოვში, ძნელი საქმე აღმოჩნდა.

შამხალი ნიჭიერი პოლიტიკოსი იყო, შეუპოვარი მეომარიც. თავისი ქვეყნის საკითხი მან ოსტატურად გახლართა რუსეთ-ერან-ოსმალეთის პოლიტიკურ ინტერესთა რთულ თხზულში. შამხალი მოსკოვს ზოგჯერ ხმლით ებრძოდა, ზოგჯერ კიდევ მოსაჩვენარ მორჩილებას უცხადებდა, ფეხს ითრევდა, დროს იგებდა (ოსმალეთს, ხან ერანს ესაქმებოდა) და ამავე დროს კახეთს სასტიკად არბევდა და არც თერგ-კახეთის გზის გახსნას აპირებდა. მოსკოვი ერან-ოსმალეთის ინტერესებს ანგარიშს უწევდა და საშამხლოს დამორჩილების საქმეში მტკიცე და გადამწყვეტ ნაბიჯს ვერა სდგამდა... სხვადასხვა საშუალებით ცდილობდა მოსკოვი შამხლის დამორჩილებას, მაგრამ არც ერთი მათგანი ის არ იყო, რასაც ალექსანდრე მეფე საჭიროდ სცნობდა. როგორც ზემორე აღვნიშნეთ, კახეთის მეფე იმთავითვე ნათლად და გარკვეულად სვამდა საკითხს: რუსეთს კახეთის მფარველობა მაშინ შეეძლება, რუსეთ-კახეთის მფარველობა-ხელდებულობა რეალური მაშინ იქნება, როცა თერგ-კახეთის გზა მაჰმადიანთა ხელში აღარ იქნება, ე. ი. როცა საშამხლო-დაღისტანს რუსეთი დაეუფლება.

მეორე მხრით, მფარველობა-ხელდებულობის პირობის თანახმად კახეთის დაცვა „ყველა მტრისაგან“ (და, მაშ, შამხლისაგან) მფარველის უმთავრეს მოვალე-

ობას შეადგენდა (Белокуров. Сношения.., 88). . ასე რომ, ალექსანდრე მეფე არსებითად მართალი იყო, რომ გზის გახსნასაც და შამხლის ღამორჩილებასაც მხოლოდ მფარველს ავალებდა.

მაგრამ მფარველობა-ხელდებულობის პირობაში გათვალისწინებული იყო სხვა მუხლიც, რომელიც მფარველს, თუ არსებითს არა, ფორმალურ სიბუთს აძლევდა შამხლის დამორჩილების საქმეში ხელდებულისათვის მონაწილეობის მიღება მოეთხოვა. წყალობის წიგნის ამ მუხლში ნათქვამი იყო: „А которые будет князи и мурзы нашему царскому величеству непослушны будут и к нашей отчизне к Астарахани и к Терскому городу не пристанут и в нашем жалованье быти не хотят — Шевкал и Черкаские и горские князи хто из них — и тебе, Александру царю, и твоим детем и всей твоей Иверской земле на тех на всех наших непослушников с нашими с Астараханскими и с Терскими воеводами самому на них ходити и рат своя посылати и в нашу волю их к нашей отчине к Астрахани и к Терскому городу под нашу царскую руку приводити с нашими людми вместе и заклады у них имати для укрепленья, что им с нашими воеводами и с тобою вместе стояти заодин на всех наших недругов (Белокуров. Сношения..., 88—89).

ამ მუხლის საფუძველზე მოსკოვის პოლიტიკოსები ალექსანდრე მეფეს რუს ვოევოდებთან ერთად შამხლის წინააღმდეგ ლაშქრობას ავალებდნენ (Белокуров. Сношения.., 265 და სხვ.).

როგორც აღვნიშნეთ, თერგ-კახეთის გზის გახსნა გაძნელდა. მფარველი პირობას ვერ ასრულებდა. ხელდებულს ეჭვი შესდიოდა მოსკოვის განზრახვებში და ალექსანდრე მეფეც შესაფერის ღონისძიებებს იღებდა. ერთი მხრით დიპლომატიური ზეგავლენით ის ცდილობდა მფარველის აქტიურობა გაეძლიერებინა, ხოლო მეორე მხრით თითონ სიფრთხილეს უმატებდა და პირობის შესრულების სიმძიმეს მფარველს აკისრებდა.

ამასობაში ხვოროსტინინმა ტარკი აიღო, მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა, შამხალს ყუმუხები და ჩერქეზები მიეშველნენ და რუსთა სარდალს სამი ათასი კაცი დაუხოცეს. ხვოროსტინინი დამარცხებული ლაშქრით თერგს დაბრუნდა[82].

თავის მოხსენებაში ალექსანდრე კვლავ დაჟინებით სთხოვს მფარველს „წყალობის სიგლით“ აღნათქვამის შესრულებას: საშამხლოს დაპყრობას, გზის გახსნას და ყაზიყუმუხში ციხის აგებას. ამავე მოხსენებაში ხელდებული აუწყებს მფარველს, რომ მისი ბრძანების თანახმად ის შეურიგდა თავის სიძეს სიმონს (ქართლის მეფეს) და იმედი აქვს, რომ ჩქარა გამდგარ მთავრებს: დადიანს, გურიელს და ათაბაგს მორჩილებაში მოიყვანს და ხელმწიფის საფარველს შეავედრებს[83].

---

[82] Белокуров. Сношения..., 266, 273, 301

[82] იქვე, 267, 276. ალექსანდრეს კარზე ჩასახული ეს გეგმა საქართველოს გაერთიანებისა რუსეთის დახმარებით და მის მოკავშირედ.

კახთა მეფემ ხელმარჯვედ ისროლა. მოსკოვის სამეფო კარი, მართალია, თავისი ხელდებულის კმაყოფილი არ იყო[84], მაგრამ ოსმალეთთან ქიშპში ან კიდევ ერანთან ურთიერთობაში კახეთის მეფის ხელდებულობა ძვირფასი რამ იყო მოსკოვისათვის. კიდევ უფრო მიმზიდველი ჩანდა ის პერსპექტივი, ალექსანდრე მეფე რომ ოსტატურად უთვალისწინებდა თავის მფარველს: ყველა ქართულ სამეფო-სამთავროს მოსკოვის მეფის მფარველობაში შეყვანა...

მიუხედავად უკმაყოფილებისა, მოსკოვის მეფე 1596 წელს ქართველ ელჩებთან ერთად თავის ელჩებსაც (სოვინი და პოლუხანოვი) ჰგზავნის კახეთის მეფესთან და მას აჯის შესრულებას ჰპირდება[85].

მაინც ამხელად შამხლის წინააღმდეგ ახალი ლაშქრის გაგზავნას ალექსანდრე მეფეს მფარველი არ აღუთქვამდა და დაპყრობის მაგივრად (რასაც კახეთის მეფე მოითხოვდა), როგორც ჩანდა, მოსკოვის მეფე საშამხლოს დამორჩილებითაც დაკმაყოფილდებოდა. ეს საქმე ბერგის ციხის სარდლებს ევალებოდა.

ეს მოვლენა მარტო იმ გარემოებით არ იყო გამოწვეული, რომ საშამხლოს დაპყრობა ძნელი საქმე აღმოჩნდა. ამოცანა კიდევ უფრო იმან გაართულა, რომ საშამხლოს საკითხში შაჰ-აბასი ეხლა აქტიურად ჩაერია.

(„ხელდებულად") ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა სამოქმედო პროგრამად იქცა XVII—XVIII ს-ში, რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის მთელს სიგრძეზე.

კახეთის მეფე ალექსანდრე ამ გეგმის ავტორია და თეიმურაზ I-ის წინამორბედი.

ალექსანდრე და თეიმურაზი (ისე როგორც სხვა შემდგომნი) ათასჯერ მართალი იყვნენ: საქართველოს გადარჩენა (ერეკლე მეორის ენით რომ გამოვთქვათ: საქართველოს „გამოხსნა და აღდგომა") მხოლოდ მისი გაერთიანებით შეიძლებოდა. ეს იდეა ქვეყნის გაერთიანებისა გვიანფეოდალურ საქართველოში არასოდეს გამქრალა და ამ საქმის მოღვაწენი არასოდეს გადალეულან. ხოლო ეს გაერთიანება ერანის ან ოსმალეთის საშუალებით არ შეიძლებოდა. ერანის ან ოსმალეთის დახმარებით უკეთეს შემთხვევაში საქართველოს გაერთიანება მხოლოდ მისი გაყიზილბაშების ან გაოსმალების პირობით შეიძლებოდა (ამას მოწმობენ სიმონ I-ის, ალექსანდრე II-ის, თეიმურაზ I-ის და სხვათა ცდები)... საქართველოს ბრძოლა ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ იყო ბრძოლა „ქართველობისათვის", ქართველთა ეროვნული არსებობის გადარჩენისათვის. არც ერთი დამპყრობელი თავისი გეგმიდან უკან არ იხევდა, საქართველოს არსებობას არასოდეს არ ურიგდებოდა და მუდამ მისი გაქრობისათვის იბრძოდა.

84 ხვოროსტინინის ლაშქრობის წარუმატებლობას მოსკოვის მთავრობა იმ გარემოებით ხსნიდა, რომ კახეთის მეფემ რუსთა ჯარს დაღისტანში თავისი ლაშქარი არ მიაშველა (Белокуров. Сношения.., 275).

85 Белокуров. Сношения..., 297.

ამ დროისათვის ერან-რუსეთის მეგობრული ურთიერთობა, მცირე ხნით რომ შეწყვეტილიყო, განახლდა. საქმის ინიციატორი შაჰი იყო (Веселовский. Памятники.., 168—169). ამას მოჰყვა ცხოველი დიპლომატიური მოლაპარაკები, რომლის მიზანი ოსმალეთის წინააღმდეგ საიდუმლო სამხედრო კავშირის დადება იყო. სწორედ ამ ხანებში იყო, რომ მოსკოვის მეფემ ხვოროსტინინი საშამხლოს დასაპყრობად გაგზავნა. შამხალმა შველისათვის შაჰს მიჰმართა. ეს მთავარი, ჩანს, კარგად ითვალისწინებდა ერან-რუსეთის წინააღმდეგობებს აღმოსავლეთ კავკასიის საკითხებში და იმედი ჰქონდა, რომ შაჰი მის ქვეყანას მოსკოვის მეფის მიერ დაპყრობისაგან დაიფარავდა. ასე ფიქრობდა შამხალი, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ერთგულებით ის თავის პატრონ-ყოფილის (ე. ი. შაჰის) წინაშე პირშავადაც კი იყო.

«А шевкалской де князь, послыша на себя государеву рать, посылал послов своих к шаху бити челом, что они изначала бывали подданные шаховы, и к ним к шахом посылывали дочерей своих, и ныне не идут на него на Шевекала государева рать, и ему пробыти негде. А государь де Московской с ним с шахом в дружбе, и шах бы де послал ко государю чтоб государь его Шевкала воевати не велел; а он Шевкал во всей государеве воле учинитца» (Веселовский. Памятники..., 286).

წასული ყმა, ამრიგად, შაჰს უკან დაუბრუნდა და მოსკოვის მეფის მიერ დაპყრობისაგან დახსნას შეევედრა. შამხალმა კარგად იცოდა, რომ შაჰი მისი გულისათვის მოსკოვის მეფესთან მეგობრულ ურთიერთობას ეხლა არ წაახდენდა, ამიტომაც ეს გონიერი პოლიტიკოსი მოსკოვს მორჩილება-გამგონეობას აღუთქვამ და, მაგრამ როგორც შაჰის ყმა და მისივ მოსაშუალეობით.

ოსტატური სვლა იყო: ოსმალეთის მიმდგური და რუსეთის ძალით გატეხილი შამხალი მოსკოვის მეფეს ხელიდან უსხლტებოდა და შაჰს უბრუნდებოდა.

ამ ვითარებით შაჰ-აბასმა მარჯვედ ისარგებლა. მოსკოვის მეფის ელჩი ზვენიგოროდსკი ერანს იყო, რომ შაჰმა საგანგებო რწმუნებული, ანდი-ბეგი, რუსეთს გაგზავნა. 1595 წლის 18 თებერვალს ანდი-ბეგი მოსკოვის მეფეს წარუდგა (Веселовский. Памятники... 293). თავისი რწმუნებულის პირით შაჰ-აბასმა „მეგობარს“ ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირი შესთავაზა (Веселовский. Памятники.., 295).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ელჩობის ეს უჩვეულო წესი, შაჰმა რომ მიჰმართა, მხოლოდ ამ დიდი საქმით არ ყოფილა გამოწვეული, არამედ (და შეიძლება ეს იყო უმთავრესი) იმ მცირე სათხოვარით, ანდი-ბეგმა გამოსათხოვარ აუდიენციაზე ბორის გოდუნოვს სხვათაშორის რომ განუცხადა: „год тому минул, как был посол Шевкалов у государя нашего шахова величества, Утемишем зовут, а братья посла того ныне на Терке сидят засажены, и тот посол говорил шахову величеству, чтоб шахово величество со мною приказал к Москве х тебе, чтоб государь Шевкалову визу отдал, а Шевкал государю добьет челом и заклад даст. И ныне только будет государю годно и тебе, и государь бы меня велел отпустить в Астороxань, и как яз буду в Астороxани..., и сошлюся с Шевкалом, и шахов приказ ему прикажю, чтоб он государю добил челом и заклад сына дал на том, как к шаху присылал посла» (Веселовский, Памятники..., 302).

შაჰის მოქმედება გასაგებია. საშამხლოს დასაპყრობად რუსთა ჯარი უკვე წამოსულიყო. საგანგებო სასწრაფო ზომით შაჰი ცდილობდა არ დაეშვა მოსკოვის მიერ საშამხლოს დაპყრობა და ამავე დროს თავისი ძველი უფლება ამ სამთავროზე შეენარჩუნებინა, ხოლო, თუ რუსთა ჯარი საშამხლო-დაღისტანს დაიპყრობდა და შიგ ციხეებს ჩადგამდა, ეს ქვეყანა შაჰს სამუდამოდ დაეკარგებოდა. ამხელად მოსკოვისათვის სხვაგვარად ხელის შეშლის საშუალება შაჰ-აბასს არ გააჩნდა და საკითხის მოგვარებას მოქნილი დიპლომატიური ნაბიჯით ცდილობდა: შაჰი უბრძანებდა თავის ყმა-შამხალს და ისიც ამ ბრძანებით მოსკოვის მეფის მორჩილი და გამგონე შეიქნებოდა. კიდევ უფრო გარკვეულად გამოსთქვა შაჰმა თავისი პოზიცია საშამხლოს საკითხზე რუს ელჩ ზვენიგოროდსკისთან 11 მარტს 1595 წელს: «вперед бы государь ваш Шевкала воевати не велел, а будет похочет государь ваш послати рать свою в Ширванскую землю к городам, и яз к Шевкалу пошлю гонца своего, а велю ему государю вашему добити челом и быти под государевою рукою и дорогу в Ширванскую землю через свою землю очистить» (Веселовский. Памятники..., 273).

იმავე წლის 6 აპრილს შაჰმა შამხლის საკითხი კიდევ ერთხელ მოიგონა. გამოსათხოვარ აუდიენციაზე შაჰ-აბასმა რუს ელჩ ზვენიგოროდსკის აცნობა, რომ ის (შაჰი) შამხალთან საგანგებო მოციქულს (Амир Яфеля) ჰგზავნის ბრძანებით, რათა ეს მთავარი მოსკოვის მეფის სრულ მორჩილებაში დადგეს (Веселовский, Памятники.., 278).

საკითხი სრულიად ნათელი იყო. შაჰი შამხლის მფარველობას ინარჩუნებდა და, თუ მტერი არა, სხვა ვინმე შაჰის ამ უფლებაში ჩარევას ვერ იკადრებდა. და შაჰ-აბასი მეგობარს აღუთქვამდა, რომ შამხალს მის მორჩილებაში მოიყვანდა და რუსთა ჯარისათვის გზახსნილს მიაცემინებდა, როცა უკანასკნელი ოსმალთა მიერ დაპყრობილი ქალაქების ასაღებად შარვანს სალაშქროდ წამოვიდოდა.

შაჰ-აბასმა შამხლისაგან, უეჭველია, იცოდა (მაგრამ ამაზე განზრახ დუმდა), რომ საშამხლოში. რუსთა ჯარის მიზანი ამ დროს არა თერგ-დარუბანდის, არამედ თერგ-კახეთის გზის გახსნა იყო...

გულუბრყვილობა მოსკოვის დიპლომატიას არც იმ დროს ახასიათებდა. მიუხედავად ამისა, შაჰის წინადადება, ანდი-ბეგმა რომ მიიტანა, მოსკოვში მისაღებად სცნეს (Веселовский. Памятники.., 302).

ამ წინადადების თანახმად ანდი-ბეგი სასწრაფოდ ასტრახანს გაისტუმრეს, რათა შაჰის ბრძანება მოსკოვის მეფისათვის „თავის დაკვრის“ შესახებ შამხლისათვის გადაეცა. მომავალ გაზაფხულზე შამხლის შვილს მოსკოვში მძევლად ელოდნენ (Веселовский. Памятники.., 316). ამავე დროს თერგის ციხის სარდლებს მისწერეს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო შამხლის საფიცრის ტექსტი. შამხალს უნდა აღეთქვა, რომ ამიერიდან ის ოსმალეთთან ურთიერთობას გაწყვეტდა, მოსკოვის მეფის ერთგული იქნებოდა, თერგ-კახეთის გზას გახსნიდა და პირმტკიცეობის საწინდრად შვილს მძევლად გამოგზავნიდა (Веселовский. Памятники.., 317).

როგორც ვხედავთ, მოსკოვში ამ დროს თერგ-დარუბანდის გზის გახსნაზე სრულიადაც არ სწუხდნენ. და ეს იმიტომ, რომ ოსმალთა წინააღმდეგ შარვანში

ლაშქრობას არ აპირებდნენ. შარვანის ქალაქები, ოსმალთ რომ ეპყრათ, მოსკოვში შაჰის ხელით სურდათ მიეღოთ...

დიპლომატიური ჭიდილი იყო. შაჰი მოსკოველი მეგობრის მოსარგებლებას ცდილობდა, რუსეთის სამეფო კარიც არა ნაკლებ მოხერხებულად ცდილობდა თავისი პოზიციის შესაძლებლობანი სისრულით გამოეყენებინა.

* *

მაგრამ ვიდრე მოსკოვსა და კახეთს შორის ეს ბოლომოუღებელი მოლაპარაკება იყო გამართული საშამხლოს დაპყრობის შესახებ, შაჰ-აბასი ერანში დიდის ენერგიით ემზადებოდა ოსმალეთთან ზავის დასარღვევად და უკანასკნელის მიერ მინატაცები ქვეყნების უკან დასაბრუნებლად. ტექნიკური მზადების გვერდით ნიჭიერი შაჰ-აბასი მომავალი ომისათვის შესაფერ პოლიტიკურ მომზადებას დიდ ყურადღებას აქცევდა. შაჰის ოფიციალური ელჩები თუ საიდუმლო აგენტები განუწყვეტლად მიმოდიოდნენ ახლობელსა თუ შორეულ ქვეყნებში და დაუცხრომლად ცდილობდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ დაერაზმათ შორეული ხელმწიფენი, ახლობელი მეფე-მთავრები, საერო და საეკლესიო ფეოდალები, ვაჭრები.

ამიერკავკასიაში მოკავშირე-მომხრეები შაჰ-აბასს მისი უკიდურესი სისუსტის დროსაც კი არ გამოსწყვეტია. მით უფრო საგრძნობი იყო შაჰის ხელი ეხლა, როცა ერანი სწრაფად იკრებდა ძალებს ძველი დიდების დასაბრუნებლად.

ოსმალეთის წინააღმდეგ მოსკოვის სამეფო ერანის ბუნებრივ მოკავშირედ ითვლებოდა. ერან-შაჰები (ხუდაბანდა, შაჰ-აბასი) რუსხელმწიფეს მრავალგზის ელჩებს უვლენდნენ და ოსმალთა წინააღმდეგ ამიერკავკასიაში სალაშქროდ ეპატიჟებოდნენ. შევიწროებული ხუდაბანდა-შაჰი დახმარების სანაცვლოდ ბაქო-დარუბანდის დათმობასაც კი შეჰპირდა მომავალ მოკავშირეს[86].

მოსკოვის მეფე მუშტრის თვალებით უცქეროდა ოსმალთა იანიჩარების ხელში მყოფ ამ ქალაქებს და შორეული ლაშქრობისათვის ერანის შაჰთან ერთად იმიერ და ამიერკავკასიის მფლობელთა დარაზმვას ცდილობდა[87]. ამავე მიზანს ემსახურებოდა თერგზე ციხეები, ამ დროს რომ ააგეს აზოვ-დარუბანდის გზაზე[88]. შაჰ-აბასმა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებისას ოსტატურად გამოიყენა რუსეთთან შესაძლებელი სამხედრო კავშირის ეს დემონსტრაცია.

---

[86] Белокуров. Сношения..., 563; Веселовский. Памятники..., 5.

[87] Веселовский, Памятники..., 91—93.

[88] იქვე, 54, 61, 97, 137.

1590 წელს შაჰმა სულტანთან დროებითი ზავი დასდო[89]. და მასთანვე მომავალი ომისთვის საფუძვლიან სამზადისს შეუდგა.

მოსკოვში კარგად მიუხვდნენ „მეგობარს“ და ერანის ზავს, რუსეთის უცნობებლად რომ დასდო შაჰმა ოსმალეთთან, სათანადოდ უპასუხეს. 1592 წელს თეოდორე მეფემ აცნობა ხვანთქარს, რომ აზოვ-დარუბანდის გზა ოსმალეთის ჯარებისათვის თავისუფალია და რომ თერგზე ციხეებს სრულიადაც ოსმალეთის ჯარების საწინააღმდეგო დანიშნულება არ აქვს[90]. ამავე დროს მოსკოვის მეფემ შაჰთან მოლაპარაკება შესწყვიტა[91].

ჩქარა შაჰი ენერგიულად შეეცადა გაბუტული „მეგობრის“ შემორიგებას. 1593 წელს შაჰის ელჩი, აჯი ხოსროვი, არწმუნებდა მოსკოვის მეფეს, რომ ზავი ერან-ოსმალეთს შორის დროებითია და რომ შაჰი ომს ხვანთქრის წინააღმდეგ უმალვე განაახლებს, როგორც კი მორჩება საქმეს ბუხარის ხანთან, რომელთანაც მას აგრეთვე ომი აქვს. აჯი ხოსროვის პირით შაჰმა სამხედრო კავშირზე მოლაპარაკების განახლება სთხოვა მოსკოვის მეფეს[92].

ელჩის ეს განცხადება მოსკოვში დამაკმაყოფილებლად სცნეს და შაჰს მეგობრული ურთიერთობის განახლებაზე თანხმობით უპასუხეს. ამავე დროს მოსკოვის დიპლომატები შეეცადნენ ესარგებლნათ შექმნილი ვითარებით და ერან-რუსეთის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხში (ბაქო-დარუბანდის, კახეთის, საშამხლოს საკითხები) გარკვეულობა შეეტანათ. შაჰ-აბასი მხურვალე მომხრე იყო რუს-ხელმწიფესთან მეგობრობისა, ძვირად აფასებდა მასთან კავშირს, მაგრამ კონკრეტულ დაპირებებს დაჟინებით გაურბოდა და მეგობრობა-კავშირის ზოგადი დეკლარაციით კმაყოფილდებოდა.

შაჰის ასეთი ქცევა კავკასიაში ერანისა და რუსეთის პოლიტიკურ ინტერესთა მნიშვნელოვანი დაპირისპირებით აიხსნებოდა. კავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე ერანის დასახმარებლად გამოსული რუსეთი, უპირველეს ყოვლისა, ერანის ხარჯზე აპირებდა აქ ფეხის მოკიდებას. თუ ბაქო-დარუბანდს თვით ერანი ჰპირდებოდა „მოკავშირეს“, კახეთზე ხელის დადებისა და საშამხლოს დამორჩილების საქმეში მოსკოვი ერანთან კონსულტაციას მაინც არ ცდილა. ეს ქვეყნები კი ერანის სამფლობელოში ითვლებოდნენ და მხოლოდ

---

89 იქვე, 168—169.

90 Белокуров. Сношения... შესავალი; С. Соловьев. op. cit. 625.

91 Веселовский. Памятники..., 224, 225.

92 იქვე, 185, 186.

ოსმალთა მიერ შარვან-ყარაბაღის დაპყრობის შედეგად ჩამოშორ-
დნენ მას[93].

ნიჭიერმა შაჰმა ადვილად განსჭვრიტა, რომ მოსკოვი ამიერ-
კავკასიაში ერანისათვის არა ნაკლებ საშიშია, ვიდრე ოსმალეთისა-
თვის. და შაჰ-აბასიც შემთხვევას არ უშვებდა მოეგონებინა მეგობ-
რისათვის, რომ კახეთი და საშამხლო ერანის მოხარკე ქვეყნებია
და თუ სხვა უფრო მნიშვნელოვან გარემოებათა გამო შაჰმა მოკავ-
შირეს ამ ქვეყნებზე ხელის აღება ვერ მოსთხოვა, მან ის მაინც
მოახერხა, რომ, მოსკოვის მხრით ყოველგვარი ცდის მიუხედავად,
არც ერთხელ ეს ქვეყნები ოფიციალურად მოსკოვის მეფის სახე-
ლოდ არ ცნო.

შაჰი და რუს-ხელმწიფე ურთიერთს მეგობრობენ. სამხედრო კავშირის და-
დებასაც კი აპირებენ. შაჰ-აბასს რუსეთთან კავშირი ოზბეგებისა და ოსმალების
წინააღმდეგ სჭირია. მოსკოვიც მტერია იმათი, მაგრამ მათგან უშუალო საფრთხე
არ უდგას. ასე რომ მეგობარ-პარტნიორების (შაჰის და რუს-ხელმწიფის) პოზი-
ციები ერთნაირი არაა. მოსკოვი ხერხიანად სარგებლობს თავისი პოზიციის ხელ-
საყრელობით და ცდილობს მეგობრობა, რაც შეიძლება, ძვირად დაუსვას ერანს.
კავშირის ფასად რუს-ხელმწიფე ბაქო-შამახია-დარუბანდის დათმობას მოითხოვს
შაჰისაგან. ეს ქალაქები შაჰ-აბასმა უნდა წაართვას ოსმალებს და დაუთმოს მო-
კავშირეს, რომელიც ამ ომში მასთან ერთად გამოვა. კიდევ მეტი: მოსკოველი
მოკავშირე ცდილობს უჩუმრად ჩაერიოს გილანის და გურგანჯის საქმეებში.
სამაგიეროდ საქვეყნოდ აცხადებს, რომ კახეთს ხელი დასდვა (კახეთზე, რა თქმა
უნდა, ის არ შეჩერდება და სხვა „საქართველოებსაც" მფარველობის ხელს დას-
დებს...) და რომ საშამხლოს იმორჩილებს.

შაჰის პოზიცია მეტად მძიმე იყო. ოსმალეთს ერანის დასავლეთი მიეტაცნა,
ოზბეგებს—აღმოსავლეთი. ერანის მეგობარ-მოკავშირე მხოლოდ რუსეთი ღა
იყო.

შაჰ-აბასი დიდი კაცი იყო, დიდი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე.
მეგობრობის დაუზიანებლად რუს-ხელმწიფეს ჯერ გილან-გურგანჯზე გაუცრუ
იმედი (Веселовский. Памятники..., 1, 153—160). ბაქო-დარუბანდის დათ-
მობის საკითხიც გაურკვეველი დასტოვა, კახეთი წაიყრუა, თუმცა კონსტანტინე
ბატონიშვილის არდათმობით თავისი ზრახვები ამ ქვეყნის მიმართ საკმაოდ
ცხადყო. და სხვა მხრივაც ცხადი იყო, რომ შაჰ-აბასი კახეთზე ხელის აღებას
არ აპირებდა. პირიქით, სწორედ იმ დროს, როცა რუს-ქართველი ელჩები მოს-
კოვ-კახეთს შორის განუწყვეტლად მიმოდიოდნენ, შაჰი შეუნელებელ ინტერესს
იჩენდა საქართველოს მიმართ: ატარებდა მოციქულებს ქართველ მეფეებთან,
უხვად ასაჩუქრებდა მასთან მისულ კახელ ელჩებს, დიდ პატივში ჰყავდა თავის
კარზე მყოფი ქართველები (შაჰის მემკვიდრის აღმზრდელი ქართველი თავადი,
თამაზი, იყო. Веселовский. Памятники.., 1, 260).

---

93 იქვე, 186, 276.

ამავე დროს, შაჰ-აბასი რუსეთ-კახეთის მფარველობა-ხელდებულობის წინააღმდეგ კრინტსაც არ სძრავდა. თუმცა შაჰი მეგობრისათვის იმის მოხსენებას მაინც საჭიროდ ხედავდა, რომ კახეთი მისი ყოფილი მოხარკე იყო, ხოლო ალექსანდრე მეფე — „უნდო იყო და უპირო“ (სწორედ ისევე, როგორც მოსკოვი შამხლის უნდოობა-მუხანათობას შაჰსა და ხონთქარს უმტკიცებდა... მოსკოვში, რა თქმა უნდა, შაჰის არგუმენტებისა — ალექსანდრე მეფის დახასიათება—არავის სჯეროდა, ისე როგორც არც შაჰის კარზე სწამდა ვინმეს მოსკოვის არგუმენტებისა—შამხლის დახასიათება).

ყველაფრიდან ჩანდა, რომ კახეთის (ისევე როგორც საშამხლოს) საკითხი ერან-რუსეთის ურთიერთობაში გადაუწყვეტელი რჩებოდა, და თუ უფრო დიდმნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების გულისათვის შაჰი რუსეთის მეფესთან მეგობრობას უფრო ძვირად აფასებდა და, ამიტომ, ამ მეგობრის პრეტენზიებს ქრისტიანულ კახეთზე თუ არ ადასტურებდა, მაინც არ უარჰყოფდა,—ეს იყო დროებითი ვითარება და ძალაში დარჩებოდა მანამ, სანამ არსებული პოლიტიკური სიტუაცია არ შეიცვლებოდა და მოსკოვთან ურთიერთობაში შაჰის პოზიცია არ გაუმჯობესდებოდა.

ის გარემოება, რომ რუსეთი კახეთს (და მთელ საქართველოს) ქრისტიანობით ეჭიდებოდა, შაჰის წინაშე აქტიურად სვამდა საკითხს კახეთის (და სხვა ქართულ სამეფო-სამთავროების) ქრისტიანობის შესახებ. რუსეთთან ხანგრძლივ დიპლომატიურ ურთიერთობისას შაჰ-აბასი ღრმად დარწმუნდა, რომ მოსკოვის ხელისაგან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სპარსეთისათვის დაცვის საქმეში კახეთის ერთგული მორჩილება აუცილებელი იყო, ხოლო საამისო საუკეთესო გარანტია ამ ქრისტიანული სამეფოს მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევა იქნებოდა...

საქართველოს საკითხი შაჰ-აბასის პოლიტიკური პროგრამიდან არასოდეს ამოშლილა. მოსკოვის მეფესთან დიპლომატიურ ბრძოლაში მეგობრისათვის საქართველოზე ხელისაღებინება შაჰ-აბასის პროგრამა-მაქსიმუმი იყო, რომლის შესახებ მოქნილი და რეალური ალღოს მქონე დიპლომატი ჯერჯერობით, სანამ საამისო მარჯვე დრო დადგებოდა, გონივრულად დუმდა.

1594—1595 წელს შაჰმა ერთხელ კიდევ აგრძნობინა თავის მოსკოველ მეგობარს, რომ არც კახეთზე და არც საშამხლოზე მას საბოლოოდ ხელი არ აუღია.

მოსკოვის მეფე თავისი ელჩის, ზვენიგოროდსკის, პირით საკმაო საბუთებით უმტკიცებდა შაჰს რუსეთის მოქმედების კანონიერებას კავკასიაში: შამხლის დაპყრობა-დასჯა აუცილებელია, რადგან ის ერანსაც გადაუდგა, რუსეთსაც,—ოსმალეთს მიუვიდა და ერან-რუსეთის მეგობრობას აფერხებს; მან მოსკოვისაკენ მიმავალი შაჰის ელჩი დაატყვევა, გაძარცვა, ხოლო ამავე დროს ხონთქარსა და ყირიმის მეფეს კავკასიაში ერანისა და რუსეთის წინააღმდეგ სალაშქროდ იწვევს. ყაბარდოს ჩერქეზები, ეს მოსკოვის მეფის ძველი ყმეები. ისინი ოდესმე აჯანყდნენ, მეფის ყმობა უარყვეს, „რეზანის მხარე“ დასტოვეს და კავკასიაში მთებს შემოეხიზნენ და როცა, შემდეგ, მოსკოვის მეფის ხელი კავკასიასაც სწვდა, ესენიც ისევ

ძველ ხელმწიფეს დაემორჩილნენ და მისი ბატონობის უღელი იკისრეს. კახეთი ქრისტიანული ქვეყანაა და მისი დაცვა მოსკოვის მეფის ვალია; ამას წინათ ოსმალეთის მიერ შევიწროებულმა კახეთმა საუკუნო ერთგულობა შეჰფიცა ხელმწიფეს, ხოლო უკანასკნელმა მფარველობის ძლიერი ხელი დასდვა ერთმორწმუნე სამეფოს[84].

ასეთი საბუთების შემდეგაც კი შაჰმა შესაძლებლად დაინახა დაეცვა საშამხლო მოსკოვის მეფის მიერ დაპყრობისაგან. შაჰმა მოსკოველ მეგობარს თხოვნა გაუმეორა, ძალით ნუ დაიპყრობს შამხალს და შეჰპირდა, რომ თვით დაუმორჩილებს მას ამ თავის ხელდებულს... შაჰ-აბასმა საჭიროდ დაინახა აქვე აღენიშნა, რომ შამხალი ერანის ყოფილი ყმაა და რომ ის ძალაუნებურად მიუვიდა ოსმალეთს მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა შარვანი დაიპყრა და შაჰისა და შამხლის პატრონყმობა შეუძლებელი გახდა[95].

ასეთივე მოხარკე იყო შაჰისა კახეთის მეფეც...

და როცა მოსკოვის მეფის ელჩმა შაჰს კახთა მეფის მძევლის, კონსტანტინე ბატონიშვილის, „დათმობა" სთხოვა, შაჰმა უფლისწულის მაჰმადიანობა მოიმიზეზა[96].

შაჰის კარისკაცმა ფარჰად-ხანმა კი ალექსანდრე მეფის სხვა შვილის წაყვანა ურჩია მოსკოველ ელჩს და თანაც საჭიროდ დაინახა კახთა მეფის უარყოფითი დახასიათება: უპირო კაცია, ერანსაც ერთგულებას ეფიცება, ოსმალეთსაც, რუსეთსაც... ერთი შვილი შაჰს მისცა, მეორე ხვანთქარს... მოსკოვს ქრისტიანობით ევედრება, შაჰთან მუსლიმანობს, ხოლო ოსმალეთს ყოველწლიურად ხარკს უგზავნის[97]. ასევე ახასიათებდა ალექსანდრე კახეთის მეფეს თვით შაჰიც[98].

შაჰის და მისი კარისკაცის ყველა ამ „საბუთების" აზრს მოსკოვშიაც კარგად იყვნენ მიხვედრილი. მაინც და მაინც ცხადი იყო, რომ ერანი შამხალსა და კახეთს ადვილად არ დასთმობდა.

კონსტანტინე ბატონიშვილის საკითხი მოსკოვის დიპლომატიამ ჯერ კიდევ 1593 წელს დასვა. მოსკოვში შეუფერებლად მიაჩნდათ, რომ ხელმწიფის ხელდებული ალექსანდრე მეფის მძევალი (ერთგულების საწინდარი!) სხვა ხელმწიფის, და ისიც მაჰმადიანის (თუნდაც „მეგობარი" შაჰის), კარზე ყოფილიყო.

---

94 Белокуров. Сношения..., 568—569.

95 Веселовский. Памятники..., 273—274.

96 იქვე, 263 — 264.

97 იქვე, 275 — 276.

98 იქვე, 276.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობის განახლების სათხოვრად მოსულ შაჰის ელჩს აჯი-ხოსროვს რუსმა დიპლომატებმა კონსტანტინე ბატონიშვილის შესახებ გამოჰკითხეს. ელჩმა დაადასტურა, რომ კონსტანტინე ალექსანდრე კახთა მეფის მძევალია შაჰის კარზე (Веселовский. Памятники.., 186). ამავე ხანებში, ვიდრე აჯი-ხოსროვი მოსკოვს იმყოფებოდა, ბორის გოდუნოვმა ალექსანდრე კახთა მეფეს აუწყა, რათა ამიერიდან მან, ხელმწიფე-მფარველის რჩევისა და თანხმობის გარეშე არავის მაჰმადიან ხელმწიფეს კახთა მეფის სახლისშვილი (ქალი თუ ვაჟი) არ მისცეს, ხოლო კონსტანტინე ბატონიშვილი შაჰის კარიდან უნდა უკან გამოითხოვოს მისი მოსკოვს გასაგზავნად... გოდუნოვმა აქვე აცნობა ხელდებულს, თუ რა ღონისძიებას მიიღებდა ხელმწიფე კახთა მეფის დასახმარებლად შაჰის კარიდან მძევლის უკან მიღების საქმეში (Белокуров. Сношения.., 261—262).

(ალექსანდრე მეფეს ამ საკითხზე მფარველისათვის წერილობით პასუხი არ გაუცია. არც ის ჩანს, რომ ელჩების პირით ზეპირად შეეთვალოს მას ამ საკითხზე თავისი აზრი. არც იმის კვალი მოიპოვება, რომ კახთა მეფეს მძევლის უკან დაბრუნება ეთხოვოს შაჰ-აბასისათვის. მაგრამ, თუ ალექსანდრე მეფის რეალისტურ ალღოს, მის სიფრთხილეს გავითვალისწინებდით,—მოსკოვის სამეფო კარს კონსტანტინე ბატონიშვილის მძევლობაც კი უშუალოდ ალექსანდრე მეფისაგან არ შეუტყვია (Белокуров. Сношения.., 261—262),—შეგვეძლო წყაროების ეს დუმილი შემთხვევით გარემოებად არ მიგვეჩნია და შაჰის კახთა მეფის მძევლის გამოყვანის ინიციატივა მთლიანად მფარველისათვის დაგვეკისრებინა).

მოსკოვში მეფე-ბოიარების თათბირზე კონსტანტინე ბატონიშვილის შაჰის კარიდან გამოყვანის საქმე ბორის გოდუნოვს დაევალა (Веселовский. Памятники.., 217). გოდუნოვმა შაჰს წიგნი მისწერა, ხოლო შაჰის ელჩს წიგნითვე და ზეპირი სიტყვითაც შეუთვალა, რათა მისი სიტყვა ამ საგნის შესახებ შაჰისათვის მიეტანა და საქმის წარმატებისათვის შაჰის წინაშე ბეჯითად გარჯილიყო (Веселовский. Памятники.., 219).

ამავე საგანზე შაჰის კარზე საქმობა მოსკოვის მეფის ელჩს ზვენიგოროდსკის ევალებოდა.

მოსკოვის დიპლომატებმა საქმის შესასრულებლად შესაფერისი დროც შეარჩიეს: აჯი-ხოსროვის მისიას მოსკოვის მეფის კარზე სრული წარმატება ხვდა; თედორე მეფემ შაჰის სურვილი დააკმაყოფილა. აჯი-ხოსროვი წყალობით ავსებული გაისტუმრა და „მეგობრობისა და სიყვარულის“ საპასუხო ელჩი თავის მხრით შაჰს აახლა (Веселовский. Памятники.., 224—225). ოსტატურად შედგენილ წიგნში გოდუნოვი კიდევ უფრო სასიამოვნო ამბებს ატყობინებდა შაჰს და წარმტაც პერსპექტივასაც უთვალისწინებდა მას: მოსკოვის მეფის მეშვეობით შაჰი დასავლეთ ევროპის ხელმწიფეებს ადვილად დაუკავშირდება და ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო კოალიციის მოწყობა შესაძლებელი იქნება (იგულისხმებოდა, რომ ერანისა და დასავლეთ ევროპის შემაკავშირებელი რგოლი მოსკოვია). გოდუნოვი აცნობებდა შაჰს, თუ რუდოლფ იმპერატორმა როგორ დაამარცხა ოსმალები (იმპერატორს ეს ამბავი საგანგებო მოციქულით უცნობებია მოსკოვის მეფისათვის), ატყობინებდა იმის შესახებ, თუ ხელმწიფემ როგორ დართო ნება იმპერატორის ელჩს შაჰის ელჩთან შეხვედრისა; ამასთანავე გოდუნოვი აიმედებდა შაჰს, რომ ამიერიდან „ხელმწიფის მეგობრების“ (იმ-

პერატორისა და შაჰის) ელჩებს რუსეთზე გზად გავლის ნება მიეცემა (Веселовский. Памятники.., 233—237).

და ასეთ სასიამოვნო ცნობათა და დიდმნიშვნელოვანი იმედების შემცველ წიგნს ბოლოში მიჰყვებოდა მცირე თხოვნის სახედ: „Да ведомо учинилось великому государю нашему ц. и в. кн. Федору Ивановичю, в Р., с., что у вас великого государя Аббас шахова в. грузинского Олександра царя сын в закладе для укрепленья, чтоб с твоими государствы жити ему в покое, а грузинской Олександр царь веры крестьянские, а ныне учинился в воле государя нашего и оборонять его государь наш хочет для крестьянские веры ото всех его недругов. А вы, великий государь, Аббас шахово в. учинился с великим государем нашим ц. и в. кн. Федором Ивановичем в. Р. в крепкой дружбе и в любви на веки, и вам бы великому государю Аббас шахову в., для великого государя нашего его ц. в. братцкие любви и дружбы, Александрова царева сына с послы своими прислати к великому государю нашему к его ц. в., тем бы вашему величеству государю нашему любовь своя братцкая показать, а Олександр царь вашему Аббас шахову в. и без закладу будет крепок, коли с великим государем нашим ваше величество в крепкой дружбе и в любви учинился, и от вас от великих государей, государя нашего от его царского в. и от вашего Аббас шахова в., царь Олександр Иверской будет (var. не будет) николи остаточен и во всем будет крепок и вам великим государем верен». (Веселовский. Памятники.., 237).

შაჰი კარგად მიუხვდა მეგობარს. მძევალი ბატონიშვილის გამოყვანით მოსკოვის დიპლომატია შაჰს ხელიდან გამოაცლიდა კახეთის მეფეზე დამოუკიდებლად ზემოქმედების უძლიერეს იარაღს. კონსტანტინე ბატონიშვილის მოსკოვის მეფისათვის დათმობა შაჰის მიერ რუსეთის სასარგებლოდ კახეთზე ოფიციალურად ხელის აღებას მოასწავებდა. სწორედ ასე ესმოდათ ეს საქმე მოსკოვში, როცა ბორის გოდუნოვი შაჰს აიმედებდა, რომ კახეთის მეფე უმძევლოდაც მისი ერთგული იქნებოდა, „коли с великим государем нашим ваше величество в крепкой дружбе и в любви учинился“:—ამიერიდან კახეთის მეფე შაჰის ერთგული იმდენად და მანამ იქნება, რამდენად და სანამ შაჰი მეგობარი და საყვარელი იყო მოსკოვის მეფისა... მოკლედ, შაჰს მოხარკე მორჩილი წაუვიდა და მისი მეგობრის ხელდებული შეიქმნა. ეხლა მეგობარი და საყვარელი შაჰს სთხოვდა მომხდარი ფაქტის დასტურს, რაც მძევალი ბატონიშვილის დათმობაში უნდა გამოხატულიყო.

ოსტატური დიპლომატიური შეტევა შაჰ-აბასმა ასევე ოსტატურად მოიგერია.

შაჰ-აბასი ხედავდა, რომ რუსეთი კახეთის საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა; კარგად ამჩნევდა, რომ მეგობარი ხელმწიფე ამიერკავკასიაში სულ სხვა პოზიციას იმზადებდა, ვიდრე შაჰი ვარაუდებდა მისთვის. შაჰ-აბასი რუს მეგობარს დარუბანდს და ბაქოს პირდებოდა (თუ რუსთა ჯარი ამ ქალაქებიდან ოსმალებს განდევნიდა), მაგრამ უთმობდა ისე, რომ ამ ქალაქებში მისასვლელ გზაზე მდებარე ქვეყანას, საშამხლოს, თავისთვის იტოვებდა.

მოსკოვში კი სულ სხვა გეგმა მწიფდებოდა: კახეთი (და მთელი საქართველო)

ამიერკავკასიაში რუსეთის დასაყრდენი იქნებოდა, როგორც ოსმალეთის, ისე ერანის წინააღმდეგ. ასეთი დასაყრდენის შექმნით რუსეთი აბრეშუმით მდიდარი შარვანის (ბაქო-შამახია-დარუბანდი) მტკიცედ დაუფლებას შესძლებდა. შაჰ-აბასის დაპირება ამ საკითხში მოსკოვში არც მოცულობით და არც ფორმით არ აკმაყოფილებდათ (აბრეშუმიანი ქვეყნებისადმი განსაკუთრებული ყურადღება, მოსკოვის პოლიტიკოსებს რომ ემჩნევათ, აბრეშუმით დიდვაჭრობის მოწმობა შეიძლება იყოს. მოსკოვის მეფის საგანგებო ყურადღების ღირსი შეიქმნა გილანელი აჰმად-ხანიც. რუსეთის მეფე მზად იყო მფარველობის ხელიც კი დაედო მისთვის, რომ შაჰ-აბასს გადაჭრილი მოქმედებით ბოლო არ მოეღო მეგობრის ამ გადაჭარბებული მზრუნველობისათვის. 1592 წელს შაჰმა „ოსმალეთის მომხრე“ აჰმად-ხანი გილანიდან განდევნა და თითქმის დამოუკიდებლად ქცეულ ეს ქვეყანა ერანის ჩვეულებრივ პროვინციადვე აქცია).

მოსკოვში, რა თქმა უნდა, ისიც კარგად ესმოდათ, რომ რუსეთ-საქართველოს კავშირისათვის თუ შარვანის დაუფლებისათვის საშამხლოს საკითხის ისე გადაწყვეტა, როგორც ეს შაჰ-აბასს ენება, არადამაკმაყოფილებელი იყო.

მოკლედ, ამიერ-კავკასიაში რუსეთი ერანს ეცილებოდა საშამხლო-დაღისტანს, შარვანს და საქართველოს.

მაგრამ კავკასიაში ერანსა და რუსეთს ძლიერი საერთო მტერი ჰყავდათ— ოსმალეთი. ეს ფაქტი ერან-რუსეთის მეტოქეობის სიმწვავეს შესამჩნევად ანელებდა და მათ პოლიტიკურ „მეგობრობასა“ და „სიყვარულს“ საფუძველს უქმნიდა, ასე რომ, სანამ ოსმალეთი ამიერკავკასიაში ბატონობდა, ერან-რუსეთის უთანხმოება დიპლომატიურ ღონისძიებათა ფარგლებს არ სცილდებოდა.

და შაჰ-აბასი მოსკოველი მეგობრის ენერგიულ დიპლომატიურ შემოტევებს შესაფერისი ენერგიითვე უკუაგდებდა, შეეხებოდა საკითხი ბაქო-დარუბანდს, საშამხლოს, თუ კახეთს.

1594 წლის 20 ოქტომბერს რუსი ელჩი ზვენიგოროდსკი ყაზვინს მივიდა. შაჰ-აბასი ამ დროს ქაშანს იყო. ყაზვინელები რუს ელჩს დიდი გამოჩენებით შეხვდნენ. ყორჩიბაში (воевода дворянской) ალი-ყული-სულტანი და კონსტანტინე ბატონიშვილი ქალაქს გარეთ სამი ვერსტის მოშორებით გაეგებნენ სასურველ სტუმრებს (Веселовский. Памятники.., 254—265). ამ ცერემონიალში კახი ბატონიშვილის მონაწილეობა, უნდა ვიფიქროთ, შაჰის დიპლომატიური თავდაცვის აქტი იყო.

შაჰ-აბასმა, უეჭველია, უკვე იცოდა (ელჩი აჯი-ხოსროვის მოხსენებიდან), რომ ალექსანდრე მეფის შვილის შაჰის კარიდან გაყვანა მოსკოვის დიპლომატიას მორიგ ამოცანად დაესახა.

1595 წლის 1 იანვარს ქაშანში შაჰ-აბასმა ზვენიგოროდსკი მეორეჯერ ინახვინა (პირველი აუდიენცია 5 ნოემბერს იყო). შაჰი ყაბახზე ერთობოდა. აქვე იყო კონსტანტინე ბატონიშვილიც. ზვენიგოროდსკიმ შესაფერი დრო შეარჩია და კახი ბატონიშვილის დათმობაზე შაჰს სიტყვა ჩამოუგდო (Веселовский. Памятники., 263). შაჰ-აბასმა უპასუხა, რომ კახთა მეფის შვილი უკვე მაჰმადიანია. მაინც ხელმწიფის ძმური სიყვარულისათვის ის არჩევანის ნებას აძლევს კონსტანტინეს და, თუ კახი ბატონიშვილი რუს ხელმწიფესთან წასვლას ისურვებს, ის ამის წინააღმდეგი არ იქნება, და იქვე ჰკითხა მძევალ ბატონიშვილს, სურს თუ

არა ხელმწიფის კარზე წასვლა. კონსტანტინემ პასუხად, აშკარა იყო, შაჰ-აბასის დასაქმული გაიმეორა: „Я ныне здесь обусурманен и оженен и учинился в холопстве у тебя шахова в., а будет захотелось отцу моему видети меня у государя, и он чего дня не пошлет ко государю сына своего, брата моего, которого ни буди. Только отец мой всем государем манит, как турскому, так государю московскому, так и тебе шахову в., и верить ему никому ни в чем нелзе“ (Веселовский. Помятники... 264).

შაჰმა ესეც არ იკმარა და თავის გულწრფელობაში რუსი ელჩის კიდევ უფრო დასარწმუნებლად ურჩია მას, კერძოდ ეწვიოს კახ ბატონიშვილს, ან თავისთან მოიპატიჟოს ის და რუს-ხელმწიფის კარზე წასვლაში მისი დარწმუნება სცადოს და შაჰს არაფერი ექნება საწინააღმდეგო, თუ კონსტანტინე თავისი ნებით რუსხელმწიფის კარზე წასვლას ისურვებს. ეს კია, რომ შაჰს მუსლიმანი ბატონიშვილის ძალად გაგზავნა არ შეუძლია (იქვე).

ელჩმა ზვენიგოროდსკიმ მეორე დღეს მართლაც სცადა კერძოდ ენახა კონსტანტინე, მაგრამ უკანასკნელმა ის არც ნახა, არც ინახვინა და ყოვლად უიმედოსიტყვაც შემოსთვალა: თუ შაჰი მიბრძანებს, ან ვეწვევი ელჩს ან თავისთან მივიწვევ, მხოლოდ ეს კია, რომ მე მასთან იმ საქმეზე სალაპარაკო არა მაქვს რაო: მე ღმერთმა შაჰის მონობა მარგუნაო („зде де мне Бог судил быти в холопстве), და კონსტანტინე ამის შემდეგ რუს ელჩს არ შეხვედრია (Веселовский. Памятники.., 264).

ასეთი მარცხის მიუხედავად ზვენიგოროდსკი ამ საკითხის შემობრუნებას ამის შემდეგაც შეეცადა. 4 აპრილს 1595 წელს ელჩი შაჰ-აბასს ყაზვინს გარეთ ეახლა. შაჰი ყაბახზე ერთობოდა. ზვენიგოროდსკიმ გოდუნოვის დანაბარები კონსტანტინე ბატონიშვილის შესახებ ეხლა შაჰის დიდ მოხელე ფარჰად-ხანს მოახსენა და მას ამ საქმეში შაჰთან შეშწეობა სთხოვა (Веселовский. Памятники.., 275).

ფარჰად-ხანმა რუს ელჩს უპასუხა, რომ კახთა მეფემ კონსტანტინე ბატონიშვილი ჯერ კიდევ შაჰ-აბასის უფროს ძმას, ჰამზა-მირზას, გამოუგზავნა და რომ მძევალი ბატონიშვილი მაშინვე „გაათათრეს“ და ცოლიც შერთეს. და ფარჰად-ხანმა იკითხა: თუ კახთა მეფე ალექსანდრე რუს-ხელმწიფის ხელისა შეიქმნა, რატომ სხვა შვილს არ უგზავნის მას მძევლად? ზვენიგოროდსკიმ უპასუხა, რომ, თუ ხელმწიფე მოისურვებდა, ის კი არა, ორ შვილსაც გამოართმევდა ალექსანდრე მეფეს... მაგრამ ხელმწიფეს მხოლოდ ის სურდა, რომ შაჰს მისთვის უზადო ძმური სიყვარული და მეგობრობა ამით დაემტკიცებინა. ალექსანდრე მეფე კი უმძევლოდაც შაჰის ერთგული იქნებოდა (Веселовский. Памятники.., 275—276).

პასუხად შაჰის მესაიდუმლე ამეტყველდა, რომ თუ ალექსანდრე მეფე თავის სხვა შვილს რუსეთის მეფეს გაუგზავნის, შაჰიც კონსტანტინეს, მისი ცოლშვილით, „მეგობარს“ აახლებს, რომ შაჰი არა თუ ალექსანდრე მეფის შვილს, თვით ფარჰადსაც კი, თავის მონას, ხელმწიფის ძმური სიყვარულისათვის არ დაიშურებს... მხოლოდ ესაა, რომ ალექსანდრე კახთა მეფე მართალი კაცი არაა: ერთი შვილი შაჰს მისცა, მეორე ოსმალთა ხვანთქარს. ეხლაც კი ალექსანდრე მეფემ შაჰ-აბასს მრავალი ორგულობა აჩვენა და უკაცური უყო. ამ ერთი წლის წინ შაჰმა

კახეთში ალექსანდრე მეფესთან მოციქული ბეგ-მირზა გაგზავნა და ბაზის სასყიდლად ასი თუმანი გაატანა. ალექსანდრემ შაჰის კაცი მოაკვლევინა და გააძარცვინა. მაშინ შაჰმა ალექსანდრე მეფეს საყვედურით და რისხვით (изветом и розмирьем) დიდკაცი შავერდი ბეგი მიუვლინა. ალექსანდრე მეფემ ეს შაჰის ელჩიც თავისთან დაიჭირა (засадил) და შაჰს კი შემოუთვალა, რომ მას მოციქული ბეგ-მირზა არ მოუკვლევინებია, არამედ მშვიდობით გამოისტუმრა და, ჰგავს, გზაში რაღაც ფათერაკი მოსვლია. შაჰმა კი დანამდვილებით შეიტყო, რომ მისი მოციქული გზაზე ალექსანდრე მეფის ბრძანებით იქნა მოკლული. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მან შაჰის ელჩიც კი თავისთან დაიჭირა და არ დააბრუნა („Шахова посла у себя засадил"). „ალექსანდრე მეფეს ვერავინ ენდობა; როგორც თქვენს ხელმწიფეს ატყუილებს, ისე ჩვენსასაც; თქვენს ხელმწიფეს თავს უკრავს ქრისტიანობით, შაჰსაც მორჩილებასა სწერს და მაჰმადიანობას ეფიცება, ხოლო ოსმალთა ხონთქარს ყოველწლიურად ოცდაათ საპალნე აბრეშუმს უგზავნის"...

ზვენიგოროდსკი არ დაიბნა. მან ფარჰად-ხანის განცხადება ისე შეიფერა, თითქო ერანის შაჰი (ფარჰადის პირით) რუსეთის მეფესთან ჩიოდა მისი (რუსეთის მეფის) ხელდებულის მიერ თავის შეურაცხყოფას და ამის სამართალსაც რუსეთის მეფესთან ეძებდა...

რუსმა ელჩმა ფარჰად-ხანი აიმედა, რომ შაჰის წინაშე ალექსანდრე კახთა მეფის დანაშაულს ის თავის ხელმწიფეს მოახსენებს და იმედი აქვს, რომ ხელმწიფე დამნაშავეს „გადაუხდევინებელს" არ დასტოვებს... („Только будет Олександро царь перед государем вашим такие грубости показал, и я то донесу до великого государя нашего и Олександру, чаю, за то и не пробудет от великого государя нашего". Веселовский. Памятники.. 275—276)·

ამის შემდეგ, იმავე დღეს, შაჰმა თითონ ჩამოუგდო რუს ელჩს სიტყვა კონსტანტინეს დათმობის თაობაზე: „ქართველი ბატონიშვილის შესახებ მელაპარაკებოდი, რათა მე ის ჩემ ძმას, თქვენს ხელმწიფეს, გაუგზავნო... და მე არა თუ ქართველ ბატონიშვილს, არამედ („ჩემი ძმის") სიყვარულისათვის თვით საკუთარ შვილს, სეფი მირზას, არ დავიშურებ, მხოლოდ ესაა, რომ ალექსანდრე მეფე სწორი კაცი არაა და უმძევლოდ მისი ნდობა შეუძლებელია" (Веселовский. Памятники..), და შაჰი მოჰყოლია იმავე ამბავს, რასაც ფარჰად-ხანი, რომ ალექსანდრე მეფემ მას მრავალი ორგულობა აჩვენა და უკაცური ჰკადრა „ჩემი წარგზავნილი კაცი მოკლა და, ელჩი არ დააბრუნა. ხოლო უწინ ალექსანდრე ჩემი ყმა იყო და ახლა კი ასეთ დიდ უკაცრაულსა მკადრებს"-ო. („А преж де того Олександра (sic) был голдовник мой же а ныне мне такие великие досады делает". Веселовский. Памятники.., 276).

რუს ელჩს რაღა ეთქმოდა... უპასუხა: „ჩვენმა ხელმწიფემ არ უწყის, რომ ალექსანდრე მეფეს შენი უდიდებულესობისათვის ასეთი უკაცრაული უკადრებია, და რაც თქვენგან მოვისმინე, (ყველაფერს) ამას ჩემ ხელმწიფეს მოვახსენებ"-ო (იქვე).

ამრიგად, კახეთისათვის დიპლომატიური ბრძოლა ამხელად უშედეგოდ დამთავრდა. შაჰ-აბასმა „ძმას და მეგობარს" მძევალი ბატონიშვილი არ დაუთმო. შაჰის არგუმენტებისა მოსკოვში, რა თქმა უნდა, არაფერი სწამდათ და

იმასაც კარგად მიხვედრილიყვნენ, რომ კონსტანტინეს უარი რუსეთს წასვლაზე შაჰის ბრძანების შედეგი იყო. მიუხედავად ამისა, რუსეთის დიპლომატია იმედს არ ჰკარგავდა, რომ მომავალში ამ საკითხს მოსკოვის სასარგებლოდ შემოაბრუნებდა.

ამასობაში რუსეთსა და ერანს შორის პოლიტიკური ურთიერთობა სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდებოდა. და ბოლოს, როცა 1598 და 1600 წლებში რუსეთ-ერანის სამხედრო კავშირი უნდა გაფორმებულიყო, მოსკოვის დიპლომატიას არ დავიწყებია კიდევ და კიდევ ესინჯა, ვინძლო შაჰს მძევალი ბატონიშვილი მოკავშირისათვის დაეთმო და კონსტანტინესათვის მოსკოვის კარზე წამოსვლის ნება დაერთო.

წარმატება არც ამ ახალ ცდებსა ხვდა და ალექსანდრე მეფის მძევალი შაჰ-აბასის კარზე დარჩა.

სწორედ ამავე დროს შაჰი მთელის ძალღონით ცდილობდა კახეთის მეფე ისევ თავის მხარეზე გადაეყვანა. 1595 წელს კიდეც იყო მიღწეული ერთგვარი შეთანხმება შაჰსა, სიმონ მეფესა და ალექსანდრე მეფეს შორის. ყველანი ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო ლაშქრობაში მონაწილეობას აღთქვამდნენ[99]. დამახასიათებელია, რომ ამ შეთანხმების შესახებ არც შაჰი და არც კახეთის მეფე არაფერს ატყობინებენ მოსკოვს... (ამავე დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსანდრე მეფე სიმონთან შერიგებას მოსკოველი მფარველის წინაშე მისი ბრძანების შესრულებად ასაღებდა)... აქედან კარგად ჩანდა, რომ შაჰ-აბასი სულ სხვაგვარ კოალიციას რაზმავდა ოსმალეთის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, ოსმალეთის წინააღმდეგ მომავალ ომში რუსეთის ბელადობა ამიერკავკასიაში შაჰ-აბასს გამორიცხულად მიაჩნდა.

ალექსანდრე მეფე, რა თქმა უნდა, კარგად იყო მიხვედრილი ერანის შაჰის განზრახვებს და რუსეთთან ურთიერთობაში სიფრთხილეს უმატებდა.

სარდალ ხვოროსტინინის ტარკიდან უკუქცევა მოსკოვის პოლიტიკის სერიოზული მარცხი იყო. რომ მფარველი „საწუნელი" არ შექმნილიყო და ხელდებულები სხვას არ მისვლოდნენ, რუსხელმწიფისათვის აუცილებელი იყო საქმის სწრაფად გამოსწორება. „ურჩი" მთავრის (=შამხლის) დამორჩილება, ამრიგად, ეხლა მოსკოვის მეფის პრესტიჟის საკითხად ქცეულიყო და კახელ ხელდებულს შეეძლო სრული იმედი ჰქონოდა, რომ მფარველი,

---

99 ამას მოწმობს სიმონ ქართლის მეფის წიგნი, რომელიც მას 1596 წელს რუდოლფ კეისრისათვის გაუგზავნია. ჩვენ ხელთაა ამ წიგნის თარგმანი, შესრულებული დოც. ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ი ს მიერ.

რაც საშუალებანი კი მოეპოვებოდა, ამის ცდას არ დააკლებდა... მაგრამ ერთი გარემოება იყო, რომელშიაც კახეთის მეფე უნებურად და გულისტკივილით თანდათან რწმუნდებოდა. „საქრისტიანოს დიდი ხელმწიფე“ ისეთი ძლიერი სრულიადაც არ იყო, როგორც ამას რუსი ელჩები დაჟინებით ამტკიცებდნენ და როგორიც საჭირო იყო იმიერ და ამიერკავკასიაში ერან-ოსმალეთთან ქიშპში წარმატებისათვის. მიუხედავად ამისა, ამ ახალი ძალის გამოსვლა კავკასიის პოლიტიკურ სარბიელზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ოსმალეთისა და ერანის აგრესორებთან „ქართველობისათვის“ მებრძოლი საქართველო მორალური სიმტკიცის დასაყრდენს მძიმე და უსწორო ბრძოლაში ამ დიდ ქრისტიან მეზობელთან პოულობდა... და ალექსანდრე მეფეც „მტკიცედ მოეკიდა ხელმწიფის კალთას“[100] და არ ეშვებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინო სარგებელი ასეთი მფარველობა-ხელდებულობისაგან ჯერჯერობით არა ჩანდა რა.

ელჩებმა ალექსანდრეს თედორე მეფის წიგნი მიუტანეს. მოსკოვის მეფე გაკვირვებას გამოთქვამდა, რომ კახთა მეფემ ლაშქარი არ მიაშველა საშამხლოს დასაპყრობად თერგიდან წამოსულ მხედრობას[101], რის გამოც ამოდენა ზარალი დაემართა ხელმწიფის ხაზინას[102]. მიუხედავად ამისა, „მოყვასისადმი ქრისტიანული სიყვარულით“ გამსჭვალული თედორე მეფე კვლავ ჰპირდებოდა ალექსანდრეს მისი ვედრების შესრულებას: საშამხლოსა და ყუმუხის დამორჩილებას, ყაზი-ყუმუხში ციხის აგებას, ე. ი. თერგ-კახეთის გზის გაწმენდას. მაშინო, უმატებდა თედორე მეფე, შენი ლაშქარი ჩვენს ლაშქარს შეეყრებაო და ერთად იბრძოლებენ საერთო მტრების წინააღმდეგო[103]. დასასრულ, მოსკოვის მეფე უწონებდა ხელდებულს მფარველის დამჯერეობას: ალექსანდრე „საუკუნო სიყვარულით“ შერიგებია თავის სიძეს სიმონ

---

100 «Ухватился де я у в. г. ц. и. в. к. Ф. И. в. Р. самодержавца за его царскую полу и от его царской полы не оторвус и от его государева жалованья не отстану и по свою смерть» — განაცხადა ალექსანდრე მეფემ პურობის დროს, რომელიც რუს ელჩების, სოვინისა და პოლუხანოვის, აუდიენციას მოჰყვა 1596 წელს დეკემბერში სოფ. მატანში (Белокуров. Сношения.., 297).

101 Белокуров. Сношения..., 226.

102 იქვე, 267.

103 იქვე, 267, 272.

ქართლის მეფეს. მოსკოვის მეფეს იმედი აქვს, რომ ქართლის მეფეც არ დააყოვნებს და ხელმწიფეს მფარველობას შეევედრება და ასეთი მფარველობის იმედს წინასწარ აძლევს ის მომავალ ხელდებულს. — ასევე იმედი აქვს ხელმწიფეს, რომ ალექსანდრე სხვა ქართველ მეფე-მთავრებსაც ადვილად შეავედრებს „ქრისტიანობის მფარველ დიდ მეფეს“[104].

ელჩებს, სოვინსა და პოლუხანოვს, თერგის ჯარის პრესტიჟის დაცვა ევალებოდათ. საშამხლოში მარცხი გამარჯვებად უნდა გაესაღებინათ, საქმის ბოლომდის მიუყვანლობის ბრალი კი ალექსანდრე მეფისათვის უნდა დაეკისრებინათ[105]. ამავე დროს ელჩებს უნდა დაჟინებით ემტკიცებინათ, რომ თუ შამხალი ამის შემდეგაც არ მოვა გონს და ხელმწიფის წინაშე ქედს არ მოიხრის, მას უახლოეს დროშიც საბოლოოდ გააქრობს თერგის მხედრობა. დანასაქმის თანახმად ელჩებს აქ უნდა ჩაერთოთ ცნობა ხელმწიფისათვის შამხლის მიერ „თავის დაკვრის“ შესახებ, რაც მათ (ელჩებმა) ვითომცდა მოსკოვიდან კახეთს წამოსვლის შემდეგ გზაში მოისმინეს (ჩანს, მოსკოვში სასურველად არ მიაჩნდათ, რომ კახელ ხელდებულს სცოდნოდა, თუ როგორ ჩაერია შაჰ-აბასი საშამხლოს საკითხში): შამხალმა, იმის გამო, რომ მას მდინარე კოისუს ჭალა და ზღვის პირის ადგილები თერგის ჯარმა წაართვა, უკვე მოიხარა ფიცხელი ქედი და ხელმწიფის მორჩილებას შეუდგა[106].

ელჩებს ალექსანდრე მეფე უნდა დაეიმედებინათ, რომ ხელმწიფის მორჩილი შამხალი კახეთის რბევას ამიერიდან ვეღარ იკადრებდა[107]. ელჩების ეს განცხადება მართალიც რომ ყოფილიყო, იგი საკითხის სასურველად გადაწყვეტას მაინც არ ნიშნავდა. კახეთის წინაშე ხომ მარტო შამხლის საკითხი არ იდგა... ამიტომაც იყო, რომ მფარველობა-ხელდებულობის აუცილებელ პირობად მეფე ალექსანდრეს რუსეთ-კახეთის უშუალო ტერიტორიული მეზობლობა მიაჩნდა. აქ კი (ელჩთა მონათხრობიდან) ისე გამოდიოდა, რომ საშამხლო ამიერიდან მოსკოვის მეფის მხოლოდ ყმადნაფიცი იქნებოდა. თანაც ალექსანდრეს შამხლის ამ ფიცისა

---

104 Белокуров, Сношения..., 267, 268.

105 იქვე, 274—275.

106 იქვე, 274 — 275.

107 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა სწამდა რა: მას ეს მთავარი მხოლოდ ოსმალეთის ერთგულად მიაჩნდა[108].

ყველა ამასთან ელჩების მონათხრობი მაინც საეჭვო ჩანდა: შამხალის მიერ კახეთის რბევა რუსთა ამ ლაშქრობის შემდეგ არა თუ შენელდა, შამხალმა დაღისტნის მრავალი მთავარი შეაკავშირა და კახეთის რბევა გააძლიერა კიდეც[109]. ასე რომ კახთა მეფე იძულებული იყო შამხლის შემორიგებას ცდილიყო და ყოველწლიური მოსაკითხიც კი ეგზავნა ამ მთავრისათვის, რათა უკანასკნელს კახეთის რბევა შეენელებინა[110].

ამ უნუგეშო მდგომარეობას კიდევ ერთი ახალი სიძნელე დაემატა: იმიერკავკასიაში კახეთს ახალი მტერი გაუჩნდა. დიდი ხნის წინ მეფის სახასო ხევის ჩრდილო ნაპირი გამდგარიყო და მას ყაბარდოს ბატონი დაუფლებოდა. 1597 წელს ალექსანდრე მეფეს (ნუგზარ ერისთავის საშუალებით) ამ ქვეყანაზე ისევ თავისი ხელი დაუდვია. ამას ომი მოჰყოლია. ყაბარდოს ბატონს სოლოღს (Солох) და აიტეკ-მურზას (Айтек-мурза) ყუმუხები მოუშველებიათ და ხევი დაურბევიათ. ქართველები დადევნებიან და მომხდურთათვის დიდი ნავნები უყვიათ. სოლოღი და აიტეკ-მურზა კვლავ აპირებდნენ ხევში ლაშქრობას. ალექსანდრე მეფეს ჩერქეზთ ბატონებს შორის ჰყავდა თავისი კაცი, ალკას-ბატონი Алкас), აიტეკ-მურზას ძმა და სოლოღის ბიძაშვილი. ალკასმა ამ ომის დროს კახთა მეფეს დიდად უერთგულა. მან წინდაწინ გააფრთხილა მოხევეები სოლოღისა და აიტეკ-მურზას განზრახვის შესახებ. მაგრამ ალკასი მოსკოვის მეფის „ურჩთა“ სიაში იყო, მაშინ როცა კახეთის მეფის მტრები, სოლოღი და აიტეკ-მურზა, თერგის სარდლებს მორჩილებდნენ და ამ უკანასკნელთა დახმარებით აპირებდნენ ალექსანდრეს მომხრე ალკასის დამარცხებას.

ამრიგად, მფარველისა და ხელდებულის ინტერესთა სხვაობამ აქაც იჩინა თავი. მოსკოვის სამეფო კარის გეგმით თერგის ციხე მისი ჯარით ის ცენტრი უნდა ყოფილიყო, რომლის გარშემო მოსკოვის მეფის მორჩილებაში უნდა შემოკრებულიყვნენ მთელი კავკასიის მთავრები და ყოველი მათგანი უპირველეს ყოვლისა ამ მორჩილების თვალსაზრისით ფასობდა. სხვა ცენტრი (განსხვავებული ინტერესებით) მოსკოვისათვის დაუშვებელი იყო. ალექსანდრე კახთა მეფეს კი საკუთარი გეგმა ჰქონდა საკუთარი (კახური) ინტერესებით, რომელ-

---

108 Белокуров, Сношения..., 302.

109 იქვე, 301.

110 იქვე, 302, 303.

საც (კახთა მეფის თვალსაზრისით) თერგის ციხეც ემსახურებოდა. ალექსანდრე მეფის ეს გეგმაც საბოლოოდ ისეთ ცენტრს ჰგულისხმობდა (ასეთი ცენტრი უნდა კახეთის სამეფო ყოფილიყო), რომლის გარშემო არა მარტო ქართველი მეფე-მთავრები შეიძლება შემოკრებილიყვნენ...

სწორედ ამ საკუთარი ინტერესით ხელმძღვანელობდა ალექსანდრე მეფე. რომ მოსკოველ მფარველის ურჩ ალკასს მეგობრობდა, ხოლო ამავე მფარველის ერთგულ სოლოღს მტრობდა.

ალექსანდრე მეფე ენერგიულად ეცადა ამ თავისი მომხრე ალკასის ხელმწიფესთან შერიგებას და ამით მის გადარჩენას განადგურებისაგან[111].

სოვინი და პოლუხანოვი ტყუილად ელოდნენ სხვა ქართველ მეფე-მთავრების მოციქულებს. ალექსანდრემ სიმონ ქართლის მეფეს თითქო ელჩიც კი გაუგზავნა და ხელმწიფის საფარველში იწვევდა მას, მაგრამ პასუხი არა ჩანდა[112], რაც კახთა მეფის საეჭვო განცხადებას განსაკუთრებით ამახვილებდა: რომ ხელმწიფის ხელქვეშ სიმონ მეფის შემოყვანას ალექსანდრე თავს ვერ იდებდა; სიმონ მეფე თავის ქვეყანაში ხელმწიფეა და როგორც სურს, ისე იქცევა[113]... არც სხვა მეფე-მთავრები აწუხებდნენ თხოვნით ხელმწიფის ელჩებს.

ეს გარემოება რუსეთის პოლიტიკური მარცხის ნიშანი იყო.

მართლაც და, მოსკოვის მეფის მიერ კახეთის 12 წლის მფარველობის რეალური შედეგი საკმაო ფაქტი იყო, რომ სხვა ქართული სამეფო-სამთავროები სიფრთხილით მოჰკიდებოდნენ რუს-ხელმწიფის მიერ მაჰმადიან დამპყრობელთაგან საქრისტიანოს დაცვის დემონსტრაციას. 1598 წელს ალექსანდრე მეფე მოახსენებდა მფარველს ამ 12 წლის მფარველობის შედეგს: 12 წელია შენი ხელდებული ვარ... ქრისტიანობის გადასარჩენად შეგეფარე... შენმა ლაშქარმა კი ვერაფერი ლხენა მოუპოვა ვერც ჩვენს ტყვეებს, ვერც ეკლესია-მონასტრებს, ვერც საერთოდ ქრისტიანებს... შენი სიტყვა კი იყო: ალექსანდრე მეფეს მფარველობის ხელი დავსდე და ყველა მტრისაგან საუკუნოდ დავიცავ მას. ჩვენ შენი სიტყვა ვირწმუნეთ. ჩვენი სასოება შენ შეიქმენ, მაგრამ სწორედ ამის შემდეგ ჩემი ქვეყანა ტყვენვა-რბევით გაოხრდა და დაიცალა, ქრისტიანები ტყვეებად აქციეს, ეკლესია-მონასტრები დაიცალა და

---

111 Белокуров. Сношения., 285, 286, 289, 304, 305.

112 იქვე, 306.

113 იქვე, 303.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყრუვდა[114]. მე კი მეზობელ მუსლიმანთა საკიცხველი შევიქენ: „რა გიშველა მოსკოველმა სახელგანთქმულმა ქრისტიანმა ხელმწიფემ, რით აგაშენა“?[115]...

ქართველი მეფე-მთავრები ალექსანდრეს ნიშანს არ მოუგებდნენ: ეს მარცხი მხოლოდ კახთა მეფისა როდი იყო, — საერთო იყო. ამისგან დამოუკიდებლად ეს სამწუხარო ფაქტი ქართველ მეფე-მთავართათვის სიფრთხილის საკმაო გაკვეთილი იყო.

ასეთსავე სიფრთხილეს უკარნახებდა ქართველ მეფე-მთავრებს ამ დროისათვის შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა. ამიერკავკასიაში უკვე ერან-ოსმალეთის ომის სული ტრიალებდა. შაჰ-აბასის ხელი სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა: შაჰის აგენტები დაუცხრომლად საქმიანობდნენ. დაპირებებით, მუქარით, ათასგვარი პოლიტიკური ჭორებით აბრუებდნენ ისინი მოსახლეობას და ერანის გაბატონებას ნიადაგს უმზადებდნენ[116].

---

114 ალექსანდრე მეფის წიგნის ეს ადგილი, უეჭველია, ჩივილს გარდა მფარველზე ზემოქმედების სხვა მომენტსაც ჰგულისხმობდა. ხელდებული თითქო აფრთხილებდა მოსკოვის მეფეს, რომ ასეთ მფარველს არა თუ ახალი ხელდებული არ მიუვა, ძველიც კი არ შერჩება.

ბუნებრივად გვაგონდება რუსეთ-საქართველოს კავშირის უკანასკნელი დიდი მოღვაწე ერეკლე II, რომელიც ანალოგიური ჩივილით არა ერთხელ მიჰმართავდა პეტერბურგში მფარველის კარს 1783 წლის „მეგობრობითი პირობის“ (ტრაქტატის) დადების შემდეგ, როცა ქართლ-კახეთს ისევ გაუთენდა „შაჰ-აბასის დროის ოხრობის დღე“, ხოლო დიდი ერეკლე გარეშე და შინაური მტრების საკიცხველი გახდა... მაგრამ ანალოგია ამაზე შორს მიდის: ერეკლე, ისე როგორც ალექსანდრე, გულისტკივილით ჰხედავდა, რომ რუსეთი ვერ იყო ისეთი მფარველი, როგორიც ხელდებულსა სურდა. მიუხედავად ამისა, ერეკლე, ისევე როგორც მისი წინაპარი, მტკიცედ ადგა აღებულ კურსს, რადგან სწამდა, და ეს ღრმა სიმართლე იყო, რომ არსებულ-პოლიტიკურ ვითარებაში (ამ მხრითაც ალექსანდრეს და ერეკლეს დრო mutatis mutandis ანალოგიურია) რუსეთის მფარველობაში შესვლა საქართველოსათვის „მაინც უმცირესი ბოროტება იყო“.

კახეთის მეფე ალექსანდრე, ამრიგად, გვიანფეოდალურ საქართველოს ვითარებაში „უმცირესი ბოროტების“ საკითხის რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვეტის პიონერი იყო. შემდეგი დროის მოღვაწეები მის კვალს მისდევენ. ჩვენ არ გვეგულება სხვა ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც უფრო ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი როგორც ამ ბოროტების, თუმცა უმცირესის, სიმძიმე, ისე მისი შედარებითი უპირატესობა და, მაშასადამე, სასურველობა ყველა სხვა მონაცემთა შორის (ალექსანდრე მეფეს ამ მხრით მხოლოდ ერეკლე თუ შეედრება).

115 Белокуров. Сношения.., 420, 322.

116 Веселовский. Памятники..., 284.

შაჰის გამოლაშქრებას დღე-დღეზე ელოდნენ გულგახეთქილი ოსმალთა ფაშები, რომელთაც ეხლა სტამბოლიდან დახმარების მცირე იმედი ჰქონდათ: ოსმალეთი აღმოსავლეთისათვის იმჟამად მოუცლელად იყო, — მას ომი ჰქონდა კეისართან.

ამ დროისათვის უკვე შაჰ-აბასმა ალექსანდრეს მიმართაც თანდათან შესცვალა ტონი: თავის ყოფილ მოხარკისაგან ის ეხლა „ერთგულება-სამსახურის ჩვენებას“ მოითხოვდა. 1596 წელს შაჰმა ალექსანდრეს ქალი სთხოვა საცოლოდ. ელჩმა ბ ი რ ი ბ ე ი? მეფის ქალს შაჰისაგან დიდი საჩუქრები მოართვა. ქალი მ ა ნ უ-ჩ ა რ დ ა დ ი ა ნ ი ს დანიშნული აღმოჩნდა. ალექსანდრემ ქალი სწრაფად დააქორწინა დადიანზე, ხოლო შაჰის წინაშე მოიბოდიშა და შესაფერი სამაგიერო მისართმეველი (ბედაურები, აბრეშუმი და სხვა მოსაკითხი — 20 საპალნემდის) გაუგზავნა[117]. შაჰ-აბასი მიუხვდა კახეთის მეფეს. განრისხებულმა შაჰმა 1597 წელს ელჩი ვ ე-ლ ი-ხ ა ნ ი მოუვლინა და კახეთის აოხრებით დაემუქრა ალექსანდრეს, თუ უკანასკნელი თავის უახლოეს ნათესავს საცოლოდ არ გაუგზავნიდა შაჰს. მუქარის რეალურობას მოწმობდა ვეზირი ფარჰად-ხანი ყიზილბაშთა დიდი ჯარით, რომელიც „საპატარძლოს შესახვედრად“ შაჰმა კახეთის საზღვრებისაკენ გამოგზავნა. შეშინებულმა ალექსანდრემ თავისი ცოლის ძმის ასული (ამილახორის ქალი) გაუგზავნა შაჰს და ელჩად სახლთუხუცესი იასონ ჭავჭავაძეც აახლა[118].. შაჰ-აბასმა ალექსანდრეს ელჩი დიდად შეწყალებული გამოისტუმრა. უხვი საჩუქრები გამოუგზავნა მან აგრეთვე კახთა მეფეს და მის კარს. ამის შემდეგ შაჰს და ალექსანდრეს შორის „სიყვარული“ დამყარდა, მაგრამ კახეთის მეფემ კარგად იცოდა, რომ ყაენი მასზე გულგაწმენდილი არ იყო და, როცა დროს მოიცემდა, მძიმედ გადაახდევინებდა ნაორგულევს...

კახეთის მეფე მართლაც მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. „ყველა მტრისაგან“ განთავისუფლების ნაცვლად მას ყველა მტერი უკლებლად შერჩა, ხოლო მფარველი კი ვერ გამოადგა. შედეგი ის იყო, რომ კახეთის მეფე ხარკს, ძღვენს, მოსაკითხს და საჩუქრებს აძლევდა ოსმალეთის ხონთქარს, მეზობელ ოსმალთა

---

117 Б е л о к у р о в. Сношения..., 310, 311.

118 В е с е л о в с к и й. Памятники..., 437, 441; Б е л о к у р о в. Сношения.., 311.

ფაშებს, ერანის შაჰს, შამხალს, ლეკებს, ჩერქეზ მთავრებს[119]... და არც ეს შველოდა: მტაცებლებს მადა თან და თან ეზრდებოდათ.

რუსი ელჩების, სოვინისა და პოლუხანოვის, უკან გასტუმრება ალექსანდრე მეფემ მეტად დააყოვნა. ამის მიზეზად კახთა მეფე იმ გარემოებას ასახელებდა, რომ მას ამხელად მაჰმადიან ხელმწიფეების დიდი ხარკი გადახდა და ამიტომ შესაფერი მოსაკითხი ხელმწიფისათვის დროზე ვერ შეამზადა.

მძიმე საყვედურად მოისმოდა ხელდებულის ასეთი განცხადება. მიუხედავად ამისა, ალექსანდრე მეფე მფარველობა-ხელდებულობის აქტის ფორმალური გაუქმების ინიციატივას არ იჩენდა. რეალისტი პოლიტიკოსი სწორად აფასებდა ახლო-აღმოსავლეთის საერთაშორისო ასპარეზზე ამ ახალი ფაქტორის გამოსვლას. „ოსმალობა"—„ყიზილბაშობის" საფრთხისაგან თავისი ეროვნული არსებობის („ქართველობის") გადარჩენისათვის მებრძოლი ქართველი ხალხი ამ ძალას „ზურგად" და დამხმარედ უყურებდა. ქრისტიანი მოკავშირე უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო საქართველოს მორალური სიმტკიცისათვის მის მძიმე ბრძოლაში.

ამიტომ იყო, რომ ხელდებულის ეს საყვედური მფარველის „დაწუნებას" მიზნად არ ისახავდა და კახეთის მეფე რუსეთთან ურთიერთობის არა თუ შეწყვეტას, მის კიდევ უფრო გაძლიერებას ცდილობდა.

1598 წელს ალექსანდრე მეფემ საჭიროდ დაინახა **რუსეთ-კახეთის ურთიერთობაში ახალი მომენტის შეტანას ცდილიყო.** რუს ელჩებს, სოვინს და პოლუხანოვს, მან განუცხადა, ხოლო საკუთარ ელჩებს, თავად სოლომონსა და მდივან ლევანს, მოსკოვის კარზე მოსახსენებლად უბრძანა, რომ ხელმწიფემ დაიცვას ის ოსმალთა მოძალადეობისაგან და **ხარკი ხონთქარს რომ მიაქვს, ამიერიდან მან (მოსკოვის მეფემ) წაიღოს** (Белокуров. Сношения.., 314).

საინტერესოა, რომ აქამდის საკითხს აგრე არა სვამდა კახთა მეფე და კახეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში მფარველის აშკარა ჩარევას ერიდებოდა კიდეც... მაგრამ თანდათან ვითარება შეიცვალა. მოსკოვი სულ უფრო და უფრო დაინტერესდა ქართულ სამეფო-სამთავროებით (ამ საქმის **მთავარი მოღვაწე** სწორედ ალექსანდრე იყო). მეორე მხრით, მოსკოვი ერანს კიდევ უფრო დაუახლოვდა და საცა იყო მათ შორის ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო კავშირი დაიდებოდა. ეს გარემოება ალექსანდრე მეფემ, უეჭველია, იცოდა. ამავე დროს შაჰ-აბასი კახეთის მეფეს (ქართლის მეფესთან ერთად) ოსმალეთის წინააღმდეგ სალაშქროდ მოუწოდებდა. შაჰისაგან კახეთს მოსკოვის მეფე, ასე ჩანდა, დაიცავდა (კახეთი ამიერკავკასიაში მოსკოვის პოლიტიკური დასაყრდენი იყო, საიდანაც ის არა მარტო ოსმალეთის, თვით ერანის მეტოქეობასაც აპირებდა). ამავე დროს ოსმალეთის მდგომარეობა მძიმე ჩანდა. ევროპაში მას კეისარსა და მადიარებთან ძლიერი ომი ჰქონდა და შაჰ-აბასიც მის წინააღმდეგ ომის დაწყებას დღედღეზე აპირებდა.

ასეთ ვითარებაში რუსეთის აქტიურ გამოსვლას ამიერკავკასიაში კახეთი სათვის (და მთელი საქართველოსათვის) დიდი სარგებლობა შეეძლო მოეტანა

---

119 Белокуров. Сношения..., 310—311, 342.

და ალექსანდრე მეფემაც მფარველის დაინტერესების მიზნით საჭიროდ დაინახა ახალი მომენტი შეეტანა რუსეთ-კახეთის ურთიერთობაში.

ოსმალეთისაგან კახეთის დაცვა კი მფარველს მაშინ შეეძლებოდა, თუ ის საშამხლოს დაიპყრობდა და თერგ-კახეთის გზას დაიჭერდა.

მოხუცი პოლიტიკოსი ოსტატურად ცდილობდა მფარველისაგან რეალური დახმარება მიეღო, სურდა მოესწრო და თავისავე სიცოცხლეში საქართველოსათვის განვითარების მტკიცე პოლიტიკური პირობები უზრუნველეყო (Белокуров. Сношения.., 319).

ალექსანდრე მეფეს ასეთს პირობებში სანუგეშო მაინც ჰქონდა. კახეთი, მისი განცხადებით, ამ დროს ერთადერთი „საქართველო“ იყო, სადაც არც „ოსმალობა“ იყო, არც „ყიზილბაშობა“[120].

1598 წელს ალექსანდრე მეფემ მეექვსეჯერ გაგზავნა ელჩები მოსკოვს (თავადი სოლომონ და ლევან მდივანი). დაუსრულებელი ლოდინით მოთმინება-დაკარგულმა ხელდებულმა შესაფერისი ფორმით, მაგრამ სრულის სიცხადით აუწყა მფარველს თავისი გულის ტკივილი და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება გადაჭრით მოსთხოვა მას. — წყალობისა და შეწევნის ჟამი ახლაა... და თუ ხელმწიფის წყალობას არა ღირს ვიქნებით, ესეც გვეუწყოსო[121], — სწერდა ბორის გოდუნოვს ალექსანდრე მეფე და აქვე მეხუთეჯერ უმეორებდა თხოვნას ზარბაზნის ჩამოსხმისა და სროლის ოსტატთა გამოგზავნის შესახებ. კახეთის მეფის მთავარი სათხოვარი ეხლაც შამხლის წახდენა და თერგ-კახეთის გზის გახსნა იყო[122]. მაგრამ ამას სხვა ახალი საზრუნავიც დართოდა. ყაბარდოს ბატონები ალექსანდრეს მტრობდნენ და არაგვის გზასაც ჩაკეტვა ემუქრებოდა. ჩერქეზთ ბატონების ასალაგებავად კახეთის მეფე მოსკოვის ხელმწიფეს ყაბარდოში ოთხი ციხის აგებას სთხოვდა[123].

მხოლოდ 1601 წელს, აგვისტოში, გამოისტუმრეს მოსკოვიდან კახეთის მეფის მოციქულები და თავისი ელჩებიც თან გამოატანეს (ნაშჩოკინი და ლეონტიევი)[124].

ამასობაში რუსეთს თეოდორე მეფე გარდაცვლილიყო (1598 წ.) და მეფობა მის ცოლის-ძმას ბორის გოდუნოვს დარჩენოდა. ეს

---

120 Белокуров, Сношения..., 55, 163, 170, 220.

121 იქვე 322.

122 იქვე, 318.

123 იქვე, 337.

124 იქვე, 330, 346.

გარემოება ვითარებას არ სცვლიდა. აქამდისაც სახელმწიფო საქმეები უკვე დიდი ხანია ბორისის ხელთ იყო.

ახალმა ხელმწიფემ თითქო ენერგიულად დაიწყო.

ვოევოდა რომოდანოვსკის საშამხლოში ლაშქრობა ებრძანა. მეფე ალექსანდრეს კი დიდი ლაშქარი უნდა მიეშველებინა მისთვის, რათა რუს სარდალს შეერთებული რუს-ქართველთა ჯარით შამხლისა და ყუმუხებისათვის დაეკრა. ამავე დროს ელჩებს უნდა ალექსანდრე მეფე შვილებით და დიდებულებით მეფე ბორისისა და მისი ძის ერთგულებაზე დაეფიცებინათ[125].

მაგრამ ახლა კავკასია უდიდესი ამბების მოლოდინში იყო. შაჰ-აბასმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომის განახლების საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

ამ დროს ოსმალეთის მდგომარეობა ფრიად რთული ჩანდა: დასავლეთში გერმანიასთან და უნგრეთ-ვლახეთში უკვე დიდი ხანია ომი გრძელდებოდა. კონსტანტინეპოლში სიფაჰები აჯანყებულიყვნენ. ერაყში ბაღდადის ფაშა ურჩობდა[126], მცირე აზიაშიც აჯანყება მძინვარებდა[127], გამდგარი იყო ყირიმის ხანიც[128].

შაჰ-აბასმა შესაფერისი დრო შეარჩია. 1600 წელს შაჰის ელჩები (ჰასანი და ინგლისელი ანტონ შერლი) ქრისტიანული ქვეყნების ხელმწიფეებს ეწვივნენ (მოსკოვის მეფეს, საფრანგეთის კოროლს, ვენეტიკის დოჟს, გერმანიის იმპერატორს, რომის პაპს, ტოსკანის გრან-დუკას). შაჰ-აბასი თავის ეპისტოლეში კავშირს სთავაზობდა მათ და ოსმალეთის წინააღმდეგ სალაშქროდ მოუწოდებდა.

1601 წელს, როცა რუს-ქართველი ელჩები მოსკოვიდან წამოვიდნენ, შაჰ-აბასი უკვე ყაზვინს იდგა და ლაშქრის შეყრას ხელმძღვანელობდა[129]. სამხედრო ოპერაციები თავრიზიდან უნდა დაწყებულიყო 1602 წლის გაზაფხულს[130].

კავკასიაში უკვე ომის სუნი ტრიალებდა. შაჰ-აბასის აგენტების პროპაგანდის შედეგები იმიერკავკასიაშიც ჩანდა თავს. არ ერთი ჩერქეზთ ბატონი წაუვიდა რუს-ხელმწიფეს. ისინი შამხალს შეუთანხმდნენ, ხოლო შაჰ-აბასს „შუამდგომლობას“ სთხოვდნენ

---

125 Белокуров, Сношения..., 334.

216 იქვე, 352.

127 იქვე.

128 იქვე.

129 იქვე, 348—349.

130 იქვე.

მოსკოვის მეფის წინაშე, რათა უკანასკნელს დაებრუნებინა მათთვის მძევლები[131].

კახეთის მეფემ სცადა ესარგებლა ოსმალეთის საქმეთა გართულებით, რათა მოძალადისათვის ხარკი შეეწყვიტა. ოსმალებმა მყისვე აგრძნობინეს გაურჩებულ მოხარკეს, რომ ჯერჯერობით ხონთქარი არც აგრე „საწუნელი“ ხელმწიფე იყო. შამახიის ფაშა ომით წამოვიდა კახეთზე. ალექსანდრე იძულებული გახდა ფაშისათვის ხარკი მიეცა და ამით მშვიდობა ერთხელ კიდევ ეყიდა[132].

სწორედ ამ დროს შაჰ-აბასმაც მოაგონა თავი კახეთის მეფეს.

1601 წელს ერანიდან კახეთს კონსტანტინე ბატონიშვილი მოვიდა და შაჰ-აბასის მიერ გამოგზავნილი მდიდარი საჩუქრები მოართვა მეფე მამას[133].

როგორც შამახიის ფაშის მუქარა, ისე ყაენის საჩუქრებიც ერთნაირად მოწმობდნენ, რომ მომავალ ბრძოლებში ორივე მოწინააღმდეგე, შაჰი და ხონთქარი, თანაბარის „უფლებით“ მოსთხოვდნენ კახეთის მეფეს „ერთგულებით სამსახურს“. კიდევ მეტი უფლებით მოითხოვდა „სამსახურს“ მოსკოვის მეფე, რომელიც ისე ჰგავდა, ამ ახალს გართულებებთან დაკავშირებით იმიერ და ამიერკავკასიაში ფართო გეგმების განხორციელებას აპირებდა.

რუსეთის პოზიცია ამ ახლად შექმნილს პოლიტიკურ ვითარებაში განსაკუთრებული იყო. ოსმალეთს ის ომს არ უცხადებდა, შაჰს ხომ მეგობრობას ეფიცებოდა. ამავე დროს ორივეს ხარჯზე გაზრდა გაძლიერებას აპირებდა — უფრო კი, „მეგობრის“ ხარჯზე.

კახეთი რუსეთისათვის ეხლა განსაკუთრებით ძვირფასი იყო. მასზე დაყრდნობით (თუ საშამხლოს დაიპყრობდა და კახეთს უშუალოდ გაუმეზობლდებოდა) რუსეთს შეეძლო ამიერკავკასიაში დიდი პოლიტიკური წარმატებისათვის მიეღწია. ალექსანდრე მეფე არაერთხელ უთვალისწინებდა მფარველს ამ პერსპექტივს... მეფე ბორისი მიხვდა ამ გეგმას, მაგრამ უკვე გვიან იყო. საამისო მოსამზადებელი მუშაობა არც პოლიტიკური, არც სამხედრო რუსეთს შესრულებული არა ჰქონდა და შაჰ-აბასმაც ადვილად გააძევა საეჭვო „მეგობარი“ საშიში ადგილიდან..

---

131 Белокуров. Сношения..., იქვე, 350. ასეთი იყო შაჰ-აბასის პასუხი იმ „მეგობრისადმი“, რომელიც ამის წინ კონსტანტინე ბატონიშვილის „დათმობას“ შუამდგომლობდა...

132 იქვე, 349.

133 იქვე, 351.

სანამ ელჩები მოსკოვ-თერგის ტარიკეთ გზას ჰკეცავდნენ, კახეთიდან თერგს (19 ოქტომბერი 1601 წ.) და აქედან მოსკოვს ცნობა მიიღეს, რომ ალექსანდრე მეფე შემონაზონდა, ხოლო სამეფო ტახტი დავით ბატონიშვილმა დაიჭირა. ცნობა მეტად მნიშვნელოვან მოვლენას ეხებოდა[134]. ახალი გარემოება გარკვევას ითხოვდა. თერგის ვოევოდებმა რუს ელჩებს, ბორის გოდუნოვის ბრძანების თანახმად, დანასაქმი დაადევნეს (ასე უნდა გაეცხადებინათ კახეთის კარზე), რომ შამხლის წინააღმდეგ ლაშქრობის სამზადისი კახეთის ამბების გამო და იქაური საქმის გამორკვევამდის შეჩერდა და სარდალ რომოდანოვსკის ებრძანა ახალ განკარგულებამდის თერგისაკენ არ დაძრულიყო. ელჩებს კი უნდა განეგრძოთ გზა კახეთისაკენ, ადგილზე შეესწავლათ ახალი გარემოება, შეესრულებინათ დავალება და, რაც შეიძლება სწრაფად, დაბრუნებულიყვნენ, რომ ყოველივე ბორის მეფისათვის მოეხსენებინათ, რათა ხელმწიფის ვოევოდების და (შეყრილ) მოლაშქრეთა დაყოვნება არ მომხდარიყო და ამის გამო სახელმწიფოს დიდი ზარალი არ მოსვლოდა[135].

ნამდვილად კი ბორის გოდუნოვის ხელგვიანობა და რომოდანოვსკის ლაშქრობის შეყოვნება სულ სხვა მიზეზებით აიხსნებოდა. ამას მოწმობს, როგორც რუს ელჩებისათვის მიცემული დანასაქმი (ნაკაზი), ისე სხვა მასალაც:

ბორის მეფეს კახთა მეფის აჯა დაუკმაყოფილებია და შამხალის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ლაშქრობის მოწყობა აღუთქვამს (Белокуров. Сношения..., 330). ამ ლაშქრობის შესახებ ბორის გოდუნოვს წიგნით მიუწერია ალექსანდრე მეფისათვის (Белокуров. Сношения..., 336) და რუს ელჩებს ხელმწიფის ეს „წყალობა" მისთვის ზეპირადაც მოუხსენებიათ (Белокуров. Сношения..., 364).

მოსკოვიდან წამოსულ ქართველ ელჩებს სარდალ რომოდანოვსკისა და რუსთა ლაშქრის წამოსვლა არ უნახავთ (Белокуров. Сношения..., 330). თუ ისინი (ქართველი ელჩები) რუს ელჩებს გზაში ჰკითხავდნენ რასმე, ნაშჩოკინ-ლეონტიევს, დანასაქმის თანახმად, უნდა ეთქვათ, რომ ხსენებული სარდალი თავისი ჯარით მოსკოვიდან უკვე წამოვიდა და რომ ხელმწიფის ბრძანებაც სხვა მოლაშქრეთა მზაობის შესახებ ქვემოურ (ვოლგისპირეთის) ქალაქებში უკვე გაიგზავნა (Белокуров. Сношения.., 330).

ამასთან ერთად დანასაქმი ითვალისწინებდა მფარველის დაპირებებისადმი ხელდებულის გაეჭვიანებას, რომ კახეთში გოდუნოვის წიგნს და არც რუს

---

134 Белокуров, Сношения..., 352, 357.

135 იქვე, 353 — 354.

ელჩების ზეპირ განცხადებას არ დაუჯერებდნენ და სინამდვილეში დასარწმუნებლად თერგზე საგანგებოდ კაცს გაგზავნიდნენ. რუსი ელჩები ასეთი შემთხვევისათვისაც მზად უნდა ყოფილიყვნენ. როცა კახთა მეფე ან მისი კაცები ელჩებს ეტყოდნენ, რომ მათი განცხადება ლაშქრობის შესახებ ნამდვილი არ გამოდგა. რომ ლაშქარი თერგსა და კოისუს აქამდისაც არ მოსულა, მათ უნდა ეპასუხნათ, რომ მოსკოვიდან რომოდანოვსკის გამოგზავნის შესახებ ჭეშმარიტად იციან; ასევე ჭეშმარიტად იციან, რომ ლაშქრის მზაობის შესახებ მეფის ბრძანება ქვემოურ ქალაქებს გაეგზავნა და რომ მათ (ელჩებმა) ამ ქალაქებზე გამოვლისას ნახეს კიდეც: ჯარი მზად იყო და სარდალ რომოდანოვსკის ელოდებოდა. „ეხლა კი ჩვენ არ უწყით,—ასე უნდა ეთქვათ ელჩებს,—თუ რატომ შეაყოვნდაო აქამდის კნიაზ ივანე რომოდანოვსკის და ხელმწიფის ლაშქარს“ (Белокуров, Сношения..., 336). და ელჩებს აქვე უნდა ეჭვი გამოეთქვათ, რომ ლაშქრობის შეყოვნება, ალბათ, ასტრახანის გადაწვით და იქ სამხედრო სურსათის დაღუბვით აიხსნება, რომ ლაშქრის მომარაგება, ალბათ, ზემო ქალაქებში ხდება და ამიტომაც, უეჭველია, სარდალს შეაგვიანდა. და ელჩებს უნდა კატეგორიული განცხადებით დაესრულებინათ: „თუ, ვინიცობაა, ამ ზამთარს ხელმწიფის ლაშქარმა თერგს მოსვლა ვერ მოასწრო, გარწმუნებთ, რომ ხელმწიფის სარდლები... ადრე გაზაფხულზე დიდი ლაშქრით უსათუოდ თერგზე იქნებიან... და ალექსანდრე მეფე მისი უდიდებულესობის (ე. ი. რუსთა მეფის) მოიმედე იყოს, რომ ხელმწიფის ლაშქარი შამხალზე ჩქარა წამოვა“ (Белокуров, Сношения..., 336—337).

აშკარაა, მოსკოვში გადაწყვეტილი ჰქონიათ შამხალზე ლაშქრობის შეგვიანება. უწინარეს ლაშქრობისა იქ საჭიროდ მიაჩნიათ ბორის გოდუნოვის ერთგულების ფიცი მიაღებინონ კახთა მეფეს... და როცა, ასეთი განწყობილებისას, კახეთიდან მოსკოვს ცნობა მივიდა, რომ ალექსანდრე მეფის კარზე პოლიტიკური გართულებაა, რუსეთის მეფემ, ბუნებრივია, თავისი ელჩები შამხლის წინააღმდეგ ლაშქრობის შეყოვნების ამ ახალი (უფრო საფუძვლიანი) საბუთით აღჭურვა (Белокуров, Сношения..., 354).

მაგრამ ისიც უეჭველია, რომ შამხალზე ლაშქრობა, თუნდაც შეგვიანებით, ან ამ ლაშქრობის დემონსტრაცია, მოსკოველ პოლიტიკოსებს საჭიროდ მიაჩნდათ.

რომოდანოვსკის ლაშქრობის შეყოვნების ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ ალექსანდრე მეფეს გოდუნოვის ერთგულების ფიცი ჯერ მიღებული არ ჰქონდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ მოვლენის მთავარი მიზეზი მაინც სხვა იყო. ეს მიზეზი იმავე ერან-რუსეთის ურთიერთობაშია საძიებელი.

როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, შაჰ-აბასმა 1595 წელს რუსეთის მეფეს ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის წინადადებით მიჰმართა. იმავე ელჩის პირით დიპლომატმა შაჰმა სთხოვა მეგობარს, არ დაიპყროს საშამხლო და ამ თავის ყმას (შამხალს) ის (შაჰ-აბასი) თითონ დაუმორჩილებს მას... (იხ. ზემოთ).

მოსკოვში შაჰის ეს წინადადება მიიღეს...

ტაუფიაკინსა და ომელჯანოვს, შაჰ-აბასთან სამხედრო კავშირის გასაფორმებლად რომ იყვნენ გაგზავნილნი, დასაქმული ჰქონდათ შაჰის დიპლომატებისათვის შამხლის შესახებ განეცხადებინათ: შამხალი შაჰს წაუვიდა და პატრონყოფილის სამტროდ ხონთქარსა და ყირიმის მეფეს ემოციქულებოდა; შემდეგ

მორჩილება და ერთგულება მოსკოვის მეფეს აღუთქვა და ხელმწიფემაც მფარველობის ხელი დასდო მას; მაგრამ შამხალმა პირი გასტეხა და ისევ კვალუკულმართ იწყო სვლა: შაჰის შიკრიკი, ყაია, ერანიდან მოსკოვს მიმავალი გაძარცვა და დიდხანს თავისთან დაიჭირა; ამით მას სურდა შაჰისა და რუს-ხელმწიფის მეგობრულ ურთიერთობისათვის ხელი შეეშალა; ხელმწიფემ არაერთგზის ლაშქარი გაგზავნა მის წინააღმდეგ; ხელმწიფის სარდლებმა საშამხლო დალაშქრეს, ტარკი, ტარკალი და სხვა ადგილები აიღეს და ააოხრეს, კოისუზე ახალი ციხეები ჩადგეს და ამ ციხეებში (საშამხლოში) მეციხოვნეები მრავლად შეაყენეს; ეხლა შაჰმა ანდიბეკის პირით სთხოვა ხელმწიფეს, რათა შამხალს შეუნდოს, ომით დაპყრობას მისას ნუ ბრძანებს და შამხალი ამიერიდან ხელმწიფის მორჩილებაში იქნება; შაჰის გულისათვის ხელმწიფემ შამხალს შეუნდო, მის წინააღმდეგ სამტრო მოქმედების შეჩერება ბრძანა და შამხალთან თავისი მოხელე გაგზავნა, რათა ის (შამხალი) მეფის ერთგულებაზე დააფიცოს და შვილიც მძევლად გამოართვას (Веселовский. Памятники..., 362—363).

სამხედრო კავშირის სიგლების პროექტებში, — შაჰის ფიცი და მოსკოვის მეფის ფიცი,—ტჲუფიაკინს და ომელჲანოვს მოსკოვის დიპლომატებმა დამზადებული რომ გაატანეს, ჩვენთვის საინტერესოა: დარუბანდს, შამახიას და ბაქოს შაჰ-აბასი უთმობს ხელმწიფეს. ოსმალებს ამ ქალაქებს შაჰი წაართმევს. მოსკოველი მოკავშირე მას მხოლოდ ლაშქრით ეხმარება... არც საშამხლოზე და არც კახეთზე ამ პროექტებში არაფერია ნათქვამი. ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მოკავშირენი ურთიერთის ტერიტორიულ საზღვრების ხელუხლებლობას მტკიცედ დაიცავენ, მაგრამ ეს საზღვრები აქ გარკვეული არაა... ყურადღებას იქცევს: პროექტებში შაჰი წოდებულია **ერანის, თურანის და შარვანის** ქვეყნების პატრონად. საქართველო აქედან, როგორც ვხედავთ, ყოველ შემთხვევაში, გამორიცხულია, ასევე საშამხლოც. მაგრამ ვერც მოსკოვის მეფე სცნობს შესაძლებლად თავის წოდებულებაში შეიტანოს „и государя Иверские земли грузинских царей и Кабардинские земли черкасских и горских князей". მოსკოვის მეფის ტიტულატურის ეს ნაწილი, უკვე დიდი ხანია მიღებული, შაჰთან ურთიერთობისას განზრახ ამოღებული ჩანს... (Веселовский. Памятники.., 377). ამრიგად, საშამხლოსა და კახეთის იურიდიული საერთაშორისო მდგომარეობა ამ პროექტით გაურკვეველი რჩებოდა. მოსკოვის დიპლომატები, ჩანს, ამჯობინებდნენ არ დაესვათ ეხლა ეს საკითხები და მათი საბოლოო გადაწყვეტა მომავლისათვის გადაედოთ. მოსკოვში კარგად იცოდნენ რომ შაჰს საქართველოზე, ისე როგორც საშამხლოზე, ხელი არ აუღია. მაგრამ არც შაჰი გაიძახის ეხლა თავის ამ „უფლებებზე", თუმცა არც ერთ საბაბს არ უშვებს, რომ „მეგობარს" აგრძნობინოს ამ საკითხებზე თავისი შეხედულება... ჩანს, არც შაჰ-აბასს მიაჩნია ხელსაყრელად ეს საკითხები გადასაჭრელად დასვას ეხლა, როცა „მეგობრის" პოზიციები აგრე ძლიერია..

თითქო შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის დიპლომატები შეცდნენ, თუ სხვა რამ საპატიო მიზეზი, ჩვენ რომ არ ვიცით, არ ჰქონდათ: რუსეთს უნდა ესარგებლნა თავისი პოზიციების უპირატესობით და საშამხლოსა და კახეთის საკითხები ეხლავე გაერკვია, სანამ შაჰი იძულებული იყო დამთმობი მოკავშირე ყოფილიყო.

ტჲუფიაკინ-ომელჲანოვის ელჩობას (1597—1599 წწ.) ფათერაკი შეემთხვა. ელჩებიცა და საელჩოს სხვა მხლებელნიც რაღაც ჭირმა იმსხვერპლა. ელჩობა

არ შედგა. თედორე მეფისა და გოდუნოვის წიგნები და მოსაკითხი შაჰს საელჩოს ბაზიერებმა და მეთოფეებმა გადასცეს. საელჩოს ნაშთი მოსკოვს მხოლოდ 1599 წელს 13 იანვარს დაბრუნდა (Веселовский. Памятники..., 430—453).

ამ ხანებში შაჰ-აბასის საქმეები სულ უფრო და უფრო მეტ წარმატებაში შედიოდა. 1598 წელს ერანის მტერი და ოსმალეთის მოკავშირე აბდულა ბუხარელი გარდაიცვალა. შაჰ-აბასმა მარჯვე დრო იხელთა და ოზბეგებს შეუტია (Веселовский. Памятники..., I, 427 — 429). ამავე წელს შაჰმა ქურთისტანს ილაშქრა. ოსმალეთის მომხრე ქურთების მეთაური მოკლულ იქნა (იქვე, 436). მეორე მხრით შაჰ-აბასის სარდლებმა მაზანდარანი ომით აიღეს და მისი მფლობელი, ოსმალეთის მომხრე, ოზბეგებთან გაიქცა (იქვე, 438).

შაჰი შესანიშნავად მოღვაწეობდა. ოსმალეთთან გადამწყვეტი ომისათვის ემზადებოდა. ხონთქართან ზავის განმავლობაში (1590—1602 წწ.) შაჰმა შემოიმტკიცა გილანი, მაზანდარანი, ქურთისტანი. განდევნა ამ ქვეყნებიდან ოსმალეთის მომხრეები და მომავალ ომში ხონთქრის პოზიციები ამით ერთბაშად შეასუსტა. შარვან-ადერბაიჯანშიაც კი, სადაც ოსმალთა გარნიზონები ისხდნენ, შაჰის მომხრეები სჭარბობდნენ (იქვე, 449 და სხვ.), ოზბეგების მიერ დაპყრობილ ხორასანშიაც შაჰს ელოდნენ (იქვე, 450). ეხლა (1598 წელს) შაჰი ოზბეგების გასანადგურებლად ემზადებოდა, რათა ოსმალეთისათვის ეს უკანასკნელი მოკავშირეც ჩამოეცილებინა და ხონთქრის წინააღმდეგ საომრად საბოლოოდ ხელები გაეხსნა... ამავე ხანებში შაჰი დიდი მოხერხებითა და ენერგიით ცდილობდა რუსეთისა და დას. ევროპის ძალები ოსმალეთის წინააღმდეგ მოეშველებინა...

შამხალს მოსკოვიდან მართლაც მიუვლინეს მოხელე (პეტრე ნეელოვი), მაგრამ შამხალმა დანაპირები არ შეასრულა, რუსთა მეფის ერთგულების ფიცი არ მიიღო და არც შვილი გაგზავნა მძევლად (Веселовский. Памятники... II, 44). ერთგულების ფიცის პირობად შამხალმა მოსკოვის მეფეს კოისუზე ციხის მოთხრა მოსთხოვა (იქვე, II, 28).

ჩანდა, რომ შამხლის ასეთ გაბედულებას ვიღაც მხარს უჭერდა.

საშამხლოში რუსეთი ოსმალეთის რაიმე განსაკუთრებულ უფლებას არ სცნობდა (იქვე, 53). ამ საკითხში რუსეთი ანგარიშს მხოლოდ შაჰს უწევდა. შამხალმა ეს კარგად იცოდა და ამიტომაც იყო, რომ, როგორც კი მას რუსეთის მხრით საფრთხე რაიმე დაუდგებოდა, უმალ შაჰს მიაშურებდა...

1598 წელს მოსკოვს მოვიდა შაჰის შიკრიკი ანდი-ბეგი. შაჰის წიგნებთან ერთად შიკრიკმა შამხლის წიგნიც მოიტანა (იქვე, II, 8, 9, 27 — 28). შამხალი მოსკოვის მეფეს ერთგულებას ჰპირდებოდა, ოღონდ კოისუზე ციხის მოთხრას მოითხოვდა. შაჰიც ამასვე სთხოვდა მეგობარს. ანდი-ბეგის მიმართ მოსკოვში ეჭვი გაუჩნდათ, რომ ეს „შაჰის შიკრიკი“ შამხალთან შეთქმული მატყუარაა და რომ მის მიერ მოტანილი შაჰის წიგნი ყალბია (იქვე, II, 8 და სხვ.).

მოსკოვის კარს გაუბედაობა ეტყობოდა. ანდი-ბეგის მატყუარობაში საბოლოოდ დარწმუნებული არ იყვნენ და შაჰის თხოვნა შამხლის დანდობის შესახებ ანგარიშგასაწევი გარემოება იყო, განსაკუთრებით ეხლა, როცა თავისი ელჩები, ტ.ჯუფიაკინ-ომელჯანოვი, სამხედრო კავშირის გასაფორმებლად შაჰის კარზე ეგულებოდათ...

ამრიგად, შამხალი ამხელადაც გადაურჩა საფრთხეს... 1600 — 1601 წელს,

როცა ბორის გოდუნოვმა კვლავ სცადა შაჰ-აბასთან სამხედრო კავშირის დადება და ამ მისიით კნიაზი **ზასეკინი** ერანს გაგზავნა, დანასაქმით ამ ელჩს შამხლის შესახებ იგივე უნდა ეთქვა, რაც ტ.ჯუფიაკინს (იხ. ზემოთ), მხოლოდ უნდა დაერთო ისიც, თუ რა მოხდა იმ ელჩობის შემდეგ: რომ შამხალმა დანაპირები არ შეასრულა და მოსკოვის მეფის მიერ მასთან მივლენილი მოხელე შეურაცხყოფილი გამოისტუმრა, რომ ამის გამო ბორის მეფე საშამხლოზე ლაშქრის გაგზავნას აპირებდა და რომ ამ დროს მას (ბორის მეფეს) ანდი-ბეგის ხელით შაჰის წიგნი მოუვიდა, რომლითაც შაჰი შამხლის დაულაშქრობას და კოისუზე ციხის მოთხრას სთხოვდა მეგობარს, რომ ხელმწიფემაც (შაჰის თხოვნისამებრ) საშამხლოზე ლაშქრობა მოშალა (იქვე, 49). და თუ შაჰი ან მისი კარისკაცები რუს ელჩს სიტყვას ჩამოუგდებდნენ შამხალზე და აღმოჩნდებოდა, რომ ანდიბეგი ნამდვილად შაჰის შიკრიკი ყოფილა და კოსიუზე ციხის მოთხრა მართლაც შაჰს უთხოვია, ზასეკინს დასაქმული ჰქონდა განეცხადებინა, რომ ბორის მეფე შაჰ-აბასის სიყვარულისათვის კოისუზე ციხის მოთხრას ბრძანებს, ოღონდ შაჰმა შამხალს უბრძანოს, რათა უკანასკნელმა ბორის მეფის ერთგულებაზე დაიფიცოს და შვილიც თერგის ციხეში მძევლად გამოგზავნოს (იქვე, 45).

სწორედ ამ დროს, როცა რუსი დიპლომატები ზასეკინს ასეთ დანასაქმს უწერდნენ, მოსკოვს იყო ალექსანდრე კახთა მეფის ელჩი თავადი სოლომონ (Веселовский. Памятники..., II, 48; Белокуров. Сношения..., 314—346) და მფარველის წინაშე ხელდებულის აჯის შესრულებისათვის საქმობდა.

ამრიგად, ერთსა და იმავე დროს (1601 წელს) ნაშჩოკინ-ლეონტიევს ალექსადნრე მეფესთან შამხლის წინააღმდეგ რუსთა ლაშქრობის ცნობა მოჰქონდათ, ხოლო ზასეკინს შაჰ-აბასთან მიჰქონდა ცნობა, რომ ბორის მეფემ შამხლის წინააღმდეგ ლაშქრობა შაჰის თხოვნით მოშალა...

რომოდანოვსკის ლაშქრობის დემონსტრაციას მოსკოვის დიპლომატია რამდენიმე მიზანს უსახავდა. ლაშქრობის შესახებ ცნობა (საინტერესოა, რომ მოსკოვში ეხლა საჭიროდ არ მიაჩნდათ, როგორც ეს სხვა დროს ხდებოდა, ლაშქრობის სამზადისი საიდუმლოდ ჩაეტარებინათ) გავლენას მოახდენდა, როგორც შამხალზე, ისე მის მფარველზე. შამხალი მორჩილება-ერთგულების მეტ სურვილს გამოიჩენდა, ხოლო შაჰი უფრო მეტის ენერგიით დაარწმუნებდა თავის ხელდებულს მოსკოვის მეფისადმი მორჩილება-ერთგულების აუცილებლობაში. ამავე დროს არც კახელი ხელდებული ჩანდა მფარველის მიერ უიმედოდ დაგდებული.

ეხლა აშკარაა: რომოდანოვსკის ლაშქრობა დემონსტრაციად დარჩებოდა, სანამ მოსკოვის მეფე ერანიდან გარკვეულ ცნობებს არ მიიღებდა, რომლის შედეგად ეს ლაშქრობა ან ნამდვილად მოეწყობოდა, ან კიდევ საბოლოოდ მოიშლებოდა.

(რუსეთის მეფე მძიმე მდგომარეობაში იყო. ის შაჰს მეგობრობდა და მის საწყენს ერიდებოდა. შაჰი მეგობარს შამხლის დანდობას სთხოვდა. კახთა მეფე კი მფარველისაგან გადაჭრილ მოქმედებას მოითხოვდა შამხლის წინააღმდეგ... როცა მოსკოვის კარის წინაშე არჩევანი იდგა: ალექსანდრე მეფე თუ შამხალი, ის უყოყმანოდ პირველს ირჩევდა, მაგრამ არჩევანისას: კახთა მეფე თუ ერანის

შაჰი, **მას საშუალებაც არ ჰქონდა აქ საბოლოო არჩევანი მოეხდინა** და მოსკოვის კარი ამ საკითხების მორიგებას დიდხანს უნაყოფოდ ცდილობდა...).

ყოველივე ცდის მიუხედავად ელჩებმა მხოლოდ **1602 წლის პირველ ივლისს** მიაღწიეს კახეთს და მეფე დავითს წარუდგნენ.[136]

ამ ხანებში კახეთში მართლაც მნიშვნელოვანი ამბები მომხდარიყო.

* *

ისე როგორც ყოველს ფეოდალურ ქვეყანაში, კახეთშიაც ფეოდალებს საერთო ინტერესების გვერდით დაუსრულებელი შინაკლასობრივი მტრობა-ქიშპი ჰქონდათ. მიწა-მამულისა, ყმებისა თუ სახელოს ქონების ნიადაგზე გვარი გვარს ეცილებოდა, ოჯახი ოჯახს, მსხვილი ფეოდალი წვრილს ავიწროებდა, „სახლის“ უფროსი უმცროს წევრებს მძლავრობდა, საერო ფეოდალებს საეკლესიო ყმამამულის დატაცებაზე ეჭირათ თვალი. არც თვით საეკლესიო ფეოდალებს შორის სუფევდა მხოლოდ „სათნოება და სიყვარული“.

(ალავერდელი პირველობას იჩემებდა და მცხეთისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდა. კახთა მეფეები ალავერდელს ამაში მხარს უჭერდნენ, პოლიტიკური მოსაზრებით მათ ეს სასურველად მიაჩნდათ. მაგრამ მცხეთის კათალიკოზი დასაყრდენს სხვა ეპისკოპოსებში ჰპოულობდა, რომელთაც არაფრად მოსწონდათ ალავერდელის მიტროპოლიტობა და მისი უკანონო „თვითმწყემსობა“).

მეფე ყველა ამათი „გამკითხავი“ იყო. ზოგს სტუქსავდა, ზოგს „ხელს აუპყრობდა“. რა თქმა უნდა, მეფე, როგორც ერთ-ერთი დიდი ფეოდალი და ფეოდალური შინაკლასობრივი ბრძოლის მონაწილე, „თვალუხვამი“ არ იყო და მისი სამართალი ამ ფეოდალთა მიმართაც კი ყოველთვის „მართალი“ როდი იყო...

მეფე ერთი ფეოდალთაგანი იყო. სხვა ფეოდალური „სახლების“ მსგავსად მეფის „სახლსაც“ ჰქონდა სახასო ქვეყნები, ხოლო ამ „სახლის“ შვილებს საუფლისწულო, სათავისთავო, ნასყიდი, ნამზითვი, ნასისხლი და სხვა საკუთარი ქონება, ყმა, მიწა-წყალი...

---

136 Белокуров. Сношения..., 362.

ურთიერთშორის ქიშპი მეფის „სახლშიაც“ ისეთივე ბუნებრივი ამბავი იყო, როგორც რომელიმე თავადის სახლში...

ერთიმეორის მოქიშპე ფეოდალები, ბუნებრივია, ჯგუფებად ერთიანდებოდნენ. მოპირდაპირე ჯგუფები დასაყრდენს ურთიერთშორის მოქიშპე ბატონიშვილებში პოულობდნენ. იქმნებოდა მეფის, ან ამა თუ იმ ბატონიშვილის მომხრე ფეოდალთა დასები.... ასეთი პირობები ხელსაყრელი სარბიელი იყო უცხოელ დამპყრობელთათვის. მოძალადე-აგრესორები ყოველთვის ხმლით როდი მოდიოდნენ. პროპაგანდა იმ დროსაც იცოდნენ და ის ერთ-ერთ ნაცად საშუალებად იყო ცნობილი ამა თუ იმ ქვეყნის დაპყრობის საქმეში. მტრების აგენტები ქრთამით, საჩუქრებით, პატივისა და „გაკეთების“ დაპირებით ადვილად იჩენდნენ მომხრეებს ფეოდალურ ჯგუფებს შორის და ქვეყნის დაპყრობის ხელსაყრელ ნიადაგს ამზადებდნენ... იქმნებოდა ფეოდალური „ორიენტაციები“: „ციხე შიგნიდან ტყდებოდა“...

კახთა მეფე ალექსანდრეს ხუთი ვაჟი ჰყავდა: ერეკლე, დავითი, გიორგი, კონსტანტინე და როსტომი. ეს უკანასკნელი ყმაწვილობაშივე გარდაიცვალა (ის 1579 წლის შემდეგ აღარა ჩანს). კონსტანტინე ჯერ კიდევ შვიდი წლის ბავშვი იყო, როცა ერანში მძევლად წაიყვანეს. ამ დროიდან (1584 წ.) კონსტანტინე შაჰის კარზე იმყოფებოდა. იქ მუსლიმანობა მიიღებინეს მძევალ ბატონიშვილს და შაჰ-აბასი კახეთის სამეფო ტახტის მომავალ პრეტენდენტს „მამობრივ მზრუნველობას“ არ აკლებდა. ერეკლე 1589 წ. „გაიქცა“ ოსმალეთის ხვანთქრის კარზე და იქ ჩქარა გარდაიცვალა. ასე რომ უფროსი, და, მაშ, ტახტის მემკვიდრე ამიერიდან იყო დავითი. ალექსანდრე მეფეს, როგორც ჩანს, კახეთის მეფობა გიორგი ბატონიშვილისათვის უნდოდა. ბატონიშვილებს შორის, ბუნებრივია, შური და უნდობლობა გაჩენილიყო. ბატონიშვილების გარშემო ურთიერთის მოქიშპე ფეოდალთა ჯგუფები იყრიდნენ თავს... სანამ მეფე ალექსანდრე არ მოხუცებულიყო და არც ერან-ოსმალეთის მეტოქეობა ამიერ-კავკასიაში გადამწყვეტ ფაზაში შესულიყო, ბატონიშვილების ეს ურთიერთ შორის უნდობლობა საშიში არ იყო. მაგრამ კახთა მეფის თანდათანი მოხუცებისა და ერან-ოსმალეთის ბრძოლის გადამწყვეტი მომენტის მოახლოებასთან ერთად დავითსა და გიორგის შორის ქიშპიც უკიდურეს ხასიათს იღებდა.

ერანი და ოსმალეთი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მომავალ შეტაკებისას კახეთი თავის მხარეზე ჰყოლოდათ. შაჰის წყალო-

ბა-საჩუქრები მარტო მეფეს როდი მოსდიოდა. — და არც ოსმალეთი სჯერდებოდა ომით აკლების მუქარას და კახი ფეოდალების მიმხრობას სხვა საშუალებებითაც ცდილობდა.

1598 წელს სიმონ ქართლის მეფემ ოსმალთა წინააღმდეგ დროებით შეწყვეტილი ომი განაახლა. სიმონ მეფე შაჰ-აბასთან შეთანხმებით მოქმედებდა. ალექსანდრე კახთა მეფემ ისარგებლა ოსმალთა საქმის გართულებით და ხონთქარს ხარკი შეუწყვიტა. მაგრამ, ვიდრე შაჰ-აბასი გამოილაშქრებდა, სიმონ მეფეს უბედურება ეწია. 1600 წელს ის ტყვედ ჩაუვარდა მტერს. ოსმალთა ამ წარმატებამ აიძულა ალექსანდრე მეფე ოსმალეთის მიმართ აღებული პოლიტიკური კურსი შეეცვალა. 1601 წელს კახთა მეფე დამორჩილდა შამახიის ფაშის მუქარას და ხარკი მისცა ხონთქრის ამ მოხელეს.[137] ამიერიდან ალექსანდრე მეფე ოსმალეთის მიმართ ისევ დაყვავების პოლიტიკას ადგა. ასეთ საქციელს; უეჭველია, შაჰი ერთგულებად არ ჩამოართმევდა კახეთის მეფეს. მაგრამ დიდ პოლიტიკოსს, შაჰ-აბასს, ისე როგორც არავის მის თანამედროვეს, ადვილად ეხერხებოდა, საჭიროებისდა მიხედვით, რისხვა დამნაშავის თავს წყალობის სახედ დაეტეხა. ასეთი „დანაელთა ძღვენი“ იყო შაჰის ის დიდი „წყალობა-საბოძვარი“, კონსტანტინე-მირზამ რომ მოართვა მეფე-მამას და მთელ სამეფო კარს 1601 წელს.[138] უხვ „წყალობას“ თან სდევდა კიდევ უფრო უხვად დარხეული ხმები, რომ მომავალ გაზაფხულს შაჰი ურიცხვი მხედრობით გამოილაშქრებდა თავრიზის, განჯისა, შამახიისა, დარუბანდისა და ერევნის ფაშების წინააღმდეგ.[139]

და შემთხვევით არც ის იყო, რომ სწორედ კონსტანტინე მირზას ამ სტუმრობის შემდეგ კახეთის სამეფო კარზე ტრაგედია დატრიალდა.

მოხუცი მეფე 1601 წლის ზაფხულს მძიმე ავად შექმნილა. ფეოდალთა დასებს ბატონიშვილები შეუგულიანებიათ. დავითის მომხრეთა დასი, ჩანს, უფრო ძლიერი ყოფილა. გიორგი ბატონიშვილს ოსმალებთან გაქცევა დაუპირებია. ვერ მოუსწრია. მოქიშპე უფლისწულები მორიგებულან. ურთიერთისათვის შეუფიც-

---

137 Белокуров. Сношения...

138 იქვე, 351.

139 იქვე.

ნიათ. მეფობა დავითს დარჩენია. გიორგი საუფლისწულოზე დამ-ჯდარა.[140]

ამასობაში მეფე ალექსანდრეს უკეთობა დასტყობია. დავითს ყოყმანი დაუწყია, მაგრამ მომხრეებს შეუგულიანებიათ და შვილს მამისათვის სამეფო ნიშნების გამოგზავნა მოუთხოვია. ავადმყოფ ალექსანდრეს შეუტყვია, რომ დავითი არ დაინდობდა მას და მო-ძალადისათვის სამეფო დროშა, გვირგვინი, სარტყელი და ხმალი გაუგზავნია. ალექსანდრე შემონაზონებულა. დავითი კი კახეთის მეფედ დამჯდარა (1601 წ. ოქტომბერი). ამით მშვიდობა არ ჩამო-ვარდნილა. მალე გიორგი ბატონიშვილი ყველა უკმაყოფილოს იმედი გამხდარა. ალექსანდრე მეფისა და გიორგი ბატონიშვილის მომხრე ფეოდალებს იარაღი არ დაუყრიათ. მათ დავითის მოკვლა განუზრახავთ და გიორგი ბატონიშვილისათვის მოუთხოვიათ, რომ ამ საქმეს უთავოს. დავით მეფის მოწინააღმდეგედ გამოსულა აგრეთვე ნუგზარ არაგვის ერისთავი. მას უარუყვია კახეთის მეფის ყმობა. გიორგი ბატონიშვილისა და მის მომხრეთა საიდუმლო განზრახვა გამჟღავნებულა. დავით მეფეს მოუსწრია და შეთქმუ-ლების მონაწილენი მრავლად შეუპყრია. გიორგი ბატონიშვილი გაქცეულა და მცხეთის კათალიკოზს „შეხვეწია". გიორგი ქართ-ლის მეფე ამ საქმეში დავითის მხარეზე ყოფილა. მისი დახმარე-ბით დავით მეფეს აჯანყებული ძმა ხელთ შეუპყრია, დაუბორკავს ის და საპყრობილეში ჩაუგდია. შეთქმულების მონაწილე ფეოდა-ლები დავით მეფეს სასტიკად დაუსჯია. ვინც ხელთ ჩაუგდია, სულ ყველა დაუხოცია. თორმეტი მონაწილეთაგანი ჭოეთის ციხის კედ-ლებიდან გადმოუყრია, ხუთისათვის თავი გაუგდებინებია. მონა-ზონი ალექსანდრე ალავერდის მონასტერში მდგარა. დავით მე-ფეს მონაზონი მამა თავისი მოწინააღმდეგე ფეოდალების იმედად მიაჩნდა. ამიტომაც ის უპატიოდ ეპყრობოდა შვილით უკმაყოფი-ლო მამას. ბოლოს, როცა დავით მეფეს ალავერდის ეკლესიის კა-რებში დაუჩეხინებია ალექსანდრე მეფის ერთი ყველაზედ უფრო მისანდო პირი, ღვთისმშობლის ხატს შეხვეწილი, მამა მონაზონს შვილი მეფე საშინელის წყევლით შეუჩვენებია.[141]

---

[140] იქვე, 388—389.

[141] Белокуров. Сношения..., 388—389.

* *

რუსმა ელჩებმა დავით მეფეს, მისამართის შეცვლით, ყველაფერი მოახსენეს. აცნობეს დიდი ლაშქრის გამოსტუმრება შამხლის წინააღმდეგ. ამ ლაშქრის სარდალთან შეთანხმებით დავით მეფეს თავის მხრით ომი უნდა დაეწყო შამხლის წინააღმდეგ. გარდა ამისა, დავით მეფეს ევალებოდა სხვა ქართველ მეფე-მთავრების რუსეთის ხელმწიფის საფარველს ქვეშ მოზიდვა. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, კახეთის მეფესა და მის კარს ხელდებულობის ახალი ფიცის წიგნი უნდა დაედოთ ახალი მფარველის, ბორის მეფისა და მისი ძის, წინაშე.[142]

დავით მეფეს საჭიროდ დაუნახავს რუსი ელჩების მიღებას მონაზონი მამაც დასწრებოდა.[143]

ერთგულების ახალი ფიცის წიგნის დადებას თურმე წინ უძღოდა ხანგრძლივი მსჯელობა. ამ ახალს პირობებში ეს სრულიად ბუნებრივი იყო: ერან-ოსმალეთის დიდი ომი იწყებოდა, მოუფიქრებელი პოლიტიკური ნაბიჯი შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო...

ელჩების მოხსენებით და ბორის მეფის წიგნით დაჯერებულს კახეთის სამეფო კარს შესაძლებლად დაუნახავს ერთხელ კიდევ დაეფიცა მოსკოვის ხელმწიფის ერთგულებაზე.

კახეთის სამეფო კარს საოცნებო პერსპექტივების რეალური შესაძლებლობა ეხატებოდა. ამ კრიტიკულ მომენტში რუს-ხელმწიფეს ამიერკავკასიის საქმეებში აქტიურად ჩარევა გადაეწყვიტა. ახალი ძალა (პლჯუს საქართველო) მომავალ ჭიდილში სხვაზე ნაკლები ფალავანი არ ჩანდა. ასეთი ძალით თუ მუსლიმანთა საერთო შემუსვრა არა, საქართველოს საბოლოო ხსნა მუსლიმან აგრესორთაგან კახ პოლიტიკოსებს რეალურ საქმედ ესახებოდათ. მოსკოვის მეფის დიდი ჯარი, რომელიც უკვე წამოსული იყო, ასე აცხადებდნენ ელჩები, საშამხლოს სწრაფად დაიპყრობდა და საქართველო (კახეთი) დიდ საქრისტიანო ქვეყანას უშუალოდ გაუმეზობლდებოდა. ამის შემდეგ ვერც ერანი ღა ვერც ოსმალეთი საქართველოს ვეღარ დაიმონებდნენ...

დავით მეფემ, მისმა ძემ თეიმურაზმა და მეფის მამამ ალექ-

---

142 იქვე, 332—335, 337—338, 362—363.

143 იქვე, 362.

სანდრემ სამეფო კართან ერთად ბორის მეფის ერთგულების ფიცი მიიღეს.[144]

ელჩების სწრაფად გასტუმრებას აპირებდნენ, მაგრამ ნუგზარ ერისთავის განდგომით დარიალის გზა ჩაიკეტა კახეთისათვის. დავით მეფემ იმავე ზაფხულს ერისთავის წინააღმდეგ გაილაშქრა. მეფესა და ერისთავს შორის მოციქულობა გამართულა. ბოლოს და ბოლოს ნუგზარ ერისთავი დავით მეფეს დამორჩილებია და ერთგულების საწინდრად მეფისათვის შვილიც მძევლად მიურთმევია[145]. დავით მეფე მხოლოდ ოქტომბერში დაბრუნებულა გრემს. 16 ოქტომბერს რუსი ელჩები მიუღია და მათ სწრაფად გასტუმრებას შეჰპირებია, მაგრამ უეცრად მძიმე ავად შექმნილა და 21 ოქტომბერს გარდაცვლილა.[146]

დავითის გარდაცვალების უმალ ალექსანდრე ისევ მეფე იქმნა. მან პატიმარი შვილი, გიორგი, საპყრობილედან გამოიყვანა და სახელმწიფოს საქმეების მართვას შეუდგა. გასაგებია, რომ დავით მეფის მომხრე ფეოდალთა დასი შეშფოთდებოდა და ხიფათისაგან თავის დასაღწევ საშუალების ძიებას შეუდგებოდა. ასეთებისათვის კი შაჰ-აბასის კარი საიმედო თავშესაფარი იყო. შაჰის აგენტები სწორედ ასეთებს ეძებდნენ... სახიფათო ჩანდა უფლისწული თეიმურაზის მდგომარეობაც. უეჭველი იყო, რომ მოხუცი მამის გარდაცვალების უმალ კახეთის ტახტს გიორგი ბატონიშვილი დაიჭერდა, რომელიც შეეცდებოდა თავიდან მოეშორებინა ტახტის კანონიერი მემკვიდრე. ამიტომ ქეთევან დედოფალმა (დავითის მეუღლე) ყმაწვილი ბატონიშვილი შაჰის კარზე გაგზავნა აღსაზრდელად (1604 წ.). უეჭველია, ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოს დავითის მომხრე ფეოდალთა დასს. ეხლა ესენი შაჰ-აბასის საშუალებით ცდილობდნენ თავიანთი შერყეული მდგომარეობის გამოსწორებას.

შაჰ-აბასისათვის ეს დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო. ამიტომაც იყო, რომ ყაენი განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდა კახეთის ტახტის მემკვიდრეს. ერანის სამეფო კარი ამიერიდან თავშესაფარი ხდებოდა ყველა „უსამართლოდ დასჯილისათვის“, ყველა მიმძლავრებულისათვის...

---

145 იქვე., 362—363, 382, 388.

145 Белокуров. Сношения..., 362—363, 382, 388.

146 იქვე, 363.

ბუნებრივია, ალექსანდრე მეფე და გიორგი ბატონიშვილი იჭვის თვალით უყურებდნენ შაჰ-აბასის ასეთ პოლიტიკას და თავის მხრით მის საწინააღმდეგო ძალას ეძებდნენ.

მეფე ალექსანდრე რუსი ელჩების გასტუმრებას იმავე 1602 წლის შემოდგომაზე აპირებდა. ამ დროს თერგიდან დაბრუნდა შიკრიკი, რომელიც შამხლის წინააღმდეგ რუსთა ლაშქრობის საქმის ვითარების გასაგებად დავითსა და ალექსანდრეს გაეგზავნათ. შიკრიკმა აცნობა მეფეს, რომ თერგზე შამხლის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის არ ემზადებიან. რუსეთიდან ლაშქარი იქ არ მოსულა და არც მისი მოსვლის შესახებ ისმის რა. ალექსანდრეს საყვედურით აუვსია რუსი ელჩები და არც მათი განმარტებისა უწამებია რა. ამასთან ერთად მეფეს რუსი ელჩების გასტუმრება გაზაფხულისათვის გადაუდვია[147]. ოფიციალურად ელჩების დაყოვნების მიზეზად ალექსანდრე მეფე დავითის გარდაცვალების გამო გლოვას ასახელებდა.

კახეთს უნებური ზამთრობისას რუს ელჩებს შემთხვევა ჰქონდათ იმ ხშირი ელჩობის მოწამენი ყოფილიყვნენ, კახეთის მეფის კარზე რომ ჰქონდა ადგილი ერან-ოსმალეთის დიდი ომის დაწყების წინ. ოსმალთა ჩაუშებს, ხარკისათვის რომ მოდიან, შაჰის ელჩები სცვლიან, ამათ კიდევ ოსმალთა ფაშა[148].

ნიჭიერი დიპლომატი და რეალისტი პოლიტიკოსი ალექსანდრე მეფე მხოლოდ დაპირების (თუნდაც მფარველის მხრით) მოიმედე არასდროს დარჩენილა. მით უფრო ეხლა, ამ ქარტეხილის წინ, როცა სხვისი ხელის შემაცქერლობა საბედისწერო შესაძლებელია აღმოჩენილიყო.

ამიტომაც იყო, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი შაჰის კარზე აღმოჩნდა და არა მოსკოვის ხელმწიფის კარზე.

თუმცა ალექსანდრე მეფეს ბატონიშვილი თეიმურაზ საკუთარი ინიციატივით არ გაუგზავნია შაჰის კარზე, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მოსკოვის მეფის წინაშე ვალდებულება შაჰის ასეთ მოთხოვნის საწინააღმდეგო არგუმენტად კახეთის მეფეს არ წამოუყენებია.

ალექსანდრე მეფე ისევე რეალურად უყურებდა „ფიცის წიგნს“, როგორც მოსკოვის ხელმწიფე თავის „წყალობის სიგელს“...

მეორე მხრით, ალექსანდრე ისეთ ურთიერთობაშია ოსმა-

---

147 Белокуров. Сношения... 363—364.

148 იქვე, 379, 386, 387.

ლეთთან, რომ რუსი ელჩები ბორის მეფისადმი მოხსენებაში მოსკოვის ხელდებულს ოსმალეთის მოკავშირეობასაც კი აბრალებდნენ...

1603 წელს ალექსანდრე მეფეს განჯის ფაშა სწვევია. ფაშა და მეფე დამძახლებულან. გიორგი ბატონიშვილს ფაშის ქალი ცოლად შეურთავს.[149]

ამრიგად, კახთა მეფე ნაცად პოლიტიკურ ხერხებს მიმართავდა: ორივე აგრესორს უყვავებდა და, ვინც უძლიერესი აღმოჩნდებოდა, იმის „სამსახურისათვის" ნიადაგს ამზადებდა.

(მართალია, განჯის ფაშა ჩამომავლობით ქართველი იყო — მესხეთის ათაბაგის ყვარყვარეს შვილი — და მისი ოჯახის წევრები ყველანი ქრისტიანები იყვნენ,[150] მაგრამ ქაიხოსრო ფაშა მაინც „გათათრებული" და ოსმალთა მოხელე იყო).

კახთა მეფე ამავე დროს არც რუსეთს ივიწყებდა. მისთვის ყველაზე სასურველი, რა თქმა უნდა, ეს მფარველი იყო, მაგრამ ის თექვსმეტი წელი იყო მხოლოდ იმედით ჰკვებავდა ყოველი მხრით შევიწროებულ ხელდებულს. მიუხედავად ამისა, ალექსანდრე მეფე მოსკოვთან კავშირს არ სწყვეტდა და ამიერკავკასიის საქმეებში მის ჩათრევას მთელი ძალღონით ცდილობდა...

ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ საქმიანობას ალექსანდრე მეფე მფარველზე დიპლომატიური ზემოქმედების საშუალებადაც, უეჭველია, უყურებდა.

კახთა მეფემ რუსი ელჩები თავის დიდკაცებს საყვედურებით აავსებინა, გადაკრული სიტყვები არც თვითონ დააკლო. ამავე დროს რუს ელჩებს განზრახ აჩვენა საკუთარი ღონისძიებანი: შაჰის ელჩს ალექსანდრეს კარზე ოსმალთა ჩაუში სცვლის; მოსკოვის მეფის ხელდებული თანაბრად დიდ პატივს სცემს მათ (ნაშჩოკინი და ლეონტიევი, მფარველის ელჩები, მათთან შედარებით თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ); ხონთქარს ხარკს უგზავნის, განჯის ფაშას ემოყვრება, შამხალ-ყუმუხებთან მორიგებას ცდილობს... ამის შემდეგ ხელდებულმა მფარველს ელჩები გაუგზავნა, სავალდებულო „მოსაკითხი" გაატანა მათ და ვედრების წიგნიც მიართვა, სადაც შესაფერ ფორმებში რუსეთ-კახეთის 16 წლის ურთიერთობის შედეგი თავისი ქვეყნისათვის უარყოფითად დაახასიათა. და, მიუხედავად ამისა, ერთგულმა ხელდებულმა „საქრისტიანოს იმედს" — ხელმწიფეს ერთხელ კიდევ გუმეორა ვედრება კახეთის გამოხსნისა „უსჯულო მტაცებელთა მიერ აღგვის" საფრთხისაგან... (Белокуров. Сношения.., 393—394).

რუსი ელჩები კახეთიდან მხოლოდ 1603 წლის ივნისში წავიდნენ.[151] ალექსანდრემ მათ საკუთრი ელჩებიც გააყოლა: ბერძენი

---

149 Белокуров. Сношения..., 387.

150 იქვე, 387; ქრონიკები II, 424, 433.

151 Белокуров. Сношения.., 394.

არქიმანდრიტი კირილე ქსანტოპულო და მდივანი საბა.[152] რუსმა ელჩებმა ჯერ კიდევ ასტრახანიდან აახლეს ხელმწიფეს მოხსენება, ხოლო მოსკოვს მისვლის უმალ ლეონტიევმა (მეორე ელჩი ნაშჩოკინი გზაში გარდაიცვალა) სიტყვიერადაც დაადასტურა, რომ ალექსანდრე მეფემ არაერთგზის სიტყვით შეურაცხყო ხელმწიფე, ხოლო მის ელჩებს შეუფერებელი უპატივობა აკადრა.[153] მოსკოვის მეფეს სრული საფუძველი ჰქონდა ხელი აეღო კახეთის მფარველობაზე და უმადურ ხელდებულთან ყოველივე ურთიერთობა შეეწყვიტა. მართლაც, ალექსანდრე მეფის ელჩები ნიჟნიში შეაჩერეს და მათ უკანვე დაბრუნებას აპირებდნენ, მაგრამ, შემდეგ, საჭიროდ დაინახეს მიეღოთ ისინი, მოესმინათ მათი და რუსი ელჩების მოხსენების სინამდვილე გამოერკვიათ. რა თქმა უნდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მოსკოვის მეფეს კახეთთან ურთიერთობის გაწყვეტა არ სურდა.

კირილე და საბა მოსკოვს მივიდნენ 16 თებერვალს 1604 წელს. 18 თებერვალს დაჰკითხეს მათ.[154] რუსი ელჩების ბრალდებებზე ალექსანდრეს ელჩმა მუხლებრივ გასცა პასუხი.

4 მარტს ელჩები ბორის ხელმწიფემ მიიღო.[155] ელჩებმა ხელმწიფეს კახთა მეფის „თაყვანისცემა“ მოახსენეს. წიგნი გადასცეს და „მოსაკითხი“ (ოთხი ბედაური) მიართვეს[156]. აუდიენციის შემდეგ ელჩმა კირილემ დუმის მოხელეებს მიართვა საჩივრის წიგნი ხელმწიფის სახელზე. მასში აღწერილი იყო კახეთში რუსი ელჩების შეუფერებელი ყოფაქცევა.[157] როგორც მოსალოდნელი იყო, კირილე არქიმანდრიტის ახსნა და საჩივარი სარწმუნოდ, ხოლო ნაშჩოკინ-ლეონტიევის მოხსენება ცილისწამებად იქნა ცნობილი. ხელმწიფის სახელის გამტეხი ყოფაქცევისათვის და ალექსანდრე მეფის შეურაცხყოფისათვის ნაელჩარ ლეონტიევს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ხოლო რუსი ელჩების მხლებელ მეთოფეებისა და კაზაკებისაგან დაზარალებულ კახელ გლეხებს და ვაჭრებს საზღაურად ხუთასი მანეთი გამოუგზავნეს.[158]

---

152 Белокуров, Сношения..., 372, 398.

153 იქვე, 363, 377.

154 იქვე, 377.

155 იქვე, 390.

156 იქვე, 391, 392.

157 იქვე, 395—397.

158 იქვე, 400, 428—429.

კახეთში ნაშჩოკინ-ლეონტიევის ყოფაქცევა ელჩისათვის შეუფერებელი იყო[159], ხოლო მათი მოხსენება განზრახ დამუქრებულ ბრალდებებს შეიცავდა. მაგრამ ეს მოხსენება ყოველგვარ საფუძველს მოკლებული მაინც არ ყოფილა. რუს ელჩებს რომ დავით მეფე განსაკუთრებულ პატივს არ სცემდა, ამას არც კირილე არქიმანდრიტი უარყოფდა.[160] ალექსანდრე მეფე რომ ოსმალთა ჩაუშებს და ფაშებს ეხლა განსაკუთრებით უყვავებდა, ესეც სარწმუნოა. ასე რომ, რუს ელჩებს შეეძლოთ მართლაც ეფიქრათ, რომ კახეთის მეფის მხრით მათ ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე ხონთქრის მოციქულებს. სარწმუნოა, აგრეთვე, რომ ალექსანდრე მეფე მწვავე საყვედურებსაც არ დააკლებდა რუს ელჩებს, მით უფრო მას შემდეგ, რაც მათი ცნობა შამხალთან საომრად რუსთა ლაშქრის გამოგზავნის შესახებ ტყუილი გამოდგა. ცნობილია, რომ ასეთ საყვედურებს ალექსანდრე მეფე წერილობითაც გამოსთქვამდა. სტრელცების მეთაურს ᲨᲘᲠᲝᲜᲝᲡᲝᲕᲡ მეფე სწერდა კიდეც, რომ ელჩებმა ის „ᲛᲝᲐᲢᲧᲣᲔᲡ“, ხოლო თავის მოსკოველ „პატრონს“ არა ერთგზის წერილობით უსაყვედურებდა, რომ ხელმწიფის არც ერთი დაპირება დღემდის არ შესრულდა და მფარველის დაპირებათა მოიმედე ქვეყანა ეხლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ოხრდება და ნადგურდება. და თუ, მიუხედავად ამისა, მოსკოვში საკუთარი ელჩებისა არა ისმინეს რა, არამედ ისინი „ყოვლადვე გაამტყუნეს“ და სასტიკად დასაჯეს, ეს იმის შედეგი უფრო, იყო, რომ ბორის ხელმწიფემ კავკასიის საქმეებში ენერგიული ჩარევის მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. ხოლო ასეთ პირობებში კახელი ყმის „ერთგულება“ განუზომლად უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე საკუთარი ხეპრე-მედიდური ელჩების სიმართლე...

მიუხედავად შაჰაბასისეული ატესტაციისა, მოსკოვში სავსებით დარწმუნებული იყვნენ, რომ ალექსანდრე მეფე რუსეთის ერთგული მომხრე იყო, რომ მას უკეთ, ვიდრე ვინმე სხვას, შეგნებული ჰქონდა რუსეთთან კავშირის სიკეთე და, მაშასადამე, კახთა მეფისადმი სრული ნდობის საფუძველიც ჰქონდათ. მოსკოვში კარგად იცოდნენ, რომ ალექსანდრე მეფე აღნიშნავდა რუსეთის მხრით მფარველობა-ხელდებულობის აქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობას და ამის გამო კახეთის განსაკუთრებით დაზარალებას ჩიოდა. მაგრამ მოსკოვში, უეჭველია, გრძნობდნენ ამ ჩივილის საფუძვლიანობასაც, თუმცა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ეთიკის თვალსაზრისით აქ საუბარ მოსკოვისათვის არაფერი იყო და არც, მაშასადამე, კახთა მეფის ეს სამართლიანი ჩივილი იყო სხვა

159 Белокуров. Сношения..., 381.
160 იქვე, 364.

დროს ყურადღება მისაქცევი. მაგრამ ეხლა მდგომარეობა შეცვლილიყო. მოსკოვმა ამიერკავკასიაში (განსაკუთრებით შარვანში) მტკიცედ ფეხის მოკიდება გადაწყვიტა. კახეთი (და, შემდეგ, მთელი საქართველო) ამ მიზნისათვის საუკეთესო დასაყრდენი იყო, საიდანაც ოსმალეთის (და ერანის) მოქიშპედ გამოსვლა წარმატებით შეიძლებოდა. ამ საქმის შესრულებას შამხალი შუა გზაზე გადასდგომოდა. (როგორც ერანისათვის, ისე ოსმალეთისათვის შამხლის ეს პოზიცია ძვირფასი ჩანდა. საშამხლო, ერთის მხრით, შარვანის დამცველი ციხე-ბურჯი იყო თერგის ციხიდან შექმნილი საფრთხის წინააღმდეგ, მეორეს მხრით, იგი თერგის ციხესა და კახეთს შორის ამართული კედელი იყო. თერგის ციხის მხრიდან შარვანის დაცვა არა მარტო მის იმდროინდელ მიმტაცებელ ოსმალეთს აინტერესებდა, არანაკლებ აინტერესებდა ეს შაჰ-აბასსაც, რომელიც ამ ქვეყნის ერანისათვის დაბრუნებას, ე. ი. მისს კვლავ მიტაცებას — ცდილობდა. ასევე, არა მხოლოდ ოსმალეთი იყო დაინტერესებული რუსეთ-კახეთის შეკავშირების ხელისშეშლაში. აღნიშნული შეკავშირება კიდევ უფრო აწუხებდა შაჰ-აბასს, რომელიც კახეთს,— და მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, ერანის საკუთრებად სთვლიდა. ამიტომ იყო, რომ საშამხლოს დაცვას რუსეთის მიერ დაპყრობისაგან თანაბრად ცდილობდნენ როგორც ხონთქარი, ისე შაჰიც). ასეთ პირობებში საშამხლო-დაღისტნის დაპყრობა მოსკოვისათვის ის იყო, საიდანაც უნდა დაუყოვნებლივ საქმე დაწყებულიყო.

9 მარტს სასახლის ბოიარებმა მოიწვიეს ელჩი კირილე და ხელმწიფის ნება გამოუცხადეს.[161] გადაწყვეტილი იყო შამხლის წინააღმდეგ დიდი ლაშქრის გაგზავნა და ალექსანდრე მეფის თხოვნის თანახმად საშამხლოში ციხეების აგება.[162] კახეთის მეფეს შამხლის საბოლოოდ დასამორჩილებლად და თერგ-კახეთის გზის გასახსნელად საჭიროდ მიაჩნდა, რათა რუსთა მხედრობას ციხეები აეგო ტარკსა, ტუზლუკსა და ბოინაკში[163]. ელჩმა კირილემ ადვილად გააქარწყლა ვოევოდა ხვოროსტინინის მოსაზრება დასახელებული ადგილების საამისოდ შეუფერებლობის შესახებ და კახეთის მეფის დებულების სასარგებლოდ სრულიად დამაჯერებელი არგუმენტები წამოაყენა.[164] ლაშქრობისათვის სასურველ დროდ ელჩმა ივნის-ივლისი დაასახელა. კირილემ საჭიროდ დაინახა აღენიშნა, რომ საშამხლოს დაპყრობა ეხლა განსაკუთრებით ადვილია: შამხალი მოხუცდა და დაბრმავდა, შვილები წაუვიდნენ, ყუმუხებიც კი არ მორჩილებენ მას; შამხალს რუსთა დიდი შიში აქვს; მან ხეობებში ყველა ციხე მოათხრევინა, რათა ისინი ხელმწიფის ჯარმა არ დაიჭიროს; დამხმარე მას არავინა ჰყავს: ოსმალ-

---

161 Белокуров. Сношения..., 398.

162 იქვე.

163 იქვე, 395.

164 იქვე, 401.

თა ფაშები ხელმწიფის ჯარის წინააღმდეგ გამოლაშქრებას ვერ გაბედავენ... ალექსანდრე კახეთის მეფეს ოცდა ათი ათასი მოლაშქრე ჰყავს. მისადგომი რომ ყოფილიყო, შამხლის ქვეყანას ის ხელმწიფის დაუხმარებლადაც ადვილად დაიპყრობდა.[165]

12 მარტს ბოიარები კვლავ ესაუბრნენ ალექსანდრე მეფის ელჩს მომავალ ლაშქრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამავე დროს ქართველი ელჩების თვალწინ ჯალათებმა წკეპლის ცემით ჩაატარეს ნაელჩარი ლეონტიევი, რომელიც კირილეს ვედრების თანახმად შეიწყალა ხელმწიფემ და სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობად შეუცვალა.[166]

ამის შემდეგ კახეთის მეფის ელჩები პატრიარქმა მიიღო (17 მარტს),[167] ხოლო 21 აპრილს ხელმწიფესთან იყვნენ ისინი დიდის გამოჩვენებით გამართულ გამოსათხოვარ აუდიენციაზე[168].

22 მაისს მოსკოვიდან ალექსანდრეს ელჩებთან ერთად კახეთისაკენ წამოვიდნენ ხელმწიფის ელჩებიც — ტატიშჩევი და ივანოვი.

იმ მნიშვნელობისდა შესაფერისად, როგორსაც ამ ელჩობას მოსკოვში აძლევდნენ, ელჩები დიდის თადარიგით გამოისტუმრეს.

ტატიშჩევს და ივანოვს უხვი „წყალობა“ მოჰქონდათ ალექსანდრე მეფისა, გიორგი ბატონიშვილისა, დავით ძეფის ცოლყოფილისა და კახეთის სამეფო სახლის სხვა წევრებისათვის.[169] არ დაევიწყებინათ არც დიდი თავადები და განსაკუთრებით ნუგზარ არაგვის ერისთავი.[170] ალექსანდრე მეფესთან წყალობის წიგნთან ერთად ელჩებს თან მოჰქონდათ „ფიცის წიგნი“, რომლითაც კახთა მეფეს და მის მემკვიდრეს უნდა შეეფიცათ ბორის მეფისა და მისი შვილისათვის.[171] ტატიშჩევი და ივანოვი გაფრთხილებული იყვნენ, რომ, ვინიცობაა, ალექსანდრე აღარ მეფობდეს და მის ადგილს გიორგი გამეფებულიყოს, ამასთან ისაქმონ. ელჩებს უნდა საიდუმლოდ შეენახათ და კახეთს მისვლამდის არ გაემჟღავნებინათ ცნობა ბუტურლინის სარდლობით შამხლის წინააღმდეგ დიდი

---

165 Белокуров, Сношения..., 401.

166 იქვე, 402—403.

167 იქვე, 406—409.

168 იქვე, 412—415.

169 იქვე, 420—421.

170 იქვე, 421.

171 იქვე, 427.

ლაშქრის გამოგზავნის შესახებ.[172] მას შემდეგ კი, რაც შამხლის წინააღმდეგ ხელმწიფის ლაშქრის წამოსვლას ალექსანდრეს ახარებდნენ, ელჩებს უნდა ხელმწიფის სახელით მოეთხოვათ კახთა მეფისათვის, რათა თერგის ვოევოდებთან მას პაემანი დაედო და დათქმულ დროს კახეთის ჯარით საშამხლოს შესეოდა.

ამასთან ერთად ელჩებს თან მოჰქონდათ „წყალობის სიგელთა“ მთელი კონა, ან კიდევ ასეთი სიგელების ნიმუშები. ამ უკანასკნელთა მიხედვით, საჭიროებისას, ელჩებს ხელმწიფის ამ „წყალობაების“ გამრავლება შეეძლოთ. არავინ იყო დავიწყებული: ყაბარდო-ჩერქეზეთის მფლობელები, ნუგზარ არაგვის ერისთავი, გიორგი ქართლის მეფე და მისი ძმები, როსტომ იმერთა მეფე და გიორგი ბატონიშვილი, დასავლეთ საქართველოს მთავრები და[173]... ყველა, ვინც კი რუს-ხელმწიფის ძლიერ საფარველში შესვლას მოისურვებდა. ქართველ მეფე-მთავრებისათვის სანიმუშო „წყალობის წიგნის“ შესავალი მოწოდებით იყო შემკული. ბორის მეფე ქართველ მეფე-მთავრებს საქართველოს ერთობა-ძლიერებას მოაგონებდა, დაშლა-დაქსაქსვისა და ურთიერთშორის მტრობის დამღუპველ შედეგებს უთვალისწინებდა, მოჰყავდა „საბერძნეთის“ დაღუპვის ასეთივე მიზეზები და ქართველ მეფე-მთავრებს ძალთა გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა მოსკოვის ხელმწიფის საფარველს ქვეშ.[174]

---

172 იქვე, 423.

173 იქვე, 421, 433—434.

174 იქვე, 433—436; როგორი ფორმა უნდა მიეღო საქართველოს მეფე-მთავართა გაერთიანებას, ამის შესახებ მოსკოვში, როგორც ჩანს, მტკიცე და ნათელი წარმოდგენა ჯერ კიდევ არ ჰქონიათ. ცხადი იყო ერთი: ყველა ეს მეფე-მთავრები მოსკოვის მეფის ხელდებული უნდა ყოფილიყვნენ და როგორც საკუთარის, ისე მოსკოვის მეფის მტერთა წინააღმდეგ საერთო ძალით რუს სარდლებთან ერთად უნდა გამოსულიყვნენ. ერთგვარი უპირატესობა, რომელსაც დანასაქმი ალექსანდრე მეფისათვის ამ გაერთიანებაში თითქო ჰგულისხმობდა, იქიდან გამომდინარეობდა, რომ მოსკოვში კახეთის მეფე საქართველოს სხვა მეფეებს შორის უფროსად ეგულებოდათ...

საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია არაერთხელ მდგარა აქტიურ საკითხად რუს პოლიტიკოსთა წინაშე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გრძელ მანძილზე (ბორის გოდუნოვის დროს, პეტრე I დროს, XVIII-ს ს-ის 70-80-ან წლებში, 1800-იან წლებში...). სხვადასხვანაირად წყდებოდა იქ ეს საკითხი სხვადასხვა დროს და ეს გარემოება აიხსნებოდა არა მარტო საქართველოს ვითარებით და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პირობებით, არამედ, უმთავრესად, თვით რუსეთის პოლიტიკური ვითარებით...

ტატიშჩევსა და ივანოვს განსაკუთრებული დავალებაცა ჰქონდათ: ტახტის მემკვიდრე თედორე ბორისისძისათვის საცოლე, ხოლო მეფის ასულ ქსენიასათვის საქმრო უნდა შეერჩიათ საქართველოში. უეჭველია, ამ საქმეში ახალკაცის ძველისძველ სამეფო გვართან დანათესავების სურვილის გვერდით მნიშვნელოვანი იყო, და ეს უმთავრესია, პოლიტიკური კავშირის განმტკიცების სურვილი ერან-ოსმალეთ-რუსეთის მიჯნაზე მდებარე ქრისტიანულ ქვეყანასთან.

საშამხლოს დაპყრობა, კახეთისა და სხვა ქართულ სამეფო-სამთავროების შემოფიცება, მოსკოვმა რომ ეხლა აგრე მტკიცედ განიზრახა, ხელმწიფის დიპლომატების მიერ ოსმალეთის საწინააღმდეგო მოქმედებად და ერანისადმი მეგობრობის აქტად იყო გამოტანილი. მაგრამ შაჰ-აბასი სავსებით მართალი იყო, რომ ამ „მეგობრულ“ აქტებს იჭვის თვალით უყურებდა. მართლაც და, თუ შაჰის „ძმა“ და „მეგობარი“, მოსკოვის ხელმწიფე, კავკასიაში ოსმალეთს რასმე წაართმევდა, ეს უპირველეს ყოვლისა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მდებარე ქვეყნები იყო: დარუბანდ-შარვანი, განჯა, კახეთი, ქართლი (საშამხლო ამ ქვეყნებისაკენ მისავალი გზა იყო). მაგრამ ეს ქვეყნები ერანს თავისად მიაჩნდა და სწორედ მათი უკან დაბრუნების მიზნით ეომებოდა ის ეხლა ოსმალეთს...

ბაქო-დარუბანდის შესახებ შაჰმა აქამდისაც არა-ერთხელ აგრძნობინა მეგობარს, რომ ამ ქალაქების დაუფლებისათვის მოსკოვს მათი ორმაგი დაპყრობა დასჭირდებოდა: ჯერ ისინი ოსმალთა ჯარისაგან უნდა გაეთავისუფლებინათ და ამის შემდეგაც კი შაჰ-აბასი ამ ქალაქებს მხოლოდ განსაკუთრებულს პირობებში თუ შეელეოდა მეგობრის სასარგებლოდ... რაც შეეხება მოსკოვის მეფის პრეტენზიებს ქრისტიანული ქვეყნების მფარველობაზე, შაჰს, მართალია, მეგობრის ეს უსიამოვნო პრეტენზიები ოფიციალურად არ უარუყვია, მაგრამ არც არასოდეს უცვნია ისინი... კიდევ უფრო გარკვევით ამჟღავნებდა შაჰი თავის პოზიციას საშამხლო-დაღისტნის საკითხში, როცა ერანის ამ საყმოს დაპყრობისაგან თავისშეკავებას მეგობარს დაჟინებით სთხოვდა...

რუსეთი და ერანი ურთიერთს საჭიროებდნენ: ძლიერი ოსმალეთი ორივეს მტერი იყო. ამათი მეგობრობაც ამ საფუძველს ემყარებოდა. მაგრამ რუსეთი შარვანს მუშტრის თვალით უყურებდა. ახლად გაჩაღებულ ერან-ოსმალეთის დიდ ომში მრავალი რამ იყო

მოსალოდნელი და შესაძლებელი. საჭირო იყო მზად ყოფნა, რათა მოხერხებულ დროს უსარგებლოდ არ ჩაევლო. თერგი ამ მიზნისათვის შორს იყო. ხოლო თერგიდან უახლოესი კახეთი (შემდეგ, შეიძლება, ქართლიც), მდიდარი, მაგარი და ერმრავალი, — საუკეთესო პოზიცია იყო... თერგს კი კახეთისაგან მტრის ქვეყანა ჰყოფდა. ეს მაჰმადიანური საშამხლო-დაღისტანი იყო. ამ ქვეყნის საბოლოოდ დამორჩილება, ამიტომ, აუცილებელი ჩანდა.

სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს მოსკოვში 1604 წელს. ამოცანის შესაფერისი საგანგებო ლაშქარი შეჰყარეს და განსაკუთრებული დავალებით შორეულ კავკასიისაკენ გამოისტუმრეს.

რუს ელჩებს ევალებოდათ დაერწმუნებინათ ალექსანდრე მეფე, რომ ყველაფერი ეს მისი თხოვნის თანახმად ხდებოდა. კახელი ხელდებულისათვის არ იყო საჭირო, ეჭვი შეეტანა მფარველის უანგარო მოქმედებაში... ელჩებისათვის დანასაქმი კი მეტად დამახასიათებელ დარიგებებს შეიცავდა: თუ, ვინიცობაა, მეფე ალექსანდრე უკვე დაზავებია შამხალს და გააცხადებდა, რომ მას მფარველის დახმარება აღარ სჭირია და არც საშამხლოში რუსეთის მხედრობის ლაშქრობაა მისთვის სასურველი, — ელჩებს უნდა უარეყოთ კახეთის მეფის წინადადება და მტკიცედ გაეცხადებინათ: ხელმწიფემ ალექსანდრე მეფისა და შამხლის დაზავების შესახებ არა იცოდა რა და ამოდენა ხარჯი სწორედ ხელდებულის თხოვნის თანახმად გაიღო. ამიტომ ალექსანდრე მეფემ უნდა თავისი მოვალეობა შეასრულოს და შამხლის წინააღმდეგ გამოილაშქროს. ელჩებს უნდა დაერწმუნებინათ ალექსანდრე მეფე, რომ შამხალი ვერაგია, მისი ნდობა არ შეიძლება, ის უნდა დაპყრობილ იქნას. თუ ალექსანდრე მეფე (დანასაქმი ამასაც ითვალისწინებდა) მაინცდამაინც გაჯიუტდებოდა და შამხლის წინააღმდეგ დაწყებული ლაშქრობის შეჩერებას მოითხოვდა, ელჩებს გაჭიანურებული მოლაპარაკებით მანამ უნდა შეექციათ მეფე, სანამ ბუტურლინის ლაშქარი საშამხლოს უმთავრეს ციხე-ქალაქებს დაიპყრობდა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დათანხმებულიყვნენ მეფის შუამდგომლობას და მისთვისვე დაევალებინათ ხელმწიფის ერთგულებაზე შამხლის დაფიცება და მძევლების გამოყვანაც [175].

დანასაქმის ეს ნაწილი იმით იყო გამოწვეული, რომ მოსკოვში ამ დროს უკვე მიღებული ჰქონდათ ალექსანდრე მეფის წიგნი, 1603

---

175 Белокуров Сношения..., 430—431.

ნელს თერგის ციხისთავს რომ გაუგზავნა. კახეთის მეფე აცნობებდა ციხისთავ ტრახანიოტოვს, რომ ის უკვე დაეზავა შამხალსა და ყუმუხებს, რომ მათ ურთიერთ დახმარების კავშირიც შეკრეს, რომ შამხალი და ლეკები ხელმწიფის საუკუნო მორჩილების სურვილს აცხადებენ[176]... და, მიუხედავად ამისა, ან უკეთ, სწორედ ამიტომაც მოსკოვში საჭიროდ დაინახეს, რათა (აქამდის უჩვეულო სისწრაფით და ენერგიით) „დაეხმარონ“ მოაჯე ხელდებულს და საშამხლო-დაღისტანი დაიპყრან (თუნდაც ამავე ხელდებულის სურვილის წინააღმდეგ).

ვიდრე კახეთის ელჩები, კირილე და საბა, მოსკოვს იყვნენ, ალექსანდრე მეფეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური წარმატებისათვის მიუღწევია. ლეკეთ-საშამხლოსა და კახეთს შორის ზავი ჩამოვარდნილა. დაღისტნელებს და ალექსანდრე მეფეს ურთიერთში პირობა დაუდვიათ, რომ ამიერიდან ერთპირი იქნებიან საერთო მტრის წინააღმდეგ. გარდა ამისა, საშამხლო-დაღისტნელთ სურვილი განუცხადებიათ, რომ მათ მოსკოვის მეფის ხელქვეშ ყოფნა სურთ და აღუთქვამთ, რომ საამისო თხოვნით ისინი რუს-ხელმწიფეს მიმართავენ კიდეც.

ალექსანდრე მეფე საჩქაროდ ატყობინებს ამ ამბავს თერგის ჯარის სარდლებს და სთხოვს, მასაც აცნობონ, მივიდნენ იქ თუ არა საშამხლო-დაღისტნელნი და როგორის აჯით — „ჩვენსა და მათ შუა კი ზავიაო“ — ამთავრებს თავის წიგნს კახთა მეფე (Белокуров. Сношения..., 412).

ვინ იყო ამ საქმის ინიციატორი, არ ჩანს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შამხლის მორიგი პოლიტიკური სვლა იყო, იქითკენ მიმართული, რათა დრო მოეგო და რუსთა ჯარის შემოსევის საფრთხე თავისი ქვეყნისათვის აეცდინა. შამხალი, უნდა ვიფიქროთ, ვარაუდობდა, რომ მის ქვეყანას რუსთა მიერ ეხლა აუცილებელი დაპყრობა ელოდა. ოსმალეთი, კარგა ხანია, თერგის ჯარის მიერ შევიწროებულ შამხალს ვერ იცავდა. შაჰ-აბასი მოსკოვის მეფის მეგობარი იყო და მასთან სამხედრო კავშირს ეძებდა. საშამხლოს ერანის შაჰი თავისად სთვლიდა, მაგრამ სხვა საშუალება, გარდა დიპლომატიური ღონისძიებისა, ამ ქვეყნის დასაცავად რუსეთის მიერ დაპყრობისაგან ამ დროს მას არ გააჩნდა.

ამ მოსაზრების გათვალისწინებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ შაჰ-აბასი შამხალს ისევე ურჩევდა „დრომდის“ „მორჩილების პირზე“ შეექცია მოსკოვის მთავრობა, როგორც უკანასკნელი 1590-იან წლებში თავის ხელდებულ ალექსანდრე მეფეს ურჩევდა ასეთივე „მორჩილების პირზე“ „დრომდე“ ეტყუებინა ოსმალეთის მთავრობა, რათა მისთვის ქვეყნის დაპყრობის რაიმე მიზეზი არ მიეცა (Белокуров. Сношения.., 176).

მოსკოვში კი ამხელად ნამდვილად გადაეწყვიტათ საშამხლოს დაპყრობა. რა ვითარებამ უკარნახა ბორის მეფეს ასეთი გადაწყვეტილების მიღება, ამის შესახებ პირდაპირი ჩვენება არ მოიპოვება. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით შაჰ-აბასთან ზასეკინის ელჩობის ბედი. ვიცით მხოლოდ, რომ სამხედრო კავშირი ბორის მეფესა და შაჰ-აბასს შორის არ დადებულა. მაგრამ ისიც ვიცით, რომ ამით მოლაპარაკება და ელჩების ტარება ერანის შაჰსა და რუსეთის მეფეს შორის არ შე-

176 იქვე, 412, 430.

წყვეტილა. ხოლო შაჰ-აბასი გვიანაც კი, როცა სოციალურ ქარტეხილს გამოვლილი რუსეთი თავის საგარეო პოლიტიკის გაწყვეტილ კურსში კვლავ შედიოდა, მიხეილ მეფეს, „ძმას“ და „მეგობარს“, საუკუნო ერთობასა და კავშირს სთავაზობდა (Веселовский. Памятники.., II, 295). საფიქრებელია, რომ შაჰ-აბასი საკავშირო პირობებმა, ზასეკინმა რომ მოსკოვიდან მიიტანა, არ დააკმაყოფილა და შაჰმაც დიპლომატიური მოლაპარაკების გაგრძელება ირჩია. რაც შეეხება საშამხლოს საკითხს, შაჰი საჭიროდ სცნობდა მის სწრაფად მოგვარებას: შამხლისაგან შაჰი, უეჭველია, შეიტყობდა, რომ რუსეთის მეფე საშამხლოს დასაპყრობად ემზადებოდა (რომოდანოვსკის ლაშქრობა). და, საფიქრებელია, შაჰ-აბასმა სათანადო პოლიტიკური სვლა გააკეთა: შამხალს უბრძანა, რომ ალექსანდრე მეფეს დაეზავოს, მასთან ერთობის პირი დასდოს, ხოლო მოსკოვის მეფეს მორჩილებით თავი დაუკრას. ამით შაჰ-აბასი საშამხლოს საკითხში მოსკოველ „მეგობარს“ აკმაყოფილებდა (მოსკოვის მეფეს უმორჩილებდა შამხალს და რუსთა ჯარს თერგდარუბანდის გზას უხსნიდა...). მაგრამ შაჰი ამავე აქტით კახეთზედაც მოხერხებულად იწვდიდა ხელს (ეს ამბავი — შამხლისა და კახეთის მეფის დაზავება — 1603 წელს მოხდა, როცა შაჰ-აბასმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი უკვე დაიწყო და ამიერკავკასიის საზღვრებსაც მოატანა...).

მოსკოვში, როგორც ჩანს, სწორად შეაფასეს შექმნილი ვითარება. უსიამოვნო იყო ერანთან კავშირის დადების შეყოვნება: ოსმალეთის წინააღმდეგ შაჰ-აბასს ომი უკვე დაეწყო, ხოლო ბაქო-შამახია-დარუბანდის საკითხი რუსეთსა და ერანს შორის ისევ გაურკვეველი რჩებოდა. შაჰი კი ამ საკითხის გარკვევას არ ჩქარობდა (ერან-რუსეთის მოლაპარაკებაში რომ სწორედ ბაქო-შამახია-დარუბანდის საკითხი რჩებოდა გადაუწყვეტელი, ეს რუსი ელჩების, ტატიშჩევისა და ივანოვის, პასუხიდან ჩანს, 1604 წელს რომ უთხრეს გიორგი ბატონიშვილს ამ უკანასკნელის წინადადებაზე, რათა რუსთა ჯარს ყაზი-ყუმუხის მაგივრად დარუბანდისკენ ელაშქრნა (Белокуров. Сношения..., 475—476).

ასეთ პირობებში შაჰის მოსაშუალერბით შამხლის მორჩილება საეჭვოც იყო და არც სასურველი: ამ მოხერხებული სვლით **შაჰ-აბასი ამიერ-კავკასიის საქმეებიდან მოსკოვის გარიყვას ცდილობდა.** რუსეთისათვის, ამიტომ, აუცილებელი იყო სწრაფი მოქმედება, რათა თვრამეტი წლის დიპლომატიური ჭირნახულის მომკის დრო ხელიდან არ გაეშვა და მოსკოვშიაც დამოუკიდებლად და სწრაფად მოქმედება გადაწყვიტეს: არც ოსმალეთს გამოუცხადებენ ომს, შაჰ-აბასთანაც მეგობრულ მოლაპარაკებას განაგრძობენ და ამავე დროს ამიერკავკასიაში ძლიერ პოზიციას მტკიცედ დაიჭერენ: საშამხლოს დაიპყრობენ, კახეთს უშუალოდ გაუმეზობლდებიან და სხვა „საქართველოებსაც“ რეალურ მფარველობას გაუწევენ, ერთ მთლიან ძალად მათ შეკავშირებას შეეცდებიან... ამის შემდეგ ბაქო-შამახია-დარუბანდის საკითხიც უფრო ადვილად და სასურველადაც გადაწყდება...

მოქმედების სისწრაფეს მოსკოვს სხვა გარემოებაც უკარნახებდა. ეხლა, როცა ერან-ოსმალეთის ომი იწყებოდა, საშამხლოს საკითხს ოსმალეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ოსმალეთში კარგად იცოდნენ ერან-რუსეთის მეგობრობის შესახებ. ამიტომ ეჭვის საფუძველიც ჰქონდათ, რომ ეს მეგობრები ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო ძალით გამოვიდოდნენ.

ოსმალთა მხრით სიფრთხილის ზომების მიღება ბუნებრივად მოსალოდნელი იყო. სარწმუნო ჩანდა, ამიტომ, დარხეული ხმები, რომ შამხალ-ყუმუხები (და ზოგიერთი ჩერქეზთ-ბატონი) ოსმალთა მოსვლას ელოდნენ (შამახიის მხრიდან), რათა საერთო ძალით რუსთა ციხეებისათვის შეეტიათ კოისუზე თუ თერგზე.

ასეთ ვითარებაში დასწრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. საშამხლოდაღისტანში სწრაფად შეჭრით და შამხალ-ყუმუხების დამარცხებით რუსეთი თერგსა და კოისუზე ოსმალ-დაღისტნელთა მოსალოდნელ შეერთებულ ლაშქრობას მოშლიდა (Белокуров. Сношения.., 449).

ამრიგად, საშამხლოს სწრაფად დაპყრობა ყოველი მხრით დროული და აუცილებელი ჩანდა.

როლები შეიცვალა. თუ აქამდის, თექვსმეტი წლის განმავლობაში, კახეთის მეფე უსაბუთებდა მფარველს საშამხლოს დაპყრობის აუცილებლობას, ეხლა მოსკოვის მთავრობა არწმუნებს ამაშივე კახელ ხელდებულს, რომელმაც ეს საკითხი ეხლა სწორედ ისე მოაგვარა, როგორც ეს აქამდის მფარველს ყველაზე სასურველად მიაჩნდა.

ელჩები მოსკოვიდან 1604 წლის 2 მაისს წამოვიდნენ [177]. ბრძანების თანახმად ელჩებმა „დღე და ღამე გაასწორეს". ჩქარა დაეწივნენ და უკან მოიტოვეს მათზე უფრო ადრე გამომგზავრებული ლაჩინ-ბეგი, შაჰ-აბასის ელჩი [178]. ამის შესახებ ელჩებმა საგანგებოდ აცნობეს ხელმწიფეს. ასტრახანში ელჩებმა 23 ივნისს პირველი საშიში ცნობა მიიღეს. თერგის ციხისთავი ატყობინებდა ასტრახნის ციხისთავს დაღისტნიდან მოტანილ ცნობას, თითქო შაჰ-აბასმა მეფე ალექსანდრე მოკლა იმის გამო, რომ უკანასკნელი დაყოვნებით ეახლა შაჰს და არც ლაშქარი მიუყვანა საკმაო რაოდენობით. გიორგი ბატონიშვილი კი შაჰმა თითქო კახეთშივე დააპატიმრებინა. ამავე დროს სხვა ხმებიც მოვიდა, თითქო შაჰ-აბასმა კახეთში კონსტანტინე-მირზა გამოგზავნა და მეფე ალექსანდრეს მოკვლა უბრძანა. კონსტანტინემ თითქო მართლაც მოკლა მამა და მასთან ერთად 700-მდე თავად-აზნაური დახოცა, თვით კი მეფედ დაჯდა[179].

ეს ამბები ელჩებმა ასტარხნიდან მოსკოვში აფრინეს. მეორე მხრით შიკრიკი გაგზავნეს არაგვის საერისთავოში. მას უნდა უეჭველი ცნობები მოეტანა საქართველოს მეფე-მთავრების შესახებ.

1 ივლისს ელჩები თერგს მივიდნენ. აქ მათ მოუსწრო მოსკო-

---

177 Белокуров. Сношения.., 420.

178 იქვე, 420.

179 იქვე, 445.

ვიდან სასწრაფოდ გამოგზავნილმა დანასაქმმა (ხაკაზმა). აქვე უფრო სანდო ცნობებიც მიიღეს ალექსანდრე მეფისა და კახეთის შესახებ [180].

როგორც აღვნიშნეთ, მოქმედების ეს სისწრაფე, რაც აქამდე აგრე არ ახასიათებდა მოსკოვის მთავრობას, გამოწვეული იყო ახლო-აღმოსავლეთის პოლიტიკური ამბებით. რუსეთში იცოდნენ, რომ ერან-ოსმალეთის ზავის დღეები დათვლილი იყო, რომ დღეს თუ არა, ხვალ მათ შორის ომი დაიწყებოდა და რომ ამიერკავკასია ამ ომის ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი იქნებოდა.

1602 წელს დარხეული ხმა გამართლდა. ერან-ოსმალეთის ომი დაიწყო. პირველი დიდი შეტაკება 1603 წლის ოცდა ექვს სექტემბერს მოხდა ადერბაიჯანში. ოსმალები დამარცხდნენ და შაჰ-აბასმა პირველ ოქტომბერს თავრიზს ალყა შემოარტყა. ოცი დღის ბრძოლით თავრიზი აიღო და კავკასიისკენ გამოეშურა. ერანელთა ლაშქარმა ადვილად იგდო ხელთ თავრიზ-ერევნის გზაზე მდებარე მცირე ციხეები და 16 ნოემბერს 1603 წელს შაჰ-აბასი უკვე ერევანს შემოადგა. ერევანი საგანგებოდ გამაგრებული ციხე-ქალაქი იყო. ამიტომაც მისი ალყა დიდხანს გაგრძელდა. ციხე მხოლოდ 1604 წლის გვიან გაზაფხულზე დაეცა.

შაჰ-აბასმა ქართლისა და კახეთის „ყმები" ამ ომის დასაწყისშივე იხმო. გიორგი ქართლის მეფეს შაჰმა სომხითის ათაბაგის ძმა გამაჰმადიანებული თამაზ-ყული-ბეგი მიუვლინა, ხოლო ალექსანდრე კახთა მეფეს მისივე ვაჟი კონსტანტინე-მირზა. გიორგი მეფე ჩქარა ეახლა შაჰ-აბასს. ალექსანდრეს კი დიდი ყოყმანი დაეტყო. ბოლოს, როგორც იქნა, კონსტანტინემ დაარწმუნა მამა და კახეთის მეფეც საგანგებო ლაშქრითა და მისართმეველით ეახლა შაჰ-აბასს, როცა უკანასკნელი, უკვე კარგა ხანი იყო, ერევანს შემოსდგომოდა.

შაჰ-აბასმა მეფეები დიდის პატივით მიიღო.

21 ივნისს 1604 წელს კოისუდან თერგს კახელი ვაჭარი მისულიყო და თერგის ციხისთავისათვის ალექსანდრე მეფის სპარსულად ნაწერი წიგნი მიეტანა. ელჩებმა ამ ვაჭრისაგან შეიტყვეს, რომ კახეთის მეფე ამა წლის აპრილში ექვსი ათასამდე მოლაშქრით ერევანს ეახლა შაჰ-აბასს. შაჰმა თითქო კახეთის ლაშქრის უმრავლესობა უკან დააბრუნა და თავისთან მხოლოდ მეფე და მისი ლაშქრის თავად-აზნაურული ნაწილი დაიტოვა. კონსტანტინე-მირზა იქვე

180 Белокуров. Сношения..., 448.

180 იქვე, 448.

ერევანს, გიორგი ბატონიშვილი კი კახეთს განაგებს და შაჰის ბრძანებას ელის, რომ ერანის ჯართან ერთად შარვანში ოსმალთა წინააღმდეგ ილაშქროს. ამავე ვაჭრისაგან ელჩებმა შეიტყვეს, რომ არაგვის ერისთავი ისევ მორჩილებს კახეთის მეფეს და, მაშ, დარიალ-კახეთის გზა მათთვის გახსნილია [181].

* *

ახალმა ომმა კვლავ ააფორიაქა კავკასიის ხალხები. ბუტურლინის ლაშქარი ჯერ კიდევ ასტრახანს არ მისულიყო, რომ შამხალმა და ყუმუხებმა უკვე იცოდნენ ამ ლაშქრობის შესახებ [182]. მოსკოვის მეფისადმი დამორჩილებას ისინი არ აპირებდნენ და ოსმალთა დახმარების მოიმედენი იყვნენ. შამხლის შვილები და ყუმუხები შამახიის ფაშას ეახლნენ. ოსმალები მეშველ ჯარს ელოდნენ და თერგის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდნენ [183]. ამგვარად, სამთა ბრძოლაში შამხალი და ყუმუხები ისევ ოსმალეთის მხარეზე დადგნენ. ამასვე აპირებდა ყაბარდოს ზოგიერთი მთავარი[184], მაგრამ ოსმალეთის ლაშქრის გამოჩენამდის გამოსვლას ვერ ბედავდნენ და ხელმწიფის ყმობაში რჩებოდნენ.

ალექსანდრე მეფესა და შამხალ-ყუმუხებს შორის ზავი და კავშირი, ბუნებრივია, დაირღვა. კახეთის მეფე ამათი ყველაზე საძულველი მტერი იყო: ბუტურლინის ლაშქარი საშამხლოს წინააღმდეგ მისი თხოვნით მოდიოდა.

ივნისში შამახიიდან ოსმალ-ყუმუხთა შეერთებული ლაშქარი ძეგამს დაეცა. მდიდარი ქალაქი აიკლეს. მცხოვრებლები გაწყვიტეს ან დაატყვევეს, მეფის ქარვასლა გაძარცვეს, დაანგრიეს და დიდი ნადავლით უკუიქცნენ[185]. ამიერიდან ლეკთა თავდასხმები კახეთში კიდევ უფრო გაძლიერდა [186]. ხმები ალექსანდრე მეფის მოკვლისა და კონსტანტინე-მირზას კახეთში გამეფების შესახებ, ამრიგად, არ გამართლდა. ამისდა მიუხედავად, ეს ცნობა საყურადღებოა. კავკასიაში კარგად იცოდნენ შაჰ-აბასის ალექსანდრე მეფეს-

---

181 Белокуров. Сношения..., 449.

182 იქვე, 445—446, 449.

183 იქვე, 449.

184 იქვე.

185 იქვე, 465.

186 იქვე.

თან დამოკიდებულება. შაჰს სძულდა ალექსანდრე—„ოსმალეთის მომხრე“ და რუსეთის მომყვანი... სძულდა და შეაფერისს მომენტს ეძებდა მის დასაღუპავად. ეს იცოდნენ და ნასკვის გახსნას ელოდნენ — ზოგი შიშით, ზოგი სიხარულით... ასეთ პირობებში ადვილად ითხზებოდა მეტნაკლებად შესაძლებელი ამბები.

ალექსანდრე მეფემ სხვებზე უკეთ იცოდა შაჰის განზრახვები. იცოდა და სახიფათო მდგომარეობიდან თავის დაღწევას ნაცადი ხერხებით ლამობდა.

* *

ელჩებმა დიდი სიფრთხილით გამოვლეს იმიერკავკასია. ამასობაში კახეთიდან შიკრიკი დაბრუნდა და ახალი ცნობები მოიტანა, ხოლო კირილე არქიმანდრიტს ნუგზარ ერისთავის დედისაგან წიგნი მიართვა. „დედაბერი ანა“ არქიმანდრიტს ატყობინებდა, რომ შაჰის მოწოდებაზე ალექსანდრე და გიორგი მეფენი და მათთან ერთად არაგვის ერისთავიც თავიანთი ლაშქრით მას ეახლნენ; რომ ერანის ლაშქარი ამჟამად სამცხეში ებრძვის ოსმალებს, ხოლო თვით შაჰი ალექსანდრე მეფესთან ერთად ერევანსა დგას და სამცხის ომიდან ცნობებს ელოდება; ხმებია, რომ ოსმალთა დიდი ლაშქარი შაჰისა და ალექსანდრეს ჯარების წინააღმდეგ მოდის. შაჰმაო უმატებს „დედაბერი ანა“, საბოძვარით აავსო მეფეები, ჩემი შვილი და მათი ლაშქარიო. მიუხედავად ამისა, ამ მანდილოსანს ქრისტიანთა მტერი მუსლიმანებისა არა სწამს რა. ის „დიდი ხელმწიფის“ მლოცველია [187].

ლარსში ელჩებმა შეიტყვეს, რომ მტრობა და ქიშპი ყაბარდოს მთავარს სოლოღსა და ერისთავს შორის გრძელდებოდა. სოლოღის ძმა სწორედ იმ ზაფხულს დასცემოდა მთიულეთს [188] და ალექსანდრე მეფის სოფელი ხადა დაერბია [189]. ხევში შესულ ელჩებს სამ აგვისტოს ყაბარდოელი აიტეკ-მურზას ხელქვეითი მოხევეები დაეცნენ, თუმცა უშედეგოდ[190]. ჩქარა ელჩებს არაგვის ერისთვის კაცი ეახლა და აცნობა, რომ გიორგი ქართლის მეფე და ნუგზარ ერისთავი შაჰმა ლაშქრობიდან გაათავისუფლა, რომ გიორგი მეფე

---

187 Белокуров. Сношения..., 455—456.

188 იქვე, 454.

189 იქვე, 454.

190 იქვე, 456.

ამჟამად ქართლშია და ნუგზარ ერისთავიც მას ახლავს[191]. ამავე დროს ელჩებმა შეიტყვეს, რომ ამჟამად ერისთავი გიორგი მეფესა ყმობს, თუმცა არც ალექსანდრე მეფესა მტრობს. ნუგზარის უმცროსი ვაჟი ქართლის მეფესთან არის მძევლად, ხოლო უფროსი ვაჟი (ბ ა ი ნ დ უ რ) დახიშნულია ამავე მეფის ქალზე. ერთგულების საწინდრად ნუგზარ ერისთავს ალექსანდრე მეფესთანაც ჰყავდა ერთი ვაჟი[192].

ნუგზარის შინ არყოფნის გამო რუს ელჩებს ერისთავის შვილი ბაინდური გაეგება. ბაინდურს ელჩებმა ხელმწიფის სიგელი და წყალობა გადასცეს. საერისთაოდან ელჩები კახეთის საზღვრამდის მშვიდობით მიაცილეს[193].

* *

როგორც აღვნიშნეთ, ერან-ოსმალეთს შორის 1590 წელს დადებული ზავის ინიციატორი შაჰ-აბასი იყო. იგივე იყო ამ ზავის დარღვევის ინიციატორიც 1602 წელს

ოსმალეთთან ზავის დრო ნიჭიერმა შაჰმა ფრიად ნაყოფიერად გამოიყენა.

ამ ხნის განმავლობაში ერანის საშინაო და საგარეო პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა.

შაჰ-აბასი დიდი პოლიტიკური მოღვაწე იყო.

ერანის შაჰი კარგად ჰხედავდა, რომ ოსმალთა სამხედრო უპირატესობა ლაშქრის უკეთესად შეიარაღებულობაში როდი იყო მხოლოდ...

შაჰმა ერანის სამხედრო ძალის რეორგანიზაციით დაიწყო. როგორც ცნობილია, სეფიანთა ერანის ძირითად სამხედრო ძალას ყიზილბაშთა ტომები შეადგენდნენ. ამათგან გამოდიოდა 60.000 მხედარი. თითოეულ ტომს, ისე როგორც ამ ტომიდან გამოსულ ლაშქარს, სათავეში ტომის მეთაური ედგა. ტომის მეთაურის სამმართველოს წარმოადგენდა მთელი ის ტერიტორიაც, ამ ტომს მიჩენილი რომ ჰქონდა საცხოვრებლად. ასე რომ ტომის მეთაური ერთსა და იმავე დროს თავისი „სახლის უხუცესიც“ იყო, სამხედრო მოხელეც და ადმინისტრაციული ხელისუფალიც. ტომების მე-

---

191 Б е л о к у р о в. Сношения..., 457.

192 იქვე, 457—458.

193 იქვე.

თაურთა შორის შური და ქიშპი ბუდობდა. თითოეული ცდილობდა პირველობა შაჰის კარზეც მას დარჩენოდა, და მართლაც, შაჰი უძლიერეს ტომების მეთაურთა ნებისაებრ იჯდა ტახტზე.

უფლისწულების ურთიერთის წინააღმდეგ ბრძოლაში ტომთა მეთაურები აქტიურად მონაწილეობდნენ. თითოეულ ტომთაგანს ერანის ხელმწიფედ თავისი „კანდიდატი“ ჰყავდა, რომლის „უფლებებსაც“ ის მთელი ძალღონით იცავდა. ასე რომ სისხლიანი დინასტიური ომები, შაჰის გარდაცვალებისას შაჰზადაებს შორის რომ იმართებოდა, ყიზილბაშთა ტომების ურთიერთ შორის ბრძოლას ემყარებოდა, ამ ბრძოლით საზრდოობდა.

შაჰ-აბასმა ძირიანად შეცვალა მდგომარეობა. აქამდის არსებულ ყიზილბაშური ტომების გვერდით მან ახალი ტომი შექმნა— შაჰის მეგობართა ტომი („შაჰი-სევან“). ახალ ტომში შესვლა ყველა მსურველს შეეძლო. ამ ახალი ტომის მეთაურად თვით შაჰი ითვლებოდა. „შაჰსევანებს“ დიდი პრივილეგიები ჰქონდათ. ადვილი გასაგებია, რომ ჩქარა ახალი ტომი ყველაზე დიდი და ძლიერი გაერთიანება გახდა.

ამავე დროს შაჰმა შეამცირა ყიზილბაშური ტომებისაგან გამომავალ მხედართა რაოდენობა. ამიერიდან ყიზილბაშთა ტომები ყველა ერთად ოცდა ათი ათას მხედარს იძლეოდნენ. ასეთი ზომის გვერდით შაჰ-აბასმა სხვა ღონისძიებაც მიიღო. მან ოსმალთა იანიჩარის მსგავსი რეგულარული ჯარი შექმნა, რომელიც უმთავრესად გამაჰმადიანებულ ქრისტიანებისაგან შედგებოდა.

ჯარის ორგანიზაციის გარდაქმნასთან ერთად შაჰ-აბასმა მთავარი ყურადღება ამ ჯარის შეიარაღებას მიაქცია. აქამდის ერანის ლაშქარი თითქმის მხოლოდ ცივი იარაღით იყო აღჭურვილი. ინგლისელ „ავანტურისტთა“ დახმარებით შაჰ-აბასმა თანდათან ძლიერი არტილერია გაიწყო. ამავე დროს თავისი ლაშქრის რეგულარული ნაწილი შაჰმა თოფით შეაიარაღა. ასე რომ ხანგრძლივი გეგმიანი საქმიანობის შედეგად ერანის შაჰს უდისციპლინო ფეოდალური მხედრების ნაცვლად გაწვრთნილი, ხელთოფითა და არტილერიით შეიარაღებული და უსიტყვოდ მორჩილი ლაშქარი ჰყავდა. მართალია, ერანის ეს ლაშქარი რიცხვით ოსმალეთისაზედ მცირე იყო, მაგრამ შეიარაღებით ის მოწინააღმდეგეს არაფრით ჩამოუვარდებოდა, ხოლო დისციპლინა-ორგანიზაციით დიდად სჯობნიდა უკვე გათავხედებულ იენიჩარებსა და გაფეოდალებულ ოსმალო სიფა-

ჰებს. ერანის ლაშქარს მოწინააღმდეგესთან შედარებით, გარდა ამისა, ერთი დიდი უპირატესობაც ჰქონდა: მისი საქმე იმ კაცის ხელთ იყო, რომელსაც იმდროინდელ მსოფლიოში ვერც ერთი პოლიტიკური მოღვაწე ვერ შეედრებოდა.

ამასთან ერთად შაჰ-აბასის ამ სამხედრო ღონისძიებებს დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. აღნიშნული რეფორმების შედეგად ყიზილბაშური ტომების მეთაურთა ძალა და მნიშვნელობა სათანადოდ შემცირდა. ამისდა შესაბამისად სახელმწიფო კარზე მათი გავლენაც შემცირდა. სახელმწიფო მმართველობის სათავეში ახალი ხალხი გაჩნდა. შაჰის ძალა და ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა.

თურქულ-ყიზილბაშურ მაღალ ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში შაჰ-აბასის დასაყრდენს სპარსელი თუ თურქი წვრილი მიწისმფლობელები, ვაჭარ-მოქალაქეები და ხელოსნები შეადგენდნენ. ასეთი პოზიცია შაჰ-აბასს თანამედროვეთა შორის სამართლიანობისათვის მებრძოლისა და ხალხის მფარველის სახელს უქმნიდა...

ასეთივე ენერგიით მოღვაწეობდა შაჰ-აბასი ერანის ეკონომიური წარმატებისათვის. ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან კუთხეში გაყვანილ იქმნა ხიდ-ქარვასლებით მოწყობილი შარა-გზები (ზოგგან ქვაფენილი), რაც არა მარტო საქონლის უცხოეთში გატანას, ან შემოტანას ემსახურებოდა, არამედ თვით ერანის პროვინციათა შორის საგაცვლა-გამოცვლო ურთიერთობასაც დიდად ხელს უწყობდა.

იმდროინდელი ერანის უმთავრესი გასატანი საქონელი აბრეშუმი იყო. აბრეშუმით უცხოეთთან ვაჭრობის საქმე შაჰის მონოპოლიად იქნა გამოცხადებული, რაც უდიდეს სარგებელს აძლევდა ხელმწიფე-ვაჭარს. შაჰ-აბასის ხელში ამ საქმეს მხოლოდ ეკონომიური მნიშვნელობა როდი ჰქონდა. აბრეშუმით ვაჭრობის მონოპოლიას შაჰი ხერხიანად იყენებდა საგარეო პოლიტიკურს ურთიერთობაში. მისი საშუალებით შაჰ-აბასი ერთი მხრით ევროპაში „მეგობართა“ მოპოვებას, ხოლო მეორე მხრით ოსმალეთის ეკონომიურ დასუსტებას ცდილობდა (შაჰი დაჟინებით ეძებდა ახალ გზებს, რათა ერანის აბრეშუმი ევროპაში ოსმალეთზე გაუტარებლად შეეტანა. ამ შემთხვევაში ოსმალეთს უდიდესი საბაჟო შემოსავალი დაეკლებოდა).

ახლად შექმნილ გარემოებათა შესაბამისად ერანის სხვადასხვა პროვინციების მნიშვნელობაც სათანადოდ შეიცვალა. ქვეყნის

ჩრდილო-დასავლეთმა ძველი მნიშვნელობა დაკარგა და შაჰ-აბასმაც სამეფო ტახტი აქედან (ყაზვინიდან) სამხრეთ-აღმოსავლეთში (ისპაანში) გადაიტანა.

1597 წელს შაჰ-აბასმა სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის მოკავშირე ოზბეგები. ამ დროიდან ერანსა და მის აღმოსავლეთის მეზობელს შორის დიდი ხნით მშვიდობა ჩამოვარდა. შაჰ-აბასმა ოსმალეთის წინააღმდეგ ხელები გაიხსნა.

სწორედ ამავე ხანებში, როცა შაჰ-აბასი აგრე ნაყოფიერად მოღვაწეობდა და ერანს მომავალი დიდი ომისათვის ყოველ მხრივ ამზადებდა, მის მოწინააღმდეგე ოსმალეთს ყურზე ეძინა.

ოსმალეთი ამ დროს მსოფლიოში უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლებოდა. მართალია, მას აღმავლობის ხანა უკვე განვლილი ჰქონდა და აუცილებელი დაცემის უტყუარი ნიშნები სულ უფრო და უფრო იჩენდნენ თავს (რასაც უკვე ოსმალთა იმდროინდელი ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწეც ამჩნევდა და, საშიში სიმპტომების სწორად შეფასების უნარს მოკლებული, სახელმწიფოს ძველი ჯანსაღობის აღსადგენ ზომებს უნაყოფოდ ეძებდა), მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და ოსმალთა დიდი სახელმწიფო, თავის უძლეველობაში დაჯერებული, ერანის საფუძვლიან გადახალისებას ვერც კი ამჩნევდა.

1592—1606 წლის ომში ოსმალებმა უკვე არაერთხელ განიცადეს ახალი ევროპის სამხედრო ძლიერების სიმძიმე. ამის შემდეგ ოსმალეთის ტერიტორიული გაფართოება ევროპის ხარჯზე აღარ მომხდარა და ჩქარა ახალი ევროპის სამხედრო (და ყოველმხრივი) უპირატესობა დაცემის გზაზე შემდგარ აზიურ სახელმწიფოზე ცხადად აღმოჩნდა. ამიერიდან იწყება ოსმალეთის დამარცხებათა და მისი ევროპიდან განდევნის გრძელი ხანა.

* *

ერან-ოსმალეთის ამ ახალ ომში, 1602 წელს რომ დაიწყო, შაჰ-აბასი საკუთრივ ოსმალეთის ტერიტორიის მიტაცებას ოფიციალურად მიზნად არ ისახავდა. ის აქტიური თავდაცვის პოლიტიკას ადგა და მისი მიზანი 1578 წლამდე არსებული ვითარების აღდგენა იყო (ომის ეს მიზანი შაჰმა ნათლად გამოსთქვა სიმონ მეფის იმ წერილის პასუხში, რომელიც ოსმალთა სახელმწიფო კარის სურვილით ტყვე მეფემ სტამბოლიდან ერანის შაჰს გამოუგზავნა 1603 წელს).

შაჰ-აბასმა კარგად იცოდა, და საუკუნოვანი გამოცდილებით ეს იმ დროს სხვებსაც ესმოდათ, რომ მდიდარი შარვანის (შაჰის წლიური შემოსავალი ამ პროვინციიდან 25.200.000 ასპრს ანუ 504.000 დუკატს უდრიდა), განჯა-ყარაბაღის და ადერბაიჯანის ოსმალეთის მიერ მიტაცებისაგან დასაცავად აუცილებელი იყო, რათა აღმოსავლეთ საქართველო ერანისავე მტკიცე მფლობელობაში დარჩენილიყო.

„გურჯისტანის" საკითხი, ამიტომ, შაჰ-აბასის წინაშე ერთი უდიდესი ამოცანათაგანი იყო. ამ საკითხის მიზანშეწონილად გადაწყვეტაზე დიდად იყო დამოკიდებული, თუ მომავალში როგორის წარმატებით დაიცავდა თავს ერანი საქართველოს მხრით მოსულ დამპყრობელთაგან.

1578—1590 წლის ომის დროს შაჰ-აბასი დარწმუნდა, რომ ქართველთა „მორჩილება" ერანის ამ ინტერესების უზრუნველსაყოფად საკმაო არ იყო. საქართველოს ქრისტიან მმართველებს (მეფეები, მთავრები) თავისი ქვეყნები ერანის განუყოფელ ნაწილად სრულიადაც არ მიაჩნდათ და თავიანთ თავს უფლებამოსილად სთვლიდნენ შესაფერის პირობებში ამ მოძალადეს ჩამოშორებოდნენ და, თუ ამას საქართველოს ინტერესები მოითხოვდა, ერანის მტრის მხარეზედაც კი დამდგარიყვნენ. ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთათვის ერანი და ოსმალეთი ორივე ერთი ფასის მოძალადენი იყვნენ („ალი და ოსმანი ორივე თათარია").

1578—1590 წ. ომში ალექსანდრე კახთა მეფემ, ასე მსჯელობდა შაჰ-აბასი, „უღალატა" ერანს, მაგრამ არც სიმონ ქართლის მეფის „სამსახური" იყო შაჰისათვის უეჭველად ერთგული.

სანამ ერან-ოსმალეთს შორის ზავი გრძელდებოდა (1590—1602), ერანს ქართლ-კახეთზე ხელი არ მიუწვდებოდა. 1590 წლის ზავით საქართველო მთლიანად ოსმალეთის სამფლობელოდ იყო ერანის მიერ ცნობილი. მაგრამ შაჰ-აბასი ამ ზავს დროებით საშუალებად სთვლიდა და მომავალ ომში, რომლის დაწყებასაც ის აპირებდა, „გურჯისტანს" ოსმალეთის წინააღმდეგ ომს ავალებდა.

ქართველებს კი ამ საკითხზე საკუთარი თვალსაზრისი ჰქონდათ. მართალია, ორ აგრესორს შორის არჩევანის იძულებული ქართველები უფრო ერანს ირჩევდნენ, მაგრამ ეს წინასწარ აღიარებული უთუო და უთუმცაო დებულება სრულიად არ ყოფილა. მე-16 საუკუნეში ერან-შაჰების ცდები საქართველოში ყიზილბაშური

წესწყობილების შემოღებისა ჯერ კიდევ სუსტი იყო. ყაენი იძულებული იყო ქართ-კახეთისა და მესხეთის მოხარკეობით დაკმაყოფილებულიყო. ამდენადვე ქართველობას მე-16 საუკუნეში ერანის მხრით უშუალო საფრთხე არ უდგა. თავისი მეტოქისაგან განსხვავებით ოსმალეთი იმთავითვე საქართველოს მიმართ დაპყრობის (ინკორპორაციის) პოლიტიკას ახორციელებდა. „ოსმალობის" (ე. ი. ოსმალური სოციალ-პოლიტიკური წესწყობილების) დანერგვით „ქართველობის" მოსპობას ცდილობდა (თუმცა უკომპრომისო არც ოსმალეთის ეს პოლიტიკა იყო და, სადაც დაპყრობას ვერ ახერხებდა, იქ მოხარკეობასაც სჯერდებოდა) და რამდენადაც და სანამ ეს ასე იყო, ქართველთა არჩევანიც ერანის მხარეზე იყო... ორ ბოროტებას შორის საქართველო უმცირეს მათგანს ირჩევდა.

1590-იან წლიდან საქართველოს საკითხში ახალმა მომენტმა იჩინა თავი. კავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე მოსკოვის სახელმწიფო კვლავ გამოვიდა. თუმცა ეს ახალი ძალა ოსმალეთის მოწინააღმდეგედ, ხოლო ერანის მეგობრად გამოდიოდა, მაგრამ შორსმჭვრეტ შაჰ-აბასს ამიერკავკასიაში ამ „მეგობრის" ფეხის მოკიდება (და ისიც ერანის ხარჯზე) ნაკლებად სახიფათო საქმედ როდი ეჩვენებოდა, ვიდრე ოსმალეთის აგრესია.

ქართველები კი ამ საკითხშიაც სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისს ადგენენ. ქრისტიანულ რუსეთში ქართველებს ახალი ბიზანტია ეჩვენებოდათ. ამ ძალის შემწეობით ისინი მაჰმადიან აგრესორთა (ერანის და ოსმალეთის) შემუსრვაზე და საქართველოს ძველი ძლიერების აღდგენაზე ოცნებობდნენ.

კახეთის მეფე უყოყმანოდ გახდა მოსკოვის ხელმწიფის ხელდებული, რითაც ერთხელ კიდევ „უღალატა" ერანს (შაჰის თვალსაზრისით).

მოსკოველი „მეგობრის" გეგმები კახეთზე შორსაც მიდიოდა. რუსხელმწიფე ამიერკავკასიის ქრისტიანულ ხალხთა და სამეფო-სამთავროთა „მფარველობის" განსაკუთრებულ უფლებას ოფიციალურად აცხადებდა და კახელი ხელდებულის საშუალებით ამის განხორციელებას ცდილობდა კიდეც... ასე რომ შაჰის მოსკოველი მეგობარი ერანის ყოფილი „გურჯისტანიდან" კახეთს გარდა ქართლისა და სამცხე-საათაბაგოს მფარველობასაც აპირებდა.

შაჰ-აბასს, რა თქმა უნდა, არც ის ავიწყდებოდა, თუ ამ „მოკავშირეს" რა მუცლის ტკივილი სჭირდა შარვანის მიმართ...

ერთი სიტყვით, ერანს ამიერკავკასიაში მოსისხარ ოსმალეთზე ნაკლებად არ ემუქრებოდა მეგობარი რუს-ხელმწიფე და, ვინ იცის, ეს „მეგობრობა“ შემდეგ რა სახეს მიიღებდა. რომ რუსეთში ატეხილ სამოქალაქო ომს მოსკოვის მთავრობა ამიერკავკასიის პოლიტიკური ასპარეზიდან დიდი ხნით არ გამოერიცხა.

კახელი მოხარკის ერანისადმი „ღალატი“ მეტად მძიმე იყო. მაგრამ შაჰ-აბასმა ისიც იცოდა, რომ საამისო მოხერხებულ პირობებში ამგვარ „ღალატს“ არც სხვა ქართველი მოხარკეები დააყოვნებდნენ...

ამრიგად საქართველოს საკითხი ერანის წინაშე ეხლა კიდევ უფრო მწვავედ დადგა, ვიდრე ის ერან-ოსმალეთის პირველი ომის დროს (1500—1553 წწ.) იდგა... და შაჰ-აბასმაც მისთვის დამახასიათებელი სიმედგრით, ენერგიითა და გაბედულობით სცადა ამ საკითხის ერთხელ და საბოლოოდ ერანის სასარგებლოდ გადაჭრა და, თუ მან ვერ შესძლო საქართველოს საკითხის ლიკვიდაცია, ამის მიზეზი მხოლოდ ქართველი ხალხის ის ამოურწყველი სასიცოცხლო ძალა და გმირობა იყო, რომლის წინაშე—ისე როგორც ყველა სხვა წინა თუ შემდგომდროინდელი მტაცებლები — ეს დამპყრობელიც უძლური აღმოჩნდა.

* *

ერევნის ციხე კარგა ხნის დაცემული იყო, როცა რუსი ელჩები კახეთს მივიდნენ[194]. შაჰ-აბასს ალექსანდრე მეფე თავისთან დაეტოვებინა. კახეთის საქმეებს კი გიორგი ბატონიშვილი განაგებდა.

რუსი ელჩები გიორგი ბატონიშვილმა 19 აგვისტოს მიიღო. დარბაზობაზე მან თავისი მცირეწლოვანი შვილი იესეც დაისწრო[195].

თუმცა გიორგი ბატონიშვილმა მოსკოვის მეფის „წყალობა“ მიიღო და ელჩებს ხელმწიფის ყველა ბრძანების შესრულება აღუთქვა, მაგრამ, როგორც თვითვე განაცხადა, ასეთი დიდი საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტა მამის დაუკითხავად მას არ შეეძლო[196], და ელჩებიც იძულებული იყვნენ ელოდნათ, ვიდრე ალექსანდრე მეფე დაბრუნდებოდა.

---

194 Белокуров. Сношения..., 465.

195 იქვე, 461—462.

196 იქვე, 464.

16 სექტემბერს ელჩებმა ხელმწიფეს მისწერეს კავკასიის ამბები. შაჰ-აბასს აქამდის მხოლოდ თავრიზი, ერევანი და ნახჭევანი აეღო. თითონ შაჰი ახლა ზენგიჩს იდგა. იქვე იყო მასთან ალექსანდრე მეფეც თავისი ლაშქრით. ერანის ჯარს ალავერდი-ხანის სარდლობით სომხეთში თურქები დაემარცხებინა. შაჰ-აბასს გიორგი ქართლის მეფე ავადმყოფობის გამო დაუთხოვია. ნუგზარ ერისთავიც მისთვის გამოუყოლებია. ორივესთვის ლაშქრის შეყრა და თბილისზე დაცემა უბრძანებია. ელჩები განსაკუთრებით აუწყებენ ხელმწიფეს, რომ დარუბანდი, ბაქო და შამახია ჯერ ისევე ოსმალთა ხელშია და მათი აღების მიზნით ლაშქრობას შაჰი გვიან შემოდგომაზე აპირებს. ამავე დროს ქართლიდან ცნობა მოსულა, რომ ოსმალთა დიდი ჯარი შამახიას წამოსულა. აქედან ოსმალები ამავე შემოდგომაზე კახეთისა და ქართლის დაპყრობას აპირებდნენ[197]. ბუტურლინის ლაშქრობისა კი ჯერჯერობით არაფერი გვსმენიაო, სწერენ ელჩები[198].

რუს ელჩებს მოქმედება მეტად რთულ პირობებში უხდებოდათ. კახეთი აფორიაქებული იყო. ერთი მხრით ოსმალთა რაზმები, მეორე მხრით ლეკები წარამარა თავს ესხმოდნენ ქვეყანას. ამავე დროს მოელოდნენ ოსმალთა დიდი ჯარების შემოსევას. გიორგი ბატონიშვილი განუწყვეტელ ომსა და ბრძოლაში იყო. კახეთის საუკეთესო ჯარი კი ალექსანდრე მეფეს ახლდა და არავინ იცოდა, შაჰ-აბასი როდის დაითხოვდა კახთა მეფეს ამ საპატიო ტყვეობიდან[199]... ალექსანდრე მეფე შაჰის ბანაკიდან ატყობინებდა გიორგი ბატონიშვილს ოსმალთა შესახებ და თადარიგს უბრძანებდა[200].

კახეთში ბატონიშვილის კარზე რუს ელჩებს შაჰ-აბასის მოციქული მაჰმად-ბეგი დახვდა. ის ამ ორი თვის წინ მოსულიყო თეიმურაზ ბატონიშვილისა და მისი დის ელენეს წასაყვანად. რუს ელჩებს დავალება ჰქონდათ ბორის გოდუნოვის ვაჟისათვის საცოლე, ხოლო ქალისათვის საქმრო შეერჩიათ. თეიმურაზ დავითის-ძე მათ შესაფერის სასიძოდ მიაჩნდათ. ელჩებმა დაჟინებით მოითხოვეს მისი რუსეთს გაგზავნა, მაგრამ უშედეგოდ: ალექსანდრე მეფე შაჰის კარიდან კატეგორიულად მოითხოვდა უფლისწულის ერანში გაგზავნას და გიორგი ბატონიშვილს აფრთხილებდა,

---

197 Белокуров. Сношения..., 465—466.

198 იქვე, 465—466—467.

199 იქვე, 467—469.

200 იქვე, 471—472.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შაჰ-აბასის ტყვეობიდან მეფის განთავისუფლება ამაზე იყო დამოკიდებული. გიორგი ბატონიშვილმა თეიმურაზ და ელენე შაჰთან გაგზავნა. შვილებს თან გაჰყვა დედა ქეთევანიც. შაჰმა ელენე ცოლად შვირთო.[201]

ეს აქტი რუს-ხელმწიფის პოლიტიკური მარცხი იყო. კახეთის მეფე მოსკოვის მეფის ხელდებული იყო. ბორის გოდუნოვი ჯერ კიდევ 1593 წელს მოითხოვდა ალექსანდრესაგან, რათა კახთა მეფეს ამიერიდან მოსკოვის ხელმწიფის თანხმობის გარეშე მძევალი მაჰმადიან ხელმწიფისათვის არ მიეცა. ამავე დროს ის შეეცადა, თუმცა უშედეგოდ, კონსტანტინე ბატონიშვილი, შაჰის კარზე რომ იყო მძევლად, მოსკოვს წაეყვანა. ეხლა კი, 1604 წელს, მოსკოვის მეფის ეს ხელდებული თვით ახლდა შაჰს თავისი ლაშქრით და მფარველის ნებართვის გარეშე და მისი სურვილის წინააღმდეგ ახალ მძევლებს აძლევდა ერანის შაჰს. თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი მ ძ ე ვ ლ ა დ ე რ ა ნ ი ს შ ა ჰ ი ს კ ა რ ზ ე, — ე ს ი ყ ო შ ა ჰ-ა ბ ა ს ი ს ს ა ქ მ ი ა ნ ი პ ა ს უ ხ ი მ ო ს კ ო ვ ე ლ მ ე გ ობ რ ი ს ა დ მ ი, რ ო მ ე ლ ი ც უ კ ვ ე 16 წ ე ლ ი ი ყ ო დ ა ჟ ი ნ ებ ი თ ც დ ი ლ ობ დ ა შ ა ჰ ი ს ა თ ვ ი ს კ ა ხ ე თ ზ ე ხ ე ლ ი ა ე ღ ებ ი ნ ა. საქმეს არ შველოდა და მარცხს არ ანელებდა რუსი ელჩების უღონო და რამდენადმე უსაფუძვლო მტკიცება, რომ ამ მძევლების გაგზავნის მიზეზი ერანის შაჰი კი არა, თვით ალექსანდრე მეფე და გიორგი ბატონიშვილი იყვნენ...

მიუხედავად ამისა, რუსი ელჩები ნირს არ იტეხდნენ და ენერგიულად საქმობდნენ. ერთი მხრით ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ გიორგი ბატონიშვილისაგან, რომ მას ხელმწიფის ერთგულების ფიცი მიეღო,[202] ხოლო მეორე მხრით ქართლის მეფის ნახვას ცდილობდნენ.[203] ელჩებმა შეიტყვეს, რომ ქართლის სამეფო სახლში ხელმწიფის სარძლოც მოიპოვება და სასიძოც.[204] ამავე დროს ელჩებს იმედი ჰქონდათ, რომ ქართლის მეფე ადვილად შევიდოდა ხელმწიფის საფარველს ქვეშ და ერთგულების ფიცსაც მიიღებდა. მაგრამ რუსი ელჩები მოულოდნელ სიძნელეებს შეხვდნენ. ალექსანდრე კახთა მეფე და გიორგი ბატონიშვილი გიორგი ქართლის

---

201 Б е л о к у р о в, Сношения..., 492—493.

202 იქვე, 477 — 478.

203 იქვე, 470—472.

204 იქვე, 470.

მეფეს მტრობდნენ. 1602 წელს კახეთის სამეფო კარზე მომხდარ ბრძოლაში გიორგი მეფე ალექსანდრესა და გიორგი ბატონიშვილის წინააღმდეგ გამოვიდა. მან დავით ბატონიშვილს დაუჭირა მხარი. ამის შემდეგ ქართლის მეფემ ნუგზარ ერისთავიც გადაიბირა.

გიორგი ბატონიშვილი „მამის ნებართვის გარეშე" რუს ელჩებს ქართლის მეფესთან მიწერ-მოწერის ნებას არ აძლევდა. ამის მიუხედავად, ელჩებმა საიდუმლოდ მისწერეს გიორგი მეფეს. აცნობეს ხელმწიფის „წყალობა" და აუდიენცია სთხოვეს მას. ქართლის მეფემ სამცხეზე ამხედრება მოიმიზეზა და ელჩების ქართლს მისვლა და ხელმწიფის „წყალობის" მოსმენა და მიღება გაზაფხულისათვის გადასდო.[205] ამავე დროს მან რუსი ელჩების მოციქული ლიხთიმერეთს არ გაატარა: დადიანის ოსმალთა მომხრეობა მოიმიზეზა.[206] რუს ელჩებს გიორგი მეფის მიერ დასახელებული მიზეზები არა სწამდათ და მისი საქციელის ნამდვილი მიზეზის გაგებას ცდილობდნენ, თუმცა ეს ძნელი მისახვედრი არ იყო: ახლად-ატეხილი ძლიერი პოლიტიკური ქარიშხალი განსაკუთრებულ სიფხიზლესა და სიფრთხილეს პვალებდა ქართველ პოლიტიკურ მესაჭეებს. ასეთ დროს ამ ახალი პოლიტიკური საქმის წამოწყება მეტად სახიფათო ჩანდა და ქართლის მეფეც ფრთხილობდა ისევე, როგორც გიორგი ბატონიშვილი, რომელიც, ელჩების დაჟინების მიუხედავად, მოსკოვის მეფისადმი ერთგულების ფიცის მიღებას დაუსრულებლად აყოვნებდა.

რუსი ელჩები გიორგი ბატონიშვილის უკმაყოფილონი იყვნენ: თეიმურაზი შაჰს გაუგზავნა და არა ხელმწიფე-მფარველს; ფიცის მიღებას, ისე ჩანდა, არ აპირებდა, თუმცა ჰპირდებოდა კი; სხვა ქართველი მეფე-მთავრების შემოყვანას რუსეთის საფარველს ქვეშ არა თუ არ ცდილობდა, რუს ელჩებსაც კი ასეთ საქმეში დაბრკოლებებს უქმნიდა (ასე მსჯელობდნენ ისინი).

სექტემბრის გასულს გიორგი ბატონიშვილმა აცნობა ელჩებს, რომ ხელმწიფის ჯარი ჯერ საშამხლოს არ შესევია და არც რაიმე ხმა ისმის ამ ლაშქრის შესახებ. ამავე დროს მან სთხოვა ელჩებს, მისწერონ ჯარის უფროსებს, რომ საშამხლოზე ლაშქრობის ნაცვლად დარუბანდი აიღონ[207]. ბატონიშვილი უსაბუთებდა: ამჟამად

---

205 Белокуров, Сношения..., 469—470.

206 იქვე, 471, 472.

207 იქვე, 475.

კახეთისათვის შამხლისა და ლეკთა საკითხი აღარ იყო მთავარი. შარვანის მხრიდან ოსმალეთი მოდიოდა. რუსეთის ლაშქარს კახეთის დახმარება ეხლა სწორედ დარუბანდის მხრიდან შეეძლო. ბატონიშვილის მოციქულებმა მოახსენეს ელჩებს, რომ ტარკ-ბოინაკის რუსთა მიერ დაპყრობა ამჟამად კახეთისათვის უსარგებლოა, რომ ხელდებულს მფარველი ეხლა მხოლოდ ოსმალეთისაგან თავის დასაცავად სჭირია[208].

დარუბანდ-ბაქო-შამახიის ხსენება რუსეთის პოლიტიკოსებს განსაკუთრებულ გრძნობებს აღუძრავდა ხოლმე. დიდი დაჟინებით და ხერხებით ატრიალეს მათ ეს საკითხი გასული საუკუნის 90-იან წლებიდან შაჰ-აბასთან, მაგრამ ერანელმა დიპლომატმა აჯობა რუსეთის მეფის კარს და შაჰ-ხუდაბანდას მარცხი, — რუსეთისათვის ბაქო-დარუბანდის დაპირება ოსმალთა წინააღმდეგ დახმარების საფასურად, — მოხერხებულად გამოასწორა: შაჰ-აბასმა ეს დეკლარაციული დაპირება არც უკან წაიღო და არც საჭირო გარკვეულობით დაამტკიცა ის. ასე რომ 16 წლის დიპლომატიური ურთიერთობის სიგრძეზე ეს საკითხი ისევ გაურკვეველი რჩებოდა და რუსეთის მეფის კარი ეხლა (1598—1603 წწ.) დაჟინებით ცდილობდა, რათა სამხედრო ხელშეკრულებაში, ერან-რუსეთს შორის რომ უნდა დადებულიყო, შაჰის მიერ ამ ქალაქების რუსთა მეფისათვის დათმობა შეტანილი ყოფილიყო...

დარუბანდის ხსენებაზე ელჩებმა ყურები სცქვიტეს. დიდის ხალისით ალაპარაკდნენ. რუს-ხელმწიფის ჯარი დარუბანდს კი არა, ბაქო-შამახიასაც აქამდის დაიჭერდა, რომ ეს ქვეყნები ხელმწიფის მოკავშირე შაჰის საკუთრება არ იყოს... ეხლა ელჩებს სურთ იცოდნენ: წინადადება დარუბანდის დაპყრობის შესახებ ალექსანდრე მეფეს ხომ არ მოუწერია, იცის თუ არა ამის შესახებ შაჰ-აბასმა, და ხომ არ უთმობს შაჰი დარუბანდს ხელმწიფეს?. გიორგის მოციქულებმა ელჩებს ხალისი გაუფუჭეს: სანატრელი წინადადების ავტორი მხოლოდ გიორგი ბატონიშვილი იყო.[209]

კახეთში კარგად ესმოდათ, რომ ოსმალთა ხელში მყოფი დარუბანდ-შარვანის საკითხი უაღრესად ერანის ინტერესებს ეხებოდა. მით უფრო საინტერესოა გიორგი ბატონიშვილის ეს წინადადება. ჩანს, ბატონიშვილის პოლიტიკურ სურვილებს ეთანხმებოდა,

---

208 Белокуров. Сношения..., 475.

209 იქვე, 475 — 476.

თუ რუსეთი არა მარტო ოსმალეთის, ერანის მოქიშპედაც გამოვიდოდა.

რაკი ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა, გიორგი ბატონიშვილის მოციქულმა ელჩებს თხოვნით მიმართა, მისწერონ თერგის ციხისთავებს, რათა მეთოფეთა ჯარი მოაშველონ კახთა მეფეს, როგორც კი კახეთზე ოსმალთა გამოლაშქრების უეჭველი ცნობა მიუვათ.[210] ელჩებმა უმალ შეიცვალეს საუბრის კილო: მეფე ალექსანდრეს ასეთი რამ ხელმწიფისათვის არ უთხოვნიაო და საამისო ბრძანებაც არა გვაქვსო. ასეთი ბრძანება მართლაც არ უნდა ჰქონოდათ ელჩებს, მაგრამ ლაშქრით შემწეობა რომ „წყალობის სიგელით" იყო გათვალისწინებული, ამას დაჟინებით ივიწყებდა მფარველი (და მისი ელჩები), თუმცა არ ივიწყებდა კონტრაგენტი. გიორგი ბატონიშვილმა საკითხი კატეგორიულად დასვა. მისმა მოციქულმა ელჩებს მოახსენა: შამხლის შესამუსრავად თითქო წამოსული რუსთა ლაშქარი ჯერ კიდევ არსად ჩანს (ეს იყო 1 ოქტომბერს); შამხლის შვილმა სულთან მაჰმუდმა კი, ამასობაში, განჯა-შამახიის ფაშები კახეთის წინააღმდეგ აამხედრა; ისინი ძეგამზე მოდიან; განზრახვა აქვთ ეს ქალაქი დაიპყრან და იქ ციხე ააგონ; ძეგამი კახთა მეფის მარჩენალია; ლეკებიც, მეორე მხრით, წამოსულან კახეთზე; თუ მტერმა ძეგამი აიღო, კახეთი ოსმალეთს დამორჩილდება და რუს-ხელმწიფეს წაუვა; დახმარება-მფარველობის დრო ესაა. ხელმწიფის „წყალობის სიგლის" თანახმად ბატონიშვილის მოციქულმა ელჩებს მეთოფეთა ის რაზმი სთხოვა, მათ რომ ახლდა.[211]

— თუმცა ეს რაზმი მეტად მცირეა, ურთავდა მოციქული, მაგრამ ამას მაინც დიდი მნიშვნელობა ექნება: ყველა დაინახავს, რომ კახეთი მარტო არაა და მას დიდი ხელმწიფე ნამდვილად მფარველობს. ელჩებმა ბევრი იფიქრეს. ოსმალთა წინააღმდეგ ომში რაზმის მიშველება სახიფათო პოლიტიკური აქტი იყო, მაგრამ სხვა გამოსავალიც არ ჩანდა: უარის თქმას შესაძლებელია კიდევ უფრო არასასურველი შედეგები მოჰყოლოდა და ელჩებმა გიორგი ბატონიშვილს ოსმალთა წინააღმდეგ ომში ორმოცი მეთოფე აახლეს[212].

მართლაც, განჯა-შამახიის ფაშების ლაშქარი ძეგამზე წამოსულიყო. ხუთიათასი კაცისაგან შემდგარი კახთა ჯარი გამოიყვანა გი-

---

210 Белокуров, Сношения..., 476.

211 იქვე, 476.

212 იქვე.

ორგი ბატონიშვილმა მათ წინააღმდეგ. ომი მოხდა ძეგამის აღმოსავლეთით ერთი დღის სავალზე. ფაშები სასტიკად დამარცხდნენ. ოთხი დროშა დაკარგეს, მრავალი ტყვე და მოკლული დასტოვეს (1604 წ. 7. X). აქედან გიორგი ბატონიშვილი უმალ ლეკთა წინააღმდეგ წამოვიდა. ლეკები ოსმალთა გამარჯვების იმედით მეორე მხრიდან მრავლად მოსდგომოდნენ ქვეყანას და მდიდარი ნადავლის მოლოდინში იყვნენ. გამარჯვებული კახელების დანახვაზე ლეკებმა თავიანთ სოროებს მიმართეს.

ოთხ თვეს ელოდნენ ელჩები ალექსანდრე კახთა მეფის დაბრუნებას, გიორგი ბატონიშვილის ფიცს, ბუტურლინის მიერ საშამხლოს დაპყრობას.

საქმეს წარმატება არ ეტყობოდა. ალექსანდრე მეფისაგან, უკვე დიდი ხანია, ცნობაც კი არ მოდიოდა, ბუტურლინის ლაშქრობაც იგვიანებდა; გიორგი ბატონიშვილი, ისე ჩანდა, ფიცის მიღებას არ აპირებდა, ხელმწიფის სასიძო თეიმურაზი შაჰმა წაიყვანა, გიორგი ქართლის მეფემ რუსი ელჩები არც კი ინახვინა, ვერც იმერეთის მეფე-მთავრებთან გააბეს ელჩებმა კავშირი: მათი მოციქული ქართლის მეფემ იმერეთისაკენ არ გაატარა.

ელჩებმა მოთმინება დაკარგეს. შაჰ-აბასს მოციქული მიუვლინეს, ხოლო გიორგი ბატონიშვილს ერთგულების ფიცის მიღება კატეგორიულად მოსთხოვეს.

საბუთები, ანგარიშები, საყვედური, მუქარა, — ყველა ერთად მოიმარჯვეს ელჩებმა გიორგი ბატონიშვილის გასატეხად: ხელმწიფემ ალექსანდრე მეფის თხოვნით ააგებინა ციხეები თერგზე, კოისუზე, სუნჯაზე; ყველა ამ ადგილებში მრავლად მეციხოვნეებს თავისი ხარჯით ინახავს; დიდ ქონებრივ ხარჯს გარდა ამ საქმემ დიდი ლაშქარი იმსხვერპლა; უკანასკნელადაც კახთა მეფის ვედრების თანახმად ხელმწიფემ დიდი ლაშქარი გამოგზავნა შამხლის წინააღმდეგ და ტარკსა, ტარკალსა და ტუზლუკს ციხეების აგება უბრძანა. მარტო ამ ჯარის მომარაგება და გამოგზავნა 300.000 მანეთი დაჯდა. და გიორგი კახთა მეფისძეს ხელმწიფის ერთგულების ფიცის მიღებაც კი არ სურს და ალექსანდრე მეფის წამოწყებულ საქმეს შლის... თუ ეხლაც არ გამოასწორებს თავის დანაშაულს და ერთგულების ფიცს არ მიიღებს, ბატონიშვილი ხელმწიფის მრღალატე შეიქმნება და ხელმწიფეც ასეთი უპატიობისა და დიდი ზარალისათვის შურს იძიებს ბატონიშვილისაგან. ხელმწიფის ჯარებმა კახეთისაკენ გზა იციან. მოვლენ, გრემსა, ძეგამსა თუ სხვა ადგილებში

ციხეებს ააგებენ და მაშინ ბატონიშვილი ხელმწიფეს სადღა წაუვა?.[213]

უეჭველია, ამ საბუთებისა და მუქარის შედეგი არ ყოფილა, რომ გიორგი ბატონიშვილმა ხელმწიფის ერთგულების ფიცის მიღებაზე თანხმობა განაცხადა. კახეთში კარგად ესმოდათ ამ საბუთებისა თუ მუქარის ფასი, მაგრამ ისიც კარგად ესმოდათ, თუ რა ძვირფასი იყო რუსეთის „კედელი" იმ მძიმე ბრძოლაში, კახეთი რომ „ქართველობისათვის" აწარმოებდა ოსმალებისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ... გარდა ამისა, რუსეთი, მართალია, სასურველზე ნაკლების ენერგიით, მაგრამ მაინც რეალურ დახმარებას უწევდა კახეთს შამხალთან ბრძოლაში... ეხლაც ხელმწიფის დიდი ლაშქარი უკვე შესეოდა საშამხლოს და კახეთის ამ დაუძინებელ მტერს სასტიკად ავიწროებდა... უკანასკნელი გარემოება, უეჭველია, ყველაზე ძლიერი არგუმენტი იყო, რამაც გიორგი ბატონიშვილი აიძულა რუს-ხელმწიფის ერთგულების ფიცი მიეღო, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, თუ როგორ სახიფათო პოლიტიკურ ნაბიჯსა სდგამდა. ფიცის მიღების წინ გიორგი ბატონიშვილი აფრთხილებდა ელჩებს, რომ, თუ ცნობა ამ ფიცის შესახებ შაჰის ყურამდის მივიდა, ვერც ალექსანდრე მეფე და ვერც ვინმე მისი მხლებელი შაჰ-აბასს ცოცხალი ვერ გადაურჩება.[214]

ელჩები საწადელს ეწივნენ. 1605 წელს 1 იანვარს გიორგი ბატონიშვილმა თავისი უახლოესი დარბაისლებით მოსკოვის მეფის ერთგულების ფიცი მიიღო.[215]

რვა იანვარს ელჩებს სარდალ ბუტურლინისაგან შიკრიკი მოუვიდათ. ხელმწიფის დიდი ლაშქარი საშამხლოს შესეოდა, ტარკი აეღო, ყუმუხები დაემარცხებინა. ელჩებმა მიღებული ამბავი ბატონიშვილს აცნობეს და სთხოვეს მას, რათა რუს-ხელმწიფის ეს დიდი წყალობა ალექსანდრე მეფისათვის მიეწერა. ბატონიშვილს, აღმოჩნდა, ეს ამბავი მთიელთაგან კარგა ხანია უკვე სმენოდა.[216]

ერან-ოსმალეთის ომისას რუსეთის ეს აქტიური გამოსვლა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამიერიდან ამიერკავკასიის ასპარეზზე ორი კი არა, სამი დიდი ძალა ექიშპება ერთიმეორეს.

---

213 Белокуров. Сношения..., 477—478.

214 იქვე, 497.

215 იქვე, 478—479.

216 იქვე, 480—481.

ამიერკავკასიის ქრისტიან ხალხთათვის რუსეთი ამიერიდან მართლაც „უფრო ახლო იყო“, ვიდრე სტამბოლი ან ყაზვინი...

რუსთა ლაშქრის მიერ შამხალ-ლეკთა წახდენის ცნობა გიორგი ბატონიშვილმა კათალიკოსს, ალავერდელს, ეპისკოპოსებს, მონასტრებს და საწინამძღვრო ეკლესიებს დაუგზავნა და მათ ხელმწიფისათვის საჯარო ლოცვა უბრძანა[217]. ასეთ მძიმე დროს ეს სასიხარულო ცნობა, რა თქმა უნდა, დიდი მორალური დახმარება იქნებოდა ომით შეშფოთებული საზოგადოებისათვის.

ელჩებმა გიორგი ბატონიშვილს ჯარის შეყრა და ლეკთა წინააღმდეგ გალაშქრება მოსთხოვეს. ბუტურლინის ჯარისაგან ლტოლვილი ლეკები ძეგამის ახლო მთებში შეხიზნულიყვნენ და თვით ძეგამშიაც მრავლად მოსულიყვნენ. გიორგი ბატონიშვილმა ამხელად ლეკეთზე ლაშქრობა შეუძლებლად სცნო: საუკეთესო ჯარი ალექსანდრე მეფეს ახლდა, ხოლო დანარჩენით გიორგი ბატონიშვილი კახეთს იცავდა: განჯა-შამახიის მხრიდან თურქები განუწყვეტლივ მოდიოდნენ ქურდულად და ქვეყნის ნაპირებს არბევდნენ... ბატონიშვილი ელჩებს ლეკეთზე ლაშქრობას იმ დროისათვის ჰპირდებოდა, როგორც კი ალექსანდრე მეფე ერანიდან დაბრუნდებოდა[218].

ამ კრიტიკულ მომენტში რუსეთის ჯარის გამოჩენამ მოსკოვის მეფისადმი ნდობა აღადგინა კახეთის მეფის კარზე: გიორგი ბატონიშვილი დარწმუნდა, რომ რუსეთი კავკასიისა და ამიერკავკასიის ურთიერთობაში საქმიანად ჩაერია. ამავე დროს ბატონიშვილი კარგად ამჩნევდა, რომ მოსკოვის ეს გამოსვლა მხოლოდ ოსმალების წინააღმდეგ როდი იყო მიმართული, რომ რუსეთი არა ნაკლებ ემუქრებოდა ამიერკავკასიაში „მეგობარი“ ერანის ბატონობას. უფლისწულმა კარგად იცოდა, თუ როგორ აჭმუნვებდა შაჰ-აბასს მოსკოვის მეფის ეს „დახმარება“. და ფრთხილმა პოლიტიკოსმა, გიორგი ბატონიშვილმა, შესაძლებლად დაინახა დიპლომატიური ნიღაბი აეხადა და რუსი ელჩებისათვის საკუთარი გულისნადები გაემჟღავნებინა (და აღმოჩნდა, რომ „ოსმალთ მოყვარე“ ბატონიშვილი, — შაჰ-აბასი, მისი აგენტები და ამათ ხმას აყოლილი უმეცრები ოსმალთა მომხრეობას აბრალებდნენ გიორგი ბატონიშვილს, — იმავე იდეით სულდგმულობდა, რითაც „ერანის მოყვარე“

---

217 Белокуров. Сношения..., 481.

218 იქვე, 481.

სიმონ მეფე, ან კიდევ, „არავის მოყვარე“ ალექსანდრე მეფე სულდგმულობდნენ. ეს იდეა იყო „ქართველობა“, რომლისათვის ბრძოლა, არა ერთი საუკუნე იყო, ყოველი პატიოსანი ქართველის ცხოვრების შინაარსს შეადგენდა).

გიორგი ბატონიშვილმა თავის უახლოეს დარბაისლებთან მოითათბირა და რუს ელჩებს მიმართა, მოეხსენებინათ ხელმწიფისათვის, რათა უკანასკნელს ებრძანებინა და კახეთში შესაფერ ადგილებში ერთი ან ორი ციხე აეგებინა; ამ ციხეებში მეციხოვნეები შეეყენებინა, „რომ ოსმალო და ყიზილბაში მტრები არ გვემუქრებოდნენო“.

ამის შემდეგ, რასაც ხელმწიფე ინებებს და კახეთს გადაუკვეთს, ქვეყანაც შეძლებისამებრ გაიღებს და ხელმწიფის ყველა მტრის წინააღმდეგ მთელი ძალით თავდაუზოგველად ილაშქრებს.

თუ ციხეები აიგება და ხელმწიფის ჯარი, თუნდაც მცირე, შიგ ჩადგება, კახეთი ოცი ათასს მოლაშქრეს, ბედაურებზე მსხდომს და სრული საჭურველით, გამოიყვანს „და მაშინ ოსმალთ ხონთქარი და ყიზილბაში შაჰი თვალებში შემოხედვასაც ვერ გაგვიბედავენ. ჩვენი სახელმწიფო, თითონ ჰხედავთ, მაგარია. ის ტყიანია და მთებით გარემოცული; შიგ შემოსასვლელები მცირეა და ძნელი და როცა, ამას გარდა, ქართლის მეფე გიორგი სიმონის-ძეც ხელმწიფის ხელდებული შეიქნება და ჩვენც შემოგვირიგდება, — ხოლო ლაშქარი მასაც ჩვენოდენი ჰყავს, — მაშინ ვერც ერთი მტერი ვერაფერს დაგვაკლებს“.

აქვე კახი დიპლომატი აუწერდა ელჩებს კახეთის სიმდიდრეს. „თითონ ჰხედავთ, ყველაფერი უხვადაა: (კახური) აბრეშუმი (გასასყიდად) მრავალ ქვეყანაში გადის, პური აქ კარგი მოდის, ღვინო — უხვად, ცხენები ხომ ასეთი არსადაა, და (სხვა) ოთხ-ფეხი აურაცხელი. ასეთ სამეფოებს დიდი ლაშქრით (ომით) თუ იშოვნიან, ხელმწიფეს კი ღმერთი გაურჯელად (даром) აძლევს“. და კახი ბატონიშვილი განაგრძობდა: ოსმალო და ყიზილბაში მრავალი წელია გვეომებიან, სურთ ჩვენს ქვეყანაში ციხეები ააგონ[219] და შიგ

---

219 კახეთში ისე ესმოდათ, რომ ერანისა თუ ოსმალეთის მიერ ამ ქვეყანაში ციხეების ჩადგმა იქნებოდა მისი გამაჰმადიანება-გადაგვარების დასაწყისი და მართალიც იყვნენ: არსად საქართველოში მაჰმადიანობას ფეხი არ მოუკიდია, ვიდრე დამპყრობელმა ქვეყანაში ციხე არ ჩადგა (ასე იყო სამცხე-საათაბაგოს, აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში, ქართლში, კახეთში, იმერეთში): ციხე დამპყრობელთა მეციხოვნეებით იყო საშუალო საუკუნეებში ქვეყნის დაპყრობის ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი მეციხოვნეები შეაყენონ. ჩვენ კი, ღვთის შემწეობით, (მტკიცედ) წინაღუდეგით; ზოგჯერ ხარკსაც და შვილებსაც კი ვაძლევდით (მოძალადეებს), მაგრამ (არა და არ დავემონეთ და) განაზრახის შესრულება მათ არ დავანებეთ. აწ მოიღოს ჩვენზე წყალობა ხელმწიფემ, მაჰმადიან ხელმწიფეებისად ნუ დაგვაგდებს, ქრისტიანულ სარწმუნოებას გასარყვნელად, ხოლო წმიდა ეკლესიებს დასანგრევად ნუ მისცემს მათ.[220]

ქვეყნის ძალა დამბლადაცემულია. ქვეყანას ყოველი მხრით მტერი ემუქრება: ოსმალო, ლეკი, ყიზილბაში. „ზურგი", მისაყრდენი არსადაა. ყოველ ქართველს სურს თავისი „სახლის" და საქრისტიანოს (სამშობლოს) ხსნა, მაგრამ სწორედ ეს სამშობლო მთლიანი ვერაა და ეს მიუხედავად იმისა, რომ ქართველ პოლიტიკოსებს ერთობის საჭიროების შეგნებაც აქვთ და მისი სარგებლობისაც ესმით... თავადური ქვეყნის სუსტი შეკავშირება წარმატებით ვერ ებრძვის დამრღვევ გავლენებს (საგარეოს თუ საშინაოს), ვერ იქმნება ძლიერი მტკიცე ხელისუფლება. გარეშე მტრის ხანგრძლივი მოძალება უსასობას წარმოშობს. იციან, რომ კახეთიც (მტკიცედ ორგანიზებული) უკუაგდებდა დამპყრობელებს (მას ოცი ათასზე მეტი მხედარი მოეპოვება), მით უფრო ქართლ-კახეთი ერთად (ქართლსაც კახეთის ოდენი სამხედრო ძალა აქვს), რომ არაფერი ვთქვათ მთელ საქართველოზე... იციან და ხსნას მაინც გარეთ ეძებენ. სხვა გზა არ იყო: დაჩიხულს, თავადურ საქართველოს თვითორგანიზების გრძელ ვადას, არსებული სოციალ-პოლიტიკური საფეხურის (თავადური სისტემის) გადალახვის საშუალებას გარეშე მტერი არ აძლევდა...

საქართველოში კარგად იცოდნენ, რომ ოსმალო-ყიზილბაშ დამპყრობელთაგან ხსნა ქვეყნის ძალთა გაერთიანებაში იყო. მაგრამ ამ ცოდნის პრაქტიკული ხორცშესხმა ვერ ხერხდებოდა. ამის უმთავრესი მიზეზი ორი იყო: საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური წყობილება — თავადურ-ბატონყმური სისტემა—და უცნოელ დამპყრობელთა ცდები ქვეყნის დასაშლელად. მიუხედავად ამისა, გვიანფეოდალური ხანის არც ერთ მომენტში ქვეყნის გაერთიანებისაკენ მიმართული ცდები არასოდეს შეწყვეტილა. სხვადასხვა გზებით ცდილობდნენ ქართველი პოლიტიკოსები ქვეყნის გაერთიანების წინაშე ამართულ დაბრკოლებათა გადალახვას. ქვეყნის გაერთიანებას ცდილობდნენ ოსმალეთის ხელქვეშ (სიმონ ქართლის მეფე, ალექსანდრე კახთა მეფე, გიორგი იმერეთის მეფე, გიორგი სააკაძე, თეიმურაზ I, ერეკლე II), ერანის ხელქვეშ (გიორგი სააკაძე, ვახტანგ V), რუსეთის ხელქვეშ (ალექსანდრე კახთა მეფე, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ერეკლე II) და ყველა „მფარველისაგან" დამოუკიდებლად (დავით ქართლის მეფე, ლუარსაბ I „სამისავე ტახტის გამაერთიანებელი", ბაგრატ იმერეთის მეფე, თეიმურაზ I, გიორგი და არჩილ, ვახტანგ VI). ასე რომ, ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის არასოდეს შეწყვეტილა, ხოლო, თუ ეს ბრძოლა წარმატებით არ დასრულდა,

---

შანი და ამ დაპყრობის გარანტიაც, ხოლო გამაჰმადიანება-გადაგვარების პროცესი შეიძლებოდა მხოლოდ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ დაწყებულიყო.

220 Белокуров. Сношения..., 481—482.

ამის მიზეზი დამშლელი ძალების სიჭარბე იყო: ქართველი თავადი (ქართული ბატონყმური სინამდვილის ისტორიული წარმონაქმნი) გაერთიანების მოღვაწე ვერ იქნებოდა, მთელი საქართველო კი სათავადოების კრებული იყო. ვერც ერანი და ოსმალეთი იქნებოდნენ საქართველოს გაერთიანების მოღვაწენი: მათი ინტერესები ჩვენი ქვეყნის დაშლა-დასუსტებას ითხოვდა (თუ ერანი ან ოსმალეთი საქართველოს ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციად გადააქცევდა, ეს „საქართველო" კი აღარ იქნებოდა, არამედ ყიზილბაშური „გურჯისტანი" — სახანო, ან ოსმალური „გურჯისტანის ვილაიეთი" — საფაშო, ე. ი. ყოფილი საქართველო გამაჰმადიანებულ-გადაგვარებული...). ამდენადვე ყოველი ცდა ერანის ან ოსმალეთის ხელქვეშ და მათი დახმარებით საქართველოს გაერთიანება-გადარჩენისა უნდა მარცხით დამთავრებულიყო. ასეც ხდებოდა. და ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი ღრმად რწმუნდებოდნენ, რომ არც ერანი („ფოცხვერი") და არც ოსმალეთი („ბაბრი") ჩვენი ქვეყნის ქართველობით გაერთიანება-გაძლიერებას მხარს არასოდეს დაუჭერდნენ.

სხვაგვარად ეჩვენებოდა ქართველ პოლიტიკოსებს საქართველოს გაერთიანების საკითხი ერთმორწმუნე რუსეთის დახმარებით, მოსკოვის მეფის მფარველობის ქვეშ. რელიგიური ერთობა (ესოდენ დიდმნიშვნელოვანი მომენტი შუასაუკუნეებში და, განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში) თითქო მკვიდრი საფუძველი უნდა ყოფილიყო ამ ორი ხალხის კავშირისათვის, თითქო ძლიერი მოკავშირე-ხელდებული შორეულ ამიერკავკასიაში ხელსაყრელი და სასურველი უნდა ყოფილიყო მოსკოვის აღმოსავლური პოლიტიკისათვის. და ქართველ პოლიტიკოსებს ღრმადა სწამდათ, რომ რუსეთ-საქართველოს ინტერესთა ეს თანხმობა მტკიცე საფუძვლად დაედებოდა საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებას, მის „გამოხსნას და აღდგომას". ქართველთა ამ რწმენის განმტკიცებას ხელს უწყობდა რუს-პოლიტიკოსთა მოქმედებაც: მოსკოვიდან არაერთგზის მოუწოდებდნენ ქართველ მეფე-მთავრებს ქვეყნის ძალთა გაერთიანებისაკენ, რუსეთის მეფის მფარველობის ქვეშ საქართველოს ძველი ძლიერების აღდგენისაკენ (გოდუნოვი, ეკატერინე II), არა ერთ ქართველ მეფეს ჰპირდებოდნენ გაძლიერებას (პეტრე I—ვახტანგ VI, ეკატერინე II—ერეკლე II). ასე რომ, დებულება რუსეთ-საქართველოს ინტერესთა თანხმობის შესახებ ურყევი ჩანდა და ქართველ პოლიტიკოსებს რუსეთის პოლიტიკის მესვეურთა გულწრფელობაში შეეჭვების საფუძველი არ ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოწოდებანი უქმ სიტყვებად რჩებოდნენ, რამდენადაც დაპირებანი დახმარება-მფარველობის შესახებ სასურველი ეფექტურობით ვერ სრულდებოდა. მაგრამ ზემოაღნიშნულ დებულებას ერთი კორექტივი ახლდა, რომელიც დროთა განმავლობაში კი არ მცირდებოდა და ქრებოდა, არამედ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, მნიშვნელოვანი ხდებოდა, სანამ-ბოლოს, ხსენებულმა კორექტივმა თვით ეს დებულება საბოლოოდ არ გააუქმა. ეს კორექტივი ის იყო, რომ მფარველ რუსეთისათვის ხელდებულის გაძლიერება გაერთიანება უთუოდ და უთუმცაო, ყოველ დროს და ჟამში სასურველი ვითარება არ ყოფილა.. სანამ რუსეთს ამიერკავკასიაში მეტოქეები ძლიერი ჰყავდა, ხოლო მათ დასაპირისპირებლად საკმაო საკუთარი ძალა არ გააჩნდა, ძლიერი მოკავშირე-ხელდებული მისთვის მისაღები იყო (ამ საფუძველს ემყარებოდა როგორც გოდუნოვისეული გეგმა საქართველოს ძალთა გაერთიანებისა მოსკოვის მეფის ხელქვეშ, ისე პეტრე პირველისეული

გეგმა, ვახტანგ მეექვსეს ამიერკავკასიის საქრისტიანოს მეფედ რომ ჰგულისხმობდა რუსეთის იმპერატორის მფარველობის ქვეშ. პეტრესეული გეგმის დაგვიანებული გამეორება იყო ეკატერინე მეორის კარის არაერთგზისი, თუმცა არაერთხმობლივი, საზეიმო დაპირება ერეკლე მეორის მფარველობა-გაძლიერების შესახებ). მაგრამ დრო გადიოდა, მოსკოვის სახელმწიფო ძლიერდებოდა, ამიერკავკასიას ის თანდათან უახლოვდებოდა; ამ ოდესმე შორეული ქვეყნის უშუალოდ დაუფლება შესაძლებელი ხდებოდა, ძველი მეტოქეები კი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდნენ, ხოლო რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიისადმი იზრდებოდა, ამდენადვე ძლიერი და ერთიანი საქართველო მფარველისათვის საჭირო აღარ იყო, პირიქით, ის ამიერიდან არა სასურველიც იყო. (რუსეთში პეტრეს გეგმის ნაგვიანევი დამცველები — ქართლ-კახეთის სამეფოს გაუუქმებლობის მომხრეები—თავიანთ მოსაზრებას იმით ასაბუთებდნენ, რომ რუსეთისათვის ეს ქვეყანა, ე. ი. საქართველო შორსაა, რომ მისი ათვისება ძნელია, ე. ი. აყენებდნენ იმ საბუთს, რომელიც ძველად მართლაც ძლიერი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში თანდათან ძალას ჰკარგავდა.

ამავე მიზეზს ასახელებდა 1770 წელს ეკატერინე II პირველი მინისტრი პანინი, როცა ავანტურისტ გენერალ ტოტლებენს საიდუმლოდ ატყობინებდა, რომ საქართველოს დაპყრობა რუსეთის სამეფო კარს ჯერჯერობით განზრახული არ ჰქონდა). ამიერიდან არა თუ გაერთიანებული საქართველო ამიერკავკასიაში ჰეგემონობის პრეტენზიით (ქართველი პოლიტიკოსები XVII საუკუნის მიწურულშიაც კი ამ იდეას პოლიტიკური ჰეგემონობისას არ ეხსნებოდნენ და მას სამოქმედო მიზნად აღიარებდნენ), გაუერთიანებელი მცირე სამეფოების არსებობაც კი აღარ ეთანხმებოდა ამიერკავკასიის დაპყრობის რუსულ გეგმას (რამდენადაც ამ მცირე ერთეულებსაც რუსეთის ინტერესებისაგან განსხვავებული საკუთარი ინტერესები ჰქონდათ და, რაც განსაკუთრებით უსიამოვნო იყო, საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების იდეას არ ეხსნებოდნენ).

ასე თანდათან რუს პოლიტიკოსთა თვალში „საქართველომ" თავისი დრო მოსჭამა. კავკასიის მთავრეხილს გადმოღმა ამიერიდან მეფის რუსეთის პოლიტიკოსები ჰხედავენ მხოლოდ ტერიტორია Закавказье-ს, რომელიც დიდი გარჯით გაერთიანეს კიდეც, მაგრამ არა საქართველოდ, არამედ რუსულ „გუბერნიებად".

გიორგი ბატონიშვილის ამ წინადადებიდან ირკვევა: კახელები თანაბრად მტრადა სთვლიდნენ როგორც ოსმალებს, ისე ყიზილბაშებს; მაჰმადიან დამპყრობლებთან ბრძოლაში. ქართველთა სისუსტე მათ სიმცირეზე როდი იყო დამოკიდებული, — ქართველები არც აგრე რიცხვმცირენი ყოფილან. ქართველების სისუსტის მთავარი მიზეზი ფეოდალური დაქსაქსულობა იყო. მაჰმადიანებით ყოველმხრივ გარემოცული, სამხედრო ტექნიკაში ჩამორჩენილი, ფეოდალურად დაქსაქსული და საუკუნოვანი ომით გატეხილი ქართული სამეფო-სამთავროები მორალურსა და მატერიალურ დახმარებას საჭიროებდნენ. კახი პოლიტიკოსები ჰხედავდნენ, რომ ერან-ოსმალეთის ამ ახალ ჭიდილში საქართველო ვერ გადაურჩება

დამპყრობელთა მიერ კიდევ უფრო დამონებას. მძიმე ბრძოლაში გამარჯვებისათვის, „ქართველობის“ დაცვისათვის საჭირო იყო საქართველოს ფეოდალურ ძალთა გაერთიანება და მათი დარაზმვა მომხდურთა წინააღმდეგ. ამ საქმის ორგანიზაცია არც ერთ ქართულ სამეფო-სამთავროს ამ დროს არ შეეძლო. აუცილებელი იყო გარეშე ძალის დახმარება. ასეთ ძალად საქართველოს დასამხრად იმჟამად მხოლოდ ქრისტიანული რუსეთი ჩანდა. და კახი პოლიტიკოსები საამისოდ მოუწოდებდნენ მოსკოვის მეფეს.

გიორგი ბატონიშვილის წინადადებას მოსკოვისა და კახეთის ურთიერთობაში ახალი მომენტი შეჰქონდა. ახალ გარემოებას ჰქმნიდა ის მთელ ამიერ-კავკასიაშიაც და მის გარეთაც. ჰქონდა თუ არა მოსკოვის სამეფო კარს გათვალისწინებული მოვლენათა ასეთი განვითარება, ცნობილი არაა, მაგრამ მისთვის მოულოდნელი აქ თითქოს არა უნდა ყოფილიყო რა. ყველაფერი ეს იმ პოლიტიკის ბუნებრივი განვითარება იყო, რომელსაც რუსეთი ფრთხილად და ნახევრად ფარულად აწარმოებდა წარსული ოცი წლის მანძილზე. ერან-ოსმალეთის ომმა მხოლოდ დააჩქარა მოვლენათა განვითარება და მოსკოვის მეფის წინაშე მისი პოლიტიკური გეგმის სააშკარაოზე გამოტანის საკითხი კატეგორიულად დასვა. რუსეთი ეხლა ან უნდა აქტიურად გამოსულიყო ამიერკავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორც ამას კახი პოლიტიკოსები ითხოვდნენ, ან არა და სრულიად უნდა გასცლოდა აღნიშნულ ასპარეზს.

დამახასიათებელია, რომ რუსი ელჩები ჩვეულებრივზე მეტი ხალისით მოეკიდნენ ახალ წინადადებას. ურჩიეს გიორგი ბატონიშვილს, რომ ალექსანდრე მეფემ და მან ელჩები გაგზავნონ მოსკოვის მეფესთან საამისო თხოვნით, თავის მხრით კი მოსკოვს დაბრუნებისას რუსი ელჩებიც მოახსენებენ ხელმწიფეს. გარდა ამისა, ელჩებმა საჭიროდ დაინახეს საგანგებო შიკრიკის საშუალებით სასწრაფოდ ეცნობებინათ მოსკოვის მეფისათვის ეს ახალი გარემოება[221].

* *

ერევნის ბრძოლაში მონაწილეობისათვის შაჰ-აბასმა ხელმწიფური სიუხვით დააჯილდოვა ქართლისა და კახეთის მეფეები.

---

221 Белокуров. Сношения..., 482.

მაგრამ ქართველ მეფეებთან ერანის შაჰის ნამდვილი დამოკიდებულება ამ ფეოდალურ ეტიკეტში როდი მოჩანდა. საქმის უმეცარნი არც ქართველი მეფენი ყოფილან და შაჰ-აბასის უხვი „წყალობა“ მათ ხელს არ უშლიდა იმ მზაკვრული ხერხების ნამდვილ აზრს მიხვედრილიყვნენ, ქართლისა და კახეთის დასასუსტებლად ერანის შაჰი რომ მიმართავდა. შაჰ-აბასს კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართლისათვის ლორის ციხეს და მდინარე დებედას ხეობას. უკვე ორი საუკუნე იყო, რაც ქართველები თავგამოდებით იცავდნენ ქართლის ამ ალაყაფს ერანელ თუ მცირეაზიელ დამპყრობელთა მიერ მიტაცებისაგან.

შაჰ-აბასი ყველა მის წინა დროის მტაცებელზე უფრო ნიჭიერი და თანმიმდევარი დამპყრობელი იყო. ლორე-აღჯაყალისათვის საუკუნოვანი ბრძოლა მან სწორად შეაფასა და სათანადოდ შეაჯამა კიდევაც. დიდმნიშვნელოვანი კუთხე მან ერანის „ერთგულ“ ქართლის მეფის მფლობელობაშიც კი არ დასტოვა. შაჰ-აბასმა ლორე-დებედა თავისთვის საჩუქრად გამოსთხოვა გიორგი ქართლის მეფეს. ეს მხარე შაჰმა ცალკე მაჰმადიანურ სახანოდ შექმნა. ხანად ადგილობრივი რენეგატი ფეოდალი დანიშნა. ლორის ხანი ამიერიდან უშუალოდ შაჰს ემორჩილებოდა. ამავე დროს შაჰმა დებედას ქვემო წელში თურქმანული ტომი „ბორჩალუ“ ჩამოასახლა და ია აღჯაყალის ციხისათვის დაუქვემდებარა. ამრიგად, შაჰ-აბასმა ლორე-დებედას საკითხი საბოლოოდ გადაჭრა: ქართლს ალაყაფი მოარღვია და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას ერთის დაკვრით დამბლა დასცა.

გიორგი ქართლის მეფეს შაჰ-აბასმა სამაგიეროდ სამასი თუმანი ყოველწლიური ჯამაგირი გაუჩინა და ერანში რამდენიმე თემი სახარჯოდ უბოძა. გიორგი მეფეს ამის გამო თავისი უკმაყოფილება არ დაუფარავს.[222]

ასეთივე „წყალობა“ უყო შაჰ-აბასმა კახეთის მეფესაც. ალექსანდრე მეფემ შაჰის თხოვნით კახეთში საცხოვრებელი ადგილი მიუჩინა ერთ-ერთ თურქმანულ მომთაბარე ტომს.[223]

ამავე დროს ალექსანდრე მეფემ შაჰ-აბასს დაუთმო კახეთის აღმოსავლეთის კარი: კაკ-ენისელი. აქედან შაჰმა ცალკე მაჰმადიანური

---

222 ამ ნიადაგზე შეაძლება შექმნილიყოს გადმოცემა, თითქო ქართლის მეფე გიორგი ერანის შაჰის ბრძანებით საიდუმლოდ მოსწამლეს.

223 Белокуров. Сношения..., 484.

სასულტნო შექმნა და ერთს რენეგატ კახელ თავადს უწყალობა. კაკ-ენისელის სულტანი ამიერიდან უშუალოდ შაჰს ემორჩილებოდა.

სამაგიეროდ შაჰმა ალექსანდრე მეფეს ჯოველწლიური ჯამაგირი შვიდასი თუმანი გაუჩინა. ფრთხილი პოლიტიკოსი ალექსანდრე გარემოებას გაეწყო და ხელმწიფის „წყალობა", ქართლის მეფისაგან განსხვავებით, შესაფერისი „მადლობით" მიითვალა.

* *

როგორც ვიცით, ერევნის აღების შემდეგ შაჰ-აბასმა ალექსანდრე კახთა მეფე თან იახლა ერანში და მხოლოდ 1605 წლის იანვარში გამოისტუმრა ის. შაჰ-აბასს უკიდურესად სძულდა კახეთის მეფე. საქართველოში ერანის იხტერესები, შაჰ-აბასის აზრით, უსათუოდ მოითხოვდა ალექსანდრე მეფის თავიდან მოშორებას და შაჰიც სათანადო მომენტს ელოდა.

ალექსანდრე მეფეს არანაკლებ სძულდა ერანის ხელმწიფე, კარგად იყო მიხვედრილი მის მზაკვრულ განზრახვებს და, რაც შეძლება ჰქონდა, საშიშ მტრისაგან თავს იცავდა.

ეს დაუნდობელი ბრძოლა გარეგნულად „წყალობა"-„ერთგულებისა" და „სიყვარულის" ფორმებში მიმდინარეობდა. ალექსანდრე მეფე „თავს არ ზოგავდა" ერანის ხელმწიფის „სამსახურზე". შაჰ-აბასი „უშურველ წყალობას" არ აკლებდა კახთა მეფეს....

ალექსანდრე მეფეს შაჰის „ძმა და მეგობარი" მოსკოვის მეფე მფარველობდა. თვით ალექსანდრე თავის ქვეყანაში მეტად პოპულარული იყო, ხოლო კახეთი ანგარიშგასაწევი ძალა იყო. ყველა ამიტომ ალექსანდრე მეფის დაღუპვა ერანის შაჰისათვის ადვილი საქმე არ იყო.

კახეთის საქმეები შაჰ-აბასს მით უფრო არ ასვენებდა, რომ მოხუც ალექსანდრეს მემკვიდრედ, დავითის სიკვდილის შემდეგ, გიორგი ბატონიშვილი გამოდიოდა, რომელიც, მართალია, ოსმალეთის მიმდგური არ იყო (ეს შაჰმა კარგად იცოდა), მაგრამ მას არც ერანის ერთგულება სჭირდა. გიორგი ბატონიშვილი ალექსანდრე მეფის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო. ამიტომ, მარტო ალექსანდრე მეფის დაღუპვა შაჰ-აბასისათვის საზიანოც იყო. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო გიორგი ბატონიშვილის ხელში ჩაგდება...

შაჰ-აბასმა სხვა ზომებიც მიიღო კახეთში ერანის პოზიციების განსამტკიცებლად. შაჰის აგენტები დაუცხრომლად მუშაობდნენ

კახ-ფეოდალებსა და ვაჭრებს შორის და ერანის მომხრეთა წრეებს ქმნიდნენ. შაჰმა მოხერხებულად ისარგებლა 1602 წელს კახეთის სამეფო კარზე მომხდარ დინასტიური ბრძოლით. მან „უპატრონოდ არ დააგდო“ ალექსანდრე მეფის და გიორგი ბატონიშვილის მოწინააღმდეგეთა ჯგუფი, რომელიც დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ ქეთევან დედოფლისა თუ უფლისწული თეიმურაზის გარშემო იყრიდა თავს. შაჰ-აბასმა არ დააყოვნა თავის საფარველს ქვეშ მიეღო როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი, ისე ეს ჯგუფიც. შაჰის კატეგორიული მოთხოვნით თეიმურაზ ბატონიშვილი ერანს გაგზავნეს. ამიერიდან ერანის შაჰის კარზე იზრდებოდა კახეთის მეფის კანონიერი მემკვიდრე. აქვე თავს იყრიდნენ მისი მომხრე ფეოდალებიც. ყველა ესენი მწყალობელი შაჰისაგან მოელოდნენ „ხელის აპყრობას“.

თეიმურაზ ბატონიშვილის გარდა შაჰის კარზე მეორე უფლისწულიც იყო: კონსტანტინე-მირზა. მაგრამ სიყმიდანვე თავის ქვეყანას მოშორებულს, გამაჰმადიანებულ-გასპარსელებულ ბატონიშვილს კიდევ უფრო ნაკლებად შეეძლო ალექსანდრე მეფისა და გიორგი ბატონიშვილის მეტოქეობა, ვიდრე ახალგაზრდა თეიმურაზს. შაჰ-აბასი ხედავდა, რომ აქტიური ოპერაციის გარეშე კახეთის საქმეები მის სასარგებლოდ არ წარიმართებოდა და ერანის ლომიც გადამწყვეტი ნახტომის გაკეთების წინ სისხლიანი თვალებით მანძილს თოკავდა...

* *

ერევნის აღების შემდეგ შაჰ-აბასი ყარსს მივიდა. ციხეს ალყა შემოარტყა, ხოლო მოთარეშენი ბასიანისა და მის დასავლეთით ქვეყნებს გაუსია. ამასობაში ჯაშუშებმა მას ცნობა მოუტანეს, რომ ოსმალთა დიდი ლაშქარი ჯიგალ-ოღლის (=სინან-ფაშა) სარდლობით უკვე არზრუმს მოსულიყო. შაჰმა შეიტყო, რომ მოწინააღმდეგე ამხელად მასზე უფრო ძლიერია. ამიერკავკასიაში საოპერაციო პირობები ოსმალებს უკეთესი ჰქონდათ: ქვეყნის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ მათ ხელში იყო. შაჰ-აბასმაც გადაწყვიტა ომის მთავარი ასპარეზი ადერბაიჯანში გადაეტანა. მტრის პოზიციების შესუსტების მიზნით შაჰმა უკან დახევისას ერევნის და ნახჭავნის მხარეთა მკვიდრი მოსახლეობა (სომხები) ააყრევინა და შიგნით ერანში გადაასახლა. ჯიგალ-ოღლიმ გაიარა ყარსი, ერევანი და ნახჭავანს დადგა.

შაჰ-აბასი ამ დროს უკვე თავრიზს მისულიყო.

1604 წელი მიწურულიყო. გაუბედურებული სომხეთი ლაშქრისათვის საზამთრო სადგომად არ გამოდგებოდა და ჯიგალ-ოღლიც ვანს წავიდა დასაზამთრებლად. ვანიდან ოსმალთა სარდალმა რაზმი გამოგზავნა ერევან-ნახჭავნის მხარეების დასაჭერად. შაჰ-აბასმაც თავრიზიდან ამირგუნა-ხანი გამოისტუმრა და მას ოსმალთა ამ რაზმის წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა. ერან-ოსმალეთის ᲗᲐᲕᲐᲠᲘ ძალები თავრიზსა და ვანს იდგნენ და გაზაფხულს (1605 წ.) ომისათვის ემზადებოდნენ.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა რუსი ელჩების მოციქული კ ა მ ე ნ ე ვ ი შაჰ-აბასს ეწვია და კახეთის საქმის ყველაზე უსიამოვნო გარემოება მოაგონა. მოსკოვის მეფისაგან ელჩებს უკვე მიეღოთ შაჰ-აბასისათვის მისართმევი წიგნი, რომელშიაც ბორის მეფე თავის „ძმას“ და „მეგობარს“ თეიმურაზ ბატონიშვილის დათმობასა სთხოვდა. ამ სიგლის მისართმევად და აგრეთვე ხელმწიფის სხვა ბრძანების ზეპირად მოსახსენებლად რუსი ელჩები აუდიენციას სთხოვდნენ ერანის შაჰს. ამავე დროს კამენევმა ელჩების სახელით ალექსანდრე მეფის კახეთში გამოსტუმრება მოსთხოვა შაჰ-აბასს: „ალექსანდრე მეფე ქრისტიანია და ხელმწიფის ხელდებული; ხელმწიფის საქმეებით ჩვენ მასთან ვართ მოვლენილნი და შაჰმაც გამოუშვას ალექსანდრე მეფე თავის ქვეყანაში, რომ ხელმწიფის საქმე ვისაქმოთო“ — ატყობინებდნენ შაჰს კახეთიდან რუსი ელჩები[224].

მეფე ალექსანდრე კარგად ხედავდა საფრთხეს, რომელიც მას ემუქრებოდა, და ამ საფრთხისაგან თავის დაღწევას დიდი ოსტატობით ცდილობდა: „პატრონისათვის“ ძვირფასი მისართმეველი, ომში კარგის ლაშქრით ხლება და ხელმწიფისათვის „ხელის გამოღება“.., ამით მოხერხებული მეფე გაეჭვიანებული შაჰის ნდობის კვლავ მოპოვებას ფიქრობდა. ალექსანდრე მეფე და გიორგი ბატონიშვილი 1604 წელს ოსმალთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ: შაჰი იმარჯვებდა, ოსმალეთი კი აჯანყებათა ალში იყო გახვეული. კახეთის მეფეც ახალი ვითარების შესაბამისად ამოქმედდა. მან ოსმალეთს ხარკი შეუწყვიტა და ერანის შაჰთან ძველი ურთიერთობა აღადგინა: ერევნის ომში დიდის ლაშქრით და უცხო მისართმეველით კახეთის მეფე შაჰ-აბასს ეახლა. ამას განჯა-შამახიის საფაშოებთან კახეთის

---

224 Б е л о к у р о в. Сношения..., 493, 571.

ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა. დაირღვა შამხალ-ლეკებთან შეთანხმებაც და, როგორც ვიცით, ამის შედეგი იყო 1604 წლის შემოდგომაზე ძეგამის ომი და ოსმალ-ლეკთა დაუსრულებული თავდასხმანი კახეთზე.

ყველა ამის მიუხედავად შაჰ-აბასი ალექსანდრე მეფის ერთგულებას მაინც იჭვის თვალით უყურებდა და კახეთში მის გამოშვებას არ ჩქარობდა.

შაჰ-აბასმა რუსი ელჩები არ ინახვინა. სიმორე მოიმიზეზა და აუდიენცია მათ იმ დროისთვის გადაუდო, როცა შაჰი ამიერკავკასიაში დაბრუნდებოდა[225]. ჩანდა, შაჰი გაურბოდა ეხლა მოსკოვის მეფესთან კახეთის საკითხის აშკარად დასმას.

1605 წლის დამდეგს შაჰ-აბასმა თეიმურაზ ბატონიშვილი თავისთან დაიტოვა და ალექსანდრე მეფე კი კახეთს გამოისტუმრა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა კამენევის მოციქულობის შედეგად (თუმცა დიპლომატ შაჰს იმის საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა თუ მოსკოვის მეფე შაჰის ამ აქტს მისდამი მეგობრობის ნიშნად ჩაითვლიდა)[226].

ალექსანდრე მეფის კახეთს გამოსტუმრების მიზეზი ამ დროისათვის შექმნილი პოლიტიკური ვითარება იყო. 1604 წლის ბოლოსა და 1605 წლის დასაწყისს ერანის საქმე ოსმალეთთან ომში სასურველად ვერ მიდიოდა. ინიციატივა ოსმალებმა იგდეს ხელთ და ამიერკავკასიიდან განდევნილი და თავრიზს მდგომი შაჰ-აბასი იძულებული იყო ჯიგალ-ოღლის შემდგომი ოპერაციების საწინააღმდეგოდ მზად ყოფილიყო. კერძოდ, ამიერკავკასიაში შაჰ-აბასის საქმე კიდევ უფრო ცუდად იყო. თუმცა ამირგუნა-ხანმა ოსმალთა რაზმი დაამარცხა და ერევანი მტრის ალყას გადაარჩინა, მაგრამ საფრთხე მაინც დიდი რჩებოდა. გაუდაბურებულ სომხეთს გარდა უშუალოდ ერანს ამიერკავკასიაში არც ერთი ქვეყანა არ ემორჩილებოდა, მაშინ როცა ოსმალთა ხელში იყო მდიდარი და ვრცელი

---

225 Белокуров. Сношения.., 493.

226 რუსი ელჩები, როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, შეიძლება ერანელი დიპლომატები არწმუნებდნენ მათ, რომ შაჰმა ალექსანდრე მეფე ელჩების მოთხოვნის შედეგად გამოუშვა კახეთს. მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილის არ მოცემა და შემდეგ ალექსანდრე მეფისა და ბატონიშვილის თავს დატეხილი უბედურება უცილობლად მოწმობდნენ, რომ შაჰ-აბასს კახეთიდან „მეგობრის“ გაძევება მტკიცედ გადაწყვიტა და მოსკოვშიაც კარგად დაინახეს, თუმცა დაგვიანებით, რომ „Шах... Иверскую землю от царского величества отводит“ (Белокуров. Сношения.., 573).

პროვინციები მათი ციხე-ქალაქებით. 1604 წლის წარმატებანი ამიერკავკასიაში ერანს სავსებით რომ არ გაქარწყლებოდა, მისთვის აუცილებელი იყო სასწრაფო ზომების მიღება. საამისოდ საკმაო ლაშქრის გამოყოფა შაჰ-აბასს ეხლა არ შეეძლო: ის ოსმალთა მთავარ ძალებთან შებმის სამზადისში იყო. ალექსანდრე მეფემ ოსტატურად შეარჩია დრო და შაჰს თხოვნით მიმართა, გამოსცადოს მისი ერთგულება და დაავალოს შარვანის დაპყრობა. შამახიის ფაშას ამ ზამთარს დამხმარე ვერსაიდან მიუვა და შარვანს კახთა მეფე უეჭველად დაუპყრობს ერანის ხელმწიფეს.

ალექსანდრეს გულწრფელობისა შაჰ-აბასს არა სწამდა. მაგრამ მისი აჯის დაკმაყოფილება მაინც შესაძლებლად დაინახა. ოსმალთა უპირატესობა არც აგრე უეჭველი იყო, რომ ფრთხილი ალექსანდრე ხელაღებით ერანის ამ მტრის მხარეზე დამდგარიყო. უფრო დამაფიქრებელი ალექსანდრე მეფის მოსკოვის ხელმწიფისადმი ერთგულება იყო. ბუტურლინის ლაშქარი უკვე საშამხლოს შესეოდა (რუსეთი ამ ქვეყნის დაპყრობით კახეთში შემოსვლას ლამობდა, რათა, აქ მტკიცედ ფეხმოკიდებული, ის მზად ყოფილიყო მეგობრისაგან მიეღო არა მარტო ბაქო-დარუბანდი, შაჰის მიერ არაერთხელ აღთქმული, არამედ შამახიაც, ე. ი. მთელი შარვანი...). მაგრამ კახთა მეფის გაუშვებლობა კიდევ უფრო საზიანო ჩანდა. ალექსანდრეს შესახებ კახეთში ათასი ხმები მოდიოდა და აქ შაჰისადმი უნდობლობა და შიში ძლიერდებოდა. გიორგი ბატონიშვილი ისედაც საეჭვო ჩანდა და მამადატყვევებული ხომ ოსმალთა წინააღმდეგ ომში სრულიად არ გამოდგებოდა. ერთი სიტყვით, თუ შაჰს კახეთის გამოყენება სურდა, მას უნდა აქ თავისი თავისადმი ნდობა აღედგინა. და შაჰ-აბასმაც მიიღო სათანადო გადაწყვეტილება[227]. შარვანი,

---

227 მაგრამ იყო აგრეთვე სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაც: შაჰ-აბასმა მისთვის ჩვეული გამჭრიახობით შეაცალა პოლიტიკური ვითარებ». რუსეთის მეფე ოსმალეთს ომს არ უცხადებდა, ხოლო „მეგობარ“ ერანს საშამხლოს ართმევდა. შაჰი კი არაერთხელ სთხოვდა რუს-ხელმწიფეს რომ მას არ დაეპყრა ერანის ეს საყმო ქვეყანა. შაჰს არც კახეთზე აუღია ხელი რუსთა მეფის სასარგებლოდ (თუმცა მეგობარი ამას დაჟინებით ცდილობდა). ამის მიუხედავად მოსკოვის მეფე კახეთიდან (და ქართლიდანაც) შაჰს საბოლოოდ აძევებდა. ხოლო თუ რუსეთი საშამხლო-დაღისტანს დაიპყრობდა და საქართველოს (კახეთს, ქართლს) შემოიმტკიცებდა, მდიდარი შარვანის გასაღებიც მის ხელში აღმოჩნდებოდა... ასე რომ ამიერკავკასიაში სწრაფ მოქმედებას შაჰისაგან მოითხოვდა არა მარტო ოსმალეთთან ომი, არამედ (და ეს კიდევ უფრო) მოსკოველი მეგობრის პოზიციაც. ვიდრე ბუტურლინი საშამხლო-დაღისტანს დაიჭერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც კახეთის ლაშქარს უნდა დაეპყრა, შაჰმა კონსტანტინე-მირზას უწყალობა და უკანასკნელი მამასთან ერთად გამოისტუმრა. შაჰ-აბასმა მამაშვილს კახთა ჯარი და მრავლად მძევლებიც, თეიმურაზს გარდა, გამოატანა. გარდა ამისა, მათვე აახლა შაჰმა ხანებისა და სულტნების მთელი წყება ყიზილბაშთა ჯარით. კონსტანტინე-მირზას ეს ყიზილბაში დიდკაცები ზოგი შარვანის სხვადასხვა ოლქში უნდა მმართველებად დაედგინა, ზოგთ კიდევ განჯა-ყარაბაღის დაპყრობა ევალებოდა. ოფიციალურად შაჰმა ყიზილბაშთა ჯარს ალექსანდრე მეფისა და კონსტანტინე-მირზას კახეთის საზღვრამდის ხლება უბრძანა, შემდეგ კი ეს ჯარი განჯას უნდა შემოსდგომოდა დასაპყრობად. მიღებული ზომები, ფიქრობდა შაჰი, საკმაო უნდა ყოფილიყო ალექსანდრე მეფის გასაერთგულებლად... განსაკუთრებული პატივი, შაჰ-აბასმა რომ ალექსანდრე მეფეს მიაპყრა მისი კახეთს გამოსტუმრების წინ, საქმისა და მდგომარეობის შესაფერისი ეტიკეტი იყო. ის არც შაჰს მიაჩნდა კახეთის მეფის გაერთგულების განსაკუთრებულ საშუალებად და არც ალექსანდრე მეფე უყურებდა ამ „წყალობას“ შაჰ-აბასის გულგაწმენდილობის უეჭველ ნიშნად...[228].

და, შაჰ-აბასს საჭიროდ მიაჩნდა კახეთის შემომტკიცება და აქედან შარვანს ლაშქრობა. კახთა ჯარით და კონსტანტინე-მირზას სარდლობით შარვანის დაპყრობა ორივე მიზნის ოსტატური გადაწყვეტა იქნებოდა.

მოსკოვმა დააგვიანა. შაჰ-აბასმა აქამდის მოხერხებულად შეიქცია მეგობარი. და ეხლა, როცა მოსკოვმა გადაწყვიტა და დიდი საქმე დაიწყო, შაჰმა დაასწრო და მეგობარს ხელიდან გამოაცალა ერთგული ხელდებული. ამით შაჰ-აბასმა ნათლად აგრძნობინა რუსეთის მეფეს, თუ როგორ მოითმენს ერანი ახალ პარტნიორს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში... ცხადად ჩანდა, რომ შაჰი მზად იყო მეგობართან კონფლიქტსაც კი არ მორიდებოდა, ოღონდ კახეთის (და, მაშასადამე, მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის) საკითხი ერანის სასარგებლოდ გადაეწყვიტა (თუმცა აშკარა კონფლიქტს დიდი პოლიტიკოსი — შაჰ-აბასი — ოსტატურად ერიდებოდა, სანამ დიპლომატიური გზით ბრძოლის მოგების მცირე შესაძლებლობაც კი ჯერ კიდევ არსებობდა).

228 „ხალათი“, შაჰ-აბასმა რომ ალექსანდრე მეფეს უწყალობა, განსაკუთრებული სახისა იყო: ძვირფასი სამოსელი, სამეფო გვირგვინი — ჯიღა, სამეფო სარტყელი. ასეთი „ხალათი“ (ინვესტიტურა) იმის აშკარა ნიშანი იყო, რომ ერანის შაჰმა კახთა მეფეს „საპატრონოდ“ ხელი დასდო. ეს ფაქტი კი, პირველ ყოვლისა, იმას მოწმობდა, რომ შაჰ-აბასი მეგობარ რუს-ხელმწიფეს ხელდებულს ართმევდა, ქრისტიანთა მფარველს საქრისტიანო კახეთზე (=საქართველოზე) ხელს აღებინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუნდობელი ბრძოლა მტაცებელსა და მის მსხვერპლს შორის შეუნელებლად გრძელდებოდა.

8 მარტს ალექსანდრე მეფე ძეგამს მოვიდა. მას მოჰყვა კონსტანტინე-მირზა მცირე ამალით, ოთხი ხანი და ექვსი სულტანი კი 2000 ყიზილბაშ მეთოფით და სხვა მოლაშქრეებით კახეთის საზღვარზე დადგნენ. გიორგი ბატონიშვილი სამი ათასი კაცით მამას კახეთის საზღვარზე შეეგება. ჩქარა ბატონიშვილი ძეგამიდან თავისი ლაშქრით თ ო რ ღ ვ ა ს დაბრუნდა და ელჩებს აცნობა, რომ ალექსანდრე მეფე, სანამ კონსტანტინე-მირზას კახთა ლაშქარს შეუგროვებდეს და შარვანს გაისტუმრებდეს, ძეგამს დარჩება. მეფეს კი სურს ეხლავ ინახულოს ელჩები, რათა ხელმწიფის ბრძანება მოისმინოს და მის საქმეებზე იზრუნოს. რუს ელჩებამდის ხმები მოდიოდა: კონსტანტინე-მირზა განზრახ არის გამოგზავნილი, რომ შაჰმა მას დაავალა შეიპყრას გიორგი ბატონიშვილი და შაჰს მიჰგვაროს, ან მოკლას. ელჩებმა განაგონი ბატონიშვილს აცნობეს და ურჩიეს მას, ერიდოს ყიზილბაშებს და ნურც მათთან მივა. ელჩების გადმოცემით, ბატონიშვილმა ამ ხმებს ყურადღება არ მიაქცია, შეყრილი ჯარი სახლში დაითხოვა, თვითონ კი ძეგამს მამასთან წავიდა.

ძეგამს მივიდნენ ელჩებიც, სადაც ისინი მეფის სადგომის შორი ახლო მოათავსეს[229].

ალექსანდრე მეფემ რუს ელჩებს აუდიენცია 12 მარტს დაუნიშნა[230].

შაჰ-აბასს იმედი არ გაუმართლდა. კახეთს მოსულს ალექსანდრე მეფეს შარვანს ლაშქრობის საკითხში ყოყმანი დაეტყო. მართლაცდა საყოყმანო ბევრი ჰქონდა ფრთხილ მეფეს. ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი კიდევ უფრო ნაკლებად იყო ერანის საყმოდ განწყობილი, ვიდრე მამა-მისი[231].

229 Б е л о к у р о в. Сношения..., 483, 484.

230 იქვე, 484.

231 გიორგი ბატონიშვილი ოსმალთა მოყვარული ისევე არ ყოფილა, როგორც ერანის. მისი ზრახვების შესახებ ჩვენ ეხლა უკვე ვიცით. უეჭველია, შაჰ-აბასმაც იცოდა ეს. მიუხედავად ამისა გიორგის ოსმალთა მომხრეობის შესახებ ხმები უხვად ვრცელდებოდა ერანის შაჰის კარის მიერ. ეს ოსტატი მტრის ანგარიშში შედიოდა. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ბატონიშვილის დასაღუპავად მისი „ოსმალთა მომხრეობა" შაჰ-აბასს „საბუთად" სჭიროდა. გიორგის დაღუპვა შაჰს გადაწყვეტილი ჰქონდა. ამაში გვარწმუნებს კონსტანტინე-მირზას განცხადება რუს ელჩებთან ალექსანდრე მეფისა და გიორგი ბატონიშვილის მკვლელობის გამო შემდგარ აუდიენციაზე (Б е л о к у р о в. Сношения..., 485, 487).

კონსტანტინე-მირზას გიორგი ბატონიშვილი, ბუნებრივია, ეჭვის თვალით უყურებდა. გაყიზილბაშებულ ძმაში ის კახეთის ტახტის მაძიებელს ჰხედავდა. სახიფათოდ მიაჩნდა, ამიტომ, გიორგი ბატონიშვილს თავის მეტოქისათვის კახთა დიდი ჯარის მიცემა შარვანს სალაშქროდ.

ეს გარემოება, უეჭველია, ალექსანდრე მეფესაც აფიქრებდა...

გარდა ამისა, აქ სხვა მომენტებიც იყო. დამპყრობელთა ურთიერთ შორის ომში ერთი მათგანის მხარეზე ხელაღებით გამოსვლას კახეთის მეფე, ბუნებრივია, ერიდებოდა, მით უფრო, რომ ოსმალეთი იმჟამად დამარცხებულ მხარედ არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო დამპყრობელთა ძალების ასეთ შეფარდებისას კახთა მეფე, ორივეს დაყვავებით, „ნეიტრალიტეტის“ დაცვას ამჯობინებდა... შაჰი კი კახელი ყმისაგან „თავდადებით სამსახურს“ დაუყოვნებლივ მოითხოვდა და მცირე ყოყმანსაც კი მას ღალატად უთვლიდა[232].

მესამე მომენტი კიდევ უფრო რთული იყო. კახეთის მეფეს თითქო ოცნება უსრულდებოდა. მოსკოვის მეფის დიდი ლაშქარი საშამხლოსა და დაღისტანს შესეოდა, ციხეები დაეპყრო და ახლო მომავალში მოსალოდნელი იყო, რომ დიდი საქრისტიანო სახელმწიფო კახეთს უშუალოდ გაუმეზობლდებოდა... და მაშინ ხომ საფრთხეს ერან-ოსმალეთის მხრით სამუდამოდ ბოლო მოეღებოდა და საქართველოს ძველი ძლიერების აღდგენას მტკიცე საფუძველი დაედებოდა... ბუტურლინი და რუსი ელჩები ლეკეთზე კახთა გალაშქრებას მოითხოვდნენ. გიორგი ბატონიშვილი გარკვევით შეჰპირდა ელჩებს ასეთ ლაშქრობას მამის დაბრუნების უმალ. შამხალზე რუსთა საბოლოო გამარჯვების იმედი კახეთში დიდი იყო. ამიტომ ლეკეთზე კახთა ლაშქრობა დროული და სასურველი ჩანდა. ერანი კი კახთა ლაშქარს შარვანის ომში ითხოვდა.

ერთიმეორის გამომრიცხველი საკითხები, ამრიგად, ალექსანდრე მეფის წინაშე კატეგორიულად დაისვა. დიპლომატიური მანევრების შესაძლებლობა უკიდურესად შეიზღუდა. აუცილებელი შეი-

---

232 მართალია, ალექსანდრე მეფემ მონაწილეობა მიიღო ერევნის აღებაში და გიორგი ბატონიშვილს ოსმალებთან უკვე ჰქონდა ომი 1604 წელს, მაგრამ არც პირველსა და არც მეორეში კახეთი ინიციატორი არ ყოფილა; ერევნის ომში მოძალადე ყაენმა გაიყვანა კახეთის მეფე, ხოლო ძეგამის ომში (რომელიც ოსმალო ფაშებმა, უეჭველია, იმის საპასუხოდ მოაწყვეს, რომ ალექსანდრე მეფე შაჰ-აბასს მიუვიდა) გიორგი ბატონიშვილი თავს იცავდა ლეკ-ოსმალო თავდამსხმელთაგან.

ქნა გადაჭრით დადგომა ერთს ან მეორე მხარეზე. ერანის მხარეზე დადგომას, ე. ი. შარვანს გალაშქრებას კონსტანტინე-მირზა მოითხოვდა, რუსეთის მხარეს დადგომას (ე. ი. ლეკეთზე ლაშქრობას და რუსთა ჯარის კახეთში მოწვევას) გიორგი ბატონიშვილი ასახიერებდა.

შაჰ-აბასმა ეს (უარესი) შესაძლებლობაც გაითვალისწინა. რენეგატ კონსტანტინესა და მის ყიზილბაშებს, როგორც ჩანს, შაჰმა ალექსანდრე მეფის მოკვლის უფლება მისცა, თუ უკანასკნელს „ღალატი" შეემჩნეოდა. გიორგი ბატონიშვილის საქმე გათავებული იყო. კახეთის სამეფო ტახტზე ერანის ამ „მოღალატეს" შაჰ-აბასი ვერ მოითმენდა: „ოსმალთა მომხრეს" მას ეხლა კახეთში რუსეთი შემოჰყავდა. კონსტანტინე-მირზას გიორგი ბატონიშვილის მოკვლის დასტური მიღებული ჰქონდა შაჰ-აბასისაგან. კახეთის ტახტის მეორე მემკვიდრე, თეიმურაზი, შაჰმა, როგორც ვიცით, თავისთან დაიტოვა. ასე რომ კახეთის შემომტკიცების საქმეში, გიორგის მოკვლის შემდეგ, „გათათრებული" კონსტანტინეს ხელს ვეღარაფერი შეუშლიდა და ამით კახეთის საკითხიც საბოლოოდ ერანის სასარგებლოდ გადაწყდებოდა. ამრიგად, გიორგისა და კონსტანტინეს ურთიერთ შორის ბრძოლა მოსკოვისა და ერანის ინტერესთა აშკარა შეჯახებაც იყო.

ალექსანდრე მეფემ და გიორგი ბატონიშვილმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. ყიზილბაშთა ჯარი, კონსტანტინეს რომ მოჰყვა, ერთობ მცირე ჩანდა. მოსალოდნელი არ იყო, რომ კონსტანტინე-მირზა ასეთი მცირე ძალით გიორგი ბატონიშვილის წინააღმდეგ კახეთში რასმე გაბედავდა. თანაც ეს მცირე ჯარიც ხომ კახეთში არ შემოუყვანია და შორს საზღვარზე დააყენა. სარწმუნო ჩანდა, ამის გამო, რომ ყიზილბაშებს ამხელად მეფე მამა-შვილის მიმართ თითქო სამტრო რაიმე განზრახვა არ შეიძლებოდა ჰქონოდათ. ამის შედეგი იყო, საფიქრებელია, ორი საბედისწერო შეცდომა: ალექსანდრე მეფემ ძეგამს მოსვლის უმალ სახლში დაითხოვა, ჩანს, კახელთა ის რჩეული ლაშქარი, რომელიც მას ერანს ახლდა და იქიდანვე მოჰყვა; ასევე გაყარა გიორგი ბატონიშვილმა სამი ათასი მეომრისაგან შემდგარი ჯარი, რომლითაც ის მამასა და ძმას კახეთის საზღვარზე შეეგება, და ჯარ-შემოცლილი მამა-შვილი დარბაისელთა მცირე ამალით დასხდნენ ძეგამს მეფის სასახლეში, სადაც სამი დიდი სახელმწიფოს ინტერესთა გადამწყვეტი ჭიდილი იყო გამართული.

რუს ელჩებზე უწინ ძეგამს მისულიყვნენ კახეთის საზღვარზე დატოვებული ყიზილბაშები. ამ დროს გიორგი ბატონიშვილი უკვე ძეგამს იყო მისული. ყიზილბაშთა ეს მოულოდნელი მოსვლა საფრთხეს მოასწავებდა. მაგრამ უკვე გვიან იყო. ალექსანდრე მეფე, გიორგი ბატონიშვილი და მისი დარბაისლები მაინც არ ფიქრობდნენ, როგორც ჩანს, რომ კონსტანტინე და მისი ყიზილბაშები ღალატს გაბედავდნენ[233].

ალექსანდრე მეფის მოციქულები 12 მარტს რამდენიმეჯერ მოვიდნენ რუს ელჩებთან მეფის მიერ მიღების შესათანხმებლად. უკანასკნელად მოსული მოციქულები — ნეკრესელი ზაქარია და თავადი აბელ—ის იყო უკან დაბრუნდნენ, რომ ტრაგედიაც დატრიალდა.

12 მარტს დილიდანვე კონსტანტინე-მირზა და მისი მხლებელი ხანები და სულტნები ალექსანდრე მეფის სადგომს ეწვივნენ. ხან-

---

233 გიორგი ბატონიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, მამასა და ძმას სამიათასი მოლაშქრით შეხვდა. ეს ამოდენა ჯარით შეგებება მოწმობდა, რომ გიორგი ბატონიშვილი კოსტანტინეს ამ ვიზიტს იქვის თვალით უყურებდა (Белокуров. Сношения.., 483). არ არის ცხადი, თუ რატომ-ღა დაითხოვა გიორგიმ შეყრილი ლაშქარი? უეჭველია, მან ეს მამასთან შეთანხმებით მოიმოქმედა. როგორც ჩანს, ყიზილბაშთა მოლაშქრეების კახეთის საზღვარზე გაჩერებას (Белокуров. Сношения..., 483) გიორგი ბატონიშვილი მდგომარეობის უშიშროებაში დაურწმუნებია (Белокуров. Сношения.., 484).

ასეთი გაუფრთხილებლობით ისარგებლა კონსტანტინემ და, როგორც კი გიორგი ბატონიშვილმა ლაშქარი დაითხოვა და თითონ ძეგამს ჩავიდა, რენეგატმა კახეთის საზღვარზე მდგომ ყიზილბაშთა ჯარს ძეგამს მოსვლა უბრძანა (Белокуров. Сношения.., 484).

როგორც საფიქრებელია, ალექსანდრე დარწმუნებული იყო, რომ შაჰ-აბასი ამხელად კახთა მეფისა და მისი მემკვიდრის წინააღმდეგ ხელს არ გამოიღებდა. ერან-ოსმალეთის ომის სიმძიმე, ალექსანდრეს მფარველ რუსეთთან ურთიერთობა და კახთა მეფის პოპულარობა თავის ქვეყანაში თითქოს სიფრთხილეს უკარნახებდნენ შაჰს. ხოლო თუ შაჰის ბრძანებით არა, კონსტანტინე-მირზა თავისით ვერას გაბედავდა.. მაგრამ ის, რაც ფრთხილი ალექსანდრე მეფისათვის კანონზომიერი და სწორი ჩანდა, გაბედული შაჰ-აბასისათვის მიუღებელი აზრი იყო. გადამწყვეტი მომენტი იდგა. შაჰ-აბასისათვის აუცილებელი იყო შარვანის დაჭერა, სანამ რუსთა ჯარი საშამხლოს დაიპყრობდა. თუ რუსეთი მოასწრებდა და საშამხლო-დაღისტანს დაიჭერდა, მას უმალ კახეთი შეუერთდებოდა. ამის შემდეგ მოსკოვის ხელმწიფე შაჰ-აბასთან „მეგობრობით“ შარვანზე ხელს გაიწვდიდა, ქართლსაც ხომ გაუმფარველდებოდა და, ამრიგად, რუსეთ-ერანის სახელმწიფო საზღვარს განჯის სახანოზე (მტკვარზე) გაავლებდა.. და ასეთ დროს ალექსანდრე მეფე შაჰის წამოწყებულ შარვანში ლაშქრობას შლიდა...

გრძლივი ბჭობა გაიმართა. ბჭობას ცხარე კამათი მოჰყვა. საკითხი, თითქოს, შარვანს სალაშქროდ ჯარის გამოყვანას შეეხებოდა.

მოულოდნელად კონსტანტინე-მირზა გიორგი ბატონიშვილსა სწვდა. ყიზილბაშებისათვის ეს იყო საქმის დაწყების ნიშანი. ალექსანდრე მეფემ საყვარელი შვილისათვის ხელი გამოიღო. შაჰმირხანი და ალი-ხან მოვაფეკ მოხუც მეფეს მიესივნენ, სხვა სულტნები და ყიზილბაში მხედრები კახ დარბაისლებს დაერივნენ. ამ ნიშანზე ქალაქში ყიზილბაშებმა კახელების ხოცვა და ძარცვა იწყეს.

რუს ელჩებს მეფის სადგომიდან ხმაურობა შემოესმათ. გამოქცეულ კახელებისაგან ელჩებმა შეიტყვეს, რომ კონსტანტინესა და ყიზილბაშებს ომი აქვთ გიორგისა და ალექსანდრესთან. ელჩებმა სწრაფად გაგზავნეს მოციქული კამენევი და მას კონსტანტინე-მირზას გაფრთხილება დაავალეს, რათა სისხლი არ დაღვაროს. როდესაც რუსი ელჩების მოციქული კამენევი მეფის სადგომში მივიდა, უკვე ყველაფერი გათავებული იყო. ალექსანდრე მეფე, გიორგი ბატონიშვილი, რუსთველი ეპისკოპოსი და მისი ძმა, აბელ და ხუთი სხვა კახელი დარბაისელი დახოცილები ეყარნენ. კონსტანტინე-მირზას წინ ყიზილბაშ მხედარს მეფე ალექსანდრეს მოკვეთილი თავი ეჭირა[234].

კონსტანტინე-მირზამ შაჰის დავალება შეასრულა. მამისა და ძმის მოკვეთილი თავები ამ გადაგვარებულმა შაჰ-აბასს გაუგზავნა ერანს, ხოლო თვითონ კახეთის „მეფედ“ დაჯდა და შარავანს ლაშქრობის თადარიგს შეუდგა[235].

შაჰისავე დავალების თანახმად კონსტანტინე დაჟინებით უარყოფდა მომხდარ მკვლელობაში შაჰის მონაწილეობას. საქმის ვითარების გათვალისწინებით და ქართველებისა თუ ყიზილბაშების გამოკითხვით რუსი ელჩები დარწმუნდნენ, რომ ეს საქმე შაჰ-აბასის ბრძანების თანახმად მოხდა. ელჩებმა თავიანთი შთაბეჭდილება და უკმაყოფილებაც ოფიციალურად განუცხადეს შაჰის აგენტ კონსტანტინეს. უკანასკნელმა ერთხელ კიდევ უარყო ამ საქმეში შაჰის მონაწილეობა, ელჩებს ერან-რუსების მეგობრობა მოაგონა და კახეთ-რუსეთის კიდევ უფრო დაახლოვებას, ხოლო მოსკოვის ხელმწიფისადმი „სამსახურს“ შეჰპირდა მათ[236].

---

234 Белокуров. Сношения..., 485.

235 იქვე.

236 იქვე, 486—487.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთმა წააგო. შაჰ-აბასმა გაბედული დაკვრით გააქარწყლა კახეთში მოსკოვის მეფის ოცი წლის დიპლომატიურ-პოლიტიკური მონაპოვარი და ჩრდილოელ მოკავშირეს ენერგიულად აგრძნობინა, რომ ერანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არ მოითმენს არა მარტო მოსისხარ ოსმალეთს, არამედ „მეგობარ“ რუსეთსაც კი.

ალექსანდრე მეფისა და გიორგი ბატონიშვილის დაღუპვის შემდეგ რუსი ელჩები შეეცადნენ საბოლოოდ გაერკვიათ, თუ რა ვითარებასთან ჰქონდათ საქმე კახეთში და ჩქარა დარწმუნდნენ, რომ მოსკოვის მეფის პოლიტიკამ აქ მარცხი განიცადა. კონსტანტინე-მირზასთან არა ერთგზის საუბრის შედეგად ცხადი გახდა, რომ ამიერიდან კახეთი პოლიტიკურად იგივე ერანი იყო, ხოლო „მეფე“ კონსტანტინე — შაჰ-აბასის მუსლიმანი მოხელე.

საქმის ვითარების სათანადოდ ვერ შეფასებით უნდა აიხსნას ელჩების გულუბრყვილო წინადადებანი კონსტანტინესადმი მისი გაქრისტიანების და მოსკოვის მეფისადმი ერთგულების ფიცის მიღების შესახებ... კონსტანტინემ ცხადად აგრძნობინა თავის მოსაუბრეებს, რომ მათ ვერ გაუგიათ, ან არ სურთ გაიგონ მომხდარი ამბის პოლიტიკური აზრი, ვერ მიხვედრილან აქ რუსეთის პოლიტიკის დამარცხებას. — „ჩემი რუსთ-ხელმწიფისადმი ერთგულებაზე დაფიცება ან ქრისტიანობისადმი დაბრუნება შაჰის გამოისობით ამჟამად შეუძლებელიაო“ — უთხრა კონსტანტინემ ელჩებს გამოსათხოვარი აუდიენციის დროს. — „მომავალში კი ვნახოთ, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რათა ხელმწიფისაგან ზურგი მაგარი მქონდეს, რომ მასზე დაყრდნობა საიმედო იყოს“ — Белокуров. Сношения.. 448—490. „Надобно де то, чтоб был хребет крепок от государя, на чтоб было оперетца и надежа держать“ — თითქო ალექსანდრე მეფისა და გიორგი ბატონიშვილის მაგივრად უსაყვედურა ელჩებს მათმა უღირსმა მემკვიდრემ...

ალექსანდრე მეფისა და გიორგი ბატონიშვილის სიკვდილით ბუტურლინის ლაშქრობა (და საერთოდ, რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში, განსაკუთრებით კი ამიერკავკასიაში) საფრთხეში ჩავარდა. შაჰ-აბასმა მოუშალა რუსეთს საიმედო დასაყრდენი. საიდანაც მოსკოვი ფართო აქტიური პოლიტიკის წარმოებას აპირებდა. კახეთის დრამა უაღრესად არა-მეგობრული აქტი იყო შაჰ-აბასის მხრივ, და ეს ასეც გაიგეს მოსკოვში. შაჰი არ მოერიდა ისეთ სერიოზულ რისკს, როგორიც იყო მოსკოვის მეფის მომდურება, არ მოერიდა რისკს მეგობართან კონფლიქტისას, რადგან შაჰ-აბასი ნათლად ჰხედავდა, რომ, თუ ეხლა მეგობრის წყენას მორიდებოდა (შაჰმა კარგად იცოდა, რომ მოსკოვის მეფე ეხლა კახეთისათვის ომს ერანის წინააღმდეგ ვერ დაიწყებდა), მას ჩქარა ომი დასჭირდებოდა ამიერკავკასიაში ჩამომდგარ რუსეთთან. ამდენადვე შაჰის მოქმედება დროული და მიზანშეწონილი იყო. და, მიუხედავად იმისა, რომ შაჰმა ვერ შესძლო და თავისი „კანდიდატი“ კახეთის „ხანად“ ამხელად ვერ დაამკვიდრა, ის იმ მთავარ მომენტში მაინც მოგებული იყო, რომ რუსების მომხრე დასს კახეთში და თვით რუსულ საქმეს ამიერკავკასიაში გამოუსწორებელი ზიანი მი-

აყენა... მალე შაჰ-აბასს ამ საქმეში, ე. ი. ამიერკავკასიიდან რუსეთის განდევნის საქმეში, თვით ოსმალეთი დაეხმარა: შამახიის ფაშისა და შამხლის ჯარმა ბუტურლინის ლაშქარი გასწყვიტა.

რუსეთმა კახეთი დაკარგა. მაგრამ ეს მარცხი კახეთის მაშტაბით როდი ისაზღვრებოდა. როგორც ვიცით, ბუტურლინის ლაშქრობის ინიციატორები ამ ლაშქრობას ფართო პოლიტიკურ მიზნებს უსახავდნენ ამიერკავკასიაში, ხოლო კახეთს ამ პოლიტიკის წარმატებაში არსებითი მნიშვნელობის როლს აკისრებდნენ, უკახეთოდ, ამიტომ, თუ მთლად არა, სანახევროდ მაინც, რუსთა ლაშქრის მიღწევებს საშამხლო-დაღისტანში აზრი ეკარგებოდა. ამ მწარე სინამდვილის გამოხატულება იყო, რომ დაბნეული ელჩები კონსტანტინე-მირზას ეკითხებოდნენ, სჭირია თუ არა მას, როგორც კახეთის „მეფეს“, საშამხლო-დაღისტანში მომქმედი რუსთა ლაშქარი, რომელიც მეფე ალექსანდრეს ვედრების თანახმად ხსენებული ქვეყნების დასაპყრობად გამოგზავნა დიდმა მეფემ[237] (კონსტანტინეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო არაა. ელჩები კი ჩქარა მიხვდნენ, რომ ამ „მეფის“ არც ჰო-სა და არც არა-ს არავითარი პოლიტიკური ფასი არა ჰქონდა).

შაჰ-აბასის ბრძანების თანახმად კონსტანტინემ კახეთიდან ჩქარა გაისტუმრა რუსი ელჩები, რომლებიც, ჩანს, შაჰ-აბასს აცნობეს. მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე მათ პოლიტიკურ მდგომარეობას იმქამად შეეფერებოდა.

31 მარტს ელჩები ქართლისაკენ გაემართნენ[238]. ქართლში ისინი გიორგი მეფეს ეწვივნენ.

კახეთში დამარცხების შედეგები აქ უკვე საგრძნობი იყო ელჩებისათვის. ქართლის მეფის კარზედ არაერთხელ მოაგონეს მათ, რომ რუსეთი შორსაა, მტრები კი ახლოს არიან, რომ მოსკოვის მეფის „მფარველობა“, ამიტომ, სახიფათოც კია. ალექსანდრე მეფისა და მისი შვილის ბედი ამის კარგი საბუთი იყო. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ რუსმა ელჩებმა აქ მაინც ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს: ბორის ხელმწიფის ვაჟისათვის საცოლე (გიორგი მეფის ქალი ელენე), ხოლო ქალისათვის საქმრო (ვახტანგ მუხრან ბატონის-ძე ქაიხოსრო) იშოვეს[239].

---

237 Белокуров. Сношения..., 488.

238 იქვე, 489—490, 494,

239 იქვე, 496—511.

გარდა ამისა, ქართლის მეფემ, მეტად ფრთხილად, პოლიტიკური დაპირებაც მისცა რუს ელჩებს[240], რისთვისაც ხელშესახები დახმარება იმთავითვე მოითხოვა. ელჩები იძულებული იყვნენ აღეთქვათ, რომ თერგს მისვლის უმალ გიორგი მეფეს 150 რუს მეთოფეს გამოუგზავნიდნენ. ქართლის მეფე პირობას იძლეოდა, რომ ხსენებულ მეთოფეებს ის მხოლოდ იმ ოსთა წინააღმდეგ გამოიყენებდა, კავკასიონის მთებიდან რომ ჩამოდიოდნენ და ქართლიდან ტყვეებს იტაცებდნენ.

4 ივნისს რუსი ელჩები უკვე არაგვის ერისთავის მამულში იყვნენ და თერგიდან მხლებელთა რაზმის მოსვლას უცდიდნენ. აქ მათ **საშიში ცნობები მიიღეს: ყირიმის ხანი იმიერკავკასიით შარვანისაკენ მიდიოდა ოსმალთა დასახმარებლად.** მეორე მხრით ლეკები და ოსმალები იმ ციხეების ასაღებად ემზადებოდნენ, ბუტურლინმა რომ ააგო საშამხლო-დაღისტანში.

რუსმა ელჩებმა ქართლის მეფის ელჩები და ხელმწიფის სასიძო ქ ა ი ხ ო ს რ ო (გიორგი მეფემ თავისი ქალი ამხელად ელჩებს არ გაატანა, მაგრამ თედორე გოდუნოვის საცოლედ მისი შენახვა აღუთქვა მათ) ერისთვის მამულში დასტოვეს, თვითონ კი სასწრაფოდ თერგს წავიდნენ. 10 ივნისს ისინი უკვე თერგის ციხეში იყვნენ. აქ კიდევ უფრო საშიში ამბები დახვდათ: თერგის ჯარში უკვე აჯანყება ღვივდებოდა. ჯარისკაცები მეფის სარდლებს აღარ უსმენდნენ. ამავე დროს ცნობა მოვიდა, რომ ყუმუხებმა და ოსმალებმა ბუტურლინის ლაშქარი დაამარცხეს და ტარკი აიღეს[241].

კარგა ხნის ამაო ლოდინის შემდეგ ქართლის მეფის ელჩები და ქაიხოსრო მუხრანბატონიშვილი არაგვის საერისთავოდან უკან დაბრუნდნენ.

1607 წელს რუსეთი ერთხელ კიდევ შეეცადა კახეთის საქმეში ჩარევას. მ ე ფ ე ვ ა ს ი ლ ი შ უ ი ს კ ი მ შაჰ-აბასთან ელჩი რ ო მ ო დ ა ნ ო ვ ს კ ი მიავლინა და ხელმწიფის სახელით შაჰისათვის ენერგიული პროტესტის განცხადება დაავალა კახეთში მომხდარი მკვლელობის გამო, რაშიაც მოსკოვის მეფე კატეგორიულად ერანის შაჰსა სდებდა ბრალს. ამავე დროს ელჩს გადაჭრით უნდა მოეთხოვა

---

240 Б е л о к у р о в. Сношения..., 512—514, 515.

241 იქვე. 514. შესავალი CX. Полное собрание Русских летописей, XIV, 57-58, ცსარგებლობ Е. С. З а в а к и н-ის მიერ ამოკრებილი მასალით: Материалы о сношении с Персией, 66.

შაჰისაგან, რათა უკანასკნელს ამიერიდან ხელი აეღო მოსკოვის მეფის ხელდებულ კახეთზე...[242] სამწუხაროდ, ამ ენერგიულ დიპლომატიურ გამოსვლას თან არ ახლდა ის არგუმენტი, რომელსაც ყველაზედ დიდი ფასი და პატივისცემა აქვს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში: — რეალური ძალა. ეხლა რუსეთს იმიერკავკასიაშიაც კი აღარ ედგა ფეხი... ამიტომ, უეჭველია, ვასილ მეფის ამ ენერგიულ ხელის ქნევას შაჰ-აბასი ადვილად გაანელებდა... მაგრამ საქმე არც აქამდის მივიდა. რომოდანოვსკიმ ერანს ვერ მიაღწია, ის აჯანყებულებმა მოკლეს სარატოვში[243]. ამავე დროს რუსეთში სოციალური ქარტეხილი ახალი ძალით ავარდა და მოსკოვის სახელმწიფო კავკასიის საქმეებს დიდი ხნით მოსწყდა.

* *

მეფისა, მისი მემკვიდრის და სამეფო საბჭოს წევრთა გაწყვეტამ კახეთში მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. საერთო აზრით ყველაფერი ეს შაჰ-აბასის საქმე იყო და კონსტანტინე-მირზა აქ მხოლოდ ჯალათის საძაგელს როლს ასრულებდა. გაკვირვება, შიში, ზიზღი და აღშფოთება ერთი მეორეს სცვლიდა...

შაჰ-აბასმა გაბედულად და თავის დროზე დაჰკრა მოწინააღმდეგეს. ეს საქმის წარმატების საწინდარი იყო. მაგრამ ჭკვიანმა შაჰმა საკუთარ ძალთა შეფასებაში გადააჭარბა. „გათათრებულ“ კონსტანტინეს გამეფება კახეთში გაგებულ იქნა, როგორც „ყიზილბაშობის“ შემოღების ცდა და შაჰ-აბასი ჩქარა დარწმუნდა, რომ კახეთი ცოცხალის თავით „ქართველობას“ არ დასთმობდა; დარწმუნდა, რომ ხალხის ნება აქ ურყევია, ხოლო რისხვა — საშიში და მოქნილმა პოლიტიკოსმა სწრაფად და დროულად უკან დაიხია.

კონსტანტინეს გამეფებისთანავე კახეთში აჯანყების ცეცხლი აბოლდა. რენეგატის საქციელით შეშფოთებულმა კახელებმა რუს ელჩებს აცნობეს, რომ ქართველობა საფრთხეშია, რომ კონსტანტინეს ყიზილბაშები ქრისტიანობას ავიწროებენ[244]. რუსმა ელჩებმა კონსტანტინეს მიმართეს და მას ქრისტიანობის ხელუხლებლობა და ყიზილბაშთა ალაგმვა მოსთხოვეს. შაჰის აგენტი შეპირდა ელჩებს

---

242 Белокуров. Сношения..., 571—576.

243 იქვე, 576.

244 იქვე, 488.

მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებას[245], მაგრამ რამდენად გულწრფელი იყო ეს დაპირება (ისე როგორც ყველა სხვა მისი დაპირება), იქიდან ჩანს, რომ კონსტანტინემ (შაჰის ბრძანებით) ჩქარა გაისტუმრა კახეთიდან ეს უსიამოვნო სტუმრები, ხოლო ყიზილბაშთა მძლავრებით შეშფოთებულმა კახეთის საზოგადოებამ ბატონიშვილი ბაგრატ იესეს-ძე რუსეთს გაგზავნა და მოსკოვის მეფეს შველა სთხოვა[246].

ეს ბაგრატ ბატონიშვილი თავის მამა იესესთან ერთად ალექსანდრე მეფეს დიდხანს ჰყავდა ციხეში პატიმრად. იესე ალექსანდრეს უფროსი ძმა იყო და კახეთის სამეფო ტახტის მაძიებელი. მხოლოდ იესეს გარდაცვალების შემდეგ, 1598—99 წელს, გაათავისუფლა ალექსანდრე მეფემ ბაგრატ ბატონიშვილი და სარჩო მამულიც მისცა მას. შაჰ-აბასის მიერ მიწოდებისას 1603 წელს კახთა მეფემ სიფრთხილისათვის ძმისწულიც თან წაიყვანა. შემდეგ, როცა შაჰ-აბასმა, 1605 წელს, ალექსანდრე მეფე კახეთს გამოისტუმრა, ბაგრატმა სთხოვა ბიძას და, იქვე ერანში და ჰყავდა, მას ესტუმრა. როცა, ცოტა ხნის შემღეგ, ბატონიშვილი კახეთს დაბრუნდა, მას აქ მეფედ უკვე კონსტანტინე დახვდა. ქრისტიან ბატონიშვილს და ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, ბაგრატს, აქ ან სიკვდილი, ან ისევ პატიმრობა ელოდა. ბატონიშვილმა, ჩანს, გადაწყვიტა, მოსკოვის მეფის დახმარებისათვის მიემართა. კონსტანტინეს მოწინააღმდეგებმა საჭირო რწმუნებით აღჭურვეს ბედის მაძიებელი და მფარველ ხელმწიფეს მაჰმადიანთა მძლავრებისაგან კახეთის დაცვა სთხოვეს. ბაგრატი გილანს წავიდა. აქედან ასტრახანს გაჰყვა შაჰის მოციქულს და პაპის ელჩს. ბატონიშვილი თავისთავს სპარსელად ასაღებდა. ასტრახანში მას გაუმჟღავნდა ვინაობა, რასაც კინალამ შეეწირა. პაპის ელჩმა იხსნა უფლისწული შაჰის მოციქულის მიერ სიკვდილისაგან. ბაგრატს არც ამის შემდეგ უღიმოდა ბედი. რუსეთი გლეხების აჯანყებათა ალში გაეხვია. კახეთისათვის მოსკოვში აღარავის ცხელოდა. ელჩი-ბატონიშვილი ორ წელს იყო იქ უყურადღებოდ უკიდურეს გაჭირვებაში. მხოლოდ ვასილ მეფემ მოიცალა კავკასია-ერანის საკითხებისათვის. ამის შემდეგ ელჩ-ბატონიშვილსაც მოუსმინეს და სათანადო პატივიც მიაპყრეს. მაგრამ ამ დროს კახეთში უკვე ქრისტიანი თეიმურაზი მეფობდა (Белокуров. Сношения.., 521—524)., კახელებმა ოსტატურად ისაქმეს, რომ ბაგრატ ბატონიშვილი მოსკოვს გაგზავნეს. უეჭველია, ეს გარემოება შაჰ-აბასს შეაშფოთებდა... და ამის შემდეგ, როცა კახელებმა კონსტანტინე მოკლეს და ქრისტიანი თეიმურაზი შაჰისაგან კახეთის მეფედ ითხოვეს, შაჰ-აბასი, გასაგებია, ასეთ გამოსავალს დაეთანხმებოდა (მან ის ხომ არ იცოდა, თუ მოსკოვს როგორი პოლიტიკური უდროობა დაატყდებოდა...): მოსკოველ მეგობარს შეეძლო ბაგრატის კახეთს გამეფებისათვის ენერგიულად მხარი დაეჭირა და ამ აქტის ცნობა შაჰისათვის კატეგორიულად მოეთხოვა... შაჰ-აბასმა აქაც დასწრება გადაწყვიტა. მან ქრისტიან ბაგრატს ქრისტიანივე თეიმურაზი დაუპირისპირა..

---

245 Белокуров. Сношения..., 489.

246 იქვე, 521, 524.

აჯანყება ქიზიყიდან დაიწყო. მაჰმადიანი „მეფის“ მორჩილებაზე ქიზიყმა უარი განაცხადა. კონსტანტინე სწრაფად გაეშურა ყიზილბაშებით და თავის მომხრე კახელებით, რათა აჯანყება ძირშივე ჩაექრო. აჯანყებულნი შეგროვდნენ და საომრად გაემზადნენ. ქიზიყელები კონსტანტინეს გაქრისტიანებას მოითხოვდნენ. უკანასკნელმა ქიზიყის ასისთავებსა და სხვა უფროსებთან მოლაპარაკება გამართა. დიდი საჩუქრებით და დაპირებით მოისყიდა ისინი. უკანასკნელთაც ისაქმეს და აჯანყებული ქვეყანა დროებით დაამშვიდეს. ქიზიყმა „მეფეს“ მორჩილება განუცხადა. და შარვანს ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება აღუთქვა. მარტის დამლევს კონსტანტინე ქიზიყიდან გრემს მოვიდა[247]. შაჰის აგენტმა კახთა შემორიგება სცადა: თავადებსა და სხვა თავკაცებს უხვი წყალობა და დიდი პატივი უყო, მესისხლეობას მოერიდა, ყიზილბაშებს აუკრძალა ქრისტიანთა სარწმუნოებრივი შეურაცხყოფა. კონსტანტინემ შაჰის სახელით შარვანს ლაშქრობა გამოაცხადა და მოლაშქრეებს ხელმწიფისაგან გაკეთებას შეჰპირდა. ამ გზით რენეგატმა პოლიტიკურ წარმატებას რამდენადმე მიაღწია. კახეთში ამ დროს ტახტის მემკვიდრე სხვა აღარავინ იყო. თეიმურაზ დავითისძე შაჰის კარზე იყო ერანს; მცირეწლოვანი იესე გიორგის ძე კონსტანტინეს ჰყავდა თან; ბაგრატ ბატონიშვილი რუსეთს წასულიყო. აჯანყებას იდეური ხელმძღვანელი არ გააჩნდა. ასეთ პირობებში კონსტანტინემ ზემოაღნიშნული საშუალებებით მოახერხა აჯანყების დროებით შეჩერება. მართალია, საბოლოოდ და გულგაწმენდით არა, მაგრამ უმჯობესის მოლოდინში, დროებით მაინც, კახთა მნიშვნელოვანი ნაწილი კონსტანტინეს ბატონობას შეურიგდა.

ჩქარა შარვანს სალაშქროდ ათი ათასი კახი მხედარი გამოვიდა. კახთა და ყიზილბაშთა ჯარით კონსტანტინე შაქში შევიდა. შაქის ოსმალო მმართველი მეჰმედ-ემინ-ფაშა ომში დაიღუპა. კახ-ყიზილბაშები არეშს შემოადგნენ. შაქის საშველად წამოსული შარვანის ფაშა მაჰმუდი გზაზე, მდინარე აღსუს ნაპირზე, კონსტანტინეს ძლიერ რაზმს წააწყდა. ომში ორი ათასი კაცი დაეღუპა და დამარცხებული ფაშა შამახიას დაბრუნდა. ოსმალებმა ამის შემდეგ შაქი დასცალეს და შარვანს გაიქცნენ. კონსტანტინემ შაქი სამმართველოდ შაჰმირ-ხანს ჩააბარა. ჩქარა კახ-ყიზილბაშთა ლაშქარი შამახიას

---

247 Белокуров. Сношения..., 489.

შემოადგა. ქალაქის ალყა გაგრძელდა. ოსმალები მხნედ იცავდნენ თავს. ხანგრძლივ ომს უჩვეული კახთა ფეოდალური ლაშქარი შეწუხდა. აჯანყების ინიციატორებმა დრო მოიცეს და მოლაშქრეთა უკმაყოფილება ხერხიანად გამოიყენეს. შეთქმულებმა კონსტანტინეს მოკვლა და ბატონიშვილის გატაცება გადაწყვიტეს (სიფრთხილისათვის კონსტანტინეს თან წამოეყვანა თავისი მცირეწლოვანი ძმისწულები). რენეგატმა ადრე შეიტყო მოლაშქრეთა უკმაყოფილებისა და შეთქმულების შესახებ. მოლაპარაკებით და წყალობის დაპირებით სცადა მან საქმის მოგვარება, მაგრამ ამაოდ. ღამით შეთქმულები დაეცნენ კონსტანტინეს კარავს. რენეგატმა გაასწრო და ერთ-ერთი ყიზილბაში ხანის კარავში დაიმალა. შეთქმულებმა „მეფის" კარავი დააფორიაქეს. ბატონიშვილები წამოიყვანეს და წამოვიდნენ. დილით კონსტანტინემ კახ-მოლაშქრეთა შეჩერება სცადა, მაგრამ ურყევ ნებას წააწყდა. მოლაშქრეები მზად იყვნენ შებმოდნენ მას, თუ ის ძალას მიჰმართავდა, და კატეგორიულად უცხადებდნენ რენეგატს, რომ მას, „გათათრებულს", კახეთის მეფედ არასდროს იცნობდნენ. კახელებმა ბრძოლის ველი დასტოვეს და სახლში დაბრუნდნენ. შამახიის ალყა მოიშალა. მარტოდ დარჩენილი ყიზილბაშები ერანს გაიქცნენ. კონსტანტინე-მირზა არდაველს მივიდა.

ამავე ხანებში ოსმალებს კავკასიაში მეორე წარმატებაც ხვდა. შამხალმა და ყუმუხებმა შამახიის ფაშის დახმარებით რუსთა ჯარი დაამარცხეს, ჯერ კოისუ და შემდეგ ტარკი აიღეს[248] ბუტურლინი თავის 7000 მეთოფით ამ ომში დაიღუპა. კახეთს რუსეთის კედელი მოეშალა[249]. ამ გარემოებამ, უეჭველია, გავლენა იქონია კახთა პოლიტიკურ განწყობილებაზე.

იმ დროს, როცა დამარცხებული კონსტანტინე-მირზა არდაველს მივიდა, შაჰ-აბასს ჯიგალ-ოღლიზე გამარჯვებოდა. ოსმალთა სარდალი არზრუმს წასულიყო და გადამწყვეტი ომისათვის გამალებით ემზადებოდა. შაჰ-აბასიც თავის მხრით საჭირო ზომებს იღებდა.

ერანის შაჰს, რომ კონსტანტინესათვის მიეცა, ასეთი ლაშქარი ეხლა არ გააჩნდა. თანაც შაჰი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ კახეთი მაჰმადიან მმართველს, თუნდაც საკუთარ მეფის შვილს, არ იგუებდა. ამდენადვე კონსტანტინეს საქმე საეჭვო ჩანდა.

---

248 Белокуров. Сношения..., 514.

249 იქვე, შესავალი, CX.

ამავე დროს შაჰ-აბასთან აჯანყებული კახელების მოციქულები მოვიდნენ. კახელები შაჰს მორჩილებას უცხადებდნენ და მეფედ კონსტანტინეს ნაცვლად ქრისტიან თეიმურაზს ითხოვდნენ. ეხლა, ერან-ოსმალეთის გადამწყვეტი ომის წინ, როცა ჯიგალ-ოღლი დიდის ენერგიით იძენდა მომხრეებს და ყველას ერანის წინააღმდეგ რაზმავდა, შაჰ-აბასმა შესაძლებლად ვერ დაინახა მოაჯე კახელებისათვის გადაჭრით უარი ეთქვა. შაჰმა ალექსანდრე მეფის სიკვდილის გამო მწუხარება გამოსთქვა, მოციქულებს მოუსმინა, იმედით გამოისტუმრა ისინი, თუმცა ამხელად თხოვნა კი არ შეუსრულა. არც კონსტანტინეს ჰკრა ხელი შაჰმა. მართალია, ლაშქარი ვერ მიაშველა, სამაგიეროდ საშუალება მისცა რენეგატს სხვა გზით ეძია თავისი საქმე.

არდაველიდან წამოღებული ხაზინით კონსტანტინემ დიდი ჯარი დაიქირავა. ყიზილბაშ-თურქმანებისა, ლეკებისა და სხვა მძარცველთა ბრბოებით ტახტის მაძიებელმა შაქი ამოიარა. აქ მას შაჰმირ-ხანი შეუერთდა თავისი ლაშქრით. კონსტანტინე კახეთში შემოიჭრა და ძეგამს დადგა. რენეგატმა ნაცად ხერხს მიჰმართა, მისი აგენტები მოედვნენ ქვეყანას და კონსტანტინეს სახელით პატიებას აღუთქვამდნენ ყველას, ვისაც მის წინაშე რაიმე დანაშაული მიუძღვოდა. რენეგატის აგენტები უხვად აბნევდნენ ხაზინას, მომხრეებს მოისყიდდნენ და ქვეყანას კი მშვიდობას და შაჰის წყალობას ჰპირდებოდნენ. ზოგი გულმართლად ეახლა მამის მკვლელს, ზოგი კიდევ განზრახ მიუვიდა. კონსტანტინეს მოწინააღმდეგენი თეიმურაზის დედის ქეთევან დედოფლის გარშემო იყრიდნენ თავს. უკანასკნელთან ჰყავდათ ბატონიშვილი იესე გიორგის ძე, რომელიც, თუ მემკვიდრე ბატონიშვილს თეიმურაზს შაჰისაგან ვერ დაიბრუნებდნენ, სამეფოდ ჰყავდათ განზრახული.

შაჰისაგან მიღებულმა იმედის სიტყვამ კონსტანტინეს მოწინააღმდეგენი გაამხნევა. ქეთევანმა გიორგი ქართლის მეფეს დახმარება სთხოვა. უკანასკნელმა პაპუნა ამილახორი მოაშველა მას ზემო ქართლის ჯარით. სამშობლოსა და ქართველობის დამცველები ჯალაბობით მოვიდნენ და თავისუფლების დროშის ქვეშ ურთიერთს შეჰფიცეს, ცოლ-შვილი დროშასთან დატოვეს და თითონ გადამწყვეტ ომში გავიდნენ. კონსტანტინეც ძეგამიდან გამოვიდა. მტრები ერთი-მეორეს ბელაქნის წყალზე შეხვდნენ (18 ოქტომბერი, 1605 წ.). სასტიკი ომი დიდხანს შედეგს არ იძლეოდა. კონსტანტინე, შაჰმირ-ხანი და ალი-ხან სულტანი შამსედინლუ ყიზილბაშთა

ლაშქრის ცენტრში იყვნენ. კონსტანტინე გამოეყო მოსაგრეებს და ლაშქრის მარჯვენა ფრთას მიაშურა. აქ ქართველებს დაემარცხებინათ ყარჩიხა სულტანის რაზმი და ცენტრისაკენ უკუექციათ ის. კონსტანტინე შეეცადა ლტოლვილთა შეჩერებას და მცირე ამალით ქართველების რაზმში შეიჭრა. კახელებმა იცნეს ის და სწრაფად მიეტევნენ. დავითმა[250], თამაზმა და ბებურმა[251] ბოლო მოუღეს სამშობლოს მოღალატეს.

სასიხარულო ცნობა სწრაფად გავრცელდა ქართველ მებრძოლთა შორის. ქეთევანმა ეს წარმატება მტრის საბოლოო გასატეხად მოიმარჯვა. ქართველებმა მოციქულები მიუგზავნეს ყიზილბაშ ხანებს, კონსტანტინეს მოკვლა აცნობეს და ზავი შესთავაზეს. ამავე დროს ქეთევანის მოციქულები აცხადებდნენ, რომ კახეთი შაჰს მორჩილებს და წყალობას და ბრძანებას მისგან მოელის. ყიზილბაშები მიუხვდნენ მოწინააღმდეგეს. მათ არ მიიღეს ქეთევანის წინადადება და შაჰის დავალების შესრულებისათვის „უკიდურესად“ მოიჭირვეს“. ხანებმა ლაშქარს კონსტანტინეს სიკვდილი დაუმალეს. სურდათ როგორმე ომი მოეგოთ, იესე ბატონიშვილი ხელთ ეგდოთ და შაჰისათვის მიეყვანათ. მათი ცდა ამაო იყო. გამხნევებულმა ქართველებმა ისე ძლიერად შეუტიეს მოძალადეებს, რომ მათი წინააღმდეგობა საბოლოოდ გასტეხეს. უგზოუკვლოდ გარბოდნენ კახეთის დასამონებლად და მის გასაოხრებლად კარს მომდგარი მტაცებლები.

მომხდარი ამბვის შესახებ ხანებმა შაჰს აცნობეს.

შაჰ-აბასი ამ დროს თავრიზს იყო. ოსმალთა სარდლები ჯიგალოღლი და ნასიფ-ფაშა 100000 მეომრისაგან შემდგარი ლაშქრით უკვე ადერბაიჯანში შესულიყვნენ და თავრიზს უახლოვდებოდნენ. ოსმალებთან გადამწყვეტი ომის წინ შაჰ-აბასს ეხლა კახეთისათვის არ ეცალა. 25 ოქტომბერს 1605 წელს შაჰ-აბასი ურმიის ტბის ნაპირზე 60.000 მეომრით შეხვდა მტერს და გენერალური ბრძოლა ბრწყინვალედ მოიგო. დამარცხებულ ოსმალთა ჯარის ნაშთები თავზარდაცემული უკუიქცნენ. მოწინააღმდეგემ დასცალა ადერბაიჯანი და ამიერკავკასიის ციხეებში მდგომი გარნიზონები ბედის ანაბარა დასტოვა. შაჰ-აბასი დიდი გამარჯვების ნაყოფის მომკას შეუდგა.

---

250 ჯანდიერი.

251 ვაჩნაძე.

1606 წელს გაზაფხულზე შაჰ-აბასი ყარაბაღს მოვიდა. აქ მას ქეთევან დედოფლისაგან ელჩები მიუვიდნენ. კონსტანტინე-მირზას სიკვდილის გამო კახელები პატიებას სთხოვდნენ ხელმწიფეს, მორჩილება-სამსახურს აღუთქვამდნენ მას, კახეთს გასაბატონებლად ბატონიშვილს თეიმურაზს ითხოვდნენ და ერთგულების ნიშნად შაჰის კარზე სხვა კახი ბატონიშვილების მოყვანას ჰპირდებოდნენ.

კახეთის სამეფო კარი ქეთევანის მეთაურობით ხერხიანად მოქმედებდა. მოსკოვის მეფის მფარველობა საიმედო არ ჩანდა, ოსმალეთი მარცხდებოდა და კახეთი იმ ურთიერთობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა, მე-16 საუკუნეში ერანთან რომ ჰქონდა. ეხლა, მას შემდეგ, რაც კახეთმა დაუმტკიცა შაჰს, რომ ქართველობის საკითხში ქვეყანა ცოცხალის თავით არაფერს დასთმობდა და რომ კახეთის ძალით გატეხა არც ადვილი საქმე იყო, ამის შემდეგ შაჰისადმი მორჩილების გამოცხადება მით უფრო ძვირფასი იყო, რომ ერანის გამარჯვება-წარმატებათა მიუხედავად ჯერჯერობით არც „მეგობარი“ რუსეთი და არც მოსისხარი ოსმალეთი ამიერკავკასიიდან ხელის აღებას არ აპირებდნენ.

შაჰ-აბასი დარწმუნდა, რომ კახეთის მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევის ცდა ამხელად მარცხით დაუსრულდა და მოხერხებულად უკან დაიხია, მით უფრო, რომ თეიმურაზის ქრისტიანობით შეწყალებას კახეთის ტახტზე ეხლა უკვე ის სიმწვავე აღარ ახლდა, რაც ამ ახლო წარსულში: ბუტურლინი საშამხლოში უკვე დამარცხებულიყო და კახეთში რუსთა შემოსვლის საფრთხე, ჯერჯერობით მაინც, აღარ არსებობდა. ამავე დროს ეს აქტი (თეიმურაზის ქრისტიანობით მეფედ შეწყალება) დიპლომატ შაჰს ადვილად შეეძლო მოსკოვის მეფისადმი მეგობრობის ნიშნად გაესაღებინა, ხოლო მოსკოვის მეფის კანდიდატი ბაგრატი (ნაკლები უფლების მქონე-ბელი, ვიდრე მეფის ძე თეიმურაზი) ამ აქტით გაეუფასურებინა. თანაც დავით მეფის შვილი თეიმურაზი ხომ „ერანის მომხრე“ კახ ფეოდალთა კანდიდატი იყო... უხეირო კონსტანტინე-მირზა რა მოსანაღვლები იყო. გადმოგვცემენ: კონსტანტინეს სიკვდილის ცნობა შაჰს „ნამეტნავად ეწყინა, მაგრამ სოფლის საფერისად ასრე ბრძანა: ჯელიმც შერჩებისო, მამის მკვლელს უარესი უნდა დაემართოსო“.

კახ ელჩებს შაჰმა სრული იმედი მისცა.

ჩქარა კახელი ბატონიშვილები შაჰ-აბასს მიჰგვარეს, შაჰმა კი „შვილივით საყვარელი“ თეიმურაზი კახეთს სამეფოდ გამოისტუმ-

რა. თეიმურაზი კახეთის მეფედ ძველი ქართული წესით იქვე, შაჰის კარზე, დალოცეს. შაჰ-აბასმა საამისო ცერემონიაში უშუალო მონაწილეობა მიიღო. მოქნილმა პოლიტიკოსმა აქაც ორლესულად ისაქმა: კახეთსა და მის მეფეს განსაკუთრებული ყურადღება და პატივი აღირსა, ხოლო მეორე მხრით ერან-კახეთის ძველ ურთიერთობაში არსებითი ხასიათის ცვლილება შეიტანა: ამიერიდან კახთა-მეფის დალოცვა შაჰმა თავის კარზე გადაიტანა...

პატრონ-ყმის ეს სიამტკბილობა მხოლოდ მოსაჩვენარი იყო. შაჰ-აბასს თეიმურაზისადმი სასიყვარულო არაფერი ჰქონდა: თეიმურაზი ქრისტიანი იყო (შაჰს კი კახეთში მაჰმადიანი მმართველი სურდა ჰყოლოდა), მას მოსკოვის მეფის ერთგულების ფიციც კი ჰქონდა მიღებული (შაჰ-აბასი ამიერკავკასიაში მოსკოვის სახელს ვერ ითმენდა) და, ბოლოს, ეს უმთავრესი იყო, თეიმურაზის გამეფება შაჰის სურვილის წინააღმდეგ კახთა მედგარი ბრძოლის შედეგად მოხდა. ამდენადვე, ქრისტიანი თეიმურაზი კახეთის ეროვნული თავისუფლების („ქართველობის") ალამი იყო. რა თქმა უნდა, არც ყმას უცემდა გული პატრონის სიყვარულით: ალექსანდრეს მკვლელი შაჰ-აბასი „ქართველობის" მხოლოდ მოსისხარი მტერი შეიძლებოდა ყოფილიყო...

1606 წელს თეიმურაზი დიდი გამოჩვენებით გამოისტუმრა შაჰმა კახეთში. ქვეყანას სიხარული მართებდა: ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა მ ხ ნ ე ბ რ ძ ო ლ ი თ მ ო ნ ა პ ო ვ ა რ ი ჰ ქ ო ნ დ ა („მუნ ჩვენ ხელთ იყო ჩვენობა").

მაგრამ კახეთში კარგად ესმოდათ, რომ შაჰ-აბასი ისეთი მტერია, რომელსაც არ სძინავს. საჭირო იყო ფხიზლობა. ბრძოლა გრძელდებოდა.

ყარაბაღის საქმეების მოწესრიგების შემდეგ, იმავ 1606 წელს, შაჰ-აბასმა განჯა აიღო. აქედან შაჰი ლორე-დმანის-თბილისის დასაპყრობად წამოვიდა. ოსმალთა მთავარი ლაშქრის დამარცხების შემდეგ ხსენებული ციხე-ქალაქების ოსმალთა გარნიზონები ერანელების წინააღმდეგ ბრძოლას უიმედოდ და ზედმეტად სთვლიდნენ, და მხოლოდ თავის გადარჩენაზეღა ზრუნავდნენ. ლორის ციხისთავმა მაჰმად-ფაშამ იმდენი მოახერხა, რომ არა მარტო შაჰისაგან უვნებლობას ეღირსა, არამედ მან იგივე ციხე ეხლა უკვე ერანელთა გარნიზონით შაჰისაგან სამმართველოდ მიიღო.

ლორის მხარედან შაჰ-აბასი (დებედას ხეობით) ალგეთზე მოვიდა და მარნეულს დადგა. აქ მას დმანისიდან მოციქულები მოუ-

ვიდნენ. ციხე-ქალაქის ოსმალთა გარნიზონი შაჰს ნებდებოდა და უვნებლობის წყალობას ითხოვდა. შაჰმა დააკმაყოფილა მათი თხოვნა. ციხე ერანელთ დანებდა. ოსმალთა გარნიზონის ნაწილი შაჰის სამსახურში შევიდა (შაჰმა ორჯერ უფრო მეტი ჯამაგირი გაუჩინა, ვიდრე მათ ოსმალთა მთავრობა აძლევდა), სხვები კიდევ თავიანთ ცოლშვილით მშვიდობით გაუშვეს ოსმალეთში. ალგეთზე მდგომ შაჰს მოციქული მოუვიდა თბილისიდან, ოსმალო მმართველისაგან. აბდალ-ლაფიტ-ფაშა ციხე-ქალაქს სთმობდა, მაგრამ შაჰისაგან ოსმალო გარნიზონისათვის შეწყნარება-უვნებლობის სიგელს ითხოვდა. შაჰმა აღუთქვა ოსმალო მოხელეს სათხოვარის შესრულება. ციხე-ქალაქის ოსმალთაგან ჩასაბარებლად გაგზავნილ იქმნა ყიზილბაში ალი-ყული-ხან შამლუ. თბილისის ციხეში ოსმალთა გარნიზონი ერანელებმა შესცვალეს. ამის შემდეგ შაჰ-აბასი თვით ევწია თბილისს. ქალაქისა და მისი ციხის უფროსობა შაჰ-აბასმა ყიზილბაშ მუჰამედ სულტან შამსედინლუს ჩააბარა. თბილისიდან შაჰი ჩქარა ნახჭავანს წავიდა.

საქართველოში ამ ექსპედიციის დროს შაჰ-აბასმა ქართლის მეფობა 14 წლის ლუარსაბ გიორგის ძეს დაულოცა (გიორგი მეფე ამ ხანებში უეცრად გარდაცვლილიყო). უფლისწულ ლუარსაბთან ერთად შაჰის მოციქულ მაჰმადბეგს თან ჩამოჰყვა თბილისში ქართლის თავადობა და ხელმწიფეს წარუდგა. შაჰ-აბასმა ხელმწიფური სიუხვით უყო წყალობა „ერთგულთ". მაგრამ ქართლის პოლიტიკის მესვეურთა სიხარულს დიდი ჩრდილი ახლდა. შაჰ-აბასმა ქართლის თავისუფლება კი არ აღადგინა (ან კი როდის ყოფილა, რომ დამპყრობელს მისივე მსხვერპლის თავისუფლება თავისი ნებით აღედგინოს...), არამედ ოსმალთა ბატონობა ერანის ბატონობით შესცვალა. ლორე, დმანისი, თბილისი შაჰ-აბასმა ქართლის მეფეს არ დაუბრუნა, ხოლო მდინარე დებედას ხეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩამოგლიჯა ქართლს და იქ თურქმანული ტომი ბორჩალუ „ერთგული ყმის" (ქართლის მეფის) მეთვალყურედ ჩამოასახლა. თბილისი, აღჯაყალა, ლორე, დმანისი ისევ უცხოელთა ბატონობის იარაღად რჩებოდნენ და თავისუფლებისა და ქართველობის დაცვა-შენარჩუნების პრობლემა ქართლის წინაშე ისევ შეუნელებელი სიმწვავით იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კახთა მეფის საფიცრის წიგნი (შინაარსი)

ალექსანდრე კახთა[1] მეფე[2] შვილებით[3] და უახლოესი დარბაისლებით[4] ფიცით აცხადებდა, რომ:

1. მან (ალექსანდრე მეფემ) რუსთ ხელმწიფე თედორე ივანესძესთან თავისი ელჩები იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ხურშიტ-აღა გაგზავნა აჯით, რათა ხელმწიფეს შეეწყალებინა ის. კახეთი თავის ხელქვეშ დაეჭირა, მისთვის (კახეთისათვის) თავისი (ხელმწიფის) ხელი დაედვა და ალექსანდრე მეფისა და მისი ქვეყნის ყველა მტრისაგან დაცვა ებრძანებინა;

---

1 როგორც ამ საბუთში, ისე სხვაგანაც, რუსეთთან ურთიერთობისას, კახეთის მეფე ალექსანდრე რუსულად იწოდება მეფედ (თუ მთავრად) иверской земли. ტერმინი иверская земля რუსულს ბერძნულიდან ძველ დროსვე შეუთვისებია (მაინც და მაინც XV ს-ში ეს ფაქტი დადასტურებულია).

შემდგომ არსებობას (უკვე წიგნურს) ამ ტერმინისას, რომელსაც თანდათან სცვლის (XVI საუკუნეშივე) მაჰმადიანურ სამყაროდან შემოსული грузинская земля (Грузи), ხელს უწყობს ის გარემოება, რომ დიპლომატიური მიმოწერის ენა მოსკოვ-კახეთს შორის ამ დროს ჯერ კიდევ უმთავრესად ბერძნულია.

ტერმინი иверская земля იხმარება „საქართველოს“ შესატყვისად და აღნიშნავს ხან მთელ საქართველოს (Белокуров. Сношения... С VII, 55, 390, 471, 472, 497, 502, 435, 434, 433, 515; Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадианскую землю, 272, 284; М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, 19-20, 23) ხან კიდევ მის ერთ-ერთ ნაწილს (ჩვენს შემთხვევაში— კახეთს).

2. ალექსანდრე მეფე ამ საბუთში ჯერ კიდევ княз-ობით იხსენიება. მოსკოვის დიპლომატიამ ეს წოდებულება, როგორც საფიქრებელია, ალექსანდრე მეფის მოთხოვნით, ჩქარა შეცვალა და უკვე წყალობის სიგელში და ამის შემდეგ კახთა მეფეს цар -ობით იხსენიებენ.

3 როგორც ვხედავთ, ალექსანდრე მეფის შვილებს შორის აქ კონსტანტინე არაა დასახელებული (უმცროსი როსტომი ამ დროს უკვე ცოცხალი არ უნდა ყოფილიყო). ეს გასაგებია: კონსტანტინე ბატონიშვილი ამ დროს უკვე კარგა ხანი იყო, რაც შაჰის კარზე მძევლად იმყოფებოდა. მეფის სახელით გაცემულ საბუთებში ალექსანდრე სხვა შვილებს შორის ჩვეულებრივ კონსტანტინეს დასახელებასაც არ ივიწყებდა. ამ დოკუმენტში კი ასეთი რამ მოუხერხებელი იყო: საფიცრის წიგნში მოხსენებული პირები სახარებასა და ჯვარზე მთხვევით, საკუთარი ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით ამტკიცებდნენ თავიანთ ფიცს.

4 „უახლოესი დარბაისლებით“ ჩვენ გამოვეცით რუსული ტექსტის сановные люди (გვ. 32), რომელთაც სხვა ადგილას чиновные люди (გვ. 21, 22,

2. რომ ხელმწიფემ შეიწყალა ის (კახთა მეფე), მფარველობის ხელი დასდო მას და მის ქვეყანას და მტრებისაგან დაცვა (ალექსანდრესი და მისი ქვეყნისა) თავის სარდლებს უბრძანა;

3. რომ (ამიერიდან) ის (ალექსანდრე მეფე) თავისი შვილებით და მთელი ქვეყნით მკვიდრად და წაუვალად იქნება თედორე მეფისა და მისი შვილების ხელქვეშ;

4. რომ ის (ალექსანდრე მეფე) თავისი შვილებით და მთელი ქვეყნით ხელმწიფისა და მისი შვილების ავსა და საზიანოს არაფერს ისურვებს და არც გონებაში გაივლებს; არავის ხელმწიფის მტერს არ მიუდგება და არც თავის ხალხს არსად ხელმწიფის ქვეყანაზე სალაშქროდ მიაშველებს მათ;

5. რომ (ამიერიდან) ხელმწიფის მეგობარს ისიც თავის მეგობრად მიიჩნევს, ხოლო ხელმწიფის მტერს თავის მტრად დაიგულებს და მტრადაც აღუდგება მას;

6. რომ ის (ალექსანდრე მეფე) გამოიძიებს, დასჯის და ხელმწიფის სარდლებს გაუგზავნის ყველას, ვინც კი მისი ქვეშევრდომი თერგსა და ასტრახანს ხელმწიფისა და მისი კაცების მოღალატედ და ავისმოქმედად აღმოჩნდება[5];

37, 40, 41, 169, 88) ან კიდევ ближние люди (გვ. 334, 362, 344—345) ეწოდებაჩვენი ეს გამოთქმა „უახლოესი დარბაისლები“ მეტისმეტად ზოგადია და сановные люди-ს ზუსტი განმარტების პრეტენზიებს მოკლებულია. რა ინსტიტუტი იგულისხმება сановные люди-ს ამ ჯგუფში (რომელშიაც ექვსი დარბაისელი შედის), ცალკე გამოსაკვლევია და ამ სპეციალური საკითხის კვლევის ადგილი აქ არაა.

5 საფიცრის წიგნის ეს მუხლი ეჭვს იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ ის სიტყვასიტყვით გამეორებულია როგორც ამ საფიცრის წიგნის პროექტში (Белокуров. Сношения..., 28), ისე იმ საფიცრის წიგნის ტექსტშიაც, ბორის გოდუნოვმა რომ გაატანა ნაშჩოკინსა და ლეონტიევს 1602 წელს ალექსანდრე კახთა მეფის დასაფიცებლად ახალი მფარველის ერთგულებაზე (იქვე, 345). ამ მუხლში მოცემული დებულება, — რომ ხელდებულმა ალექსანდრე მეფემ მფარველ-ხელმწიფისა და მისი კაცების ავისმდომელი და ბოროტისმოქმედი კახელები სძებნოს, დასაჯოს და თერგ-ასტრახანის ციხისთავებს გაუგზავნოს (отсылати), — შინაარსობლივად გაუგებრობის გარდა (თუ უნდა გაუგზავნოს— ცხადია, დასასჯელად, —რატომღა უნდა დასაჯოს, ხოლო თუ უნდა დასაჯოს—მაგალითად, სიკვდილად ან ნასაღით ან სულ მცირედ,—როგორღა უნდა გაუგზავნოს ან რატომღა უნდა გაუგზავნოს...) უფლებრივი მოსაზრების დაბრკოლებასაც შეიცავს: ხელდებულის (კახთა მეფის) სუვერენული უფლების ასეთი დაზიანება ამ საფიცრის წიგნით ვერ წარმოიდგინება. ამიტომ, ვფიქრობთ., ამ მუხლის ადგილი: „...велети мне казнити и отсылати на Терку и в Астрахан ко государским

7. რომ ის (ალექსანდრე მეფე) შვილებით და მთელი ქვეყნით ხელმწიფის სამსახურს შეუდგება წაუვალად, გულმართლად და თავდადებით;

8. რომ ის (ალექსანდრე მეფე) თავს იდებს ყოველწლიური მოსაკითხი უგზავნოს ხელმწიფეს, — ნაცვლად 50 ოქრონემსული ყიზილბაშური ფარჩისა და 10 ოქრო-ვერცხლით ქსოვილი ნოხისა ისეთი ლარით, რაც მის ქვეყანაში მოიპოვება[6].

დანართი № 1

ალექსანდრე მეფის ფიცის წიგნი

Целую крест великому государю царю и великому князю Федору Ивановичю всея Русии я, Александр начальник княз Иверские земли, и з детми своими Ираклием и Давитом и Георгием и с своими сановными людми Иясоном и Горджаспом и Шермазаном и Залом и Давитом и Андерманом и за всю Иверскую землю на том, что посылал есми к великому государю царю и великому князю Федору Ивановичю вся Русии бити челом людей своих свещенника Иакима и Кирила старца и Хуршита, чтобы великий государь царь и великий княз Федор Иванович всея Русии меня пожаловал и мою всю Иверскую

воеводам" უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:... велети мне казнити и о том отписати на Терку и в Астрахан..., როგორც ამას უჭერს მხარს თედორე მეფის წყალობის სიგლის სათანადო ადგილი, სადაც ლაპარაკია ჩვენ მიერ ეჭვის ქვეშ დაყენებულ საფიცრის წიგნის მუხლზე:... „и тебе, Александру царю, и детем твоим про тех лихих людей сыскивая, велети их казнити и к нашим воеводам к Астараханским и Терским о том отписати" (გვ. 89).

ჩვენს ამ შესწორებას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ სხვა საფიცრის წიგნები თუ ასეთი წიგნების პროექტები თეიმურაზ კახთა მეფისა, ლევან დადიანის და ალექსანდრე იმერთა მეფისა) ჩვენი საფიცრის წიგნის ამ ადგილს არ იმეორებენ. დასახელებულ წყაროებში ეს ადგილი არსებითად ერთნაირია და იკითხება: „...и мне тех своих людей (Иверские земли ან Дидианские земли ან Меретинские земли), сыскивая про их вины, казнити и от воровства унимати" (როგორც ვხედავთ, ამ საფიცრებში არა თუ отсылати, აღარც отписати მოიპოვება. ჩანს, სინამდვილეში ეს უკანასკნელიც კი არარეალური აღმოჩენილა და უარუყვიათ კიდეც...).

ჩვენი საფიცრის წიგნის (ისე როგორც მისი ასლის) ეს შეცდომა გრაფიკულ ნიადაგზე შესაძლებელია წარმოსდგებოდეს და ან გამომცემელს უშუალოდ ან კიდევ მის წყაროს მიეწერებოდეს.

[6] Белокуров. Сношения... 32—33.

землю, держал под своею царскою рукою и своем царском имяни и оборонят бы меня и мою землю ото всяких моих недругов велел.

И великий государь царь и великий княз Федор Иванович всея Русии своим великим жалованьем пожаловал меня и мою Иверскую землю, под свою царскую руку взял и быти велел своим воеводам от наших недругов оберегати меня и мою землю велел.

И мне, Александру князю, и моим детем и всей моей Иверской земле быти под государя царя и великого князя Федора Ивановича всея Русии под его царскою рукою быти от великого государя царя и великого князя Федора Ивановича всея Русии и от его детей, которых ему государю вперед бог даст, неотступну быти и лиха мне и моим детем и всей земле Иверской, великому государю царю и великому князю Федору Ивановичу всея Русии и его детем, Которых ему государю вперед бог даст, ни которого не хотети, ни мыслити и от великого государя царя и великого князя Федора Ивановичю всея Русии к иным ни х которым государевым недругом не приставати, людей своих к ним на помоч на великого государя царя и великого князя Федора Ивановича всея Русии земли и ни на которые места не посылати и государя царя и великого князя Федора Ивановича всея Русии другу другом быти, и недругу недругом быти. А хто будет государю царю и великому князю Федору Ивановичю всея Русии друг, тот и мне, Александру князю, друг; а хто государю царю и великову князю Федору Ивановичю всея Русии недруг, тот и мне недруг.

А которые мои люди Иверские земли учнут государю царю и великому князю и государевым людем, которые будут в государеве городе на Терке и в Астрахани, лихо мыслити,—и мне тех своих людей Иверские земли, сыскивая про их вины, которые учнут приежжая в государев город на Терку вороват и какую измену делати, велети мне казнити и отсылати на Терку и в Астрахан ко государским воеводам.

И служити мне и моим детем и людем всею Иверской землею великому государю царю и великому князю Федору Ивановичю всея Русии и от него не отставати ни которыми обычай ни которою хитростью и быти неотступну со всею Иверскою землею и во всем государю мне прямити по сей записи и до своего живота, как в сей записи писано.

И поминки мне к великому г. ц. и в. князю Федору Ивановичю всея Русии посылати по все лета против пятидесят камок кизылбашских золотных да десяти золотом и с серебром ковров тем которые узорочья в моей земле есть.

თედორე მეფის წყალობის წიგნი (შინაარსი)

წყალობის სიგელში მფარველი (თედორე მეფე) უცხადებდა ხელდებულს (ალექსანდრე მეფეს):

1. ამას წინათ ელჩები იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ხურშიტი მოგვივლინეო, წიგნითაც გვეაჯეო და ელჩებისათვისაც ზეპირი სიტყვის მოხსენება გებრძანებინაო, რათა შეგიწყალო, შენ და შენს ქვეყანას მფარველობის ხელი დავსდო, ხოლო თერგზე ციხეების აგება ვბრძანო და შიგ ჩემი მეციხოვნეები შევაყენოო;

2. ჩვენც შენი აჯა ვისმინეთო, შეგიწყალეთ და შენ, შენს შვილებს და მთელ ივერიის ქვეყანას მეფური (მფარველობის) ხელი დაგდევითო და შენთვის თერგზე ციხის აგება ვბრძანეთო და შიგ ჩვენი ჯარი განვაწესეთო და შენი და შენი ქვეყნის დაცვა ყველა შენი მტრისაგან ჩვენს ასტრახნის და თერგის სარდლებს უბრძანეთო;

3. და სიმტკიცისათვის, თუ როგორ უნდა ეგებოდეთ შენ და შენი ქვეყანა ჩვენი წყალობის ქვეშ, მოციქულები როდივონ ბირკინი და პეტრე პივოვი გამოვგზავნეთო და შენ, ალექსანდრე მეფემ, შენმა შვილებმა ერეკლემ, დავითმა და გიორგიმ და შენმა მოხელეებმა მთელი ქვეყნის პირით ჩვენი მოციქულების წინაშე ერთგულება შემოგვფიცეთო და საფიცრის წიგნი შენ, ალექსანდრე მეფის მიერ ხელჩართული და დაბეჭდული ჩვენი მოციქულების ხელით გამოგვიგზავნეო და შენი ელჩები: თავადი ყაფლანი, კირილე ბერი და ხურშიტი ვედრების წიგნით გვაახელო და ზეპირი სიტყვითაც მოგვახსენესო, რათა შენ და შენი ქვეყანა შეგიწყალოთ, დაგიფაროთ და ურჯულოთა ხელში არ მიგცეთო, ხოლო შამხალს ლაშქარი გაუსიოთ და გზა შენი ქვეყნიდან ჩვენს სახელმწიფომდის გავწმინდოთო;

4. და ჩვენ, თედორე მეფემ, შეგიწყალეთ და შენ, ალექსანდრე მეფე, შენი შვილები და მთელი შენი ქვეყანა ჩვენი მფარველობის ქვეშ მიგიღეთო და შენი და შენი ქვეყნის დაცვა ყველა შენი მტრისაგან ჩვენს ასტარხანის და თერგის სარდლებს უბრძანეთ, ხოლო ჩვენს ურჩსა და შენს მტერს შამხალზე ჯარის გასევას და გზის გაწმენდას შენი ქვეყნიდან ჩვენ სახელმწიფომდის ვბრძანებთო; შენი ელჩები, შეწყალებულნი, ჩვენს ელჩებთან, თავად

სიმონ ზვენიგოროდსკისთან და მდივან ტორხ ანტონოვთან ერთად გამოვისტუმრეთო და ეს წყალობის სიგელი, ოქრობეჭედით, ჩვენი ელჩების ხელით გამოგიგზავნეთო;

5. შენ, ალექსანდრე მეფე, შენი შვილებით და მთელი შენი ქვეყნით (ამიერიდან) ჩვენი წყალობისა და ხელქვეშ უნდა იყო და ჩვენ და ჩვენს შვილებს და ჩვენს სახელმწიფოს არ უნდა წაგვიხვიდე და არავის ჩვენს მტერს არ უნდა მიუდგე და არც შვილი რომელიმე ჩვენს მტერს ჩვენი ჯარის წინააღმდეგ დაახმარო, არამედ შენ და შენი შვილები მთელი შენი ქვეყნის ჩვენი მტრების წინააღმდეგ უნდა დადგეთ ჩვენს ასტარხანისა და თერგის სარდლებთან ერთადო;

6. და ხარკი შენ, ალექსანდრე მეფემ, უნდა ყოველწლიურად გვიგზავნო (იმ საქონელით), როგორი ლარიც კი შენს ქვეყანაში მოიპოვებაო;

7. ვინც მთავარი, მურზა, ჩვენი ურჩი აღმოჩნდება, ჩვენს მამულ ასტარხანსა და თერგის ციხეს არ მიუდგება და ჩვენი წყალობის ქვეშ ყოფნას არ ისურვებს, — იქნება ის შამხალი, ჩერქეზთ მთავარი, თუ სხვა მთიელი ვინმე მთავარი, — შენ, ალექსანდრე მეფემ, შენი შვილებით და მთელი შენის ქვეყნით, იმ ჩვენი ურჩის წინააღმდეგ შენს ასტარხნის და თერგის სარდლებთან ერთად უნდა გამოხვიდე ან შენი ლაშქარი უნდა გამოგზავნო და ჩვენ ჯართან ერთად ის ჩვენი უსმინარნი ჩვენი ნებისაებრ ჩვენს მამულ ასტარხანს და თერგის ციხეს მოიყვანოთ და მძევლები გამოართვათ იმის საწინდრად, რომ ამიერიდან ისინი ჩვენ სარდლებთან და შენთან ერთად ჩვენი მტრების წინააღმდეგ დადგებიანო;

8. და თუ ვინმე ჩვენიანს მამულის ასტარხანისა და თერგის ციხის წინააღმდეგ გამოვა, შენ, ალექსანდრე მეფე, შენი შვილებით და მთელი შენი ქვეყნით უნდა ჩვენს მამულ ასტარხანსა და თერგის ციხეს მიეშველო და ჩვენი მტრების წინააღმდეგ ჩვენს სარდლობასთან და ჯართან ერთად გამოხვიდეო;

9. ასევე, ვინც შენი მტერი შენს წინააღმდეგ შენს ქვეყანაზე წამოვა ან ლაშქარს მოგისევს,—ჩვენი ასტარხანის და თერგის სარდლები უნდა შენ საშველად გამოვიდნენ და ყველა შენი მტრის წინააღმდეგ შენთან ერთად დადგნენო;

10. და შენ, ალექსანდრე მეფემ, შენი შვილებით და მთელი შენი ქვეყნით არა რაი ზაკვა და ბოროტი ჩვენი ხალხის წინააღმდეგ არ უნდა ისაქმოვო და თუ ვინმე შენი ქვეყნის კაცი ჩვენი სარდლებისა და ჯარის წინააღმდეგ ასტარხანსა თუ თერგის ციხე-

ში ან სხვაგან სალაშქროს ღალატსა და ორგულობას იკადრებს და შენ შეიტყობ, უნდა შენ, ალექსანდრე მეფემ, და შენმა შვილებმა ის დამნაშავე აღმოაჩინოთ და დასაჯოთ, ხოლო ამის შესახებ ჩვენს სარდლებს ასტარხანსა და თერგში მისწერეთო;

11. და შენ, ალექსანდრე მეფემ, შენი შვილებით და მთელი შენი ქვეყნით უნდა გულმართლად გვემსახურო ისე, როგორც ეს საფიცრის წიგნით აღგვითქვი და როგორც ამ წყალობის წიგნში სწერიაო;

12. უაღრესი სიმტკიცისათვის ამ ჩვენს წყალობის წიგნს ჩვენი ოქრობეჭედი ჰკიდიაო[7].

დანართი № 2

თეიმურაზ მეფის წყალობის წიგნი

(После богославия и полного титула)... и иных многих государств государь Иверские земли началнику Александру царю милостивное наше царское слово с великим жалованьем и крепкое защищенье богопособные нашие царские власти тебе, Александру царю, и всей твоей Иверской земле, бестрашное пребывание в нашем царьском защищении ото всех твоих недругов.

Преж сего присылал еси к нашему царьскому величеству людей своих священника Иакима да старца Кирила да Хуршита с своею грамотою; а в грамоте своей к нашему царьскому величеству писал еси и речью с людьми своими нашему царьскому величеству бити челом приказывал еси, чтобы нам тебя, Александра царя и всю твою Иверскую землю пожаловати, приняти под свою царскую руку и держати в своем царском имени и во обороне ото всяких твоих недругов для христьянские веры и на Терке б нам велети городы поставит и людей своих в тех городех держати.

И мы, грамоту твою и речи выслушав милостивно, твое челобитье приятно учинили и тебя Александра царя, и детей своих и всю землю Иверскую пожаловали еся, под свою царскую руку приняли и город на Терке для тебя поставити есмя велели и людей своих в нем учинили и тебя, Александра царя,

---

[7] Белокуров. Сношения... 87—89.

твою землю от всех твоих недругов своим Астараханским и Терским воеводам обороняти велели есмя.

А для укрепленья, как тебе и твоей земле в нашем царском жалованье быти, посылали есмя к тебе гонцов своих Родивона Биркина да Петра Пивова. И ты, Александр царь, и дети твои царевичи Ираклий и Давыд и Юрьи и твои чиновные люди за всю Иверскую землю нашему царскому величеству перед нашими гонцы перед Родивоном Биркиным да перед Петром Пивовым правду учинили, на записи крест целовали и запис целовалную ты, Александр царь, за своею рукою и за печатью к нашему царскому величеству с нашими гонцы прислал; а с ними вместе прислал если к нашему царскому величеству послов своих князя Каплана да старца Кирила да Хуршита с своею грамотою и с речми.—А в грамоте своей к нашему царскому величеству писал еси и речью бити челом приказывал, чтоб нам тебя и твою землю пожаловати, под своею царскою рукою держати и от твоих недругов обороняти и неверным не подат и на Шевкала рать своя послати и дорога в наши государства ис твоей земли очистити.

И мы великий государь и великий княз Федор Ивановичь всея Русии тебя, Александра царя, твоих детей и всю твою Иверскую землю пожаловали, под свою царскую руку приняли и обороняти тебя и твою землю ото всех твоих недругов нашим Астараханским и Терским воеводам велели есмя и на нашего непослушника, а на твоего недруга, на Шевкала рат свою послать и дорогу в наше государство ис твоей Иверской земли очистить велим. И послов твоих, пожаловав своим жалованьем, к тебе отпустили вместе с своими послы со князем Семеном Григорьевичем Звенигородским да з дияком с Торхом с Онтоновым; и сее свою жаловалную царскую грамоту з золотою печатью послали есмя к тебе с послы с нашими.

И тебе, Александру царю, и твоим детем со всею своею Иверской землею быти в нашем царском жалованье под нашею царскою рукою и от нас и от наших детей, которых нам вперед бог даст, и от наших государств не отстати и нашим недругом ни х которым не приставати и детей своих в помоч нашим недругом против наших людей не давати, а стояти тебе, Александру царю, и твоим детем со всею своею Иверской землею с нашими с Астараханскими и Терскими воеводами на всех наших недругов заодин.

Да и дан тебе, Иверскому Александру царю, к нашему царскому величеству присылати ежегод, что ся у тебя лучит в твоей земле которое узорочье.

А которые будет князи и Мурзы нашему царскому величеству непослушны будут и к нашей отчине к Астарахани

и к Терскому городу не пристанут и в нашем жалованье быти не хотят—Шевкал и Черкаские и горские князи хто из них,— и тебе, Александру царю, и твоим детем и всей твоей Иверской земле на тех на всех наших непослушников с нашими с Астараханскими и с Терскими воеводами самому на них ходити и рат своя посылати ив нашу волю их кнашей отчине к Астарахани и к Терскому городу под нашу царскую руку приводити с нашими людми вместе и заклады у них имати для укрепленья, что им с нашими воеводами и с тобою вместе стояти за один на всех наших недругов.

А которой будет наш недруг пойдет к нашей отчине к Астарахани или к Терскому городу или людей своих пошлет,— и тебе, Александру царю, и детем твоим со всею своей землею Иверскою нашей отчине Астарахани и Терскому городу помогати и против наших недругов стояти с нашими воеводами и ратными людми заодин.

Также которой будет твой недруг пойдет на тебя, Александра царя и на твою землю Иверскую или людей пошлет,— и нашим воеводам Астараханским и Терским тебе, Александру царю, спомогати и за тебя и за твою землю Иверскую против всех твоих недругов стояти с тобою заодин.

А тебе, Александру царю, и твоим детем и всем твоим людем, над нашими людми никоторые хитрости не чинити. А которые будет твои люди Иверские земли нашего царского величества над воеводами и над ратными людми, которые в нашей отчине в Астарахани и в Терском городе или где в походе будут, учнут какую измену или хитрость или какое лихо мыслити хто из твоих людей, а ты то сведаешь, — и тебе Александру царю, и детем твоим про тех лихих людей сыскивая, велети их казнити и нашим воеводам к Астараханским и Терским о том отписати.

И быти тебе, Александру царю, и твоим детем и всей твоей Иверской земле в нашем жалованье под нашей царской рукою и нам служити и прямити о всем потому, как еси нам з детми своими и с лутчими людми за всю Иверскую землю перед нашими гонцы перед Родивоном Биркиным и перед Петром Пивовым правду дал и на записи крест целовал и как в сей нашей царской жаловалной грамоте писано.

К сей нашей царской жаловалной грамоте на большое утверженье печать нашу золотую велели есмя привесити.

Писана в государствия нашего царствующем граде Москве лета от создания миру 7097 апреля месяца, индикта втораго, государствия нашего 6-го, а царств наших Российского 43-го, Казанского 37-го, Астараханского 35-го.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საანგარიშო მოხსენება*

მოსკოვ-ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებისა (1946 წ.)

საქართველოს ისტორიის შესწავლის ამ ახალ ეტაპზე, საბჭოური ქართული ისტორიოგრაფია რომ ჰქვიან, ახლებურად დგას არა მარტო ზოგადი ისტორიულ-ფილოსოფიური კონცეფციის საკითხი, ახლებურად დგას აგრეთვე ამ ისტორიისათვის საჭირო მასალის მოძიება-შესწავლის საკითხიც. ჩვენ, საქართველოს ისტორიის მუშაკებს, არა მარტო ის გვაბრკოლებს, რომ ხსენებული მასალის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუვლინებელია, არა ნაკლებ გვაბრკოლებს ისიც, რომ გამოვლინებულ-გამოცემული მასალა მეტწილად ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც ჩვენი დროის მეცნიერული ისტორიოგრაფია წყაროთმცოდნეობას უყენებს.

ამ ნაკლის შესავსებად კარგა ხანია ჩვენში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. საბჭოთა წყობილების დამყარებიდან დღემდე საქართველოს ისტორიის სარბიელზე მომუშავეებმა უხვად მოიძიეს აქამდე უცნობი პირველხარისხოვანი მასალა (წერილობითი, ზეპირი თუ ნივთიერი), მრავალი რამ ამ ახლად მოპოვებული მასალიდან მეცნიერულად დამუშავდა და გამოიცა, კიდევ უფრო მეტი შესწავლა-გამოცემას ელის. არა ერთი ძველი გამოცემაც გადასინჯულ იქმნა (კვლავ გამოიცა).

ასეთი წყაროთმცოდნეობითი მუშაობა დღესაც შეუნელებლად გრძელდება. მაგრამ ამ მუშაობის ტემპი და წარმატება მაინც ვერ აკმაყოფილებს განუზომლად უფრო სწრაფად მოზარდ მოთხოვნილებას და დღეს საქართველოს ისტორიის შესწავლის ამ უბანზე „ჩამორჩენა“ უფრო მეტად საგრძნობია, ვიდრე ის ამ ოცდაათიოდე წლის წინ, ან კიდევ უფრო ადრე იგრძნობოდა (იმ დროს

---

* პირველად დაიბეჭდა: მიმომხილველი, ტ. I, 1949, გვ. 333—360.

ბევრს გულუბრყვილოდ ეგონა, რომ მარი ბროსემ, თავისი მართლაც გასაოცრად ნაყოფიერი შრომით, საქართველოს ისტორიის წყაროების შემოკრება ერთიანად შეასრულა. ასე ფიქრობდნენო, ღიმილით იტყოდა ხოლმე განსვ. ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი, იმ დროის პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წრეებშიაც კიო).

საქართველოს ისტორიის მასალების აღმოჩენა-გამოვლინებისა თუ შესწავლა-გამოცემის საქმეს დღეს სათავეში სახელმწიფო-სამეცნიერო დაწესებულებანი უდგანან (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო კათედრები, საქართველოს ცენტრალური არქივი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და სხვა). მათ ყველა პირობა მოეპოვებათ იმისათვის, რათა აღნიშნული ჩამორჩენა დროულად გამოასწორონ და ქართული ისტორიოგრაფიის ეს დიდი საქმე წარმატებით გადაჭრან.

ამ მიზნით არის, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილებამ და სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ საქართველოს ისტორიის მასალების მოძიება-გამოცემის საქმეს თავიანთს სამუშაო ხუთწლიან გეგმაში საგანგებო ადგილი დაუთმეს.

საქმის ასეთ ვითარებას მიმდინარე წელს თან დაერთო ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის გარემოებაც. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა ზემდგომი ორგანოებისაგან საგანგებო დავალება მიიღო: საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის (XIX—XX სს.) შედგენა.

ამ საპასუხისგებო ამოცანის ღირსეულად შესრულება უპირველეს ყოვლისა საქართველოს ისტორიის შესაბამისი ხანის წყაროების სრულად შემოკრებასა და მათ კრიტიკულ შესწავლას გულისხმობს. ინსტიტუტმა კი კარგად იცის, რომ აღნიშნული მასალა არა თუ კრიტიკულად შესწავლილი, ამ მასალის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ მეცნიერულად აღრიცხულიც არ არის.

ასეთ პირობებში გასაგებია ის საგანგებო ღონისძიებანი, რომელიც მიმდინარე წელს ინსტიტუტმა დასახა XIX—XX სს. საქართველოს ისტორიის მასალების შემოკრების მიზნით. ერთი ამ ღონისძიებათაგანი იყო ის, რომ ისტორიის განყოფილების ათი თანამშრომელი (სამწუხაროდ, სხვებს არ მოუხერხდათ) წარსულ ზაფხულს მივლინებულ იქნა ლენინგრად-მოსკოვის არქივებში XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის მასალების მოძიებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგზავრების წინ განყოფილებაში შედგენილ იქნა მუშაობის გეგმა (მუშაობის წესი, მისი ფარგლები), როგორიც შეეფარდებოდა დასახული ამოცანის ხასიათს.

ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო გამგზავრება დათქმულ ვადაში ვერ მოხერხდა და არქივში სამუშაო ორმოცი დღე, ნავარაუდევი რომ გვქონდა, ოცდახუთამდე შემცირდა. ამის შესაბამისად მუშაობის გეგმაც, წინასწარ დაწყობილი, რამდენადმე შეიცვალა. მთელი ჯგუფის ერთად მუშაობა, — ერთ თვეს ლენინგრადს, ხოლო მეორე თვეს მოსკოვს, — უარყოფილ იქნა. დროს სიმცირე სხვა უკეთეს გამოსავალს არ იძლეოდა და ორი ჯგუფი შეიქმნა, რომელთაგან ერთი მხოლოდ ლენინგრადში იმუშავებდა, მეორე მოსკოვში.

მივლინებულთა მეტი წილი, პროფ. დონდუას მეთაურობით, ლენინგრადს გაემგზავრა: XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საარქივო მასალების მეტი წილი იქ არის დაცული; მეორე ჯგუფი მოსკოვს დარჩა.

მიუხედავად ამისა, ჯგუფები ერთი მეორეს მთლიანად არ მოსწყვეტიან და სათანადო კორესპონდენციის საშუალებით ურთიერთის მუშაობის კურსში ყოფნას ახერხებდნენ. მოსკოვში დავრჩით სამნი: ზურაბ ანჩაბაძე, ბეჟან გიორგაძე და ნ. ბერძენიშვილი. პირველი ამათგანი თავისი სადისერტაციო თემის შესახებ ლიტერატურას ეცნობოდა, მეორესაც სპეციალური ამოცანა ჰქონდა: საქართველოს ისტორიის მასალების ამოკრება დას. ევროპის საისტორიო ლიტერატურიდან. აღნიშნული ამხანაგები მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკასა და ლენინის სახელობის საჯარო სამკითხველოში მუშაობდნენ.

ასე რომ მოსკოვის არქივებში მუშაობა მხოლოდ მე დამრჩა. მე, რა თქმა უნდა, კარგად ვიცოდი, რომ ჩემს განკარგულებაში არსებული დროის განმავლობაში ბევრს ვერაფერს მოვასწრებდი, მაგრამ იმედი მქონდა, რომ საქმეს საფუძვლიანად დავიწყებდი მაინც. 21/VII უკვე მოსკოვში ვიყავი. დაბინავებამ და არქივში მუშაობისათვის გაფორმებამ სამი დღე წაიღო.

უშუალო საქმეს 25 ივლისს შევუდექი.

მოსკოვში რამდენიმე არქივია, სადაც საქართველოს ისტორიის მასალები მოიპოვება. დღემდე ცნობილთაგან უფრო მნიშვნელოვანია სამი არქივი: ЦГАДА (ძველ საბუთთა სახელმწიფო ცენტრალური არქივი, АМИД (საგარეო საქმეთა საბინისტროს არქი-

ვი) და ЦВИА (ცენტრალური სამხედრო ისტორიული არქივი). ЦГАДА-ში წელს ჩემი მუშაობა გამორიცხული იყო: იქ დაცული საქმეები 1721 წელს არ გადმოშორდება, მე კი წელს მხოლოდ XIX საუკუნის საქართველოს ისტორია მაინტერესებდა. დარჩა ორი არქივი. წესიერი იქნებოდა გავცნობოდი თითოეულ მათგანს და შემერჩია, თუ საიდან და როგორ დამეწყო მუშაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხსენებული არქივები იმდენად დამუშავებული არაა, რომ ასეთი გაცნობა სახელდახელოდ შესაძლებელი იყოს. საჭირო მეგზური მეტისმეტად მოკლედ (და არც განსაკუთრებით წიგნიერად) შედგენილი ჩანს და მასზედ დანდობა არ შეიძლება.

გადავწყვიტე საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივით დამეწყო. შიში არ მცილდებოდა, რომ მასალა მრავალი და საინტერესო აღმოჩნდებოდა და „ჩამძირავდა", მაგრამ გადაწყვეტილი მქონდა (უფრო კი თავს ვარწმუნებდი), რომ გულგრილობას დავიჩემებდი, სასიამოვნო ინტერესს არ გავეტაცებოდი და მასალას უკიდურესი ნაყოფიერებით გამოვავლენდი. თუმცა მაცდური ხმა მიჩურჩულებდა: არაფერია, თუ ბევრი რამ გადაუსინჯველი დაგრჩება, ო. მარკოვა და ე. ღვინიევა შეათავებენ — (ამ მოსკოველ მეცნიერ მუშაკებთან სათანადო ხელშეკრულებათა დადების რწმუნება მე მიღებული მქონდა ინსტიტუტიდან).

რა მხრით წავიდა ჩემი მუშაობა და რო.გორის წარმატებით,— ამას მიღებული შედეგი განსაზღვრავს, მე კი ვფიქრობ საშუალოზედ გავიარე და არც ერთი მხარე არ დამიჩაგრავს.

საბუთების გასინჯვა XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან დავიწყე. ეს აუცილებელია XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ამოსავალი პოზიციების მეცნიერული შემუშავებისათვის, რაც ხსენებული საუკუნის საქართველოს ისტორიის სწორად წარმართვის ძირითადი პირობაა. ვიმუშავე 24. VIII-მდე, ე. ი. 26 დღე. სამი კვირა დღე მოვცდი, არქივში მუშაობა არ იყო. გადავათვალიერე 74 საქმე (აქედან 5 აღწერილობა) ანუ 10350 ფურცელი (69×150ფ.) ხელნაწერი. აქედან ამოსაბეჭდად დავინიშნე 1455 ფურცელი (ანუ 2910 გვერდი). გადმოვიწერე ყველა ქართული საბუთი (ასეთი შემხვდა 90). ჩემ მიერ გასინჯული მასალის გვიანქრონოლოგიური ზღვარი 1804 წელია (Опись 110/VII, кн. 127. Дела Грузинские. Подлин. имян. Высоч. повеления... к генералу от инфантерии князю Цицианову, 1802—1804 гг.).

შინაარსის თვალსაზრისით კი აღნიშნული მასალა ფრიად მრავალფეროვანია.

ჩემ მიერ გასინჯული 69 საქმიდან 63 ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობია. 6 საქმე კი პროფ. ცაგარელსაც ხელთა ჰქონდა „Грамоты“ -ს შედგენისას. დაბეჭდილი მასალის კვლავ ამოკრება რომ არ დამჭირვებოდა, მე იძულებული ვიყავი თითოეული საინტერესო დოკუმენტი ამ საქმეებიდან პროფ. ა. ცაგარლის „Грамоты“-სათვის შემეწამებია (ასეთი ოპერაციისას გაირკვა, რომ პროფ. ა. ცაგარელის მიერ შესრულებულ საპატიო შრომას არსებითი ნაკლი ახლავს როგორც საბუთთა შერჩევაში, ისე მათ გამოცემაში. შერჩევა მეტისმეტად ნებისმიერი და დაუსაბუთებელი ჩანს, ხოლო ამოკრებილი მასალის გამოცემის არქეოგრაფიული ნაკლი ხშირად იმდენად არსებითია, — ტექნიკური მძიმე შეცთომებიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, — რომ საკითხს სვამს ამ საბუთების ხელახლად გამოცემის შესახებ). შინაარსის მრავალფეროვანობის მიუხედავად გასინჯული და ამოსაკრებად დანიშნული მასალა უპირატესად რამდენიმე ძირითად საკითხს აშუქებს: 1. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, 2. საქართველოს საკითხი ახლო აღმოსავლეთ საერთაშორისო ურთიერთობაში XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, 3. საქართველოს პოლიტიკურ-დიპლომატიური პოზიციები XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. სხვა მრავალი საკითხიდან, ჩვენი მასალა რომ შეეხება, ცნობისმოყვარეობის განსაკუთრებით აღმძვრელი ჩანს საფრანგეთის დიდი რევოლუციის გარკვეული კავშირი საქართველოს პოლიტიკური ბედის გადაჭრის საქმესთან XVIII საუკუნის მიწურულს.

უხვადაა აქ ცნობები საქართველოს საშინაო მდგომარეობის შესახებ. საგანგებო ყურადღების ღირსია ცნობები რუსეთის სამეფო კარის პოლიტიკური კურსის შესახებ საქართველოს მიმართ XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის სიგრძეზე და XIX საუკუნის დამდეგს. ეს საკითხი ახალი არაა, მოგეხსენებათ, მაგრამ ისტორიულ-მეცნიერულად, სრულად და დამაჯერებლად ის დღემდის შეუსწავლელია.

აქ კვლავ მინდა შევნიშნო, რომ ჩემ მიერ შერჩეული მასალა, მისი სიდიდის მიუხედავად, მაინც სრული არაა თუნდაც ერთი რომელიმე ამ საკითხის გადასაჭრელად. ჩვენს მუშაობაში ამა თუ იმ საკითხის მიხედვით კი არ ხდებოდა მასალის მოძიება და ამოკრება,

არამედ პირუკუ: საქმეებში აღმოჩენილი მასალის მიხედვით იბადებოდა თემები. ჩვენი არქივების დამუშავების საქმე ჯერ კიდევ მეტად შორსაა იმ მდგომარეობიდან, რომ ამა თუ იმ საქმის შემცველი მასალა, უპირატესად მაინც, ამა თუ იმ თემას ეძთხვეოდეს. თითოეული ასეთი თეძისათვის ამომწურველი მასალა, ამიტომ (რამდენადაც ეს მასალა გადარჩენილია) ჩვენ გვექნება მაშინ, როცა ყველა არქივს, გამოუკლებლად, გავიხილავთ და საჭირო დოკუმენტებს ამოვიღებთ.

ჩემი ეს მოხსენება, თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, მუშაობის სამეცნიერო ანგარიშიც არ არის. ის უფრო იმ შთაბეჭდილების გაზიარებას ისახავს მიზნად, ავტორმა რომ აქამდე ნაკლებად ნაცნობი მასალის გადასინჯვისას მიიღო.

ჩემს ამ შთაბეჭდილება-ანგარიშს მე მოგაწოდებთ იმ თანმიმდევრობით და იმ სახით, როგორც ის იქვე მასალაზე მუშაობისას ჩავიწერე. მე იძულებული ვარ აგრე მოვიქცე, რადგან მასალა, რომელზედაც შეიძლებოდა მუშაობის ზუსტი სამეცნიერო ანგარიში აგებულიყო, ჯერ კიდევ ვერ მივიღე (მის ამობეჭდვას მხოლოდ ეხლა, 10/XII, 1946—იწყებენ). ზეპირ მსჯელობას კი, ბუნებრივია, ვერ ვბედავ.

ამავე დროს, და ამიტომვე, ჩემი ეს მოხსენება-შთაბეჭდილება შეეხება არა მთელს ჩემ მიერ განხილულ მასალას, არამედ მის იმ ნაწილს, რომელიც ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის მეტწილად უცნობია.

მოსკოვი. 7/VIII. „Сношения России с Турцией“, არქივი „АМИД“.

ეს ფონდი თითქმის სრულიად ახალი წყაროა საქართველოს ისტორიისათვის. (ამის გვერდით უნდა შესწავლილ იქნას ფონდი „Сношения России с Персией“. ამ ფონდებში უმდიდრესი მასალა მოიპოვება საქართველოს შესახებ და ეს არა მარტო მისი საგარეო ურთიერთობის ხაზით. ამაში დასარწმუნებლად ვესელოვსკის მიერ გამოცემული მასალებიც საკმაოა).

ძვირფას ცნობებს შეიცავს ელჩების „რელაციები“. აქ კარგად ჩანს როგორც რუსეთის კარის დამოკიდებულება იმ ამბებთან, საქართველოში რომ ხდება, აგრეთვე ისიც, თუ როგორ უყურებს ამავე მოვლენებს ოსმალეთი; როგორ გახმაურებულა ამიერკავკასიაში და მის მეზობელ ქვეყნებში თეიმურაზის რუსეთში გამგზავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება (ერეკლე უნდა მთელი კავკასიის ბატონი შეიქნეს, რომ ასეთი რამ რუსეთის კარის გეგმაში შედის). სხვათა შორის, ამ რელაციების საგანია სოლომონის გმირული ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ 1763—1767 წლებში, ძალაუნებური ზავი, პორტა რომ სდებს იმერეთის მეფესთან. სოლომონის (და ერეკლეს) თავდადებული ბრძოლა, და არა მხოლოდ მოგერიებითი, ოსმალეთის წინააღმდეგ 1775/1776 წლებში, ერეკლეს მონაწილეობა ერან-ოსმალეთის კონფლიქტში 1776 წელს (რელაციებით ერეკლე ერანის მხარეზე ჩანს...) განსაკუთრებით საინტერესოა ოსმალეთის დამოკიდებულება 1783 წლის აქტთან: მას არ სურს იცნოს ეს აქტი და გარკვევით ცდილობს ჩაშალოს ის (ეს იასე ცინცაძის მიერ დამზადებული — ВУА ფონდი — მასალიდანაც ჩანს). კარგად ჩანს, თუ რა პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთი ბატონიშვილების — მირიანის, დავითის — რუსეთს წაყვანას (ძველი მძევლობის გადმონაშთი). ოსმალეთი 1783 წლის აქტის საწინააღმდეგოდ თვით აცხადებს (თუმცა არაოფიციალურად) ერეკლეს სამეფოზე სუვერენობის პრეტენზიას (1778 წლის შეთანხმებას თუ ემყარება...), და ერეკლესადმი მოწოდების (არზრუმის ფაშის წერილი ერეკლეს, — ცინცაძის მასალა) გვერდით ზემოქმედების სხვაგვარ საშუალებასაც მიმართავს: ლეკები და ახალციხის სულეიმან-ფაშა. ლეკი აბრაგები ხშირად არიან ხონთქრის კარზე, ხოლო სულეიმან-ფაშა მთავარი ორგანიზატორია ქართლის აოხრებისა. ამ რენეგატს თავისი საკუთარი მიზნები აქვს: სერასკერობა სურს მოიპოვოს. ის არც თავწამკვდარი ერთგულია ხონთქრის (ხონთქრის მიერ მასთან მივლინებულ მოხელეს ის არ ენდობა და თავისთან არ მიუშვებს, ხმებიც კი დადის, რომ ის იმერეთის მეფესთან (სოლომონთან) კავშირშია ხონთქრის წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, ტიპიური ფაშაა იმ დროის ოსმალეთში...

სრულიად ახალია ცნობა გმირი ხუდია ბორჩალოელის შესახებ, რომ ის ჭრილობებისაგან გარდაიცვალა 1787 წელს.

ტიპიურია ახალციხის ფაშის ხერხი: ქართველ ტყვეებს ყიდულობს ქურდ ლეკებისაგან ან იმერელ ტყვისმსყიდველთაგან, გზავნის მათ გასასყიდად სტამბოლის ბაზარზე, ხოლო აგენტებს აყვირებს, რომ ესენი ერეკლეზე გამარჯვებისას ნაშოვნი ტყვეები არიან და ხონთქრისაგან ამ სამსახურისათვის წყალობას ელის...

სრულიად ახალია დავით იმერეთის მეფის საქმე. ის თავწამკვდარი მტერია ოსმალეთისა. მისი მტერი ერთმე წ ულ უ კ ი ძ ე (ბე-

რი, გიორგი?) სტამბოლსაა, ბედს ეძებს. გამდგარ თავადს შველის ა ქ ქ ე ლ ე შ-ბ ე ი, რომელსაც, ჩანს, ნდობა მოუპოვებია ხონთქრის კარზე. ქელეშ-ბეი არწმუნებს ხონთქარს, რომ წულუკიძე ადვილად დაუმორჩილებს მას აჯანყებულ იმერეთს და ხარკსაც დაიკისრებს. ხონთქარი ქელეშის ხელით ეხმარება წულუკიძეს და დავითის წინააღმდეგ გზავნის მას. დავითმა კი ორი დიდკაცი (ზურაბ წერეთელი და მაქსიმე კათალიკოზი) რუსეთს გაგზავნაო დახმარების მისაღებად...

საინტერესო სურათი ჩანს „Кизлярские и моздокские дела"-დან: XVIII საუკუნეში იმიერკავკასიაში ახალი მოსახლეობა ჩნდება. რუსული ხელისუფლება აქ მშვიდობასა ქმნის და დაბა-სოფლებში თუ ქალაქებში მოდიან... ქართველი და სომეხი (ე. ი. საქართველოს) ტყვეები ყირიმიდან, ყაბარდოდან, საჩაჩნო-დაღისტნიდან. აქ სხდებიან და სამშობლოში კი აღარ მიდიან (რუსული ხელისუფლებაც არ შეელევა მათ ადვილად). და არ მიდიან, უმთავრესად, იმიტომ, რომ სამშობლოში არაა „კულტურული" ცხოვრების პირობები. ერეკლეს ცნობილი კანონი ტყვეობიდან თავისი ღონით დაბრუნებულთა შესახებ და სხვა საგლეხო კანონები ამ მოვლენის წინააღმდეგ მიღებული ბრძნული ღონისძიება იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ერეკლეს კანონები სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდა თავადურ ქართლ-კახეთში და, მეორეც, ერეკლეს ხელთ არ იყო „კულტურული" არსებობის პირობათა მინიმუმის უზრუნველყოფის საშუალება: ქვეყანა ლეკიანობას გაევერანებინა: ოსმალეთი პლჯუს გადაგვარებული თავადურ-ბატონყმური წყობილება გარდაუვალს ქმნიდა ლეკთა თარეშს, ლეკიანობას ჰკვებავდა ისე, როგორც ჰკვებავდა ტყვეთა სყიდვას დასავლეთ საქართველოში. ქართველი მოსახლეობა იმიერკავკასიაში (პეტრეს დროიდან დაიწყო) ეს იყო ცოცხალი გამოხატულება საქართველოს სახელმწიფოებრივობის ღრმა კრიზისისა (ამავე რიგის იყო ვაჭართა ლტოლვა საქართველოდან)... და ჩქარა, XVIII საუკუნის მიწურულს, იმიერკავკასიაში ესახლებიან არა მარტო ტყვეყოფილები (და საქართველოდან რუსეთისაკენ არა მარტო ვაჭრები მოიწევენ), არამედ გარბიან გლეხებიც კი. ეს კიდევ უფრო მძიმე კრიზისის ნიშანი იყო.

მოსკოვი, 12/VIII. დღეს, 12 აგვისტოს, ჩემ მიერ ნაპოვნი საბუთები განსაკუთრებით საინტერესოა: 1774 წლის შემდეგ რუსეთის კარი ერეკლეზე გაბუტულივით იყო. ტოტლებენის გაბახება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მეფის კარმა, ტოტლებენის თანამოაზრეებმა, ვერ აპატიეს ერეკლეს. ეკატერინე დაარწმუნეს ერეკლეს არასანდოობაში. ამის გამოძახილია, ეკატერინე რომ აღნიშნავს ერეკლეს თავკერძობას ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით დემოსტრაციულად ხაზს უსვამს სოლომონ იმერთა მეფის გულწრფელობა-ერთგულებას (მანიფესტი...). ერეკლეც, ჩანს, საქმის კურსშია და, მართალია, არ გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას (რა სარგებელი იყო, რომ საყვედურობა დაეწყო...), მაგრამ ისეთ პოლიტიკურ ნაბიჯებსა სდგამს, რომ რუსეთის კარს მოსვენებას უკარგავს და თავს დააფასებინებს. ერეკლე 1776—1777 წლებში ოსმალეთს უახლოვდება სპარსეთის წინააღმდეგ.

რუსეთის სტამბოლელი ელჩი სტახიევი შეშფოთებულია: სტამბოლში ერეკლეს ელჩი გიორგი (გურგინა ენაკოლოფაშვილი?) ჩამოვიდა. ის თავისი მხლებლებით სულეიმან-ფაშის მორდალმა ჩამოიყვანა. სტახიევი ერთი მოხსენებით ატყობინებს ამ ფაქტს რუსეთის მეფეს და, თითქო სანუგეშოდ, ურთავს რომ ერეკლეს ელჩი ცუდად მიიღეს. ვეზირმა აუდენციისას ის არც კი დასვა. თითონ რომ დამჯდარი მიირთმევდა ყავას, ელჩი ფეხზე მდგომი სვამდაო, მცირედაც დაასაჩუქრეს და არც სულტანი აპირებს მის მიღებასო, ხოლო სულტანს ერეკლესი და მისი მოკავშირე ხანებისა (ერევნის...) არა სწამს და ამიტომ არც საჩუქრებს გაუგზავნისო... სხვა რელაციიდან ჩანს, რომ სტახიევი დიდად ცდილობს გაიგოს ამ ელჩობის ნამდვილი შინაარსი, მაგრამ ვერაფერი მოუხერხებია: ოსმალეთის კარი თურმე ერეკლეს ელჩს არავის უჩვენებდა... კიდევ ერთხელ ატყობინებს პეტერბურგის კარს სტახიევი ერეკლეს ელჩის უპატიობის შესახებ, მაგრამ უცბათ ერთერთ მოხსენებაში სრულიად გარკვეულად და კატეგორიულად სწერს, რომ სულტანმა ერეკლეს ელჩი მიიღო და წყალობის თვალით შეხედა მას, ხოლო შემდეგ რელაციაში ასევე კატეგორიულად ატყობინებს იმპერატორის კარს აშკარად გაწბილებული სტახიევი, რომ ერეკლესა და ოსმალეთის სულტანს შორის სამეგობრო და საკავშირო ტრაქტატი დაიდო (ამის წინ კი სწერდა: სულტანმა მხოლოდ ის მუხლები მიიღო ერეკლეს წინადადებიდან, რომელიც მისთვის ოდენ გამოსადეგი იყოო. აქედან საინტერესო ისაა, რომ ხონთქრისათვის საკავშირო პირობები ერეკლეს წარუდგენია. კერძოდ, ერეკლე ქერიმ-ხანის წინააღმდეგ გამოსვლას ჰპირდებოდა ოსმალეთს ერევნისა და სხვა მის მომსმენ ხანებთან ერთად...).

ეხლა სტახიევის ცდა იმაშია, რომ როგორმე გაიგოს ამ ტრაქტატის შინაარსი და თავის აგენტს (სომეხ ვაჭარს) თან გააყოლებს ერეკლეს ელჩს საქართველოში. აგენტმა უნდა ნამდვილი შეიტყოს და ორი თვის ვადაში ცნობები სტახიევს უნდა ჩამოუტანოს, რისთვისაც გასამრჯელოდ 300 პიასტრს მიიღებს.

ჩანს, რუსეთის კარი შეშფოთებულია ერეკლეს პოლიტიკური ნაბიჯებით. უეჭველია, რუსეთი შეეცდება სათანადო ღონისძიებანი მიიღოს, რომ ერეკლეს გეზი შეაცვლევინოს (ჩერქეზ გადმოსახლებულთა დაკავება, ალექსანდრე ამილახვრის აშვება, ალექსანდრე ბაქარის-ძის ფათალი-ხანთან გაჩენა და თვით ფათალი-ხანის აქტიურობა ერეკლეს წინააღმდეგ — ყველა ეს რუსეთის მეფის მიერ მიღებული კონტრზომები ჩანს). ერეკლეს ამ კურსის შედეგი იყო, რომ რუსეთმა უკეთეს პირობებში დაუდო მას ტრაქტატი, ვიდრე ერეკლე სთავაზობდა 1771 წელს... საინტერესოა, რომ ერეკლე თავისი ყმადნაფიცებით უკრავს კავშირს ოსმალეთს: მას სურს სპარსეთს ჩამოშორდეს მთელი აღმ. ამიერკავკასიით...

13. VIII. 1780 წელს თებერვალში (თუ მარტის დამდეგს) ერეკლეს ელჩი კვლავ სტამბოლს ჩასულა. სტახიევი მეფის კარს ატყობინებს, რაც კი ღირსშესანიშნავი ხდება ოსმალეთში.

იმავე ხანებში სტახიევს ატყობინებენ (გორელი მისიონერი სტამბოლში სწერს ვიღაცას, რომელიც, თავის მხრივ, სტახიევს აცნობებს), რომ ერეკლემ 1779 წელს ერევნის ქვეყანა გაანადგურა, 200 ათასი ოჯახი სომეხი და სპარსელი საქართველოში გადმოასახლა (საინტერესო ცნობაა იმის სანიმუშოდ თუ რამდენად საფრთხილოა ციფრები, თუნდაც თანამედროვის და ჭკვიანი კაცის მოწოდებული). ამავე დროს ერეკლეს მიერ ხელის შეწყობით გაძლიერდა მისი მომსმინო იბრეიმ-ხანი, თავრიზისა და ხოის (?) ხანების წინააღმდეგ რომ იბრძვის. ერთი სიტყვით, ერეკლე ანგარიშ-გასაწევი ძალაა (და ეს იმ დროს, როცა რუსეთის მთავრობა მას გაბუტვიასავით), და რაც კიდევ უფრო საყურადღებოა, ეს აღმ. ამიერკავკასიის ჰეგემონი ოსმალეთს უკავშირდება. ოსმალეთი, ისე გამოდის, რუსეთის დიპლომატიას ცდილობს აჯობოს, ცდილობს გამოიყენოს რუსეთის კარის შეცდომა (ერეკლეს რომ უარი უთხრეს მფარველობაზე და არც არაფერი სამეგობრო აჩვენეს 1776—1778 წლებში), ოსმალეთი რეალურად აფასებს, ისე ჩანს, ერეკლეს და კავშირით ეკვრის მას და მისი საშუალებით, საფიქრებელია, დაამარცხებს ერანს, გაიერთგულებს მთელს ამიერკავკასიას... ასე რომ

1768—1774 წლებში რუსეთის ღვაწლი ამიერკავკასიაში ლამის არის სულ წარიხოცოს... ამავე დროს ერანი კვლავ აირია და მისი მემკვიდრეობის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დადგა და უფრო ცუდ პირობებში რუსეთისათვის, ვიდრე ეს იყო პეტრეს დროს: მაშინ ვახტანგი და სომხები (ყარაბაღი) პეტრეს უცდიდნენ 40000 კაცით, აქ კი ერეკლე აღმოსავლეთ ამიერკავკასიით, იბრეიმ-ხანი ყარაბაღით — ოსმალეთის მოკავშირენი...

ოსმალეთის კარმა კარგად იცის, რომ სტამბოლის საელჩოები მზვერავებია. ერეკლეს ელჩი ვინმე Карум ага, грузинец магометанской веры, მიიღეს და ისე ჰყავთ ჩაკეტილი, რომ მისი ნახვა შეუძლებელია და, მაშ, იმის გაგებაც, თუ რისთვის არის ის მოსული.

ამავე დროს რუსეთ-ოსმალეთს შორის ომი ყოველ წამში მოსალოდნელია: ყირიმის საკითხი უმწვავესად დგას და გადაჭრას ელის: „დამოუკიდებელ“ ყირიმს არც ერთი შეიწყნარებს, არც მეორე... და ასეთ პირობებში ერეკლე მოუშორებია რუსეთის დიპლომატიას და ოსმალეთისათვის მიუცია ის უბეში.

ამავე დროს ერეკლე შესანიშნავად აქტიურობს: ის ენერგიულად ერევა ერანის შინაურ საქმეებში (მან კარგად იცის, რომ ერანის პოლიტიკური ვითარების საკითხი საქართველოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა) — მისი წონა აქაც დიდია. ერეკლე ცდილობს ეს საქმე თავისთვის სასურველად წაიყვანოს: ქერიმ-ხანის შვილის წინააღმდეგ გამოსულა. ერთი სიტყვით, ერეკლე დიდი ფიგურაა (ამდენადვე სწორი ჩანს ომან მდივანბეგის თუ იესე ოსეშვილის შთაბეჭდილებანი, ამ დროის ერეკლეს შესახებ რომ გადმოგვცემენ).

ერეკლე ფასში შევიდა. მით უფრო საშიში იყო ასეთი რამ. თავის დაცვა და გადარჩენა, ყველასაგან დამოუკიდებლად განსაკუთრებით ძნელი ხდებოდა... ერეკლეს კი (საქართველოს) „აქილესის ტერფი“ მეტად ფართე და ადვილმისაგნები ჰქონდა: თავადურ-ბატონყმური ჩიხი და „ლეკიანობით“ გავერანებული ქვეყანა. გმირულად, გოლიათურად იბრძოდა ეს მარტოხელა კაცი (ოსეშვილი ასე ჰხედავს მას) ყოველი მხრით, შინ და გარეთ...

რუსეთის მთავრობამ სწრაფად და ენერგიულად სცადა საქმის (შეცდომის) გამოსწორება. მან ორმხრივი იერიში მიიტანა ერეკლეზე: თავადები, აშვებული ალექსანდრეები, ფათალი-ხანი, ჩერქეზთა გადმოსახლებისათვის ხელის შეშლა, იმიერკავკასიაში ჯარის დაქირავების შესაძლებლობის მოსპობა ერთი მხრით, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მხრით აგენტები მრავლად აამოქმედა ერეკლეს კარზე („ბროდიაგა“ რაინექსიც კი...) უხვი დაპირებებით...

და ერეკლემ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება... (არ ვიცით, ოსმალეთს როგორ ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა ხდებოდა და როგორი ფასის იყო ის, რაც ხდებოდა. როგორ მოხდა, რომ ოსმალეთმა ხელსაყრელი პოზიციები დაკარგა და ერეკლეს შენარჩუნებას არ შეეცადა...). ტრაქტატი („ერეკლეს თხოვნის თანახმად“) დაიდვა. ეკატერინეს ჰქონდა საამაყო: რუსეთმა გიგანტური ნახტომი გააკეთა და 1784 წელს მას უკვე სრულიად დაუშვებლად მიაჩნია ამ საკითხის გარშემო საუბარიც კი ოსმალეთთან!. ოსმალეთმა წააგო და საქმის შველა ლეკებით სცადა...

14/VIII. 1784 წელს ოსმალეთს აღმოსავლეთში უმთავრესი საზრუნავი საქართველოს საკითხი აქვს. ერეკლე გადაჭრით რუსეთს დაუკავშირდა... სოლომონი გარდაიცვალა. ოსმალეთი ენერგიულად შეეცადა იმერეთის საქმეებში ჩარევას. ის სწრაფად უგზავნის ჯ ა ნ ი კ ლ ი ა ლ ი-ფ ა შ ა ს (ტრაპიზონის ფაშა) ერთს ქართველ თავადს, რომელიც დიდხანს იყო სტამბოლს, — Киор бей-ს და ავალებს მას, რათა არ დაუშვას ერეკლეს დისწულის (?) იმერეთში გამეფება, არამედ ხელი შეუწყოს ოსმალეთის მომხრე კაცის — ქ ა ი ხ ო ს რ ო ა ბ ა შ ი ძ ი ს გაბატონებას.

ამავე დროს სტამბოლიდან სულეიმან-ფაშას უბრძანებენ, არ დაერიდოს ხაზინის დახარჯვას, რათა იმერეთში ქ ა ი ხ ო ს რ ო ა ბ ა შ ი ძ ე გააბატონოს, სტამბოლს ჩიფლიკში რომ ცხოვრობდა.

აქვე მოთხრობილია ჩაქვის ომი (ამ ომში დატყვევებულთა მოთხრობი). აჭარლებმა გურიის სოფლები დაარბიეს. სოლომონმა ახალციხის ფაშასთან იჩივლა. დაკმაყოფილება ვერ მიიღო. საპასუხოდ 6000 კაცით აჭარას შეესია. აჭარიდან ხალხი გახიზნული დახვედრია (დადიანს შეუტყობინებია მათთვის, სოლომონის ამოძრავების შესახებ). მოის გზაზე აჭარლები ჩასაფრებიან სოლომონის ჯარს. სოლომონი დამარცხებულა. 600 კაცი მოკლული დაუკარგავს, 200 კაცი ტყვედ წაუყვანიათ, 18 მარტო დიდკაცი დაღუპვია. ტყვეები სტამბოლს გაურეკიათ, ნაწილი ჯერ ტრაპიზონს დარჩენილა: 13/V მალემსრბოლი ჩამოსულა სტამბოლს და ჩაქვის ომის ამბავი ჩამოუტანია.

ამავე დროს ხმა დავარდა, ვიღაც ქართველი ელჩი მოვიდაო. სულეიმან-ფაშას გამოუსტუმრებიაო (როგორც შემდეგ გაარკვიეს, ეს ქართველი კი არა, ხოის ხანის ელჩი იყო).

ამასთან ერთად ცნობა მოვიდა ერეკლეს წარმატებათა შესახებ: ერევნის ხანი გარდაიცვალა, ერეკლემ მისი შვილი დასვა ხანად და ნახჭავანიც დაუქვემდებარა (?). ერეკლე ამავე დროს თავრიზის ხანს შეურიგდა რუსთა მეშვეობით, აქამდე რომ ძლიერ მტრობდნენ ერთმანეთსო.

1784 წელს ქართლ-კახეთსა და ოსმალურ საფაშოებს შორის ფაქტიური (თუმცა არა ოფიციალური) ომია.

ოსმალეთი განსაკუთრებულ ზომებს იღებს. ახალციხის ფაშად სულეიმან-ფაშის ნაცვლად დ ე რ ე ნ დ ე ლ მ ა ჰ მ ა დ-ფ ა შ ა ს ნიშნავენ და მას სერასკერობას მიანიჭებენ (1784 წ. 3 თებერვალი). ამავე დროს ჯანიკლი ალი-ფაშას არზრუმის ფაშად ნიშნავენ და აღმოსავლეთის საქმეებს მას მიანდობენ (ლეკები ფასში შედიან). ახალციხიდან ხშირია ცნობები ქართველების გააქტივების შესახებ... ქვეშევრდომები სტამბოლს დახმარებას სთხოვენ. აქაც ხშირი თათბირებია გამართული (დერენდელი მაჰმად-ფაშის დანიშვნა, თუ მართლა იყო, ფიქტიური აღმოჩენილა: ახალციხეში ამის შემდეგაც სულეიმან-ფაშა ზის. ქართველთა აგრესიულობა სულეიმან-ფაშის მოგონებული ფანდია. ეს ფაშა ნამდვილი პროვოკატორია ან, შეიძლება, ოსმალეთის კარის „განტევების კრავია“).

ცალკე მოსახსენებელია ერეკლეს მიერ ხალხის გაგზავნა ქაიროში და იქაური ფაშებისაგან პასუხის მიღება. საჩუქრებს უგზავნიან ურთიერთს. სამწუხაროდ, ცნობა არ გადმოგვცემს ამ მეგობრობის თუ „მოკითხვის“ შინაარსსა ან მიზანს.

საინტერესო დეტალი: ბულგაკოვი რაინექსს, რომელიც თურმე დიდხანს იყო სტამბოლს და აქედან ერეკლეს კარზე მოუკალათნია, ხოლო შემდეგ თავს „რუსეთის წარმომადგენელად“ ასაღებდა, უწოდებს „ბ რ ო დ ი ა გ ა ს“.

1784 წ. ოქტომბერი 7.

რუსეთი შეაშფოთა პორტას განზრახვამ იმერეთის ტახტზე თავისი კანდიდატის აყვანის შესახებ და ეკატერინე სწერს ბულგაკოვს, არ დაუშვას ასეთი რამ. უკიდურეს შემთხვევაში ეს საკითხი მსჯელობის საგნად გახადოს ოსმალეთსა და რუსეთს შორის და საკითხის გადაწყვეტამდე იმერეთში ცვლილება რაიმე არ უნდა მოახდინოს ოსმალეთმა.

რაც შეეხება ერეკლეს და, საერთოდ, ყოფილ სპარსეთის სახანოებს, აქ ოსმალეთის ჩარევა კატეგორიულად უარყოფილია.

ოსმალეთის კანდიდატია იმერეთის ტახტზე თავადი (ქაიხოსრო) აბაშიძე. ეს თავადი ოსმალეთში ფაშად უქცევიათ, ჯარს აძლევენ, გზავნიან. ოსმალეთი ბეცია: იმის მაგივრად, რომ იმერეთი მიიმხროს, მტერს იჩენს იქ... რუსეთი კი ბრძნულად მოქმედებს: იცავს მის მიერვე გათავისუფლებულ ხალხს და სურს, რათა ეს ხალხი თავის საკუთარი მმართველობის ქვეშ დარჩეს. მეფე, რომელიც ეხლა იმერეთში აურჩევიათ (=დავითი) კანონიერია, ის სოლომონის უახლოესი მემკვიდრეა (რუსეთის კანდიდატი დავითი შეიქმნა). ამავე დროს მტკიცედ იცავს რუსეთის კარი ერეკლეს, ქართლ-კახეთის მშვიდობიანობას.

1784 წ. ივლისი. სტამბოლის ვაჭრები (ტყვის მყიდველები), შეწუხებული არიან: ახალციხის ფაშის ლაშქარი ერეკლეს ჯარს დაუმარცხებია (ტყვეებს ვეღარ მიიღებენ.). ხონთქრის კარზე დიდ პატივშია ხოის ხანის ელჩი, რომელიც დახმარებას ითხოვს თავისი ბატონისათვის ერეკლეს მხრით შევიწროვებისაგან დასაცავად. ოსმალეთს ერეკლე გაექცა. ეხლა ხონთქარი ერეკლეს წინააღმდეგ აღმ. ა/კ—ის და ადერბაიჯანის ხანებს ეპატიჟება. ხანები მოითხოვენ ოსმალეთის აქტიურ გამოსვლას. ეჭვობენ სტამბოლში, რომ ეხლა პორტა ამას ვერ შეასრულებს.

ოსმალეთი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს ფოთს, ბათომს, სოხუმს, სუჯაკს. არზრუმში განაახლეს ზარბაზნების ჩამოსხმა ამ 50 წლის წინ მიტოვებული...

1784 წ. აგვისტო. ათასნაირი ხმები ტრიალებს სტამბოლში. რომ ერეკლემ რუსთა დახმარებით არდაველი დაიპყრო და რომ ის ეხლა თავრიზზე მიდის, რომ მასთან კავშირშია ერთი ვინმე ხანი. ისპაანში ქერიმის ძმისწულია. ის თითქო რუსეთისათვის სასურველია (მურად ალი-ხანი). რომ ოსმალეთმა ხოის ხანის ელჩი უარაფროდ გაუშვა, და, რათა საკუთარი სისუსტე დაეფარა, ის არზრუმის ჯანიკლი ფაშასთან (აქამდე ის ტრაპიზონის ფაშა იყო) გაგზავნა: ყოველგვარი ინსტრუქცია, თითქო, ამ ფაშას გაეგზავნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ოსმალეთის მოკეთე სპარსული სახანოების ან საქართველოს მიმართ. არზრუმის ფაშას დავალებული აქვს ფხიზლად თვალყური ადევნოს და ოსმალეთის კარს შეატყობინოს სპარსეთისა და საქართველოს ამბები.

1/IX. ბულგაკოვი მსჯელობს: ერანისა და საქართველოს მიმართ პორტა ნამდვილად რასმე აპირებს, თუ თვითონ ეშინია ამ მხრიდან? უკანასკნელი მოსაზრება მას უფრო საბუთიერად ეჩვე-

ნება. მთელი აღმოსავლეთის საქმეები პორტამ არზრუმის ჯანიკლი ალი-ფაშას (ლაზია, როგორც ჩანს, წარმოშობით) ჩააბარა (ყოფილ ტრაპიზონის ფაშას) და დიდ რასმე რომ აპირებდეს, ამას ვერ დაენდობოდაო (სწორედ ამიტომაც იყო, ჯანიკლი ფაშა რომ ერეკლეს ოსმალეთის მთავრობის სახელით ელაპარაკებოდა და პორტასთან კავშირის აღდგენისათვის მოუწოდებდა მას).

ადერბაიჯანიდან და ყარსიდან იტყობინებიან, რომ ერეკლე იპყრობს სპარსულ პროვინციებს. ითხოვენ შველას. (რა თქმა უნდა, შინაარსს მოკლებული ხმებია, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ასეთი ხმები ვრცელდება).

ჯანიკლი ალი-ფაშა ბათომს ამაგრებს. ხმები დადის, რომ ჯანიკლი ალი-ფაშა უკვე წავიდა არზრუმს. თუმცა საწინააღმდეგოსაც ავრცელებენ, რომ ჯანიკლი ალი-ფაშა ბაფრაში (?) დადგა და აქედან დიდხანს არც წავა: მას აქ ქრისტიანი მოსახლეობა მომხრე ჰყავს. ჯანიკლისთან სტამბოლიდან ვიღაც ქართველი თავადი გაუგზავნიათ, ჯანიკლის ეს თავადი თავისთან ჰყავს.

სექტემბერი, 1784 წ.

სოლომონის გარდაცვალების უმალ პორტამ გასამეფებლად გაგზავნაო ერთი ქართველი თავადი (одного кривого грузинского князя), რომელიც დიდხანს ყოფილა ხონთქრის კარზე. მაგრამ გზიდანვე უკან დაუბრუნებიათ. გაუგიათ, რომ ტახტის ორმა მოქიშპემ უკვე დაიჭირეს სოლომონის მემკვიდრეობა — იმერეთი. პორტა უეჭველად შეეცდებაო (ასე ფიქრობს ბულგაკოვი), ან მიიმხროს ერთი პრეტენდენტი (დავით გიორგის-ძეზე ფიქრობენ, რადგან მეორე ერეკლეს კანდიდატია, ის არც სანდოა და არც სასურველი), ან სხვა ვინმე წამოსწიოს სამეფოდ (შეიძლება იგივე ცალთვალა თავადი, სტამბოლს რომაა).

ჯანიკლი ალი-ფაშას რომ ქართველი თავადი გაჰყვა, აი ის და ჯანიკლის ქეჰა 20000 კაცით „საქართველოში“ წავიდნენ (და არა ბათომში, როგორც ეს ამაზე წინ შეგატყობინეთო). იგულისხმება იმერეთი, სადაც სულტანს სურს ქართველი თავადი (ქაიხოსრო აბაშიძე) ფაშად დასვას.

ახალციხელები და ყარსელები დამფრთხალი არიან. ერეკლე რუსების დახმარებით გვანადგურებსო. შველას ითხოვენ. დიდი ვეზირი ამშვიდებს. ახალციხეში ანატოლიიდან იგზავნება ლაშქარი, ბათომსა და სუჯაკს ხმელი პური (сухари), ჯანიკლი ალი-ფაშას ქე-

ჰა თითქო იმერეთში შესულა, ცდილა ქართველი ფაშა დაესვა. თითქო ერეკლეს, რომელსაც ის იყო ლეკთა დიდი ჯარი დაემარცხებია, შეეთვალა ოსმალთა ჯარისათვის, რომ იმერეთის ტახტზე უკვე ზის იმერთა მიერ შერჩეული ტახტის კანონიერი მემკვიდრე და ოსმალთ განზრახვა არ შესრულდება და, როცა დამარცხებულ ლეკებს და ახალციხის ფაშას განუზრახავთ შეერთებოდნენ ჯანიკლი ალი-ფაშას ლაშქარს, ერეკლეს მოუსწრია და ოსმალთა ჯარი სასტიკად დაუმარცხებია (ახალი ამბების მომთხრობელი ირწმუნება, რომ ეს მართალია).

ირხევა ხმები: ერეკლეს ახალი რუსთა მეშველი ჯარი (7000 კაცი) მოუვიდა, კავკასიის გზა გაიხსნა და გაიწმინდა. ერეკლემ შარვანის ხანი გადააყენა, სხვა ხანი დასვა და დახარკა ისევე, როგორც ერევნის ხანი. რუსეთის კარიდან ერეკლეს რეგალიები მოუვიდა: დროშა, ხმალი და სხვა (სანახევროდ მართალი ხმები).

ხმა დაარხია პორტაში მჯდომმა გიორგი-ბეიმ, რომ გაწბილებული ქაიხოსრო აბაშიძე, რომელიც ჯანიკლი ალი-ფაშამ ვერ გაბატონა იმერეთში, თითქო, ხვანთქრის ბრძანებით მოკლეს (უცნაურია.), რომ ბოლო მოეღოს მომავალში ქიშპის შესაძლებლობას („дабы вражду и далие из того в тамошнем крае произоити могущие следствии вконец тем прекратить“)...

ახალციხის სულეიმან-ფაშა ფხიზლადაა. ეშინია არ დასაჯონ (ჩანს ა/კ-სიის საქმეების გაფუჭება მას მიეწერება) და მზადაა გასაქცევად, თუ საამისო რამ ნიშანი დაინახა... ასე ვარაუდობენ.

15/X. ოსმალეთში (კარზე) საქართველოზე არ სწუხან: მთელი მათი ყურადღება ბოსნიის საქმეებმა წაიღეს: იქ აჯანყებაა. ჩანს, ბულგაკოვს სათანადო ინსტრუქცია აქვს, რათა საქართველოს საქმეებს განსაკუთრებული ყურადღებით ადევნოს თვალი და ისიც ელის ხვანთქრის კარის დემარშს.

1784 წ. ოქტომბერი. ბულგაკოვის კაცებმა ხოის ხანის ელჩისაგან ნამდვილად შეიტყვეს თითქო, რომ ის მოსულია ერეკლეს წინააღმდეგ დახმარების მისაღებად, ერეკლემ ხოის ხანს მიწები მისტაცაო.

გიორბეი (грузинский князь Киор бей) წასასვლელად ემზადება. სად? არ იციან.,.

ოსმალები შავ ზღვაზე ფლოტს აძლიერებენ. ერეკლე სულეიმან-ფაშასთან დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე უარს აცხადებს: რუსეთის მფარველობის ქვეშა ვარო.

1784 წ. ნოემბერი.

განჯაში ოსმალეთის მომხრეებს თათბირი ჰქონდათ. უნდა ერეკლეს დასცემოდნენ თავს. ერეკლემ დროზე შეუტყო. თვით დაეცა, დაამარცხა და ეს ქალაქიც ხელთ იგდო. ყარსის ფაშის მალემსრბოლი მოვიდა და, ამბობენ, იმან მოიტანა ცნობაო.

ერთი სიტყვით, ამიერკავკასიისა და ერანის საქმეები სულ ყველა ერეკლესთან არის დაკავშირებული.

ოსმალეთი საბოლოოდ დასუსტდა. თურქები თვით აღნიშნავენ («знатные турки рассуждают о политических делах, что чинимые о защищении о покровительстве грузин и персиян подвиги суть одна тень, скрывающая слабость империи») არც ფული აქვს, ჯარი გარბის, აჯანყებები...

საინტერესო ტიპი ჩანს ეს ჯ ა ნ ი კ ლ ი ა ლ ი-ფ ა შ ა, მას ტრაპიზონის ვილაიეთში მრავალრიცხოვანი მომხრეები ჰყავს (უმთავრესად აქაურ ქრისტიანებს შორის), მისი არზრუმში გადაყვანა ამათ არ მოსწონთ და საერთო არზით ითხოვენ მის დატოვებას ტრაპიზონში.

სულ სხვაა ახალციხელი სულეიმან-ფაშა. ეს მხოლოდ თავის კარიერაზე (და ცუდი საშუალებებით) ფიქრობს. ერეკლეს შესახებ და რუსთა ჯარის შესახებ ხმებს ჰბერავს, ერანის ხანებს აქეზებს და სათხოვრად პორტაში გზავნის, დიდ დასაჩუქრებას ელის და თანაც ეშინია, რომ გაუგებენ ყალთაბანდობას და დასჯიან...

23/V—1785 წ. ეკატერინე რესკრიპტით გადაჭრით ავალებს ბულგაკოვს, მოითხოვოს ოსმალეთის კარზე სულეიმან-ფაშის დასჯა: მისი ბრალია, რომ ოსმალები ლეკებთან ერთად თავს ესხმიან საქართველოს.

19/IV. ორიათასი ლეკ-ოსმალი თავს დასხმია ქართლს. სეკუნდმაიორის სენენბერგის გამარჯვება... (პროვოკატორი სულეიმან-ფაშას მოუწყვია ეს ლაშქრობა).

15/VIII. პეტერბურგიდან აფრთხილებენ ბულგაკოვს, ფხიზლად თვალყური ადევნოს ოსმალეთის დამოკიდებულებას ლეკ ბელადთან, რომელიც თურმე ერეკლესაგან შევიწროებას ჩივის და ხონთქრისაგან დაცვას ითხოვს. ბულგაკოვს ევალება უჩიჩინოს ოსმალეთის კარს, რომ საქართველოს წინააღმდეგი რაიმე მოქმედება იმპერატორის წყენას გამოიწვევს მთელი მისი მძიმე შედეგებით.

15/IX. 1785 წ. ოსმალეთი ამოქმედდა. ახალციხის ფაშას არ

ლაგმავს. ხანებს რაზმავს, ლეკებს ათარეშებს, მთაში შეიხ მანსური მისივე აგენტია. რუსეთის კარს არ აკმაყოფილებს ოსმალეთის პასუხი (ალბათ ვერსალელმა ელჩმა ურჩიაო). კატეგორიულად მოითხოვს სულეიმან-ფაშის გაყვანას ახალციხიდან, თუ ეს არა, რუსეთი ჩასთვლიდა რომ: 1. ან ოსმალეთს არ შეუძლია თავისი მოხელე ალაგმოს, ან — 2. ოსმალეთს არ სურს ასეთი რამ. (მერე და ამ ბაქს ომარ-ხანის შემოსევა მოყვა...).

1/12 ივნისი, 1785 წ.

ლეკი ვინმე დიდკაცი — ლეკი-ბეი მოსულა სტამბოლს. ამას პორტა განსაკუთრებით ცხოვლად გამოეხმაურაო, — წერს ბულგაკოვი. რისთვის არის მოსული, არ იციან.

ერეკლემ განჯა კიდევ უფრო მძიმედ დახარკაო. ერეკლე ახალციხის მხარეს სამაგიეროს გადახდით ემუქრებაო. ერეკლე და დავითი თანხმობით ებრძვიან ლეკ-ოსმალებსო...

თბილისიდან ვიღაც აზნაურავის გამოგზავნილი წერილი ნახეს: ერეკლემ განჯა მართლაც დაიმორჩილა კვლავ, კახელებმა კი განჯის მხარე დაარბიეს. სტამბოლს რომ ლეკი-ბეი მოსულა, ის დამარცხებული ლეკთა ჯარის ერთ-ერთი ბელადი ყოფილა, რომელსაც ძლივს გამოუსწრია და დატყვევებას გადარჩენია. რუსეთის მომხრე ისპაჰანელი ალი მურად-ხანი მოუკლავთ, ასე რომ მასთან ელჩად გაგზავნილი რუსი მოხელე ტ ა მ ა რ ა ერევნიდან ისევ თბილისს უკუქცეულა. ლეკები ქართლს არ უსვენებენ. 1500 რუსი და 7000 ქართველი აპირებს სურამს დადგეს ლეკთა წინააღმდეგ. რომ იმერეთის მეფის საშველად 1200 რუსი ჯარისკაცი წავიდა (ზღაპრობს). მიმოსვლა ახალციხე—არზრუმის გზაზე თითქმის შეწყვეტილა. პოლკოვნიკ ტამარას მიუმართავს სულეიმან-ფაშისათვის და მოუთხოვია, ნუ აწუხებს ერეკლეს, ნუ უსევს ლეკებს, აუკრძალოს მათ თარეში, უსასყიდლოდ დააბრუნოს ქართველი ტყვეები...

ხმები დადის, რომ ოსმალეთის მინისტრებმა განიხილეს ჯანიკლი ალი-ფაშის დეპეშები, სადაც უკანასკნელი მოითხოვს ლეკების ალაგმვას, მათ განდევნას ახალციხის საზღვრებიდან და ოსმალთათვის ქართლის რბევის აკრძალვას. ჯანიკლი ალი-ფაშას საკმაოდ დიდი ჯარი ჰყავს.

აშკარაა თითქო, რომ ოსმალეთი არ აპირებს ლეკთა დათხოვნას. აქ არის ხანი (დიდ პატივში), რომლის ლაშქრის ნაწილები ახალციხის საფაშოში სხედან და აქედან ქართლს დათარეშობენ.

სურამში მდგომ ერეკლესა და რუსებზე ლეკ-ოსმალთა ჯარი

მოულოდნელად იერიშით მისვლას აპირებდა. მზვერავებმა ერეკლეს შეატყობინეს და მან თითონ მიიტანაო იერიში ლეკ-ოსმალებზე ტ ა შ ი ს კ ა რ ს. მტერი დამარცხდა. ერეკლემ ტყვე ოსმალები წაიყვანა, ხოლო ლეკები იქვე დაახვრეტინა (სხვა ვერსიაც დარხეულა)...

ერთი სიტყვით, ოსმალეთის აღმოსავლეთის პოლიტიკა 1783 წლის შემდეგ საქართველოს საკითხის პრიზმაშია გადატეხილი...

№ 655 ფ. 43. 1/12 ივლისი. ბულგაკოვი ატყობინებს რუსეთის კარს: «Славной и в страхе порту садержащий Джаникли Али Баша умер. На место его пажалован трехбунчужным пашею и Ерзерумским губернатором, без чина однако сераскерского, сын его батта бей» (მართლაც, ეს ჯანიკლი-ფაშა ტრაპიზონის საფაშოში განსაკუთრებით ძლიერი იყო და თავს მტკიცედ გრძნობდა. ამ საფაშოს ქრისტიანები მას დიდად უჭერდნენ მხარს: 10000 მეომარის (ქრისტიანის) გამოყვანა შეეძლო. მის არზრუმში გადაყვანის წინააღმდეგ წავიდნენ ტრაპიზონელები (მაჰმადიანებიც და ქრისტიანებიც ამტკიცებენ, რომ ასეთი სამართლიანი, მცველ-მფარველი მათ არავინ ჰყოლიათ და მისი გადაყვანით საფაშო დაზიანდება. სთხოვდნენ ხონთქარს მის ტრაპიზონშივე დატოვებას).

ამავე დროს ბულგაკოვი იტყობინება, რომ ლეკი-ბატონი იქვეა სტამბოლში და პორტამ აღარ იცის, თუ რა უყოს მას. პორტა გარკვევით ზავის გუნებაზეა: ომის მომხრე მუფტი გადაყენებულია. ამიტომ ვიღაც ჩერქეზ-ბატონი, რომელიც მოსულა და ითხოვს 2000 კაცს და იარაღს, რათა ყუბანს აქეთ ორი ჩერქეზ-ბატონი, რუსთა მომხრეობას რომ აპირებენ, ამოწყვიტოს მათი ხალხით და ყუბანს აქეთი ოსმალეთის მხარეზე შეიმაგროს, აი ეს ჩერქეზ-ბატონიც უსაქმოა იმ მუფტის გადაყენების გამო. ამავე მუფტის ინიციატივა-რჩევა იყო არზრუმის ფაშად ჯანიკლი ალი-ფაშის დანიშვნა სპეციალური დავალებით და უფლებებით, რაც ომის სამზადისს (რუსეთის წინააღმდეგ) ჰგულისხმობდა.

ამავე დროს სტამბოლის კარზე მოსულან ელჩები ხოის, განჯის (!), თავრიზის, ბაიაზეთისა და შირაზის (!) ხანებისაგან ხონთქრის მფარველობის გამოსათხოვად. ყველაფერი ეს იმავე მუფტის (ახლა გადაყენებულის — მ ო ლ ა ბ ე ი ს) საქმე იყო, რამდენადაც, ერთის შეხედვით ვარაუდი შეიძლებაო და ახალციხის ფაშა თავის მხარეში ასეთი საქმის (თუ ამ მოლა ბეის?) აქტიური მოღვაწე (немалым помощником) იყოო, — მსჯელობს ბულგაკოვი.

9 ივნისი, 1785 წ. სტამბოლში სულ ტაშისკარის ომზე ლაპარაკობენო, ლეკ-ოსმალთა დიდ მარცხზე (300 ახალციხელი „თურქი“ ტყვედ ჩავარდნია ქართველებს. ლეკი ტყვეები კი ერეკლემ დაახვრეტინა...). ფაშამ ლეკები დაითხოვაო. ცოტა ჯამაგირი მისცაო. ლეკებმა ახალციხის საფაშოში მყოფი ქრისტიანები ტყვედ წაიყვანესო. ამ ომის წინ ბურნაშოვის მოციქულები მისვლია ფაშას. მეტად უპატიოდ მიუღია. ეხლა ფაშა ჩაიკეტა ციხეში: ხალხის აჯანყების ეშინიაო.

ჯანიკლი ალი-ფაშას არზრუმში 25000 კაცი ჰყავსო (ამბობენო). სტამბოლს მოსულა (Зирохов-оглдуми бек) სურხავის შვილი ომარ ბეგი(?) თუ უსმი ბეგი (?) და ლეკი მამასახლისები. სთხოვენ პორტას, რათა უკანასკნელმა ოფიციალურად აღიაროს, რომ ისინი (ლეკები) მისი ქვეშევრდომნი არიან, ესენიც ჩივიან ერეკლესა და რუსთა მხედრობის მიერ თავის შევიწროებას.

(ძველი ისტორია: ქართველები რუსეთს, ხოლო ლეკები ოსმალეთს ეპატიჟებიან. ურთიერთს არ ინდობენ. სამკვდრო-სასიცოცხლოდ მტრობენ. ჩერქეზები ნაწილი რუსეთს, მეორე კი ოსმალეთს ემხრობა. ასეა ეს უკვე XVI საუკუნიდანვე).

ამავე ხანებში მოსულა ამბავი ჯანიკლი ალი-ფაშის სიკვდილის შესახებ. მისმა შვილმა 700 ქესა შემოიტანა და ის დანიშნეს ფაშად.

სულეიმან-ფაშას ერეკლესაგან ტყვეები (ტაშისკარის ომის) მოუთხოვია. ბურნაშევს უპასუხნია, რომ ტყვეები მოზდოკს გაიგზავნენ პოტიომკინთან და პასუხიც მისი საქმეაო. ჩანს ახალციხელები ოფიციალურად ვერ მონაწილეობენ ტაშისკარის ომში რუსეთ-ოსმალეთის ზავის გამო.

აღმ. ა.-კავკასიისა და ადერბაიჯანის ხანების ელჩთა ხონთქრის კარზე მოსვლა ასე ყოფილა. ხოის ხანის ელჩის ხელით ამ ხანებისთვის ოსმალეთის კარიდან გაუგზავნიათ იმედი და წყალობა, 1000 ოქრო თითოეულს და სხვა საბოძვარი. (საერთაშორისო ურთიერთობის ეთიკეტისთვის: ოსმალეთმა დაიწყო ხელდებულთა ძებნა, მაგრამ ოფიციალური დამწყებნი ხანები უნდა იყვნენ, იმიტომ რომ მფარველობას ისინი ეძებდნენ, ამიტომაც „აჯა“ მათ მართებდათ).

15—26 ივლისი, 1785 წ. ბულგაკოვი მოახსენებს ეკატერინეს, რომ მან რესკრიპტი მიიღო 23/V, უმალ მოითხოვა კონფერენცია. ის შედგა, სამ საათს გასტანა. რომ მან დაკმაყოფილება კატეგორიულად მოითხოვა (იხ. აქვე ეკატერინეს რესკრიპტი). თურქები იძულებული იყვნენ აღეარებინათ, რომ სისუსტის გამო მათ ვერ

ალაგმეს ლეკები. ბულგაკოვს ეს სწამს. მაინც არ შენიშნავს, რომ ეს არა სწამს. ვერ ატყობს, როგორ აპამპულებენ... ფიქრობს, რომ დამაკმაყოფილებელ პასუხს მიიღებს და მიღწევად სთვლის, რომ ოსმალეთი „ისე შეეჩვია, რომ ერეკლე შენი ქვეშევრდომია, თითქო ეს დიდი ხნის ამბავი იყოს“... (ამას მიჰყვება 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88—ფრანგული ტექსტი საქმე № 655, სულეიმან-ფაშის რაპორტებიდან ექსტრაქტი, კონფერენციის ოქმი, დრაგომანის მოხსენება).

ივლისი, 1785 წ. ლეკი-ბეი და მამასახლისები ისევ აქ არიან. აქვე მოსულან ელჩები (ან უკეთ, ესენი ზემოთ რომ ჩამოთვლილი ყოო, იმ ხანებისა კი არ არიან — ჩანს ტყუილი თქვეს, — არამედ: ნახჭავნის, ხოის, ყარა-დაღის ფანა იბრეიმ-ხანის და დარუბანდის) შველისა და მფარველობის სათხოვრად.

ხმებია, რომ ჯანიკლი-ფაშის სიკვდილის შემდეგ პორტაში სანდო და საიმედო არავინ უჩანთ, რათა დანიშნონ არზრუმში, რომელსაც ეხლა ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სურთ აქ გადმოიყვანონ სოფიის (ბოლგარეთის) ფაშა, მას მიათვალონ გარშემო ფაშები (5 ფაშა), ციხეები გაამაგრონ საქართველოს საზღვარზე და სხვა ზომები მიიღონ (ხმები დადის), ერეკლემ აღმ. ამიერკავკასიის სპარსული პროვინციები დაიჭირაო (ხმა მოვიდა).

როგორც არ უნდა იყოს (შეიძლება ოსმალეთის კარი განზრახ თითონ არხევს ამ ხმებს), უეჭველია, რომ საქართველოს საკითხი ერთ მთავარ საკითხთაგანია რუსეთ-ოსმალეთის ამ დროის ურთიერთობაში და მჭიდროდ დაკავშირებულია ყირიმ-ყუბანის და, აგრეთვე, ერანის საკითხებთან.

ტრაპიზონის საფაშოს მოსახლეობა აუჯანყდა ახალ ფაშას, ქალაქში შეიჭრა და დაწვა იგი. ახალციხიდან და აწყურიდან ითხოვენ ზარბაზნებს და სხვა სამხედრო მოწყობილობას... ხმები მოდის (ვანის ფაშის კურიერი მოვიდა თითქო): ხოის ხანი და ლეკები დაეცნენ ერეკლეს, მაგრამ დამარცხდნენ; რომ (ახალციხიდან ატყობინებენ) სახელგანთქმულმა ხუდია ბორჩალოელმა ყარსის ადგილები დაარბია, ასევე ჯავახეთი და დაბრუნებისას ჭრილობისაგან გარდაიცვალა; რომ ერეკლე შეურიგდა ლეკთა ერთ დიდ ბელადს, რომ რუსები საქართველოში მაგარ პოზიციებს იჭერენ, ამაგრებენ მას.

იმერეთში კი არეულობაა: სოლომონის შემდეგ დავით არჩილის-ძე (მისი მომხრეა წერეთელი (?) და წულუკიძე) და დავით გიორგის-ძე (მისი მომხრეა დადიანი და გურიელი). დავით მეფე

ამკარად წაჰკიდებია ბერი წულუკიძეს, მათ შორის საქმე უსისხლოდ არ გათავდება, თუ კი ლეონმა (ერეკლე მეფის ძემ და ამ წულუკიძის სიძემ) ისინი ვერ შეარიგა (ლეონი ამ დროს სადღა იყო? შეიძლება რომელიმე სხვა?..). მტრობის მიზეზი: წულუკიძემ რამდენიმე ტყვე გაყიდა ოსმალეთში. დავითმა ის დასაჯა. სასახლე (ქუთაისში თუ?..) დაუწვა.

ამავე დროს არზრუმში ზარბაზნების ჩამოსხმა იწყეს. სპილენძი გუმიშხანედან მოაქვთ. ციხეც გაამაგრეს (ფრანგი ოსტატების გეგმით).

ლეკი-ბეი კი ამასობაში უსაქმოდ ზის სტამბოლში: მისი ამინდი არაა.

1—12 სექტემბერი, 1785 წ. ბულგაკოვი (მოღორებული) სწერს იმპერატორს: პასუხი მაღირსეს, მაგრამ, როგორც იხილავთ, ყოვლად არადამაკმაყოფილებელია. ამ პასუხის გამო გამართულ საუბარში ოსმალო დიპლომატებმა უთხრეს ბულგაკოვს, რომელმაც ამასთან ერთად წარუდგინა მათ ცნობა ლეკების კვლავ თავდასხმის შესახებ საქართველოზე: ისინი ვერ დაიჯერებენ, რომ ეს ახალციხის მხრიდან და ფაშის მონაწილეობით იყოს. აქვე დაუმატეს, რომ ისინი არა სცნობენ ერეკლესა და რუს იმპერატორს შორის დადებულ აქტს, რადგან ერეკლე ოსმალეთის ხელდებული იყო (cis) და რუსეთ-ოსმალეთის ტრაქტატის მიხედვით თითოეულ მხარეს ევალება არ მიიღოს, ან არ გადაიბიროს მეორე მხრიდან გამოქცეული (ე. ი. ერეკლე, გამოდის, ოსმალეთს გაექცა და რუსეთმა შეიწყნარა)...

ბულგაკოვმა (დრაგომანმა პიზანიამ) უპასუხა: სულეიმან ფაშის შესახებ ყველამ იცის, თუ რა ბოროტის მოქმედია ის; რაც შეეხება ერეკლეს, მისი ოსმალეთის ქვეშევრდომობის შესახებ არავის გაუგია (ჩანს პორტამ ოფიციალურად გაფორმება ვერ მოასწრო, რომ რუსეთმა წაართვა მას ერეკლე), ხოლო რუსეთ-ერეკლეს შორის აქტი, რა თქმა უნდა, პორტამ (ისე როგორც ყველა სხვამ) იცოდა. ამის მოწმობაა თუნდაც ის, რომ 1784 წლის 24 დეკემბრის მემორიალით პორტამ ვალად იდვა არ შეაწუხოს ერეკლეს ქვეყანა და ეს რუსეთის კარის მოთხოვნის შედეგად იყო. ბულგაკოვი აფრთხილებს პორტას, რომ ჯერ კიდევ დრო აქვთ გადაიფიქრონ. ოსმალთა კარმა ითათბირა. დიპლომატებმა უთხრეს ბულგაკოვს, რომ საქმეს გადაუგზავნიან სულტანს. ბულგაკოვიც უც-

დის პასუხს [უნდა გადაიღოს ფოტო: საქ. № 657, ფ. 41, თურქული ტექსტი, აქვე ფრანგული ტექსტი ფ.: 6, 7, 8, 9, 10].

სექტემბერი, 1785 წ. ლეკი-ბეი დაასაჩუქრეს და მისი მხლებელნიც (არც თუ მაინც და მაინც).

ყარსელები და არზრუმელები მოითხოვენ პორტასაგან, მოაშოროს ლეკები და აკრძალოს მათი თავდასხმები ქართლზე. თორემ სასტიკად ირბევა ქვეყანა (ქართველთა მხრით საპასუხო თარეშების გამო). ლეკი-ბეი და მისი მხლებელნი აქვე არიან. აჩერებენ, არ უშვებენ. აქვეა ქართველი თავადი Киор бей რომელიც ასევე ჩივის, რომ მასაც მეტისმეტად ალოდინებენ. ცხოვრობს კი პორტას ხარჯზე (ეს ვიღასი კანდიდატია?): 500 პიასტრს აძლევენ წლიურად მასა და მის ხალხს (დაშლილი „ერი“: გიორბეიც „ქართველია“.. ლეკებთან ერთად ჩივის უბედობას: რომ ოსმალეთი არ აფასებს მას და საქართველოს ოსმალთათვის დასამორჩილებლად დახმარებას არ აძლევს..).

აქ რომ ლეკი-ბეი არის, ის ომარ-ხანის მკვიდრი ძმაა (ჩანს: პორტა საქმეს აჭიანურებს, ამ ლეკი-ბეის საშუალებით ომარ-ხანს უკავშირდება, რომ მან საქართველო წაახდინოს, თითონ კი ლეკი-ბეის და მის მხლებელთ განზრახ, ქვეყნის დასანახავად, და, უპირველესად, ბულგაკოვის მოსატყუებლად კარზე ვითომც და თითქმის უპატიოდ აჩერებს...).

ომარ ხანი ალაზანზე მოსულა 7000 კაცით და სულეიმან-ფაშისთვის შემოუთვლია, როგორ მიბრძანებ, შემოვიდე თუ არაო. სულეიმან-ფაშა პორტას სთხოვს დირექტივს (ასე ლაპარაკობენ).

რამდენიმე ლეკის ჯარისკაცი ახალციხიდან დავით იმერთა მეფეს მოსვლია. მერმე ასწორებს, რომ დავითს კი არა, ახალციხის ფაშის ნებართვით, ლეკთა მცირე რაზმი (1000 კაცი) წულუკიძეს მისვლია, რომელიც დავითს ასჯანყებია. ბულგაკოვს უფრო სჯერა იმ ხმისა, რომ ომარ ხანის ალაზანზე მოსვლა ახალციხის ფაშის მოგონებული ჭორია.

ხმა მოვიდა (ქართველებმა მოიტანეს), რომ 16 ივნისს რუს-ქართველთა ჯარი კახეთში ლეკ-ოსმალთა ჯარს შეება და დაამარცხაო. 300 ოსმალო ტყვედ არის თბილისშიო, რუსთა ახალი კოროპუსი მოდის საქართველოშიო. განჯას, ერეკლეს დივანბეგი რომ განაგებს, აჯანყება იყო, ქართველებმა ჩააქრესო, ბურნაშოვმა კატეგორიულად მოითხოვა და ერეკლემაც დაითხოვა ლეკები რომ ყავდა დაქირავებულიო. მეორე, თითქო უფრო სწორე, ხმა მო-

ვიდა: რუსებმა ლეკთა რაზმი დაამარცხეს და ერეკლესთან რომ დაქირავებული ლეკები იყვნენ, ისინი სულ გასწყვიტესო (?). ლეკები, სტამბოლს რომ სხედან, გლოვობენ თავისიანებს.

სექტემბერი. 1785. არზრუმს, ყარსსა და ახალციხეს 29. VIII მალემსრბოლნი გაგზავნეს. ლეკები ისევა ჰყავთ სტამბოლში.

სომეხი მოსულა. გადმოსცემს: ივნისის მიწურულს რუს-ქართველთა ჯარი ჭარს შეესიაო, — ლეკ-ოსმალთა რაზმები კი სომხითს (შულავერს) დაეცაო. ქართველებმა მიუსწრეს და ლეკები დაამარცხეს. ტყვე თურქები თბილისს წაიყვანეს... [აქ მისდევს ფრანგული ტექსტი—დრაგომანი პიზანის რაპორტი Sur la ffaire des Lesdhins: 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, საქ. № 657].

საქ. № 659. 1785, ოქტომბერი. ხოის, შუშის და სხვა ხანების ელჩები ჯერ ისევ აქ, სტამბოლს, არიან. ჩივიან, რომ ვერ ეღირსნენ გარკვეულ პასუხს. არც გაუშვეს (ან ესენი განზრახ ლაპარაკობენ, რომ ბულგაკოვს თვალები აუხვიონ, ან ოსმალეთის კარი განზრახ აჩერებს, აბუზღუნებს და ესეც ბულგაკოვის გასაბიაბრუებლად. ბულგაკოვის მთელი ყურადღება ლეკი-ბეის აქვს მიპყრობილი. ახალციხის სულეიმან-ფაშა ხშირად გზავნის კურიერებს. ბულგაკოვს უნდა დაენახა ოსმალეთის პოლიტიკის კურსი მხოლოდ იმით, რომ ხონთქარი სულეიმან-ფაშას არ ხსნიდა ასეთ საპასუხისგებო პოსტიდან...).

ომარ-ხანის მოსვლა ახალციხეს. ფაშამ ეს ჯარი ჯავახეთს დაბანაკა. ახტალის წახდენა. ქართველები სურამს. ლეკებს სურთ დაეცნენ აქ ქართველებს და სულეიმან-ფაშას სთხოვენ ზარბაზნებს. თითქო არ აძლევს (ეხლა რაღას იტყვის ბულგაკოვი?..). სურამს ერეკლე კი არა, მისი შ ვ ი ლ ი ი დ გ ა. ახალციხიდან ლეკები ეჩმიაძინს აპირებენ. სტამბოლელი სომხები შეშფოთდნენ.

ომარ-ხანი რომ ქართლ-კახეთში არ დატრიალდა, ეს სულეიმან-ფაშის რჩევა ხომ არ ყოფილა? მაგრამ კონფლიქტის casus-ად განა ახტალა და შემდეგ მისი სტუმრობა ფაშასთან არ ყოფნიდა? ვახანი ხომ ერეკლესი იყო...

წულუკიძემ რომ ლეკები წაიყვანა, ისინი, უკან დაბრუნებისას, ერეკლემ გასწყვიტა. წულუკიძემ სულეიმან-ფაშა მოატყუილა, ერეკლეს შეუთანხმდა და ლეკები დაახოცინა.

ქართველები პ ურ ს ყ ა რ ს ი ს დ ა ა რ ზ რ უ მ ი ს ქ ვ ე ყ ნ ე ბ შ ი ყ ი დ უ ლ ო ბ ე ნ. ახალციხის ფაშა ამ საქმეს მოღალატეობად უთვლის ხსენებულ ფაშებს და პორტასთან ასმენს მათ. [მისდევს ფრანგული ტექსტი: ფ. ფ. 54, 55, 56, 57].

1/V, 1786 წელს ბულგაკოვი ისევ ატყობინებს ეკატერინეს, რომ მან ისარგებლა შემთხვევით და კონფერენციისას (ეს „კონფერენცია“ სხვა საქმის გამო იყო) დასვა საკითხი ახალციხის ფაშის შესახებ და იმედი გამოვთქვიო, რომ ახალი დიდვეზირი საქმეს უფრო მართებულად შეხედავს და 8/I ჩემ მიერ წარმოდგენილი მემორიის თანახმად დასჯის სულეიმან-ფაშასო, რომელიც დაჟინებით ხელს უწყობს ლეკების მიერ ხელმწიფის ვასალის, ერეკლეს ქვეყნის რბევასო. ახალმა ვეზირმა საქმის გაჭიანურების საბაბი უმალ იპოვა. შენგან გაფრთხილებული არ ვყოფილვარ მაგ საქმის შესახებ და ვერაფერს მოგახსენებო.

ოსმალეთი, უეჭველია, ატყობს, რომ რუსეთის ენერგია ამ საკითხში კატეგორიული არაა. ხედავს, რომ ამის გამო რუსეთი ომს არ დაიწყებს (თუმცა იმუქრება კი, მაგრამ ბუნდოვნად და გაუბედავად) და ამის შემდეგ შედეგი ცხადია: ისიც იმდენად უწევს ანგარიშს რუსების მოთხოვნას, რამდენადაც ეს მოთხოვნა არ კატეგორიულია.

ამავე დროს ბულგაკოვი ატყობინებს რუსეთის კარს, თითქო მან დანამდვილებით იცის, რომ კაპიტან-ფაშის ბრძანებით სულეიმან-ფაშამ უნდა შეაგროვოს 10000 ჯარისკაცი და ლეკებს უნდა დაახმაროს. იცის, რომ ამის წინააღმდეგნი არიან ვეზირიც, მუფტიც, მაგრამ ვერა გაუწყვიათ რა. (საიდუმლო ინფორმაციაა?).

ბულგაკოვი ოფიციალურად ისევ პასუხს მოითხოვს. რაისეფენდის მოაქვს „პასუხი“ — მიდებ-მოდება: „ოსმალეთი ყოველი ღონით ეცდება გართულებას არ ექნეს ადგილიო“. ბულგაკოვი ითხოვს ზუსტსა და დამაკმაყოფილებელ პასუხს. ოსმალო დიპლომატებმა საქმე ისევ სულტანის გადაწყვეტაზე მიაგდეს და ბულგაკოვს ჩქარა პასუხს შეპირდნენ.

მაისი, 1786 წ. ლეკები კი არხეინად სხედან ახალციხეს [2000 კაცი] ომარ-ხანის მეთაურობით, რომელმაც წაუხდინა ერეკლეს ვახანი, ახტალა და სხვა სოფლები. ერეკლე და ბურნაშოვი ტყუილუბრალოდ იწუხებენ თავს: სულეიმან ფაშას მოაგონებენ, რომ მისი საქციელი რუსეთ-ოსმალეთის ტრაქტატის დარღვევაა. სულეიმან-ფაშამ ტყვეების გამოსყიდვაშიც კი უარი უთხრა ერეკლეს...

1786 წ., 1—15 ივლისი. საქ. № 673. ჯერ კიდევ არ აქვს ბულგაკოვს „პასუხი“. ახალციხიდან განუწყვეტლივ მოდიან მალემსრბოლები. ცოცხალი, რეალური საქმე ესაა. ბულგაკოვს კი უქმი სი-

ტყვით ართობენ. კაპიტან-ფაშას აბრალებენ, ჰპირდებიან და ა. შ.

სოლომონ მეფის ძმისშვილი დავით არჩილის ძე ახალციხეს მისულა. ის განსაკუთრებული პატივით მიუღია სულეიმან-ფაშას (საინტერესოა, როგორ უყურებს ამ საქმეს ერეკლე?).

ამასობაში ოსმალეთი ჯარით ამაგრებს ახალციხეს... ახალციხიდან ლეკ-ოსმალთა რაზმები ხშირად იჭრებიან იმერეთში, მაგრამ სულ მუდამ მარცხდებიან (დავით გიორგისძის მიერ). ერეკლემ სახლში მიმავალი ლეკები, ახალციხიდან რომ მიდიოდნენ მექადან დაბრუნებულ მლოცველებთან ერთად, დაამარცხა და მთელი ნაძარცვი დააგდებინაო. სულეიმან-ფაშა კი ისევ ლეკების დიდი ჯარის შეყრას ცდილობს (ვიღაც სხვა ბელადის საშუალებით), რათა ერეკლე მოთხაროსო...

ბულგაკოვი ოსმალთა საქციელს სულეიმან-ფაშის გარშემო (რომ დასჯა არ სურთ) ინგლისის ელჩის რჩევას მიაწერს: რუსეთი პორტას ეხლა ომს ვერ გამოუცხადებს, შიში არ არისო... საქმეში საფრანგეთის ელჩი არ მონაწილეობსო.

საქმე ისე მიდის, რომ ოსმალეთი აქტიურ დიპლომატიურ ნაბიჯებს აპირებს რუსეთის წინააღმდეგ.

იმერლები კი (-გურულები) ტყვეებით ვაჭრობენ... საქ. № 674. 1786, აგვისტო 1—11.

ამასობაში ოსმალები ლეკთა საქმეს, ე. ი. ლეკებით საქართველოს მოთხრის საქმეს, საფრანგეთის ელჩს აცნობენ და თვით საფრანგეთის კარსაც, როგორც ამას ბულგაკოვი ვარაუდობს. პრუსიის ელჩი ოსმალეთს საომრად აქეზებს. ინგლისის ელჩი საქმის გართულების შემთხვევაში ოსმალეთის შუამდგომლობას ჰპირდება... ასეთ პირობებში, თუმცა სულტანს ომი არ სურს, ადვილია კაპიტან-ფაშის პოლიტიკური კურსი განმტკიცდეს, რუსეთთან ომში რომ მიჰყავს ოსმალეთი. ოსმალეთმა, ამრიგად, საქართველოს საკითხი საერთაშორისო საკითხად აქცია.

ამავე დროს ოსმალეთი ძლიერად ზემოქმედებს კავკასიის მთიანეთზე, სადაც იმამ მანსურს დიდი ჯარი შეუყრია და დარიალის გზის ჩაკეტვას აპირებს რუსთა ჯარისათვის იმ დროს, როცა სხვა ლეკები ერეკლეს ქვეყანას დაესხმიან.

ახალციხეს მიდიან და იქიდან სწრაფად ბრუნდებიან მალემსრბოლები. ათასი ხმები ვრცელდება (რუსთა ჯარი დაღისტანში შეიჭრაო, ახალქალაქში სტამბოლიდან სპეციალურად გაგზავნეს ვიღაც თაგდურ (?) ბეი, გურიელის ორმა სოფელმა მაჰმადიანობა

მიიღო — ეს, ვგონებ, მართალი იყო) და ბულგაკოვი, რაკი ნამდვილს ვერ ტყობილობს, ამაებს აცნობებს თავის კარს.

კავკასიიდან მოსულები ლაპარაკობენ: ერეკლესთან რუსთა ახალი კორპუსი მოვიდა, რუსთა ჯარმა ლეკთა საძოვრები დაიჭირა იმიერკავკასიაში, ალმასხან ერეკლეს-ძემ ლეკთა რაზმი დაამარცხა, 13 ათასმა ლეკმა თავი მოიყარა ეჩმიაძინს. აქ ისინი ერეკლემ დაამარცხა. გადარჩენილები ახალციხეს გაიქცნენ, რომ ახალციხეში რუსი კონსული დაინიშნა (იმ ქართველების მონათხრობია, რომელნიც თავისიან ტყვეებს ეძებენ, რათა გამოისყიდონ).

საქ. № 675, 1/12 სექტემბერი, 1786 წ.

ახალციხის ფაშისა და ლეკების საკითხი ისევ გადაუჭრელია. რუსეთ-ოსმალეთის შორის ურთიერთობის გამწვავების მთავარი საბუთიც ესაა. საფრანგეთის ელჩი შუამდგომლობას სთავაზობს ბულგაკოვს. რაც არ უნდა იყოს, რუსეთის დიპლომატიური მარცხია, რომ ემუქრებოდა პორტას და კი ვერაფერი უყო...

10/VIII. ახალციხელი მოხელე მოვიდა. ილაპარაკა: ომარ-ხანი უკან დაბრუნებისას ერეკლეს შვილმა დაამარცხაო. ეხლა ერეკლეს ჯარი ჭარს უტევს, ხოლო რუსები დარუბანდის მხრიდან უტევენ ლეკებსო, რომ ერეკლემ მოციქული გამოუგზავნა სულეიმან-ფაშას. ფაშამ მოციქული ახალციხეში არ შემოუშვა, გუდერაში გააჩერა. ერეკლემ, რუსეთის ვასალმა, კეთილმეზობლობა შემოსთავაზა სულეიმან-ფაშას, ოსმალეთის მოხელეს: რუსეთი და ოსმალეთი დაზავებული არიანო.

იმერლები (დავით მეფე) ყოველთვის ამარცხებენ ლეკებს. კიორ-ბეი, აქედან (სტამბოლიდან) რომ გამოგზავნა პორტამ, იმერლებს ტყვედ ჩაუვარდათო. სოლომონის ძმის წული, დავით არჩილის-ძე, ახალციხეს რომ მოვიდა, სულეიმან-ფაშამ არზრუმს გაგზავნა და ეხლა იქ არის ქაიხოსრო აბაშიძესთან ერთად. პორტამ მათ საზრდო გაუჩინა არზრუმის ბაჟიდან.

ახალციხეში კი 2000 ლეკი კიდევ ზის.

25/VIII. ბრძანება გამოვიდა სტამბოლში, რომ ქართველ ტყვეთა ეგვიპტეში წაყვანა აკრძალულია. ხმა დავარდა, რომ ასევე აიკრძალა ქართველ ტყვეთა სყიდვა აზიის პროვინციებშიო.

რუსეთის მიერ მიღებული ღონისძიებანი ზემოქმედებენ, თუმცა არც ისე კატეგორიულად და ეფექტით, როგორც სასურველი იყო და როგორც რუსეთის მთავრობა მოითხოვდა.

(«В следствие учиненнаго здесь (25 августа) запрещения

вывозить грузинских пленных в Египет, також сказывают с подобными по тому запрещениями разосланы ныне от порты повелении и в разные Азиатские провинции» 31—42 ч).

(85—88 ფრანგული ტექსტი: «Записка словесных сообщений известного приятеля, учиненных мне 29 августа 1786»).

15—26 სექტემბერს. ბულგაკოვი ატყობინებს პორტას, რომ იმპერატორის კარი არაა დაკმაყოფილებული ოსმალეთის კარის პასუხით ლეკთა საკითხზე (6 აგვისტოს მისვლია ბულგაკოვს ასეთი რესკრიპტი). მაგრამ რუსეთის ელჩი ისეთი ტონით ლაპარაკობს ოსმალეთის კარის „უკადრის საქციელზე", რომ ცხადად ჩანს უკან დახევა. ბულგაკოვი საფრანგეთის ელჩის მოშველიებას ფიქრობს თუ ცდილობს, რათა ოსმალეთზე გავლენა მოახდინოს. წაგებული საქმეა... ბულგაკოვი იმასაც კი ვარაუდობს, რომ ოსმალეთის რომელიმე მინისტრი საკითხს დასვამს ერეკლეს ვასალობის იურიდიულ მხარეზე და აფრთხილებს დრაგომან პიზანიას, არ დაუშვას ასეთი საუბარი... Убеждения угрозы, внушений —ესაა ელჩის ხელთ არსებული საშუალებანი და როცა ყველა ამოიწურება, სიტყვას საქმე უნდა მოყვეს.

15—26 სექტემბერი. ახალციხეში სიწყნარე არაა. ციხის იენიჩარები, აწყურისა და ახალქალაქის, ალბათ, აჯანყებულან. ფაშა მაშველ ჯარს ითხოვს. ოსმალთა კარი სარგარდანი გამხდარა: ახალციხის ფაშას ეს ჯარი ერეკლეს წინააღმდეგ ავანტიურისათვის ხომ არ სურს?..

რამერუმე. რუსი ელჩი (კონსული) არ დაუნიშნავთ ახალციხეს. აქ ერეკლეს თუ ბურნაშევის მოხელე მოვიდა რუსი ტყვეების გამოსასყიდად და ამის გამო დაყარეს ხმა კონსულის მოსვლის შესახებ.

ეხლა უკვე არზრუმს არიან დავით არჩილის ძე ასი კაცით, გენათელი, წულუკიძე ორი ძმა, და ქაიხოსრო აბაშიძე.

ახალქალაქში ერეკლეს ერთ-ერთი ვაჟი მოვიდა. ფაშის ქეჰა და ხაზინადარი შეხვდნენ. ძვირფასი ცხენი მიართვეს. ერეკლესთან შერიგების პირობად საქართველოდან მოითხოვენ რუსთა ჯარის გაყვანას და დარიალის გზის ამოქოლვას. ერეკლემ კატეგორიული უარი სთქვაო. ლეკები მცირე დასტებით ახალციხის მხრიდან ეხლაც ესხმიან ქართლს და ტყვეებს იტაცებენ. ფაშამ ლეკებს წინადადება მისცა, იმერეთში შეიჭრნენ დაარბიონ, დავით გადააგდონ, დავით არჩილის ძე გაამეფონ. ლეკები უარს ამბობენ. წარსული

ზამთრის მწარე გაკვეთილი ახსოვთ, როცა 1000 კაცი მკვდარი დატოვეს იქ. გასულ წელს ახალციხეში „სტუმრობდა“ 1400 ლეკი ოთხი ხანის მეთაურობით. მათ გაანადგურეს „მასპინძლის“ დოვლათი...

საქ. № 676. 1—15 ოქტომბერი.

ბულგაკოვმა ჯერ კიდევ ვერ მიიღო საბოლოო პასუხი ახალციხის საქმეზე. საფრანგეთის ელჩი საქმობსო. ამ დღეებში ველით, რომ სათანადო ფერმანი დამზადდება და ახალციხეს გაიგზავნებაო (მაშ ფაშის დასჯას, რუსეთი რომ მოითხოვდა, ეხლა აღარ ფიქრობენ!).

15—26. ოქტომბერი. ბულგაკოვი სიხარულით ატყობინებს რუსეთის კარს, რომ საფრანგეთის და იმპერატორის (ავსტრიის) ელჩთა დახმარებით რუსეთმა მიიღო დაკმაყოფილება. სულეიმან-ფაშას გაეგზავნა ფერმანი, რომ მან ხელი აიღოს ერეკლეს შეწუხებისაგან, არც ლეკები შეუსიოს და საზღვარი მშვიდობით დაიცვას. ბულგაკოვი მოუთხრობს, თუ როგორის გაჭირვებით ეღირსა დაკმაყოფილებას და, ამით, ინციდენტის ამოწურვას. მუფტი წინააღმდეგი იყო, მოითხოვდაო, რომ ერეკლე ოსმალეთის სულტანის ვასალად აღენიშნათ ფერმანშიო, ფერმანის ჩემთვის ჩვენების კატეგორიულად წინააღმდეგ წავიდაო. დამახასიათებელია: ოსმალეთის მთავრობა ამ ფერმანში რუსეთს არ ახსენებს (თითქო მის არსებობას ამიერკავკასიაში არა სცნობს!!!) და საქმეს წარმოადგენს, როგორც კეთილმეზობლურ აქტს ოსმალეთსა და თბილისის ხანს შორის (მოქნილი სვლა!..). ბულგაკოვი (хорошая мина при плохой игре) გამარჯვებად სთვლის: მართალია, ფაშა არ დასაჯეს, — თავს ინუგეშებს ელჩი, მაგრამ მუბაშირი რომ მივა, ის გამოსჭამს და გამოხრავს ფაშის დოვლათს, ეს იგივე დასჯა არისო...

15—26 ოქტომბერი, ბულგაკოვმა, როგორც იქნა, იშოვა და იმპერატორის კარს გაუგზავნა სულტანის ფერმანი (პირი) ახალციხის ფაშის სახელზე (უკეთ, ამ ფერმანიდან ამონაწერი). [95—97 (საქ. № 670) ფრანგული ტექსტი].

ავად თუ კარგად ეს საქმე მოგვარდა... ნოემბერში ძლივს გაგზავნეს მუბაშირი ახალციხეს, ისიც ელჩების ენერგიული მოთხოვნის შემდეგ.

საქ. № 677. რამერუმე. ოქტომბერი. ახალციხიდან მოსულები ამბობენ, რომ იქ 400 ლეკი კვლავ მოვიდა. ლეკები ჩვეულებრივ ქურდობენ, ისე კი დიდ თავდასხმებს ადგილი აღარ ჰქონია.

ასეა თუ ისე, მაინც პროგრესია. თითქო ჰორიზონტზე ამოიწმინდა, მშვიდობიანი ურთიერთობა თითქო შესაძლებელია რომ დამყარდეს...

ბულგაკოვი თვალყურს ადევნებს ამიერკავკასიის ხანების ქცევას. ახალციხის ფაშის წერილი მოვიდაო. იტყობინებაო, რომ სულტანის წყალობა მან ხანებს გადასცა, საჩუქრები და წერილები. ვერ არიან კმაყოფილიო.

ვიდრე საფრანგეთის სტამბოლელი ელჩი ჩაერეოდა საქმეში, პეტერბურგელ ფრანგ ელჩს გრაფ სეგიურს მიუმართავს რუსეთის კარისათვის და თავისი მეფის ასეთივე სურვილი უცნობებია... აქ ეს მისაღებად დაუნახავთ და ბულგაკოვსაც სათანადო ინსტრუქცია გაეგზავნა. „ლეკთა საკითხი“ ლამის იყო საერთაშორისო კონფლიქტის საბაბი არ გახდა.

№682, 1786 წ.

ბულგაკოვი ყურადღებას აქცევს, რომ

«Пруской поверенной Диц упражняется теперь в собирании всяких сведений о Персии, о Грузии, о Крыме, о Египте»... (გვ. 17).

ამავე დროს პრუსიის მეფის ელჩი ხმებს ავრცელებს იმამ მანსურზე, ახალციხის ფაშაზე, რომ თითქო ეს ფაშა ოსმალეთის ბრძანებას არ ემორჩილება, რომ ის შეუთანხმდა ლეკთა ბელადებს, იმამ მანსურს და ერთად გადაწყვიტეს დაიპყრან საქართველო. რომ ულემები მოითხოვენ, რათა პორტამ მოსთხოვოს რუსეთს იმ ხანების დაბრუნება, რომელნიც ხელდასხმას (ინვესტიტურას) პორტასაგან იღებდნენ და რომ ერთ-ერთ ასეთად ერეკლე იგულისხმება...

1786 წ. ივლისის 5 (ახ. სტ.), ბულგაკოვი ატყობინებს (ოსტერმანს თუ ბეზბოროდკოს?), რომ, მართალია, მან იცოდა, რომ ოსმალეთთან საქმე გართულდებოდა, მაგრამ არ ფიქრობდა, რომ ეს ასე სწრაფად მოხდებოდა.

ბულგაკოვი უკვე 1/VI—წერილით იტყობინება, რომ მან ამოსწურა ყველა გზა და საშუალება [აუცილებელია № 681 საქმის გამოთხოვა და გასინჯვა, თუ რა და როგორ მოხდა..]. ერთია: ბულგაკოვმაც კი არ იცის მიზეზი და საფუძველი ოსმალთა ამ „უცნაური“ საქციელისა. მას საჭიროდ მიაჩნია „ჭკუაზე მოიყვანონ ეს გონება დაკარგული“ (ე. ი. ოსმალეთი). ბულგაკოვი კარგად გრძნობს, რომ ამ საქმეში სხვები (სხვა სახელმწიფოები) ურევიან (გვ. 63).

26/XI. ბულგაკოვი კარგ გუნებაზეა. შიშით ძრწიან, რომ ჩვენ არ გამოუცხადოთ ომი. რუსეთ-ოსმალეთის კავშირზეც კი შესაძლებელი ხდებოდა საუბარი (თითქო დიდი ვეზირი ფიქრობდა ამას). რომ პროვოკაციულ ცნობებს რუსეთის შესახებ არ ჩაეშალა საქმე.

15—26 აგვისტო (?) 1786. ბულგაკოვი იმის კმაყოფილია, რომ ხვანთქრის ფერმანში, სულეიმან ფაშას რომ გაეგზავნა (და რომელიც რუს ელჩს არ აჩვენეს), ერეკლე სულტანის მეზობლად არის (და არა ვასალად) დასახელებული და ნაბრძანებია, რათა მისი ქვეყანა სასტიკად იყოს დაცული. იურიდიული თვალსაზრისით ეს მართლაც მიღწევა იყო. [ეს მოხსენება აქ შემთხვევითი ჩანს, ის უნდა წინა საქმეში — № 680—იყოს].

№ 688, 1787 წ.

1/III, 1787 წელს ბულგაკოვი იძულებულია აღნიშნოს, რომ ოსმალეთის კარი ისევ საომარ განწყობილებაზეა, თუმცა სულტანს არ სურს ომი. ლაპარაკი არავისთან არ შეიძლებაო, ჩივის ბულგაკოვი. დიდვეზირი უნებო და უვიცია, ყველანი ბოროტ მრჩევლებს (ბულგაკოვი უცხოელ ელჩებს ჰგულისხმობს) უსმენენ და ბრბოს ამხედრებენ რუსეთის წინააღმდეგ. ეკატერინე 1783 წელს ნიშნის მოგებით აღნიშნავდა, რომ ევროპის დიპლომატია მშრალზე დატოვა რუსეთისამ (ერეკლეს რომ ტრაქტატი დაუდო), მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჯერ ფონი შორსაა... [გვ. 7 ფ რ ა ნ გ უ ლ ი ტ ე ქ ს ტ ი].

საქმეს ართულებს ყუბანის, ყირიმ-ოჩაკოვის საქმეები. ყველა ამას თან დაერთო ალჟირელების მიერ რუსი ვაჭრის გემის გაძარცვა...

№ 689, 1787 წ. აპრილი.

რამერუმე. ახალციხიდან კურიერი მოვიდა. ცნობა მოიტანა: ახალციხეს ჯერ კიდევ დგას ორიათასი ლეკი. იქ შავი ჭირი და შიმშილობაა. იმერეთის მეფესა და გურიელს შორის უკმაყოფილება იყო. ომიც ჰქონიათ, იმერლებს გაუმარჯვნიათ.

ერთობ დიდი იყო რუსეთ-ოსმალეთს შორის უთანხმოება და ომიც აუცილებელი (მით უფრო, რომ ამის მოსურნე მრავალი იყო უცხო სახელმწიფოთაგან)... [61—69 ფრანგული ტექსტი]..

№ 711, 1788 წ. აგვისტო—ნოემბერი..

რუსეთის საელჩოს მოხელე ფ რ ო დ ი ჩ ი (თუ ფროდიგი?) დაშიფრული დეპეშებით აცნობებს გრაფ ოსტერმანს ოსმალეთის ვითარების შესახებ. ბულგაკოვი დაპატიმრებულია. რუსეთ-ოსმალეთის ომია. დეპეშებიდან ჩანს, რომ ინგლისის და საფრანგეთის მთავრობა თუ ოსმალეთს აქტიურად, უკეთ, ოფიციალურად არ

შველიან, საქმეზე შველიან მას... სხვადასხვა ამბებს ატყობინებენ და სხვათა შორის (ფ. 18): «Слышно, что царь Ираклий под рукой интригует с Портою согласным. На сих днях от него прибыли сюда люди с письмами; так же послал он других в Баязет к Исак паше и Ван (Ти) мур абдипаша, как и к прочим пограничним пашам» (ამას უშუალოდ მისდევს გაუშიფრავი ტექსტი ათი ფურცელი), სხვაგან კიდევ წერს: «От Порты секретно посланы люди проведать и настояще спознать положение новой Кавказской дороги» (32 verso). ეს „ახალი გზა“ ოსმალეთი გრძნობდა, საშიში რამ იყო. ამიტომაც იყო, რომ მის გაუქმებას, მის ჩაკეტვას ცდილობდა ის (მანსურის გეგმა, ერეკლესადმი მოთხოვნილება...).

შეიხ მანსურთან ცდილობს წავიდეს ვიღაც იტალიელი ფერარი. 14 სექტემბერს, 1788 წ. სხვათა შორის: «Четыреста человек волонтеров лазов и прочей черни сговорились было 4-го собраться на площади Султан Магмета и начать бунт, но правительство, ночью о сем уведемленное от Сеймен-Башой, предуспело при разсвете поймать многих из них коих таино задавили и потопили» (ფ. 52).

ომი ყუბანზეა და ბესარაბიის მისადგომებზე. ოსმალეთი ნასიამოვნებიც კია, რომ რუსეთმა ჯარი არ გააძლიერა და, პირიქით, საქართველოდან სულ გაიყვანა ის: ეს ფრონტი მეტად მტკივნეული იქნებოდა მისთვის. აკი დარიალის გზის აგრე ეშინიან... მაგრამ, ჩანს, არც რუსეთი იყო ისე ძლიერი, რომ შორს, როცა ჯერ იმიერკავკასია და დარიალის გზა უზრუნველყოფილი არ იყო, როცა ოსმალეთმა ის მაინც მოასწრო, რომ მთის ხალხები რუსეთს დაუპირისპირა (შეიხ მანსური), — რომ ასეთ პირობებში წარმატებით შესძლებოდა ამიერკავკასიაში დიდი ომი დაეწყო და, რომ მისი მცირე რაზმი არ დამარცხებულიყო და საქართველოც ოსმალეთს არ დაეპყრო, რუსეთის მთავრობამ ჭკვიანურად გასაჯა: ჯარი გაიყვანა... თუ გნებავთ, ეს ტრაქტატის ფორმალური დარღვევა იყო, მაგრამ უკეთესი გამოსავალი არ იყო...

საქ. № 763, 1793 წ.

ქართველი ტყვეების საკითხი არ წყდება. ოსმალებმა თითქო ი ა ს ი ს ზ ა ვ ი ს თანახმად (რუსეთი ამას უარყოფს) მეტი თავისუფლება მოიპოვეს ქართველ ტყვეების ყოლისა, ვიდრე 1774 წლის ზავის თანახმად ჰქონდათ...

მაინც და მაინც საქართველოს საკითხი რუსეთ-ოსმალეთის

შორის 1790 წელს შემდეგ ისე მწვავედ აღარა დგას, როგორც 1783—1787 წლებში იდგა... რა მოხდა? ის, რომ რუსეთმა ჯარი გაიყვანა საქართველოდან, ხოლო იმერეთიც ხელშეუხებელი დასტოვა. მართალია, მან პროტექტორატზე უარი არა სთქვა, მაგრამ ეს არარეალური ჩანდა. ამ პროტექტორატს ოსმალეთი არ სცნობდა, ხოლო სპარსეთში აღა მაჰმად-ხანი გამოჩნდა... ოსმალეთმაც იკმარა ასეთი ვითარება. საკითხი გადაუწყვეტელი იყო, მაგრამ ასეთი რამ შეეფერებოდა ძალთა წონასწორობას, რუსეთსა-ოსმალეთსა და ერანს შორის რომ არსებობდა 1790-ან წლებში.

რუსი ელჩი პ ე ტ ე რ ს ო ნ ი შეკითხებია ფელდმარშალს (პოტიომკინს?) და მითითება მიუღია, რომ რუსეთ-ოსმალეთის მტკიცე მეგობრობის გულისათვის არ მოეკიდოს (ელჩი) მკაცრად ქართველ ტყვეთა ამოყვანის საქმეს. პეტერსონი არწმუნებს ოსმალეთის კარს, რომ რუს ელჩებს ასეთი ინსტრუქცია ექნებათ: ქ ა რ თ ვ ე ლ ი ტ ყ ვ ე ე ბ ი ს ს ა ქ მ ი ს წ ა ყ რ უ ე ბ ა (მორიგდნენ!!).

აი ეს ნოტა პეტერსონისა, ოსმალეთი რომ ეყრდნობოდა, სადაოდ გამოუცხადებია ხ ვ ო ს ტ ო ვ ს (ელჩს) 1793 წელს და ეკითხება ოსტერმანს, თუ როგორ მოიქცეს.

საქ. 815. 20/X (ძვ. სტ.), 1795 წ. აღა მაჰმად-ხანმა ტფილისი აიღო. ახალციხის ფაშამ შიკრიკი სტამბოლს აფრინა. ამან 7 დღეში მიირბინა სტამბოლში (არნახული სიჩქარით).

კ ო ჩ უ ბ ე ი (ელჩი) ისე სწერს ამ საქმეს (აღა მაჰმადის ლაშქრობას საქართველოში), თითქო ის რუსეთს არც ეხებოდეს. თუმცა ამის წინა დღეებში დიდვეზირს მისი ყურადღება მიუქცევია აღმოსავლეთის საქმეებისათვის იმ დროს, როცა კოჩუბეი სტამბოლის ახლო მომხდარ ამბოხებაზე ელაპარაკებოდა...

ეს საუბარი, ან უკეთ, ვითარება ამიერკავკასიაში ფრიად თავისებურია: ძველი მოქიშპეები, როგორც იყო, მორიგებული იყვნენ (თუმცა კმაყოფილი საბოლოოდ არც ერთი არ იყო და ტაროსს უცდიდნენ), ეხლა გამოჩნდა მესამე და status-ი სულ არივდარია. ცხადია, ესენიც ამოქმედდებიან, როგორც შეუძლიათ...

რუსეთი ჯერ კიდევ სთვლის თავს საქართველოს მფარველად, თუმცა ერეკლეზე ნაწყენიცაა და მორალურ უფლებას პოულობს არდახმარებისათვის: ერეკლეო ოსმალეთთან საიდუმლო ურთიერთობაში იყოო, წერს კოჩუბეი. «Подлинно, что царь Ираклий имел с Портою сношения, присылал сюда тайно депутатов и имея здесь агента, о котором стороною я сведал» (ფ. 100—101).

საინტერესოა. რუსებმა კარგად იციან, რომ სპარსეთს შესაძლებელია ახალციხეზე პრეტენზია ჰქონდეს, როგორც ერანის ძველ პროვინციაზე.

საქ. № 828. იანვარი—თებერვალი.

პეტერბურგში (იქიდან ხმა მოდის) ფიქრობენ, რომ აღა მაჰმად-ხანის საქმეში (საქართველოზე თავდასხმა) ოსმალეთი ურევია. ოსმალეთი უარყოფს ამას.

სხვები იმასაც ფიქრობდნენ, რომ აღა მაჰმადის საქმეში ფრანგები ურევიან. პორტაში ამასაც უარყოფენ. კოჩუბეიც ფიქრობს, რომ ოსმალები არ ერევიან მაჰმად-ხანის ლაშქრობაში, მაგრამ ამტკიცებს, რომ ოსმალებს სიამოვნებთ ეს ლაშქრობა, რომ ოსმალეთი ეფერება (თუ მოეფერება) აღას...

ოსმალო მოხელე კოჩუბეისთან საუბარში საქართველოს (ერეკლესას) სპარსეთის პროვინციად სთვლის.

აღას ამბებთან დაკავშირებით ხმა გავრცელდა, აღა ყაბარდოს დაესხმისო, რუსეთს ომს გამოუცხადებსო. ლეკები ამოძრავებულან, სტამბოლს დეპუტატები უფრენიათ, ფერმანს და ფულს ითხოვენ. ოსმალო უარზეაო, იტყობინება კოჩუბეი.

ახალციხის ფაშა თავს დასხმია ქართლს. ოსმალეთმა, რომ თავიდან აიცდინოს პასუხისგება, გადაწყვიტა ფაშა გადააყენოს (ვიღაც ისაყ-ფაშას, ისმაილ-ფაშის შვილს ასახელებენ ახალციხის ფაშად).

ახალციხის ფაშას მის ქვეყანაში შეხიზნული 300 ქართველი ტყვედ გამოუცხადებია, სომხები ცდილობენ, სულტანს განაახლებინონ ფერმანი, რომლის მიხედვით ოსმალებს ეკრძალებოდათ ტყვე სომხის შეძენა (ეს ფერმანი ამ 60 წლის წინ უშოვნიათ).

1796 წლის აქციას—რუსეთის ომს აღა მაჰმადთან—ოსმალეთი პასიურად შეხვდა. სადღაა 1783 წლის ინიციატივა?..

ოსმალეთში 1796 წელს ისე იციან, რომ რუსეთმა 80000 კაცი დააგროვა იმიერკავკასიაში აღა მაჰმად-ხანის წინააღმდეგ. ოსმალეთის მონაწილეობას კი აღა მაჰმადის საქმეში კატეგორიულად უარყოფენ. (საქმე დიპლომატებს შორის მეტად გართულებულია. შვეციას და საფრანგეთს სურთ ოსმალეთი რუსეთს შეაჯახონ).

კოჩუბეი არწმუნებს ოსმალებს, რომ სუვოროვს კავკასიაში არ დანიშნავენ და არც რუსის ჯარი იმ რაოდენობით იქ არაა. ის ფიქრობს, რომ აღა-მაჰმადი გაზაფხულზე თითონ წავა მუღანიდან ერანს (იქ აჯანყებები დაიწყებაო, სურს სთქვას კოჩუბეიმ).

კოჩუბეი ვარაუდობს, რომ ოსმალეთს აქვს კავშირი ანაპის და ახალციხის ფაშების საშუალებით ლეკებთან და ოსმალეთის დრაგომანთან (Муруси). საუბრისას ის გამოთქვამს აზრს, რომ ოსმალეთისათვის, ისე როგორც რუსეთისათვისაც (sic), არაა ხელსაყრელი ადგილობრივ ხალხებზე დაყრდნობა, რომ ესენი (ლეკი ბელადები) ფულისათვის ადვილად გასცემენ ყოველგვარ საიდუმლოებას...

(ყოველივე ამას სწერს კოჩუბეი ბეზბოროდკოს). 15/26 1796 წ. ახლო აღმოსავლეთი ისევ ოსმალთა ყურადღების ცენტრშია. აღა მაჰმადსა და რუსეთს შორის შეტაკება აუცილებელია. რა სურს რუსეთს? ბჭობენ: ვანი, ყარსი, ახალციხე; სხვები კიდევ: აღმოსავლეთ ამიერკავკასია და ის მიწები, პეტრემ რომ დაიჭირა; სხვები კიდევ: საქართველოში გამაგრდება და ტყვეებით (საქართველოდან) ვაჭრობას აკრძალავს (ეს საქმე დიდად აინტერესებთ: არსებითი მნიშვნელობისა არის). ამავე დროს, ოსმალეთი სიფრთხილის ზომებს იღებს: არზრუმის ფაშა სერასკერად გამოაცხადა, სხვები მას დაუმორჩილა, ბაღდადის ფაშას ეფერება. ყარსში სულტანის ბრძანებაა, არ იყიდონ ქართველი ტყვეები, სპარსელებმა რომ ხელთ იგდეს. ოსმალეთი ნეიტრალიტეტს იცავს (ჩანს აღას საქმე უიმედოდ მიაჩნია). და ამ ორომტრიალში ერეკლე სულ აღარ ჩანს... ხმაც გავრცელდა, გარდაიცვალაო. ოსმალეთი ამაგრებს ანაპას, ახალციხეს და სხვა ციხეებს.

აღა მაჰმად-ხანი შაჰობას აპირებს. კოჩუბეის სჯერა, რომ ოსმალეთი უშუოა აღა მაჰმად-ხანის ლაშქრობის საქმეში.

1795 წლის აქტი (კრწანისის ომი) საქართველოს სახელმწიფოს ღრმა კრიზისის მაჩვენებელი იყო. მას საბოლოოდ გაუტყდა სახელი. იმ პარტიამ რუსეთში, რომელსაც საქართველოს შემოერთება სურდა, მძიმე საბუთი მოიპოვა: რომ არსებული ხელისუფლება გაკოტრებულია, რომ თვით საქართველოს გადასარჩენად აუცილებელია მისი შემოერთება, იქ პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმება, რომ არსებული საქართველო არც მოკავშირედ ვარგა და არც ვასალად, რომ ამის გამო, ბოლოს და ბოლოს, საკუთრივ რუსეთის ინტერესები ზიანდება, რომ ამ ქვეყნის შემოერთება სრულიად ახალ პერსპექტივს გადაშლის ერან-ოსმალეთთან ბრძოლაში, რომ, ამავე დროს, ეს საქმე (მეფობის გაუქმება საქართველოში) ფრიად ადვილად მოგვარდება: ამის მომხრენი ბევრი იშოვება თვით ქართველთა შორის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

განჯის აღება ერეკლესა და რუსთა ჯარის მიერ...

1796, 1/VIII წერს კოჩუბეი, რომ ახალციხის ფაშა გადააყენეს, საფაშო გააუქმეს, ახალციხე არზრუმის ფაშას დაუქვემდებარეს და იქ (ახალციხეში) მუსელიმი (ფაშის თანაშემწე) იქნებაო.

აღა მაჰმად-ხანი ოსმალეთს კავშირსა სთხოვს რუსეთის წინააღმდეგ.

ეს ლაშქრობა, რუსეთმა რომ 1796 წელს მოაწყო, პავლეს რომ უკან არ გაეწვია ჯარი, სულერთია, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური აღსასრულით დამთავრდებოდა. ჯერ 1768—1774 წელს ძლივს გადაურჩა საქართველო, ერეკლეს მხნეობისა და რუსეთის აქ სისუსტის წყალობით, პოლიტიკურ გაქრობას; ეხლა სულ სხვა ვითარება იყო: საქართველო მოშლილი, ერეკლე მოხუცებული, შვილები უვარგისნი, რუსეთი ფეხმოკიდებული, ძლიერი და დიპლომატიურადაც წელმომაგრებული. ასეთ პირობებში ადვილად „დამტკიცდებოდა", რომ ქართველი ხალხისთვის უმჯობესია და სხვა... რა იქნებოდა უმჯობესი, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ის რომ აღარაფრად ვარგოდა, რაც იყო, ეს სავსებით ცხადია: ახალ შუქზე აშკარა შეიქნა მძიმე კრიტიკული ვითარება.

საქ. 846.

კოჩუბეი გარკვევით და დაჟინებით ახასიათებს ერეკლეს, როგორც ორგულს და თითქო ამის „საბუთებიც" აქვს (როგორც აცხადებს), ამას სწერს კოჩუბეი იანვარში 2/13, 1797 წლისა. აქამდეც მომიხსენებიაო, სწერს ელჩი პავლე იმპერატორს.

„ათონის კრებულის“ რედაქცია*

„ათონის კრებულის“ სახელით ცნობილია სახ. უნივერსიტეტის სიძველეთ საცავის (ყოფ. საეკლესიო მუზეუმის) ხელნაწერი № 558, აწ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება A 558.

ის, როგორც ნაწილი, მთლიანად შევიდა საეკლესიო მუზეუმის 1901 წლის საიუბილეო გამოცემაში: „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით“[1]. ამავე დროს ამ კრებულში მოთავსებულ თხზულებათაგან უმეტესი სათანადოდ გარჩეულ-შეფასებულია[2].

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ჩვენი ეს შრომა მაინც არ იქნება ზედმეტი. ჯერ ერთი, ეს კრებული ჩვენი წარსულის ისეთი დიდი მნიშვნელობის განძია, რომ მის შესახებ აზრის გამოთქმის ცდა დიდხანს არ იქნება ზედმეტი, მეორეც ამ კრებულს ჯერ არავინ შეხებია როგორც რედაქციას, ე. ი. განსაზღვრული მიზნით შედგენილ ძეგლს. ამდენად, საკითხისადმი ჩვენი მიდგომა არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული.

უნდა ხელნაწერის აღწერით დავიწყოთ. ძეგლის ზედმიწევნილობით აღწერას ჩვენი მიზნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ხელნაწერი № 558 დღეს წარმოადგენს ეტრატზე ნაწერ წიგნს (5 ფურცელი ქაღალდი უფრო გვიანაა ჩართული „იგ“ რვეულში).

---

* პირველად დაიბეჭდა: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI—B, 1941, გვ. 25—40.

1 ხსენებული გამოცემის მოყვანილი სათაური ზუსტად არ შეესაბამება გამოცემის შინაარს და არც თარიღი — 1074 წელი არის სათანადოდ გამოყენებული.

2 აკად. ივ. ჯავახიშვილი, „ისტორიის მიზანი და წყაროები“, გვ. 73—84; პროფ. კორნ. კეკელიძე, ქართ. ლიტერატ. ისტორია, I, გვ. 257.

ეს წიგნი 27 რვეულისაგან შედგება, მოქცეულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში. ყდა დაზიანებულია: ყუა მოგლეჯილი აქვს და ხელნაწერი შემადგენელ რვეულებად არის დაშლილი.

ხელნაწერის ზომა: ყდა — 21×14 სმ; რაც შეეხება ეტრატის ფურცლებს, თვითონ ტექსტს და გვერდებზე სტრიქონთა რიცხვს, აქ სხვა და სხვაობა ჩანს. „ძირითადი ტექსტის“ მიმართ ეს ზომა შემდეგია: გვერდი — 19×14 სმ, ტექსტი — 16×10 სმ, არც დანარჩენი ნაწილია ერთი ზომის; ზოგი მათგანის ზომაა: გვერდი — 19×15 სმ, ტექსტი — 17×11 სმ, სტრიქონი გვერდზე 27; ზოგის — (შესაბამისად): 19½×14½ სმ, 16½×11½ სმ, სტრიქონი გვერდზე 21, ზოგის კიდევ: 19×14 სმ, 16×11 სმ და სტრიქონი გვერდზე — 24[3].

მთელი კრებულის ხელი ერთნაირი არ არის. ნაწერი, გარდა ორიოდ მხედრული მინაწერისა, ყველა ნუსხახუცურია. უძველესი ამათგან XI საუკუნისაა, ყველაზედ ახალი — 1755 წლის მინაწერი ტიმოთე ქართლის მთავარ ეპისკოპოზისა. მოიპოვება ერთი მხედრული მინაწერიც 1868 წლისა, მაგრამ ეს მას შემდგომ, რაც წიგნი საქართველოში იქმნა მოტანილი.

საერთოდ მთელს კრებულში XI ს-ის ხელი სჭარბობს. ამიტომაც ჩვენ მას „ძირითად ტექსტს“ ვუწოდებთ. კრებულის დასაწყისი ორი ფურცელი, როგორც ზემორე ვუჩვენეთ, შემდგომ ჩანაკერები ეტრატია, რომლის მეორე გვერდზე ტფილელი ელისეს მინაწერია 1640 წლისა[4]. ამას მისდევს ბერძნული მინაწერი, რომელიც გადასულობის გამო არ ირჩევა. ამას მიჰყვება ქართული, ისიც გადასული; აქ ირკვევა: „...სამშობლო... მოიქცა ოდაბნოსა ქრონიკონი იყო...“ ამის შემდეგ მხედრული: „მოიხსენე უფალო ეგნატიოს“. ტიმოთე ქართლის არქიეპისკოპოსის 1755 წლის მინაწერით[5] სრულდება ეს გვერდი. უკანასკნელი მინაწერი ამ გვერდის ზემო აშიაზეა მოთავსებული. მესამე გვერდზედ იწყება და მეოთხე გვერდის შუაზედ სრულდება ფილიპე შაქარაშვილის ანდერძი 1565 წლისა[6].

საფიქრებელია, რომ ეს პირველი ორი ფურცელი სწორედ ფილიპეს მიერ ან მის შეკვეთით იყოს ჩაკერებული კრებულში.

---

3 თითოეული ამ ზომის შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი.

4 იხ. ათონის ივერის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, გვ. 275.

5 იქვე, გვ. 275.

6 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი მეხუთე გვერდიდან ანუ პირველი რვეულის პირველი გვერდიდან იწყება სინგურით: „ცხორებაჲ ნეტარისა მამისი ჩ~ნი/სა ი~ესი და ეფთ3მესი და უ/წყებაჲ ღირსისა მის მოქა-/ლაქობისა მათისაჲ აღ/წერილი გლახაკისა გიორგის მიერ ხუცეს მონაზონისა“. ამას მისდევს ტექსტი შავით. ეს „ცხორება“ რვა რვეულისაგან შედგება. ამათგან პირველი რვეული ექვსფურცელაა. მეორე ათფურცელა, ხოლო დანარჩენი რვა-რვა ფურცელაა. უკანასკნელი რვეულის მეორე და მესამე ფურცლები შუაშია გამწვარი. ხელი სათაურისა განსხვავდება თითქოს მომდევნო ტექსტის ხელისაგან, შემდეგ ეს ტექსტის ხელი თანდათან ემსგავსება სათაურის ხელს და მესამე რვეულიდან სავსებით იდენტური ხდება. მელანი მეოთხერვეულიდან უფრო მქრთალია, ვიდრე აქამდის და ასეთივე რჩება ბოლომდის. საერთოდ, არ უნდა იყოს საეჭვო, რომ მთელი თხზულება ერთი ხელითაა დაწერილი. რვეულების სათვალავი პირველად მხოლოდ ქართული ასოებით ყოფილა. ბერძნული პაგინაცია ქართულის შემდეგაა შესრულებული: ის რვეულების რიცხვის აღმნიშვნელ ქართულ ასოებს ხშირად ზემოდან აწერია და ჰფარავს მას — (იხილე „თ“ და სხვა).

პირველსა და მეორე რვეულს ქართული პაგინაცია არა აქვს. ისინი გადაფხეკილი ჩანან. ბერძნული სათვალავი აქვს არა მარტო რვეულებს, — გვერდებსაც კი. მესამე რვეულიდან ქართული სათვალავიც არის. ქართული პაგინაცია ჰქონია თითოეულ რვეულს, როგორც დასაწყისს, ისე უკანასკნელ გვერდზედაც, რვეულის დასაწყისში ზემო აშიაზე, რვეულის დასასრულს — ქვემო აშიაზე. ისინი, ან უკეთ, მათი ნაწილები ოდნავ მოჩანან ეტრატის კიდეების ჩამოჭრის გამო.

მეცხრე რვეული იწყება სინგურით: „ც~ხრბ~ჲ და მოქალაქობაჲ წ~ისა და ნტ~რისა/მ~მისა ჩ~ნისა ილარიონ ქართველისაჲ“. ეს „ცხოვრება“ სამ რვეულს შეიცავს. თითოეულში რვა ფურცელია. რვეულების პაგინაცია წესიერად მისდევს წინა სათვალავს: თ, ი, ია. აღსანიშნავია, რომ რვეულთა რიგის აღმნიშვნელი ეს ასოები არც მოხაზულობით და არც მელნის ფერით არ ჰგვანან წინა რვეულების სათვალავ ასოებს.

სამივე რვეული ერთის ხელითაა ნაწერი. ეს ხელი ცხადად განსხვავდება როგორც წინა, ისე მომდევნო რვეულთა ხელისაგან. ასევე განსხვავდება ეტრატიც. მესამე რვეულის უკანასკნელ გვერდზე, ე. ი. კრებულის XI რვეულის უკანასკნელ გვერდზე მოთავსე-

ბულია წირვის წესის განგება ეფთჳმე მთაწმიდელისათვის 13 მაისს. ეს განგება ხსენებულ გვერდზედ ვერ მოთავსებულა და აშიებზედ დაუბოლოებიათ. ჩანს: „განგება“ მიუწერიათ მას შემდგომ, რაც ეს „ცხორება“ შეუტანიათ კრებულში. წინააღმდეგ შემთხვევაში ილარიონის „ცხოვრებასთან“ ეფთჳმეს საწირავს კავშირი არა აქვს. მეორეს მხრით, ჩანს, რომ თვით „ცხოვრებაც“ შეუტანიათ კრებულში მაშინ, როცა მომდევნო რვეულები უკვე დაწერილ-შეტანილი ყოფილან. ხელი ამ წირვის განგებისა სრულიათ განსხვავებულია, როგორც ილარიონის ცხორების ხელისაგან, ისე ყველა სახის ხელთაგან.

მეთორმეტე რვეულით იწყება: 1 ცხრ~ბაჲ და ქ~დგებნი წ"ისა და/ყ~ლდ ქებ~ლისა მ~ცქლისა და/მახ~რბელისა ი~ნე ღ~თის მ~ტყლი/საჲ აღწერილი პროხორეს/მ~რ მო~წფისა მისისა ერთისა/შვიდთაგანისა ძმისწულისა/წ~ისა სტ~ფნე პ~ ლ მწი~მისა: თარგმნილი წ~ისა მ~ისა და გნმა/ნათლებლისა ჩ~ნისა ახლისა ოქროპირისა ეფთჳმე მთაწდე/ლისაჲ. სინგურით შესრულებულ მოყვანილ სათაურს მისდევს ტექსტი, რომელსაც ცხრა რვეული უჭირავს. თითოეული რვეული რვაფურცელაა გარდა უკანასკნელისა, რომელიც სამი ფურცლისაგან შედგება და ისიც განსხვავებულის ეტრატით. პაგინაცია ყველა რვეულს აქვს, გარდა უკანასკნელისა. მაგრამ უკანასკნელი რვეულის ხელი უეჭველად იგივეა, რაც წინა რვეულებისა.

რვეულების სათვალავი ასოები: ⲓⲃ, ⲓⲅ, ⲓⲇ, ⲓⲉ, ⲓⲋ, ⲓⲍ, ⲓⲏ, ⲓⲑ, როგორც მელნით, ისე მოხაზულობით ჰგვანან პირველი რვა რვეულის — ⲃ, ⲇ, ⲉ, ⲋ, ⲍ, ⲏ—აღმნიშვნელ ასოებს და არ უდგებიან ილარიონის „ცხორების“ რვეულთ—თ, ი, ია პაგინაციას. იგივე ითქმის ტექსტის ხელის შესახებაც.

მე-309 გვერდზე (მე-20-ე რვეულის შუაზედ) იწყება მიქელ დაღალისონელის ანდერძი. ის მე-311 გვერდზე ბოლოვდება. მეოცე რვეულის უკანასკნელ ცარიელ გვერდზე (312 გვერდი) მოთავსებულია ვინმე ბერძენოვის მხედრული მინაწერი 1868 წლისა.

დაღალისონელის ანდერძის ხელი იგივეა, რაც წინარე რვეულთა ხელი. ეს ანდერძი უშუალოდ მისდევს იოანე მახარებლის „ცხორებას“, რომელიც კრებულის მე-308 გვერდზე ბოლოვდება. თვით ანდერძის შინაარსიდანაც ცხადია, რომ წინა ტექსტი ანდერძის დამწერის მიერაა შესრულებული[7]. მე-21 რვეულით იწყება: „დას~დბლნი წ~ისა და ნ~ტრისა მამისა ჩ~ნისაი ი/ლარიონისნი,

რი~სა თავნი იტყვიან ესე: აწ ღ~თ შემოსული ილარიონ იქებოდენ დღეს ჯერისა/ებრ ამინ“. ამ თხზულებას ხსენებული რვეულის ექვსი ფურცელი უჭირავს. თვით რვეული რვა ფურცლიანია. ხელი ამ დასდებელთა სრულიად განსხვავდება სხვა ხელთაგან.

ხსენებული რვეულის მეშვიდე ფურცლიდან იწყება იოანე ქართველის დასდებელნი „/თ~ა ივნისსა: ი~ დ წ~ისა მ~მისა ჩ~ნისა ი~ ე ქ~ რთველისაჲ/რ~ნ აღაშენა მთა~წდას დიდი ლავრაჲ ქართ/ველთაჲ“. ამ თხზულებას უჭირავს მომდევნო მე-22-ე რვეულიც, რომელიც ექვსი ფურცლისაგან შედგება.

მე-21-ე რვეულის პაგინაცია უნდა ყოფილიყო კა, მაგრამ მას აქვს იბ და შემდეგ მისდევს რვეულები იგ, იდ, იე, ივ, იზ—და ასე ბოლომდის. ხელი და მელანი რვეულთა ამ სათვალავებისა არ უდგება წინა სათვალავებს, მაგრამ უდგება ილარიონის „ცხორების“ რვეულთა პაგინაციის ჯელსა და მელანს (თ, ი, ია), მე-22-ე რვეულის („იგ“ პაგინაციით) ექვს ფურცელთაგან პირველი ხუთი ფურცელი ქაღალდია, მეექვსე—ეტრატი. მთელი ეს რვეული იოანეს დასდებელთა გაგრძელებას უჭირავს. პაგინაცია აქვს როგორც რვეულის პირველ ფურცელს („იგ“ ზემოაშიაზე), ისე უკანასკნელ ეტრატის ფურცელსაც. ეს რვეული ორგვარის ხელითაა შესრულებული: ქაღალდზე ნაწერი მიაგავს წინა რვეულში მოთავსებულ იოანეს დასდებელთა დასაწყისს (იგივეობა არ ითქმის). ეტრატის ხელი კი ორთავესაგან განსხვავდება.

ქაღალდი. როგორც ჩანს, შემდეგ არის ჩაკერებული: მისი უკანასკნელი ფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებული უკანასკნელი სიტყვების — „სათნოებათა შენთა“-ს შემდეგ იმაზედ მეტი ადგილია იმავ სტრიქონზედ დატოვებული, რაც საჭირო იყო შემდგომ ეტრატის ფურცელზე მოთავსებული პირველი სიტყვის „შეიწყნარა“-სათვის. უნდა ვიფიქროთ: რადგან ეტრატზე ეს სიტყვა და შემდგომი უკვე დაწერილი იყო, როცა ქაღალდის ხუთფურცელასა სწერდნენ, ამიტომ ქაღალდის უკანასკნელი სტრიქონის მორჩომილი ნაწილი ცარიელი უნდა დაეტოვებინათ.

ეტრატის ფურცელიც, თუმცა ქაღალდზედ უწინ, მაგრამ ისიც შემდგომ დროის ჩანამატს წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, ის უფრო გვიანაა კრებულში შეტანილი, ვიდრე მისი მომდევნო რვეული. ეს ჩანს იქიდან, რომ უკანასკნელი სტრიქონები ამ ეტრატის

---

7 ამ ანდერძის ტექსტი და მის შესახებ ცოტა ქვემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამწერს შემდგომი (ID) რვეულის აშიაზედ მოუთავსებია [ეტრატის ეს ფურცელი თაფლაჲსძის ხელითაა ნაწერი. მაშ, ქაღალდის ხუთფურცელა XII—XIII ს-შია შეტანილი]. მე-23-ე („იდ") რვეული რვა ფურცელაა. ეტრატის ყველა ფურცლები ერთი მეორეს ცალებია. ამ რვეულის პირველ ექვს ფურცელზე მოთავსებულია: „თ˜ ა მაისსა: ი˜ გ: წ˜ ისა მამისა ჩ˜ნი/სა ეფთჳმი მთაწმინდელი-საჲ/დსდბლნი: ო˜ ო˜ ღ˜ ღ˜ ყსა: §˜ჲ: ა:/რლთა თავნი იტყჳან: ესე ახ/ალი ოქროპირი იქებოდენ/დღეს ჩუენ მიერ ამინ". ხელი სავსებით იგივეა, რაც იოანე მახარებლის „ცხორებისა".

რვეულის მე-7-ე ფურცელზე იწყება—„ს˜ხნი გ˜ლბნი მისივე წისანი". ხელი უეჭველად იგივეა, რაც წინა დასდებელთა. ამ რვეულის ბოლოში შერჩენილია პაგინაცია „იდ".

მე-24-ე რვეულის თავში უზის პაგინაცია —იე. ამ რვეულში 10 ფურცელია. რვა ფურცელი ერთი მეორეს ცალებია. ორი ფურცელი კი ცალ ცალადაა ჩაკერებული. რვეულის დასაწყისი უჭირავს „სხვანი გალობანის" გაგრძობას, რომელიც რვეულის მეოთხე ფურცელზედ ბოლოვდება.

მეოთხე ფურცლის ცალია მეხუთე ფურცელი, რომლის პირველ გვერდზე წითლით იწყება: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა: ესე არიან აღაპნი მონასტრისა ჩუენისანი, ვინაჲთგან აღშენებულ არს, ვიდრე აქამომდჱ". ამას მისდევს „თუესა დეკემბერსა: იე: აღაპი არს იოანე სჳნგელოზისა მაშენებელისა ამის დიდებულისა ლავრისაჲ". — ე. ი. აღაპი № 1.

ხელი როგორც მოყვანილი სათაურისა, ისე აღაპისაც იგივეა, რაც წინა გვერდებისა. უეჭველია: ვინც ეს აღაპი ჩაწერა, მასვე ეკუთვნის ეფთჳმეს ორთავე საგალობელთა და იოანე მახარებლის ცხორების ჩაწერაც, ამავე ხელითაა დაწერილი მე-5-ე ფურცლის მეორე გვერდიც.

მეექვსე ფურცელი ჩაკერებულია შემდგომ: მასზედ გადატანილია მეხუთე ფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებული განგების ნაწილი, რომელიც უწინ აწინდელ მე-7-ე ფურცლის თავში ყოფილა, სადაც ეხლა მის ანაფხეკზედ მე-10-ე აღაპია მოთავსებული. მეექვსე ფურცელზე მოთავსებული პირველი სამი აღაპი (2, 3, 4) ერთი ხელითაა ნაწერი; ერთიც (5) — სხვა ხელით. შემდეგ ცარიელი ადგილია დატოვებული, სადაც ერთი აღაპი დაეტეოდა. ამ ფურცლის მეორე გვერდზე ოთხი აღაპია მოთავსებული (6, 7, 8, 9). ყველანი სხვადასხვა ხელითაა ჩაწერილი.

რვეულის მე-7-ე ფურცელი მესამე ფურცლის ცალია. აქ თავში გადანაფხეკზე მე-10-ე .აღაპია ჩაწერილი. 11, 12, 13 აღაპები პირველი აღაპის ხელითაა, ისე როგორც ამავ ფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებული 15, 16, 17 (ნაწილი) აღაპები. პირველი გვერდის აშიაზე მე-14-ე აღაპია მიწერილი სხვა ხელით.

რვეულის მერვე ფურცელი მეორე ფურცლის ცალია. მის პირველ გვერდზე პირველი აღაპის ხელით ჩაწერილია 17 (ნაწილი), 18, 19 და 24 (ნაწილი) აღაპები, ხოლო აშიებზე კი სხვადასხვა ხელით — 21, 22 და 23. მეორე გვერდზე პირველის ხელით: 24 (ნაწილი), 26, 27 და 29, ხოლო აშიებზე კი 25 და 28 ორივე სხვადასხვა ხელით.

რვეულის მეცხრე ფურცელი ცალფურცელაა. მის პირველ გვერდზე მოთავსებული აღაპები (30, 31) სხვადასხვა ხელითაა ჩაწერილი. მეორე გვერდზე — აღაპი 32. ხელი ამისიც განსხვავებულია. აშიაზე მიწერილია აღაპი—33. მეათე ფურცელი პირველი ფურცლის ცალია. მის პირველ გვერდზედ პირველი აღაპის ხელით მოთავსებულია აღაპები 34 და 35 (ნაწილი); აშიაზედ ძველი მხედრულით აღაპი — 36. ამავე ფურცლის მეორე გვერდზე პირველი ხელით — 37, 38, 40 (ნაწილი) აღაპები; ხოლო აშიაზე სხვა ხელით აღაპი 39.

შემდგომი მე-25-ე რვეული (პაგინაცია: ივ:) თაფლაჲსძის ხელითაა ნაწერი უმთავრესად. ეს რვეული მასვე შეუკრავს და კრებულში შეუტანია: მას დასჭირვებია წინა რვეულის უკანასკნელი აღაპის (№ 40) ბოლო თავის რვეულში გადმოეტანა, რაჲც ალბათ სხვა რვეულში იქნებოდა მოთავსებული.

ამ რვეულში შვიდი ფურცელია. პირველ ფურცელზე მოთავსებულია აღაპები: 40 (დასასრული), 41, 42, 43 — ესენი თაფლაჲსძის ხელით, — 44, 45, 46 — ეს სამი აღაპი თითქოს სხვა ხელით, და 47— ეს განსხვავებულის ხელით. აწინდელ ოცდამეოთხე რვეულის პირველ ფურცელზე მოიპოვება, როგორც ვუჩვენეთ, პაგინაცია „იე“. სწორედ ამ „იე“ რვეულის ბოლოში მოთავსებულია პაგინაცია Ι, რომელსაც ჰფარავს შემდგომ წარწერილი ბერძნული παρ და ამიტომ ძნელად შესამჩნევი გამხდარა.

აწინდელი ოცდამეხუთე რვეულის (— ივ) ჩანართ ცალფურცელას, რომელიც პირველი ხელითაა შესრულებული, აქვს ზემო აშიაზე პაგინაცია „ΙΑ“. აშკარაა, ეს ფურცელი რომელიღაც მე-11-ე რვეულის დასაწყისია. ამ ცალფურცელზე მოთავსებულია

მე-47-ე აღაპის გაგრძელება (გადანაფხეკზე) და აღაპები № 1 აღაპის ხელით: 48, 49, 50 (დასაწყისი). დასასრული ამ მე-50-ე აღაპისა ამავ რვეულის მესამე ფურცელზეა ჩაწერილი თაფლაჲსძის ხელით (ამის შემდეგ ჩვენ პირველი ხელით ნაწერი აღაპი აღარა გვხვდება). ამ მესამე ფურცელზეა 51, 52, 53, 55, 56 აღაპები თაფლაჲსძის ხელით, ხოლო აშიაზე სხვა ხელით 54, 57.

მეოთხე ფურცელზე თაფლაჲსძის ხელით 58, 59, 60, 61, 62, 63 და განსხვავებულის ხელით 64. აშიაზე კი ძველი მხედრულით 65.

მეხუთე ფურცელზე თაფლაჲსძის ხელით: 66, 67, 68, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77და აშიაზე განსხვავებულის ხელით 69.

მეექვსე ფურცელზე თაფლაჲსძის ხელით აღაპები: 78, 79, 81, 83, 84, 85, 86, 87, 90, 91, (დასაწყისი) და აშიაზე სხვადასხვა ხელით: 80, 82, 88.

მეშვიდე ფურცელზე თაფლაჲსძის ხელით: 91 (დასასრული), 92, 93, 94, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103 და აშიებზე სხვადასხვა ხელით — 95, 104.

აწინდელ 26-ე რვეულს უზის ბოლოზე პაგინაცია „იზ". ეს რვეული ექვსფურცელაა. ფურცლები ერთი მეორეს ცალებია. ძირითადი ტექსტი ამ რვეულისაც თაფლაჲსძის მიერ არის შესრულებული. პირველ ფურცელზე თაფლაჲსძის ხელით — 106, 107, 108, 110, 111, 112, 113, 114, 115 (დასაწყისი) და განსხვავებულის ხელით აშიებზე — 105 და 109.

მეორე ფურცელზე თაფლაჲსძის ხელით: 115 (დასასრული), 116, 117, 118, 119, 120, 121.

მესამე ფურცლის პირველ გვერდზე სხვადასხვა ხელით აღაპები: 122, 123, 124, მეორე გვერდზე: აღაპი 125 იწყება სხვა ხელით და მელნით: ამს~ვე თ~ა სამსა (ეს გადანაფხეკზე) და გრძელდება თაფლაჲსძის ხელით. მისივე ხელითაა ჩაწერილი 126 და 127. შემდეგ გადაფხეკილ აღაპის ადგილას, რომელიც, როგორც ჩანს, თაფლაჲსძის ხელით იყო ჩაწერილი, ეხლა სხვა ხელით და მელნით მე-128-ე აღაპია მოთავსებული.

მეოთხე ფურცელზე თაფლაჲსძის ხელით: 129, 130, 133, 134; აშიაზე სხვა ხელით: 131, 132 და არა აშიაზე, მაგრამ სხვა ხელით — 135.

მეხუთე ფურცელზე თაფლაჲსძის ხელით: 136, 137; სხვადასხვა ხელით: 138, 139 (გადანაფხეკზე), 140, 141. მეექვსე ფურ-

ცელზე სხვადასხვა ხელით: 142 (ამისი ხელი და 140-ისა ერთნაირია), 143 (ამისი ხელი 135-ს უდგება) და 144.

უკანასკნელი — მე-27-ე რვეული ძველად ექვსფურცელა ყოფილა. რვეულის უკანასკნელ ფურცელს უზის დღეს პაგინაცია ᲘᲗ. დღეს რვეულში 12 ფურცელია. პირველი ორი ფურცელი უკანასკნელი ორი ფურცლის ცალებია. ეტრატი პირველი ორი ფურცლისა და უკანასკნელი ოთხი ფურცლისა ერთნაირია.

პირველ ფურცელზე აღაპები: 145, 146, 147, 148 (ნაწილი), მეორე ფურცელზე — 148 (დასასრული), 149, 150, 151, 152, 153 და 154. აი აქ არის ჩართული ექვსი ფურცელი ეტრატი. ეს ეტრატიც და მისი ხელიც განსხვავებულია წინა და მომდევნო ფურცლებისაგან.

ამათგან პირველი ორი ფურცელი ჯერ ერთი მეორეზე გადაუწეპებიათ და შემდგომ ზედ დაუწერიათ მე-155-ე აღაპი. (ეტრატი ამ აღაპისა თხელია, ხელი მე-12-ე საუკუნისა). მესამე ჩანართი ფურცელი ცალფურცელაა. მასზეა აღაპები; 156, 157, 158. (ეტრატი თხელი. ხელი მე-12-ს.).

მეოთხე ჩანართ ფურცელზე მოთავსებულია — 159, 160, 161 აღაპები. სამივე აღაპი ერთის ხელითაა ჩაწერილი.

ამ მეორე ფურცლის ცალზე — მეექვსე ჩანართ ფურცელზე და მათ შორის შემდეგ ჩაკერებულ ეტრატის თხელ ფურცელზე მოთავსებულია აღაპები: 162, 163 და 164. ამათგან პირველი ორი მეხუთე ცალფურცელზეა მოთავსებული, ხოლო 164-ს უჭირავს მეექვსე ფურცელი. პირველი ორი აღაპი უკანასკნელი აღაპისაგან განსხვავებული ხელითაა დაწერილი.

შემდგომი სამი ფურცელი უჭირავს მამა პავლეს ანდერძს — № 165.

უკანასკნელი ფურცლის პირველ გვერდზე მოთავსებულია თაფლაჲსძის ხელით მისივე ანდერძი — № 166 და მამა პავლეს განგება № 167.

ამ ფურცლის მეორე გვერდზე დღეს აღარაფერი იკითხება. არის კი კვალი ბერძნული და ქართული წარწერებისა.

რა ირკვევა ხელნაწერის აღწერიდან?

1. ი˜ე და ეფთჳმეს ცხორება, იოანე მახარებლის ცხორება, ეფთჳმეს ორივე დასდებელნი და აღაპების ერთი ნაწილი (სულ 21 აღაპი), — ყველა ეს დაწერილია ერთი პირის მიერ და შესრულებულია 1074 წელს.

2. ილარიონ ქართველის ცხორება, ილარიონის დასდებელნი— ყველა სხვადასხვა პირთა მიერ არის დაწერილი.

3. აღაპების თითქმის ნახევარი — 72 აღაპი — ჩაწერილია თაფლაღსძის ხელით. მისივე ხელითაა შესრულებული ი˜ეს დასდებელთა უკანასკნელი ეტრატის ფურცელი.

4. რვეულების სათვალავის შესწავლით შესაძლებელი ხდება წარმოვიდგინოთ კრებულის პირვანდელი სახე, რომელიც განსხვავებული ყოფილა აწინდელისაგან.

5. კრებულს, სულ ცოტა, სამი რედაქცია განუცდია. მართლაც და მოვიყვანოთ მიქელ დაღალისონელის ანდერძის ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ნაწილი. ისა წერს იოანე მახარებელის ცხორების ბოლოს: „...დაიწერა ამასვე წმიდასა ლავრასა წმიდისა ეფთჳმის მიერ აღშენებელსა ბურღოსა შინა, სადა თვით მას წმიდასა დაუყოფია და ვინცა ვინ ესე წიგნაჲ ამას წმიდასა ეკლესიას რაჲთაცა მიზეზითა გამოაჴუას, რომელსა შინა სწერია წმიდისა მამის ჩუენისა ცხორებაჲ და მერმე აღაპნი და მერმე ქადაგებანი მოციქულისანი იგიმცა ნუ არს კურთხეულ და ვინცა ვინ რაჲთაცა არგოს და შეამოსიოს, კურთხეულ იყავნ იგი. ამინ“. ამრიგად, როცა მიქაელს ეს „წიგნაჲ„ დაუწერია, მასში ყოფილა შემდეგის რიგით ჯერ ი˜ეს და ეფთჳმეს „ცხორება“, მერმე აღაპნი და უკანასკნელ ქადაგებანი მოციქულისანი, ე. ი. იოანე მახარებლის „ცხორება“.

პირველ ყოვლისა ამას ადასტურებს თვთ ის გარემოებაც, რომ დაღალისონელს ანდერძი ი˜ე მახარებლის ცხორების ბოლოს მოუთავსებია, ე. ი. მისი რედაქციით წიგნის ბოლოს. რვეულების პაგინაციის შესწავლა ადასტურებს დაღალისონელის ანდერძის ასეთ გაგებას და რამოდენადმე ავსებს მას.

პაგინაციის აღმნიშვნელი ასოების ხელი და მელანი კრებულში ორნაირია:

1. პაგინაცია იოანეს და ეფთჳმეს ცხორების რვეულთა (ბ, დ, ე, ვ, ზ, ᲗᲘ) და იოანე მახარებლის მიმოსვლათა რვეულებისა (ᲘᲑ, ᲘᲒ, ᲘᲓ(ᲘᲔ, ᲘᲕ, ᲘᲖ, ᲘᲗ. ᲘᲘ) ყველა ესენი ერთის ხელითა და მელნითაა შესრულებული;

2. სხვა ხელითა და მელნითაა შესრულებული ილარიონ ქართველის ცხორების (თ, ი, ია), ილარიონის დასდებელთა, იოანეს დასდებელთა, ეფთჳმეს დასდებელთა და აღაპების რვეულების (იბ, იგ, იდ, ივ, იზ, ᲘᲗ) პაგინაცია.

უკანასკნელი რიგის იე და ივ რვეულებში, როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, სხვა პაგინაციის კვალიც იპოვება: სახელდობრ იე რვეულის ბოლოში ქვემო აშიაზე ზის ასო Ი, ხოლო ივ რვეულის ერთერთ ცალფურცელზე ზემო აშიაზე პაგინაციის ადგილას აზის ია— შუაზედ გადაჭრილი აშიების ჩამოჭრის გამო. ორივე ესენი ხელითა და მელნით პაგინაციათა პირველ რიგს მიაგავს.

ჯერჯერობით ერთი უდავოა: ამ პაგინაციით აღნიშნული რვეულების ადგილი აქ არ არის. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ როგორც ეს რვეული (იე), ისე ის ცალფურცელაც პირველის ხელით არიან ჩაწერილი. (ხელის უდავო მსგავსების გარდა ტექსტის ზომა — 16×10 — და სტრიქონთა რიცხვიც თითოეულ გვერდზე — 24 — ისეთივეა, რაც ი-ე და ეფთვმესა და ი-ე მახარებლის ცხორებათა ტექსტებისა.

ამას გარდა ჩვენ ვიცით, რომ იე რვეულზე მოთავსებული ტექსტი არის იდ რვეულზე მოთავსებული ტექსტის გაგრძელება — (ეფთვმეს დასდებელნი). მათ ერთნაირი აქვთ აგრეთვე ეტრატი, ხელი, ტექსტის ზომა და სტრიქონების რაოდენობა გვერდზედ. ამ ორი რვეულის ურთიერთისაგან დაცალკევება შეუძლებელია. და როცა იდ რვეულს ძველი პაგინაცია არ შერჩენია, ეს აშიათა ჩამოჭრით უნდა იქნას ახსნილი: რვეულის აღმნიშვნელი ასოები ჩამონაჭერ აშიებს გაჰყოლია.

ამრიგად ჩვენ გვაქვს აქ თ, ი, ია რვეულები (უკანასკნელი რვეულის მხოლოდ ერთი ფურცელი გვაქვს) პირველი რიგის პაგინაციით და პირველი ხელით შესრულებული.

ამ რვეულების რიგის შეცვლა შეუძლებელია: ვინც ჩაწერა 48, 49, 50 აღაპები (რვეული ია), მანვე ჩაწერა პირველი აღაპი (რვეული ი) და ვინც ეს პირველი აღაპი ჩაწერა, მანვე ჩაწერა ეფთვმეს დასადებელნი და „სხუანი გალობანი მისვე წ˜ისანი“ (რვეული თ). სად უნდა ყოფილიყო მოთავსებული ეს რვეულები? ჩვენ ვიცით, რომ ი˜ე და ეფთვმეს ცხორებას დღეს კრებულში ილარიონ ქართველის ცხორება მისდევს და უკანასკნელი სამი რვეულისაგან შედგება (თ, ი, ია). ილარიონის „ცხორების“ ტექსტი ზომა—17×11 სმ, სტრიქონთა რაოდენობა გვერდზე —27 და დამწერლობის ხელი, —ყველა ესენი არსებითად განსხვავდებიან დაღალისონელის მიერ ჩაწერილი ტექსტიდან. ეტრატიც განსხვავებულია: თვთ რვეულთა აღმნიშვნელი ასოებიც სხვა ხელითა და მელნითაა შესრულებული, ვიდრე წინა და მომდევნო რვეულებისა. ცხადია ეს „ცხორება“

აქ უცხოა. ამასვე მოწმობს დაღალისონელიც: ის არ იხსენიებს თავის „წიგნაჲ-ში“ ილარიონის „ცხორებას“.

მაშ, თუ კრებულის პირველს რედაქციაში ილარიონის ცხორება ამ ადგილას არ ყოფილა (არათუ ამ ადგილას, ის საერთოდ არ ყოფილა მაშინ კრებულში), რას ეჭირა ეს ხარვეზი ი˜ე და ეფთჳმეს ცხორების უკანასკნელ — Ѳ — რვეულსა და იოანე მახარებლის ცხორების პირველ რვეულს — ІѲ — შორის? ის უნდა სჭეროდა ეფთჳმეს დასდებელთა და აღაპების სამ რვეულს (აწინდელი პაგინაციით იდ, ІІ რვეულებს და იმ რვეულს, რომლისაგანაც პირველი და ერთად ერთი გადარჩენილი ფურცელი ІА პაგინაციით აწინდელ ІЗ რვეულშია დაცული. აქ აღნიშნულ უნდა იქნას ერთი გარემოება: მიქელ დაღალისონელს თავის ანდერძში არ აქვს მოხსენებული ეფთჳმეს „დასდებელნი“ და არც „სხუანი გალობანი მისვე წ˜ისანი“. მაგრამ ჩვენ ზემოთ გავარკვიეთ, რომ ამ თხზულებათა განცალკევება აღაპებისაგან ყოვლად შეუძლებელია: ვისაც ეკუთვნის აღაპების (21 აღაპი დღეს) ჩაწერა, მასვე ეკუთვნის ეს დასდებელნიც. თუ დაღალისონელს ეს დასდებელნი არ ჩაუწერია, მაშინ მას არც აღაპები ჩაუწერია. მაგრამ უკანასკნელში ეჭვის შეტანა ჩვენ არ შეგვიძლია. ამის შესახებ თვით მისი მოწმობა გვაქვს. მაშ, უნდა მივიღოთ, რომ დასდებელნი დაღალისონელს შეუტანია კრებულში. და თუ რატომ არ იხსენიებს მათ, ამის მიზეზად შესაძლებელია ის იქმნას დასახელებული, რომ ეს დასდებელნი მას ეფთჳმეს ცხორების ნაწილად მიაჩნდა.

ამრიგად, ეხლა ჩვენ გამორკვეული გვაქვს კრებულის პირველი რედაქციის სახე: მასში შედიოდა და შემდეგის თანმიმდევრობით: 1. ი˜ე და ეფთჳმეს ცხორება, 2. ეფთჳმეს დასდებელნი, 3. სხვანი გალობანი მისვე წ˜ისანი, 4. აღაპები და ი˜ე მახარებლის ცხორება.

ამის მეტი კრებულის პირველს რედაქციაში არა ყოფილა რა.

წიგნის ბოლოს მოქცეული მიქელ დაღალისონელის ანდერძი უეჭველად ამოწმებს ამას.

დაღალისონელს კრებული დასრულებულად მიაჩნია — „დაიწერა ესე წიგნაჲ“ — და ვინმეს მიერ რაჲმე ახალის ჩამატებას არ ელის. ის მხოლოდ ერთსა სთხოვს ქ-ეს მოყვარეთ: არაფერი ამოხოცონ და არც ჩაურთონ მის მიერ შესრულებულ ტექსტში. მიქელი თავის ანდერძში იმასაც კი გვიხსნის, თუ რატომ შეიტანა,

ან უკეთ, იაკობ მღვდელმა რატომ განუზრახა მიქელს, რათა შეეტანა კრებულში ი-ე მახარებლის მიმოსვლანი: „ვინაჲთგან იგი (ე. ი. ეფთჳმე) მისისა (ე. ი. იოანე მოციქულის) ხატისათჳს იწამაო“.

ამრიგად, მიქელს ეს კრებული სრულიად გარკვეული მიზნით და გეგმით შეუდგენია.

შემდგენელს კრებული შეუმოსავი დარჩენია. შემოსვისათვის ის ღმერთის კურთხევას გამოითხოვს გამრჯელის თავზედ. როგორც ჩანს, თითონ არ აპირებს წიგნის შემოსვას. ამრიგად, კრებულში 1074 წელს არ ყოფილა ილარიონის ცხორება, დასდებელნი ილარიონისნი და დასდებელნი იოანესნი[8].

მაშ, ვინ და როდის შეიტანა ეს თხზულებანი კრებულში[9].

---

8 რა თქმა უნდა, კრებულის ამ პირველს რედაქციაში არ ყოფილა უმრავლესობა დღეს იქ მოთავსებული აღაპებისა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ დაღალისონელის მიერ ჩაწერილ აღაპთა რიცხვი აწინდელივით ოცდა ორით არ განისაზღვრებოდა, არამედ გაცილებით მეტი იყო. ამას მოწმობს ისა, რომ 48, 49 და 50 (ნაწილი) აღაპების შემცველ ცალფურცელას, რომელიც აწინდელივ: რვეულშია მოქცეული და დაღალისონელის ხელითაა შესრულებული, აქვს პაგინაცია: ΙΑ: ცხადია, ეს ფურცელი ΙΑ რვეულის დასაწყისია. რომ ამ ერთი ფურცლით არ განისაზღვრებოდა ამ: ΙΑ: რვეულის შემცველობა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მე-50-ე აღაპი ამ ფურცლის ბოლოზე მხოლოდ დაწყებულია. ცხადია, ის დასრულებული იქნებოდა შემდგომ ფურცელზე: დღეს ამ აღაპს თაფლაისძე აბოლოებს. ია რვეული მთელი უნდა ყოფილიყო: ი˜ე მახარებლის ცხორება „იბ“ რვეულით იწყება.

ამ დაკვირვების გარეშეც შესაძლებელი იყო დამტკიცებულიყო, რომ დაღალისონელს გაცილებით მეტი აღაპები უნდა ჰქონოდა ჩაწერილი, ვიდრე ეს დღევანდლამდის მოღწეული მისი ხელით ჩაწერილი აღაპებია. აღაპების წინ მიქაელი აცხადებს: სახელითა: მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა: წმიდისაჲთა; ესე არიან; აღაპნი: მონასტრისა ჩნისანი: ვინაჲთგან აღშენებულ არს ᲗᲔ: აქამომდᲔ (ეს ტექსტი სინგურითაა ნაწერი. განკვეთის ნიშნები კი შავით. მხოლოდ წინა ოთხწერტილი და უკანასკნელი ოთხწერტილის ნახევარი — ე. ი. ორი წერტილი სინგურითვეა). ამ განცხადებიდან აშკარად ჩანს, რომ დაღალისონელს აქ მოუთავსებია მის დრომდის დადებული ᲧᲕᲔᲚᲐ აღაპი.

და მართლაც, ეხლა როცა კრიტიკულად განვიხილავთ ამ აღაპების ტექსტს, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ არა ერთი და ორი აღაპი, რომელნიც ყოველ მიზეზს გარეშე 1074 წლამდის უნდა ყოფილიყვნენ დადებული და მაშ, დაღალისონელის მიერ ჩაწერილი უნდა იყვნენ ამ კრებულში, დღეს თაფლაჲსძის მიერ ჩაწერილი გვხვდება.

9 ამ საკითხის დასმის დროს სამართლიანია ვიკითხოთ, თუ როდისაა დაწერილი ეს თხზულებანი. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამის გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება რედაქციათა მიზნების გაგება-შეფასებისათვის.

კრებულში მოთავსებული ილარიონის ცხორება გადაწერილია მამა გრიგო-

ჩვენ ერთი რამ ამ თავითვე გამორკვეული გვაქვს: აღნიშნული თხზულებანი კრებულში შეტანილი არიან 1074 წლის შემდეგ.

ჩვენ შეგვიძლია მეორე ქრონოლოგიური საზღვარიც ვუჩვენოთ: ეს არის ი˜ე თაფლაჲსძის მოღვაწეობა ამ კრებულის რედაქციის საქმეში. თაფლაჲსძის შემდგომ კრებულს რაჲმე არსებითი ცვლილება არ განუცდია. თაფლაჲსძე კი ჩვენი ანგარიშით მე-12-ე ს-ის 40-იანი წლების მოღვაწეა. მაშასადამე, ეს ხანაა ჩვენი თარიღის უგვიანესი ზღვარიც ხსენებულ თხზულებათა შეტანისათვის „ათონის კრებულში“.

მაგრამ ეს 60—80 წლის მანძილოვანი სამზღვრები ჩვენ შეგვიძლია დავავიწროვოთ. ამისათვის პირველყოვლისა ვიკითხოთ: შეიძლებოდა თუ არა ორი რედაქციით (დაღალისონელისა და თაფ-

---

ლის დროს — (ათონის კრებ. გვ. 177). ჩვენ აქ ვიხმარეთ ეს სიტყვა „გადაწერილია“, რადგან არსებობს წერილობით გამოთქმული აზრი, რომ ილარიონის ცხორება ეფთჳმე მთაწმინდელმა დასწერა 991 წელს იოანეს მამობის ჟამს (იხ. ტფ. უნ-ტის მოამბე № 1, ნაკვეთი 1, გვ. 66—67).

ილარიონის დასდებელნი დაუწერია გლახაკ ზოსიმეს იაკობ მღვდლის „იძულებით“, ეს იაკობი დეკანოზი იყო გიორგი ოლთისარის მამობაში. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, როდის იქმნა იაკობი დეკანოზად, თუ მღვდელად. არც ის ვიცით, თუ სანამ გაგრძელდა იაკობის დეკანოზობა. ამიტომ მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს თხზულება დაწერილია ზოსიმეს მიერ XI ს-ში.

პროფ. კ ო რ ნ ე ლ ი კ ე კ ე ლ ი ძ ი ს terminus-ები (იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I გვ. 238) 1066—1074 წელი ვერ არის დამაჯერებელი, რადგან იაკობ მღდელი შესაძლოა 1067 წლამდისაც ყოფილიყო დეკანოზი ან კიდევ შესაძლოა, რომ ის ასეთად სწორედ 1074 წელს იქმნა. მეორეს მხრით, ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვამტკიცოთ, რომ ზოსიმემ ეს საგალობლები იაკობის დეკანოზობაში დაწერა. პირიქით, საფიქრებელია, რომ ზოსიმეს ეს საგალობელნი იაკობის გადეკანოზებამდის დაუწერია: მინაწერში (იხ. ათ. კრებული, გვ. 324) იაკობი მხოლოდ მღვდლად მოიხსენიება და არა დეკანოზად, ისე როგორც ეფთჳმეს დასდებელთა მინაწერში — (იხ. ათ. კრებული, გვ. 352)—, მაშინ როცა 1074 წლის მინაწერში მიქელ დაღალისონელი იაკობის მოხსენებისას მღდლობასთან ერთად არ ივიწყებს მის დეკანოზობასაც.

მეორე terminus-ის დადგენისას — 1074 წელი — პ-ლი პროფესორი იმ გარემოებიდან გამოდის, რომ ეს საგალობლები მოთავსებულია „1074 წელს გადაწერილს ეგრედ წოდებულს ათონის კრებულში“. (იხ. ლიტ. ისტ., I, გვ. 237).

მაგრამ ჩვენ ზემოთ ცხადვყავით და, ვფიქრობთ, საფუძვლიანადაც—, რომ 1074 წელს გადაწერილს კრებულში, სხვათა შორის, არც ეს საგალობელი ყოფილა და სწორედ ეხლა ვიკვლევთ, თუ როდის უნდა ყოფილიყვნენ ისინი იქ შეტანილი. ამის შემდეგ ცხადია: ჩვენთვის არც ეს მეორე terminus-ია მისაღები.

რაც შეეხება ი˜ე ქართველის დასდებელთა დაწერის თარიღს, ჩვენ აქ ერთი

ლაჯსძის) კრებულს მიეღო ისეთი სახე, როგორიც მას აქვს დღეს,— ე. ი. შეეძლო თუ არა თაფლაჯსძეს ჩვენ მიერ უკვე გამორკვეული პირვანდელი კრებული აწინდელი სახის კრებულად ექცია, ისე რომ 1074 წლიდან მის დრომდე რაიმე ცვლილება არ განეცადა?

საკითხზე პასუხის მიზნით ჩვენ აღვადგინეთ დაღალისონელის რედაქცია. მისი სახე ასეთი იყო:

I. ი˜ე და ეფთჳმეს ცხორება — (1—8 რვეული), 2. ეფთჳმეს დასდებელნი, სხვანი გალობანი მისვე წმიდისანი და აღაპები— (9—11 რვეული), 3. ი˜ე მოციქულის მიმოსვლანი —(12—20 რვე-

---

ვიცით დაბეჯითებით: ის არ შეიძლება დაწერილიყოს ი˜ე და ეფთჳმეს ცხორების დაწერის უწინარეს, რათგან საგალობელთა ავტორი ცხორებიდან ამოღებული მასალებით სარგებლობს; (ამ ცხორების დაწერის თარიღს ჩვენ ქვემოდ შევეხებით, ამიტომ პროფ. კ. კეკელიძის საამისო თარიღს 1048—1052 წწ. ჯერჯერობით უცვლელად ვტოვებთ) მაგრამ არაფრის თქმა არ შეგვიძლია იმის შესახებ, თუ როდის შემდეგ არ შეიძლებოდა ეზრა მთაწმიდელს ი˜ეს საგალობელნი დაეწერა.

პ—ლი კ. კეკელიძე აქაც იმ გარემოებითგან გამოდის, რომ ხსენებული ძეგლი „1074 წელს გადაწერილს ეგრეთწოდებულს ათონის კრებულშია მოთავსებული". ჩვენ აქაც იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ, რაც ზემორე ვთქვით ანალოგიურ შემთხვევაში: 1074 წელს გადაწერილს კრებულში ი˜ეს საგალობელნი არ ყოფილა. ის შემდგომ ხანაში შეიტანეს და ჩვენც სწორედ ამას ვეძებთ, თუ როდის შეიტანეს. ამრიგად, ამ თხზულებათა დაწერის თარიღების ძიების შედეგად ჩვენ შემდეგი დასკვნები შეგვიძლია მივიღოთ: 1. ილარიონის დასდებელნი ზოსიმეს უნდა დაეწეროს 1074 წლამდის, ან უკეთ, მანამდის, სანამ იაკობ მღვდელი ჯერ კიდევ დეკანოზი არ იყო. ასეთ აზრს მხარს უჭერს ეფთჳმეს დასდებელთა ანდერძი იმავ ზოსიმესი. ეს თხზულება კი, უეჭველია, 1074 წლამდის არის დაწერილი: ის, როგორც ზემოთ, ვფიქრობთ, დავამტკიცეთ, დაღალისონელმა შეიტანა 1074 წელს მის მიერ გასრულებულს კრებულში. ზოსიმე კი არც ამ თხზულების ანდერძში უწოდებს იაკობს დეკანოზს, არამედ მღვდლად მოიხსენიებს მას. (იხ. ათ. კრებული, გვ. 352); 2. ჩვენ არ ვიცით, როდის იქნა დაწერილი ეზრას მიერ ი˜ეს საგალობელნი. ვიცით მხოლოდ, რომ ეს თხზულება კრებულში შეტანილია ილარიონის საგალობლებთან ერთად. ამას მოწმობს რვეულების პაგინაცია; 3. ილარიონის „ცხორების" დაწერის თარიღის შესახებ ზარკვეული ცნობა გვაქვს: ჩვენი ნუსხა გრიგოლის მამობის ხანიდან მოდის. (იხ. ათ. კრებული, გვ. 177). რა თქმა უნდა, ჩვენ აქ იმის განხილვაში არ შევდივართ: გრიგოლის დროის ნუსხა ჩვენს კრებულში მოთავსებული ილარიონის ცხორებაა, თუ ასეთის პირია მხოლოდ. დასასრულ, ყველა ზემო თქმულის შემდგომ აქ ხაზგასმით აღსანიშნავია ერთი გარემოება: ზოსიმეს მიერ დაწერილს ორს თხზულებათაგან (ეფთჳმეს და ილარიონის საგალობლნი) ერთი (ეფთჳმეს დასდებელნი) 1074 წელს იქმნა მოთავსებული კრებულში, ხოლო მეორე (ილარიონის დასდებელნი) შემდგომ დროში და სხვის მიერ.

ული). ამას მოწმობს მიქელის ანდერძი და ამასვე ამართლებს აწინდელ კრებულის პაგინაციის შესწავლა.

აწინდელი კრებულის სახე კი შემდეგია: 1. ი˜ე და ეფთვმეს ცხორება — (1—8 რვეული), 2. ილარიონის ცხორება —(8—11 რვეული), ი˜ე მახარებლის მიმოსვლანი — (12 — 20 რვეული), 4. ილარიონის დასდებელნი და იოანეს დასდებელნი — (12—13 რვეული), ეფთვმეს დასდებელნი, სხვანი გალობანი მისვე წმიდისანი და აღაპები — (14—18 რვეული).

ამ ორი რედაქციის შედარებისას ჩვენ ვხედავთ:

1. პირველი რედაქციის რვეულთა რიგი შეცვლილია, 2. შიგ ახალი თხზულებებია ჩართული და 3. პირველი რედაქციის რვეულთა პაგინაციაც ნაწილობრივ შეცვლილია. რვეულების პაგინაციაზე დაკვირვებიდან ცხადდება: 1. ილარიონის ცხორება (9—11 რვეული) ილარიონისა და ი˜ეს დასდებელთან ერთად (12—13 რვეული) არის კრებულში შეტანილი. 2. ვინც ეს ოპერაცია გააკეთა, მანვე დაასვა ახალი სათვალავი პირველი რედაქციის 9—11 რვეულებს: იდ, იე, ივ და ისინი მის მიერ ჩანართის შემდგომ მოაქცია.

მაგრამ ამავე რედაქტორს არ შეეძლო ი˜ე მახარებლის ცხორება უკანასკნელი ადგილიდან, როგორიც მას პირველს რედაქციაში ეჭირა, მესამე ადგილზე გადმოეტანა, როგორიც დღეს უჭირავს მას, და ილარიონის ცხორების რვეულთა პაგინაციისათვის — (9—11) მიეყოლებინა. ამ შემთხვევაში ილარიონის და იოანეს დასდებელთა პაგინაცია მას არ შეეძლო „იბ“ „იგ“ აღენიშნა და ეფთვმეს დასდებელნი აღაპებით კი „იდ“, „იე“, „ივ“-თი შეეცვალა, რადგან ეს მის მიერვე შექმნილ სინამდვილის აღმნიშვნელი აღარ იქნებოდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ: ამ მეორე რედაქტორმა ი˜ე მოციქულის ცხორება ხელუხლებლად დატოვა კრებულის ბოლოში და, როგორც პირველი რვა რვეულისთვის, ისე არც ამ უკანასკნელ 9 რვეულისათვის არ შეუცვლია პაგინაცია.

ამგვარად, ზემოთ დასმულ კითხვაზე ჩვენი უარყოფითი პასუხი შემდეგნაირი იქნება: კრებულის აწინდელი რედაქცია მხოლოდ მიქელ დაღალისონელისა და ი˜ე თაფლაჲსძის ნამუშაკებს არ წარმოადგენს. ამათ შორის იყო ვიღაც მესამე (რიგით მეორე) რედაქტორი, რომელმაც პირვანდელი კრებული საფუძვლიანად შეცვალა, როგორც შინაარსის, ისე თხზულებათა რიგის მხრივაც.

ვინ იყო ეს მეორე რედაქტორი და როდის ჰქონდა ადგილი ამ მეორე რედაქციას?

ჩვენ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ თაფლაჲსძეს არ ესმოდა პირველი რედაქციის დედააზრი, მეორე რედაქცია კი პირველი რედაქციის დედააზრის გაღრმავება-გაფართოვებას წარმოადგენს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ: მეორე რედაქციიდან თაფლაჲსძემდის კარგა ხანი უნდა გასულიყო.

ეხლა, თუ გავიხსენებთ, დაღალისონელის და ზოსიმეს მინაწერებს, სადაც ისინი იაკობ მღდელს და დეკანოზს მოიხსენებენ, როგორც განმზრახველსა და მაიძულებელს მათი შრომებისას, ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კრებულის მეორე რედაქცია სწორედ იაკობ დეკანოზს ეკუთვნის და რომ ეს რედაქცია, მაშასადამე, 1074 წლის შემდგომ ახლო დროშია შესრულებული. აქვე უნდა ითქვას; როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, კრებულში მოთავსებული ილარიონის ცხორება გრიგოლის მამობაშია შესრულებული; გრიგოლი კი XI—XII ს-ეთა სიგრძეზე ათონის მამათა შორის ერთი ვიცით. ის მამობდა XI საუკუნის ორმოციან წლებში სახელდობრ 1031—1037 წწ. (დაახლ). ილარიონის დასდებელნიც, საფიქრებელია, 1074 წელზედ ადრეა დაწერილი, როცა იაკობი ჯერ კიდევ დეკანოზი არ იყო. ესევე ითქმის ეფთვმეს დასდებელთა შესახებაც. ამავე დროს კრებულის პირველს რედაქციაში, როგორც აღნიშნული იყო, შეტანილია მხოლოდ ეფთვმეს დასდებელნი, ხოლო ილარიონის ცხორება და დასდებელნი კი — არა. კრებულის პირველი რედაქციის დროს იაკობი დეკანოზი იყო. კიდევ მეტი: დაღალისონელის შრომა მისი განზრახვით იქმნა შესრულებული. მაშ, რად არ შეიტანა ან არ „აიძულა“ იაკობმა დაღალისონელი, რათა კრებულში ილარიონის ცხორება და დასდებელნი შეეტანა?

ჩანს, იაკობს ასეთი განზრახვა მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონია. ამას მიქელის ანდერძიც მოწმობს: მიქელი არ ელის, რომ ვინმე რასმე შეიტანს მის მიერ შედგენილს კრებულში. რომ იაკობს ასეთი განზრახვა ჰქონდა, მიქელს, საფიქრებელია, ეცოდინებოდა. ილარიონ ქართველი ათონის მოღვაწე არ ყოფილა. დაღალისონელი კი იაკობის განზრახვით ა თ ო ნ ი ს ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ლ ა ვ რ ი ს ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ თ ა ს ა ხ ს ო ვ ა რ კ რ ე ბ უ ლ ს ა ს წ ე რ დ ა. იაკობს შეეძლო აეძულებინა ზოსიმე, საგალობელნი ეწერა ქართველ მამებზე, მაგრამ ამათი ერთს რვეულში მოქცევა სრულიად არ იყო სავალდებულო, თუ საამისო შინაგანი აზრი არ იყო და, როგორც ჩანს, ასეთი მთლიანი კრებულის შედგენის აზრი ჯერ მომწიფებული არ ყოფილა. საბერძნეთში ქართველ საეკლესიო

დიდ მოღვაწეთა სახსოვარი კრებულის შედგენა იაკობს (და სხვა ათონელთ) მხოლოდ 1074 წლის შემდეგ გადაუწყვეტიათ.

ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ეს მეორე რედაქცია ერთობ დაშორებულია თაფლაჲსძის ხანას.

ამ რედაქციის თარიღის ძიებისას საყურადღებოა, რომ კრებულში გიორგი ათონელის ცხორება შეტანილი არაა. ეს იმავე მიზეზით აიხსნება, რა მიზეზითაც ეს თხზულება დაღალისონელის კრებულში არ მოჰყვა: ის ამ დროს ჯერ კიდევ დაწერილი (თუ შეწყნარებული) არ ყოფილა. პროფ. კ. კეკელიძისეული ამ თხზულების დაწერის თარიღები — 1065—1068 წწ. შემცდარია. პ-ლი მკვლევარი შეცდომაში შეუყვანია უკრიტიკოდ გამოცემულ ტექსტს. ნამდვილად, ეს თხზულება უნდა დაწერილიყოს სულ ცოტა ხუთმეტი წლის შემდეგ გიორგის გარდაცვალებისა.

ამის გამო, ვფიქრობთ, სინამდვილეს ძლიერ დაშორებული არ ვიქნებით, თუ ამ მეორე რედაქციას XI ს-ის 80-იანი წლების მიწურულით დავათარიღებთ.

მესამე და უკანასკნელი რედაქცია თაფლაჲსძისაა (მართალია, ამის შემდეგაც ხდება კრებულში სხვადასხვა მინაწერთა ჩართვა ან კიდევ დაკარგული ფურცლების აღდგენა, მაგრამ ამით კრებულის აზრი არ იცვლება და ამდენადვე ასეთ შემთხვევაში რედაქციასთან არა გვაქვს საქმე). თაფლაჲსძემ კრებულში მხოლოდ მექანიკური ხასიათის ოპერაცია მოახდინა. ასეთი ოპერაცია კი ნაკარნახევი იყო იმ საჭიროებით, რომ თაფლაჲსძეს მინდობილი ჰქონდა, მამა ი~ე კალაკალაძ მიერ „იქი აქა დაფანჩულად“ ჩაწერილი აღაპების შეკრება, წესზედ დალაგება, გადაწერა და შემდგომისათვის რვეულებში შიგადაშიგ ცარიელი ადგილების დატოვება, რათა კვლავ „იქი აქა დაფანჩულად“ არ ჩაეწერათ და „საძებნელად საჭირო“ არ შექნილიყო. ამ მიზნით თაფლაჲსძეს აღაპები, როგორც პირველ ჩაწერილი, ისე მის მიერ დაწყობილიც, კრებულის ბოლოში გადაუტანია. ალბათ იმ მოსაზრებით, რომ აქ უფრო ადვილი მოსახერხებელი იყო აღაპებისათვის ახალი რვეულების ჩართვა.

მაგრამ მხოლოდ აღაპთა გადმოტანა არ შეიძლებოდა: ისინი ეფთვმეს დასდებელთა რვეულის ფურცლებს ცალებს წარმოადგენენ. ასე რომ აღაპებს ეფთვმეს საგალობლები მექანიკურად გადმოყვა (14—16 რვ.).

ეხლა, რათა რვეულების რიგი არ დარღვეულიყო, თაფლაჲს-

ძემ ეფთვმეს დასდებელთ ილარიონისა და იოანეს დასდებელნიც გამოაყოლა (12—13 რვეულები). ამავე დროს იოანე მოციქულის ცხორების რვეულთა ძველი პაგინაცია — (12—20) ილარიონის ცხორების რვეულთა პაგინაციას (9—11 რვ.) მიუდგა (წინა თხზულებათა გადასმით ი˜ე მახარებლის ცხორება ილარიონის ცხორების გვერდში მექანიკურად მოხვდა). თაფლაჲსძემაც აქ დატოვა ის.

შეიქმნა ახალი რედაქცია, რომელშიაც ყველა ცხორებანი ერთი მეორეს მისდევენ და შემდგომ საგალობელნი მიჰყვებიან. მაგრამ, რომ ეს წმინდა მექანიკური პირობებით არის გამოწვეული და არა რაიმე განსაკუთრებული სარედაქციო მიზნით კრებულის შინაარსის მიმართ, ეს ზემო თქმულს გარდა იქიდანაც ჩანს, რომ საგალობელთა რიგი სრულიად დარღვეულია ცხორებათა რიგთან შეფარდებით: ი˜ე და ეფთვმეს ცხორება პირველადაა მოთავსებული. ხოლო მათი საგალობელნი კი საგალობელთა ბოლოშია და არა თავში.

თაფლაჲსძის შრომის მთავარი და ერთად ერთი მიზანი წმინდა პრაქტიკული ხასიათისაა, რომ ამიერიდან აღაპები „საძებნელად საჭირო“ არ ყოფილიყვნენ. თავისი მექანიკური ოპერაციის წყალობით თაფლაჲსძემ კრებული „სულთა მატიანეს“ წიგნად აქცია. მართალია, კრებულში იმ თავითვე იყო აღაპები, მაგრამ მაშინ მათი იქ მოთავსების მთავარი აზრი სულ სხვა იყო, ვიდრე ეს თაფლაჲსძესა აქვს. თაფლაჲსძეს მის დრომდის შექმნილ კრებულში აღაპების მოთავსების დედააზრი არ ესმის (რა თქმა უნდა, ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს აღაპების მოთავსება კრებულის პირველ რედაქციაში და ამ აღაპთა აქ მოთავსების მთავარი აზრი. შესაძლებელია ამის შემდეგ თაფლაჲსძემდის აქვე მოეთავსებინათ აღაპები აშიებზე მიწერით, რადგან სხვა ადგილი აქ არ იყო — წმინდა საეკლესიო მიზნით გარეშე ყოველივე სხვა დანიშნულებისა, მაგრამ ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. თაფლაჲსძის რედაქციის მნიშვნელობას ეს არა სცვლის).

რომ თაფლაჲსძეს მის დრომდის კრებულში აღაპთა მოთავსების დედააზრი არ ესმის, ამის დამტკიცება, ვფიქრობთ, შეიძლება მის მიერ გადაწერილ აღაპთა შეკვეცით. ის გვაუწყებს, რომ აღაპთა გადაწერისას: „გარდავწერენ დაწყობით ვითა ჯერ იყო არარაჲ შეგჳმატებია და არც რაჲ დაგჳკლია თჳნიერ ცუდთა სიტ˜ყთა სხ ˜ჲ ყ˜ი პლ˜ისაებრ სწერია ანაფორაჲთა და ყ˜ითა ვ˜ა მუნ ეწერა და ვ˜ა ბრძ˜ნბჲ მოგუელო“...

აქედან ცხადია, თუ რა არ შეუმოკლებია თაფლაჲსძეს: ანაფორაჲთა და ყოვლითა ვ"ა მუნ ეწერა", ე. ი. რაც შეეხება აღაპის შესრულების წესს, ეს სრულად მოჰყავს თაფლაჲსძეს. ამას იგი ვერ შეამოკლებდა, თუნდაც სურვებოდა: ეს განსაზღვრული პირობა იყო, რომლის შეცვლა წყევლა-კრულვას მოავლენდა შემცვლელის თავს. აღაპის შემოკლება სხვა მხრივ შეიძლებოდა: მასში ხშირად იყო მოთხრობილი ის პირობები ან დრო, რაშიაც და როდესაც აღაპი დაიდო, ის დამსახურება, რომელიც აღაპის დამდებს მიუძღოდა ეკლესიის წინაშე და სხვა ისტორიული ხასიათის ცნობები. აი ესენი დროთა განმავლობაში „ცუდ სიტყვებათ" უნდა მოსჩვენებოდათ და, მართლაც, აღაპის შესრულების საქმეში ეს ასეც იყო.

საკმაოა გავეცნოთ თაფლაჲსძის მიერ ჩაწერილ აღაპებში ისტორიული ხასიათის ცნობათა სიღარიბეს და ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ ასეთი ცნობები იქმნენ ამოხოცილი მის მიერ როგორც „ცუდი სიტყვანი".

მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობისა იყვნენ ეს „სიტყვანი" კრებულის პირველი რედაქციისათვის: აქ სწორედ აღაპთა ამ ისტორიულ მხარეს ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს კი თაფლაჲსძეს და მის დროს სხვებსაც (მამა იოანე კალაკალას) აღარ ესმოდათ... ვინ შემოსა პირველად ეს წიგნი, არა ჩანს. საფიქრებელია: თაფლაჲსძემ.

რაც შეეხება დღევანდელს ყდას, ეს ნაგვიანევი საქმეა, როცა ეტრატი უწყალოდ შემოუჭრიათ.

ამრიგად, ჩვენ დავასრულეთ კრებულის გარე სახის მიხედვით მის რედაქციებზე საუბარი. გამოირკვა რომ კ რ ე ბ უ ლ ს ს ა მ ი რ ე დ ა ქ ც ი ა გ ა უ ვ ლ ი ა: ლ ა ვ რ ი ს ა ღ მ შ ე ნ ებ ე ლ თ ა ს ა ხ ს ო ვ რ ა დ შ ე დ გ ე ნ ი ლ კ რ ე ბ უ ლ ი დ ა ნ (პირველი რედაქცია) ი ს ი ქ ც ა ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ შ ი მ ო ღ ვ ა წ ე ქ ა რ თ ე ლ მ ა მ ა თ ა ს ა ხ ს ო ვ ა რ კ რ ე ბ უ ლ ა დ (მეორე რედაქცია) და ბ ო ლ ო ს ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ებ უ ლ ი ქ მ ნ ა ს ა ა ღ ა პ ე წ ი გ ნ ა დ (მესამე რედაქცია).

როგორც დავინახეთ, კრებულის პირველი რედაქცია შემუშავებულ-შედგენილ იქნა იაკობ დეკანოზის ჟამს და მისივე თაოსნობით, ხოლო შეადგინა კრებული მიქელ დაღალისონელმა.

ამ რედაქციის მიზანი იგივე იყო, რაც ცნობილი „მოსაჯსენებელისა", რომელიც «ყოველთა ძმათა განზრახვითა ჟამთა

სჯმეონ მამისათა“ იქნა დაწერილი. იმ განსხვავებით, რომ სვიმონ მამის ჟამს ათონის ქართველი ბერები განვლილი განსაცდელის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ იყვნენ. 1074 წელს კი ათ. ქართ. მონასტერი კარგა ხანია გადარჩენილი იყო ამ განსაცდელს, თუმცა იმ შავ დროს მიყენებული ტკივილები საბოლოოდ განკურნებული ჯერაც არა ჰქონდა. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ გიორგი ოლთისარმა მრავალნი „მონასტერნი და პრასტინნი დაჰყარნა მრავალით ჟამითგან წახუმულნი“[10], ე. ი. წინამძღვარმა გიორგი ოლთისარმა 1066—1076 წლებში მონასტერს დაუბრუნა ის მამულები, რომელნიც დიდიხნით წინ მოსტაცეს მას.

გარდა ამისა ქართველთა მონასტერი სრულიად არ იყო დაზღვეული მომავალში ასეთივე საშიშროებისაგან. დამარცხებული მტრის მიდუმება მის გაქრობას სრულიად არ ნიშნავდა. საჭირო იყო მოსალოდნელი ყოველგვარი შემოტევის მოსაგერიებლად მარად მზაყოფა. აი ამიტომ საჭიროთ დაუნახავთ შეექმნათ და მონასტერში დაედოთ ისეთი ძეგლი, რომელიც სამარადისოდ ყველასათვის უეჭველს ყოფდა ათონის ლავრის მხოლოდ ქართველთადმი უდაო უფლებრივ კუთვნილებას.

ასეთი აზრი ქართველ ძმებს ჯერ კიდევ „ჟამთა სჯმეონ მამისათა“ დაჰბადებიათ და 1074 წელს განუხორციელებიათ კიდეც[11].

ისმის საკითხი: რამდენად ამართლებს ჩვენ მიერ მიღებულ დასკვნებს კრებულში მოცემული ძეგლები მათი შინაარსის მიხედვით, ე. ი. რამდენად ეთანხმება ამა თუ იმ რედაქციის მიზანს რედაქტორთა მიერ შემოტანილ თხზულებათა შინაარსი?

ამის შესახებ შემდეგ.

---

10 ათ. კრებული, აღაპი № 61.

11 ჩვენ არ ვიცით სახელდობრ როდის მამობდა ეს სჯმეონი; უდაოა მხოლოდ, რომ ის მამობდა გრიგოლისა და არსენის შემდგომ და გიორგი მთაწმინდელის მიერ ი“ე და ეფთჯმეს ცხოვრების დაწერის უწინარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთის საგუთი XI საუკუნისა*

წინამდებარე საბუთი ქართული დიპლომატიკის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია[1]. სამწუხაროდ, მისი დედანი დაღუპულია და ჩვენ ხელთა გვაქვს ამ ძეგლის ორი სხვადასხვა დროის პირი[2]. ეს ძეგლი სამჯერ არის გამოცემული პროფ. დ. ჩუბინაშვილისა[3] და თ. ჟორდანიას მიერ[4]. გარდა ამისა ის, როგორც ეს თ. ჟორდანიამაც აღნიშნა, ნაწილობრივ შეტანილია მ. ბროსეს მიერ გამოცემულ თეიმურაზისეულ „ქართლის ცხოვრებაში[5]". რა თქმა უნდა, უკანასკნელ გარემოებას ამ ძეგლის გამოცემასთან არა აქვს რა საერთო, მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის ის მაინც საინტერესოა: საშუალება გვეძლევა იქ შეტანილი ადგილები შევადაროთ ჩვენამდის მოღწეულ პირთა სათანადო ადგილებს.

პროფ. დ. ჩუბინაშვილს ძეგლი გამოუცია ერთ-ერთი ჩვენამდის მოღწეული პირის მიხედვით[6].

თ. ჟორდანიამ კი პირველად გამოსცა ის პროფ. დ. ჩუბინაშვილის გამოცემისა და „დ. ბაქრაძისაგან შემოკლებით თუთ ნამდვილის გუჯრიდან... გადმოწერილი პირი-"ს მიხედვით[7].

---

* პირველად დაიბეჭდა: საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, 1929—30, გვ. 229—296.

1 ამაზედ უძველესია „XV.საუკ. პირის" სახით ჩვენამდის მოღწეული „ფავნელთ სიგელი X საუკუნისა"; იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტ. საბ. შ. მღ. მონ-ისა, გვ. 1—3.

2 ძეგლები დაცულია საქ. ცენტრარქივში № 13 და № 14.

3 „ქართული ქრისტომატია... დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისაგან" 1863 წ. სპბურღი. გვ. 203 შმდ.

4 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები... წ. I, გვ. 182 — 188 და წ. II, გვ. 31—36.

5 ქართლის ცხოვრება... გამოცემული ღვაწლითა უ. ბროსე, წევრისა საიმპ. აკად. მეცნიერებათა, 1849 წ., გვ. გვ. 212—213, 218, 220, 221—22

6 სახელდობრ № 14 საქ. ცენტრარქივისა.

7 ქრონიკები I, გვ. 181, შენიშვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება თეიმურაზისეულ ქართლის ცხოვრებაში შეტანილ ადგილებს, ისინი, წინაალმდეგ თ. ჟორდანიას განცხადებისა, ამოღებული უნდა იყოს არა „XII ს-ნის ხელით“ გადაწერილი პირიდან, არამედ იმ პირიდან, რომელსაც განსვენებული მკვლევარი XVII ს-ში გადაწერილად აღიარებს[8].

არც ერთი აღნიშნული გამოცემა დამაკმაყოფილებლად არ შეიძლება ჩაითვალოს. პრ. დ. ჩუბინაშვილის გამოცემის სისუსტე ჯერ კიდევ თ. ჟორდანიამ სამართლიანად აღნიშნა და მისი შესწორება სცადა. სამწუხაროდ, ვერც მან აიცდინა თავიდან მრავალი ტექსტუალური ხასიათის შეცდომა[9], მაშინ როცა პირველ გამომცემელთან შედარებით ის უკეთეს პირობებში იყო: დ. ჩუბინაშვილმა ძეგლი დაბეჭდა ერთი პირის მიხედვით, თ. ჟორდანიას კი ორი პირი ჰქონდა ხელთ და ამდენადვე მეტი საშუალება ჰქონდა ძეგლის კრიტიკულ გამოცემას ცდილიყო[10]. არ ვიცით რა მოსაზრებით, და განსვ. მკვლევარმა „XVII საუკუნის“ პირს უპირატესობა მისცა „XII ს-ის ხელით“ გადაწერილ პირთან შედარებით და ის დაუდო საფუძვლად ძეგლის მეორედ გამოცემას.

აღნიშნულ გამოცემათა ასეთი მდგომარეობა ჩვენ საკმაო საფუძვლად მივიჩნიეთ ძეგლის გამოცემის ხელახალი ცდისათვის. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, დღეს ჩვენს განკარგულებაშია ამ სიგლის ორი სხვადასხვა დროის პირი. ასეთ პირობებში საჭიროა გამოირკვეს: ეს პირები ერთი მეორისაგან დამოუკიდებლივ არის წარმომდგარი, თუ უძველესი მათგანი დედანია უფრო ნაგვიანევისა? პირველ შემთხვევაში ჩვენ თანაბრად სწორი გულისყურით უნდა

---

8 ასეთი მოსაზრების საფუძველს იძლევა ზოგიერთი ადგილების იგივეობა „ქართლის ცხოვრებაში“ და № 13 (379) პირში და მათი თანხმობლივი განსხვავება № 14 (378) პირის შესატყვისი ადგილებიდან. მაგალითად: ქ-ცა—„მახაროვანი“, № 13 „მახაროვანი“; № 14 „მანაროანი“. ქ-ცა—„მონასტერი დიდითა ძალითა **და** ლაგოდეხი“, ასევეა № 13 პირშიაც, ხოლო № 14 პირში abest **და**; ქ-ცა 222—„შესავალნი იყვნეს“, № 13—ქალაქისა შესავალი იყო, № 14—„ქალაქისა გასავალი იყო“; ქ-ცა 222—„ფოძითა სრულითა“, ასევე № 13 პირში, № 14 პირში კი—„ფოძითა სროლითა“. ქ-ცა 222—„მცხეთას სენაკი“, ასევე № 13 პირში, ხოლო № 14 პირში კი—„მცხეთის სენანი“. მოყვანილი შედარებანი, ყოველ შემთხვევაში, იმისათვის საკმარისი არიან, რომ განვაცხადოთ: ქ-ცა—ს ეს ადგილები №13 პირთან უფრო ახლოა, ვიდრე № 14—თან.

9 არას ვამბობთ სხვადასხვა მოსაზრებათა მცდარობაზე. ამაზე ქვემოთ.

10 რა თქმა უნდა, დ. ჩუბინაშვილის გამოცემასთან შედარებით თ. ჟორდანიას გამოცემა, განსაკუთრებით მისი მეორე გამოცემა — დიდი ნაბიჯია წინ, მაგრამ თავის თავად ის დამაკმაყოფილებელი მაინც ვერ არის.

შეგვესწავლა ორივე პირი და ასევე ორივეთი გვეხელმძღვანელა ძეგლის გამოცემისას, ხოლო მეორე შემთხვევაში საკმარისი იქნებოდა გამოცემის დამყარება უძველეს მათგანზე.

რაც შეეხება ძველ გამოცემებს, ისინი ჩვენი ამოცანისათვის ყურადსაღები არ არიან, რადგან, როგორც ვიცით, ეს გამოცემები ემყარება ჩვენს ხელთ არსებულ პირებს ან ცალ-ცალკე (დ. ჩუბინაშვილის გამოცემა № 14-ს; ქართ. ცხოვრება № 13 პირს) ან ორივეს ერთად (თ. ჟორდანიას მეორე გამოცემა).

ამრიგად, ჩვენს წინაშე, უპირველეს ყოვლისა, დგას საკითხი არსებული პირების ურთიერთ შორის დამოკიდებულებისა. როგორც ქვემოთ ტექსტის შენიშვნებიდან დავინახავთ, № 13 პირი საკმაოდ განსხვავდება № 14 პირისაგან, ასე რომ პირველი შთაბეჭდილებით მათ შორის დედან-პირის ურთიერთობის აღიარება ძნელია. თავ· რომ დავანებოთ ორთოგრაფულ განსხვავებულობას, ნაგვიანევ პირს უფრო ადრინდელთან შედარებით აკლია: სიტყვები („დამიც“—118, „ოქროჲთა“—10, „ხუცესი“—124, „ძლიერო“—135, „დაწერილი და“ —137, „და შემოქმედსა“—148), რიცხვის აღმნიშვნელი ასოები („ე˘:“—51, „:რ:˘ლ:ე:“—75), სიგლის განსაზღვრულ ნაწილებში დასმული ჯვრები ოთხწერტილით (სტ. 87, 147, 152, 166, 129, 135), წინადადება („...„რ˘ლსა სახელი არს“ 60); ამავე დროს მეტი აქვს: სიტყვები („მღდელი“ 154, „და—73, „და“—144), წინადადებანი („და შემოსწირა კათოლიკე ეკლესიასა“ — 60, „ცათა შინა და ქვეყანასა ზედა“ — 132). მაგრამ ამ თვისებათაგან არც ერთი საკითხის გადამჭრელ საბუთად არ გამოდგება: ის, რაც ნაგვიანევ პირს აკლია ძველთან შედარებით, შეიძლება გადამწერის უგულისყურობით აიხსნას; ანგარიშგასაწევი იქნებოდა მეორე ხასიათის განსხვავებანი (ე. ი. სიტყვა-წინადადებათა მეტობა უფრო ნაგვიანევ პირში), რომ ისინი არსებითი ხასიათისა იყვნენ: ზემოთ მოყვანილი ზედმეტი სიტყვები და წინადადებანი ისეთი ხასიათისაა, რომ მათზე დამყარებით № 13 პირის წარმოშობილობის გადაწყვეტა შეუძლებელია და ეს მით უფრო, რომ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრების სასარგებლო საბუთებიც.

მართლა-და, როგორი ხასიათისაა № 13 პირის ეს „ზედმეტი“ სიტყვები და წინადადებანი? კავშირი „და“ როგორც მე-73-ე სტრიქონში („ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა **და** ლაგოდეჭი“), აგრეთვე 144—145 სტრიქონშიაც („მეცა კ ჳ რ ი კ ე მეფესა **და** დისწულსა კ ჳ რ ი კ ე მეფისასა“) სრულიად უადგილოდ არის ჩამატე-

ბული; პირველ შემთხვევაში „ჰერეთის მონასტერი დიდითა ძალითა“ უსახელოდ რჩება, რაც ეწინააღმდეგება ძეგლის საერთო ხასიათს და შეუძლებელიცაა, ხოლო მეორე შემთხვევაში კავშირი „და“ ისევე ადვილად შეიძლება ამოგდებულ იქნას, როგორც ჩაუსვამთ: ამით წინადადებას არავითარი ზიანი არ მოუვა, ხოლო მისი წყობა კი უეჭველად მოიგებს; ასე რომ ეს კავშირი აქ სრულიად ზედმეტია. ასევე უწყინარ-ზედმეტია წინადადება: „და შემოსწირა კათოლიკე ეკლესიასა“, რომელსაც წინუძღვის: „ბერძენთა მეფემან ბ ა ს ი ლ ი მიბოძა“; უკანასკნელი სრულიად საკმაოდ გადმოსცემს მელქისედეკ ქ. კათალიკოზის აზრს და სავსებით ეთანხმება სიგლის სხვა ანალოგიურ ადგილებს (იხ. სტრიქონები: 8, 11, 52, 55). ხოლო სიგლის კრულობით ნაწილში დართული წინადადება: „ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“ რომ მართლაც ზედმეტია, ამას დიდი დაკვირვებაც არ უნდა: № 14-ით ეს ადგილი იკითხვის: „კრულმცა არის სულით და ჯორცით ორსავე ცხორებასა ამის გამტეხელი“, რაც საკმაო სრულსიტყვაობით დაატეხს დამნაშავეს წყევას „ორსავე ცხორებასა“ ე. ი. „ცათა შინა“-ც და „ქვეყანასა ზედა“-ც, ასე რომ მოყვანილი წინადადების აქ ჩართვა მის უვიცობით გამეორებას ნიშნავს მხოლოდ.

ზედმეტია აგრეთვე „მღვდელი“ 154 სტრიქონში.

ეხლა განვიხილოთ სხვა ხასიათის განსხვავებანიც.

№ 14 პირით:	№ 13 პირით:
სტ. 71 რა აზნაოროჲ	რა: აზნაორი:
„ 79 გასავალი	შესავალი
„ 143 შედეგ˜დ	შემდგომად
„ 148 კ˜ლნ	კუალად
„ 148 დავიკ˜ღრო	დავიმკუიღრო
„ 151 :ქ˜პ:	ქართლისა: პატრიარქსა:
„ 159/160 ამის მ˜(თი) სა ბრძნებლისა	ამის მიერ საბრძანებელისა....
„ 162/163 (ღ)თ˜ისა ს(იტყუი)თა, წ˜დათა...	ღ˜თისა და მისთა წმინდათა...

როგორი ხასიათისაა ეს სხვაობანი? ჩვენ ვიცით, რომ № 14 ხელნაწერი თვით არის პირი, ამიტომ გადაწერის ნიადაგზე წარმომდგარი შეცდომებისაგან არც ის არის დაზღვეული. ასეთი ხასიათის შეცდომად მიგვაჩნია ჩვენ № 14-ის გამოთქმა. „რა აზნაოროჲ“

უკანასკნელი სიტყვის ბოლოსართი „ოჲ“ გვიჩვენებს, რომ მას წინუძღოდა თავსართი «სა“. ამასვე მოითხოვს კონტექსტიც. პირიქით, სრულიად გაუგებარია: „კურბითს: რა: აზნაური კარგი. სოფელი: ერთი“., როგორც ეს აღუდგენია № 13 პირს. № 14 პიმისათვის („სა“-ს მაგივრად-„რა“) ახალი შეცდომა დაურთავს (გაუსწორებია“, მაგრამ დაკვირვება არ ჰყოფნია და არსებული შეცდომისათვის („სა“-ს მაგივრად-„რა“) ახალი შეცდომა დაურთავს (გაუგებარი „აზნაოროჲ“ გასაგებ „აზნაორი“-დ გადაუკეთებია).

ასევე შეცდომით გასწორებულად მიგვაჩნია ჩვენ „გასავალი“-ს „შესავალი“-თ შეცვლა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ გამოთქმას: „გასავალი იყო“ მოსდევს და ეთანხმება—„ამის წმიდისა ქალაქისაგან“, ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით, რომ აქ სწორედ „გასავალი“ უნდა იხმარებოდეს და მისი „შესავალ“-ად გასწორება (ალბათ 76 სტრიქონში გამოთქმულის ანალოგიით), შეცდომაა და წინადადებას სრულიად გაუგებარს ჰხდის, თუ, რა თქმა უნდა, სიტყვა „შესავალი“ ძველი გაგებით იქნება ხმარებული. № 13 პირის გადამწერს ეს ცნებები, როგორც ჩანს, აწინდელი გაგებით ესმის. მხოლოდ ამ ნიადაგზე ხდება გასაგები ასეთი გასწორების აზრი.

პატივთა გახსნის უცოდინარობის ნიადაგზეა წარმომდგარი „შემდგომად“ „შედეგ˜დ“-ისაგან, „კულად“ „კ˜ლნ“-საგან, „დავიმკუიდრო“ „დავ˜კდრო“-საგან (:ქ˜პ:-ს „ქართლისა პატრიაქ“-ად გახსნის სწორობა-უსწორობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

ზემომოყვანილ განსხვავებათა ცხრილიდან ორი უკანასკნელი ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი და საყურადღებოა. ისინი მტკიცე საბუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ № 13 პირი № 14 პირისაგან არის გადაწერილი.

გამოთქმა: „ამის მ˜(თი)სა ბრძნებლისა“ № 14 პირში დაზიანებულია: მეორე სიტყვიდან გადარჩენილია პირველი ასო „მ“-ანი და ბოლო მარცვალი „სა“. სრულიად არ არის (ამოგლეჯილია) ი-ნი და „თ“-ანის ნახევარიღაა (ე. ი. წრე) გადარჩენილი. პატივის ნიშანი ზის „მ“-ანსა და მის მომდევნო ასოს ზემოდან. თუ კონტექსტზედ დაკვირვება არა, ასეთ შემთხვევაში ადვილია „მ“-ანი და „თ“-ანის ნაშთი მათ ზემოდან არსებული პატივით მ˜რ-ად იგულისხმო, შემდგომი (ამოგლეჯილი) ასო „ი“-ნი არ არსებულად, ხოლო უკანასკნელი მარცვალი „სა“ შემდგომ სტრიქონზედ მოთავსებული „ბრ˜ძნებ˜ლისა“-ს თავსართად აღიარო და მიიღებ: „ამის მიერ საბრძანებელისა“. სწორედ ასე მოქცეულა № 13 პირის გადამწერი, რითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაჩინო ნიშანი დაგვიტოვა იმისა, რომ მას დედნად ჰქონია № 14 ხელნაწერი და რომ უკანასკნელი აღნიშნულ ნაწილში ამ დროს უკვე დაზიანებული ყოფილა.

ასევე შეცდომით აღუდგენია № 13 პირის გადამწერს № 14-ის დაზიანებული: „(ღ)˜თისა ს(იტყუი)თა“ „ღ˜თისა და მისთა“-ს სახით. ამ გამოთქმაში „ღ“-ანი ამოგლეჯილია; „თისა“ გადარჩენილია პატივით „თ“-ანზე; გადარჩენილია აგრეთვე მომდევნო „ს“-ანის ქვედა ნაწილი, „უ“-ნის ბუნი და მისი მომდევნო „ი“ნი. № 13 პირის გადამწერს „ღ“-ანი სწორად აღუდგენია, „სიტყუითა“-ს პირველი ასოს გადარჩენილი ნაწილი „დ“-ონის ნაშთად მიუღია, შემდეგი ჩაკვირვებით თავი აღარ შეუწუხებია, „უ“-ნის გადარჩენილი ბუნი და მისი მომდევნო „ი“-ნი უგულვებელუყვია და დაზიანებული სიტყვა შემდგომ სტრიქონზედ მისი დაბოლოების—„თა“-ს მიხედვით ორ სიტყვად აღუდგენია: „და მისთა“. გარდა იმისა, რომ ასოების ნაშთები, როგორც ვთქვით, ასეთი აღდგენის უფლებას არ იძლევიან, ასეთი „შესწორებული“ ტექსტი უჩვეულო და უხეიროა... მაგრამ ჩვენ ამ ჟამად სრულიად ვკმაყოფილდებით მხოლოდ იმით, რის წარმოჩენაც, ვფიქრობთ, საკმაო საფუძვლიანობით შევძელით: რომ № 13 ხელნაწერი გადაწერილია № 14 ხელნაწერიდან. ცხადია ისიც, რომ ხსენებული ადგილი „დედანში“ ამ დროს უკვე დაზიანებული ყოფილა.

სწორედ ამ ნიადაგზევეა წარმომდგარი № 14 ხელნაწერის კიდევ ერთი დაზიანებული ადგილის (სტრიქ. 164) მცდარი აღდგენა № 13 პირის გადამწერის მიერ: „მისი, კრულმცა არს“. ასოთა ნაშთები ასეთი აღდგენის უფლებას არ იძლევიან.

ეხლა, მის შემდეგ რაც საკითხი ამ პირების ურთიერთ შორის დამოკიდებულებისა გადავწყვიტეთ, და ერთი მათგანი მეორის დედნად აღვიარეთ, საკმარისია ჩვენი გამოცემა უმთავრესად სწორედ ამ „დედანზე“ დავამყაროთ.

ხელნაწერი № 14 ქაღალდზე დაწერილი საბუთია. თავი აკლია. (№ 13 პირის მიხედვით 15 სტრიქონი აკლია, რაც დაახლოვებით ჩვენი ხელნაწერის ოც სტრიქონს უდრის). კიდეები ჩამოცრეცილი აქვს. ტექსტი აქა-იქ დაზიანებულია, უმთავრესად მარჯვენა მხრიდან. აქ ხშირად თითო და ზოგჯერ ორ-ორი ასო აკლია. დაზიანებას ვერ ასცდენია ტექსტის შუა ადგილებიც ქაღალდის გაცრეცის გამო. მთელი სიგელი გადაწებებულია სქელ საფენ ქაღალდზე (ამ ქაღალ-

დის ჭვირნიშანი ხელთათმანია)[11]. საფენ ქაღალდზე შევსებულია ნაგვიანევი ხუცურით ტექსტის ის ნაკლული ადგილები, რომელნიც სიგელს ამ ოპერაციის დროს (ე. ი. მისი საფენ ქაღალდზე დაწებოების დროს) ჰქონია.

ეს შევსებანი № 13 პირის მიხედვით არ არის შესრულებული: ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს პირი გადაწერილია № 14 ხელნაწერიდან მის შემდეგ, რაც უკანასკნელმა ისეთი დაზიანებანი განიცადა, რომელნიც დღესაც აღუდგენელია. მოხსენებული შევსებანი კი უეჭველია ამ დაზიანებებზედ უწინ არის შესრულებული, ვინაიდან წინაღმდეგ შემთხვევაში შემვსებელი არც ამ ადგილებს დასტოვებდა და სხვების მსგავსად ამათაც აღადგენდა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ შემვსებელი ისეთ ასოებს ხმარობს, რომელთაც № 13 პირის გადამწერი სისტემატურად გაურბის. ასეთია ასოები: ⲅ, ⲇ და ⲑ (იხ. სტრიქონები 10, 16, 51).

რომ არსებული შევსებანი ზეპირად შესრულებული არ არის, ეს ჩანს იქიდან, რომ ზოგი შესწორებანი კონტექსტით აღდგენილი არ შეიძლება იყოს. ასეთია: „(სათანა)ოⲇ“ — სტრიქ. 30/31; „(ს˜ფლ˜ ვსა ჩ˜ა) ზედა“ — სტრიქ. 91; „(მიწ)აⲇ“—სტრიქ. 93; „ვე(ნაჯი)“—სტრიქ. 95; „გასარ(ომელი)“—სტრიქ. 105.

როგორც აღვნიშნეთ, სიგელს თავი აკლია. № 13 პირი კი სრულია. ჩვენ ეხლა ვიცით, რომ ამ პირის დედანი №14 ხელნაწერია. მაშ № 13 პირის გადაწერის დროს № 14 სიგელი ჯერ კიდევ თავნაკლული არ ყოფილა. ეს გადაწერა კი, როგორც ვიცით, შესრულებული იყო ამ სიგლის საფენ ქაღალდზე გადაწებოების კარგა ხნის შემდეგ. ამრიგად, ეს დაზიანება (თავის მოხევა) შემთხვევია ხელნაწერს მისი საფენ ქაღალდზე დაწებოების შემდეგ.

არსებობს მესამე რიგის დაზიანებანიც. ეს—ტექსტის შიგნით, სიგლის საფენ ქაღალდზე დაწებოების შემდეგ და № 13 პირის გადაწერამდის. ეს დაზიანებანი „დედანში“ აღდგენილი არ არის (როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ვერც № 13 პირის გადამწერს აღუდგენია ისინი სწორად).

სიგელი სამი ერთი მეორეზე გადაწებოებული კეფისაგან შედგება. მეორე კეფი მესამეზე გადაწებოებულია სიგლის გადაწერამდის: მე-100-ე სტრიქონის ხაზსზედა ასოები (ზ, მ, დ, მ, რ, ნ, ს, კ)

---

11 ამ ნიშნით ქაღალდი XV ს-ეს ახასიათებს. იხ. Лихачев-ის Палеографич. значение бумажных водяных знаков—ч. 1 стр. 65.—69, 128—130.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთი ხაზსზედა ნაწილებით მეორე კეფზე, ხოლო ტანით (და ხაზსქვედა ნაწილით—კ) მესამეზე არიან მოთავსებული. ესევე არ ითქმის პირველისა და მეორე კეფთა შესახებ. პირველი ჯერ დაწერილი და შემდეგ გადაწებოებული შეიძლება იყოს მეორეზე.

სიგლის სიგრძე უდრის 182 სანტ., განი 21,5; საფენი ქაღალდის სიგრძე — 186, განი — 24,5, ტექსტის სიგრძე — 177; განი — 20,2.

პირველი კეფის სიგრძე—37 (როგორც ვიცით, ეს კეფი მხოლოდ ნაწილია მთელისა: თავი აკლია); მასზედ მოთავსებულია 30 სტრიქონი.

მეორე კეფის სიგრძე — 70; ზედ მოთავსებულია 69 სტრიქონი.

შესამე კეფის სიგრძე — 78; ზედ მოთავსებულია 67 სტრიქონი.

ძეგლი მთლიანად ერთი ხელითაა დაწერილი და გარეგანი იერითა და ნიშნებით XII საუკუნისა ჩანს. დამწერლობა ნუსხურია. მელანი შავი. სიგლის ზოგიერთი ნაწილი მთავრული ასოებით იწყება (სტრიქონები: 87, 135, 147, 153, 139).

ჩვენი ძეგლის ენა „კლასიკურია". რაიმე მნიშვნელოვან გარდახვევებს ძველი ქართულის ნორმებიდან აქ ადგილი არა აქვს. ამ მხრით გადამწერს დედნის სახე კარგად დაუცავს. ესევე არ ითქმის ძეგლის ორთოგრაფიის შესახებ. აქ დიდი მერყეობაა. ასეთი რამ, მის უდიდეს ნაწილში მაინც, პირმშო დედნის დამახასიათებლად ძნელია აღიარებულ იქმნას. ის უფრო გადამწერის შენაძენი შეიძლება იყოს. ვამბობთ „უფრო", რადგან ჩვენ არ გვავიწყდება, რომ არც XI ს-ის დამდეგის ორთოგრაფია არის ამ მხრით ურყევი და ზოგი რამ ქვემოთ ნაჩვენები. ჩვენს პირს, უეჭველია, დედნისეული უნდა გამოჰყოლოდეს.

ასო ჱ. მთელს ძეგლში ამ ასოს ხმარების მხოლოდ ორი შემთხვევა გვაქვს: „მეფჱო"—სტრიქ. 146 და „კუჱრცხის გოლი" — სტრიქ. 51; უკანასკნელ შემთხვევაში ჱ შეიძლება არც XII ს-ის პირისეულია: ის საფენ ქაღალდზე სწერია ნაგვიანევი ნუსხურით. როგორ უნდა ყოფილიყო ეს ფორმები დედანში? რა თქმა უნდა, ჱ მე-XII ს-ში არ გაჩენილა და მისი ხმარება გაცილებით უფრო ძველ ძეგლებში გვხვდება, მაგრამ აქ წარმოდგენილი სახით ამ ასოს ხმარება, ვფიქრობთ, XII ს-ის პირისეულია. ამას ადასტურებს აქვე პარალელურად არსებული ფორმები: „კუერცხის გული"—სტრიქ. 56 და „მეფეო" — 137. ამავე დროს არც ერთხელ „უე" კომპლექსი არაა

წარმოდგენილი უ-თი. იხ.: სუეტი, დაუსუენენ, ბეშხუემი, ძუელად, ქუემომდენ და სხვ. ამიტომაც გამოცემაში ჩვენ ასო ᲣᲒ არ დავიცავით.

ო. და უ. არც ო-ნისა და უ-ნის ერთი მეორის მონაცვალეობა არის განსაკუთრებული თვისება ჩვენი ძეგლის გადაწერის დროისა. ეს მოვლენა ამაზე ადრეც გვხვდება. მაგრამ თუ უძველეს ძეგლებში მას სპორადული ხასიათი აქვს, აქ ის მეტად ხშირია. ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ არც ერთ მათგანს პირმშო დედანში ადგილი არ ჰქონია, მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთი სიმრავლით ეს მოვლენა მხოლოდ პირის[12] დამახასიათებელია.

გამოცემაში ჩვენ ამ მოვლენას არ ვიცავთ და ძველ სახეს[13] აღვადგენთ.

შემთხვევები: აორაცხელნი—7; დაოსუენე—8 (იქვე: დაუსუენე—6,3); ცორვებოლნი—27, 23 (იქვე: ცურვებული—13, 47, 49); საცეცხორნი—23, 24 (იქვე: საცეცხურნი—21, 22) ზაფხოლი 32; შეკაზმოლი—34, 57 (იქვე: შეკაზმულნი—20); ოქსინოჲ—54, 56 (იქვე: უქსინოჲ—50); გოლი—52 (იქვე: გული—56) ხატუვანი—54; სუნდოსი—56, სუნდუსი—56; სხლუანი—64; აქოს—98, 113 (იქვე: აქუს—60); ხოთითა—61; სააზნაოროჲ—17; ჲყონეს—76; შეოვალად—77; 78, ფოძითა—92, 94; სროლითა 92, 24; დაუტეუს—104; აღესროლებოდის—114; წინმძღორად—116; შეოცვალებელად—118; ანო—124, 152; ოარის ᲣᲒᲝᲤᲔᲚᲗᲐ — 128; კორაპალატო — 136 (იქვე: კურაპალატსა — 144); გაოგია — 143 (იქვე: გაუგია 149); სულკურთხეოლსა — 148.

უ და ვ. არც უ-ბრჯგუს გადმოცემა ვ ასოთი განეკუთვნება მაინც და მაინც XII საუკუნეს. პირიქით, ამ მოვლენას უფრო „კლასიკურ“ ქართულში აქვს ადგილი[14]. ამიტომ ჩვენს ძეგლში ის შეიძლება მთლად დედნისეულიც იყოს. მიუხედავად ამისა გამოცემაში

---

12 სწორედ ეს მოვლენა გვაქვს ჩვენ ერთ-ერთ ნიშნად მიღებული ძეგლის გადაწერის დროის განსაზღვრისას.

13 უფრო იდეალურ სახეს, ვიდრე შესაძლებელია ოდესმე არსებულს, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ დედანი ამ მხრით სავსებით „უნაკლო“ იყო, ამის თვალსაჩინო მაგალითს სვეტიცხოვლის გარეთი კარი-ბჭის წარწერა იძლევა: სოლისა, დამყარებოლი.

გაუგებარია რატომ შეცვალა ეს ფორმები ს. კაკაბაძემ ხსენებული წარწერის „აღდგენისას“: სულისა, დამყარებული? თუ აწინდელი ორთოგრაფიის დაცვის მიზნით, მაშინ რატომღა აღადგენს და იცავს ფორმებს: ჩუენი წმიდისაჲ... ეკლესიისაჲ ბჭᲒ?

14 ბ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, გვ. 8 — 10.

ჩვენ მას არ ვიცავთ: ის სისტემატურად არაა გატარებული და ერთსა და იმავე პირობებში ხან უ-თი გადმოიცემა, ხან ჳ-თი.

შემთხვევები: თჳალითა—2; თჳ᾽ალითა—6; თჳალი—17; თჳლითა—31 (იქვე: თუ᾽ლითა—10; თუალითა — 12, 19); სხჳაჲ 15, 12 (იქვე; სხუანი—22, 40; სხუაჲ—42); თჳესა—113; გჳარმან—120 (იქვე: გუარმან—161); ჲ᾽ჳ (-ჲესჳ)—128; ს᾽ლისა᾽თჳ᾽ნ 149: ჩემისათჳს—122: მღ᾽დელთმოძღჳართა—34 (იქვე: სამღდელთმოძღუროჲ); დაგჳიწერია—122; დედა ქალაქისათჳ᾽ს—59.

უი და ჳ. „უ-ბრჯგუ პლუს ი ძველს ქართულში ჩვეულებრივად გადმოიცემის ჳ ასოთი“[15]. ეს ასეა როგორც X საუკუნის მრავალ ტექსტებში, ისე ხანმეტ ტექსტშიაც. მაგრამ „გამონაკლისებს“ არც ეს მოვლენაა მოკლებული: არაერთი ძეგლი მოიპოვება IX—X საუკუნისა, საღაც—ზოგიერთში სპორადულად, ზოგიერთში თითქმის სისტემატურად — უი კომპლექსი გადმოიცემა არა ჳ ასოთი, არამედ ეი-თ[16]. უი-ს ჳ-თი გადმოცემა დამახასიათებელია აგრეთვე XI—XII საუკუნეთა ნუსხურით შესრულებული ძეგლებისათვის (ი ო ა ნ ე დ ა ე ფ თ ჳ მ ე ს ცხორება; გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ცხორება; 1074 წელს გადაწერილი აღაპების ტექსტი; დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ებ ლ ი ს ანდერძი. მამასახლისი პ ა ვ ლ ე ს მიერ ათონზე გაჩენილი აღაპები 1170 — 1184 წლებში და სხვა). ვამბობთ: „ნუსხურით შესრულებული ძეგლებისათვის“, რადგან, როგორც ცნობილია, ძველმა მდივანმწიგნობრულმა ჳ (ისევე როგორც ჲ და Ჲ) არ იცის [17] და იქ უი კომპლექსი ჩვეულებრივი უით გადმოიცემის.

მეტად თავისებურია ამ მხრით ჩვენი ძეგლი. ის შესრულებულია ნუსხა-ხუცურით და 24 შემთხვევიდან მხოლოდ ორი თითქო უდავო მაგალითი გვაქვს. უი კომპლექსის ჳ-თი გადმოცემისა[18]. 19

---

15 იქვე, გვ. 10.

16 საისტ. საეთნ. საზ-ბის მუზ-მის ჭილეტრატის ხელნაწერი № 2123. იაკობის წირვა — იხ.К. Кекелидзе, Древне-грузинский архиератикон. უკანასკნელი ხელნაწერის ორთოგრაფიული მოვლენები ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა იქნებოდა, რომ ეს ძეგლი ასომთავრულით არ იყოს შესრულებული.

17 მეტად საყურადღებო მოვლენაა მდივანმწიგნობრულის წარმოშობილობის დროისა ან პირობების გასათვალისწინებლად.

18 ასეთი სიტყვებია „ღჳნო“ და „თჳნიერ“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ამ შემთხვევებშიც ჳ უ-ნის მაგივრობას სწევდეს და არა უი კომპლექსისას.

შემთხვევაში ის უი-თ გადმოიცემის. სამი მაგალითი სადაოა: ჩემისთ˜ვს—113; ჩმისთ˜ვს—138; თქ˜ნისთვს—119. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აქვე პარალელურად მოიპოვება ფორმები: Ჩათისათუის—143; Ძოვანესთუის—159; ვისთუისცა—160 და კიდევ უფრო დაგვიწერია—122; ქალაქისათ˜ვს—59; ჩემისათ˜ვს—122; ს˜ლისათ˜ვნ—149 (უკანასკნელ ოთხ შემთხვევაში ვ, აშკარაა, Უ-ბრჯგუს მაგივრობას სწევს და არა Უი კომპლექსისას),—მაშინ თითქო უფლება გვეძლევა „სადაო“ დაქარაგმებანიც ამათი ანალოგიით გავხსნათ: ჩემისათვის თქუენისათვის... აქვე უნდა ვაღიაროთ: უკანასკნელი სიტყვა ჩვენ მიერ აღდგენილი ფორმით უფრო საეჭვოა, ვიდრე პირველი, და ეს იმიტომ, რომ პატივის ნიშანი მას ჩვენთვის საყურადღებო ადგილზე არა აქვს, მაშინ როცა სხვა ორ შემთხვევაში ეს ნიშანი სწორედ ვ-ს აზის. როგორც არ უნდა იყოს ერთი ცხადია: Უი კომპლექსის გადმოცემის საკითხში ჩვენი ძეგლი მერყეობას იჩენს ვ-სა და უი-ს შორის და დიდი უმრავლესობა მეორე ფორმას უჭერს მხარს.

საფიქრებელი არაა, რომ ეს ასევე იყო პირმშო დედანში, თუ. რასაკვირველია, ის ნუსხახუცურით იყო შესრულებული. ამიტომ უნდა ვიფიქროთ: 1) ან დედანი მხედრულით იყო შესრულებული[19] და ვ-ს გაჩენა გადამწერის წყალობაა ან 2) დედნისეული (ნუსხახუცურად დაწერილის) ვ XII საუკუნის[20] გადამწერელმა შეცვალა უი-თ მხედრულ დამწერლობაში გამეფებული ორთოგრაფიის გავლენით[21].

გამოცემაში ჩვენ Უი კომპლექსს ვ-თი გადმოვცემთ.

შემთხვევები: სამარტუილოᲫ,-ონი—5; 9; 88; 108; მერტუ˜ლ-ნი—127; რიცხუით—17; ხუირნი—19; Ძტყუიან—42; ქალაქისათვ˜ს—59; ყინცუისი—70; ამოგუიგდო—80; წისქუილნი—93; გუილოცვიდეს—105; ჩემისათვ˜ს—118; თქ˜ნისთვის — 119; ჩემისავ"ს—90; დაგვიწერია—122; ჩემისათვ˜ს—138; მ˜თისათუის—143; სლისათვ˜ნ—149; Ძოვანესთუ˜ს—169; ვისთუისცა—160; ღვნოᲫ—79; თვნიერ.

———————

19 ასეთ დაშვებას აძნელებს ზემორე აღნიშნული უ-ბრჯგუს ვ—თი გადმოცემის მაგალითთა „არქაული“ ხასიათი.

20 „დედანსა“ და „XII ს-ის პირზედ“ საუბრისას ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება, რომ შესაძლებელია ჩვენი პირი პირმშო დედნის პირველი არ იყოს. ამაზე ქვემოთ.

21 უკანასკნელი შესაძლებლობა ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია.

ჲ. ჲ-ს ხმარებაშიაც ჩვენი ძეგლი მერყეევია. ამ ასოს „წესიერ“ (ე. ი. ძველ ქართულში ჩვეულებრივ) ხმარების გვერდით „უწესო“ შემთხვევებიც მოიპოვება. ძეგლში არ გვხვდება არც ერთი ი-ნით დაწყებული სიტყვა—სულერთია, ხმოვანი მოსდევს ამ ასოს თუ თანხმოვანი,—რომ იქ ი-ნის მაგივრად ჲ არ იყოს. ამ შემთხვევაში ჲ ი-ნის ნაცვალია[22]. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვის დასაწყისში. სიტყვის შუაში ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს ორიოდე გამონაკლისს გარდა. ყველა სხვა შემთხვევაში ჲ-ეს ხმარება ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივია.

შემთხვევები: 1. სიტყვათა დასაწყისში: ჲადგარი — 38, 43 (იკ კომპლექსი არსად სიტყვის შუაში ჲა-ს არ იძლევა: ზიარი—75, ეკლესიასა—116, მატიანენი...); ჲესჳ—128—ჲ ჳ; (არც იე კომპლექსი იძლევა ჲე-ს სიტყვის შუაში: ძლიერო); ჲოვანე—35, 153, 159, 160; ჲტყუ~ნ 42; ჲუდას—127; ჲყო—79, 80, 102; ჲხილნეთ—35; ჲანვარსა—113; ჲყავნ—152; გამოცემაში ჩვენ ამათ არ ვიცავთ.

ოჲ კომპლექსი. აქ ჲ-იე გატარებულია გამოუკლებლივ — არის ის ნომინატივის ნიშანი, შედის genetiv'ის (=ის; ოჲს), locativ'ის (=ით; ოჲთ) და ablativ'ის (=ით; ოჲთ) ნიშანში, თუ შემთხვევით კომპლექსს ქმნის. ასეთებია: სამარტუილოჲ—5; სათანადოჲ—31, 37: საწელიწდოჲ—34, 38, 44; სამღდელთმოძღუროჲ 49—50; ოქსინოჲ—50, 54; ტონთოჲ—65: სააზნაოროჲ—71; სასეფოჲ—72; ღჳნოჲ—79; ეზოჲ—112; ზემოჲ—129; ოქროჲსნი—4, 19; ოქროჲსაჲ—17; ოქროჲსა 39; ოქროჲსანი—20, 21; სასეფოჲსაგან—98; ზემოჲთ—100, 139; ზემოჲთგან—122; ქვემოჲთ—129; ოქროჲთა—1, 2, 3, 6, 10, 13, 15, 23, 27, 47, 52, 54; ოქროქსოჲლი—53. გამოცემაში ჩვენ ყველა ამათ უკანასკნელი დიალექტური მოვლენის გამოუკლებლივ (ოქროქსოვილი—ოქროქსოილი—ოქროქსოჲლი) ვიცავთ.

აჲ კომპლექსი. აქაც ჲ-იე გატარებულია სისტემატურად,—არის ის nominativ'ის ნიშანი, შედის genetiv'ის (=ის;—აჲს) და ablativ'ის (=ით—აჲთ) ნიშანში, თუ შემთხვევით კომპლექსს ქმნის:

წმიდაჲ—2, 5, 107, 121, 125, 126; ცხორებისაჲ—7, 126; ოქროჲსაჲ—17; ღმრთისმშობლისაჲ—10; მაცხოვრისაჲ—12, 13; ვეცხლისაჲ—13; 25, 27, 109, 110; მცემლისაჲ—14; სახარებაჲ—31; გა-

---

22 დაურბილებელი ი-ნის. ჩვენ X—XII ს-ეთა ძეგლებშიაც ვხვდებით ასეთ შემთხვევებს, მაგრამ სპორადულად.

მოცხადებაჲ—35; ცხორებაჲ—37; კურთხევაჲ—49, 133; განგებაჲ—43; მაჲზარაჲ—51, 53; მაკანაჲ—52; ორთაჲ—62; ხარებაჲ—64; აგარაჲ—65; პალავრაჲ—69; მიწაჲ—71, 93; ეკლესიაჲ—74; შეუვალობისაჲ—78; რაჲცა 80, 162; ჭალაჲ—91; ყანაჲ—95; ჩემთაჲ—125; მამაჲ—125; ეკლესიაჲ—125; ღმრთაებისაჲ—126; ეკლესიაჲ—125; არაჲ—165; ბრძანებაჲ—151, 152;—მისისაჲ—139; კურთხევაჲ—133; მიწაჲსა—18; ლუკაჲსი 29; რაჲსაცა—123; ეკლესიაჲსა—131, 163; ვეცხლისაჲთა—33; აგარაჲთა—61, 62, 67; ღმრთისაჲთა—136, 140, 141; ტაშტაბრაჲგი—26; მაჲზარაჲ—51; დამცაჲსჯების. გამოცემაში უკანასკნელ სამ შემთხვევას არ ვიცავთ.

ძეგლში არსებული სხვა მოვლენები: 2) ურედუქციო ფორმები: ნათლის მცემელისაჲ—14; შესავალისა—97; ღმრთისმშობელისაჲ—10, 131; ქუეყანისათა—4; შესავალითა—70, 71, 74 და სხვ.. ამათ გვერდით, მოიპოვება ფორმები რედუქციით. გამოცემაში ჩვენ დავტოვეთ ეს ორსახეობა. 2) ჲ-ეს „განდევნა“ ე-ნის შემდეგ. ასეთად გვეჩვენება: მათესი—29; ჲოვანესი—29; ჲოვანეს—35; ჲოვანესდა—153; ჲოვანესთუის—159. გამოცემაში ჩვენ ეს არ აღვადგინეთ, რადგან პირმშო დედანში ასეთ ფორმათა არსებობის უეჭველობაში ჩვენ სავსებით დარწმუნებული არა ვართ, თუმცა მათ შესაძლებლობაში ეჭვი არ შეგვდის. ე-ნის შემდეგ ჲ-ეს ასეთი განდევნის ნიადაგზე წარმოშობილ დამახინჯებად შეგვეძლო მიგვეჩნია ფორმაც: „ქ~ბ მტკიცე ჲყავნ ბრძანებაჲ მათი“ 151—152 „ქ~ბ მტკიცეჲ ყავნ ბრძანებაჲ მათი-ს ნაცვლად. 3) ინდივიდუალობანი: დ ა ვ დ გ ე ნ 82 (ავაგენ-ის ანალოგიით); ღ ი ლ ო კ ი ლ ო ჲ თ ა ნაცვ. ღილკილოჲთა—33. შდრ. კ ა ლ ა მ ო კ ო პ ი ს მონასტერი (იხ. ათონის.. ხელნაწერი“ გვ. 270). 4) აღსანიშნავია: ს ე ნ ა ნ ი; შდრ. „მოსენანი“ (ი~ე და ე ფ თ ჯ მ ე ს ცხორება); როგორც ჩანს „სენაკი“-ს გვერდით არსებულა ამ სიტყვის მეორე ფორმაც — „სენაჲ. შდრ. სენაკ-ები (შ უ შ ა ნ ი კ ი ს მარტვილობაში); ძველი ფორმა: უნდეს—100 (კონჲუნქტივი უნდოდეს ნაცვლად), ვირე—102, ვირემდის—107, 121 (ვიდრემდის ნაც.); „უღელი“ წყვილის გაგებით — „უღლითა ანაფორითა“ 50. 5) შეცდომები: ეკლეესისა—39 ნაცვ. ეკლესიასა), კრულმცა რის (ნაცვ. კრულმცა არის) — 132; რა აზნაოროჲ — 71 (ნაცვ. სააზნაუროჲ); ქ"ბ მტკიცე ჲყავნ ბრძანებაჲ მათი—151—152 (ნაცვ. ქ~ბ მტკიცეჲ ყავნ ბრძანებაჲ მათი); გავაგე 99—100 (ნაცვ. განვაგე)[23].

[23] ეს „შეცდომა“ საყურადღებო „ვულგარიზმია“.

ეხლა შეგვიძლია ვიკითხოთ: როდისაა შესრულებული ჩვენი პირი? ო-ნის უ-ნთან ხშირი მონაცვლეობა, ჲ-ეს სწორე ხმარების დარღვეულობა, ᲩᲔ-ის ჯერ ვერ მომაგრება, — ყველაფერი ეს ეთანხმება „ხელის“ მიხედვით მიღებულ განსაზღვრას — XII საუკუნით[24] (უფრო დაახლოებით: მისი პირველი ნახევრით). ამასვე უჭერს მხარს ასო უ-ნის ხასიათი. მისი ხმარების ოთხმოცი შემთხვევიდან ორმოცხელ ის სამკბილიანია, ხოლო ორმოცხელ ოთხკბილიანი (ჩვენი ცდა, რაიმე კანონზომიერება აღმოგვეჩინა ამ მოვლენაში — უშედეგო გამოდგა).

ეხლა გადასაწყვეტი გვაქვს საბუთის დედნის დაწერის თარიღი. ამ საკითხის გარშემო რამოდენიმე მოსაზრება არსებობს: ძეგლის პირველად გამომცემელი პროფ. დ. ჩუბინაშვილი, საფიქრებელია, ძეგლის თარიღად 280 ქრონიკონს (=1060 წ.) გულისხმობდა, თუმცა უყურადღებოდ მას არც ტექსტის მეორე ადგილას ნაჩვენები ქრონიკონი ს~მ (=240) დაუტოვებია და საფუძვლიანად ცდილა მის შესწორებას[25].

თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ პირველად[26] დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს მიერ „თვთ ნამდვილის გუჯრითგან შემოკლებით გადმოწერილი პირის“ მიხედვით „სიგლის“ თარიღად 1040 წელი აღიარა.

მ. ბ რ ო ს ე ს აზრით თარიღი 1020 წელი (ქრონიკონი ს~მ) საბუთის მხოლოდ ერთ ნაწილს შეეხება. მაგრამ ამ ნაწილშიაც რ ო მ ა ნ ო ზ კეისრის მოხსენიება აეჭვებს მას და ჰკითხულობს: ხომ არ აკლია ქრონიკონს ს~მ ერთეულების აღმნიშვნელი ასო?[27].

თ. ჟორდანიამ ძეგლის მეორედ გამოცემისას № № 14 (=378) და 13 (=379) პირთა თანხმობლივი ჩვენების მიხედვით სიგლის

---

[24] საჭიროდ მიგვაჩნია განსაკუთრებითაც შევნიშნოთ, რომ ყველა ეს ენობრივი მოვლენები თავისთავად ძეგლის დათარიღების დამოუკიდებელ ნიშნებად ვერ გამოდგება და ეს მით უფრო, როცა საქმე გვაქვს არა კანონიურ ტექსტთან. ჩვენ არა ერთი ამ მხრივ „უცნაური“ ძეგლი გვხვდება X—XI სს-ში, რომელნიც სამწუხაროდ, აქამდის ამაოდ ელიან გამოცემას... ამიტომ ამ მოვლენების თანხმობის საფუძვლიანობა „ხელის“ მიხედვით მიღებულ დათარიღებისათვის პირობითია. უფრო სწორი იქნებოდა გამოთქმა, რომ ეს ნიშნები არ ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ი ა ნ „ხელის“ მიხედვით მიღებულ განსაზღვრას.

[25] „ქართული ქრისტომატია ნაწ. I... დაბეჭდილი დ. ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი ს ა გ ა ნ... 1863 წ. გვ. 206.

[26] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, 181.

[27] M. B r o s s e t, Histoire moderne de la Géorgie p. 450—451.

თარიღად გადაჭრით 1020 წელი აღიარა: „ორსავე პირს ქორონიკონი უზის: ს~მ. (1020 წ.) და აქედამ ცხადია, რომ ჩუბინაშვილი, ბაქრაძე და ბროსსე შემცდარნი ყოფილან, როდესაც მათ ეს სიგელი მიაწერეს 1040 წელს“-ო[28].

დ. ბაქრაძე ს~მ ქრონიკონს ს~ჲ-დ კითხულობდა და ასეთ წაკითხვას ბროსეს მიერ წანაკითხს—ს~მ—უპირდაპირებდა. ასე რომ მისი აზრით ამ ძეგლის თარიღი უეჭველად 1040 წელია[29].

ს. კაკაბაძემ წარსულ 1929 წელს „კიდევ სვეტიცხოვლის აშენების დათარიღების შესახებ“ ერთი ახალი მოსაზრების წამოყენებისას „ისარგებლა შემთხვევით ამ მელქისედეკ კათალიკოზის მცხეთისადმი მიცემულ სიგელის თარიღის შესასწორებლად“. მკვლევარმა გაიმეორა ბროსეს აზრი 240 ქრონიკონის ძეგლის მთავარ ნაწილისადმი კუთვნილობის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი თქვა იმ სიძნელის შესახებ, რომ სწორედ ამ მთავარ ნაწილში 1028 წლის დამლევს გამეფებული რომანოზი უკვე კეისრადაა მოხსენებული, რაც ბროსეს სამართლიანად აეჭვებდა.

ძეგლის დამამტკიცებელთა — ბაგრატ კუროპალატისა და კვირიკე რანთა და კახთა მეფის[30] თანამედროვეობა ს. კაკაბაძემ 1031—1040 წლებით განსაზღვრა და დაასკვნა: მელქისედეკ კათალიკოზის სიგელის მეორე ნაწილი უნდა იყოს მაშასადამე დაწერილი დაახლ. 1031—1040 წლებში... თვით მელქისედეკის კათალიკოზობა კი მოდის დაახლ. 1010 — 1035 წლ. ახლო ხანებისთვის“ (საისტორიო კრებული IV, 114 შენ.).

დასასრულ მელქ. კ~ზის „დაწერილის“ თარიღს პროფ. ივ. ჯავახიშვილი შეეხო. მკვლევარი მიაქცევს ყურადღებას ძეგლში რომანოზ კეისრის, როგორც მელქისედეკ კ~ზის თანამედროვის მოხსენიებას და დაასკვნის: „ეს თარიღი, 1020 წ., უეჭველია, მცდა-

---

28 თ. ჟორდანია, ქრონიკები II, 31. მკვლევარის უკანასკნელი გამოთქმა სინამდვილეს არ შეეფერება: არც დ. ჩუბინაშვილი და არც მ. ბროსე ამ ძეგლს 1040 წლით არ ათარიღებდენ, არამედ პირველი 1060 წლით, — ხოლო მეორე აღნიშნავდა ძეგლის თარიღს—1020 წელს (იხ. H.de la G. I, 302 n. 1) ცდილობდა მის შესწორებას (იხ. H. moderne de la G. p. 450—451). მხოლოდ დ. ბაქრაძე კითხულობდა ძეგლის ქრონიკონს სჲ ედ (=1040 წ.).

29 Д. Бакрадзе. Статьи по истории и древностям Грузии.

30 შდრ. მ. ბროსე, Op. cit. loc. cit.

ხელნაწერს თავი მხოლოდ მე XVII საუკუნის შემდეგ დააკლდა, ამისდა მიხედვით დ. ჩუბინაშვილისეული პირიც ამ ხნის შემდეგ დროში შესრულებული უნდა ყოფილიყო[32]. მაგრამ ასეთი დაშვების წინააღმდეგი არის თვით გამომცემლის გამოთქმა, რომ „ს-ანი წაშლილია ს ი ძ ვ ე ლ ი ს ა გ ა ნ“, რასაც 18 საუკუნეში გადაწერილი პირის მიმართ ის ვერ იტყოდა. ამიტომ, ვფიქრობთ, პირველი შესაძლებლობა უფრო მართებულია და ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ გამოთქმის ნაკლთან. როგორც არ უნდა იყოს, სულერთია: № 14 პირის მიხედვით აქ ქრონიკონის ჩვენება არ არის და, თუ მაინც და მაინც გამოთქმაში: ქ~პ პირველ ასოს „ქრონიკონ“-ად გავხსნით (რაც ყოვლად უჩვეულოა და მიუღებელი ჩანს), პ~არი ისეთ რიცხვითს ოდენობას იძლევა (=80), რომ მისი მიუღებლობა უკვე დ. ჩუბინაშვილისათვის აშკარა იყო.

ამრიგად, არ არსებობს 1060 წელი, როგორც ჩვენი ძეგლის ერთ-ერთი ქრონიკონი.

დაგვრჩა ს~მ ქრონიკონი.

პროფ. ჩუბინაშვილი, აკად. ბროსე და პროფ. ჯავახიშვილი ამ თარიღს შეუსაბამოდ სთვლიან, თუნდაც ძეგლის ნაწილისათვის, და მის შესწორებას სცდილობენ.

მხოლოდ თ. ჟორდანია და ს. კაკაბაძე შეუსწორებლად იწყნარებენ მას (კაკაბაძე, როგორც ძეგლის მთავარი ნაწილის თარიღს, ხოლო ჟორდანია, როგორც მთელი ძეგლის თარიღს). ძეგლის თარიღის დადგენის ცდისას ჩუბინაშვილი [?], ბროსე და კაკაბაძე იმ მოსაზრებიდან გამოდიოდენ, რომ საბუთი ორი სხვადასხვა დროის ნაწილისაგან შედგება: პირველი, რომელსაც აბოლოებს ქრონიკონი ს~მ და მეორე, რომელიც ს. კაკაბაძის აზრით უნდა იყოს „დაწერილი დაახლ. 1031 — 1040 წლებში“.

ჟორდანია, ბაქრაძე და ჯავახიშვილი ძეგლს ასე არ ანაწილებენ და მათ მიერ მიღებული ესა თუ ის თარიღი შეეხება ძეგლს მთლიანად. ბაქრაძის ასეთი თარიღია 1040 წელი, ჟორდანიასი 1020 წელი, ხოლო ჯავახიშვილისა 1028 წლის შემდგომი დრო...

ასეთია ჩვენი ძეგლის დათარიღების აწინდელი მდგომარეობა.

---

32 შესაძლებელია მართლაც ასე იყო და ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ჩუბინაშვილისეულ გამოცემაში, თ. ჟორდანიას ენით რომ ვთქვათ, „ორფოგრაფიული თვისება იმდროინდელის მწერლობისა სრულიად არ არის დაცული“ (ქრონიკ. I, 181).

უეჭველია, მართალი არიან ისინი, ვინც 240 ქრონიკონს შეუწყნარებლად სთვლიან, ეხება ის ძეგლს მთლიანად, თუ მის ერთ ნაწილს მხოლოდ.

მართლაც, მელქისედეკ კათალიკოზი თავისი „დაწერილის“ პირველ ნაწილში მოგვითხრობს საკუთარი საქმიანობის შესახებ მცხეთის საკ~ზო საყდრის სასარგებლოდ. ამიტომ, როცა ის ლაპარაკობს, რომ მან შესძინა ეკლესიას... „ბერძენთა მეფისა რომანოზის ნაბოძვარი შესამოსელი ოქროქსოილი:ა:“ და სხვ., ან: „ბაგრატ კურაპალატისა ნაბოძვარი დიდი სკარამანგი :ა:“, ეს იმას ჰნიშნავს, რომ კეისარ რომანოზს და ბაგრატ კურაპალატს მელქისედეკისათვის **პირადად** უბოძებიათ მოხსენებული ნივთები (აქ ტერმინი: „ნაბოძვარიც“ ამასვე გვაფიქრებინებს). ამიტომ შეუძლებელია რომანოზ კეისარში სხვა შეფე დავინახოთ გარდა რომანოზ არგვროსისა, რომელიც გამეფდა 1028 წელს 28 ნოემბრის შემდეგ დღეებში[33]. ასე რომ, თუ ეს ქრონიკონი აქ დედნისეულია და აშიაზე მინაწერიდან ჩვენი პირის გადამწერის მიერ ტექსტში შეტანილი არ არის, მაშინ დ. ჩუბინაშვილთან და მ. ბროსესთან ერთად უნდა დავუშვათ, რომ მას ერთეულის აღმნიშვნელი ასო აკლია. ასეთი ასო მხოლოდ თ-ანი შეიძლებოდა ყოფილიყო.

რომანოზ კეისრის რომანოზ არგვროსად აღიარების შემდეგ ჩვენთვის სავალდებულოა მელქისედეკის მიმართვაში მოხსენებული და „დაწერილის“ დამამტკიცებელნი ბაგრატ და კვრიკე მეფენი ვიცნათ ბაგრატ IV (1027—1072 წ.) და უკანასკნელის თანამედროვე კვრიკე მეფედ.

ბაგრატ IV-ის თანამედროვე კვრიკეთა შესახებ ვიცით: კვრიკე დიდი „მეფე რანთა და კახთა“, რომელიც უნდა გამეფებულიყო 1009 წელს (ქ. ცხ. 243, *468—9).1011 წელს ბაგრატ III დაატყვევა კვრიკე და სამფლობელო ჩამოართვა. უკანასკნელი კვლავ დაეპატრონა ჰერეთ-კახეთს მხოლოდ 1014 წლის შემდეგ გიორგი ბაგრატისძის გამეფების პირველ წლებში (იქვე * 584). კვრიკე; საფიქრებელია, მხოლოდ ამის შემდეგ ითვისებს მეფის წოდებას: მფლობელობის პირველ პერიოდში (1009—1011 წ.) ის „ქორეპის-

---

33 დაახლ. ამავე აზრს გამოსთქვამენ აკად. მ. ბროსე და პროფ. ი. ჯავახიშვილი.

კოპოზად“ იწოდებოდა[34]. კვრიკე ცოცხალია ბაგრატ IV გამეფების შემდეგ დროშიაც: აწყობს შეერთებულ ლაშქრობას განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ — ეს უნდა ყოფილიყოს 1032 წლამდის[35], „ყოვლადვე ვიდრე ყრმა იყო ბაგრატ“, ე. ი. უფრო დაახლოებით 1027 — 1030 წლებში. კვრიკე მეფე მოკლულ იქმნა 1037 წლის უწინ[36].

მ ე ო რ ე კ ვ რ ი კ ე მეფე, ბაგრატ IV-ის თანამედროვე, იყო სომეხთა მეფე კ ვ რ ი კ ე სამშვილდარ-ზორაკერტელი, დავითის-ძე, რომელიც გამეფდა 1046 წელს. ის იყო ძმა კახთა მეფის გ ა გ ი კ დ ა ვ ი თ ი ს-ძ ი ს ა, კვრიკე დიდის დისწულისა. მაშ თვით ეს კვრიკე სომეხთა მეფეც, შესაძლებელია, იყო კ ვ რ ი კ ე დ ი დ ი ს დისწული.

მელქისედეკის „დაწერილი“-ს დამამტკიცებელი კვრიკე მეფე სწერს: „მეცა კ ვ რ ი კ ე მეფესა დისწულსა კვრიკე მეფისასა ჯელითა ჩემითა ჩამირთავს და დამიმტკიცებია“-ო.

ვინ უნდა იყოს ეს კ ვ რ ი კ ე მ ე ფ ე—დ ი ს წ უ ლ ი კ ვ რ ი კ ე ს ი? პირველი შეხედვით ის თითქოს „სომეხთა მეფე“ კვრიკე უნდა იყოს. მაგრამ აქ ის დაბრკოლებაა, რომ კვრიკე „სომეხთა მეფის“ თანამედროვეობა მელქისედეკ კათალიკოზთან მეტად სათუოა

---

34 ქ. ცხ. 243. ყოველ შემთხვევაში მატიანე ქართლისაჲს ავტორი ამ ხანებში მას მეფედ არ იხსენიებს.

35 ამ წელს „სიმცირესავე შინა ბაგრატ მეფისასა ლიპარიტ ლიპარიტისძემ და ივანე აბაზასძემ — ქართლის ერისთავმა შეიპყრეს ჯაფარ ამირა და დიდ-ხანს ტყვედ ჰყავდათ, სანამ ბაგრატმა არ გაათავისუფლა ის. „მიერითგან დარჩა მტერობა ლიპარიტეთ და ამირას შუა“ — ქ. ცხ. 258. უეჭველია, კვრიკეს კოალიცია, რომელშიაც ჯაფარ ამირაც და ლიპარიტიც მონაწილეობდნენ, ამ ამბებზედ უწინარეს უნდა ყოფილიყო. ამასვე გვავალებს: „ყოვლადვე ვიდრე ყრმა იყო ბაგრატ“ — ქ“ცა 257.

36 ტფილისის გარემოცვა ბაგრატის მიერ 1037—38 წელს დაიწყო (იხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტორია II, გვ. 434). ამ დროს კვრიკე მეფე ცოცხალი აღარ იყო და კახეთში მისი დისწული გაგიკი მეფობდა (ქ'ცა., 258). სამწუხაროდ, გამოთქმას „მას ჟამსა მოკლული იყო დიდი კახთა მეფე კვრიკე“ ისე როგორიც იქვე: „მას ჟამსა იყო მეფე კახეთს გაგიკ ძე დავით სომეხთა მეფისა“ უფრო ზედმიწევნილობით დათარიღების უფლებას არ გვაძლევს. „მას ჟამსა მოკლულ იყო“ სრულიად არ ნიშნავს თითქო კვრიკე იმ წელს მოიკლა, როგორც ეს თ. ჟორდანიას ეგონა, ისე როგორც „მას ჟამსა მეფე იყო“ არ ნიშნავს, თითქო გაგიკი იმ წელს გამეფდა. შესაძლებელია, ბროსეს თარიღი კვრიკეს სიკვდილისა — 1029 წელი უფრო სწორეც იყოს, ვიდრე ვახუშტის თარიღი 1038 წელი. ყოველ შემთხვევაში თ. ჟორდანიას თარიღი — 1048 წელი სრულიად მიუღებელია.

(თუ არ შეუძლებელი) და მეორეც, რა მოსატანი იყო კვრიკე „სომეხთა მეფისათვის“ კვრიკეს დისწულობა? რამდენადაც ცნობილია, მას ჰერეთ-კახეთთან რაიმე დამოკიდებულება არა ჰქონია.

დაგვრჩა კვრიკე დიდი „რანთა და კახთა მეფე“. მ. ბროსე (op. cit.), დ. ბაქრაძე (ვახუშტის ისტ. გვ. 325), თ. ჟორდანია (ქრ. I, 196) და ს. კაკაბაძე (საისტ. კრ. IV) სწორედ ამ კვრიკეს ჰგონებენ „დაწერილის“ დამამტკიცებლად. ამათგან მხოლოდ ბ რ ო ს ე მ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ კვრიკე მეფე აქ კვრიკეს დისწულად უწოდებს თავის თავს. როგორც ჩანს, ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია აგრეთვე თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს ა ც. მას გაუგებარი „დისწული“ გასაგებ „ძისწულად“ შეუცვლია (ქ. ცხ. ბ რ ო ს ე ს გამ. 222). კვრიკე დიდი მართლაც ძისწული იყო კვრიკე II-ისა. მაგრამ სიძნელე ამით, რა თქმა უნდა, არ დაძლეულა. ჯერ ერთი, რატომ ძისწულობით უნდა ემცნო თავისი თავი კვრიკე „რანთა და კახთა მეფეს“ და არა დავითის წულობით? მეორეც კვრიკე დიდის პაპა „მეფე“-დ არ იწოდებოდა, ის „ქორეპისკოპოზი“ იყო. ამიტომ კვრიკე დიდი ძისწული იყო არა კვრიკე მეფისა, არამედ „კვრიკე ქორეპისკოპოზისა“. ყველა ამის გამო თეიმურაზისეული შესწორება ტექსტისა უარსაყოფია. მაშ ვინღა იყო კვრიკე მეფე „დისწული კვრიკე მეფისა“?

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა თ. ჟორდანიას მიერ „აფხაზთა ქრონიკიდან“ ამოღებული ცნობა —ქ˜კს: ᲡᲐᲦ. დასაბამითგან: ᲮᲥᲜᲑ ᲘᲐᲥᲐ მ - -] - - ვდა] დი - - - - [დაჯდ - - -] კ˜ე კ˜ხთა. მკვლევარი ურთავს. ამ ხუთსტრიქონიან წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ: „აქა მ[ოკ]ვდა]კ˜ე] დი [დი და] დაჯდ[ა] კ˜ე კახთა“ ესე იგი: „აქა მოკვდა კვირიკე დიდი და დაჯდა კვირიკე კახთა“ (ქრონ. I, 196). თავი რომ დავანებოთ მოყვანილი ქრონიკის თარიღს, რომელიც, არ ვეჭვობთ, მცდარია, ეს ცნობა იმითაა საყურადღებო, რომ კ ვ რ ი კ ე დ ი დ ი ს მ ე მ კ ვ ი დ რ ე ს კ ვ რ ი კ ე დ ვ ე ი ხ ს ე ნ ი ე ბ ს. ქ. ცხ.-დან ჩვენ კი ვიცით, რომ კვრიკე დიდის მემკვიდრე იყო გ ა გ ი კ „ძ ე ს ო მ ე ხ თ ა მ ე ფ ი ს ა დ ა ვ ი თ ი ს ი“ (ქ. ცხ. 258 *485. 261 *488). შეიძლება ვიფიქროთ, რომ კახეთში გამეფებისას გაგიკ დავითის ძეს ბიძისა [=დედის ძმის] და მამობილის სამფლობელოსთან ერთად მისი სახელიც დაუმკვიდრებია, კვირიკედ წოდებულა. ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივია და გასაგები გაგიკ (=კვრიკე) კახთა მეფის მიერ კვრიკეს დისწულობით თავისი თავის მოხსე-

ნიება. კვრიკე დიდის დისწულობა გაგიკისათვის ლეგიტიმური საფუძველი იყო, ვითარცა კახთა მეფისათვის.

ამგვარად, მივიღეთ, რომ ძეგლის დამამტკიცებელი „კვრიკე მეფე დისწული კვირიკე მეფისა“ არის იგივე გაგიკ ძე სომეხთა მეფისა დავითისი და დისწული კვრიკე „რანთა და კახთა მეფისა“.

ასეთი მოსაზრების მიღებით ჩვენ მოვშალეთ ძეგლის თარიღის terminus post quem non' ი, რომელიც კვრიკე დიდის სიკვდილთან იყო დაკავშირებული. ასეთი საზღვარი წამოაყენა ს. კაკაბაძემ. ამ მკვლევარის აზრი მელქისედეკის დაწერილის რაობისა და თარიღების შესახებ შემდეგია: ...„ხსენებულ სიგელს აქვს თარიღი—ქრონიკონი 240... მაგრამ ეს თარიღი ეხება სიგელის მხოლოდ მთავარ ნაწილს. სიგელის მთავარ ნაწილში მელქისედეკ კათალიკოზი სხვათა შორის სწერს: „ესე ყოველი (მცხეთისა) სოფელი... შესავალნი იყუნენ და მე მოვაჴსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამიჴადნეს“... ხოლო ამის შემდეგ კიდევ მთლიანად სიგელს ამტკიცებენ სხვა ბაგრატ კურაპალატი (აფხაზთა მეფე) და კვირიკე კახთა მეფე“. შემდეგ კაკაბაძე სრულიად მართებულად გამოიყენებს ამ ბაგრატ მეფის გაკურაპალატების თარიღს (1031 წ.) ვითარცა terminus ante guem non ჩვენი ძეგლისა, ხოლო რადგან ძეგლის მეორე დამამტკიცებელი „კვირიკე კახთა და რანთა მეფე მოკლულ იქნა ბაგრატ IV-ის მეფობის პირველ ნახევარში დაახლ. არა უგვიანეს 1040 წლისა“ (ქ. ცხ. I, 223), ამიტომაცო „მელქისედეკ კათალიკოზის სიგელის მეორე ნაწილი უნდა იყოს მაშასადამე დაწერილი დაახლ. 1031 — 1040 წლებში“ (საისტ. კრ. IV, 114, შენ.).

შემდეგ კაკაბაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „სიგელის მთავარ ნაწილში“ მოხსენებული ბაგრატ (მელქისედეკის „აღმზდელი“) კურაპალატი და ალი ამირა არიან ბაგრატ III (გარდ. 1014 წ.) და მისი თანამედროვე ამირა ტფილისისა და დაასკვნის: „ყველაფერ ამის მიხედვით ჩვენ ვღებულობთ ახალს თარიღებს მცხეთის საყდრის სოფლების შეუვალად გახდომის შესახებ ბაგრატ III-ის დროს. თვით მელქისედეკის კათალიკოზობა კი მოდის დაახლ. 1010 — 1035 წლ. ახლო ხანებისათვის“ (იქვე).

ჩვენ მიერ ზემოთ მიღებული დასკვნებიდან თავისთავად გამომდინარეობს ს. კაკაბაძის თარიღების შესწორების საჭიროება. რომ 240 ქრონიკონი მიუღებელია — სულ ერთია, ეხება ის ძეგლის

მთავარ ნაწილს, თუ ძეგლს მთლიანად, — ეს უკვე დაინახეს და დაამტიკცეს დ. ჩუბინაშვილმა, მ. ბროსემ და ივ. ჯავახიშვილმა.

მართლაც და, როგორ შეიძლება ქრონიკონი 240 (=1020 წ.) როგორც „თარიღი" „ეხებოდეს" ძეგლის იმ „მთავარ ნაწილს", სადაც რ ო მ ა ნ ო ზ კ ე ი ს რ ი ს მიერ ნაბოძვარი შესამოსელია მოხსენებული? თუ ს. კაკაბაძე ფიქრობს, რომ ეს რომანოზი მე-X საუკ. კეისარია და არა მე-XI, ეს, რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა. მაგრამ თუ საბუთის „მთავარ ნაწილს" მთლიანად ვერა (ისევე, როგორც მთელ საბუთს), ხომ არ შეიძლება ეს ქრონიკონი ს~მ ამ „ნაწილის" რომელიმე მომენტს შეეხებოდეს?

ძეგლის აწინდელი აგებულობის დაცვის პირობებში ეს შეუძლებელია. ქრონიკონი ს~მ ისეთ ადგილას არის, რომ ის შეიძლება შეეხებოდეს მთელ „მთავარ ნაწილს" მხოლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უნდა დავუშვათ აგრეთვე, რომ ეს ქრონიკონი თავის ადგილზე არაა და რომ ის ან ტექსტის სხვა ადგილიდან არის გადმოსმული (რაც ყველაზე ნაკლებ დასაჯერებელია), ან აშიიდან არის შემოტანილი გადამწერის მიერ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძნელია მთელ ამ „მთავარ ნაწილში" გამოძებნა ისეთი მომენტისა, რომლის დაკავშირებაც 1020 წელთან შესაძლებელი იყოს.

ამრიგად, არსებულ პირობებში 240 ქრონიკონი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ ძეგლის „მთავარ ნაწილს" მთლიანად და ამიტომ ეს თარიღი ყოვლად შეუწყნარებელია.

ერთად ერთი გამოსავალი ამ თარიღის გადასარჩენად არის მისი შესწორება ს~ით ქრონიკონად =(1029 წ.), ე. ი. აღიარება, რომ XII ს-ის პირის გადმომწერმა შეცდომა დაუშვა თარიღის რიცხვითს გადმოცემაში.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ძეგლის ტექსტის აწინდელი აგებულობის მიხედვით ეს ქრონიკონი სრულიად არ არის უადგილოდ მოთავსებული, მაშინ ზემოთ ნაჩვენები „ერთათ ერთი გამოსავალი ამ თარიღის გადასარჩენად" შეიძლება ერთადერთ მისაღებ მოსაზრებადაც ვაღიაროთ.

ამავე დროს, ვფიქრობთ, შეუძლებელია ეს ქრონიკონი მთელ ძეგლს ეხებოდეს. ასეთი დაშვებისას თარიღის შესასწორებლად ერთეულების აღმნიშვნელი ასოს დართვა ამ ქრონიკონს აღარ უშველიდა: ძეგლის დამამტკიცებელი ბ ა გ რ ა ტ კ ო ნ ა პ ა ლ ა ტ ი აქამდის ცნობილ წყაროთა დადებითი ცნობებით მხოლოდ 1031 წლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან უნდა ყოფილიყო კურაპალატის პატივის მატარებელი[37]. ხოლო თუ ათეულების აღმნიშვნელი მ-ანი ჲ-ედ შევცვალეთ[38] მივიღებთ ისეთ რიცხვს (=1040 წ.), როცა მელქისედეკი კარგა ხნის გარდაცვალებული თუ არა, დიდიხნით უწინარეს კათალიკოზობიდან გადამდგარი უნდა ყოფილიყო.

და, რაც მთავარია, ამ ქრონიკონის მთელი ძეგლის თარიღად აღიარების პირობებში მისი მოთავსების ადგილი ქართული დიპლომატიკისათვის ყოვლად უჩვეულო და ამდენადვე უმართებულო იქნებოდა.

ს. კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ჩვენი ძეგლი ორი ნაწილისაგან შესდგება[39]; ამათგან „მთავარი ნაწილი“ დაწერილია 1020 წელს, ხოლო მეორე „დაახლ. 1031 — 1040 წლებში“. ამავე დროს მკვლევარმა იცის, რომ „მთლიანად სიგელს ამტკიცებენ სხვა ბაგრატ კურაპალატი და კვირიკე კახთა მეფე“[40]. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ მკვლევარი დასვამდა და გადაჭრიდა ბუნებრივად წამოჭრილ კითხვას, თუ რას წარმოადგენს „მელქისედეკ კათალიკოზის მცხეთისადმი მიცემული სიგელი“? ორი ძეგლის მექანიკური შეერთებაა ის თუ ორგანულად მთლიანი ძეგლია?

ჩვენი აზრით, ეს ძეგლი, თუმცა ორი ნაწილისაგან შემდგარი, ერთი ორგანული მთლიანია. ის, როგორც ასეთი, დაწერილია ერთდროულად და წარმოადგენს მელქისედეკის ანდერძს[41],

37 ქ'ცას საამისო ცნობას ეთანხმება და ავსებს დ. ბაქრაძის მიერ ზეგანში (სვანეთში) ნაპოვნი ერთი წიგნის ანდერძი:... დაიწერა სვეტსა ზედა ჭყონდიდისასა, ადიდენ ღმერთმან, მეფობასა ბაგრატ კურაპალატისასა ინდიკტიუნსა ს: ნ: ა: ჭელითა იუვანე მესვეტისათა. იხ. Д. Бакрадзе, Статьи по истории и древностям Грузии. Прилож. IV т. З. И. А. Н. № 1, გვ. 112.

38 მ-ანის ნ-არად შეცვლა საქმეს არ უშველიდა. ამ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა ერთეულთა აღმნიშვნელი ასოს დართვაც, რადგან ბაგრატის „კუროპალატობა“ 1030 წელს ისევე საეჭვოა, როგორც 1029 წელ[1].

39 ს. კაკაბაძე აქ მ. ბროსეს აზრს იმეორებს: იხ. H. de la G. p. 316.

40 აქ კაკაბაძე განსხვავდება ბროსესაგან. უკანასკნელი ფიქრობდა, რომ ამ ძეგლში მეფეთა დამტკიცებანი კათალიკოზის მიერ თავისი სულისათვის განწესებულს შეეხება მხოლოდ და არა „პირველ ნაწილში“ ჩამოთვლილ მის საქმიანობას. იხ. იქვე.

41 ამ მხრით ფრიად საყურადღებოა მელქისედეკის გამოთქმა: „ესე **სიცოცხლესა** ჩემსა განვაგე“ სტრ. 99. ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვა სრულიად უაზრო და უადგილოა მისი აწინდელი შინაარსით გაგებული, ხოლო სრულიად ბუნებრივი და აუცილებელია ის ამ ძეგლის ანდერძად გაგების პირობებში. ანდერძის დადებისას მოანდერძის „სიცოცხლე“ ე. ი. არავადმყოფობა (ცოცხალი=ტანმრთელი) აუცილებლად უნდა აღნიშნული ყოფილიყო, რათა მის ნაანდერძევს კანონიერი ძალა ჰქონდა.

სადაც მოანდერძე მოგვითხრობს აგრეთვე მცხეთის საკ. საყდრის სასარგებლოდ მის მიერ გაწეულ მთელ საქმიანობას.

რომ ეს ძეგლი ერთდროულად არის დაწერილი და ერთს დედააზრზედ აგებული, ამას ისიც მოწმობს აგრეთვე, რომ ძეგლის „მეორე“ ნაწილში მელქისედეკი ამბობს: ვინც „ნაქმარი და განწესებული... რომელ ზემოჲთგან ქუემომდენ დაგჳწერია... აქციოს... ანუ აღაპი ჩემი და ძ მ ა თ ა · ჩ ე მ თ ა ჲ შეცვალოს, ჰრისხავსმცა“ და სხვ. (იხ. ტექსტი, სტრ. 124—25). ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ მელქისედეკს „ძმათა მისთა აღაპი“ ძეგლის „მეორე ნაწილში“ კი არ განუწესებია არამედ „პირველში“. (სტრ. 62 — 64).

ძეგლის ამ ორგანიულ მთლიანობაზე, მის ერთდროულად დაწერილობაზე მიგვითითებს აგრეთვე შემდეგიც: „პირველი ნაწილის“ ბოლოს მელქისედეკი მიჰმართავს მის შემდგომ მყოფად კათალიკოზთ: ვინც „იხილნეთ ნ ა ქ მ ა რ ნ ი ჩემნი წმიდასა ლოცვასა თქვენსა მომიჴსენეთ“-ო და სხვ. (სტრ. 85). „იქვე მეორე ნაწილის“ დაწყებისას მთელი „პირველი ნაწილის“ შესახებ ის ამბობს: „და ამათ ყოველთა ნ ა ქ მ ა რ თ ა ჩ ე მ თ ა შემდგომად“ (სტრ. 87) ჩემი სულის საქმე განვაგეო და სხვა. აშკარაა: მთელი ძეგლი ერთდროულად იწერება და „პირველ ნაწილს“ მელქისედეკი ნ ა ქ მ ა რ ს უწოდებს.

ხოლო მას შემდეგ რაც ძეგლის „მეორე ნაწილში“ მოგვითხრო, თუ რა და რა განაწესა თავისი სულის სალოცავად და სთქვა: „ესე სიცოცხლესა ჩემსა განვაგე-ო (სტრ. 99),—ამის შემდეგ ის არც ერთხელ მის მიერ შექმნილ საბუთს ერთი ტერმინით არ იხსენიებს: „ვინცავინ... ჰნახნეთ ნ ა ქ მ ა რ ნ ი ესე ჩემნი გ ა ნ გ ე ბ უ ლ ი და გ ა ნ წ ე ს ე ბ უ ლ ი“, „ნ ა ქ მ ა რ ი და გ ა ნ წ ე ს ე ბ უ ლ ი“, „დ ა წ ე რ ი ლ ი დ ა გ ა ნ გ ე ბ უ ლ ი“, „დ ა წ ე რ ი ლ ი და გ ა ნ გ ე ბ უ ლ ი“ (სტრ., 117, 121, 134, 137). ყველა აქედან, ვფიქრობთ მართებულია დავასკვნათ, რომ ძეგლის „პირველი ნაწილი“ აქ იგულისხმება „ნაქმარ“-სა და „დაწერილი“-ს ქვეშ, ხოლო მეორე ნაწილი „განგებული“-სა და „განწესებული“-ს ქვეშ.

ასევე ესმოდათ ეს ძეგლის დამამტკიცებელთაც. ბაგრატით: მელქისედეკს „დ ა უ წ ე რ ი ა და საქმე სულისა მისისაჲ გ ა უ გ ი ა“ (სტრ. 139 — 140), კვირიკე მეფით: კათალიკოზს „სულისა მათისათვის გ ა უ გ ი ა და დ ა უ წ ე რ ი ა“ (სტრ. 143); ამის მომდევნო დამტკიცებაში: მელქისედეკს „დ ა უ წ ე რ ი ა და გ ა უ გ ი ა...“ (სტრ. 149). იბადება კითხვა: თუ ძეგლი მთლიანია და

ერთდროულად დაწერილი, მაშინ რაღა აზრი ჰქონდა შუაში თარიღს, რომელიც მთელ ძეგლს არ შეიძლება შეეხებოდეს?

ამ კითხვას მხარს უჭერს თითქო ძეგლის აგებულებაც: იქ, სადაც ეს ქრონიკონია, ძეგლი თითქო სრულდება (კ~ზის მიმართვა მის მემკვიდრე მყოფად ხელისუფალთადმი) და შემდეგ ახალი რამ იწყება (სტრ. 83—86 და შდ.).

უეჭველია, ეს ძეგლი მისი აწინდელი სახით გარეგნულად მართლაც ორი საბუთის შეერთების კვალს ატარებს. მაგრამ ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ მისი შინაგანი მთლიანობა სადაო არ არის.

ამიტომ ჩვენი პასუხი ზემო კითხვაზე შეიძლება იყოს: მელქისედეკის ამ ანდერძის წარმოშობამდის არსებობდა მისივე „დაწერილი“ მცხეთის საყდრისადმი, სადაც მოთხრობილი იყო მთელი მისი საეკლესიო-სამეურნეო საქმიანობა. ასეთი რამ შედგენილი იყო 1029 წელს. ამის შემდეგ მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ი იკეთებს ეკვდერს, გაიჩენს სამარადისო მწირველს, რომელსაც უზრუნველჰყოფს საშვილიშვილო გასარომელით“ და წერს ანდერძს, რომელშიაც ბუნებრივად შედის მოთხრობა მთელი მისი სამეურნეო-საეკლესიო საქმიანობის შესახებ, ე. ი. მისი პირველი „დაწერილიც“, მაგრამ შედის არა მექანიკურად და სრულიად უცვლელად, არამედ შეცვლილი, თუმცა არც ისე საფუძვლიანად, რომ მისი კვალი ვერ შევამჩნიოთ. ასეთია, ვფიქრობთ, საბუთის დასაწყისში მელქისედეკის განცხადება: „ესე დ ა წ ე რ ი ლ ი მ ო ვ ა ჯ ს ე ნ ე და შ ე ვ ს წ ი რ ე“ სვეტიცხოველსო. როგორც სახელი „დაწერილი“ ისე „მოჯსენება და შეწირვა“ საუცხოოდ შეეფერება და გამოხატავს ყველა იმას, რაც „პირველ ნაწილშია“ „ნახმარი“ და არა იმას, რაც მის „მეორე ნაწილშია“ „განგებული“ და „განწესებული“. ასეთივე ნაკვალევია მელქისედეკის მიმართვა „პირველი ნაწილის“ ბოლოს მის შემდგომ მყოფად კ~ზთადმი და ქრონიკონი: ს~მ: ორივე ეს აწინდელი ძეგლის მთლიანობის თვალსაზრისით ზედმეტია. ამ მიმართვით და ქრონიკონით სრულდებოდა, უნდა ვიფიქროთ, მელქისედეკის მცხეთისადმი „დაწერილი“.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს: ძეგლის „მეორე ნაწილის“ დაწერილობის თარიღი არის მთელი ძეგლის თარიღიც; ეს „მეორე ნაწილი“ ცალკე არასდროს არ დაწერილა.

როდის არის ეს ძეგლი შესრულებული?

ს. კაკაბაძის „არა უადრესი“ (terminus ante), მართებული და მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღები ჩანს: ბაგრატ IV-ის მიერ კურაპალატობის პატივის მიღების უწინარეს შეუძლებელია ძეგლი დაემტკიცებიოს „ბ ა გ რ ა ტ აფხაზთა მეფესა და კურაპალატსა“. ამ პატივის მიღება კი მოხდა „წელსა მესამესა“ რ ო მ ა ნ ო ზ კეისრის გამეფების შემდეგ (ქ~ცა 256 *482 და 361 *592. შდრ. ს. კაკაბაძე; საისტ. კრებული IV, loc. cit), ე. ი. 1031 წელს. ამასვე ადასტურებს ზემოთ ჩვენ მიერ მოყვანილი 1031 წელს გადაწერილი ხელნაწერის ანდერძი, სადაც ბ ა გ რ ა ტ ი უკვე კურაპალატად იხსენიება.

ს. კაკაბაძის „არა უგვიანესის“ (terminus post) შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი ძეგლის დამამტკიცებელი კ ვ ი რ ი კ ე მეფის ვინაობის ძიებასთან დაკავშირებით. ამ „კვირიკე მეფის“ გაგიკთან გაიგივების შემდეგ კვირიკე „რანთა და კახთა მეფის“ გარდაცვალების ს. კაკაბაძისეული თარიღი — 1040 წ. (დამოუკიდებლად იმისაგან, რომ ეს თარიღი მიუღებელი ჩანს აგრეთვე, როგორც კვირიკე „დიდის“ გარდაცვალების წელიწადი), ვითარცა „არა უგვიანეს“-ი ჩვენი ძეგლისა, მიუღებელია.

რომ 1030 წელს მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ი ჯერ კიდევ კათალიკოზობდა, ეს უდავოდ ჩანს გ რ ი გ ო ლ ღვთისმეტყველის ქმნილებათა დ ა ვ ი თ ტ ბ ე ლ ი ძ ი ს ე ულ თარგმანის გადამწერის ანდერძიდან[42]. 1033 წელს კი ქართლის კათალიკოზად ი ო ა ნ ე იხსენიება (Матер. по Арх.Кавк. вып. X. Приложение გვ. 10—11 მესტიის სახარების ანდერძი). საფიქრებელი იყო, რომ ეს ცნობა, რომელიც ერთხელ უკვე შეიწყნარა ს. კაკაბაძემ[43], აიძულებდა მკვლევარს ანგარიში გაეწია მისთვის „მელქისედეკ კ~ზის სიგელი“-ს დათარიღების დროსაც, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ის ამას არ სჩადის[44].

---

42 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, Опис. рукоп. церк. музея I, 1—2 და მისივე ქრონიკები., I, 169. „ქრონიკებში“ აღნიშნული, ჩვენი აზრით, სამართლიანი, დაკვირვება ამ ანდერძში მოხსენებულ წელთა სათვალავების სხვადასხვაობის შესახებ თ. ჟორდანიამ თავის Описание-ში არ გაიმეორა და ფაქტიურად უარყო. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე უპირატესობას აძლევს Описание- -ში მიღებულ ჟორდანიასეულ თარიღს.

43 იხ. საისტ. კრებული I, 1928, სადაც მკვლევარი სარგებლობს ამ ცნობით „X—XI ს-ნის ქართლის კათალიკოზთა სიის“ დადგენის დროს. გვ. 101.

44 ხომ არ ფიქრობს ს. კაკაბაძე, რომ „სიგელის მეორე ნაწილი“ შეიძლება შესრულებული იყოს მელქისედეკის კათალიკოზობიდან გადამდგარობის ჟამს? მაგრამ ასეთი მოსაზრების კატეგორიულად საწინააღმდეგო მოწმობას იძლევა თვით ტექსტი: მელქისედეკი, როგორც მ ო ქ მ ე დ ი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი მიმართავს მის შემდეგ მყოფად მესაჭეებს მცხეთის საყდრისა: „აწ წმიდანო მღვდელთ-

ჩვენი ძეგლის დაწერის დროს მელქისედეკ, უეჭველია, მოქმედი კათალიკოზია და არა კათალიკოზობიდან გადამდგარი (იხ. ზემო შენიშვნა). ამიტომ, რადგან 1033 წელს ქართლის კათალიკოზი არის იოანე, ამ ძეგლის „არა უგვიანესი“-ც აღნიშნული წელი უნდა იყოს.

საბოლოო დასკვნით: მელქისედეკ კ~ზის ესანდერძი შესრულებულია 1031 — 1033 წლებში, ხოლო ამ ძეგლში შეტანილი „დაწერილი“ მისი პირვანდელი სახით მელქისედეკს ჯერ კიდევ 1029 წელს დაუწერია.

ძეგლის დათარიღებით[45] ჩვენი ამოცანა არ შესრულებულა. გარდა იმისა, რომ ტექსტი ისეთ მომენტებს შეიცავს, რომელთა გაშუქება ზედმეტი არაა, ის აქა-იქ ნაკლულევანიცა და დამახინჯებულიც გვეჩვენება. ამათი აღნიშვნა-დადგენა მაინც (თუ აღდგენა ვერა) გამოცემის პირდაპირი დანიშნულებაა.

ს. კაკაბაძემ სამართლიანად აღნიშნა, რომ მცხეთის მამულებისადმი შეუვალობის მიმნიჭებელი ბაგრატ კურაპალატი, რომელსაც მელქისედეკი თავის „აღმზრდელს“ უწოდებს, არის ბაგრატ III (საისტ. კრებ. IV, I. c.). იმის შესახებ, თუ როდის უნდა მიენიჭებინა ამ მეფეს ხსენებული შეუვალობა, შეიძლებოდა ერთი მოსაზრების წამოყენება. მელქისედეკი ამბობს: „რომელნი სოფელნი ძველად ჰქონდეს ამას წმიდასა დედაქალაქსა, შესავალნი იყუნეს და მე მოვაჯსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამიჯადნეს“ (სტრ. 76 — 78). შემდეგ კათალიკოზი მოგვითხრობს, თუ როგორ „ამოუგდო“ ალი ამირამ „რომელი ქალაქისა გასავალი იყო წმიდისა ამის დედაქალაქისაგან“ (სტრ. 79—80). ბუნებრივია კითხვა: განა ჰერეთ-კახეთში მცხეთის საკ~ზო ეკლესიას მამულები არა ჰქონდა? უეჭველია ჰქონდა. უეჭველია, რომ ეს სოფლებიც „შესავალნი“ იყვნენ. მაშ რატომ არ „მოაჯსენა“ მელქისედეკ კ~ზმა „რანთა და კახთა მეფეს“ და თუ „მოაჯსენა“ რად

მოძღვართა მთავარნო რომელნი შემდგომად ჩუენსა (ხაზი ჩვენია) და შემდგომითი შემდგომად ღირს იქმნეთ წინამძღუარად წმიდასა ამას კათოლიკე ეკლესიასა“ და სხვა.

45 ამ თარიღების შეწყნარების შემდეგ სავალდებულოა ორი სხვა ქრონოლოგიური დასკვნაც: კვირიკე რანთა და კახთა მეფე უნდა მოკლულიყოს უწინარეს 1033 წლისა; და მელიქსედეკის კ''ზობის დასასრულის terminus post-იც იგივე 1033 წელია.

არ იხსენიებს? აკი ბ ა გ რ ა ტ ი ს გვერდით ალი ამირა არ დაივიწყა? პასუხი შეიძლება იყოს: ყველაფერი ეს ხდება იმ დროს, როცა ბაგრატ III-ეს ხელი მიუწვდება როგორც ქართლზე, ისე ჰერეთ-კახეთზე, ე. ი. მის შემდეგ, რაც მან „დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი, წარმოიყვანა კ ვ ი რ ი კ ე, დაიმჭირა თჳსსა კარსა ზედა“ (ქ. ცხ. 243* 470). უკანასკნელ ამბავს ადგილი ჰქონდა, როგორც აღვნიშნეთ, 1011 წელს. ეი ამ წლიდან ვიდრე 1014 წლამდის, უნდა ვიფიქროთ, შეუვალობა მიანიჭა ბაგრატ მეფემ მცხეთის მამულებს, როგორც მესხეთსა და ქართლში, ისე ჰერეთ-კახეთშიც. ამავე ხანებში „ამოუგდო“ ალი ამირამ რაც „ქალაქისა გასავალი იყო წმიდისა ამის დედაქალაქისაგან“.

ამ მოსაზრების გაზიარებით დასტურდება აგრეთვე მელქისედეკის კათალიკოზად კურთხევის საერთოდ მიღებული თარიღი— 1010 წელი.

ძეგლის დამამტკიცებელთა ვინაობის შესახებ ნაწილობრივ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ბაგრატ კურაპალატისა (=მეფე ბაგრატ IV, 1027—1072) და კვირიკე მეფის (=გაგიკ, ძე სომეხთა მეფისა დავითისი) გარდა ძეგლს ამტკიცებს ორი კათალიკოზი.

ერთი ამათგანის ვინაობა სადაო არ არის. ის არის ქართლის კათალიკოზი ო ქ რ ო პ ი რ ი[46], რომელიც კარგად არის ცნობილი სხვა წყაროებიდანაც[47]. ის ჩანს 1045 და 1048 წლებში.

ძეგლის დამამტკიცებელი მეორე კათალიკოზი თავის თავს სახელით არ იხსენიებს, მელქისედეკს კი ის თავის „გამზრდელსა“, „შემოქმედს“ და „მამას“ უწოდებს. საინტერესოა. რომ ოქროპირიც თავის „მამად“ იხსენიებს მელქისედეკს. მ. ბროსე და ს. კაკა-

---

46 როგორც დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ს, ისე თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს ა ც შეცდომა მოსდით ოქროპირის წოდებულობის წაკითხვაში. ხელნაწერში მოცემული: ქ˜ეს: მ˜რ: კ˜ზისა ოქროპირსა“, სტრ. 157, მათ გაუხსნიათ: „ქრისტეს მიერ კათალიკოზსა ოქროპირსა“ და „ქართლისა“-ს აღმნიშვნელი :ქ:-ანი კი უგულებელუყვიათ: თ. ჟორდანიას გამოცემას დაემყარა აკ. ნიკ. მარი და „ოქროპირ კათალიკოზი“ აფხაზეთის „ადგილობრივ კათალიკოზად“ აღიარა (იხ. *Церк. ведемости* № 3 გვ. 137. 1907.).

47 Д. Б а к р а д з е, Сванетия, 93—94 ლაშთხვერის სახარების ანდერძი *Сборник мат. для опис. мест. и племен Кавказа* XLIII. ლაშთხვერის სახარების ანდერძის მიხედვით 1048 (თუ 1046?) წელს ოქროპირი თუ უკვე გარდაცვლილი არა, მოდღეევნებული მაინც არის: ამ დროს სტეფანე ხუცესი პალავრელი (ქართლიდან) „დააწესეს“ „მწირველად ქართლისა კათალიკოზისა ოქროპირისა“.

ბაძე ამ უსახელო მღვდელმთავარს ი ო ა ნ ე კათალიკოზად ჰგულისხმობენ. ბროსე არ ასახელებს წყაროს, რაზედაც ეს თავისი მოსაზრება დაამყარა (H. de la G, I, 312, п. 1). ს. კაკაბაძე ჩვენი ტექსტის ჟორდანიასეულ შემცდარ წაკითხვას ემყარება, მისი ასეთივე შემცდარი შენიშვნით სარგებლობს და ამ, ასე ვთქვათ, მისთვის ფუძემდებელ ცნობებზე მითითების შემდგომ ერთს დადებითი ხასიათის ცნობასაც იშველიებს — მესტიის სახარების ანდერძს —, სადაც ი ო ა ნ ე, ქ. კათალიკოზი მართლაც იხსენიება 1033 წელს (საისტ. კრ. IV, 101).

როგორც წინამდებარე ტექსტიდან დაინახავს მკითხველი, იქ იოანე კათალიკოზის ხსენება არ არის და ამ „რეცა სახელით კათალიკოზი“-ს მესტიის სახარების ანდერძში მოხსენებულ იოანე ქართლის კათალიკოზთან გაიგივებას იმდენი „ჰო“ შეიძლება ახლდეს, რამდენიც „არა“.

პირველ ყოვლისა უეჭველია, რომ ეს უსახელო კ-ზის დამტკიცება სრული არ არის. მას კრულობითი ნაწილი აკლია და არაბუნებრივად წყდება. შემდეგ, საყურადღებოა, რომ დამამტკიცებელი თავის თავს არ ასახელებს.

ასევე დამაფიქრებელია, რომ ოქროპირი, რომელიც ამ „კ-ზი“-ს შემდეგ ამტკიცებს მელქისედეკის „დაწერილსა და განგებულს“, არც ამ დამტკიცებასა და არც მის ავტორს არ იხსენიებს, მაშინ როცა მას არ ავიწყდება ყველა სხვა დამტკიცებათა მოხსენიება. იბადება ეჭვი ხომ არ შეიძლება ეს ნაკლული დამტკიცება ოქროპირ კ-ზის დამტკიცების ნაწილად (=დასაწყისად) მივიღოთ? მაგრამ ასეთ შესაძლებლობას ამ დამტკიცებების აგებულობათა მთლიანობა გამორიცხავს: მათი შეერთებით ჩვენ ყოვლად შეუწყნარებელ განმეორებებს მივიღებდით.

ამიტომ იძულებული ვართ ვაღიაროთ: ეს დამტკიცება დამოუკიდებელია და ის მაშინაც იყო, როცა ოქროპირი ამ საბუთს ამტკიცებდა (ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ, რომ ოქროპირმა ეს ძეგლი დაამტკიცა მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ი ს გარდაცვალების შემდეგ უკანასკნელის მწირველის, იოანეს თხოვნით).

თ. ჟორდანიამ სცადა ამ უსახელო კათალიკოზის სახელის ამოკითხვა უცნაურ გამოთქმაში „:ქ~ჰ (=ოქროპირ) (ქრონიკ. II; 35 შენ.**). შემდეგ ერთი სადაო ცნობის მოპოვების გამო ეს თავისი წაკითხვა უარყო და XVII-XVIII ს-ის პირის თანახმად ქ~ჰ — გამოთქმა „ქართლისა პატრიაქი“-დ შეიწყნარა (იქვე, 95,

შენ. 4). დ. ჩუბინაშვილმა როგორც უკვე მოვიხსენიეთ, „ქ~პ“ გამოთქმა „ქორონიკონი პ“-ად წაიკითხა. ორივე წაკითხვა „ოქროპირი“-ცა და „ქრონიკონი“-ც შემცდარია და მიუღებელი ჩანს, როგორც ფორმალურად, ისე ნივთიერადაც. მაგრამ არც XVII-XVIII ს. პირისეული წაკითხვა „ქ~პ“ გამოთქმისა „ქართლისა პატრიაქი“ ჩანს უეჭველი.

ძნელია ისეთ პირობებში მსჯელობა და მით უფრო რაიმე დასკვნათა მიღება, როცა თვით ტექსტის სისწორეში არა ვართ დარწმუნებული, ხოლო მისი შესწორების საშუალება კი არა ჩანს. ამიტომ ჩვენ მიერ ამ საკითხის გარშემო გამოთქმული მოსაზრებანი და შესაწყნარებლად წამოყენებული დასკვნანი მხოლოდ პირობითი შეიძლება იყვნენ.

მაგრამ ჯერ ი ო ა ნ ე კათალიკოზის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, იოანე ქართლისა კათალიკოზი მოხსენებულია 1033 წელს გადაწერილი მესტიის სახარების ანდერძში. რაც შეეხება თ. ჟორდანიას მიერ ნაჩვენებ სხვა წყაროებს: მე-XIII საუკუნის სიგლის მოწმობა (ქრონიკ. II, 95—96), კარბელაშვილის მიერ გადმოწერილი მინაწერი „სტოდიერისა“[48], შიომღვიმის XIII ს. გადაწერილ ხელნაწერში დაცული კათალიკოზთა სია[49], — ყველა ესენი სადაო ხასიათის მოწმობებია და თვით მოითხოვენ შესწავლა-დათარიღებას. მეორე დადებითი ხასიათის ცნობა იოანე ქართლის კ-ზის შესახებ XI- ს- ის პირველი ნახევრისა ფოკათა (ჯავახეთში) ეკლესიის წარწერაა:

I. სამხრეთის კარის ზემოდან საუცხოოდ მოჩუქურთმებული ჯვარის მარჯვნით ლამაზი მსხვილი ასომთავრულით:

ქ~ე ძ~ო || და სტ~ყო ღ|თ~სო ად~ ჲ || ოვ~ნე ო~ქრ || ოპრი ქართ-ლ||სა კ~თლკ||ი ორთავ||ე შ~ნა ცხრ|ებთა ა~ნ.

ე. ი. „ქრისტე ძეო და სიტყუაო ღმრთისაო. ადიდე ჲოვანე-ოქროპირი ქართლისა კათალიკოზი ორთავე შინა ცხოვრებათა. ამინ“.

II. ამავე ჯვარის მარცხნით წინაწარწერის გასწვრივ, ისეთივე ასოებით:

ქ~ე ად~დე ბ~გ||რატ კორპ~ლტი, ე.. ი. „ქრისტე ადიდე ბაგრატ კორპალატი“.

---

48 „ივერია“ 1889 წლისა № 30. პროფ. კ. კეკელიძე ამ იოანეს XII ს-ში ჰგულისხმობს მეფე დემეტრე დავითის ძის დროს.

49 ქრონიკები I, 80. ს. კაკაბაძის ანგარიშით ამ სიის არც ერთი პირი XI ს-ის პირველ ნახევარს არ ეკუთვნის (საისტ. კრებული, I, 102).

III. იქვე კარის მარცხნივ კედელზე, ცალკე:

[სახ]თა ღთა მე ბვ[რ]ელი ღრს ვიქმნ შებ[სა] წ҃ესა ამს ეკსა სიდ̾ძლი[დაიდ]ვა მე თნა დავშრ ჴ/ ე[ლსნ]ი ვყვ ოქრპირსა! ქ҃ზისა[50]

„სახელითა ღმრთისაჲთა მე ბევრელი ღირს ვიქმენ შენებისა წმიდაჲსა ამის ეკლესიისა საფუძველი დაიდვა მე თანა დავშუერ ჴელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა“.

ცხადია, ფოკათა ეკლესიას აგებს ქ. კ҃ზი იოანე-ოქროპირი ბაგრატ მეფის კურაპალატობის ჟამს, ე. ი. XI ს-ის პირველ ნახევარში, ან უფრო დაახლოებით, 1031—1053 წლებში.

ამავე წარწერებიდან ცხადია, რომ ოქროპირ კათალიკოზს ერქვა იოანეც ან უკეთ: იოანეს ერქვა ოქროპირი[51], და რომ ეს იოანე-ოქროპირი ზოგჯერ მხოლოდ ოქროპირად იხსენიებოდა.

ეხლა, თუ კი მხოლოდ „ნართაული სახელით“ შეიძლებოდა მოხსენიებულიყო ეს კ҃ზი, რატომ არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ იგივე იოანე-ოქროპირი ზოგჯერ მხოლოდ იოანედ წოდებულიყო?

ამგვარად, ჩვენი მოსაზრებაა: მელქისედეკის უშუალო მემკვიდრე მცხეთის საკ-ზო ტახტზედ იყო იოანე კ-ზი, რომელიც აგრეთვე ოქროპირადაც იწოდებოდა[52]. ის ჩანს 1033—1048 წლებში.

თუ ეს ასეა, მაშინ ვინღაა მელქისედეკის დაწერილ-განგებულის დამამტკიცებელი ეს უცნობი „რეცა კათალიკოზი“?

მაგრამ ჯერ ამ დამტკიცებაში მოყვანილი: ქ҃პ: — გამოთქმის შესახებ. რომ ეს არ შეიძლება იყოს „ქორონიკონი პ҃:, თუნდაც „ს“-ანის ჩართვით, = 1060 წ.—ეს ყოვლად უდავოა: მისი მომდევნო დამამტკიცებელი კ-ზი ოქროპირი ამ შემთხვევაში 1060 წლის შემდეგ უნდა გვეგულისხმა, რაც შეუძლებელია: 1058 წელს უკვე გიორგი

---

50 ფრჩხილებში მოთავსებული განგებ არის ამოთლილი; ასეთი ბოროტმოქმედების სამწუხარო მაგალითები ჩვენ სხვაგანაც გვხვდება ჯავახეთში.

მოყვანილი წარწერანი გადმოღებულია 1927 წელს საქ. საისტ. საეთნ. საზ-ბის დახმარებით ჯავახეთში მოწყობილ საარქეოლოგიო მოგზაურობის დროს, სადაც მონაწილეობდნენ ასპირანტები: ლ. მუსხელიშვილი, გ. გოზალიშვილი, გ. წერეთელი, ს. ჯიქია, ი. ცინცაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

51 ეს იცის ანტონ კათალიკოზმაც: „იოვანე ვჰსთქვა მამათმთავარ პირველ, ვინ ოქროპირი ინართაულსახელა“ — წყობილსიტყვაობიდან. მომყავს კარბელაშვილის ამონაწერით.

52 თ. ჟორდანია, თითქოს ეჭვობს ამასვე, თუმცა ნათლად არ ამბობს. მან იცის და აღნიშნავს, რომ „იოანე და ოქროპირი ერთი-და-იგივე სახელია“ (ქრონ. II, 95, შენ. 4).

კათალიკოზობს (თ. ჟორდანია, ისტ. საბ. შიომღვიმის მონ., 3-5). რომ არც „ოქროპირი“ შეიძლება დავინახოთ :ქ~პ: გამოთქმაში, არც ამას უნდა დიდი მტკიცება: ოქროპირი სწორედ ამის შემდეგ ამტკიცებს ძეგლს.

არც „ქართლისა პატრიაქი“ გვეჩვენება დამაკმაყოფილებელ წაკითხვად „ქ~პ“ გამოთქმისა. თავი რომ დავანებოთ წინადადების უხეირო და უჩვეულო წყობას („მეცა გლახაკსა უღირსსა რეცა სახელით კათალიკოზსა დამიმტკიცებია ქართლისა პატრიაქსა“), როგორსაც ასეთი წაკითხვისას მივიღებდით, საქმე ისაა, რომ ეს „რეცა სახელით კათალიკოზი, რომელსაც კადნიერებად მიაჩნია მისი „გამზრდელისა“ და „შემოქმედის“ მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ი ს „მამად“ წოდება, უკანასკნელს მხოლოდ კ-ზად მოიხსენიებს. ძნელი დასაშვებია, რომ მას იქვე თავისი თავისათვის „ქართლისა პატრიაქი“ ეწოდებინა, სადაც მელქისედეკს მარტივად „კ-ზს“ უწოდებს, ხოლო თავის თავს „კ-ზის“ სახელის ტარების ღირსადაც კი ვერ სთვლის. ასე რომ ხსენებული გამოთქმის გასაგებად, ჩვენი აზრით, სხვა გზაა საძიებელი.

ვფიქრობთ, ერთ-ერთ მოსაზრებად შეიძლებოდა წამოგვეყენებინა ამ ადგილის შემდეგი წაკითხვა: „მეცა გლახაკსა უღირსსა რეცა სახელით კათალიკოზსა დამიმტკიცებია. ქრისტემან პირ მტკიცეჲ ყავნ ბრძანებაჲ მათი და ვინმც აქცია ანუ შეცვალა ბრძანებაჲ მათი ქრისტეანეთაგანმან კაცმან...“ (სხვა აკლია). რა თქმა უნდა, სიძნელე არის წარმოდგენილ წაკითხვაშიაც (ასეთი პატივის უჩვეულობა, „მტკიცეჲ“-ს ნაცვლად „მტკიცე“-ს მოსალოდნელობა), მაგრამ ჩვენი წაკითხვის თანმხლები სიძნელენი ადვილად შეიძლება გადამწერის შეცდომას მიეწეროს, სამაგიეროდ ფორმალურ-ნივთიერი დაბრკოლებანი ამ წაკითხვის დროს მოხსნილია...

ეხლა, თუ კ-ზი ი ო ა ნ ე იგივე ო ქ რ ო პ ი რ ი ა და უკანასკნელი გარკვევით ჩანს მეორე დამტკიცებაში, ვინღაა ეს პირველი დამტკიცების სუბიექტი — „რეცა სახელით კ-ზი“?

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დავუშვათ, რომ ის „აფხაზეთის კ-ზია, რომელიც ძეგლის დაწერის თანამედროვეა და მელქისედეკის სიცოცხლეშივე ამტკიცებს მას. რაც შეეხება ოქროპირის დამტკიცებას, ის უნდა ვიფიქროთ, მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ი ს გარდაცვალების შემდეგ არის შესრულებული.

საკითხს, იმის შესახებ, თუ რა ხელი ჰქონდა აფხაზეთის ადგილობრივ კათალიკოზს მელქისედეკ ქართლის კ-ზ პატრიარქის საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანობასთან, — ამ საინტერესოს მაგრამ ჯერ შეუსწავლელ საკითხს ჩვენს შემთხვევაში ადვილად მოევლება: საშუალება გვაქვს მივუთითოთ ანალოგიურ ფაქტზე: XIII საუკუნის ერთს „დაწერილს“[53], რომლითაც მ ი ქ ა ე ლ ქართლისა კათალიკოზი სოფელ ორომაშენს უწყალობებს მცხეთის სახლის მსახურთუხუცესს ვ ა ჩ ე გ უ ა რ ა მ ი ს ძ ე ს მეფეთა და თვით მიქაელის დამტკიცებათა შემდგომ „დაწერილს“ ამტკიცებს „მრწემი სიწმიდითა მათისა [ე. ი. მიქაელ კათალიკოზისა] გლახაკი ა რ ს ე ნ“, რომელიც არის აფხაზეთის კათალიკოზი ა რ ს ე ნ ბ უ ლ მ ა ი ს ი მ ი ს ძ ე[54].

ამით შეგვეძლო ჩვენი მოჭარბებული საუბარი დაგვესრულებინა, რომ ერთი გარემოება არ გვაიძულებდეს ჩვენი ძეგლის ერთი არსებითი ხასიათის შესწორების შესაძლებლობაზე ჩამოვაგდოთ საუბარი.

ს. კაკაბაძემ თავის წერილში: „როდის არის აშენებული სვეტიცხოვლის ტაძარი“ (საისტორიო კრებული წ. I, 95-107) განაცხადა: „რომ 1020-1031 წლებში მცხოვრებ მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ კათალიკოზს არ ეკუთვნის სვეტიცხოვლის აშენება, ეს ცხადად სჩანს მის მიერ 1020 წელს მიცემულ სიგელიდანაც“ (იქვე, 103).

მართლაც და, სვეტიცხოვლის აშენებაზე მელქისედეკის დაწერილში არაფერია ნათქვამი. მაგრამ გვაძლევს თუ არა ეს გარემოება მსგავსი დასკვნის გამოყვანის უფლებას? ვფიქრობთ — არა.

ჩვენს ძეგლში არც ის არის ნათქვამი, თუ ვინ ააშენა სვეტიცხოველი და არც ის,— რომ ეს ტაძარი ჩვენი ძეგლის დამდებ მელქისედეკს არ აუშენებია. რომ ჩვენი ძეგლი პირმშო დედანი იყოს, ს. კაკაბაძის argumentum ad silentium'-იც მართებული იქნებოდა. მაგრამ სიძნელეც იმაშია, რომ ჩვენი ძეგლი პირია (და, შესაძლებელია, არც პირველი პირი) და, რაც მთავარია, ის ნაკლულევანია და, საერთოდ, საკმაოდ დამახინჯებული, ხოლო სწორედ ის ადგილი, სადაც მოსალოდნელი იყო ტაძრის შენებაზედ ლაპარაკი (თუ

---

53 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მე-XIII საუკ. პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოზები გვ. 5 — 7.

54 ამ არსენ ბულმაისიმის ძეს თ. ჟორდანია, ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე ქართლის კათალიკოზად ჰგონებენ. ყველა ამათი საბუთიანობის განხილვა აქ შორს წაგვიყვანდა. ამიტომ იძულებული ვართ, უხერხულობის მიუხედავად, მკითხველს მივუთითოთ ერთს ჩვენ გამოუქვეყნებელ ნაშრომზე: „ქართული სავაზიროს გენეზისის საკითხები“, სადაც სხვათა შორის განხილულია საკითხი არსენ ბულმაისიმის ძის ვინაობის შესახებ.

ასეთი რამ კი იყო), XII ს-ის პირს აკლია, და ხსენებულ ადგილს ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ XVII-XVIII ს-ის პირის მიხედვით, რომელსაც შეცდომა-დამახინჯების გზით კვლავ ახალი ნაბიჯები წარუდგამს წინ.

ამის გამო იმით დასაბუთება რისამე, თუ რა არ არის ასეთ ძეგლში, მცდარი ხერხია. აქ ტექსტი თვით მოითხოვს აღდგენა-დასაბუთებას. ამრიგად, ჩვენ იძულებული ვხდებით განვიხილოთ სვეტიცხოვლის აშენების საკითხი. მაგრამ არა მთლიანად.—ჩვენი მიზნისათვის საკმაოა ხსენებული საკითხის იმ ნაწილის განხილვა, რომელიც მელქისედეკ კ-ზის სახელთან არის დაკავშირებული.

ს. კაკაბაძეც დასახელებულ წერილში[55] სვეტიცხოვლის ამ პერიოდს ეხება.

ჩვენც ვისარგებლებთ პ-ლი მკვლევარის ნაკვლევით და მის ზოგიერთ დებულება-დასაბუთებათა კვალდაკვალ განხილვით შევეცდებით გამოვარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება ხსენებული საკითხისადმი, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი ძეგლის შესაფერისი ადგილი ასე თუ ისე დავადგინოთ.

სვეტიცხოვლის შენობის გეგმის შესახებ დ. გორდეევის დაკვირვებაზე[56] დაყრდნობით ს. კაკაბაძე, აღნიშნავს რა ვახტანგისეული „დიდი სიონის“ გადაკეთებას, იკვლევს დროსა და პირს, თუ ვის მიერ და როდის უნდა შესრულებულიყოს ტაძრის ეს „ხელახლავ“ აშენება.

მკვლევარს მოჰყავს ხსენებული ტაძრის ორი კედლის წარწერა[57] და დაასკვნის: „ამ წარწერებიდან ირკვევა, რომ მცხეთის ტაძ-

---

55 დროისა და ადგილის დაზოგვის მიზნით ჩვენ უყურადღებოდ ვსტოვებთ ხსენებული წერილის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება სვეტი-ცხოვლის აგებას მირიან მეფისა ან ვახტანგ გურგასალის დროს და დავკმაყოფილდებით ვახუშტის ცნობაზე მითითებით (გეოგრაფია, ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 86).

56 მოსაზრება, რომ სვეტი-ცხოვლის მელქისედეკისეულ შენობაში „არის... უფრო ძველი შენობის ნაწილებიც, რომლებიც შეიძლება გამოიყოს ანალიზის შემწეობით, მაგრამ ისინი მელქისედეკის ხუროთმოძღვარის მიერ მოქცეულნი არიან შენობის საერთო მწკრივში“, უკვე კარგა ხანია გამოთქმული იყო პროფ. გ. ჩუბინაშვილის მიერ, ასე რომ დ. გორდეევს არსებითად აქ ეკუთვნის ცდა მოყვანილი მოსაზრების შემოწმება-დამტკიცებისა (იხ. „არილი“ 110, შენ. 1).

57 ეს წარწერებია: 1) ად~ნ || ღ~ნ ქ~ეს მ~რ მ~ქი || ზედკ || ქკ~ზი ა~ნ || აღშ~ნა ესე წ~ჲ ეკ~ჲ || ჴლთა გლხაისა || მნ~სა მთ~ს || [ა] რსკ ძ~თა || ღ-ნ გსე სლსა. 2) ჴ-ლი მონისა არს~კსძ~ჲ შ-დთ. უკანასკნელი წარწერის წაკითხვა: „ჴელი მონისა არსა-

რის აღმაშენებელი არის მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ კათალიკოზი, ხუროთ-მოძღვარი კიდევ ა რ ს ა კ ი ს ძ ე“.

„ვინ არის ეხლა ეს მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ კათალიკოზი მცხეთის აღმაშენებელი“? —კითხულობს ს. კაკაბაძე და აკეთებს მცირე ექსკურსს X-XI ს-ნის ქართლის კათალიკოზთა სიის დასადგენად[58]. ასეთი ძიების შედეგად მკვლევარი იმ დასკვნამდის მიდის,

---

კის ძისაჲ შეუნდვეთ“—სადაო არაა. ესევე არ ითქმის პირველის შესახებ. ს. კაკაბაძე მას კითხულობს: „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამინ. **აღაშენა** (ხაზი ჩვენია) ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ ჴელითა გლახაკისა მონისა მათისა არსაკისძისაჲთა, ღმერთმან განუსვენე სულსა“. მკვლევარი აქვე შენიშნავს: წარწერაში სწორი ფორმა არ არის „ღმერთმან განუსვენე (უნდა იყოს „განუსვენოს“)... შეიძლება აქ იყოს დამწერლობითი ხასიათის შეცთომა“. აქ მართლაც შეცდომაა, მაგრამ უნდა იყოს არა „განუსვენოს“, არამედ, „განუსუენენ“ [=გ~სენ], ასე რომ წარწერაში მოცემულ გსე-ს მხოლოდ ბოლო კიდური ნ'არი აკლია. შემდეგ: გამოთქმა „აღ~შნა“ უნდა წაკითხულ იქმნეს „აღეშენა“ და არა „აღაშენა“. ამის საბუთია ის გარემოება, რომ ამ სიტყვით ახალი წინადადება იწყება და მის წინ წერტილია ნაგულისხმევი. ამ სიტყვის ასეთ თუ ისეთ წაკითხვას არსებითი ხასიათის კორექტივი შეუძლია შეიტანოს წარწერის გაგებაში. „აღაშენა“-ს პირობებში ტაძრის სხვა აღმშენებელი, ვარდა მელქისედეკ კ-ზისა ამორიცხულია. „აღაშენა“-ს პირობებში კი, მართალია, მელქისედეკის აღმშენებლობა გამორიცხული არ არის და უეჭველად იგულისხმება, რომ ეს კ-ზი მონაწილეობს მასში, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ტაძრის შენება მელქისედეკის კათალიკოზად დაჯდომამდის დაეწყოთ და მის დროს მხოლოდ დასრულდა ის.

58 სამწუხაროდ, აქ არ შეგვიძლია არსებითად განვიხილოთ ავტორის მიერ წარმოდგენილი სქემა, შევნიშნავთ ზოგადად, რომ ეს საკითხი უფრო საფუძვლიან შესწავლას მოითხოვდა, ვიდრე ეს პ-ლ მკვლევარს უკისრია. კერძოდ: — სრულიად გაუგებარია, თუ რატომ „არ შეიძლება“ „დასახელებულ სიაში მოხსენებული მელქისედეკი“ „იყოს 1020 და 1031 წლებში ცნობილი კათალიკოზი მელქისედეკი?“ ან კიდევ, რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ „ეს სია (ავტორს მხედველობაში აქვს შიომღვიმის XIII ს-ში გადაწერილ ტიპიკონში მოყვანილი სია ქ. კ-ზთა) შეიძლება წარმოგვიდგენდეს სახელებს შემდეგ მხოლოდ 1072-1073 წლებში მოხსენებულ გაბრიელ კათალიკოზისა“??

რატომ უნდა დაეწყო ხსენებული ტიპიკონის გადამწერს კათალიკოზთა სია 1075 წლიდან, მაშინ როცა მეფეთა და დედოფალთა სიას X ს-ნის დამლევით იწყებდა? განა უფრო ბუნებრივი არაა ვიფიქროთ, რომ კათალიკოზთა სია სჯნქრონულად სწორედ ბაგრატ III-ის დროიდან იწყება?...

სად ჰგულისხმობს ავტორი იაკობის ჟამის წირვაში მოხსენებულ სვიმეონ ქ. კ-ზს? რატომ ათავსებს საქიროს იოანე კათალიკოზს 1115 წელს, მაშინ როცა ჯერ კიდევ 1123 წელს ის მცხეთის საეკლესიო საყდრის საჭეთმპყრობელია, განა, როცა „თარიღები ნაჩვენებია მხოლოდ დაახლოებით“, სავალდებულო არ არის დადებით ცნობას გაეწიოს ანგარიში??.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ აღნიშნული საუკუნეების სიგრძეზე სამ კათალიკოზს ჰპოულობს მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ი ს სახელით.

ერთი მათგანი, მისი აზრით, ჩანს 1093-1102 წ., მეორე—1020-1031 წ., ხოლო მესამე... არის ის, რომელიც სვეტიცხოვლის კედლის წარწერაში მოიხსენიება...

ს. კაკაბაძის საამისო საბუთებია: ...„XI ს-ნის დიდ ეკლესიათა აღმშენებლობის შესახებ ცნობები მატიანეში საკმაოდ არის დაცული. ბ ა გ რ ა ტ III-ის შესახებ, მაგ., ნათქვამია, რომ მან „აღაშენა საყდარი ბედიისა“, მანვე „აკურთხა ეკლესია ქუთათისა“. ბ ა გ რ ა ტ IV-ის დროს (1027 — 1072 წ.) საზოგადოდ ეკლესიანი „ვერ იკითხვებოდეს“, ხოლო დავით აღმ-ბლის დროს გელათის აშენებას მისი მემატიანე საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს. რომ დავით აღმაშენებლის დროს ადგილი ჰქონოდა სვეტიცხოვლის აშენებას, ამას მემატიანე უსათუოდ აღნიშნავდა. აგრეთვე აუცილებლივ იქნებოდა ეს ფაქტი მატიანეში აღნიშნული, რომ მას ადგილი ჰქონოდა ბ ა გ რ ა ტ III-ის და მისი შვილის გ ი ო რ გ ი II დროს (როგორც ამას ვხედავთ ბედიის და ქუთაისის ტაძრების შესახებ). და რომ 1020-1031 წლებში მცხოვრებ მელქისედეკ კათალიკოზს არ ეკუთვნის სვეტიცხოვლის აშენება, ეს ცხადად ჩანს მის მიერ 1020 წელს მიცემული სიგლიდანაც“ (საისტ. კრებ. I, 101).

ვფიქრობთ, აქაც მცდარ ხერხს მიმართავს ავტორი. ქ-ცას ცნობების დამოწმება (რა თქმა უნდა, სათანადო გაცხრილვა-შეჯერებით) ყოველთვის შეიძლება, მაგრამ მისი დუმილის დამოწმება— მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ასეთ შემთხვევაში მკვლევარმა ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ ესა თუ ის მემატიანე განსაზღვრული ცნობის მოყვანას გვერდს ვერ აუქცევდა და მეორეც: რომ ჩვენ ხელთ არსებული ტექსტი უნაკლულოა. ასეთ შრომას კი პ-ლი ავტორი თავის თავზე არ იღებს.

მაგალითად: ჩვენ ვიცით, რომ დავით აღმაშენებელმა შიო მღვიმის დიდი ეკლესია ააგო. რას გვეტყვის მკვლევარი: რატომ არ იხსენიებს ამას „მისი მემატიანე“? და როცა უშუალოდ დავითის მიერ ეკლესიის აღმშენებლობას არ იხსენიებს, რა უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ის „უსათუოდ აღნიშნავდა“ სვეტიცხოვლის აშენებას, რომელიც კათალიკოზის (და არა მეფის) მიერ სწარმოებდა?[59].

---

59 მიუხედავად ამისა ჩვენ სრულიად ვეთანხმებით მკვლევარს, რომ სვეტი-

ავტორს რომ თავისი ეს მოსაზრება ლოგიკურის თანმიმდევრობით ბოლომდის გამოეყენებინა და რაღაც უცნაური მიზეზის გამო XI საუკუნით არ შემოფარგლულიყო, ის ვალდებული იქნებოდა აღმოეჩინა: „რომ სვეტი-ცხოვლის აშენებას ადგილი ჰქონოდა X ს-ში, ეს ფაქტი აუცილებლივ იქნებოდა მატიანეში აღნიშნული“.

მართლაცდა, „მატიანეჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი, აღნიშნავს რა ქუთაისისა და ბედიის ეკლესიათა მშენებლობას (ამას ს. კაკაბაძე XI საუკუნისად სთვლის), სრულიად არ ივიწყებს ჭყონდიდის აშენებას (ქ. ცხ. 229, *452) გიორგი აფხაზთა მეფის დროს X ს-ის პირველ ნახევარში და მოქვის აშენებას (იქვე, 233 *457) ლეონ აფხაზთა მეფის მიერ X ს-ის მეორე ნახევარში. და თუ ჭყონდიდის აშენება კი აღნიშნა მემატიანემ, ს. კაკაბაძის თვალსაზრისზედ რომ დავდგეთ, განა მცხეთის სვეტიცხოვლის შენებას არ აღნიშნავდა, რომ ამას ადგილი ჰქონოდა X საუკუნის პირველ ნახევარში? მაშ როგორღა ამტკიცებს ავტორი, რომ სვეტიცხოვლის აშენება X ს-ის პირველ ნახევარში მოხდაო (იხ. ქვემოთ)? ან კიდევ, როცა „მატიანეჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი ლეონ აფხაზთა მეფის მიერ მოქვის ეკლესიის აგებას გვამცნობს, რატომ არ აღნიშნავს ის ამავე მეფის დროს 964 წელს აგებულ კუმურდოს შესანიშნავ ტაძარს?

საქმე ისაა, რომ ესა თუ ის „მემატიანე“ სრულიადაც არ სთვლიდა თავის თავს ვალდებულად ყველა, დღეს ჩვენთვის საინტერესო მოვლენა აღენიშნა. თითოეული მათგანი განსაზღვრული მიზნით სწერდა და სწორედ ეს მიზანი სწყვეტდა ამა თუ იმ ფაქტის მოხსენება-მოუხსენებლობის საკითხს. მკვლევარის ასეთი მარცხის სათავე, როგორც ვხედავთ, მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომაშია ჩამარხული.

რაც შეეხება მკვლევარის მიერ მემატიანის დამოწმებას, რომ ბ ა გ რ ა ტ IV-ის დროს ეკლესიანი „ვერ იკითხვებოდეს“, აქ ვფიქრობთ, გაუგებრობაა. რის თქმა სურს ს. კაკაბაძეს: ნუ თუ მისი აზრით ეს გამოთქმა იმას ნიშნავს, რომ ბაგრატ IV-ის დროს საქართველოში ეკლესიათა მშენებლობა მცირე იყო? ასეთი ზედაპირული და წინდაწინ მარცხად განწირული მოსაზრება გვეძნელება მივაწეროთ მას...

ცხოვლის „აშენება“-ს დავით აღმაშენებლის დროს არა ჰქონია ადგილი, მაგრამ საამისო ჩვენი საბუთები, რა თქმა უნდა, სულ სხვაა.

მაშ, რა მოსატანი იყო ხსენებული მოწმობა?...

მელქისედეკის ანდერძის (აწინდელი მისი სახით) დუმილის დამოწმების მეთოდოლოგიური მცდარობა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ.

ამგვარად, ს. კაკაბაძის ეს ზოგადი მოსაზრებები XI საუკუნეში სვეტი-ცხოვლის აშენების შეუძლებლობის შესახებ უარსაყოფია.

განხილული მოსაზრებებით წელმომაგრებული ს. კაკაბაძე ცდილობს კიდევ უფრო ცხადყოს ის, რაც, მისი აზრით „ცხადად ჩანს მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ კ-ზის მიერ 1020 წელს მიცემულ სიგლიდანაც". ამ მიზნით ავტორი განიხილავს ხსენებული ძეგლის სათანადო ცნობებს.

მკვლევარი აკვირდება მელქისედეკის ანდერძში დაცულ ცნობებს აღმშენებლობის შესახებ და დაასკვნის: „ამგვარად მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ კათალიკოზს XI ს-ის პირველ მეოთხედში მცხეთაში აუშენებია მხოლოდ „გარეთი ბჭე" და შესაძლებელია მასვე ეკუთვნოდეს სვეტიცხოვლის სახურავის შეკეთება" (საისტ. კრებ. I, 104).

ვერ გაგვიგია, რად არის მკვლევარისათვის საეჭვო, რომ როგორც „სტოითა მოქმნა" ისე „ზედა დაბურვა" სწორედ სვეტიცხოველს შეეხება და არა „გარეთი ბჭე"-ს. „კონტექსტიდან" მხოლოდ ასე ჩანს და სხვა გვარად გაგება არც შეიძლება. ამისდა მიხედვით ზემომოყვანილი დასკვნაც სათანადოდ უნდა შესწორდეს: მელქისედეკს მიეკუთვნება: 1) სვეტი-ცხოვლის დაბურვა (და არა „სახურავის შეკეთება"), მისი „სტოითა მოქმნა" და „გარეთი ბჭის" აგება[60].

ეხლა, მას შემდეგ რაც მელქისედეკის დაწერილის დუმილი ტაძრის აშენების შესახებ მკვლევარმა ამ კათალიკოზის მიერ სვეტიცხოვლის აშენების უარსაყოფად დაიმოწმა, ამავე მიზნით ის ეხება გარეთი ბჭის ცნობილ წარწერას.

თავის დროზე თ. ჟორდანია ამ წარწერაში სწორედ იმის ცნობას ჰხედავდა, რომ ამ ბჭის აღმაშენებელი მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ კ-ზი თვით სვეტიცხოვლის ტაძრის მაშენებელიც არის (ქრონ. I. 176).

აწინდელი სახით ეს წარწერა ასეთია:

ქᲔ ᲐᲓᲔ ᲨᲜ მიᲠ დამეარებოლი მᲔფე ჩᲜი ქᲜ მიერ მელ-

---

60 გარდა ამისა, მან „წმიდათა მოწამეთა სამარტჳლოსა შიგან შექმნა საფლავი" და დადგა „საკურთხეველი", მაგრამ ყოველივე ეს უშუალოდ აღმშენებლობას არ ეხება.

ქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი რ᾽ნ მა მეორედ აღაშენა წ᾽ჲ კა-
თო[ლ]იკე... სოლისა მთისა[61].

ამ წარწერას ს. კაკაბაძე ასე კითხულობს: „ქრისტე ადიდე შენ მიერ დამყარებული მეუფე ჩუენი ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, რომელმან მეორედ აღაშენა წმიდისაჲ კათოლიკე [ეკლესიისაჲ ბჭᲗ სალოცველად] სულისა მათისა“ (საისტ. კრებ. I, 105). ასეთი წაკითხვა მთავარ ნაწილში ყოვლად მიუღებელი გვეჩვენება. საკითხი ეხება „წ᾽ჲ“ გამოთქმის წაკითხვას. უდავოა, რომ პატივ ქვეშ მოცემული სიტყვა დასმულია სახელობით ბრუნვაში. წარმოდგენილი წაკითხვისას კი ის უეჭველად ნათესაობით ბრუნვაშია მოქცეული, ასე რომ პატივ ქვეშ დასმული სახელობითი ბრუნვის მაჩვენებელი ჲ-ე აქ გაზედმეტებულია და თანმიმდევრობა მოითხოვდა წამკითხველს ეს „ზედმეტი“ ჲე სრულიად ამოეგდო. ორში ერთი: ან ეს ჲ-ე უნდა უარვყოთ, ან არა და წარმოდგენილი წაკითხვა მიუღებელია. მაგრამ ეს ასო ვერც პ-ლმა მკვლევარმა უარყო და, თუმცა საჭირო თანმიმდევრობის გაძრუდების ხარჯზე, მაგრამ მაინც შეინახა.

დარჩა მეორე შესაძლებლობა: „წ᾽ჲ“-ში სახელობითი ბრუნვა უნდა იქმნეს ნაგულისხმევი და მაშასადამე აღდგენაც ამას უნდა შეუთანხმდეს.

ეხლა წარწერის აღდგენილი ნაწილის შესახებ.

პირველ ყოვლისა არ შეგვიძლია ერთი რამ არ ვუსაყვედუროთ პ-ლ მკვლევარს:

რატომ არ აღნიშნავს ის, თუ რა უფლების ძალით ურთავს ნაკლულევან ადგილას მოყვანილ სამ სიტყვას და არა ერთს ან, ვთქვათ, ორს ან ოთხს გინდა მეტს? მას თითქო საშუალება ჰქონდა გამოერკვია დ. გორდეევისა და მ. კალაშნიკოვის დახმარებით (მათ ხომ მისი იქ ყოფნის დროს „გაზომეს და დეტალურად შეისწავლეს“ ეს ბჭე?), თუ რამდენი აკლია იმ სვეტს, რომელსაც წარწერა ჩამოსდევს. ამის აღნიშვნით და მისდამი სათანადო ანგარიშის გაწევით მკვლევარი თავის აღნადგენს (სხვა დანარჩენ მისაღებ პირობებში) უფრო მეტ დამაჯერებელ იერს მისცემდა. თორემ რა

---

61 ეს წარწერა იწყება ფასადის შუბლის ჩრდილოეთი კუთხიდან, უჭირავს მთელი შუბლი, ჩამოსდევს სამხრეთის სვეტს, წყდება აქ ამ სვეტის ქვების გაცრეცის გამო და სრულდება ჩრდილოეთის სვეტზე, სადაც მოთავსებულია წარწერის უკანასკნელი ორი სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაჯერებლობითი უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს ასეთ აღდგენას (სამსიტყვიანს) შედარებით თ. ჟორდანიას აღდგენასთან, რომელიც არსებული ხარვეზის შევსებას ერთი სიტყვით ფიქრობდა? რა თქმა უნდა — არავითარი.

ეხლა ვიკითხოთ: შეიძლება თუ არა „წ~ჲ კათოლიკე"-ს არსებობის პირობებში „ეკლესიისაჲ ბჭᲂ-ს აღდგენა (მესამე აღნადგენი სიტყვა: „სალოცველად" ან სხვა ამის მსგავსი, უეჭველია, იყო: ამას მოითხოვს გადარჩენილი: „სოლისა მათისა")? მაგრამ ჯერ ვიკითხოთ: შესაძლებელია თუ არა ძველ ქართულში ფორმა: „ეკლესიისაჲ ბჭᲂ?" — შეუძლებელია.

ძველ ქართულში არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვით მიღებული განმარტება, თუ ის წინ უსწრებს განმარტებულ სიტყვას, უცვლელად რჩება ამ ბრუნვაში მიუხედავად იმისა, თუ რა რიცხვში და ბრუნვაში დაისმის მის მიერ განმარტებული და მისი მომდევნო სიტყვა[62], ხოლო თუ ასეთ განმარტებას წინ უსწრებს მის მიერ განმარტებული, მაშინ ასეთი განმარტება ზედშესრულივით შეეთანხმება ხოლმე განმარტებულს ბრუნვასა და რიცხვში. ასე რომ პ-ლ მკვლევარს უნდა აღედგინა: ეკლესიისა ბჭᲂ. ასეთ პირობებში კი „წ~ჲ"-ს წაკითხვა „წმიდისაჲ"-თ ყოვლად დაუშვებელია, რადგან ეს სიტყვა შეთანხმებულია „ეკლესია"-სთან, როგორც რიცხვში, ისე ბრუნვაში. ასე რომ მკვლევარს უნდა მიეღო: „წმიდისა ეკლესიისა ბჭᲂ". ტექსტი კი იძლევა ფორმას: წ~ჲ[63]. ცხადია: აღდგენა მცდარია. უნდა: წმ ი ნ დ აჲ. ასევე შეცდომა იქნებოდა: წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიისა ბჭᲂ.

ამგვარად, გამოთქმა: „წმიდა კათოლიკე" ვერ ითმენს „ეკლესიისა"-ს აღდგენას. მაგრამ შეუძლებელია აგრეთვე: „წმიდაჲ კათოლიკე ბჭᲂ"; „კათოლიკე" შეიძლება მხოლოდ ეკლესია, ტაძარი, საყდარი. ასე რომ კვლავ არჩევანის წინაშე ვდგავართ: ან გამოთქმა

---

62 ასეთი ჩანს წესი. ერთადერთი ამის საწინააღმდეგო მაგალითი თითქო ნიკორწმინდის ეკლესიის ერთი წარწერაა (იხ. გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ი ს „რაჭის ისტორიული ძეგლები": საქ. მუზ. მოამბე № 5, გვ. 195). მაგრამ ეს წარწერა თვით შესამოწმებელ-შესასწავლია და მაზედ დაყრდნობა ძეგლის აღდგენისას შეუძლებელია: მას ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა ყ ვ ე ლ ა სხვა შემთხვევები.

63 ძვ. ქართულში პატივთა ხმარების წესის მიხედვითაც კი „წ-ჲ"- გახსნა „წმიდისაჲ"-თ უჩვეულო და უმართებულო ჩანს. შდრ. ტექსტის 164—წდ-სა კათოლიკე ეკლესიაჲსა; 132—წი-სა კათოლიკე ეკლესიაჲსა; 125—წ-ჲ კათოლიკე ეკლესიაჲ; 81—წ-დისა ამის კათოლიკე ეკლესიისანი; 81—წ-ა (=წმიდასა) კათოლიკე ეკლესიასა.

„წ-ჲ“ შეცდომაა და უნდა ყოფილიყო „წი˜სა“, ან არა და ნაკლულევან ადგილას ეწერა: „ეკლესიაჲ.. სალოცველად“ და თ. ჟორდანიას წაკითხვა არსებითად სწორია. მაგრამ ჩვენ არა გვაქვს საბუთი არსებული გამოთქმა „წ-ჲ“ შეცდომად ვივარაუდოთ.

მეორე მხრით არც თ. ჟორდანიას წაკითხვაა სრული და უდავო. მართალია, ის გრამატიკული ხასიათის სიძნელეს არ ხვდება, სამაგიეროდ შინაარსით არის საეჭვო: წარწერა ამოჭრილია გარეთი ბჭის ფასადზე, მოიხსენიებს კათოლიკე [ეკლესიის] აშენებას კ-ზის მიერ და არას გვამცნობს თვით ბჭის აშენებაზე, რომელიც ყოველ ეჭვს გარეშეა, სწორედ ამ მელქისედეკ კ-ზის აშენებულია. ამიტომ, როგორც გრამატიკული ისე შინაარსითი სიძნელენი რომ დაძლეული იყოს, ამ ძეგლის ჩვენი წაკითხვა იქნება: „ქრისტე ადიდე შენ მიერ დამყარებოლი მეუფე ჩუენი ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, რომელმან მეორედ აღაშენა წმინდაჲ კათოლიკე ეკლესიაჲ და ბჭჱ ესე სალოცველად სოლისა მათისა“.

აქ შესაძლებელია[64] სიტყვა „ეკლესიაჲ“ არც ყოფილიყოს, მაგრამ ეს წანაკითხის შინაარსს ვერ შესცვლიდა: კათოლიკე თავის თავად გულისხმობს „ეკლესიას“. მაშინ ეს ადგილი იქნებოდა: „რომელმან მეორედ აღაშენა წმიდაჲ კათოლიკე [და ბჭჱ სალოცველად] სოლისა მათისა“.

ამრიგად, ჩვენი წაკითხვით გამოდის, რომ გარეთი ბჭის აღმაშენებელი კ-ზი მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ სვეტიცხოვლის „მეორედ მაშენებელიც“ ყოფილა.

გავყვეთ ქვევით პ-ლი მკვლევარის საბუთიანობას.

„რომ გარეთი ბჭის და ტაძრის აღმაშენებელი მელქისედეკი სხვადასხვა პირნი არიან, ეს ჩანს წარწერათა პალეოგრაფიული თვისებებიდან. სვეტი-ცხოვლის წარწერას, მაგ., ახასიათებს, შედარებით ბჭის წარწერასთან, გარდამავალი სახის ასომთავრული კ მოკლე ფეხით და მეორე შემთხვევაში გრძელი ფეხითაც. მოკლე ფეხიანი ასომთავრული კ უფრო ძველი ხანის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს (საისტ. კრებ. I, 105). ... ზემოთ მოყვანილ მაგალითს და საერთო შთაბეჭდილების მიხედვით სვეტიცხოვ-

---

64 ასეთი „შესაძლებელია“ ჩვენ იძულებული ვართ ვივარაუდოთ, რადგან საშუალება არა გვქონდა გამოგვერკვია ხარვეზზე მოსათავსებელი ასოების დაახლოებითი რაოდენობა.

ლის წარწერანი უფრო ძველი დროისად სჩანან...“ (იქვე. ასეთია ორი საბუთი ს. კაკაბაძისა.

ასეთი „საერთო შთაბეჭდილების“ მიღების უწინარეს უსარგებლო არ იქნებოდა მკვლევარს ანგარიში გაეწია (და თუ კი მხედველობაში მიიღო, აღენიშნა) იმ გარემოებისათვის, თუ სად იწერებოდა ესა თუ ის წარწერა. მას კარგად მოეხსენება, რომ ასოთა მოხაზულობა, მათი ესა თუ ის სახე დიდად არის დამოკიდებული იმისაგან, თუ სად, როდის, ვის მიერ რაზედ და როგორ პირობებში იწერება ლაპიდარული ძეგლი. ამის საუკეთესო ილუსტრაცია სწორედ სვეტიცხოვლის სამხრეთი კედლის წარწერაა, სადაც იმ დროისათვის სრულიად უჩვეულო ლიგატურები (თხზულები) არის წარმოდგენილი, რაც გამოწვეულია საწერი მასალის (დისკოები ქვებზედ) თავისებურობით.

რაც შეეხება მოკლეფეხიან ასომთავრულ „კ“-ს, აქ ავტორმა ისიც კი არ აღნიშნა, თუ როგორია ეს ასო დანარჩენ ოთხ შემთხვევაში: ეს კ-ანი ტაძრის ამ წარწერებში ექვსჯერ არის წარმოდგენილი. საქმე ისაა, რომ იმ ერთადერთ შემთხვევაში ყველა ექვსიდან, სადაც კ-ანი მართლაც შედარებით მოკლე ფეხითაა წარმოდგენილი, ეს ასო განსხვავებულია არა მარტო ამ ნიშნით, არამედ შუა ტანის შედარებითი კუთხოვანობითაც. გარდა ამისა მას არც ის მოკლე ფეხი ჩამოუდის სწორად, ასე რომ აქ ასოს ამომჭრელის ხელმარცხთან უფრო შეიძლება გვქონდეს საქმე, ვიდრე დამწერლობის დამახასიათებლობასთან. ყველა სხვა დანარჩენი ასოები და მათ შორის კ-ანიც (5 შემთხვევაში) არაფერ განსხვავებულს, შედარებით ბჭის წარწერასთან, არ წარმოადგენენ. ასე რომ „წარწერათა პალეოგრაფიული თვისებები“, ვფიქრობთ, ს. კაკაბაძის დებულებას მეტად მცირედ შველიან.

გარეთი ბჭის აღმაშენებელი მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ი ს მიერ სვეტიცხოვლის აშენების უარყოფის შემდეგ ს. კაკაბაძე ეძებს დროს, სადაც უნდა მოათავსოს, როგორც სვეტიცხოვლის აშენება, ისე მისი აღმაშენებელი მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ის კათალიკოზობა.

მისი აზრით: „საფიქრებელია, რომ სვეტიცხოვლის ტაძრის ხელ-ახლად აგება ახალი გეგმით დაკავშირებული ყოფილიყო წინათ არსებული შენობის მიმართ რაიმე კატასტროფული ხასიათის მოვლენასთან“ (იქვე). მისთვის აგრეთვე „ცნობილია“, რომ „X ს-ნის პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა არაბების მიერ მცხეთის პირდაპირ ჯვარი-პატიოსანის ტაძრის გადაწვას“. საამისოდ ის ქ-ცას

იმოწმებს. უცნაურია, რომ ავტორი იმოწმებს მ. ბროსეს მიერ **გამოცემულ** ქართლის ცხოვრების სათანადო ადგილს, მაგრამ ისე რომ ტექსტს თავის გემოზე ასწორებს, ამას არ აღნიშნავს და ასეთ ციტატას ბრჭყალებში სტოვებს.

ხსენებული ადგილი ბროსეს გამოცემით (გვ. 197): „ამასვე ჟამსა მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა უჴმობენ [var. უჴმობდეს] საჯობით, და მოტყვენეს კახეთი, და დაწვეს ჯვარი მცხეთა, და შემდეგ იქცეს, და წარვიდეს, და წარიტანეს თანა ჯვარი პატიოსანი დაჭრილი“ იგივე ადგილი ს. კაკაბაძის მიერ ციტირებული: „ამასვე ჟამსა მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა უჴმობენ საჯობით და მოტყუევნეს კახეთი და დაწვეს ჯუარი, მცხეთა და შეიქცეს და წარვიდეს და წარიტანეს თანა ჯუარი პატიოსანი დაჭრილი“ (საისტ. კრებ. I, 105). როგორც ვხედავთ, აქ დედანთან შედარებით შეცვლილია, როგორც სიტყვათა მართლწერა („მოტყუევნეს“, ჯუარი), ისე სასვენი ნიშნებიც. და რომ ყველა ეს არც ისე „უწყინარი“ ცვლილებაა, ამას აქვე დავინახავთ.

ბროსეს სრულიად მართებულად დაუცავს მეცნიერული სიფრთხილე და დედნისეული მართლწერა: „დაწვეს **ჯვარი მცხეთა** და შეიქცეს“ (ხაზი ჩვენია) ხელუხლებელი დაუტოვებია. და მართლაც, იმ დროს, როცა სხვა შემთხვევებში კავშირ „და“-ს უხვად ხმარობს მემატიანე, რაღა მაინცდამაინც „ჯვარი მცხეთა“-ს დაწერისას შეიპყრო ის უადგილო ლაკონურობამ? (და ეს ასეა ე-ცას ყველა არსებულ ხელნაწერებში).

ს. კაკაბაძემ ბროსეს სამართლიანი სიფრთხილე უსამართლოდ დაარღვია: მისი გამოცემული ტექსტი დააციტირა, „ჯვარი მცხეთა“-ს შორის არ არსებული მძიმე (,) დასვა და მიიღო: რომ სარკინოზებმა „მას ჟამსა“ ჯვარიც (მცხეთის) დაწვეს და მცხეთაც.

„ჯვარი მცხეთა“-ს შორის არა თუ მკვლევარის მძიმე (,), თვით ტექსტის მიერაც კავშირი „და“ რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, ამ შემთხვევაშიაც კი ს. კაკაბაძის გაგება მისაღები ვერ იქნებოდა, რადგან უპირველეს ყოვლისა „მცხეთის“ დაწვა სრულიად არ ჰგულისხმობს სვეტიცხოვლის ტაძრის დაწვას. მაგრამ ასე ვერც იტყოდა მემატიანე. „დაწვეს ჯუარი და მცხეთა“ უსრული და გაუგებარი გამოთქმა იქნებოდა. თანამედროვე მკითხველს არ ეცოდინებოდა, თუ რომელი „ჯუარი“ დაწუეს სარკინოზთ: ბოლნისის, ატენის, მანგლისის, მცხეთის, თხოთის, უჯარმოსი და სხვა. ეს დღესაა, როცა „ჯვარი“ მცხეთის ჯვარის საკუთარ სახელად იქცა. თო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემ ძველად ასე როდი იყო. „ჯუარი“ უძველეს დროს მრავალი იყო, ამიტომაც თითოეულ მათგანს ნიშანდობლივ ერთვოდა ის საგეოგრაფიო სახელი, სადაც ეს „ჯუარი“ იყო.

ასეთი ორნაწილედი სახელი შერჩა მათ შემდეგ დროებშიაც კერძოდ „მცხეთის ჯვარი“-ს („ჯვარი მცხეთასა“) სახელი საბოლოოდ დაუკავშირდა ჩვენში ნინოს მიერ ქართლის მოქცევის მოთხრობას, სადაც ამ მოთხრობის დამწერმა სცადა უძველესი წარმართული სალოცავისათვის ქრისტიანული დასაბამის გამონახვა. მოთხრობის მიხედვით „მუნ აღემართა ჯვარი იგი დიდებითა“. ლაპარაკია იმ ჯვარზე, რომელიც „თხოთისა“ და „უჯარმოს ჯვარი“-საგან განსასხვავებლად „ჯვარი მცხეთისა“-დ იწოდებოდა[65].

ეს იყო, ასე ვთქვათ, ქრისტიანული ეტიმოლოგია ერთ-ერთი უძველესი სალოცავის სახელისა[66]. ადგილი, სადაც „მცხეთის ჯვარი“ უნებრივად გადავიდა შემდეგ თვით იმ ტაძარზე, სადაც ეს ჯვარი იყო დაცული[67]. ასე რომ, თუ ვინმეს სურდა ძველად გადმოეცა ცნობა ამ „ჯვარის“ შესახებ, მას აუცილებლად ამ სახელის ეს განმარტებითი ნაწილიც არ უნდა დაჰვიწყებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ვერავინ გაუგებდა. ამიტომ ჩვენი მემატიანის „ჯვარი მცხეთა“-ში შეუძლებელია, ვფიქრობთ, სხვა რაიმე ვიგულისხმოთ გარდა მხოლოდ მცხეთის ჯვარისა.

ტექსტს აქ ს-ანი აკლია და უნდა ყოფილიყო: ...„ დაწუეს ჯუარი მცხეთას“ (შდრ. „აღწერილი... აღმართებისათ~ს პტ~იოსნი და ცხ~ვლმყოფლისა ჯ~სა მცხეთას“. ე. თაყაიშვილი, Описание... 787.) შესაძლებელი იყო „მცხეთა“-ში აქ „მცხეთისაჲ“-ს გადამახინჯება გვეძია, მაგრამ პირველი შესაძლებლობა უფრო მისაღებად გვეჩვენება.

---

65 ქ. ცხ. ბროსეს გამოც. გვ. 95, 96, 97: „შატბერდის კრებული“ გვ. 483 და ქვ.; ქართლის მოქცევის ჰელიშური ვარიანტი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობით. Опис. 787.

66 რომ მას უძველეს დროსაც „ჯუარი მცხეთისა“ ერქვა, ეს ჩანს ევსტათე მცხეთელის მარტვილობიდან: მცხეთიდან წამოსული ევსტათი, მისი სახლეულნი და მცველები „ვითარ წიაღხდეს ველად და მიიწინეს წინაშე ჯუარისა მცხეთისასა“ და სხვ. (იხ. საქ. სამოთხე, 316.)

67 როგორც ჩვენი, ისე ქართლის მოქცევის კონცეფციათა ისტორიულ მისაღებლობა-მიუღებლობის საკითხს ჩვენი ამოცანისათვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არა აქვს: იყო რეალურად ასეთი რამ (ან მისი მსგავსი) თუ არა, — სულერთია: თუ იყო, მაშინ ამის შემდეგ სწოდებია ამ ადგილს „მცხეთის ჯვარი“, თუ არა, მაშინ ძველად არსებული სახელის („მცხეთის ჯვარი“) ეტიმოლოგიის ცდასთან გვაქვს საქმე.

ამ რიგად ს. კაკაბაძის მძიმე (,) აქ მიუღებელია. სწყვეტს რა შუაზედ ერთ ცნებას, ის ვერც მეორეს ქმნის, ხოლო პირველს კი გაუგებარს ხდის: მისი წაკითხვით არც მცხეთის ტაძარი ჩანს დამწვარი და არც მცხეთის ჯვარი.

ჩვენი დასკვნაა: „მას ჟამსა“ (ს. კაკაბაძით 920—925 წლებში) სარკინოზთ მცხეთა (და მით უფრო სვეტიცხოვლის ტაძარი) არ დაუწვავთ. მათ „მოტყვენეს კახეთი, დაწვეს ჯვარი მცხეთა [ს], და შეიქცეს“.... ეს იყო „კახეთის“ მორბევა და, როგორც ჩანს, ის ქართლს არ შეეხებია.

ამ „კატასტროფულ ხასიათის მოვლენას“ სვეტიცხოვლის „წინად არსებული შენობის მიმართ“ ს. კაკაბაძე 920—925 წლებში ვარაუდობს. ამ ცნობაში „მოხსენებული საჯი“, მისი აზრით, „შეიძლება დაკავშირებულ იქმნას ა ს ო ღ ი კ ის მიერ აღნიშნულ „უწმინდურ საჯთან“, რომელიც იყო იუსუფ აბუსაჯის ძე“ (საისტ. კრ. I, 106).

თავისი მოსაზრების შესაძაგრებლად მკვლევარი მიუთითებს მკითხველს ასოღიკისა, მოსე კალანკატუელისა, იბნ ალ ასირის და „მატიანეჲ ქართლისაჲ“-ს ცნობებზე.

ი ბ ნ ალ ა ს ი რ ი თ რუზიკები ბარდავში შოვიდნენ 943—944 წელს; მ ო ს ე კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ე ლ ი თ რუზიკების მოსვლის უწინარეს ბარდავი ეპყრათ დეილემიტთა (Դէյլէմէնկք) ტომს, რომელთა მეთაური იყო ს ა ლ ა რ ი. „სალართა“ მიერ ბარდავისა და ადარბადაგანის დაპყრობა კი „მატიანეჲ ქართლისაჲ“-ს ავტორს მოთხრობილი აქვს ფ ა დ ლ ა ს ქორეპისკოპოზად დაჯდომისა, „საჯთა“ მოსვლისა და დ ი ნ ა რ დედოფლის მიერ ჰერეთის მწვალებლობიდან მოქცევის მოთხრობის შემდეგ.

„მაშასადამე“, დაასკვნის მკვლევარი, „მცხეთის და ჯვარის დაწვა საჯის მიერ მომხდარა 943 წელზე უწინარეს“. და განაგრძობს: „ამავე დროს ეს ამბავი მოხდა ფ ა დ ლ ა ს ქორიკოზად გახდომის ახლო ხანებში. გ ი ო რ გ ი ს მეფობის დროს კი ფადლას შემდეგ ქორიკოზად დაჯდა კ ვ ი რ ი კ ე, რომელსაც 957 წ., როდესაც გიორგი I გარდაიცვალა, სასიძო შვილი ჰყავდა. ფ ა დ ლ ა ს ქორიკოზად დაჯდომას ამიტომ ადგილი უნდა ჰქონოდა გ ი ო რ გ ი I-ის მეფობის პირველ ნახევარში. ამასთანავე სომხეთიდანაც არაბები განდევნა ს უ მ ბ ა ტ ი ს შვილმა მეფე ა შ ო ტ მ ა (გრდ. 929), რომლის მემკვიდრე ა ბ ა ს ი (929—953 წ.) უკვე მშვიდობიანად მართავდა თავის ქვეყანას. ამიტომ ყველა ამ მოსაზრებების გამო

ს ა ჯ ი ს კახეთში შემოსევა, რასაც შედეგად ჰქონდა მცხეთის და ჯვარის დაწვა, უნდა მომხდარიყო მე-920 წლებში, დაახლოვებით 925 წ. ახლოს". (საისტ. კრ. I, 107).

ს. კაკაბაძე უეჭველად მართალია, როცა „საჯთა" მიერ კახეთის მოტყვენვას 914—944 წლებს შორის ეძებს. ხოლო რაც შეეხება მის მიერ გაწეულ უფრო დაწვრილებით ქრონოლოგიურ ძიებას, არა გვგონია თვით პ-ლ ავტორსაც აკმაყოფილებდეს ის.

ჯერ ერთი, რატომ შეიძლება „სარკინოზნი, რომელთა უჭმობდეს საჯობით", „დაკავშირებულ იქმნას ა ს ო ღ ი კ ი ს მიერ აღნიშნულ „უწმინდურ საჯთან?" „მატიანეჲ ქართლისაჲ"-ს (თუ მისი წყაროს) ავტორმა კარგად იცის იმ „საჯის" სახელი, რომელსაც ს. კაკაბაძე ჰგულისხმობს (Бюллетень КИАИ, № 1-3, стр. 7) და რომ მემატიანეს ეს ა ბ უ ლ კ ა ს ი მ ი ჰყოლოდა სახეში, ის მას, საფიქრებელია, დაასახელებდა კიდეც, როგორც სჩადის ამას 908—914 წლის ამბების მოთხრობის დროს. „საჯთა" ბატონობა სპარსეთში აბულ კასიმ ი უ ს უ ფ ს არც დაუწყია და არც დაუსრულებია. მას წინ უსწრებდა ა ფ შ ი ნ ი აბუსაჯის ძე, უფროსი ძმა აბულ კასიმისა. ხოლო მის შემდეგ (გარდ. 927) იყო ა ბ უ ლ მ ო ზ ა ფ ფ ი რ ფ ა თ ჰ ი, ძე აფშინისა(გარდ. 930) და სხვა „მემკვიდრენი" „საჯის" სახლისა (Лэн-Пуль, Мусульманские династии, перев. Бартольда, გვ. 10).

ზემოთქმულის გათვალისწინებით ჩვენ უფრო მეტი უფლება გვაქვს, ვფიქრობთ, კახეთის მომრბევი „საჯი" ამ სახლის ერთერთ ნაკლებად განთქმულ ნაგვიანევ წევრში ვეძიოთ, ვიდრე აგრე მწვავედ დაუვიწყარ აბულ კასიმში.

აგრეთვე მიუღებელი გვეჩვენება პ-ლი ავტორის წინამძღვარი, რომ 957 წელს ფ ა დ ლ ა ს მემკვიდრე კ ვ ი რ ი კ ე ს „სასიძო შვილი ყავდა", „ფადლას ქორიკოზად დაჯდომას ამიტომ ადგილი უნდა ჰქონოდა გ ი ო რ გ ი I მეფობის პირველ ნახევარში". არა თუ შვილიშვილს, შვილის ჰასაკიც კი მამის მიერ ტახტის დაჭერის ქრონოლოგიისათვის ყოვლად ირაციონალური რიცხვია: მასში იმდენია „შემთხვევითი", რამდენიც წელიწადი.

მოთხრობის თანმიმდევრობაზე ქრონოლოგიის აგება ჩვენ შემთხვევაში, ვგონებთ, მისაღებია. და ეს იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა არა ერთი მეორისაგან და არა საერთო წყაროსაგან დამოკიდებული მემატიანენი თანხმობით იცავენ ასეთ თანმიმდევრობას. მაგრამ იმისგამო, რომ, შესაძლებელია, ჯერ კახეთის მოტყვენ-

ვა მოხდა სარკინოზთაგან, მერმე „სალართა“ გაბატონება ბარდავსა და ადარბადაგანში, და შემდეგ კიდევ რუზიკთა მიერ ბარდავის აღება 944 წელს, ეს წყობა იმის მეტს მაინც არას გვეუბნება, რომ კახეთის მორბევა მოხდა უწინარეს „სალართა“ მიერ ბარდავის დაპყრობისა, რაც თავის მხრით მოხდა უწინარეს 944 წლისა. სხვა უფრო დაახლოებითს ქრონოლოგიას აქიდან ჩვენ ვერ მივიღებთ.

სომხეთის შესახები ამბების მოშველიებისას ს. კაკაბაძე სრულიად უყურადღებოდ სტოვებს თ. არწრუნის ცნობებს, ის კი, როგორც ცნობილია, თანამედროვედ ითვლება 920—940 წლების ამბებისა, რაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსად ხდის მის ცნობებს.

მაგალ., ს. კაკაბაძით სომხეთში აბას სუმბატის ძის მეფობის დროს თარეშს ადგილი არ ჰქონია. თ. არწრუნი კი ელისეს კათალიკოსობის დროს (936—943) და გაგიკის ვასფურაკანში მეფობის დროს (გარდ. 936 ახლო), ე. ი. მე-10 ს-ის 40-იან წლებში, როცა სომხეთის ცენტრალურ ნაწილში აბას სუმბატის ძე მეფობდა (929—953), სომხეთს შემოესია საჯთა, როგორც მეფის ნაცვალთა სახლის, ერთ-ერთი შემკვიდრე სპარსეთში. ბან სწრაფად გამოვლო ქვეყანა, მოიწია დვინამდის და ხარკის ამკრეფნი დაგზავნა არარატის სანახებში. ეს ქვეყნები სწორედ აბას სუმბატის ძის სამფლობელო იყო. აბასი შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა და საქართველოში ივლტოდა. შემოსეული მტერი გაგიკ ვასპურაკანელმა უკუაგდო[68]. ბროსე არ ეჭვობს, რომ ეს არაბი მხედართმთავარი საჯის „სახლის“ წარმომადგენელი იყო[69].

აგრეთვე საყურადღებოა, რომ დელმიკების (Դելմաց) შესახებ თ. არწრუნიც სწორედ ამის შემდეგ მოგვითხრობს. მათთან ბრძოლა ჰქონდა გაგიკ ვასპურაკანელს[70]. ამიტომ ეს ამბავიც დაახლოებით ამავე ხანებშია საგულვებელი.

ეხლა რომ ვიკითხოთ: რა უპირატესობა აქვს პ-ლი მკვლევარის ქრონოლოგიას იმ შესაძლებელ ქრონოლოგიასთან, რომელიც

---

[68] Թովմայի վարդապետի Արծրունւոյ, Պատմութիւն տանն Արծրունեաց, ტფ. გამ. 488-492.

[69] M. Brosset, Collection d'historiens armeniens, t. I. p. 241. n. 5. ლენ-პულით 931 წელს ადერბეიჯანის მმართველად დანიშნულ იქმნა იუსუფ აბუსაჯისძის მონაყოფილი და მის მიერვე განთავისუფლებული მუფლიჰი.

[70] Թովմայի Արծրունւոյ, Պատմութիւն, 492.

„საჯის“ მიერ კახეთის მოტყვენვას 936 წლის ახლო დროით განსაზღვრავდა? პასუხი იქნება: — არავითარი.

თ. არწრუნი ყოველ შემთხვევაში მთლად ამ მეორე ქრონოლოგიის მხარის დამჭერი იქნებოდა. მისი ცნობების თანახმად ს უ ბ ბ ა ტ მეფის დაღუპვის შემდეგ ა ბ უ ლ კ ა ს ი მ ი უ ს უ ფ ი სომხეთში (და უნდა ვიფიქროთ, საქართველოშიაც, რადგან აღმ. საქართველო, ალბანია და სომხეთი 898 წლიდან სპარსეთში მჯდომ არაბ ხელისუფალის საგამგეოში შედიოდნენ: Лэн-Пуль,Мус-дин. 103) არ შემოსულა. ასევე მისი მემკვიდრე ფ ა თ ჰ ი ძე აფშინისა (გარდ. 930). ამის შემდეგ სპარსეთში ანარქია გამეფდა „საჯის“ სახლის კაცთა ურთიერთ შორის ბრძოლის ნიადაგზე და მხოლოდ 936 წლის ახლოს დასრულდა ის ერთი „საჯთაგანის“ გაძლიერებით, რომელმაც, როგორც კი ღონე მოეცა, არ დააყოვნა და გაურჩებულ სომხეთზე (უნდა ვიფიქროთ, საქართველო — ალბანიაზედაც) საჯთა სახლის შერყეული უფლებების აღდგენა სცადა.

საინტერესოა, რომ ბროსე კახეთის აოხრებას „საჯის“ მიერ 938 წ. ახლო ხანით ათარიღებს[71]. ამავე წელს ჰგონებს ის ფ ა დ ლ ა ს გაქორიკოზებას (საქ. ისტ. I, ღოღობერიძის თარგმ. 122).

ამრიგად, ს. კაკაბაძის თარიღი 920—925 წ. თავისთავად მეტაღ სათუოა, ხოლო მის მიერ ამ თარიღის სასარგებლოდ მოყვანილი სახელდახელო საბუთები უსაფუძვლოა.

სვეტიცხოვლის ტაძრის წარწერებში მეფის მოუხსენებლობა კიდევ ერთი ახალი ჰიპოთეზის შექმნის საბაბს აძლევს მკვლევარს.

მისი აზრით „ეს გარემოება (მეფის მოუხსენებლობა) უნდა აიხსნებოდეს არა მარტო იმით, რომ ტაძრის აშენებას აწარმოებდა თვით საკათალიკოზო ეკლესია, არამედ იმ დროინდელი ქართლის და აფხაზეთის პოლიტიკური მდგომარეობითაც“ (საისტ. კრებ. 107) და მკვლევარი აღნიშნავს გიორგი I-სა და მის ძმა ბაგრატს შორის ხანგრძლივ ბრძოლას ტახტისათვის, რომელიც 931 წელს თითქო ბაგრატის გამეფებითაც კი აღნიშნულა და დაასკვნის: „ასეთ პირობებში გასაგები ხდება, რომ სვეტი-ცხოვლის აშენების თაოსნობა თვით ეკლესიას უნდა ეკისრა და საქმე შეუსრულებია კიდეც“ (იქვე).

უეჭველია აქ lapsus' თან გვაქვს საქმე. ავტორს, საფიქრე-

---

71 ბროსეც ს. კაკაბაძის მსგავსად ჰგონებს, რომ არაბებმა მცხეთის ჯვარიც დაწვეს და მცხეთაც [ტაძარი?].

ბელია, სურდა ეთქვა: სვეტიცხოვლის წარწერებში მეფის მოუხსენებლობა აიხსნება იმით, რომ ტაძრის აშენება მხოლოდ საკ-ზო ეკლესიას უწარმოებია და მეფეს არავითარი მონაწილეობა ამ საქმეში არ მიუღია, ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება აიხსნება იმ დროინდელი ქართლის და აფხაზეთის პოლიტიკური მდგომარეობით..

არც ეს ჰიპოთეზი ჩანს მისაღები. ჯერ ერთი, საიდან იცის პ-ლმა მკვლევარმა, რომ სვეტიცხოვლის წარწერებმა მთლიანად მოაღწიეს ჩვენ დრომდის?[72]. მეორე, განა ჩვენ შესწავლილ-გარკვეული გვაქვს ქართლის კ-ზისა და აფხაზთა მეფეების ურთიერთობა, როცა ვავალებთ უკანასკნელთ უეჭველად ითაოსნონ სვეტიცხოვლის ტაძრის აღმშენებლობა?

ს. კაკაბაძემ იცის, რომ 951 წელს ქ. კ-ზი არის მიქელ. ტაძრის აშენებას მისი აზრით 20 წელი მოუნდებოდა. ასე აღმოაჩინა მან მის მიერვე აღმოჩენილი მელქისედეკისათვის კ-ზობის წლებიც — 925—945.

მაგრამ, როგორც დავინახეთ, მთელი ეს ნაშენობა მიუღებელია. ის შემცდარ საფუძველზე ჩანს სახელდახელოდ აგებული.

ერთი წლის შემდეგ ს. კაკაბაძემ ამ თავისი ქრონოლოგიის სასარგებლოდ კიდევ ერთი ცნობის გამოყენება სცადა. მან ყურადღება მიაქცია ულუ დავითისადმი საეკლესიო კრების (XIII ს-ის 63 წლის ახლო)[73] მიმართვაში დაცულ ცნობას „დიდი კათოლიკე ეკლესიის“ შენების შესახებ: „ვიცით, რომე მრავალნი კადრებენ ჟამისა ძნელბედობასა და საჭირობასა, მაგრამ ამის უძნელბედესნიც ყოფილან მაშინ ჟამნი, ოდეს დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ შენებულა; ჰასრე, რომე ჯაფარ ამირად ჯდომილა თფილის და ქალაქი სპარსთა ჰქონებია“[74].

---

72 ამით ჩვენ იმის თქმა არ გვსურს, რომ მეფის მოხსენება მაინცდამაინც მოსალოდნელი იყო. წინააღმდეგ, ვფიქრობთ, რომ ასეთი რამ არც უნდა ყოფილიყო, ორეემ XIII ს-ის საეკ. მოღვაწენი — იხ. ქვემოთ — ამის აღნიშნვას არ დააყოვნებდნენ... ჩვენი კითხვა აქ მხოლოდ მეთოდოლოგიურ მიზანს ისახავს.

73 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. სამართლის ისტორია. წ. I, 1928. ნ. გამოც., გვ. 50.

74 საისტ. მოამბე წ. I. 1925 წ. გვ. 221; „ულუ-დავითის დროინდელი საეკლესიო კრების დადგენილება“ გამოც. გ. გოზალიშვილისა; სასვენი ნიშნები ჩვენია.

აქ მოხსენებული „უძნელბედესნი ჟამნი“ ავტორმა იმავ ა ბ უ ლ-კ ა ს ი მ ი ს ლაშქრობას დაუკავშირა, ხოლო ჯ ა ფ ა რ ა მ ი რ ა ამ ლაშქრობის თანამედროვე ტფილისის ამირად აღიარა.

აქედანვე მან „კონტექსტით ისეთი შთაბეჭდილება“ გამოიტანა, რომ მცხეთა ამ დროს „ტფილისის საამიროს ტერიტორიაზე ირიცხებოდა“, ხოლო, მისი აზრით, ჯაფარ ბენ მანსურისა (X ს-ის მეორე ნახევარი) და ჯაფარ ბენ ალის (XI ს-ის პირველი ნახევარი) დროს „მცხეთა გარკვევით ქართველ ხელმწიფეთა ტერიტორიაზე მდებარეობს და ტფილისის საამიროს ფარგლებს გარეშე იმყოფება“ (საისტ. კრებ. IV, 114).

„ყველა ამის მიხედვით“ ავტორი ჰპოულობს „ახალს დადასტურებას იმ ფაქტისას, რომ სვეტი-ცხოვლის საყდრის ხელმეორედ აშენება მოხდა დაახლ. 925—945 წლებში გავლილ და ჯერ კიდევ არ შეწყვეტილ შემოსევათა და აოხრებათა დროს და მართლაც მეტად მძიმე ხანაში, როდესაც ტფილისის ამირად ჯაფარი იჯდა“ (იქვე).

მოკლედ, ს. კაკაბაძის ისტორიული სურათი ასეთია: 907—845 წ. ტფილისის ამირად იჯდა ჯ ა ფ ა რ ი. მცხეთა მის საგამგეო ტერიტორიაში შედიოდა. 907—908 წელს სომხეთსა და საქართველოს შემოესია ამირა აგარიანი, ა ბ უ ლ კ ა ს ი მ ი უ ს უ ფ ი და 914 წლამდის საშინლად მძვინვარებდა აქ. ეს აოხრება მხოლოდ „აფხაზეთს“ არ შეჰხებია. საქართველოს სხვა ნაწილებისათვის კი იგი იმდენად მძიმე იყო, რომ ეს ქვეყნები „ამის შემდეგ დიდხანს ვერ მოიკრებენ ძალას“. 920—925 წლებში აბულ კასიმ იუსუფი კახეთს ეწვია კვლავ: ააოხრა ის, დაწვა მცხეთის ჯვარი, და თვით სვეტიცხოველი. ამავე დროს „აფხაზეთის“ ტახტის მემკვიდრეებს შორის (პოლიტიკურად ქართლი ამ დროს აფხაზეთში შედიოდა) გამუდმებული მკაცრი ბრძოლა იყო გამართული. ქვეყანა გარეშე და შინაური ომების ცეცხლში იყო გახვეული. ზავი და მშვიდობა სანატრელი ოცნება იყო.

აი ამ შავბნელ დროს კატასტროფაგამოვლილი (დამწვარი) „სვეტიცხოვლის აშენების თაოსნობა თვით ეკლესიას“ უკისრია, ძველი დაზიანებული შენობა ახალი გეგმის მიხედვით გადაუკეთებიათ და ქართული ხუროთმოძღვრების ეს უდიდესი და უმშვენიერესი ძეგლი შეუქმნიათ.

...და „მე-XIII ს-ნის დასახელებული მიმართვის ავტორნი აბულ კასიმის და მისთა შემდგომთა საშინელ აოხრებათ გულისხ-

მობდნენ, როდესაც ჯელალ-ედინის და მონგოლების მიერ მიყენებულ აოხრებებთან შედარებით მაინც „უძნელბედეს ხანის“ შესახებ ლაპარაკობდნენ“ (საისტრ. კრებ. IV, 113).

წარმოდგენილი სურათის ზოგიერთი ფაქტები ჩვენ უკვე განვიხილეთ. შევეხოთ დანარჩენთ. ჯერ წინააღმდეგობათა შესახებ.

თუ მცხეთა საამიროს ტერიტორიაზე ირიცხებოდა, რატომ უნდა აეოხრებინა და დაეწვა ის აბულ კასიმს? და თუ საამიროს ტერიტორიასაც არ ინდობდა, რატომ ტფილისი არ ააოხრა? „პირველი“ შემოსევისას ის ტფილისში შემოვიდა ბრძოლით კი არა, არამედ როგორც უფროსი ხელისუფალი მის ქვეშეთ მყოფი მოხელის სახელისუფლოში. ავტორისაგან მოსალოდნელი იყო დამტკიცების ცდა რომ ამ დროს მცხეთა კახთა ქორიკოზების ტერიტორიაში შედიოდა. ეს ლოგიკური იქნებოდა მის კონცეფციასთან დაკავშირებით. მემატიანე სწორედ კახეთის მოტყვენვაზე ლაპარაკობს და ჯვარი-მცხეთაც (კ ა კ ა ბ ა ძ ი თ: ჯვარი და მცხეთა) კახეთის ფარგლებშია საძიებელი და არა მის გარეთ.

„ჯვარი მცხეთა“-ს უმართებულო წაკითხვით და მცხეთის მიკუთვნებით ტფილისის საამიროს ტერიტორიაზე პ-ლი მკვლევარი ლოგიკურ წინააღმდეგობაში ვარდება.

აქვე ერთი კითხვაც: თუ სვეტიცხოვლის ტაძარი, როცა მას აშენებდნენ, ტფილისის საამიროს ტერიტორიაზე ირიცხებოდა, რად იყო მაინც და მაინც მოსალოდნელი, რომ მის აღმშენებლობაში „აფხაზთა“ მეფენი უეჭველად მონაწილენი იქნებოდნენ, რომ ურთიერთ შორის ხანგრძლივ (30 წლოვანს?) ბრძოლას მათი ტრფიალი ეკლესიათა მშენებლობისა არ შეენელებინა? განა აფხაზთა მეფენი, რომელთა სამეფოს პოლიტიკურ საზღვრებში მცხეთა არ შედიოდა, ისეთივე „ხელმწიფენი“ არ იქნებოდენ მცხეთის ტახტისათვის როგორც ა დ ა რ ნ ა ს ე „ქართველთა მეფე“, გ უ რ გ ე ნ დიდი ე-ე˜ვ ი ან კ ვ ი რ ი კ ე კახთა ქორეპისკოპოზი? რატომ ამათ სახელის მოუხსენებლობის ახსნას არ სცდილობს პ-ლი მკვლევარი?

ს. კაკაბაძემ „უძნელბედეს ჟამთა“ სურათი მართლაც მუქი ფერებით წარმოგვიდგინა და ამ „ჯერ კიდევ არ შეწყვეტილ შემოსევათა და აოხრების დროს“ უდიდესი აღმშენებლობის ფაქტიც აღმოაჩინა. როგორ ეთანხმება ეს ორი მოვლენა ერთი მეორეს, ჩვენთვის გაუგებარია. პირიქით, აღმშენებლობის ისეთი ფაქტიდან, როგორიც სვეტიცხოვლის ტაძარია (დღეს დიდად დაზიანებული მის პირველ სახესთან შედარებით), ბუნებრივი და მართებული იყო

მისი შენების დრო ქვეყნის (მისი მოწინავე წოდების სახით) დიდი ქონებრივი დოვლათიანობისა და კულტურული აყვავების ხანად მიგვეღო. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეკლესიის მიერ თუნდაც „საკუთარი თაოსნობით“ ასეთი აღმშენებლობის გაშლა ამ „მართლაც მძიმე ხანაში“[75], აკი გაცილებით ნაკლებად მძიმე დროს (ამაში არ ეჭვობს პ-ლი მკვლევარი), XIII საუკუნის მეორე ნახევარში ეკლესია არა თუ აღმშენებლობას ვერ ეწეოდა, მას ძველად შეწირულ-შეძენილი ქონებაც კი ვერ დაეცვა საერო ხელისუფლებისა და დიდებულთა მიერ გამოწირვა-მიტაცებისაგან. XIII ს-ის საეკლესიო კრების მონაწილეებივით ჩვენც „სარწმუნოების შენელებით“ ხომ არ უნდა ავხსნათ ეს მოვლენა?

საჭირო იყო ავტორს მიეღო თავის თავზე შრომა და აეხსნა მკითხველისათვის ეს ბუნებრივი კითხვები, რომელნიც მისი კონცეფციის არსებობის პირობებში წამოიჭრებიან.

დასასრულ, რას ჰგულისხმობენ XIII ს-ის საეკლესიო კრების მიმართვის ავტორნი? უპირველეს ყოვლისა უნდა მხედველობა-

---

75 სვეტი-ცხოვლის მშენებლობასთან დაკავშირების გარეშე, თავის თავად „უძნელბედეს ჟამთა“ ავტორისებური სურათის მუქი ფერები, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა შესამჩნევად შერბილებულიყო. იუსუფ აბუსაჯის ძეს მთელი სომხეთისა და საქართველოს წინააღმდეგ სრულიად არ ულაშქრია. მისი ეს ლაშქრობა ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის გაძლიერების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა იყო და შეეხო ამ „ორიენტაციის“ მომხრე ხელმწიფეთა ხელქვეშე ქვეყნებს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ უეჭველად ვიცით, რომ აოხრება არ შეჰხებია არა აფხაზეთს მარტო, როგორც ამას ს. კაკაბაძე ჰგულისხმობს, არამედ არც ტფილისის საამიროს და არც ადარნერსე ქართველთა მეფის სამფლობელოს. სომხეთშიაც რომ ვასპურაკანის და სივნიეთის მეფე-მთავრები აბულკასიმის მხარეზე იყვნენ და ბიზანტიის მომხრე სუმბატის დაღუპვით ხელს ითბობდნენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ X ს-ნის სომხეთ-საქართველოს პოლიტიკური ვითარების შესწავლისას ჩვენ შედარებით კარგ პირობებში ვიმყოფებით. სომხური, ქართული, ბერძნული და არაბული წყაროები უხვ მასალას იძლევიან როგორც შედარებით მთლიანი და ობიექტური ისტორიული სინამდვილის დასაცავად, ისე თითოეული მემატიანის (თუნდაც თანამედროვესი) კრიტიკულად შესასწავლად. აქ ჩვენ არც ისე უმწეონი ვართ, რომ ნებაუნებლიეთ ერთი რომელიმე მემატიანის ცნობათა გავლენის ქვეშ მოვექცეთ. უხვად მოგვეპოვება მოვლენათა ერთი მეორის სრულიად საწინააღმდეგო გაშუქებანი, რაც საშუალებას გვაძლევს „მესამის“ როლში დავდგეთ და შედარების გზით ისტორიული სინამდვილე კრიტიკულად აღვადგინოთ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს მიერ მოცემულ სურათს სწორედ ეს არ ახასიათებს. აქ გათვალისწინებული ვერაა საწინააღმდეგო ან კორექტივის შემტან ცნობათა მნიშვნელობა.

ში გვქონდეს, რომ XIII ს-ის საეკლ. კრების მოღვაწენი თავიანთი მიმართვის ამ ადგილას „უძნელბედეს ჟამთა“ ძიებისათვის არიან განწყობილნი. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ, თუ „XIII ს-ნის დასახელებული მიმართვის ავტორნი აბულკასიმის და მისთა შემდგომთა საშინელ აოხრებათ ჰგულისხმობდენ, როდესაც ჯელალ-ედინის და მონგოლების მიერ მიყენებულ აოხრებებთან შედარებით მაინც „უძნელბედეს ხანის“ შესახებ ლაპარაკობდნენ“ (საისტ. კრებ. IV, 113). თუ ეს „ცხადია“, როგორც გვარწმუნებს ს. კაკაბაძე, მაშინ მოსალოდნელი იყო ამ უძნელბედესი ჟამის მაძიებელი მამები თავიანთ ცოდნასა და უნარს არ დაზოგავდნენ ასეთი ხანის დასახატავად და ყოველ მიზეზს გარეშე მოიხსენებდნენ იმ „საშინელებებს“, რომელთა გამოც სვეტიცხოვლის ტაძრის შენების დრო მათ „უძნელბედეს ჟამად“ მიაჩნდათ.

მცხეთის ტაძრის შენება ს. კაკაბაძემ, როგორც ვიცით, „საჯის“ მიერ მის დაწვას დაუკავშირა. XIII ს-ის საეკ. კრების მონაწილენი გათვალმახვილებული ეძებენ შავ ფერებს „უძნელბედესი ჟამის“ დასახატავად. მათ იციან როდის „შენებულა დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ.“ რაღა იქნებოდა მათთვის იმაზე უკეთესი საბუთი ამ „უძნელბედესი“ ხანის ნათელსაყოფად, თუ არ საკ-ზო ტაძრის აოხრების ცნობა?[76]. სინამდვილეში კი რას ვხედავთ? მიმართვის ავტორთა მიერ დახატული სურათი „უძნელბედეს ჟამისა“ მკრთალი ანარეკლიც კი ვერ არის იმ სურათისა, რომელიც ს. კაკაბაძემ წარმოგვიდგინა. მათი უმთავრესი და ერთად-ერთი საბუთი უძნელბედობისა ის არის, „რომე“, „ოდეს დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ შენებულა“, „ჯაფარ ამირად ჯდომილა თფილის და ქალაქი სპარსთა ჰქონებია“.

მაგრამ ან კი რა უნდა ექნათ საეკლესიო კრების მოღვაწეთ. როცა სხვა მასალები არ ჰქონდათ?! სვეტიცხოვლის აშენების დრო უეჭველად იცოდნენ მაშინ (ეს თვით მათი მოწმობიდან ჩანს) და არ არსებული სურათის შეთხზვა მათ არ შეეძლოთ, რა გინდ დიდი სურვილი არ ჰქონოდათ საამისო...

პ-ლი მკვლევარი არც იმაშია მართალი, თითქო მიმართვის ავ-

---

76 „ქართლის ცხოვრებაჲ“ მათთვის უცნობი არ არის. ამას თვით აღნიშნავენ მიმართვის ავტორნი. და, თუ მიუხედავად ამისა „საჯის“ მიერ ტაძრის დაწვის ცნობა არ მოჰყავთ, ეს მხოლოდ იმას ჰნიშნავს, რომ XIII ს-ნის საეკლ. კრების მოღვაწეებს „დაწუეს ჯუარი მცხეთა“ ისევე ესმოდათ, როგორც ჩვენ და არა ისე, როგორც ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ გაიგო.

ტორნი იმ „უძნელბედობის ჟამს“ ჯალალისა და მონღოლების მიერ საქართველოს თავს დატეხილ აოხრებას ადარებდნენ: ორი ისტორიული მოვლენის შეფარდებით (ერთი 300 წლისა, ხოლო მეორე 30—40 წლის) ისინი მათი თანამედროვე ხანის უპირატესობას ვერ დაამტკიცებდნენ.

ისინი ერთი-მეორეს ადარებენ თავიანთ აწმყოს, როცა საქართველო, მართალია, მონღოლთ ვასალი, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ მთლიანი სამეფო იყო, იმ დროსთან, როცა ტფილისი „სპარსთა“ ხელში იყო, როცა იქ მუსლიმანი ამირა „ჯდომილა“.

XIII ს-ნის მოღვაწეთა თვალში დედა-ქალაქის უცხოთა ხელში ყოფნა მართლაც „უძნელბედესი ჟამის“ მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. მათ ვერ გაეთვალისწინებინათ, რომ მათი დროის ტფილისი, ეს ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი დიდი სახელმწიფოსი, სულ სხვა იყო შედარებით X—XI ს-ნის ტფილისთან.

მიუხედავად ამისა, მიმართვის ავტორნი, რა თქმა უნდა, მართალნი არ იყვნენ, როცა ამტკიცებდნენ, რომ ის დრო, როცა„ დიდი კათოლიკე ეკლესია შენებულა“, „უძნელბედესი“ იყო იმ დროსთან შედარებით, როცა მონღოლთა განმანადგურებელი მოხარკეობით გალატაკებული მოწინავე წოდება და საერო ხელისუფლება საეკლესიო ქონების მიტაცებით ცდილობდა გასაჭირის შემსუბუქებას.

მარტო ის ფაქტიც კი, რომ „უძნელბედეს ჟამში“, „დიდი კათოლიკე ეკლესია შენებულა“, ხოლო მათ დროს (XIII ს-ში) საეკლესიო ქონების მიტაცებას სისტემური და თითქმის დაკანონებული ხასიათი მიუღია, ფრიად საეჭვოდ ჰყოფს „ღირსთა მამათა“ ისტორიულ კონცეპციას „უძნელბედესი ჟამის“ შეფასების საკითხში.

ს. კაკაბაძე გადაჭრით აცხადებს „არავითარი „ჟამის ძნელბედობა“ საქართველოს არ ჰქონდა“ ჯაფარ ბენ მანსურისა (975 წლ. ახლო) და ჯაფარ ბენ ალის დროსაო (XI ს.-ის 20-იან—40-იანი წლები). პირველის დროს „იყო დავით კურაპალატის მძლავრების ხანა“, მეორის დროს კი ბაგრატ IV მეფობდაო (საისტ. კრებ. IV, 113).

გიორგი I მეფობის მეორე ნახევარში და ბაგრატ IV მეფობის პირველ ნახევარში, ე. ი. 1020—1031 წწ. „ძნელბედობის“ მძიმე სურათის[77] დასახატავად ჩვენ ნამდვილი და არა სადაო და

[77] ამ დროებში დაახლ. უნდა გვეგულისხმა მცხეთის ტაძრის აშენება, თუ მის ამშენებლად ცნობილ მელქისედეკ კათალიკოზს მივიღებდით.

სათუო ისტორიული ცნობები არ შემოგვაკლდებოდა, მაგრამ ამას არ ჩავდივართ, რადგან ეს იქნებოდა მეთოდოლოგიური შეცდომა, ჩვენი შეხედულების თავზე მოხვევა XIII ს-ნის მოღვაწეთათვის. იმისათვის, რომ ვიცოდეთ, თუ რას ჰგულისხმობდნენ საეკ. კრების მიმართვის ავტორნი „უძნელბედეს ჟამში", სრულიად არ არის საჭირო (და ეს შეცდომაცაა) ვეძებოთ უძნელბედესი, ჩვენი აზრით, ხანა ერთ-ერთის დროს სამ ცნობილ ჯაფარ ამირას შორის.

საჭიროა და სრულიად საკმაო იმის სწორად გაგება, თუ რისი თქმა სურდათ მათ. ისინი ნათლად გამოსთქვამენ თავიანთ აზრს და სათუო ამ მხრით არა რჩება რა: „... ამის უძნელბედესნიც ყოფილან მაშინ ჟამნი, ოდეს დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ შენებულა, ჰასრე რომე. ჯაფარ ამირად ჯდომილა თფილის და ქალაქი სპარსთა ჰქონებია". ჩვენ მიერ ხაზგასმული წინადადება არის ის, თუ რას ჰგულისხმობდნენ XIII ს-ნის საეკ. კრების მიმართვის ავტორნი იმ გარდასული ჟამის უძნელბედესობაში, როცა „დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ შენებულა" და ყოველი სხვა ძიება ამ ჟამისა იქნებოდა ტექსტის არა სათანადო გაგება.

სამივე ხანა, როცა „ჯაფარ ამირად ჯდომილა თფილის და ქალაქი სპარსთა ჰქონებია", უკვე ამით „უძნელბედესი" იყო XIII ს-ნის საეკ. მოღვაწეთა წარმოდგენით თავიანთ დროსთან შედარებით. ასე რომ, თუ ჩვენ სხვა რაიმე ნიშანი ვერა ვპოვეთ სვეტიცხოვლის ტაძრის აშენების დასათარიღებლად, აქ არჩევანს ვერ მოვახდენთ: სამივე ხანა თანასწორუფლებიანია[78].

ეხლა, როცა ჩვენ განვიხილეთ ს. კაკაბაძის ყველა მოსაზრება და აღმოჩნდა, რომ არც ერთი მათგანი მისაღები და დამაჯერებელი არ არის, დაბრკოლება რაიმე გარეთი ბჭის წარწერის ჩვენს წაკითხვაში ამ მხრითაც არ არსებობს.

ს. კაკაბაძის მიერ ყურადღება-მიქცეული XIII ს-ნის ცნობა იმით არის ძვირფასი, რომ საშუალებას გვაძლევს უფრო დაახლოებით განვსაზღვროთ სვეტიცხოვლის ტაძრის შენების დრო.

---

78 აქ შეგვეძლო ზოგადი მოსაზრებისათვის დაგვეთმო სარბიელი, თუ როდის ამ სამ ხანაში იყო მეტი შესაძლებლობა ასეთი აღმშენებლობისა და სხვ., მაგრამ აღნიშნულ ეპოქათა იმ არასაკმაო ცოდნის პირობებში, როგორშიაც ჯერ კიდევ ჩვენი ისტორიული მეცნიერება იმყოფება, ყოველი ასეთი მსჯელობა მეცნიერული ცოდნის პრეტენზიებს მოკლებული ტყუილ-უბრალო საუბარი იქნებოდა.

ასე რომ ჩვენი დასკვნაა: სვეტიცხოვლის ტაძარი „მეორედ აშენებულა“ XI ს-ნის პირველი მესამედის მეორე ნახევარში მელქისედეკ ქ. კ-ზის თაოსნობით, როცა ტფილისში „ჯაფარ ამირად ჯდომილა და ქალაქი სპარსთა ჰქონებია“.

დასასრულ არ შეგვიძლია დუმილით ავუაროთ ერთ მოვლენას, რომელსაც უამისოდ შეუძლია ჩვენი ასეთი დასკვნის სათუოობა გააძლიეროს.

საქმე ისაა, რომ სვეტიცხოვლის ტაძარი გარეთი ბჭის წარწერაში მოხსენებულია „მელქისედეკ, რომელმან მ ე ო რ ე დ ა ღ ა შ ე ნ ა წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიაჲ და ბჭჱ“...[79], მაშინ როცა ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის წარწერაში მელქისედეკის დროს (და მის მიერ) „ა ღ ე შ ე ნ ა ეკლესია ესე“...[80]. როგორც ვხედავთ, ერთი წარწერა მოგვითხრობს „მეორედ აშენებაზე“, მეორე კი „აშენებაზე“. როგორ ეთანხმება ეს მოვლენა ჩვენს დასკვნას?

სახუროთმოძღვრო ტერმინის შესწავლა-დადგენა ხუროთმოძღვრების ისტორიკოსთა საქმეა. მათ აქვთ საშუალება აქ ღამაჯერებელი საბუთიანობა წარმოადგინონ. სამწუხაროდ, ასეთი მუშაობა ჩვენში არავის გაუწევია. ამიტომ იძულებული ვართ სახელდახელო საბუთებით ვეცადოთ გავერკვეთ აქ წამოჭრილ კერძო საკითხში.

სათანადო დაკვირვებიდან ირკვევა, რომ ძველს ქართულში ტერმინი „აშენება“ ხუროთმოძღვრებაში ყოველთვის ერთი შინაარსით არ იხმარებოდა. ზოგჯერ „აშენება“ ახალის აგებას ნიშნავდა, ზოგჯერ კი ის მხოლოდ გადაკეთებას, განახლებას, რესტავრაციას გულისხმობდა. ამ უკანასკნელი საქმიანობისათვის სხვა ტერმინებიც არსებობდა: „მეორედ აშენება“, „ახლად აშენება“ და სხვ.

ასე რომ ამ ორი რიგის ტერმინებს შორის პირველი (=აშენება) გვაროვნული ცნების შინაარსისა ჩანს მეორის მიმართ, მეორე კი სახეობითისა პირუკუ — მაგალითები: ურბნისის სიონის განმაახლებელი თეოდორე ჯერ უზენაესისადმი მიმართვაში თავის თავს მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ს უწოდებს და შემდეგ მოგვითხრობს, რომ როცა ის ეპისკოპოს იქმნა „იყო ესე სიონი დაძველებულ უფროს ზომისა: ოთხნი კუთხენი და კონქი[81] გაპობილ იყვნეს,

---

79 —80 ხაზი ჩვენია. აგრეთვე წაკითხვაც.

81 დედნისეულ „კქი“ ბროსე „კათოლიკე“-დ კითხულობს, თაყაიშვილი — „კანკელი--დ.

სვეტნი ქტცი (?) დამპალ იყვნეს და მომმადლა ღმერთმა ამის ყოვლისაჲ ა ღ შ ე ნ ე ბ აჲ“...[82]. იქვე სხვა წარწერა იმავე „აღმშენებელზე“ შემდეგს გვამცნობს: „დიდებაჲ შენდა ქრისტე, რამეთუ მოჰმადლე[83] თეოდორე ებისკოპოსსა ამისსა აღშენებაჲ...“ (ე. თაყაიშვილი, o. c. 44).

ამავე ტაძარს 1668 წელს განაახლებს დედოფალი მარიამ და წერს „ა ღ ვ ა შ ე ნ ე თ ძირითურთ აღმოფხრული ტაძარი“-ო... (ე. თაყაიშვილი, o. c. 48; Brosse t, Voyage, VI, 14—16).

ჩვენ ვიცით, რომ ამ „ძირითურთ აღმოფხრული“ ტაძრის როგორც პირვანდელი გეგმა — „სიონი“, ისე უძველესი ნაწილები — ჩრდილოეთის კედელი — დღევანდლამდის დაცულია (ე. თაყაიშვილი, o.c. MAK IV, 142, Brosset, o. c.).

ასე რომ, როგორც თეოდორე, ისე მარიამი ურბნისის სიონის განმაახლებლები „მეორედ მაშენებლები“ არიან. წარწერებში კი ისინი „მაშენებლად“, „აღმაშენებლად“ იწოდებიან.

ცაიშის საყდარი აშენებული უნდა იყოს XI—XII საუკუნეში (თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგზ. II, 163). XVII ს-ნის დასაწყისში მიწისძვრამ ძალზე დააზიანა ის. მალაქია კ-ზი, რომელმაც აღადგინა ეს ეკლესია, სათანადო წარწერაში იხსენიება: „კ-ზი მალაქია ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი საყდრისა ამის“. შემდეგ იქვე თვით მოგვითხრობს, რომ მიწისძვრისას „საყდარიცა ესე ცაიშისა დაეცა, შეიმუსრა თავიდგან ვიდრე საფუძვლამდე“... და მეო „მ ე ო რ ე დ ჴ ე ლ ვ ყ ა ვ ა ღ შ ე ნ ე ბ ა დ ტაძარსა ამას“... მეორე ადგილას იგივე კ-ზი ამბობს: „...ახლად ჴ ე ლ ვ ყ ა ვ ა ღ შ ე ნ ე ბ ა დ საყდარსა და აღვაშენე ცაიშისა... საყდარი“ (ე. თაყაიშვილი, ი ქ ვ ე, გვ. 166—168, Brosset, Voyage, VII, 29,33—34).

პროფ. ე. თაყაიშვილის მოწმობით, ცაიშის საყდრის ძველი შენობიდან „შეურყევლად არის დაცული აღმოსავლეთის მხარის ქვემო ნაწილი, განსაკუთრებით საკურთხეველი“, ასე რომ მალაქიას გამოთქმა: „შეიმუსრა თავიდგან საფუძვლამდე“ — გადაჭარბებულია. ამდენადვე ეს კ-ზი ცაიშის „მეორედ მაშენებელია“, ან „ახ-

---

82 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგზ. და შენ. წ. I, 43—44; ხაზი როგორც აქ, ისე ქვემოთაც ჩვენია.

83 ბ რ ო ს ე კითხულობს: მიმადლე, თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი: მომმადლე.

ლად მაშენებელი“ და არა „აღმაშენებელი“. ამავე დროს ის, როგორც ვუჩვენეთ, ცაიშის „აღმაშენებლად“ იწოდება.

ქ“ ცა-ს ცნობით, გიორგი აფხაზთ მეფემ (X ს-ნის პირველ ნახევარში) „აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეფისკოპოსოდ და განაშუენა იგი“ (ქ. ცხ. 229, *452). ამავე დროს, როგორც გეგმა („ჯვარი“), ისე მთელი ნაწილები ამ საყდრისა უძველესი დროიდან დაცულია (ე. თაყაიშვილი, არხ. მოგზ. II, 39—42, Brosset, Voyage, VII, 11—17). ასე რომ გიორგი აფხაზთ მეფე შეიძლება მხოლოდ განმაახლებელი იყოს მისი. ქ“ცა-ს ცნობით კი მან „აღაშენა საყდარი“ და სხვ.

ნიკორწმინდის ტაძარი აგებულია ბაგრატ III დროს XI ს-ნის დასაწყისში (Brosset, Voyage XII, 55). ბაგრატ იმერთა მეფე კი 1534 წელს ამ ტაძრისადმი მიცემულ სიგელში ამბობს: ...ჭელვყავით აღშენებად დაკნინებულისა მონასტრისა ნიკოლოზ წმიდისა“-ო და ცოტა ქვემოთ... „ჭელვყავით ახლად აღშენებად და შემკობად ტაძრისა შენისა და გარდავაჭედინეთ ზეით ტყვიითა და სპილენძითა“-ო (ქრონ. II, 279).

მანგლისის ტაძრის წარწერები (სამწუხაროდ, აწ უკვე დაღუპული) გვარწმუნებენ, რომ „იქმნა დიდისა ამის საყდრისა აღშენებაჲ ქორონიკონსა სმ (=1020 წ.) (Е. Такайшвили, Арх.экск. разыск. и зам. III, 138—139. ბროსედან ნასესხი), ასეთი ცნობა აღშენების შესახებ იქ სამხელ ყოფილა განმეორებული. თითქო საეჭვო აღარა არის რა, რომ ეს ტაძარი მართლაც ამ დროს აუშენებიათ. მაგრამ ხუროთმოძღვრულმა ანალიზმა ნათელყო, რომ ამ დროს ტაძარი მხოლოდ გადაუკეთებიათ (Г. Н. Чубинов, Заметки о Манглиском храме: საქ. მუზ. მოამბე I, 33—62). ამრიგად აქაც „აშენება“ გადაკეთების შესატყვისობით არის ნახმარი.

დასასრულ, დღეს სადაო არავისთვისაა, რომ ალექსანდრე დიდმა მცხეთის ტაძარი მხოლოდ აღადგინა, რომ თემურ-ლენგის ურდოებს ტაძრის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლების დიდი ნაწილი დაუნგრეველი დარჩენიათ და რომ ამ ნაწილებმა ჩვენამდის მოაღწიეს. ალექსანდრე მეფე კი ამის შესახებ ლაპარაკობს, რომ მან ჭელყო „შენებად საყდრისა მცხეთისა“ (ს. კაკაბაძე, ისტ. საბ. II, 12), რომ ჭელყო... „ახლად განშენებად და განვრცომად“ (ქრონ. II, 237) და ბოლოს „აღვაშენე და განსრულდაო“ (იქვე) გვეუბნება. ასეთსავე გამოთქმებს („ვიგულსმოდგინე... საყდარ-

თ ა ა ღ შ ე ნ ე ბ ა დ“; „საყდარნი... ა ხ ლ ა დ ა ღ ვ ა შ ე ნ ე ნ და შ ე-ვამკუ(ნ“; „საყდარნი... ახლად აღგვიშენებიან...“) ხმარობს ის თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობის საერთოდ მოთხრობის დროს 1440 წლის ცნობილ სიგელში (ქრონ. II, 248).

აქედან, ვფიქრობთ, შემდეგი დასკვნა შეგვიძლია მივიღოთ: „აშენება“ ტერმინი იხმარებოდა, როგორც ახლის აგების (საამისო მაგალითების მოყვანა საჭიროდ არ დავინახეთ; ეს ისედაც ცნობილია), ისე განახლება, გადაკეთება, აღდგენის შინაარსითაც. „ახლად“ „კვალად“, „მეორედ აშენების“ ნაცვლად „აშენება“ ტერმინის ხმარებით ხაზს უსვამდნენ განახლების სიდიდეს, მის საფუძვლიანობას.

ეხლა მეორე რიგის ტერმინების შესახებ.

ოპიზა ააშენეს ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი მონაზვნებმა[84]. აშოტ კურაპალატმა ოპიზა „მეორედ ააშენა“ — „აშოტ კურაპალატი მეორედ მაშენებელი ოპიზისაჲ და წმიდისა ამის საყდრისაჲ[85], ე. ი. აშოტმა უკვე არსებული მონასტერი და ეკლესია გადააკეთა[86]; ქ˜ცა კი გვაუწყებს: „და მოკუდა გუარამ, ძე აშოტისი და დამარხეს ოპიზას, მეორედ მისგან აღშენებულსა“ (ქ. ცხ. 225, *446). ეს ცნობა დ. ბაქრაძემ, მის შემდეგ რაც მან აშოტის ზემო მოყვანილი წარწერა იპოვა, შეცდომად აღიარა[87]. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ქ˜ცა-ს ცნობა სწორია, ხოლო განსვენებული მკვლევარი ცდება. ის ფაქტი, რომ გვარამ მამფალი ოპიზას დაიმარხა, დიდ ნდობას ანიჭებს ქ˜ცის ცნობას (აშოტი კი არტანუჯში დამარხეს მის მიერვე აგებულ ტაძარში); ამავე მოსაზრებას უჭერს მხარს ბაგრატ IV-ის სიგლის ცნობა: ...„მოიღეს ოპიზართა დაწერილი გუარამ მამფლისაჲ, რომლითა მას ტყესა და ზღვარსა მიჯნაძოროელთა ერჩოდეს“ (ისტ. საბ. შიო-მღვიმის მონ. 8).

გამოდის, რომ გვარამ აშოტის ძეს „მეორედ აღუშენებია“ აშოტის მიერ უკვე „მეორედ აშენებული“ ოპიზა. აქ „მეორედ აშენება“

---

84 ქართული მწერლობა, წიგნი II, 1909 წ. „ცხორებაჲ... სერაპიონისი“, გვ. 5.

85 დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი 214; ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ისტ., 122, შენ. ბ. Н. М а р р, Житие Григ. Хандз. 160.

86 სწორედ ასევე ესმის ეს აკ. ნ. მარს. op. cit., loc. cit.

87 დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი 214; ვ ა ხ უ ტ ი, საქ. ისტ., 122, შენ. ბ.

თითქო ტექნიკური ტერმინი ჩანს გადაკეთების, განახლების შინაარსით. ასევე ორი „მეორედ მაშენებელი“ სხვადასხვა დროისა ჰყავს სამთავისის საყდარს — ბ რ ო ს ს ე ს წაკითხვით ერთი XI, ხოლო მეორე XVII—XVIII ს-ნისა (Voyage, XVI, p. 3 etc.).

გრიგოლ ხანძთელის დედის დისწული საბა იყო „იშხნის მეორედ მაშენებელი“. და ეს იმიტომ, რომ „იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანსა ზედა ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქურივებულიყო“ („საყდარი“ ე. ი. — ტახტი). „აწ კუალად იქმნა სულიერი ქორწილი და მეორედ აღეშენა ამის ნეტარისა მიერ, ხოლო ხორციელად მოღუაწებითა... მეფეთაჲთა“ (გრ. ხანძთ. გვ. ლ, 35—40).

კონსტანტინეპოლიდან მომავალ გრიგოლს და საბას „გამოეცხადა ღმრთისა მიერ. იშხნისა პირველი დიდებულებაჲ დაბასა მისსა და წმიდანი ეკლესიანი და ეუწყა, ვითარმედ კუალად განახლებად არს პირველისაებრ ჴელითა საბანისითა“ (იქვე, გვ. ით). ცხადია: „იშხნის მ ე ო რ ე დ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი“ საბა არის იშხნის კ უ ა ლ ა დ გ ა ნ მ ა ა ხ ლ ე ბ ე ლ ი ც“ (ხაზი ჩვენია).

რუისის ძველი საეპისკოპოზო ტაძარი თემურ ლენგმა ისე დააქცევინა, რომ მისი შეკეთება, როგორც ჩანს, შეუძლებელი გამხდარა. ამიტომ ახალი ტაძარი (უფრო პატარა) აუგიათ ძველის ნანგრევებიდან. ეს ახლად აგება მოხდა ალექსანდრე დიდის სახელით და სათანადო წარწერაც ამ ეკლესიისა გვამცნობს: „ზე ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფობა დიდისა ალექსანდრეს, რომლისა მიერ კუალად აღეშენა საყდარი ესე“[88].

ამრიგად ალექსანდრე არის რუისის ეკლესიის „კ უ ა ლ ა დ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი“.

ს. ვალეს ბაზილიკა XVI ს-ში აღადგინა ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლემ დედისიმედმა. სათანადო წარწერაში კი გვამცნობს: „...მე... დედისიმედმან მეორედ აღვაშენე წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ“-ო[89].

აქედან, ვფიქრობთ ცხადია, რომ: 1) „აშენება“ ტერმინში ახალის აშენების გარდა შეიძლება გადაკეთება, საფუძვლიანი შეკეთება,

---

[88] B r o s s e t, Voyage, VI, 7: ქრონიკ. II: 252: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგზ., I. 105-106.

[89] Изв. К. О. И. М. А. общества, вып. II, 69-76; შდრ. МАК, вып. IV. 72 etc.

აღდგენა იგულისხმებოდეს; 2) ზოგჯერ „მეორედ აღშენება“-ის ან, „ახლად აშენება“-ის ნაცვლად „აშენება“ ტერმინს ხმარობდნენ 3) „მეორედ აშენება“ არ შეიძლება ნიშნავდეს ძველთან ყოველგვარი მიმართების გაწყვეტას და ამიტომ 4) ახალი გეგმით რაისამე ახლად აგებას, საეჭვოა „მეორედ აშენება“ ეწოდოს; დასასრულ, 5) ამ გამოთქმაში („მეორედ აშენება“) უმთავრესად საფუძვლიან შეკეთებას ან გადაკეთებას ჰგულისხმობდნენ.

შეიძლება ყველა ეს მოსაზრება სწორი არ აღმოჩნდეს, ზოგს კიდევ შესწორება დასჭირდეს.—ეს შემდგომი დაკვირვებისა და უფრო ზედმიწევნითი კვლევის საქმეა (საამისო ამ ჟამად არც დრო და არც საშუალება ჩვენ არა გვაქვს),—მაინც ვფიქრობთ, რომ პირველი ორი მოსაზრება საეჭვო არ არის და ჩვენთვის კი ეს სრულიად საკმაოა: ის სპობს იმ მოსაჩვენარ წინააღმდეგობას, ჩვენი დასკვნის შედეგად რომ წამოიჭრა მცხეთის ტაძრის კედლისა და გარეთი ბჭის წარწერათა გამოთქმებიდან. ნამდვილად კი კედლის წარწერა არ ეწინააღმდეგება ბჭის წარწერას: პირველი („აღეშენა“) ზოგადი (გადაჭარბებითი) გამოთქმა მელქისედეკის საქმიანობისა ტაძრის მიმართ, ხოლო მეორე („მეორედ აღაშენა“) უფრო ზედმიწევნითი.

საბოლოოდ გამართლდება თუ არა ჩვენი დასკვნები, ამას ახალი ფაქტების მოპოვება გადასწყვეტს. ჩვენ ხელთ არსებული ცნობები კი, როგორც დავინახეთ, არ იძლევიან საკმაო საბუთს მცხეთის ტაძრის შენების ეს ხანა XI ს-ნის 20-30-იან წლებს დავაშოროთ.

მიღებული დასკვნები გვავალებს ეჭვის თვალით შევხედოთ მელქისედეკის ანდერძის ერთ ადგილს, რათა ამ ძეგლის მიერ ჩვენი დასკვნების არ დამოწმება ავხსნათ.

ჩვენი ძეგლის XVII ს-ნის პირის მიხედვით (სამწუხაროდ XII ს-ნის პირს ეს ადგილი არ შემოუნახავს) მელქისედეკმა „შეამკო“ მცხეთის ტაძარი. აქ მის „აშენებაზე“ ან „მეორედ აშენებაზე“ არაფერია ნათქვამი. მართალია, „შემკობა“ ფრიად მნიშვნელოვანი ჩანს. მაგრამ ყოველივე ეს „აშენება“ ან „მეორედ აშენება“ კიდევ ვერ არის და რომ ამ „შემკობას“ არ ჰგულისხმობდნენ „აღაშენას“ დამწერნი, ეს იქიდან ჩანს, თუ სადაა მოთავსებული ეს წარწერა. „აღეშენა“ და „მეორედ აღაშენა“ აქ გადატანითი მნიშვნელობით არ უნდა იყოს ნახმარი (რაც თამამად შეიძლებოდა ასეთ საფუძვლიან „შემკობას“ დარქმეოდა), არამედ მისი პირდაპირი მნიშვნელობით.

ამიტომ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დავსვათ კითხვა: ხომ არ

შეიძლება ასეთი ცნობა ჩვენი ძეგლის დამახინჯება ნაკლულევანებაში ვეძიოთ.

სახელდობრ ადგილი:—„მას ჟამსა ოდეს უღირსი ესე ღირს ვიქმენ საჭეთ პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულოჲსა ეკლესიისა და შევამკევ სალხინებელად“[90] და სხვ. — ხომ არ შეიძლება ნაკლულევანად მივიჩნიოთ და „შევამკევ“ გამოთქმის წინ სიტყვა ან მთელი სტრიქონიც გამოტოვებულად ვივარაუდოთ, სადაც უნდა ყოფილიყო ცნობა ტაძრის „აშენებისა“, „მეორედ აშენებისა“ თუ „ახლად განშენებისა და განვრცომის“ შესახებ?

აწ შესაძლებელია დავუშვათ აგრეთვე, რომ „შევამკევ“-ის ნაცვლად აქ დედანში ეწერა „აღვაშენე“ ან „კ᾽დ აღვაშენე“ და სხვა ამის შესატყვისი და გადამწერმა უგულისყურობით ქვემო სტრიქონის „შევამკევ“ დასწერა ამის ადგილას?

მართებულია თუ არა, ჩვენი დასკვნა ასეთ დაშვებას გვავალებს.

1930 წ. იანვარი.

---

90 იხ. ტექსტი სტრ. 10—13.

~ ტექსტი

ქ. სახ̇ელითა ყოვლად სახიერისა ღმრთისა მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისაჲთა, მეოხ|ბითა ყოვლად წმინდისა ღმრთის მშობ-ლისა-თა, ძლიერებითა ცხოველს მყოფელისა და პატიოსნისა ჯუარი-საჲთა, შეწევნითა ყოველთა ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყან|ი̇ისა-თა ესე დაწერილი მოვაჴსენე და შევსწირე ყოველთავე ჩრდილოე-თისა კედა (5$_1$)-რთა შორის უაღრესსა და უაღმატებულეს-უდიდებუ-ლესსა, წმიდასა და კათ|ოლიკე და სამოციქულოსა საყდარსა მცხეთი-სასა, სალოცველსა და სახლ|სა ღმრთისა დიდებისასა, და მას შინა ღმრთივ|აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა, | კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღმერთ მყოფელსა და წმიდა მყოფელსა | ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზ პატრიაქმან მ ე ლ ქ ი (10$_1$)[1] ზ ე დ ე კ მას ჟამსა, ოდეს უღირსი ესე[1] ღირს ვიქმენ სა-ჭეთ პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულოჲსა ეკ-ლესიისა და შევამკევ სალხინებელად სულისა ჩემისა და წარსამარ-თებელად ქრისტიანეთა. და შევამკევ ყოვლითავე | სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარეშემო სტოითა მოქმნითა და ზედადაბურ|ვი-თა. და შევამკე ყოვლითა სამკაულობითა, ოქროჲთა და ვეცხლითა. თუალითა და (15$_1$) მარგალიტითა და საღმრთოთა[2] [წიგნთა][3] დაწე-რითა. და შევ[4] (0) ჭედე სუეტი ცხოველი ოქროჲთა და| ვერცხლითა; და შევჭედე წმიდაჲ საკურთხეველი ო[ქროჲთა] და ვერცხლითა, თუა-ლითა და მარგალიტითა; და მოვჭედენ კან|კელნი და კარნი საკურ-

---

1 ეს სიტყვა სტრიქონს ზემოდან სწერია ტექსტისავე ხელით.

2 „და საღმრ“—ეს ორი სიტყვა A პირშიაც არის ამ სახით გადარჩენილი.

3 ამ სიტყვის მაგივრად სტრიქონს ზემოდან ტექსტისავე ხელით სწერია: „წიგნებით“.

4 აქამდის იბეჭდება B პირის მიხედვით, ხოლო აქედან დასასრულამდის A პი-რის მიხედვით.

თხეველისანი [ოქროჲთა] და ვერცხლითა; და| შევქმენ ძელნი ცხოვ-
რებისნი ოქროჲსანი: ბ-ნი:თუალითა და მარ(5)გალიტითა; და შევქმენ
წმიდაჲ ესე სამარტჳილოჲ ოქროჲთა და ვ|ცხლითა, თუალითა და
მარგალიტითა. და ამასა შიგან დაუსუენენ ყო| ველთა წმიდათა ნა-
წილნი აურაცხელნი და ძელი ცხორებისაჲ;

და და|უსუენე ხატი ოქროჲსაჲ, რომელი მიბოძა კ ო ს ტ ა ნ ტ ი
ბერძენთა მე| ფემან, და სამარტჳლოსავე შიგან დაუსუენე ხატი ესე
წმ (10) იდისა ღმრთის მშობელისაჲ შემკობილი ოქროჲთა, თუალითა
და მარგალი|ტითა, რომელი მიბოძა ბ ა ს ი ლ ი ბერძენთა მეფემან,
და ხატი ესე დიდი მაც|ხოვრისაჲ საროთითა და გარეშემო თუალითა
შემკობილი, და სხვაჲ|ხატი მაცხოვრისაჲ ვეცხლისაჲ. ოქროჲთა
ცურვებული, და ხატი ნ|ათლისმცემელისაჲ: ა:-ი, და თევდორესი: ა:-
ი, და საროთითა შექმ(15)ნილნი, ოქროჲთა და ვეცხლითა შეჭე-
დილნი, და სხუაჲ ხატები, საროთი|თა და ოქროფორტლითა და-
წერილნი, ჩემნივე დასუენებულ|ანი რიცხჳთნ~ე:

და ბარზიმ ბეშხუემი ოქროჲსაჲ, თუალი*|თა და მარგალიტითა
და მინაჲსა ხატებითა შემკობილი, კოვზი ოქ*[რ] ოჲსაჲ და ხჳრნი ოქ-
როჲსანი, თუალითა და მარგალიტითა შეკაზმ* (20)ულნი, და სამწე-
რობელნი ოქროჲსანი, და მარგალიტითა შე|მკობილნი, და საცეცხურ-
ნი და სასაკუმევლენი ოქროჲსანი, და სხუანი საცეცხურნი დიდნი
ვეცხლისანი, სასაკუმევლენი დიდნი, ორნი|ვე ოქროჲთა ცურვებულნი
და სადაგნი საცეცხურნი, და სასაკუ|მევლენი ვეცხლისანი დიდნი: ა:
და სათანაონი საცეცხურნი (25) და სასაკუმევლენი ვეცხლისანი ა:,
და ჯუარი ვერცხლისაჲ სა* თა ნაოჲ ა:, და ვერცხლისა ტაშტაბრაგი
დიდი წყვილი ბ: და ბე*რ|ძუ*ლი ტაშტაბრაგი ვეცხლისაჲ ოქროჲთა
ცურვებული: ა*:

და წიგ[ნ]ნი საღმრთონი, რომელთა სახელები ესე არს: სახარე-
ბისა თარგმა|ნი დიდი: ა:—მათესი, მარკოზისი და ლუკაჲსი, და იოვა-
ნეს თავისა სა*(30)ხარებისა თარგმანი წიგნი: ა; და სახარებანი ოთხ-
თავნი: გ:, სა|თანაოჲ ოთხთავი სახარებაჲ: ა:—გარე თუალითა და
მარგალიტითა | შემკობილი, და მოწამეთა წიგნნი დიდნი—ზამთარი

---

5 ამ უ-ნის შემდეგ ნაგვიანევი ნუსხურით საფენ ქაღალდზე სწერია ჳ.

* ვარსკვლავით აღვნიშნავ შემდეგ დროში გაცხოველებულ ასოებს, ხოლო შავად აწყობილი სიტყვა, მარცვალი გინა ასო საფენ ქაღალდზე სწერია სხვა ხელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზაფხული, გარე ვე|ცხლითა შეკაზმულნი, ღილოკილოჲთა ვეცხ-
ლისაჲთა: ბ:, და მღდელთ მო|ძღუართა წიგნი დიდი საწელიწდოჲ
ვეცხლითა შეკაზმული: ა:, და მარგ(35)ალიტი წიგნი წინამძღუარი:
ა:, დევლოღონი წიგნი: ა:, იოვანეს გამოცხადებ[ა ჲ]|წიგნი: ა:, დედი-
ძმასა ჩემსა ანტონის ებოძა ჩემდა ანდრია სალოსი[ს] | ცხო[რებაჲ]
წიგნი: ა:, დავითისა თარგმანი წიგნი: ა:, სათანაოჲ მრავალთავი |
ა*:, საწელიწდოჲ იადგარი ახალი: ა:, და კურთხევანი, რომელსა
შინა სწერია ეკ|ლესიისა კურთხევაჲ, ხუცეს დიაკონთა კურთხევაჲ,
გარე ოქროჲსა ხ[ა]|(40) ტითა და ცუარითა მოჭედილნი: ა:; კურთხევა-
ნი სხუანი საწელიწდონი სრ[უ]|ლნი ყოვლითა ფერითა, გარე ვეცხ-
ლისა ცუარითა მოჭედილნი: ა:, შჯულ[ის]|კანონი ახალი: ა:, მარ-
ხვანი. რომელ სამეფოს იტყჳან: ა:, და სხუაჲ წიგნ*ი|ბი თავ*ი: ᲩᲐ:;
და ორად გაყოფილი იადგარი მეხური, რომელსა შიგან განგებაჲ
საწელიწდოჲ სწერია: ა:, მატიანენი საშინაონი და სააღაპენი
ვე(45)ც*ხლითა მოჭედილნი: ა:, და მატიანენი სათანაონი ვეცხლითა
მოცუარუ[ლ]|[6]ნი: ა:, ჟამის წირვანი სათანაონი: ა:.

ესე წიგნები, რომელ მე დამიწერიან | ჯუმლად არს თავი: კ~ე:.

საწიგნენი ოქროჲთა და ვეცხლითა ცურვებულ[ნი] ა: საკელაპ-
ტრენი დიდნი სპილენძისანი: ა:, და შედეგნი: ა:, საკელაპტრენი
ვეცხლი თა ცურვებულნი: ბ:, საკელაპტრენი რკინისანი დიდნი: ა:.

და შესამოსელი სამღუდელთ(50)მოძღუროჲ ოქსინოჲ, უღლითა
ანაფორითა, ხატოვანითა, ოქროვანი[თა] | და ყოვლითავე სრული: ე:.
სამკლავენი: ა:, მაზარაჲ ნივანდარი; ა:, მწუანე ა:, და კუე[7] რცხის
გული მაკ~ნ ბერძული ოქროჲთა: ა: და ბერძენთა მეფისა რ ო მ ა-
ნ ო ზ ი ს ნაბ ოძვარი შესამოსელი ოქროქსოჲლი: ა:, და მაზარაჲ ოქ-
როქსოჲლი: ა:; სან[ა]წილე ოქსინოჲ: გ:; და ზ~ესაპყრობელი ხატოვა-
ნი ოქროჲთა ა:, სადაგნი|სანაწილე (55)ნი: ბ: და რომელ ეზონი ჩემნი
დაკიდებულნი არიან, ბერძენთა მეფემან ბ ა ს ი ლ ი მიბოძნა, და*
ვჰკიდენ ოქსინონი: გ:, და სუნდუსნი: გ:, კუერცხის გული სუნდუსი
ა:, ს*კა|რამანგნი დიდნი გარე შეოლვილნი, ვეცხლისა გრგოლითა
შეკაზმულნი: ᲩᲐ:, და ბ ა | გ რ ა ტ კურაპალატისა ნაბოძვარი დიდი
სკარამანგი: ა:.

და მონასტერნი და სოფელნი, რ|ომელ მე მომიგიან ამის წმი-

---

6 აქ საფენ ქაღალდზე უ-ნის შემდეგ ნაგვიანევი ნუსხურით სწერია: „არლ“.
7 აქ უ-ნის შემდეგ საფენ ქაღალდზე სწერია: ᲩᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისა დედაქალაქისათჳს: ბერძენთა მეფემან ბ ა ს ი ლ [ი] (60) მიბოძა მონასტერი დიდი, რომლისა სახელი არს კ ე ს ტ ო რ ი, რომელსა სოფელი აქუს: რ~ე: და|ტ ა ო ს ვიყიდე სოფელი ზ ა დ კ ა რ ე კ ი ხუთითა აგარაჲთა; და ძ ა ღ ლ ი ს ჴ ე ვ ს ვიყიდე| სოფელი ო რ თ ა ჲ სამითა აგარაჲთა; ესე ორნივე სოფელნი მათითა აგარაჲთა ძ|მათა ჩემთა განძითა ვიყიდენ და დაუდევ ამას წმიდასა დედაქალაქსა შიგან აღაპი|დღე ხარებაჲ; და კ ლ ა რ ჯ ე თ ს მოვიგე სოფელი: ა: ს ხ ლ ო ა ნ ი; და შ ა ვ შ ე თ ს მოვიგე [ს|(65) ოფელი დიდი ს ხ ლ ო ბ ა ნ ი, აგარაჲ მისი ნ ა ღ უ ა რ ე ვ ი; და ჯ ა ვ ა ხ ე თ ს მოვიგე [სო]ფელი ტ ო ნ თ ო ჲ; და კ ო ლ ა ს მოვიგე და ავაშენე სოფელი დიდი ო რ ო ტ ა ნ ი აგარაჲთა; და ფ ა ნ ა ვ რ ა ს ავაშენე სოფელი: ა: მ ა ხ ა რ ო ნ ი; და ს ა კ ო [-][8]|ე თ ს შევიპყრენ და ავაშენენ სოფელნი: ბ: ნ ა ქ ა ლ ა ქ ე ვ ი და ბ ე რ დ ა ძ ო რ ი; და | ქ ა რ თ ლ ს: მონასტერი პ ა ლ ა ვ რ ა ჲ ოთხითა სოფლითა, და ც უ ქ ი თ ი შესავა (70) ლითა მისითა, ყ ი ნ ც უ ი ს ი შესავალითა მისითა, და შ ი ნ დ ე ბ ი ს ა ნახევარ[ი, და] | კ უ რ ბ ი თ ს საზნაუროჲ კარგი სოფელი: ა:; ჩ ო ჩ ე თ ს უბანი: ა: მიწაჲ და ვ[ე]ნაჴი სასეფოჲ, ზ ე გ ა ნ თ ა სოფელი: ა:, შ ი დ ა რ ი სოფელი: ა: და კ ა ხ ე თ ს ა ხ ა ტ ა ნ ს უბა|ნი: ა:, და ნ ო ს ო რ ნ ა ჲ სოფელი: ა:; და ჰ ე რ ე თ ს მონასტერი დიდითა ძალითა ლ ა გ ო დ ე ჯ ი, და ჰ ე რ ე თ ს ვ ე კ ა ტ ე ხ ი ს ა ე კ ლ ე ს ი ა ჲ შესავალითა მისითა და კ ა კ ს ვაჭარ[ნ] (75)ი: ი~ბ: და ზ ი ა რ ი სოფელი დიდი: ა:, ესე ყოველი სოფელი, რომელ მე მომიგია: რ: ლ: ე:

და რომელნი სოფელნი ძუელად ჰქონდეს ამას წმიდასა დედაქალაქსა, შესავალნი ყუნეს დ[ა]|მე მოვაჴსენე გამზრდელსა ჩემსა ბ ა გ რ ა ტ კ ურ ა პ ა ლ ა ტ ს ა და შეუ|ვალად გამიჴადნეს და მიბოძეს სიმტკიცე შეუვალობისაჲ და რომელი ქა/ლაქისა გასავალი იყო ამის წმიდისა დედაქალაქისაგან: ცხუარი, ცხენი, ღ3(80)ნოჲ ზედანი და რაჲცა იყო, ყ ო ვ ე ლ ი ა ლ ი ა მ ი რ ა მ ა ნ ამოგჳგდო და ავჰკადე|ამას წმიდასა კათო|ლიკე ეკლესიასა. და ყ ო ვ ე ლ ნ ი სოფელნი, რომელნი წმიდისა ამის კათო|ლიკე ეკლესიისანი არიან, ავაშენენ და დავდგენ ყ ო ვ ე ლ გ ა ნ სახლნი, და ავაგენ ეკ*ლესიანი რიცხჳთ ყ ო ვ ე ლ ნ ი ვ ე.

აწ წმინდანო მღუდელთმოძღუართა მთავარნო, რომელნი შემ-

---

8 აქ რაღაც ასო ამოგლეჯილი უნდა იყოს.

9 აქ ა-ნის შემდეგ ტექსტისავე ხელით ქ-ანი სწერია, რომლის შემდეგ უნდა ყოფილიყო კვლავ ა-ნი (ქაღალდი ამ ადგილას ამოგლეჯილია): „ქა“ შეცთომით ორჯერ დაუწერია.

დგომად ჩემსა ღირს იქმნეთ წინამძღურად წმიდასა ამას დედაქ-
ალაქსა და იხილნეთ ნაქმარნი ესე ჩემნი, წმიდასა ლოცვასა თქუენსა
მომიჯსენეთ საწყალო(85)ბელი ესე სული ჩემი, რაჲთა თქუენცა
ღმერთმან სასყიდელი მოგანიჭოს. ამინ. ქრონი|კონი იყო: ს: მ.

და ამათ ყოველთა ნაქმართა ჩემთა შემდგომად სამხრით სად-
ეაკონოსა, წმიდათა მოწამეთა სამარტჳლოსა შიგან შევქმენ საფ-
ლავი | ჩემი და დავდგი საკურთხეველი, და ამა საკურთხეველსა ზე-
და დავაყენე (90) ჟამის მწირველად ცოდვილისა სულისა ჩემისა-
თჳს გაზრდილი | ჩემი ი ო ვ ა ნ ე **საფლავსა ჩემსა ზედა.** და უჩინე
ამა საკურთხეველსა ჩემსა და ჟა*|მის მწირველსა და მივსცენ თ ე ძ ს
გლეხი სამნი ფუძითა | სრულითა და ვენაჯი: ა:, **მიწაჲ:** ა:, **წისქჳლნი**
ა:, **და ჭალაჲ,** და ო ტ|ა თ ლ ო ა ნ ს გლეხი: ა:, ც ი ხ ე დ ი დ ს გლეხი:
ა:. ორნივე ფუძითა სრულით[ა][10] (95) და ვენაჯი: ა:, მ ც ხ ე თ ა ს სე-
ნანი: ა:, ბოსელი: ა:, ყანაჲ: ა:; და ვენაჯი | მცირე:; ესე ყოველი თა-
ვისუფლობით შეუვალად ჰქონდის ყოვლის|ა შესავალისა სასეფო-
ჲსაგან, დიდისა და მცირისაგან. და არავისა [ა] ქუს ამას ზედა ჯელი
თჳნიერ ხუცისა, რომელი საკურთხეველსა ამა| ს ჩემსა ზედა ჟამსა
წირვიდეს.

ესე სიცოცხლესა ჩემსა გა[ნ]ვა(100)გე და, ვითა ზემოჲთ დამი-
წერია, ი ო ვ ა ნ ე საკურთ**ხევე**|ლსა ჩემსა საფლავთა ჩემთა ზედა ჟა-
მის მწირველად დავადგი|ნე და მიუთუალე ესე გასარომელი. ვირე
ცოცხალ იყოს, დგეს საკურთხეველსა ჩემსა ზედა, ჟამსა წირვიდეს
და მილოცვიდეს; და შემდგომად მისსა შვილთა და შვილის შვილთა
მისთა დაუტეოს და იგი დგეს, ჟამსა .წირ(105)ვიდეს და გჳლოცვი-
დეს. და შეუცვალებელად ჰქონდის ესე **გასარომელი** | საკურთხეველ-
სა ჩემსა საფლავთა ჩემთა ზედა ჟამის მწირველსა ხუ|ცესსა უკუნი-
სადმდე ჟამთა, ვირემდის წმიდაჲ ესე დედაქალაქი ეგოს. და ამა სა-
მარტჳლოსა შიგან საკურთხეველი ჩემი შევმოსე სკარამანგითა,| მოვ-
ჰედე ვეცხლითა, დავდგი ბარზიმ-ბეშხუემი ვეცხლისაჲ და კო(110)-
ვზი ვეცხლისაჲ, სანაწილე და ასაპყრობელი, და საცეცხურნი, და სა-
საკუმეველენი ვეცხლისანი, შესამოსელი საკარამანგი: ა:, ზეწარი: ა:;
და დავჰკიდე |ეზოჲ სკარამანგი შეოლვილი ა:; და ამას წმიდასა დე-
დაქალაქსა შიგან| დავიდევ აღაპი თუესა იანვარსა: კ: დ:—დღესას-
წაულსა ყოველთა წმიდათასა; ღამის თევით და ჟამის წირვით აღე-
სრულებოდის.

აწ წმიდანო (115) მღუდელთ-მოძღუართა მთავარნო, რომელნი

10 აქ საფენ ქაღალდზე ზედმეტი „თა“ სწერია.

შემდგომად ჩუენსა და შემდგომითი შემდგომად ღირს|ქმნეთ წინამ-
ძღურად წმიდასა ამას კათოლიკე ეკლესიასა და | ჰნახნეთ ნაქმარნი
ესე ჩემნი, განგებული ესე და განწესებული, რომელ ცოდვილისა
ამის სულისა ჩემისათჳს დამიც და მიჩენია, შეუცვალებელად და
უქცეველად და |ამტკიცეთ, რაჲთა შემდგომად თქუენსა სულისა
თქუენისათჳს განგებული და განწესებული თქუენი და(120) ემტ-
კიცოს.

და რომელმან ქართლისა კათალიკოზმან, გინა რამანცა გუარ-
მან კაცმან შემდგომად ჩემსა და შემდგომითი | შემდგომად, ვირემდის
წმიდაჲ ესე დედაქალაქი ეგოს, ნაქმარი და განწესებული ესე სუ-
ლისა ჩემი|სათჳს შეცვალოს, რომელ ზემოჲთგან ქუემომდენ დაგჳ-
წერია, რასაცა ქ|მსა რაჲსაცა მიზეზისა მოღებითა აქციოს ანა ამ
საკურთხეველსა და საფლავთა | ჩემთა ხუცესი და ესე გასარომელი
მისი მოაკლოს, ანუ აღაპი ჩემი და ძმათა (125) ჩემთაჲ შეცვალოს,—
ჰრისხავსმცა მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ, და წმიდაჲ კათოლიკე ეკლე-
სიაჲ |სუეტი ცხოველი ხატი ღმრთაებისაჲ, წმიდაჲ ღმრთისმშობელი,
ძელი ცხორებისაჲ და | წმიდანი ესე მარტჳლნი, და კიდემცა არს
წესთაგან საეკლესიოთა, და ნაწილიმცა მისი იუდას თანა|არს, რო-
მელმან განყიდა უფალი ჩუენი იესჳ ქრისტე, და დამცაისჯების
უარისმყოფელთა ღმრთისა|თა თანა.

ესე ვითა ზემოჲ დამიწერია, ესე ქუემოჲთ ჴელითა ჩემითა და-
შიმ(130)ტკიცებია, ვინ აქციოს, კრულია დაუსაბამოჲსა ღმრთისა
პირითა, წმიდისა ღმრთის|მშობელისა მადლითა, წმიდისა კათოლიკე
ეკლესიისა მადლითა, წმიდათა მოციქულთა მადლ|ითა და ყოველთა
წმიდათა მადლითა; კრულმცა [ა]რის სულით და ჴორცით ორსავე
ცხორ|ებასა ამისი გამტეხელი; და ვინ დაამტკიცოს, ჯუარი და კურ-
თხევაჲ აქუს.

თქუენ, | წმიდანო მღუდელთ მოძღუარნო, რომელთა ესე დაწე-
რილი და განგებული სულისა ჩემისაჲ ჰნა(135)ხოთ, თქუენ სიმ-
ტკიცე დაწერეთ.

ღმრთივ დიდებულნო, ძლიერო ბ ა გ რ ა ტ აფხაზთა მეფეო
და, ნებითა ღმრთისა-თა ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატო
და | ძლიერო მეფეო[11] კ ჳ რ ი კ ე, არწმუნოს ღმერთმან მეფობასა
თქუენსა, ესე დაწერილი და გან | გებული სულისა ჩემისათჳს ჴელითა
თქუენითა დამიმტკიცეთ| .

---

11 აქ დედანი ვაურკვეველია; საფიქრებელია „მეჳფეო"; წინარე სტრიქონი კი იძლევა ფორმას: „მეფჳო".

ესე ვითა ზემოთ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზსა დაუ-
წერია და საქმე სულისა მისისაჲ გაუ(40)გია, მე ბ ა გ რ ა ტ ს,
ნებითა ღმრთისაჲთა, აფხაზთა მეფესა და კურაპალატსა ჴე|ლითა
ჩემითა დამიმტკიცებია. მტკიცე არს და უქცეველ ნებითა ღმრთისა-
ჲთა|.

ესე ვითა, დიდებულ ყავნ ღმერთმან სული მათი, მ ე ლ ქ ი ზ ე-
დ ე კ ს ქართლისა კათალიკოზსა სულისა მათისათ|ჳს გაუგია და და-
უწერია და შედეგად, ადიდენ ღმერთმან, ბ ა გ რ ა ტ კურაპა|ლატსა
ჴელითა მათითა ჩაურთავს და დაუმტკიცებია, მეცა კ ჳ რ ი კ ე მე-
ფესა, (145) დისწულსა კ ჳ რ ი კ ე მეფისასა ჴელითა ჩემითა ჩამირ-
თავს და დამიმტკიცებია. | მტკიცე არს და უქცეველ ესე და ვინ
უქციოს, ესემცა ზემოჴსენებულნი | წმიდანი ყოველნი ჰრისხვენ.

კ ჳ რ ი ე ლ ე-სონ, ესე ვითა სულდიდებულსა და სულკურთხეულსა
გამზრდელსა და შემოქმედსა ჩემსა და, ვიკადრო, მამასა მ ე ლ|ქ ი ზ ე-
დ ე კ ქართლისა კათალიკოზსა დაუწერია და გაუგია თავისა სული-
სათჳნ; ადიდენ (150) ღმერთმან, ძლიერთა მეფეთა დაუმტკიცებია,
მეცა გლახაკსა, ულირსსა,| რეცა სახელით კათალიკოზსა დამიმტკი-
ცებია. ქრისტემან პირმტკიცეჲ ყავნ ბრძანებაჲ მათი და ვინმცა| აქ-
ცია ანუ შეცვალა ბრძანებაჲ მათი ქრისტეანეთაგანმან კაცმან.

ესე ვითა სულდიდებულსა—მამასა ჩემსა მ ე ლ ქ ი ზ ე დ ე კ ს
ქართლისა კათალიკოზსა ი ო ვ ა ნ ე ს დ ა | დაუწერია, და მათისა სუ-
ლისა მლოცველად ჟამის მწირველად დაუწე(155)სებია, და მისი გა-
სარომელი უჩენია, და თავისა ჴელითა სიმტკიცე | დაუწერია, ადი-
დენ ღმერთმან, ძლიერთა მეფეთა დაუმტკიცებია, და მეცა | გლახაკსა
ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა ო ქ რ ო პ ი რ ს ა ჩემითა ჴე-
ლითა | დამიწერია და მათი ბრძანებული დამიმტკიცებია. და მტკიცე
არს უკუნისადმდე | ი ო ვ ა ნ ე ს თ ჳ ს, და ნებიერი არს ი ო ვ ა ნ ე
[ყოვლისა] ამის მ[ათი]სა (160) ბრძანებულისა ვისთჳსცა ი ო ვ ა ნ ე ს
უნდეს მიცემად და დატევე|ბად. და ვინცა ვინ, რამანცა გუარმან კაც-
მან, რასაცა ჟამსა ამი|საგანი რა-ცა დააკლოს და შეცვალოს, კრულ-
მცა არს [ღმრ]თისა ს[იტყუ|ა]თა, წმიდათა მოციქულთა ჯუარითა,
წმიდისა კათალიკე ეკლესიი სა| მადლითა და ჩუენითა ჯუარითა მკუ-
დარი და ცოცხალი| მისი . .][12] (165)ცათა შინა და ქუეყა-

---

12 აქ № 631 პირი აღადგენს: „კრულმცა არს“. თუმცა კონტექსტით სწორედ ასეთი აღდგენა თითქოს სამართლიანია და დაზიანებული ადგილის ოდენობაც არ ეწინააღმდეგება ასეთს, მაგრამ ასოების ნაშთები არ ამართლებენ მას.

ნასა ზედა. ვინ კულა არაჲ უქციოს, არცა ამისაგანი შეცვ|ლოს, არსმ-
ცა კურთხეულ ღმრთისაგან და ჩუენგან.

ვარიანტები

A პირის მიხედვით: 2 თკალითა; 4 თკ~ალითა; 5 სმ~რტუილჲ; 6 თკალითა; 7 აორაცხელნი; 7/8 დაოსუენე; 9 სამარტუილოსავე; 12 სხკ~აჲ; 15 სხკ~ჲ; 17 რიცხუით; 18/19 ოქროჲსა; 19 ხუირნი; 21 სასაკომევლენი; 22 სასაკომევლენი; 23 ცორვებულნი; საცეცხორ-ნი; 23/24 სასაკომევლონი; 24 საცეცხორნი; 25 სასაკომევლენი; 26 ტაშტაბრაჲგი; 27 ცორვებული; ტაშტაბრაჲგი; 30 ჲოვანეს; 31 თკლი-თა: 32 ზაფხოლი; 34/34 მღდელთ მოძღვრთა; 34 შეკაზმოლი; 35 ჲო-ვანეს; 38 ჲადგარი; 39 ეკლეესისა; 42 ჲტყუ~ინ; 43 ჲადგარი; 50 უქ-სინოჲ 51 მჲზარაჲ; 52 გოლი; 54 ხატუვანი; 56 სუნდოსი; 57 შე-კაზმოლნი; 59 ქალაქისათ~ჯს; 61 ხოთითა; 64 სხლუანი; 71 რა აზ-ნაოროჲ; 76 ჲყოვნეს; 77 შეოვალად; 78 შეოვალობისაჲ; 79 ჲყო; 79/80 ღკნოჲ; 80 ჲყო; ამოგუიგდო; 82 ეკლესიისნი; 83 რიცხუით; 85 ჲხილნეთ; 87 ჲყო; 87/88 სადიაკონოსა; 88 სამარტუილოსა; 91 ჲოვანე; 92 ფოძითა; 93 სროლითა; წისქუილნი; 94 ფოძითა; 98 აქოს: 99/100 გავაგე; 100 ჲოვანე; 102 ჲყოს; 104 დაუტეუს; 105 გუილოცვიდეს; 109 ბეხოშემი; 111 სასაკმვლონი; 113 თკესა; 114 აღესროლებოდის; 116 წინამძღორად; 118 ჩემისთ~ჯს; შეოცვა-ლ~ბდ; 122 ჩემისათ ჯს; 122/123 დაგკიწერია; მიღებითა; 127 მარ-ტუ~ლნი; 128 ჲუდას; ოფ~ლი; ჲესკ; 128/129 დამცაჲსჯების; 129 ოარისმყოფელთა: ზემოჲ; 131 ეკლესი~ჲსა (ეკლესიაჲსა?); 133 აქოს; 136 მეფწო; 136/137 კორაპალატო; 138 ჩემისთ~ჯს; 139 გაო-გია; 142/143 მათისათუის; 143 გაოგია; 147 სულკურთხეოლსა; 149 სლსათ~ჯნ; 150 ძლიერთთა; 151 ქ ბ მ ტ კ~ცე ჲყ ვნ; 152 ანო; 154 ჲოვანესდა; 159 ჲოვანესთ~უს; 160 ვისთუისცა ჲოვანეს.

B პირ~ს მიხედვით: 1_1 წმიდისათა; 2_1 მშობელისათა; 3_1 ჯვა-რისათა; 4_1 მოვახსენე; 7_1 სვეტსა; 9_1 პატრიაქმან; 14_1 ოქროთა; 15_1 წიგნებით; 0 სვეტი, ოქროთა; 1 წმიდა, ოქროთა; 2 თვალითა, მოვჭედე; 3 ოქროთა; 4 ცხოვრებისანი, ოქროსანი, თუალითა; 5 წმი-და, სამარტუილო, ოქროთა; 7 ცხოვრებისა; 7/8 ოქროსა; 10 ღ~თის მშობელისა, *omittit* ოქროჲთა; 12 სხვა; 13 მაცხოვრისა, ვეცხლისა, ოქროთა; 14 ნათლისმცემელისა; 15 შექმნულნი, სხვა; 16 დასვენე-

ბულნი; 17 ოქროსა, თვალითა, ბარძიმ; 18 მინასა, შემკობილნი; 18/19 ოქროსა, ოქროსანი; 20 ოქროსანი; 21 სასაკმევლენი ოქროსანი; 23 ოქროთა; 25 სასაკმევლენი, ვეცხლისა, სათანაო; 27 ვეცხლისა ოქროთა; 28 ლუკასი, 31 სათანაო, სახარება; 33 ღილაკ-ლოთა ვეცხლისათა; 35, წინამძღვარი, გამოცხადება; 37 ცხოვრება, სათანაო; 38 საწელიწდო; 39 კურთხევა, კურთხევა, ოქროსა; 40 ცურითა, სხვანი; 41 ცურითა, სჯულის; 42 იტყუიან; 43 რომელსა შიგან სწერია განგება საწელიწდო: 45 მოცუარილნი; 47 ოქროთა; 50 სამღუდელთმოძღურო ოქსინო; 51 *om.* ე; მაზარა; 52 მაკანი, ოქროთა; 53 მაზარა, ოქროქსოილი; 54 ოქსინო, ხატუანი, ოქროთა, 57 საკარამანგნი, 58 საკარამანი; 59 დედა: ქალაქისათვის 60... ბასილი მიბოძა... აქ უმატებს: „და შემოსწირა კათოლიკე ეკლესიასა"; om: რომლისა სახელი არს; 61 აგარათა; 62 ორთა, აგარათა. აგარათა; 63 დედა:ქალაქსა; 64 ხარება; 65 აგარა; 66 ტონთი; 67 აგარათა მახაროვნი; 69 პალავრა, შესავლითა; 71 კურბითს: რა: აზნაორი, მიწა; 72 სასეფო; 73 ნოსორნა, ერეთს; 74 ერეთსვე, ეკლესია; 75*om.*: რ:ლ:ე; 76 დედა:ქალაქსა; 77 მოვახსენნე; 78 შეუვალობისა; 79 „გასავალი"-ს მაგივრად „შესავალი"; 79/80 ღვინო, რაცა; 81 ამოგვიგდო; 84 წინამძღუარად; 86 რათა; 88 სადიაკუნოსა; 93 ჭალა; 95 სენაკი; 97 სასეფოსაგან; 100 ზემოთ; 102 გასარმილი; 104 დგეს და; 108 საკარამანგითა; 109 ბარძიმ ბეშხომი ვეცხლისა; 110 ვეცხლისა; 111 საკარამანგი, დავკიდე; 112 ეზო, საკარამანგი; 117 განგებულნი, განწესებულნი; 111 *omtitti* **და**-მიც; 119 თქუენისათუის, 121 წმიდა; 122 ჩემასათუის, რომელი ზემოთგან ქუემომდე დაგვიწერია; 123 რასაცა; 124 *om.* **ხუცესი;** 125 ჩემთა; რისხავსმცა, მამა, წმიდა, წმიდა, ეკლესია 126 ღთ~ებისა; უმატებს: ყოვლად; წმიდა; ცხოვრებისა; 127 მარტუილნი; დ[ა]კიდემცა] დაკლებულმა; 128 იესო; 129 უარის მყოფელთა თანა ღ~თისათა. 129 ზემო, ქუემოთ, 132 კრულმცაარს აქ უმატებს: ცათა შინა და ქუეყანასა ზედა; ცხოვრებასა; 133 კურთხევა; 137 მეუფებასა თქუენსა; *om.* დაწერილი და; 138 ჩემისათუის; 139 ზემოთ 140 მისისა; 141 ღთი~სათა; 142 ვითარ, ჰყუენ; 143 შემდგომად; 144 კვირიკე მეფესა და დისწულსა კვირიკე მეფისასა; 147 ყოველნი წმიდანი რისხვენ; კლნ | კუალად; 148 *om.* და შემოქმედსა; დავიკადრო] დამიმკუიდრო; 149 სულისათუის; მეცა უღირსსა გლახაკსა; დამიმტკიცებია: ქართლისა პატრიარქსა: მტკიცე იყავნ ბრძა-

ნება; 153 მელქისედეკს, 154 იოვანე; აქ უმატებს: მღდელი; 159 იოვანესთვის, იოვანე ყოვლისა: ამის: მიერ: საბრძანებელისა; 161/162 ამისგანი რაცა; 162 კრულმცა არს ღ~თისა და მისთა წმიდათა მოციქულთა; 165 არა უქციოს.

ზოგიერთ ქარაგმიან სიტყვათა გახსნა.

ბ~რზიმ—ბარზიმ 109
გ~მტეხელი—გამტეხელი 133
გვ~რმნ—გუარმან 120
კესტ~რი—კესტორი 60
კლ~ნ—კვრიელეისონ 147
კ~ე—კვრიკე 137, 144, 145
მაკ~ნჲ—? 52
მაჲზ~რჲ—მაზარაჲ 51
მეხ~რი—მეხური 43
მოც~რლნი—მოცუარულნი 45
მ~ღებითა—მოღებითა 122
სად~გნი—სადაგნი 54
საკელ~პტრნი—საკელაპტრენი 48, 49
სრ~ოთითა-საროთითა 15
სკარამანგ~ნი, სკ~რამნგი, სკრმ~ნ-გი—სკარამანგი 57, 111, 112
ქ~: კ: — ქართლისა კათალიკოზი 138, 139, 142, 148, 154, 156
ცრ~ითა—ცუარითა 40, 41
ძ~ღლისკევს—ძაღლისკევს 61

ვახუშტის ბიოგრაფიისათვის*

საკმაო ცნობები ვ ა ხ უ შ ტ ი ს ცხოვრების შესახებ, სამწუხაროდ, არც დღეს მოგვეპოვება. ამ მხრით ჩვენ თითქმის ისეთივე მდგომარეობაში ვართ, როგორშიაც ვახუშტის პირველი გამომცემელი (1842 წელს) იყო[1]. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, იმის მოწმობა არაა, რომ ასეთი ცნობების მოპოვება მომავალშიაც უიმედოა. პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ცნობაც კი გვაქვს (თუმცა უმისამართო), რომ ვ ა ხ ტ ა ნ გ მეფისა და მისი ოჯახის წევრთა შესახებ მდიდარი მასალა მოიპოვება[2] მოსკოვსა თუ ლენინგრადის იმ არქივებში, რომელთა სამეცნიერო აღწერა და სათანადო წესრიგში მოყვანა მხოლოდ ახლა მიმდინარეობს. ასეთ გარემოებაში ჩვენ იძულებული ვართ ვახუშტის მეცნიერული ბიოგრაფიის დაწერა მომავლისათვის გადავდოთ და აქ, უმთავრესად, იმ მცირე მასალის მოყვანით დავკმაყოფილდეთ, რაც კარგა ხანია ცნობილია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში[3].

---

* დაიბეჭდა შესავლის სახით წიგნში: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. VII—XXI.

[1] ღეოღრაფიული აღწერა საქართველოჲსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ. მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსეტის-გან S.—Petersbourq., a la typographie de l'academie, 1842.

[2] რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება ყოფ. საგ. საქ. სამინისტროს ის ცნობილი მასალა „ვახტანგის ემიგრაციის" შესახებ, დღეს რომ მოსკოვის ГАФКЭ-ს „Дела Грузинские"-შია დაცული.

[3] ბ რ ო ს ე, დასახ. შრომა, Jntroductions: 2) ბ რ ო ს ე, Histoire de la Géorgie. II partie, Addition: VII, 585; 3) ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს მიერ. ნაწილი პირველი, ტფილისი, 1885, 4) ბ რ ო ს ე, Mélange Asiatique, 1857—1859, t. III, p. 533—557; 5) ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, დაიბეჭდა ვახუშტი ბატონიშვილის

ვახუშტი ბატონიშვილი, ვახტანგ მეფის „უკანონო“ შვილი[4], 1696 წლის ახლო ხანში უნდა დაბადებულიყოს[5].

ვინ იყო ვახუშტის დედა, ცნობილი არაა. სად გაატარა და როგორ მომავალმა მეცნიერმა ყრმობისა და ჭაბუკობის ხანა, არც ამის შესახებ ვიცით გარკვეული რამ. ცნობათა სრულ სიცარიელეს, რამოდენადმე ანელებს ჩვენ მიერ მოპოვებული ერთი საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ ვახუშტის „სიჩჩოთავე“ გამზრდელი და „სალმთო საერომდე მასწავლელი“ კარისა და ოქონის ხატის დეკანოზი გარსევანიშვილი იესე და განსაკუთრებით მისი ძმა გიორგი ყოფილან[6]. გიორგი გარსევანიშვილის შესახებ ჩვენ სხვა ცნო-

ხელნაწერ დედნიდამ რედაქცია მ. გ. ჯანაშვილისა, ტფილისი, 1904 წ.; 6) საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან; 7) დ. ბაქრაძე, საქართველოს მეფე ვახტანგ VI, 1880, გვ. 318, Александр С. Хаханов. Очерки по истории грузинской словесности, выпуск III, Москва, 1901 г., 287—292.

4 რომ ვახუშტი ვახტანგ მეფის ბუში იყო, ამას მოწმობენ ქართულიცა და უცხოური ცნობებიც. თანამედროვე ოუ ნაგვიანევი. იხ. ბროსე, Переписка грузинских царей с российскими государями, XXVII; პეისონელი „თხრობა სპარსეთისა და საქართველოს არეულობის თაობაზედ“, გვ. 47; „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, გვ. 47 და სხვა.

5 ბროსეს ამ მოსაზრებას მ. ჯანაშვილი და ზ. ჭიჭინაძე საჭირო საბუთის მოუყვანელად აზუსტებენ: პირველი 1694 წელს ირჩევს, ხოლო მეორე 1696-ს.

6 ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისათა ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ბატონიშვილმა ვახუშტიმ, ძემან ჩვენმა იოვანემ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა, წესისაებრ თავდადებით მრავალგვარად ნამსახურსა კარისა და ოქონის ხატის დეკანოზს გარსევანიშვილს იესეს და ძმასა შენსა სიჩჩოთავე ჩვენთა გამზდელთა და, რაც ძალი ედვა, სამღთო საერომდე მასწავლელს გიორგის, შვილთა თქვენთა ნიკოლოზს, გრიგოლს, გარსევანს და ანდრიას, შვილთა და მომავალთა სახლის. თქვენისათა; ოდეს მრავალგვარათ თავდადებით ჩვენს დაჭირების დღეებში გვემსახურენით და ჩვენს გაზრდაში დიდი ჭირი და გაზრდილობა მიგიძღოდა ჩვენზე, ამისდა სანუქფოდ წყალობას დაგეაჯე[ნით, ჩვენც] შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენის სიმართლის გზითა და ალალის საქონლით ნასყიდი მცირე სოფელი ჯავახის-შვილებისაგან მოსყიდული ნადარბაზევი მისი სამართლიანის სამზღვრითა, წყლითა, წისქვილითა, მთითა, ბარითა მის გარშემო საყდრით [და ნ]ასაყდრალითა და სახნავითა,* სათიბითა და უთიბითა, როგორათაც იმათგან მეყიდნოს, იმ გზითა და იმ საზღვრითა, გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა. ოცს ნათლისღებას, რაც სამღდელო კაცი თქვენს სახლში იქნებოდეთ, ჩვენად სადღეგრძელოდ და გასა-

* ეს სიტყვა სხვა ხელითა და მელნით სწერია.

ბაც გაგვაჩნია. მოსკოვს, ვსესვიატსკოეში ანუ, როგორც ქართველები უწოდებდნენ, სესეწკაში ქართული ეკლესიის ეზოში დღემდის დაცულია საფლავის ქვა მხედრული წარწერით: „პროთოპოპი გარსევანისძე გიორგი, მეფის ვახტანგის აღზრდილი და მეფის ბაქარის აღმზრდელი“. ამ წარწერის თარიღია 1745 წელი. ცხადია, ეს იგივე გიორგია, რომელსაც ვახუშტი თავის აღმზრდელს და „მასწავლელს“ უწოდებს. ამრიგად, ჩვენ ახლა ვიცით, რომ პირველი სწავლა-აღზრდა ვახუშტის თავის ძმა ბაქართან ერთად მეფის კარის დეკანოზისაგან მიუღია. მაგრამ, უეჭველია, ვახუშტი ამ სწავლის ამარა არ დარჩენილა. გ ი ო რ გ ი ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ცნობით, 15-16 წლის ვახუშტი თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან სწავლობდა. ავალიშვილს ეს ცნობა ზეპირად უნდა ჰქონდეს გაგონილი. ამისდა მიუხედავად ეს ცნობა ყოვლად სარწმუნო ჩანს. რაც შეეხება ავალიშვილის ცნობის იმ ნაწილს, თითქო „გაფრანგების“ შიშით ვახტანგმა თავის შვილს კათოლიკე მისიონერებთან ურთიერთობა აუკრძალა, ეს რამოდენადმე საეჭვოა: ის არ ეგუება კათოლიკობისადმი ვახტანგის დამოკიდებულობას. რომლის შესახებაც ჩვენ სრულიად გარკვეული და უეჭველი ცნობები გაგვაჩნია[7].

1717 წლის ახლო ხანებში ვახუშტიმ ცოლად შეირთო გ ი ო რ გ ი ა ბ ა შ ი ძ ი ს ქალი მ ა რ ი ა მ ი[8]. 1725 წელს ვახუშტის უკვე ოთხი შვილი ჰყავდა, ორი ვაჟი და ორი ქალი[9]. თავის უფროს შვილს ი ო ა ნ ე ს ვახუშტი უკვე 1723 წლის ზემორე მოყვანილ სიგელში

მარჯვებლად და სასულიეროთ ჟამსა გვიწირევდეთ. არ მოგეშალოს არცა ჩვენგან არცა ჩამამავალთა ჩვენთაგან. აწე, გევედრებით შემდგომნო ჩვენნო მეპატრონენო, ვინც ვინ ბრძანდებოდეთ, მცირესა ამას ჩვენგან ნაწყალობევს ალალის თეთრით ჯავახის-შვილებისაგან მოსყიდულს ნადარბაზევს ნუ მოუშლით ჩვენზე მრავალგზით და მრავლის მოუგონებლის ჭირით თავგანწირვით ნამსახურს გარსევანას-შვილებს, თქვენის მღთის გულისათვის, რათა ცათა და ქვეყანათა შემოქმედმა დამტკიცოს განგებული თქვენი. აწე, ვინცა და რამანცა კაცმა ამისად შლად ხელყოს, რისხვასმცა ღმერთი დაუსრულებელი და ჩვენისა ცოდვისათვის იგიმცა განიკითხვის მეუფის წინაშე, ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღ~თნ აკურთხოს. დაიწერა ბრძანება ესე კათათვის, ი, ქკს უია, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის შანშიან მარტიროზის-შვილის მდივნის ბეგთაბეგისითა (ბეჭედი მხედრული წარწერით: „ვახუშტი“).

7 იხ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 304—342.

8 ГАФКЭ, Дела Грузинские № 8, К. 32.

9 ГАФКЭ, Дела Грузинские № 8, К. 32. და აგრეთვე № 7, გვ. 588, 594, 601.

იხსენიებს. მეორე ვაჟი, საფიქრებელია, იმ დროს ჯერ კიდევ არა ჰყოლია. ბ რ ო ს ე ს ცნობები ვახუშტის მემკვიდრეების შესახებ ნიშანდობლივი და სარწმუნო ჩანს[10].

1717 წლიდან ვიდრე 1724 წლამდის ვახუშტი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ საქმეში. 1717 წელს ბაქარ ქართლის მეფემ თავის ძმას ვახუშტის აჯანყებული დ ა თ უ ნ ა ქ ს ნ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი ს დამორჩილება მიანდო. ვახუშტი ლაშქრით შევიდა საერისთავოში. ამ დროს დათუნა ერისთავი გარდაიცვალა, ხოლო ერისთავის შვილები კახეთს გაიქცნენ. ვახუშტიმ საერისთვო დაიჭირა[11]. 1719 წელს ვახტანგ მეფის ბრძანებით ვახუშტი და ბაქარ ისევ ქსნის საერისთვოში ლაშქრობენ უკუმდგარი შ ა ნ შ ე ე რ ი ს თ ვ ი ს` წინააღმდეგ. ბაქარმა ქსნის ხეობა დაიჭირა, ვახუშტიმ — ლიახვის ხეობა[12].

შემდეგ წელს ვახტანგ მეფემ ვახუშტი იმერეთს წარავლინა ლაშქრით. მას უნდა ხელი შეეწყო ვახტანგის დისშვილის ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ი ო რ გ ი ს ძ ი ს გამეფებისათვის. 1721 წელს ვახუშტი უკვე საბარათიანოს სარდალი იყო და თრიალეთის ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ შ ი იჯდა (აწინდელი ტაშბაში). მეფის ბრძანებით და ვახუშტის უშუალო მონაწილეობა-ხელმძღვანელობით მოხდა ამ დროს მეწინავე სადროშოს აღწერა[13]. მეწინავე დროშის სარდლად იყო ვახუშტი 1722 წელსაც. ამავე წლის აგვისტო-ნოემბერში კი ის სამეფოს განაგებდა, როცა ვახტანგი და ბაქარი პ ე ტ რ ე ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს შირვანს გამოსვლის მოლოდინში ქართველთა ჯარით განჯის მიდამოებში იდგ-

---

10 ამის მიხედვით ვახუშტის შემდეგი შვილები ჰყავდა: ი ო ა ნ ე, გარდაიცვალა 1783 ან უკეთ 6 დეკემბერს 1784 წელს; ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ა, იშვა 1721 წლის 12 აგვისტოს, გარდაიცვალა 8 აპრილს 1789 წელს; დ ა ვ ი თ ი, იშვა 1723 წელს, მისი გარდაცვალების თარიღი უცნობია; დ ა რ ი ა, იშვა 1724 წელს; ის 1804 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო; ნ ი კ ო ლ ო ზ ი, იშვა 1724 წლის შემდეგ, გარდაიცვალა 1772 წლის უწინ; დ ო მ ე ნ ტ ი, იშვა 1728 წელს, ყრმობაშივე, 9 წლის გარდაიცვალა, 1737 წელს; ა ნ ა, იშვა 1745 წელს, გარდაიცვალა 1779 წელს. Mel. as. III, p 544; აქედან ეს ცნობები ამოკრებილი აქვს დ. ბაქრაძეს. იხ. მის მიერ გამოცემული—„ვახუშტი, საქართველოს ისტორია", XI.

11 საქართველოს ცხოვრება, 123; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 177.

12 იქვე, 124.

13 მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, 2.

ნენ[14]. ასევე აქტიურად მონაწილეობდა ვახუშტი იმ ბრძოლაში, რომელსაც ქართლი სპარსელებისა და მათი ერთგული კონსტანტინე კახთა მეფის წინააღმდეგ აწარმოებდა 1722-1723 წლებში. ვახუშტი წარმატებით ებრძოდა მოსულ მტრებს ბორჩალოში, მცხეთაში, მარტყოფს[15].

1723 წელს ქართლი ოსმალებმა დაიპყრეს. დამარცხებული ვახტანგ მეფე პოლიტიკური ტაროსის მოლოდინში პეტრე ხელმწიფის სამფლობელოს შეეფარა (1724 წ.). ვახტანგს ემიგრაციაში 1208 კაცი გაჰყვა. მათ რიცხვში იყო ვახუშტიც თავისი სახლობით და ამალით. ემიგრაციაში. ვახუშტის თან ახლდა: მეუღლე, ორი ვაჟი, ორი ქალი, ერთი გამდელი, 13 მოახლე, 25 მსახური, 4 თავადი, 6 ყმა და 19 აზნაური 17 ყმით; სულ 90 სული.

ემიგრაციაში ვახუშტი არა მარტო სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. როგორც ირკვევა, მას მეფის სახლზე მზრუნველობა ჰქონია ვახტანგის მიერ მინდობილი[16].

რუსეთში ვახუშტი თავისი მატერიალური მდგომარეობის კმაყოფილი თავიდანვე არ ყოფილა. ვახტანგ მეფეს (და მთელს ემიგრაციას) რუსეთის მთავრობისაგან გაჩენილი ჰქონდა ყოველწლიურად 24.000 მან. ფული, 4. 000 ჩეტვერტი ხორბალი; 200 საჟენი შეშა და 200 ცხენის თივა-ქერი. აქედან ვახუშტის და მის ამალას მეფე აძლევდა: 2.090 მან. ფულად, 289 ჩეტვერტ ხორბალს, 38 საჟენ შეშას და 16 ცხენის თივა-ქერს[17]. მაგრამ ვახუშტის მატერიალური მდგომარეობა 1737 წლიდან კიდევ უფრო გაუარესდა. ამ წელს ვახტანგ მეფე გარდაიცვალა. ამ დროისათვის ქართულმა ემიგრაციამ რუსეთის პოლიტიკის მესვეურთა თვალში თანდათან ფასი დაკარგა[18]. ემიგრაციას ჩქარა აგრძნობინეს არასასიამოვნო ამბავი. 1737 წლიდან ორი წლის განმავლობაში რუსეთის მთავრობის ხაზინიდან ემიგრაციას არაფერი მისცემია. მხოლოდ 1739 წელს გასცა განკარგულება ანა იმპერატორმა, რათა ემიგრაციას აღუდგინონ შეწყვეტილი დახმარება, მაგრამ განახევრებული რაოდენობით. ამ განკარგულების მიხედვით ნაცვლად ზემოდასახელებული

---

[14] იხ. საქართველოს ცხოვრება, 126 და ბროსე, Переписка, LXXVII.

[15] საქართველოს ცხოვრება, 128—129.

[16] Дела Грузинские, № 1, 1734 г. 11—13; იქვე, № 4, 1737 г.; იქვე, №2, 1735 г. იქვე, № 5, 1737 г.

[17] Дела Грузинские № 19, 1749 г. და № 5. 1753 г.

[18] რუსეთმა პეტრე ხელმწიფის დროს მონატაცები კასპიის ზღვისპირა ქვეყნები ძალაუნებურად ისევ ერანს დაუბრუნა — 1732 და 1735 წლების ხელშეკრულებებით — და ამით ამიერკავკასიაში აქტიური პოლიტიკა უარყო.

რაოდენობისა ვახუშტის დაენიშნა წლიურად მხოლოდ 1.500 მანეთი[19].

1738 წლის 25 მარტის „უქაზით“ ანა ხელმწიფემ ქართული ემიგრაციის თავად-აზნაურობის თხოვნა შეიწყნარა და ემიგრანტების რუსეთის ქვეშევრდომებად ჩარიცხვა და მათი სამსახურში მიღება ბრძანა[20]. ემიგრაციის პოლიტიკური არსებობა არსებითად ამით დამთავრდა. ვახტანგ მეფის სახლის წევრებიც ამიერიდან რუსთ-ხელმწიფის ქვეშევრდომები იყვნენ და მის სამსახურზედ „იქნევ-დნენ ხმალს“. ვახუშტიც ამიერიდან თავის თავს იმპერატორის „უერთგულეს ქვეშევრდომად“ სთვლიდა. 1749 წელს უფროსი შვილი იოანე მას უკვე რუსეთის სამხედრო სამსახურში ჰყავდა, ხოლო სხვები ჯერ კიდევ, როგორც მაშინ იტყოდნენ, „სასწავლოში“ ჰყავდა და ხელმწიფის სამსახურისათვის ამზადებდა[21].

ანა ხელმწიფის მიერ გაჩენილი ყოველწლიური დახმარება— 1.500 მანეთი — ვახუშტის არ ჰყოფნიდა და ის დიდ ვალებში ჩავარდნილა. ილაჯგაწყვეტილი ბატონიშვილი სთხოვს 1749 და 1753 წლებში ელისაბედ ხელმწიფეს, წყალობის თვალით მოხედოს მას და შევიწროებაში მყოფს სარჩო მამული გაუჩინოს[22].

ამის შემდეგ ვახუშტის შესახებ ის ვიცით, რომ ის 1755 წელს ცოცხალი იყო და მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. ბროსეს მიერ მოპოვებული ცნობით, ვახუშტი 1770 წელსაც ცოცხალი ყოფილა და კვლავ სამწერლობო მოღვაწეობას განაგრძობდა[23]. ასე რომ ვახუშტი გარდაიცვალა 1770 წლის შემდეგ, როგორც ფიქრობენ, ახლო ხანში. ბროსე დაურწმუნებიათ, რომ ვახუშტი დასაფლავებულია მოსკოვში დონის მონასტრის ქართველთა „საძვალეში“. აქვე ყოფილან დამარხული მისი სახლის წევრებიც[24].

---

[19] Дела Грузинские, № 19, 1749 და № 5, 1753.

[20] Бутков, Материалы для новой истории Кавказа. 166., დავითიანი, 1931 წ. გამოცემა, დავით გურამიშვილის ბიოგრაფიულ-კრიტიკული ეტიუდი ალ. ბარამიძისა, გვ. XXXV.

[21] Дела Грузинские, № 19, 1749 და № 5, 1753.

[22] იქვე.

[23] იხ. ბროსე, ლეოლრაფიული აღწერა საქართველოჲსა ბატონიშვილი ვახუშტის მიერ. Introduction, გვ. IX.

[24] სამწუხაროდ, ვახუშტის საფლავი აღნიშნულ სასაფლაოზე დღეს არ ჩანს ვერც ბროსეს უპოვია იქ საფლავის ქვა საამისო ეპიტაფიით. უშედეგოდ ჩაიარა ამ მხრით ჩვენმა შრომამაც. მით უფრო, რომ ჩვენი იქ ყოფნისას ქართველ მოღვაწეთა ეს პანთეონი საწყობად და სადურგლო სახელოსნოდ იყო გადაქცეული და.

ემიგრაციის ხანა ვახუშტის უმთავრესად მოსკოვში გაუტარებია. როგორც თვითონ 1745 წელს აღნიშნავს, ჩვენი მეცნიერი მოსკოვის პრესნას ცხოვრობდა და მუშაობდა.

მძიმე მარცხი განიცადა საქართველომ XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე ერან-ოსმალო დამპყრობელებთან ბრძოლაში. ოსმალეთმა საბოლოოდ მოჰგლიჯა საქართველოს სამცხე-საათაბაგო და აქ „ქართველობის“ ამოგდებას ენერგიულად შეუდგა. შაჰაბასმა ნანგრევ-ნასადგომევად აქცია აყვავებული კახეთი და ტყვე ქართველებით აავსო ერანი. ქართლი და კახეთი შაჰის სახანოები შეიქნენ. მაგრამ ბრძოლა ამაზედ არ დამთავრებულა და ქართველ ხალხს, მოძალადეთა წინაშე ქედი ერთის წუთითაც არ მოუხრია. მარაბდის დიდ ომს (1625 წ.) და კახეთის მრისხანე აჯანყებას (1659 წელს) აგრესორი უნდა დაერწმუნებინა, რომ „გურჯისტანში“ „ქართველობის“ ლიკვიდაცია მისთვის მიუწვდომელი ამოცანა იყო. მაგრამ მტერი დასახულ მიზანს ამის შემდეგაც არ ეშვებოდა და მის განხორციელებას სხვადასხვა საშუალებით დაჟინებით ცდილობდა. არანაკლების დაჟინებით ცდილობდა ქართველი ხალხი მტრის ამ ღონისძიებათა გაქარწყლებას.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო „აღდგომისა და გამოხსნისათვის“ ემზადებოდა, საამისოდ ძალებს რაზმავდა. წამყვანი როლი ამ საქმეში ქართლს ეკუთვნოდა. ერანის პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად ქართლი აღნიშნულ დროს ეკონომიურად და კულტურულად წინ მიდიოდა. ამავე დროს მისი გავლენა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

დიდბრძოლაგადახდილი ქართველი ხალხი ახლა, „მშვიდობიანობის“ ხანაში, გამოვლილ ომებს იგონებდა, მებრძოლთა შეფასებას ახდენდა და დამარცხება-გამარჯვების მიზეზებს არკვევდა. ამისდა შესაბამისად, ქართველი ხალხი შემდგომი ბრძოლის საშუალებებს სახავდა.

მიუხედავად დონის მონასტერში აწ გამართული მუზეუმის დირექციის მხრით ხელის შეწყობისა, ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა ძვირფასი სასაფლაოს ზედმიწევნითი შესწავლა.

საყურადღებოა პროფ. ალ. ჯავახიშვილის ცნობა, რომ მას სტუდენტობისას ხსენებულ პანთეონში უნახავს იატაკში დატანებული საფლავის ქვა გადასული წარწერით, სადაც ჯერ კიდევ ირჩეოდა რაღაც სიტყვის მარცვალი „შტი“. ეს გადასული წარწერა მიღებული ყოფილა იმ დროს ვახუშტის საფლავის ეპიტაფიად.

ფიზიკურ საშუალებათა გვერდით თანდათან შემუშავდა აგრესიის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანი. თანდათან ჩამოყალიბდა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი: პოეტ-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტორიკოსები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. სათანადო მებრძოლი მოტივები გაჩნდა პოეზიაში (არჩილი, იოსებ თბილელი), საამისოდ „გაიმართა“ ისტორიაც („ახალი ქართლის ცხოვრება“), გაჩაღდა მაჰმადიანობის წინააღმდეგ პროპაგანდა (გიორგი XI, იაკობ შემოქმედელი), დაიწყო ქრისტიანობის აღდგენისაკენ მიმართული ენერგიული მოქმედება (არჩილი, ვახტანგ VI).

თავადების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლისათვის ხელის შეწყობა ამ დასის საშინაო სამოქმედო პროგრამას შეადგენდა. მეორე მხრით, ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გადაქცევა, ხოლო „იმერეთის მპყრობელთან“ და სხვა მთავრებთან კავშირი ქართლის ჰეგემონიით მისივე პოლიტიკის მიზანი იყო. საქართველოს პატრიოტებს ერანიც და ოსმალეთიც ორივე თანაბრად შეურიგებელ მტრებად მიაჩნდათ — ერთი „ფოცხვერი“ იყო, მეორე „ბაბრი“— და მათ საწინააღმდეგოდ მოკავშირეებს ეძებდნენ. ასეთ მოკავშირეებად, ბუნებრივია, ქრისტიანული ქვეყნები იგულისხმებოდნენ. მაგრამ ასეთი, რომელსაც რეალური დახმარების აღმოჩენა შესძლებოდა, არავინ იყო. დიდ ქრისტიანულ ქვეყნებს შორის ყველაზე ახლოს და დასამხარი მოსკოვის სამეფო იყო. ამიტომაც მოხდა, რომ ეს ქვეყანა თანდათან ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა თავშესაფარად იქცა იმისდა მიუხედავად, რომ „დიდმა ხელმწიფემ“ ქართველ მებრძოლებს არაერთხელ გაუცრუა პოლიტიკური იმედები.

განსაკუთრებული პოლიტიკური მარცხი მოსკოვის სამეფომ საქართველოში 1658 წელს განიცადა. „ქართველობისათვის“ მებრძოლთა დასის აქტიური მოქმედებით (თეიმურაზ კახთა მეფისა და ალექსანდრე იმერთა მეფის მეთაურობით) მოსკოვის სამეფოსადმი სასარგებლო განწყობილება ამ დროს განსაკუთრებით ძლიერი იყო: მოსკოვის ხელმწიფეს ყმობდნენ კახეთის მეფე, იმერეთის მეფე, ყმობასვე ეფიცებოდნენ მას იმერთა მეფის მორჩილი სამეგრელოსა და გურიის მთავრები. ქართლშიაც თეიმურაზისა და მოსკოვის მომხრეთა ძლიერი დასი სამოქმედოდ მზად იყო. ქართველობი-

სათვის მებრძოლთა პოლიტიკური იდეალი თითქო ხორცს ისხამდა, მოსკოვის დიპლომატიის 70 წლის ნამოღვაწევი წარმატებით სრულდებოდა. საკმაო იყო „პატრონის“ მხრით ენერგიული მოქმედება. მაგრამ დიპლომატიური წარმატება მოსკოვის ხელმწიფემ სრულიად ვერ გამოიყენა. საქართველოს გამაერთიანებელისა და მისი ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ დამრაზმველის როლში ვერ გამოვიდა. ამის შემდეგ ვიდრე XVIII საუკუნის ოციან წლებამდის მოსკოვის ხელი ამიერკავკასიის საქმეებში აღარ ჩანს. ამ პოლიტიკური მარცხის ეპილოგი იყო, რომ თეიმურაზის შვილისშვილი ერეკლე ხელმწიფის კარზედ მძევალი, XVII საუკუნის 70-იანი წლებში წამოუვიდა „პატრონს“ და ერანის შაჰს ეყმო და მისგან მიიღო თავისი „სამკვიდრო“.

ამავე დროს ერან-ოსმალეთის ქვეყნებში სულ უფრო და უფრო მეტის ენერგიით გამოდიან დასავლეთ-ევროპელები. აღმოსავლეთის ვაჭრობაში ერთი მეორეს პირველობას ეცილებიან პორტუგალიელები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, ფრანგები.

სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, ერთობ მისუსტებული XVI საუკუნეში, XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან კვლავ გაცხოველდა. ვაჭრებს ჩქარა მოჰყვნენ პოლიტიკური აგენტები: მეცნიერ-მოგზაურები, კათოლიკე მისიონერები. განსაკუთრებით საინტერესო იყო უკანასკნელთა მოღვაწეობა. რომის პაპის ამ აგენტების საქმიანობა მხოლოდ კათოლიკური სარწმუნოების ქადაგებით როდი ამოიწურებოდა. მისიონერებს შორის არა ერთი იყო ექიმი, მხატვარი, მწერალი, ინჟინერი, გეოგრაფ-ასტრონომი და სხვა „საერო“ ცოდნით აღჭურვილი.

კათოლიკე მისიონერების საქმიანობას საქართველოში განსაკუთრებული წარმატება ხვდა. ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ. ყველა, ვინც ქვეყნის დაცვისა, მისი აღდგენისა და განთავისუფლებისათვის იბრძოდა, ქრისტიანობდა და ასე თუ ისე „ფრანგობდა“. მეფე, უფლისწული, კათალიკოს-ეპისკოპოსები, თავადები მზად იყვნენ პაპის უზენაესობა აღიარებინათ და ქართული ეკლესია რომის ტახტისათვის დაემორჩილებინათ და მთელ საქართველოში კათალიკობა გაევრცელებინათ, ოღონდ კი საფრანგეთ-ევროპის პოლიტიკური დახმარება მიეღოთ ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქრისტიანულ ევროპასთან კავშირის მონატრული ქართველები კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ. მისიონერების მეშვეობით ისინი მიმზიდველ ეკონომიურსა და პოლიტიკურ პერსპექტივებს უხატავდნენ ევროპის ქვეყნებს: საქართველო საუკეთესო გზა იქნებოდა საფრანგეთის ვაჭრებისათვის ერანისაკენ, ხოლო ტფილისი — მეტად მარჯვე ადგილი ფრანგ ვაჭრების საქონლის საწყობად. ქართველების გეგმით კათოლიკობას წარმატება მხოლოდ საქართველოში რომ ელოდა. ქართველების აქტიური მონაწილეობით ეს საქმე ფრიად ნაყოფიერი იქნებოდა აგრეთვე საქართველოს მეზობელ ქვეყნებში. ქართველ პოლიტიკოსთა გეგმა ცხადი იყო: რ ო მ ი ს პ ა პ ი ს ა ვ ტ ო რ ი ტ ე ტ ი თ დ ა ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი თ კ ა ვ კ ა ს ი ი ს დ ი დ ი ნ ა წ ი ლ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი შ ე კ ა ვ შ ი რ ე ბ ა ე რ ა ნ-ო ს მ ა ლ ე თ ი ს ა გ რ ე ს ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

საქართველოში მისიონერები ჩქარა ჩაებნენ პოლიტიკურსა და კულტურულ მოღვაწეობაში. ესენი იყვნენ განთქმული ექიმები, მეფე-მთავართა პოლიტიკური მრჩევლები, ელჩები და საიდუმლო აგენტები. მისიონერები მხარს უჭერდნენ საქართველოს ფეოდალური ძალების გაერთიანებას, მეფე-მთავართა შეთანხმებას. მათ მოღვაწეობას, უეჭველად, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მებრძოლი ქართველობის განმტკიცებისათვის, მაჰმადიანობის გავრცელების შეფერხებისათვის. კათოლიკე მისიონერების საშუალებით ქართლის მეფეებს ცხოველი მიმოწერა ჰქონდათ რომის პაპთან, საფრანგეთის კოროლთან, ავსტრიის იმპერატორთან თუ სხვა მეფე-მთავრებთან.

ასეთი ურთიერთობა თანდათან ძლიერდებოდა XVIII საუკუნის ოციან წლებამდე. ამ დროს ახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება გართულდა. სეფიანთა ერანს დღე ელეოდა და საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომის“ მარჯვე დრო დგებოდა. კათოლიკურ ევროპა-საქართველოს კავშირის გაძოცდის დღე დადგა. ქართველებმა სრულიად გარკვეული პოლიტიკური დახმარება სთხოვეს მფარველ-მოკავშირეებს, — „უქრისტიანეს“ ლუი XIV-სა (1714 წელს) და ავსტრიის იმპერატორს (1722 წელს).[25] ქართველ პოლიტიკოსებს აქაც იმედის გაცრუება

---

25 თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902, გვ. 315, 340.

ელოდათ. ამ დროს საფრანგეთი შორეულ ამიერკავკასიაში უშუალო პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავდა: მას აქ პოლიტიკური გაბატონების შესაძლებლობა არ გააჩნდა. უამისოდ კი ქართველთა (თუნდაც კათოლიკების) ინტერესებისათვის ოსმალეთის ხონთქრისა და ერანის შაჰის საწინააღმდეგოს ის არაფერს მოიმოქმედებდა: ინგლის-ჰოლანდიასთან აღმოსავლეთში სავაჭრო-კოლონიური მეტოქეობისას პოლიტიკური მეგობრობა ერან-ოსმალეთთან საფრანგეთისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო. არც ავსტრიის იმპერატორს აღმოაჩნდა ქართლის მეფისათვის რეალური დახმარების ხალისი თუ შესაძლებლობა.

ამავე დროს ახლობელ-აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად გამოვიდა პეტრე დიდის რუსეთი. და კათოლიკური ევროპის მხრით დახმარების იმედგაცრუებული ქართველებიც თავისი ქვეყნის „გამოხსნისა და აღდგომის“ იმედებით ადვილად შეუკავშირდნენ პეტრე ხელმწიფეს, რომელმაც სრულიად გარკვეული პოლიტიკური დაპირებანი მისცა თავის ახალ მოკავშირეს.[26] მაგრამ მოვლენები ახლობელ აღმოსავლეთში ისე განვითარდნენ, რომ იმავე პეტრეს თანხმობით საქართველო გამოხსნის მაგივრად „ბაბრის კლანჭებში“ მოექცა. ის ოსმალეთმა დაიპყრო (1723 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ კავშირს საქართველოსა და კათოლიკურ ევროპას შორის რეალური საფუძვლები არ აღმოაჩნდა, ევროპასთან ურთიერთობას საქართველოსათვის მეტად დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. 60 წლის მანძილზე ეს ურთიერთობა განუხრელად იზრდებოდა. ამ ურთიერთობის შედეგად ქართველმა მეფე-ფეოდალებმა გაიცნეს დასავლეთი ევროპა, მისი მიღწევები.

კათოლიკური პროპაგანდის წარმატების მიზნით მისიონერები ზეპირი ქადაგებით არ კმაყოფილდებოდნენ. ქართლში შემოსვლის უმალვე (XVII საუკუნის 60-იანი წლები) მისიონერებმა ტფილისში გახსნეს სკოლა[27], რომელშიაც იმთავითვე ბლომად მისვლიათ

---

26 პეტრეს მოკავშირეობა მით უფრო სარწმუნო და საიმედო ჩანდა, რომ რუსეთის იმპერატორი ერთსადაიმავე დროს ერანის მოქიშპედაც გამოდიოდა, თუმცა ოფიციალურად ამას უარყოფდა, და ოსმალეთისაც.

27 სწავლა-აღზრდის საქმე ამ დროის საქართველოში სრულიად დაუმუშავებელი საკითხია. საამისო მეტად საყურადღებო მასალები კი არამცირე მოიპოება. კერძოდ „საღმრთო“ თუ „საერო“ „წიგნის“ სწავლა ჩვენში, თუმცა მინელებული, ამ დროსაც არსებობდა სათანადო ადგილებში: მონასტერში („მოძღვრებთან“), თუ

სწავლის მსურველები.[28] ამ სასწავლებელში კათოლიკურ-ქრისტიანული მოძღვრების გვერდით ენებსაც ასწავლიდნენ: ქართულს, იტალიურს, ლათინურს. ამავე დროს, უკვე 1670 წლიდანვე ქართველებს ორი ადგილი აქვთ დათმობილი რომის უმაღლეს თეოლოგიურ სასწავლებელში, სადაც იგზავნებიან ტფილისში სკოლადამთავრებული უნიჭიერესი მოწაფეები.[29] თუ როგორ წარმატებით მიდიოდა სწავლის საქმე ტფილისში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ აღნიშნულ სკოლაში მოწაფეთა რიცხვი სულ იზრდებოდა. 1676 წელს ტფილისის სკოლაში უკვე 50 ყმაწვილი სწავლობდა.[30] ხოლო 1679 წელს ტფილისიდან რომში პროპაგანდის სკოლაში უკვე სამ ყმაწვილს გზავნიან უმაღლესი თეოლოგიური სწავლის მისაღებად. ამავე ხანებში ტფილისში მოღვაწე პატრი ბ ე რ ნ ა რ დ ე ს შესაძლებლად მიაჩნია უნიჭიერეს ყმაწვილებს რომში მივლინების ნაცვლად აქვე, „მისიონერების სახლებშივე" მიაღებინონ „საუკეთესო მასწავლებლების ხელმძღვანელობით" „სამოქალაქო თუ საეკლესიო მეცნიერებანი."

თეოლოგიურ-სქოლასტიკურ სწავლაზედ უფრო საქართველოში „საერო" ცოდნის სურვილი გამოუჩენიათ. მეფე-ფეოდალებს უპირველეს ყოვლისა პოლიტიკა აინტერესებდათ და შემდეგ კი „სამოქალაქო მეცნიერებანი" (პოეზია, უცხო ენები, ფილოლოგია, ისტორია, გეოგრაფია, ასტრონომია, მედიცინა...), ღვთისმეტყველებას თურმე ვერ ეწყობოდნენ. დამახასიათებელია, რომ საქართველოდან ევროპაში ახალგაზრდები მხოლოდ საღ-

---

კერძო პირებთან („აღმზრდელ"—„მასწავლებლებთან"). ასე რომ კათოლიკე მისიონერთა ეს სკოლა უფრო დაწინაურებული ქვეყნის სწავლის შემოტანას ნიშნავდა მხოლოდ.

28 თუ მოსწავლეთა რიცხვს საშუალოდ 40 ვივარაუდებთ, რაც ჩვენ ხელთ არსებული ცნობების მიხედვით გადაჭარბებული სრულიად არაა, და ამასთანავე გავითვალისწინებთ, რომ სწავლის ხანგრძლივობა ამ სასწავლებელში ოთხი წელი უნდა ყოფილიყო, — ზოგი უფრო ადრეც სტოვებდა მას, — გამოდის, რომ აღნიშნული 50 წლის მანძილზე მისიონერთა სკოლაში 500 კაცს უსწავლია. მაგრამ მისიონერებთან ნასწავლთა რიცხვი გაცილებით მეტია სავარაუდებელი. 500 კაცი მხოლოდ ტფილისის სკოლაზე მოდის. მისიონერებს კი ამ სკოლის გარდაც თავიანთ სახლებში მეფისა თუ ფეოდალების სასახლეებშიც ჰყავდათ მოწაფე-მსმენელები. ამას გარდა, მისიონი მხოლოდ ტფილისში როდი იყო. მისიონერთა სამოქმედო ცენტრები იყო აგრეთვე გორი, ახალციხე. ამ ადგილებშიაც კათოლიკე მისიონერები ზეპირი ქადაგების გვერდით პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ.

29 თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, op. cit. 237 — 238.

30 თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, op. cit. 251.

ვთისმეტყველო სწავლისათვის როდი უგზავნიათ. 1681 წელს ნეაპოლის საშუალო სკოლაში ერთი ქართველი ახალგაზრდა თავადიშვილი სწავლობდა თურმე „სამოქალაქო მეცნიერებას“.

კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას საქართველოში, რა-თქმა უნდა, ყველა ერთნაირად არ უყურებდა. მოკეთეების გვერდით „ფრანგებს“ მოწინააღმდეგენიც ძლიერი ჰყავდათ. მიუხედავად ამისა, მისიონერთა მოღვაწეობა სულ უფროდაუფრო თვალსაჩინო ხდებოდა. თანდათან „ფრანგებმა“ დიდი სახელი მოიხვეჭეს. მათი მეცნიერებისა სჯეროდათ. კათოლიკე პატრებთან სწავლობდნენ მოქალაქენი, თავად-აზნაურნი, მეფის ძენი და თვით მეფენი. მისიონერებთან სწავლობდა ლათინურ ენას გიორგი მეფის შვილი ბ ა გ რ ა ტ, მათვე უსმენდა არა ერთი თავადიშვილი ორბელიანთა სახლიდან; თვით ს ა ბ ა მ, ცნობილია, დაუტევა „მართმადიდებლობა“ და რომის ეკლესიას შეუერთდა. ცნობილი ამბავია, აგრეთვე, რომ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI მისიონერთა საშუალებით გაეცნო ევროპას, ხოლო 1709 წელს უფროსი პატრი ამავე მეფეს ასტრონომიის გაკვეთილებს აძლევდა და თავისი მოწაფის გულისხმიერებას დიდად აქებდა.[31] ასევე ცნობილი ამბავი იყო იმ დროს, რომ ლექსიკონზე მუშაობისას ჩვენს დიდ მეცნიერს, ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს, ეს „ფრანგები“ აქტიურად ეხმარებოდნენ.[32]

კათოლიკე მისიონერებთან ვახუშტის ურთიერთობის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზეპირი ცნობა ბროსეს აქვს მოყვანილი. დაუჯერებელი აქ არა არის რა. პირიქით, ამ ცნობის შემაგრებაც შეიძლება. 1727 წელს დაწერილს „ვახტანგიანში“ ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ამბობს ვახუშტის შესახებ:

„ვახუშტი ქრისტეს მოსავი მის ცნებაზედა დარგული,
ს უ ლ ა ღ ა ს რ უ ლ ა ყ ო ვ ე ლ ი ს წ ა ვ ლ ა
ლ ა თ ი ნ თ ა ფ რ ა ნ გ უ ლ ი“...

---

31 თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, op. cit 339.

32 „სამდივნო წიგნში“ ვკითხულობთ: საბამაო „დიდად იღვაწა და დიდი შრომა თავს იდვა, სომეხთა და ფრანგთა ლექსიკონთა შემოწმებითა განასრულა და იხარებს ყოველი საჭიროთა წერილთა გამომკვლეველი. ხოლო მე ყოვლად უღირსმან და უგულისხმომან ტფილისის ქალაქის სიონის დეკანოზის ძემან ხენეშმან მღვდელმან, კნინმან ხუცესმან ოსემ ვიწყე აღწერად და გარდმოღებად თვით მის ხელითა მისითა აღწერილსა ზედა გადმოვწერე. თუცა სადმე ჩვენსა და ფრანგთა შორის საცილებელს მათ კერძო მოწმობა აღეწეროს, მე ნუ მაბრალებთ, რამეთუ მას მათ კერძო აქვნდა თვისება“. საქ. სახ. მუზ. № 1334 H.

ამ მოწმობით დასტურდება არა მარტო ის ფაქტი, რომ ვახუშტი კათოლიკე მისიონერებთან სწავლობდა. არამედ ისიც, რომ მან სავსებით შეითვისა მისიონერთა მიერ ქართლში მოტანილი ევროპული ცოდნა („სწავლა ლათინთა ფრანგული"). კერძოდ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვახუშტის თავისი კარტოგრაფიული მუშაობა კათოლიკე მისიონერების თანამშრომლობით უნდა შეესრულებინოს[33].

ყოველი აქ მოთხრობილის გათვალისწინებით[34] უცნაურად აღარ გამოიყურება ქართლის ეს კულტურული აღორძინება აღნიშნულ ხანაში. ხანგრძლივი უიმედობით მინელებული დიდი კულტურული მემკვიდრეობის კერა უმალ გაღვივებას იწყებდა, როგორც კი საამისო პირობები ჩნდებოდა. 90 წლის მანძილზე (1632—1722) ქართლი უცხოელთა მსხვილ შემოსევას არ შეუწუხებია. ქვეყანა მოშენდა, ეკონომიურად მოღონიერდა. შორეულსა თუ ახლო ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა გაცხოველდა. თანდათან გაიშალა კულტურული მუშაობა. ამავე დროს დაწინაურებულმა და უცხო ბაზრების მაძიებელმა ევროპამ შემოიხედა დიდი ხნის წინ „დავიწყებულს" ქვეყანაში და ქართველი საზოგადოება ხარბად დაეწაფა „ფრანგულ სწავლას" (რა თქმა უნდა, ჩვენი ამ დროინდელი მეცნიერნი „ფრანგულის" გარდა უხვად სარგებლობდნენ აგრეთვე სპარსულ-თურქული თუ სომხურ-ბერძნული „სწავლითაც").

თავისი შრომის წინასიტყვაობაში ვახუშტი წერს: „შრომა ჩვენი არა მცირე იყო, რომელსა ზედა ვიშრომეთ კნინღა წელნი სამნი მარადის წერით"... და ბოლოს: „ხოლო სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქორონიკონსა წლისასა ჩღმე, ქართულსა ულგ, ოკდონბერს კ, მეფის შვილის ვახუშტის მიერ, სამეუფოსა ქალაქის მოსკოვის პრესნას",[34] ამ ცნობის შესახებ აკად. ი ვ. ჯ ა-

---

[33] Avertissement sur la carte générale de la Géorgie, Armenie etc, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების არქივიდან. ამაების შესახებ ჩვენ, იმედია, ახლო მომავალში საშუალება გვექნება გულდასმით მოვესაუბროთ საბჭოთა მკითხველ საზოგადოებას, ამიტომაც ამ ხელად ჩვენ მოვლენათა მხოლოდ ღასახელებით ვკმაყოფილდებით.

[34] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 9—10.

ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი შენიშნავს: „მაშასადამე, ვახუშტის მუშაობა 1742 წელს დაუწყია და 1745 წელს დაუსრულებია. მაგრამ მისი შრომა იმდენად დიდია და მრავალმხრივი, რომ შეუძლებელია მას მარტო ამ სამი წლის განმავლობაში მოესწრო მისი შემუშავება და დაწერა. ამიტომ, უეჭველია, მას თავისი თხზულებისათვის მასალები და საბუთები დიდის ხნიდგან მოყოლებული უნდა ეგროვებინა, იქნებ როდესაც ჯერ კიდევ საქართველოში იყო, თვით წყაროების ღირსება-ნაკლულევანება წინდაწინვე გათვალისწინებული ექმნებოდა და ის სამი წელიწადი, რომელიც ჩვენ ისტორიკოსსა აქვს დასახელებული, მის სამეცნიერო კვლევა-ძიების მხოლოდ უკანასკნელ ხანას ეკუთვნის, როდესაც იგი უკვე თავის ნამუშაკევის აღწერას შეუდგა“[35]. რა თქმა უნდა, განსვენებული აკადემიკოსის შენიშვნა სრულიად სამართლიანია და თავის ისტორიაზე სამეცნიერო მუშაობა ვახუშტის მხოლოდ 1742 წელს არ დაუწყია. ჯერ კიდევ 1737 წელს ვახუშტისეული რუკები ბაქარს ჰქონდა პეტერბურგში. ამ რუკების ასლები ბაქარის ნებართვით და ერთი ქართველის დახმარებით გადაიღო და ფრანგულად სთარგმნა ასტრონომმა და გეოგრაფმა დელილმა.[36] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ვახუშტის ხელით შესრულებული რუკების წარწერებიდანაც ცხადი ხდება, რომ მეცნიერ ბატონიშვილს საქართველოს ისტორიაზე სამეცნიერო მუშაობა 1735 წელზე დიდი ხნის წინ უნდა ჰქონოდა დაწყებული. ავტორის მოწმობით ეს რუკები „აწ ახალი დახაზულა“ 1735 წლის დასაწყისში, იანვრის 7-ს (ქართლი), 20-ს (სამცხე-საათაბაგო), 22-ს (მთლიანი საქართველო), 24-ს (კახეთი), 29-ს (შირვანი). განსვენებული აკადემიკოსის სამართლიანი შენიშვნის მსგავსად აქ ჩვენც საბუთი გვაქვს შევნიშნოთ, რომ ამ რუკების დამზადება ყოვლად წარმოუდგენელია ავტორის მიერ აქ დასახელებულ ვადაში და საამისო მოსამზადებელი მუშაობა მას მთელი რიგი წლების მანძილზე უნდა ეწარმოებინა (თუმცა უნდა ითქვას, რომ ვახუშტი თავის მინაწერში რუკების მხოლოდ დახაზვაზე გვამცნობს და არა საამისო მასალის დამზადებასა და შესწავლაზე). მაგრამ ამ ზოგადი ხასიათის მოსაზრების გვერდით ჩვენ სხვა საბუთიც გაგვაჩნია. გამოთქმაში „აწ ახალი დახაზული“

---

35 ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 284.

36 Avertissement sur la carte générale de la Géorgie, Armenie etc.

ვახუშტი ორ რამეს შეიძლება გულისხმობდეს: ან მის მიერ შესრულებულ სამუშაოს ის ადარებს აქამდის არსებულ, სხვების მიერ შესრულებულს ასეთივე რუკებს[37], ან გულისხმობს მის მიერვე ამის უწინარეს დახაზულს ასეთივე რუკებს. უკანასკნელი ვარაუდი ჩვენ დაუშვებლად არ მიგვაჩნია. ვახუშტი რომ თავის რუკებს სულ უფროდაუფრო აუმჯობესებდა, ეს უცილობლად მტკიცდება. მას არა ერთხელ დაუმუშავებია და კვლავ დაუხაზავს თავის რუკები მთლიანად თუ ნაწილობრივ. დასაშვებია, ამიტომ, რომ ვახუშტიმ თავისი რუკები 1735 წელს ხელახლად დახაზა,[38] მაგრამ ჯერ ისევ „სპარსული მათემატიკის"[39] გამოყენებით.[40] შემდეგ, როგორც ცნობილია, ვახუშტიმ თავისი რუკები „ახალს პოვნილს მენაკთა ზედა უფლის ფელეს მიერსა" „მოხაზა". მეორე მხრით ბუნებრივია შემდეგი მოსაზრებაც. როგორც ცნობილია, ვახუშტი თავის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიულ მუშაობას მისივე ისტორიის ნაწილად სთვლიდა.[41] ამიტომ ქვეყნის აღწერისა და საამისო რუკების დამზადების გეგმა მას უნდა აზრად მოსვლოდა ისტორიაზე სამეცნიერო მუშაობის პროცესში. ასე რომ, ვიდრე ვახუშტი თავის ისტორიულ გეოგრაფიაზე და საამისო რუკებზე მუშაობას დაიწყებდა, მას უნდა საკუთრივ ისტორიაზე მუშაობა დიდი ხნით წინ გაჩაღებული ჰქონოდა[42].

მუშაობა საქართველოს ისტორიაზე ვახუშტის არც 1745 წელს დაუმთავრებია. როგორც ხელნაწერის გარეგანი შესწავლიდან ირკვევა, ვახუშტის განცხადება თავისი შრომის დამთავრების შესახებ მის მხოლოდ ძირითად ნაწილს შეეხება. შრომის დანარჩენი ნაწილები კი ჩვენს მეცნიერს სხვა დროს დაუმზადებია. მაგრამ შრომის ძირითადი ნაწილის დამთავრების შემდეგაც ვახუშტის

---

37 იხ. იქვე, გვ. 4.

38 შეიძლება სწორედ ამით აიხსნებოდეს შესრულების ის სისწრაფე, სამართლიან შენიშვნას რომ იწვევს.

39 „Ex mathematico persico", № 6. Avertiessement... 2.

40 იქვე.

41 იხ. იქვე, შესავალი, გვ. 3; ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 284.

42 შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 286.

ძასზედ მუშაობა არ შეუწყვეტია და შემდეგ ხანებში შიგ მრავალი შესწორებები შეუტანია.[43]

თავისი „აღწერისათვის“ მასალები ვახუშტის მრავალი სხვადასხვა წყაროდან უნდა მიეღო. ხალხის აღწერის დავთრები და სამეფო დავთარხანის სხვა დოკუმენტები ამისათვის, რა თქმა უნდა, საკმაო არ იყო. ვახუშტისეული „აღწერა“ ქვეყნის მხოლოდ ისტორიული შესწავლის შედეგად შეიძლებოდა. ვახუშტის „გეოგრაფიის“ მასალაც, მაშასადამე, უმთავრესად იგივე ისტორიის მასალაა. ასეთი კი იყო ყველაფერი ის, რაც ჩვენს მეცნიერს პირადად ეხილვა, რაც მას მნახველთაგან სმენოდა, რაც კი წერილობითი წყაროები მოეპოვებინა ქართული თუ უცხოური.

ვახუშტის სამეცნიერო მუშაობა მხოლოდ საქართველოს ისტორიის შედგენით არ განისაზღვრება. 1752 წელს მას რუსულიდან უთარგმნია მსოფლიოს გეოგრაფიის სახელმძღვანელო.[44] წიგნს წინ უძღვის მთარგმნელისაგან: „მოკლედ ქცეულების ღეოღრაფია გამოცხადებული და გამოცემული რუსულს ენასა ზედა (აწ ქართულსა ენასა ზედა) არა დიდის ატლასისა მიმართ (? „მრთ“) განწყობილი გასახმარებისათვის ღიმნაზიისა იმპერატორულის აკადემიისათვის.

სანკტ პეტერბურღსა შინა 1745 წელსა. ხოლო ქართულს ენასა ზედა 1752 აგვისტოს 25. შესრულდა მოსკოვის პრესნას“.

აქ მიჰყვება აკროსტიხი „ვახუშტიმ გარდმოვიღე რუსულიდამ“:

ვსწერე ახალი ხელქმნანი უცხოთ შორთა ტომით, იმცენი,
გექენვი ამით რად დამგმო, მე ოდენ ვიტყვი: იწვრთენი;

ღეოღრაფიას ეწევი, რა უყო სრულად უწყენი,
ლერწმად იხმივე და აწით მოიგო ესთენ ესენი.

---

43 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 8, XXI—XXXIII.

44 საქ. მეც. აკად. ხელნაწ. ინსტიტუტი, № 717 A.

წიგნის შესავლის წინ ვახუშტის თავის თარგმანში ხმარებულ უცხო ცნებათა განმარტებანი დაურთავს: „რაოდენნი სხვათა ენათა სახელნი წერილარიან ამას წიგნსა შინა, მათნი თარგმანნი ანბანსა ზედა ქმნულნი“. გეოგრაფიის ტექსტი შემკულია ფერებში შესრულებული 21 რუკით. მთარგმნელს საქართველოს შესახებ ცნობები ფრიად საინტერესო დეტალებით შეუვსია.

გარდა ამისა, ვახუშტის სამეცნიერო-სალიტერატურო მოღვაწეობიდან ცნობილია აგრეთვე მისი დიდჭირნახულობა „ბაქარის ბიბლიის“ გამართვა-დაბეჭდვაზე 1743 წელს.[45] 1749 წელს ვახუშტის რუსულიდან უთარგმნია „მოსვლა ანტიქრისტესი“;[46] ალ. ხახანაშვილის ცნობით მასვე მიეწერება ვისრამიანის გალექსვა; მონაწილეობა მიუღია ვახუშტის ერთ ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენაშიაც[47].

„გეოგრაფია“ ცალკე წიგნად ვახუშტის არასოდეს დაუწერია. წინამდებარე გამოცემის საგანი არის ის „ადგილის აღწერა“, რომელიც ვახუშტის აზრით, ისტორიის ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც ქრონოლოგია-გენეალოგია.[48] ამ გარემოებით განისაზღვრება ჩვენი „გეოგრაფიის“ თავისებურებაც. ვახუშტი ამ შრომის წერისას, როგორც ადვილად შესამჩნევია, ერთის წუთითაც არ ივიწყებს, რომ მისი ეს „აღწერა“ ისტორიის („მატიანეს“) ნაწილია და უკანასკნელის სრულყოფას ემსახურება. ამიტომაც არის, რომ ვახუშტის „თავისი შრომაში მარტო გეოგრაფიული ცნობები კი არა აქვს მოყვანილი, არამედ ყველა ისტორიულ ნაშთებსაც იხსენიებს: ციხე-ქალაქებს, ეკლესიებს, მონასტრებს, სასახლეებს, ხიდებს, რუებს და არხებს, ან ვისი აგებულია, ან როდის, ვინ გადააკეთა ან დაანგრია, საიდან იწყება და სად მიდის რუ-არხები, ან ვისი გამოღებულია და როდის“.[49] ამითვე აიხსნება „ის გარემოება, რომ ვახუშტიმ თავისი გეოგრაფია საქართველოს საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაამყარა.[50] მოკლედ, ვახუშტის

---

45 ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია... რედაქცია მ. გ. ჯანაშვილისა, შესავალი, გვ. ე-ვ; А. С. Хаханов, Очерки по истории грузинской словестности. вып. 3-й, 290.

46 ხელ. ინსტ. № 58 А.

47 А. С. Хаханов, op. cit. იქვე.

48 ხელ. ინსტ. № 58 А.

49 ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, 285—286.

50 იქვე.

„აღწერა“ დიდად სცილდება ჩვეულებრივი გეოგრაფიის ფარგლებს. ის ისტორიული გეოგრაფიაა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ რედაქციამ საჭიროდ დაინახა დაერღვია ვახუშტის შრომის ამ ნაწილის სახელწოდებისათვის მიღებული ტრადიცია — „საქართველოს გეოგრაფია“ და აღედგინა ავტორისეული „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ვახუშტის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მუშაობის შეფასებას რედაქცია ერიდება. ასეთ საქმეს, იმედია, სათანადო სპეციალისტები შეასრულებენ. რაც შეეხება „აღწერაში“ შემოტანილ საისტორიო ცნობებს, მათ შესახებ საუბარი უპრიანი იქ იქნება, სადაც ვახუშტის ისტორიული ნაშრომი იქნება განხილული.

ვახუშტის გეოგრაფიული ნაშრომის ზოგადი შეფასებისათვის საკმაოა აღინიშნოს, რომ ვახუშტისეული რუკები ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 40-იან წლებში გადაღებულ იქნა რუსულად და ფრანგულად და საფრანგეთის თუ რუსეთის გეოგრაფ-კარტოგრაფები დიდად სარგებლობდნენ ამ შრომით მთელს XVIII საუკუნეში. რაც შეეხება ვახუშტის გეოგრაფიას, ის დღესაც, თითქმის 200 წლისთავზე, ისევ ცოცხალი წიგნია და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება მისი გამოცემით არა იმდენად საქართველოს გეოგრაფიის ისტორიულ ლიტერატურას ბეჭდავს, რამდენადაც საბჭოთა მკითხველს სანიადაგო სახმარ წიგნს აწვდის.

სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში*

სამღებროებსა და ღებვის საქმეს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ფეოდალურ საქართველოს მეურნეობაში. ამდენადვე მეურნეობის ეს დარგი მონოგრაფიული შესწავლის ღირსია.

ადგილობრივი თუ უცხოური წყაროებიდან წერილობით ცნობების ამოკრებით, ხელსაქმის ნაშთებისა თუ ფერწერის ძეგლთა ამ თვალსაზრისით შესწავლით, ენობრივ და ფოლკლორულ მასალის გამოყენებით და მეზობელ ქვეყნებში ამ საკითხის შესწავლის მოშველიებით შესაძლებელია ეს ამოცანა საბურველ სისრულით იქმნას გადაჭრილი გარდასულ მეურნეობის ისტორიულ ფონზე.

საკითხის ასეთი მონოგრაფიული დამუშავება ჩვენ განზრახული გვაქვს და საამისო მასალებსაც ვაგროვებთ.

რამდენადაც ვიცი, საღებავებისა და ღებვის ოსტატობის საკითხების გარშემო ამხ. შალვა ამირანაშვილი მუშაობს. მაგრამ ამხ. შალვას ეს საკითხები უმთავრესად როგორც ხელოვნების ისტორიკოსს აინტერესებს, მე კი, უპირველეს ყოვლისა, მეურნეობის ამ დარგის საზოგადოებრივ-ეკონომიურ თვალსაზრისით შესწავლა მაქვს მიზნად.

ასე რომ ჩვენ შეგვიძლია ერთიმეორეს წარმატებით დავეხმაროთ.

როგორც ვხედავთ, ყველა ეს მომავლის საქმეა.

და თუ მიუხედავად ამისა მე დღეს აქ მოხსენებით გამოვდივარ: „სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში", ეს გამოწვეულია შემდეგით:

---

*) მოხსენდა ტფ. სახ. უნ-ტის საქ. ისტორიის კაბინეტის ღია სხდომას 1934 წ. მაისის 20. პირველად დაიბეჭდა: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1937, ნაკვ. VI. გვ. 431 — 470.

ჩვენი კაბინეტის სამუშაო გეგმით XVIII—XIX საუკუნეთა ასწლეული საქართველოს ისტორიისა შესწავლის ობიექტთა პირველ რიგშია წამოყენებული. თემა: „საქართველოს ეკონომიური ვითარება მე-XVIII საუკუნეში“ მე მაქვს დაკისრებული დასამუშავებლად, სადაც, რა თქმა უნდა, სამღებროებისა და ღებვის საქმეც თავის ადგილს დაიჭერს.

ბიძგი, რომელმაც მაიძულა ნაჩქარევად და ამდენადვე დაუსრულებელ ნარკვევით გამოვსულიყავით, ეს გახლავთ პატივცემულ პროფ. გ. ნათაძის მოხსენება ჩვენი კაბინეტის წარსულის წინა სხდომაზე, სადაც მომხსენებელმა მესამედ გაიმეორა თავისი შეხედულება „სამღებროთა“ შესახებ.

პ-ლ პროფესორმა ჯერ კიდევ 1930 წელს დაბეჭდა წერილი: «К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия» (იხ. История классовой борьбы в Закавказьи. Сборник статей. Книга первая З. К. У. — 1930 г.), სადაც „სამღებროს“ მისებური გაგება კატეგორიულად გამოიყენა ქვეყნის ეკონომიური სურათის წამოსაჩენად (ib. გვ. 146 — 147).

იქვე შენიშვნაში ავტორმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ხელაღებით უარყო ცნება „სამღებროს“ ჩვეულებრივი გაგება, აქამდის რომ არსებობდა და საზოგადოებას შეჰპირდა: „об этом придется высказать свои соображения особо“ პ-ლ პროფესორის ხსენებული წერილი ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. ამიტომ მისი უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია. მით უფრო, რომ წერილი, სამწუხაროდ, მძიმე ფაქტიურ შეცდომებს, სათუო ხასიათის მსჯელობასა და დასკვნებს შეიცავს. ამდენადვე ხსენებული წერილი საფუძვლიან შენიშვნებს აუცილებლად საჭიროებს.

მიმდინარე წელს პ-ლ პროფესორმა თავისი დაპირება გაანალდა და სამღებროთა შესახებ სპეციალური მოხსენებით გამოვიდა, სადაც თავისი მოსაზრების დაცვა სცადა. ჩვენ შემთხვევა მოგვეცა აზრი გამოგვეთქვა ხსენებული საკითხის შესახებ.

მომხსენებლის მოსაზრება ჩვენ შეცდომად ვაღიარეთ. ვერ შევთანხმდით.

ჩვენი კაბინეტის წარსულის წინა სხდომაზე პროფ. ნათაძემ თავის მოხსენებაში — საქართველოს ეკონომიურ ვითარების შესახებ XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში — სამღებროები, ამ ცნების განმარტების სადაოობის გამო, სულ გამოსტოვა, როგორც ეკონომიური ნიშანი და, ბუნებრივია, მომხსენებლის მიერ წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგენილი ქვეყნის ეკონომიური ვითარების ისედაც არასრული სურათი ამით კიდევ უფრო დანაკლულდა.

ამავე დროს კამათში პ-ლ მომხსენებელმა ტერმინ „სამღებროს“ მისებური გაგება კვლავ დაიცვა.

აშკარაა, საკითხის გადადება აღარ შეიძლება. ის ასე თუ ისე უნდა გადაწყდეს.

ესაა მიზეზი ნასწრაფევად და ნაკლულად დამუშავებული საკითხის საჯაროდ გამოტანისა.

მაგრამ, თუ საკითხი „სამღებროს“ რაობის შესახებ ამ მცირე მოხსენების შედეგად რამოდენიმედ მაინც გაირკვა, ჩემი შრომა და თქვენი შეწუხებაც გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს.

* * *

„ერთი მელა დაცანცალებდა. ძველითგან თურმე ნასოფლარი ყოფილიყო. სამღებროს ქვევრი, ლილით სავსე პირღია დარჩომილიყო. სვლასა იქი აქა თურე შიგ ჩავარდა. ამობორტყდა, ამოვიდა. მელა შავად შეღებული შეიქმნა. დაიწყო სიარული. ერთი მამალი შემოეყარა. ჰკითხა მელასა: რა დაგმართებიაო? მელამ უთხრა: „ჩემნი დღენი ცოდვის ქნით დავაღამე. ახლა ჭკუა მოვიხმარე. ეს სოფელი გაუშვი, ბერად შევდეგ, იერუსალიმს მინდა წავიდეო“... (საბა ორბელიანი. წიგნი „სიბრძნე სიცრუვისა“, § 21 მთვარელიშვილის გამოცემით).

„ქ. დავით სარდალ-მოურავის იმედო, თენდო მღებარო! მერე ჩემი ბიძაშვილი გოგია რუსეთს მივა. ხელი მაგ სამღებროთი უნდა მოიმართოს. ორი წლის ვადით აგირავებს. თუ გინდა, ისევ შენ დაიგირავე, თუ არა, დაანებე ეგ სამღებრო. ვისაც უნდა, დაუგირავებს. ეგ ქვევრები რომ დაგიგლეჯია და სამღებროს სახლი დაგიქცევია, თუ გინდა ერთი თუმანი მიეც. წრეულს რომ ოთხ თუმნად აგიღია, დაგიშავებია. ხუთ თუმნად უნდა შეუთავო, თუ არა, სახლი და ქვევრები დაანებე. ივლისის იბ. ქკს უოე. სამართლიანის გზით თუ გინდა შენ აიღე, თუ გინდა, დაანებე ორის წლით“. ბეჭედი: დავით.

(საბ. № 9640 d. h ხელნაწ. ინსტ.).

„პრწყინვალეს თავადს ამილახვრის ასულს ანნას, მოწყალეს ხემწიფეს.

ამას მოვახსენებთ. თუ ინებებთ, თქვენის ერთგულობისთვინ,

თუ ნება თქვენი იქნება, თქვენს საწილოთ სამღებროს გავაკეთებინებთ. მე დავდგები. როგორც თქვენის მაზლის გიორგისა წილი უჭირამთ ოცდა ათს ყურუშით, იმაზე მეტს ათს გურუშ (sic) მეტს მოგართმევ, რომ იქს ორმოცს ყურუშს და, თუ თქვენი ნება იყოს და გა(ა)კეთებინოთ, გლახა ჩხეიძეს და ხახუტელა მამასახლისს წიგნი უბოძეთ: ერთი სახლი დადგან ორი ქვევრი მოიტანონ. სხვა რაც მოუნდება, მე გავაკეთებ. სხვანიც მეხვეწებიან, მაგრამ თქვენის ერთგულობისთვის მოგახსენე, რომა თქვენც გააკეთებინოთ და გერგოთ, თვარემ ნება თქვენია. თუ ინებოთ გაკეთება, წიგნი მალე მებოძოს, რომა გავაკეთებინო. თუ არ ინებოთ, ამასაც გევედრებით ისიც წერილით მიბძანოთ, ჩემო ხემწიფევ. იანრის (sic) ი. ქკს. უეზ. თქვენი უმსახურო და მონა ხითარიშვილი გოგია მოგახსენებ სიმდაბლით მოწყალეო ხელმწიფეო ჩემო. უმსახურო გახლავარ. მოხსენებისათვის ნუ გამიწყრები". (საბ. № 3569. d. h ხელნაწ. ინსტ.). ტფილელ მღებარ ბეგლარიანის მოწმობით: „ძველ სამღებროს მთავარი ინვენტარი დიდი ქვევრები იყო. ეხლაც კი ზოგიერთი მღებარი მხოლოდ ქვევრებში ღებავს და ჯიუტად გაიძახის: როგორც ქვევრში, ისე სხვა ჭურჭელში არ შაიღებებაო. უზუნლარელ მოსინიანცის (ტფილისში მღებრობს) მოწმობით: „ამ ორმოცდა ათი წლის წინ ავაქა მანთაშოვს დიდი სამღებრო ჰქონდა, შიგ ექვსი ქვევრი იდგა".

გასულ წელს ჯავახეთში ვმოგზაურობდი. სოფელ მურჯახეთში სასაფლაოს დათვალიერებისას ყურადღება მივაქციე საფლავის ლოდს, რომელზედაც გამოქანდაკებული იყო მამაკაცი, ქვევრი, ჯამი. ადგილობრივმა კოლმეურნემ მიხეილ ინასარიძემ ამიხსნა: „აქ სომეხი ასაფლავია. მღებარი იყო, სამღებრო ჰქონდა. ის თავის იარაღით დაუხატიათ. სამღებროები ჯავახეთის სხვადასხვა სოფლებში სულ უკანასკნელ ხანამდის იყო. სამღებროში ქვევრი დგას. მოშორებით ცეცხლია გაჩაღებული. აქედან სითბო მილით მიჰყავთ ქვევრთან. ქვევრში წყალია. შიგ წამალია გახსნილი. წყალი ნელთბილია. შიგ ნართს ავლებენ, ღებავენ".

„უკეთუ სამღებროსა შინა ღებისათვის უზომო მომატებული საღებავის ფასი აიღოს, მსგავსად ქურდისა გარდახდეს" (ხელ. № 2330 H. სამართალი ბატონიშვილი დავითისა. განყოფილება „საბაჟოისა და ბაჟისათვის და იჯარისა. მუხლი: ია:).

იოანე ბატონიშვილი თავის კანონპროექტით აწესებს უფრო-

სებს ვაჭრობა ხელოსნობის, სასოფლო მეურნეობის თუ მოხელეობის ხაზით და „მეორმოცდა მეექუსედ“ ასახელებს: „იყოს მ ღ ე ბ რ ე ბ ი ს ა, ჩითების მკეთებლებისა, ფეიქრებისა, მელაინებისა და თავთათა, დარაიას მქსოველთ უფროსი და ესე აძლევდეს რიგსა და ფასსაც ესევე მიაწერდეს რიგით და ნართებსაც და ღაზლებსაცა. ზედამხედველი ესევე იყოს და ესე ცდილობდეს ამათსა გ ა მ რ ა ვ ლ ე ბ ა ს ა, რ ა დ გ ა ნ დ ა ბ ა ლ ი ხ ა ლ ხ ი ა მ ა ს უ ფ რ ო ხ მ ა რ ო ბ ე ნ ს ა ც მ ე ლ ა დ“ (ხელ. 2155 H ხელნაწ. ინსტ.).

მოყვანილ საბუთებიდან ჩანს, რომ მე-18, მე-19 საუკუნეებში სამღებროს მთავარი ინვენტარი იყო ს ა ხ ლ ი და ქ ვ ე ვ რ ე ბ ი.

სამღებროში მუშაობდა მღებარი („საღებავის მცოდინარე ოსტატი“ — საბა) და მღებავი („ღების მოქმედი“ — საბა).

მღებრები მეჩითეების, ფეიქრების, მელაინების, თავთათა და დარაიას მქსოველთ რიგის ხელოსნებია: ფეიქრები ქსოვენ, მეჩითენი სჩითავენ, მღებრები შეჰღებენ.

იოანე ბატ-ლის კანონპროექტით ყველა ესენი ერთ უფროსს (სახელმწიფო მოხელეს) უნდა ემორჩილებოდნენ.

სამღებროში ჰღებავენ შალებს, ჩითებს, ლაინებს, მოვს, შილას, დარაიას, ღაზლებს, ნართს, პერანგს, ნიფხავს, ჩოხას, კაბას (საბ. 14393 d. h.).

სამღებროში მღებარი საღებავის („საღებავი — შეღების ქნის საქნელი“ — საბა) ფასს იღებს. ეს ფასი ზომიერი შეიძლება იყოს, მომატებული და უზომო მომატებულიც. დავით ბატ-ლის კანონპროექტით ასეთ მღებარს უნდა „მსგავსად ქურდისა გარდახდეს“.

მოხსენებულია ქალის საკაბეს შეღება ხუთ აბაზათ. (იხ. საბ. № 14393 d. h. ხელ. ინსტ.).

ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს: „მ ღ ე ბ ა რ ი“, „მ ღ ე ბ ა რ თ ხ უ ც ე ს ი“, „ს ა მ ღ ე ბ რ ო“.

საბა ორბელიანის განმარტებით მ ღ ე ბ ა რ ი საღებავის მცოდინარე ოსტატია. მასვე მოეპოვება მეორე ტერმინიც — მ ღ ე ბ ა ვ ი, რომელიც ღებვის მოქმედათ აქვს განმარტებული. აქედან ჩანს: ყველა იმას, ვინც ღებავდა, მღებარი არ ეწოდებოდა: ასეთს მღებავი ერქვა, ხოლო ღებვის საქმეში დახელოვნებულს, ოსტატობამდის მიღწეულს, საღებავის მცოდინარე პირს მღებარი ერქვა, „მღებრის“ მთავარი დამახასიათებელი ნიშანი საღებავის საქმის ცოდნა იყო და არა ღებვა.

საშუალო საუკუნეების ხელოსნობის წესრიგის გათვალისწინებით საბას ეს ცნობა მეტად საინტერესო და გასაგებია.

ასევე იყო ამ დროს ყველა სხვა ხელობის ხალხი: მჭედელი, ხურო, დურგალი, ფეიქარი, გალატოზი და სხვა მრავალი. ყველა ესენი ოსტატები იყვნენ და ასეთი სახელწოდებანი თავიანთ დარგში ხანგრძლივ მუშაობისა და გარკვეულ ცოდნის გამომჟღავნების შედეგად გარკვეულის წესით ჰქონდათ მოპოვებული.

ასეთი ტერმინი არსებითად განსხვავდებოდა ისეთ სახელწოდებისაგან, როგორიცაა, მაგალითად, „მებაჟე", რომელიც, ისევე როგორც მღებავი, სრულიად არ შეიცავდა ოსტატობის მომენტს, არამედ ამა თუ იმ პირის დროებით საქმიანობიდან იყო ნაწარმოები და ასევე დროებით განეკუთვნებოდა მას, მაშინ როცა ოსტატობა სამისდღეშიო სახელწოდებად განეკუთვნებოდა ოსტატს დამოუკიდებლად იმისგან, ეწეოდა იმავ საქმიანობას გაოსტატებული ამის შემდეგ თუ არა.

ასეთ სამისდღეშიო სახელწოდებიდან — ოსტატობასთან დაკავშირებით არის ის, თუ მოხელეობასთან, — წარმოიშვიან გვარები: მღებრიშვილი, გალატოზიშვილი, ფეიქრიშვილი, მეჩითიშვილი, დურგლიშვილი, ხუროშვილი, ხარაზიშვილი, მკერვალიშვილი, სარაჯიშვილი, დალაქიშვილი, ნალბანდიშვილი, მექვაბიშვილი, მკალავიშვილი, მჭედლიშვილი, ზეინკლიშვილი, მენაბდიშვილი, მეარაყიშვილი, მეზვრიშვილი, მემარნიშვილი, მესტვირიშვილი, მემშვილდიშვილი, მეხრიშვილი, მამასახლისიშვილი, გზირიშვილი, შათირიშვილი, ნაცვლიშვილი და სხვ.

ასევე ოსტატის ნაკუანსით აქვს ნახმარი ჩახრუხაძეს ტერმინი „მღებარე" დავით სოსლანის შესახებ:

„ვინ ეფრემს თვისობს,
სიმჯნითა ისობს
მბრძოლთა სისხლითა
ჴმელთა მღებარე". (ოდა X_{15}) აკ. ნ. მარი აქ „მღებარეს" სთარგმნის—„Красильщик".

ღებვის ოსტატობაზეეა საუბარი შაჰნავაზიანში: (გვ. 156. სტროფ. 944_4 945_1) „სარტყელი ჩინეთს ნაქსოვი ეს მიკუირს იყო რასისა, მან ოსტატმან ჴელოვანმან ესეგუარი სადა ღება". XVIII—XIX საუკუნეებში ტერმინი მღებარი ჩვეულებრივი სიტყვაა. ქვე-

მოთ ის მრავალჯერ შეგვხვდება. ამიტომ აქ ამოწერა მათი ზედმეტია.

დასტურლამალში ნახმარია ტერმინები ს ა მ ღ ე ბ რ ო და მ ღ ე ბ ა რ თ ხ უ ც ე ს ი.

წინწყაროელთ მართებსთ: „აგრეთვე ქალაქის სამღებროში ორი კაცი უნდა დადგეს რიგით მღებართხუცესად“ (დასტურლამალი 116, თავი იზ. წინწყაროს გარიგებისათვის).

„ზემოქართლის სამღებროზე ერთი ალელი კაცი უნდა იყოს“ (იქვე, 121, თავი კვ. ალის გარიგებისათვის).

„ზემოქართლის მღებართხუცად ერთი იმათი კაცი უნდა იყოს“ (იქვე, 122. თავი კზ. ქრცხინვალის გარიგებისათვის).

„ორი მღებართხუცად და ორი მებაჟეთ უნდა იყვნენ რიგით“ (იქვე, 124, თავი ლბ. ქალაქის დებულებისათვის).

„ზემოქართლის მღებართხუცესი ერთი იმათი უნდა იყოს რიგით“ (იქვე—124, თავი ლა. გორისათვის).

„სადაც სამღებრო არის, ქართლსა თუ საბარათაშვილოში, თუ ყაიყულს, სულ სადედოფლო არის. სომხითს, საბარათაშვილოს და ყაიყულის სამღებროები ქალაქის მღებართხუცის ხელთ არის და ზემოქართლისა ცალკეა“ (იქვე 125, თავი ლდ. სამღებროსათვის).

მოვიყვანოთ საბუთი, რომელიც ამ ტერმინების გარკვევაში გვიშველის. საბუთი ტფილურია და მე-18 საუკუნისაა. „ქ. მელეინე კირაკოზამ, მელიქის ყმამ ასე იმოწმა: დიღცნუტელი მღებარი ავაქა დიღცნუტს იყო და აქ ქალაქში ფითუაშვილი ელიზბარა მღებართხუცად იყო და სამღებროში კარგი მღებარი არა ჰყვანდა. ელიზბარას უთხრეს: ერთი კარგი მღებარი დიღცნუტს არისო. ელიზბარამ წიგნი მისწერა იოვანე მდივანბეგს. დიღცნუტს შენი ყმა მღებარი ავაქა გამამიგზავნეო, სამღებროში დავაყენებო. ეს ავაქა ჩამოვიდა. სამღებროში დააყენა. ჯამაგირი მისცა და ხალათიცა. ცოლშვილი ისევ იქა ჰყვანდა. თითონ აქ მღებრობდაო. მე ამისი დამსწრე ვარ ღთის წინაშე (აქ ჯვარია დასმული) ჩემი ხელით იჯარას შინ უგზავნიდა ავაქა ელიზბარას“ (საბ. № 10358 d. h. ხელნაწ. ინსტ.). მოყვანილი საბუთი ადასტურებს და ავსებს საბა ორბელიანისეულ განმარტებას „მღებარი“-სას: მღებარი საღებავის მცოდინარე ოსტატია. მღებარი ავაქა დიღცნუტს იყო. იქ ის, ჩანს, არ ღებავდა და მაინც მღებრად იწოდებოდა.. ყველა მღებარი ერთნაირი არაა. იყო „კარგი მღებარი“, იყო არაკარ-

გიც, ე. ი. კარგი ოსტატი და არაკარგი ოსტატი („გალა ოსტატი“ ჩვენში).

სამღებროში მღებრის საქმიანობას მღებრობა ეწოდება.

დასტურლამალით ვიცით, რომ მღებართხუცესი რამოდენიმე იყო. მღებართხუცესი ამ წყაროთი ოსტატი არა ჩანს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სოფლიდან ბეგრით გამოყვანა და ისიც რიგით შეუძლებელი იქნებოდა.

ამასვე მოწმობს გამოთქმები: ორი მღებართხუცათ და ორი მებაჟეთ უნდა იყვნენ რიგით (დასტ. 124), „ზემო ქართლის მღებართხუცათ ერთი იმათი კაცი უნდა იყოს“ (იქვე 122).

მღებართხუცესი და მებაჟე რომ ოსტატები ყოფილიყვნენ მათ შესახებ ასეთი გამოთქმა შეუძლებელი იქნებოდა. ისე როგორც არ შეიძლება ითქვას, მაგალითად, გალატოზის, ფეიქრის, დურგლის, ხუროს, მღებრის და სხვა ოსტატთა შესახებ, რომ ისინი უნდა მუშაობდნენ კალატოზად, ფეიქრად, დურგლად, ხუროდ, მღებრად.

„მღებართხუცათ“ და „მებაჟეთ“ სწორედ იმიტომაც შეიძლება მოწვეული იყოს კაცი, რომ ერთიც და მეორეც ხელოსნობა-ოსტატობის მომენტს არ შეიცავენ.

მელაინე კირაკოზას მოწმობა სავსებით ნათელს ჰფენს დასტურლამალის ცნობებს. აქ „ფითუაშვილი ელიზბარა“, „მღებართხუცათ“ რომ „იყო“, ტფილისის სამღებროს ადმინისტრატიული გამგეა და მის მოწყობა-შემოსავლიანობაზე ზრუნავს. ის სრულიადაც მღებარი არ არის. დასტურლამალით ქალაქის მღებართხუცის ხელთ არის საბარათაშვილოს და ყაიყულის სამღებროებიც. ზემო ქართლსაც თავისი მღებართხუცესი ჰყავს.

ტერმინი სამღებრო სრულის კანონზომიერებით არის ნაწარმოები ტერმინ „მღებარი“-საგან ისევე, როგორც მჭედელი-საგან სამჭედლო, ფეიქარი-საგან საფეიქრო და სხვა.

დასტურლამალიდან ჩანს, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისს ქართლის სამღებროები სულ სადედოფლო იყო. ძველიდანვე არსებულ მდგომარეობის აღნიშვნაა ეს, თუ გიორგი XI და ვახტანგ სჯულმდებლის დროს შემოღებული წესია, გარკვევით არა ჩანს. საფიქრებელია კი, რომ ეს წესი ძველი უნდა იყოს (საინტერესოა მოსაზრება, რომ ამ მეურნეობის დედოფლისადმი დაქვემდებარებას საფუძვლები თვით ამ მეურნეობის სპეციფიკურ სახეობაში შეიძლება ჰქონდეს და უძველესი ამბავი იყოს — რთვა, ქსოვა,

ღებვა ქალის საქმე იყო, — ასეთი მოსაზრება შემდეგ კვლევა-დაკვირვებას მოითხოვს).

მე-18 საუკუნის სიგრძეზე საინტერესო მოვლენას აქვს ადგილი: ჯერ ერთი, სამღვბროთა რიცხვი იზრდება, ახალი სამღვბროები კეთდება და მეორე, მრავალი სამღვბრო სადედოფლოდან საფეოდალო (საუფლისწულო, სათავადო, საეკლესიო) ხდება.

მე-19 საუკუნიდან „რუსეთის კანონით" სამღვბროთა მონოპოლია გაუქმდა (იხ. საბ. № 8096 d. h ხელნაწ. ინსტ.). და ის კერძო მეურნეობის საგნად იქცა.

რამდენი სამღვბრო იყო მე-18 საუკუნის დასაწყისს არ ვიცით. ამ საუკუნის სიგრძეზედ და მე-19 საუკუნის პირველ ოცეულში კი შემდეგი სამღვბროები გვხვდება (რა თქმა უნდა, ქვემო მოყვანილი სია სისრულეს ვერ დაიჩემებს):

ანანურს, დუშეთს, ახალგორს, ცხინვალს, მეჯვრისხევს, არბოს, სამთავისს, რუისს, გორს, სურამს, ბეკამს, ხეფინისხევს, ვახანს, საწერეთლოს (?), საჩხერეს, ქუთაისს, სადგერს, ზოვრეთს, ქარელს, ახალქალაქს, თელათგორს, ძეგვს, ტფილისს, ქოლაგირს, დმანისს, მიტრაშენს, თელავს, ყვარელს, ნინოწმინდას, ბოდბეს, მანავს, თვალს, მარტყოფს, ხაშმს (?), მაშნარს.

გვხვდება ასეთი გამოთქმები: „სომხით საბარათიანოს სამღვბროები", „გატეხილ ხიდიდან ტფილისამდის რაც სამღვბროები არის", „კახეთში და ქიზიყში რაც სამღვბროები არის", „სამღვბროები ფამბაკისა და შორაგალის მაზრებში", „სამღვბროები პატარძეულიდან მარტყოფამდის", „იმერეთის სამღვბროები".

მე-19 საუკუნის დასაწყისს (1801—1820 წ.) მოხსენებულია ტფილისში ხუთი სამღვბრო, სურამში (თუ ჭალაში) აგებენ ახალ ორს (ერთი იყო), კახეთის სოფლებში: კალაურს, შაშიანს, ჯიმითს, ახაშენს და ახატელს (ყველა ეს ხუთი საეკლესიო სამღვბროებია).

როგორც აღვნიშნეთ, დასტურლამალის მიხედვით ყველა სამღვბროები სადედოფლოა. მაგრამ ეს პრინციპული დებულებაა და სრულიადაც იმას არ ჰგულისხმობს, თითქო ყველა სამღვბრო დედოფლის უშუალო მეურნეობის ობიექტს შეადგენდა.

კანონით სამღვბროები სადედოფლოს მონოპოლიაში შედიოდნენ, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავდა იმ შესაძლებლობას, რომ შემოსავლის ეს წყარო „წყალობის" სახით თუ „შეწირვის" გზით „საუკუნოდ" ებოძოს, ან შეეწიროს, ფეოდალს თუ ეკლესია-მონასტერს. და ამის მაგალითები ჩვენ უკვე მე-18 საუკუნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისშივე გვაქვს (ზოვრეთის სამღებრო ციციანთ) და შემდეგაც (სამთავისის — ამილახორთ, ახალქალაქის — თარხნიანთ).

მე-18 საუკუნეში ინტერესი მეურნეობის ამ დარგისადმი ძლიერდება, ფეოდალები (ბატონიშვილები, თავადები და ეკლესია) ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ეს შემოსავლიანი წყარო და აღწევენ კიდეც თავიანთ მიზნებს. პრინციპის თითქო შეულახველად, რომ სამღებროები სადედოფლოა, ისინი ახერხებენ და მე-18 საუკუნის დასასრულისათვის სამღებროთა უმრავლესობას ეპატრონებიან. ფეოდალურ „წყალობისა“ თუ შეწირულების გზით ძველ სამღებროებს იგდებენ ხელთ, ხოლო განსაკუთრებულ ნებართვით თავიანთთვის ახალ სამღებროებს აკეთებენ.

ასეთ პირობებში ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ზოგი ფეოდალი (უფლისწული, ეკლესია, თავადი) არ დააყოვნებდა და ყოველივე ნებართვის გარეშეც შეეცდებოდა მეურნეობის ეს დარგი მოეწყო თავის სამფლობელოში (მაგალითად დავით თარხანმა თელათგორს). დაბოლოს გვაქვს მაგალითები, როცა სადედოფლოს უწყებიდან ზოგიერთ სამღებროებს, მთლად ან ნაწილობრივ, გამორიცხავენ მეფეები (გიორგი — გორისას, დავითი — სურამ-ვახან-ხეობისას).

ასე რომ მე-18 საუკუნის სიგრძეზე დასტურლამალით გათვალისწინებული მდგომარეობა ამ დარგში იმდენად შეიცვალა, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისს ფეოდალი დავით თარხნიშვილი ფაქტიურ ვითარების დამოწმებით დაჟინებით ამტკიცებს, რომ სამღებროები იმთავითვე („დასტურლამით“) იყო როგორც სადედოფლო, ისე სათავადო და, მაშ. ის შეხედულება, რომელსაც ამ დროს თარხნიშვილის მოდავე (გიორგი მეფის ასული სოფიო) ამტკიცებს, თითქოს მეურნეობის ეს დარგი მთლიანად სადედოფლო მონოპოლია ყოფილიყოს, სინამდვილეს არ შეეფერებაო.

დავით თარხნიშვილი თავის ამ საბუთიანობით, რა თქმა უნდა, მართალი არ არის, მაგრამ მისი ცნობები იმ მეტად საინტერესო მომენტებზე მაინც მიგვითითებს, რომ ბრძოლა სამღებროთა „სამამულოდ“ დაუფლებისათვის ფეოდალების მიერ ისეთივე საქმეა, როგორც ბრძოლა ყოველგვარ „წყალობის“ სამკვიდროდ და სამამულედ გადაქცევისათვის და რომ სამღებროთა წყალობაც ძველი პრაქტიკაა.

ასეთ პირობებში ბუნებრივია დაშვება, რომ სხვადასხვა დროს

ფეოდალთა მიერ მეტის თუ ნაკლების ხანგრძლივობით და სიმტკიცით სამღებროთა მონოპოლიის მიტაცებას ჰქონოდეს ადგილი.

ზემოჩამოთვლილ სამღებროთაგან მე-18 საუკუნის დასასრულისათვის ხუთი საბატონიშვილოა (ვახტანგის, იოანეს, იულონის), რვა სათავადოა (თარხნიანთი — 2, ციციანთ — 2, ამილახვრიანთ — 1, აბაშიძეთა — 1, წერეთლიანთ — 2), სამი სამეფო, ხუთი საეკლესიო. ექვსის შესახებ გვაქვს ცნობა, რომ ისინი სადედოფლოა. დანარჩენთა შესახებ ჯერჯერობით ვერას მოგახსენებთ. დასაშვებია კი, რომ ზოგი მათგანი დედოფლის მეურნეობაში აღარ შედიოდეს.

ამრიგად, მეურნეობის ეს დარგი მე-18 საუკუნეში სადედოფლო მონოპოლიიდან სულ უფრო და უფრო ფეოდალთა მონოპოლიად იქცევა.

სამღებროების ექსპლოატაცია ფეოდალთა მიერ, ჩვეულებრივ, საიჯარო წესით წარმოებს.

მოიჯარადრეებად გამოდიან, როგორც მღებრები, ისე არამღებრებიც. პირდაპირ ცნობათა უქონლობის გამო სამღებროებში შრომის სახეობის შესახებ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ბევრს ვერას ვიტყვით. მას შემდეგ რაც ჩვენ ვიცით, რომ მღებარი საღებავის მცოდინარე ოსტატია, ბუნებრივია დავუშვათ, რომ სამღებროში მღებრებთან უნდა ემუშავნათ მღებავებსაც — ქარგალ-შეგირდებსაც.

ზოგიერთ სამღებროთა შედარებითი სიდიდე თავისთავად გულისხმობს, რომ იქ არა ერთი მუშახელი საქმიანობს. იმ შემთხვევაში, როცა სამღებროს მოიჯარადრე თვით არ იყო საქმის ოსტატი, ბუნებრივია, მას ასეთი ოსტატი დაექირავებინა, ჯამაგირი და ხალათი ეძლია. მისთვის. ოსტატის ასეთი დაქირავების მაგალითი, ვფიქრობ, გვაქვს ჩვენ ტფილისის სამღებროს შესახებ იმ საბუთში, ზემორე რომ მოვიყვანეთ. როცა ოსტატი იმავე დროს იჯარადარიცაა, ასეთ ოსტატისა და შეგირდთა სამღებროში მუშაობა, ეს, ასე ვთქვათ, ფეოდალურ ეპოქის ჩვეულებრივ ხელოსნური მეურნეობის სახეა და განსაკუთრებით საყურადღებოს არას შეიცავს, თუნდაც რომ ქარგალ-შეგირდთა რიცხვი საკმაოდ საგრძნობიც იყოს.

ჩვენთვის გაცილებით საინტერესოა სამღებროს ექსპლოატაციის ის სახე, როცა ოსტატი თვით არის დაქირავებული სამღებროს მოიჯარადრის მიერ.

აქ უკვე პრინციპულად განსხვავებული მდგომარეობაა. მეურნეობის სულ სხვა ტიპია მოცემული. ასეთ პირობებში ოსტატ-შეგირდის ურთიერთობა სრულიად განსხვავებულია. ასეთ ოსტატს

არც შეუძლია შეგირდი ჰყავდეს ძველის გაგებით. და როცა ოსტატი დაქირავებულია, სხვებიც — ქარგალი, შეგირდი — ასევე დაქირავებულნი უნდა იყვნენ. მაგრამ ეს უკვე მანუფაქტურაა და არა საშუალო საუკუნეების სახელოსნო.

სამწუხაროდ, ჩვენ ამ ხელად ჩვენს მოსაზრებას უფრო მეტი კონკრეტულ შინაარსით ვერ ვაცხოველებთ, თუმცა სრული იმედი გვაქვს საამისო ფაქტები აღმოჩნდება.

ამაში ჩვენ გვარწმუნებს სამღებროთა იჯარის ის სახე, როცა იჯარადარი მღებარი არაა და ამავე დროს სამღებროს ექსპლოატაციას უშუალოდ ეწევა. ამავე დროს ეს იჯარადარი არ არის ფეოდალი, რომ გვეფიქრა თითქოს სამღებროში ის თავის ყმა-ოსტატებს ასაქმებს, როგორც ეს შესაძლებელია ყოფილიყო დედოფლის სამღებროებში.

ის ფაქტი, რომ სამღებროებს ასეთი ხალისით იღებენ არამღებრები, მოწმობს ამ საქმის მომგებიანობას, ამ საქმის სიცხოველეს, რასაც ჩვენ ზემოთაც მიუთითებდით სამღებროთა რიცხვის გამრავლებასთან და ამ საქმით ფეოდალების დაინტერესებასთან დაკავშირებით. და, რაც კიდევ უფრო დამახასიათებელია, ასეთი მოიჯარადრენი (მანუფაქტურის ე. წ. წამომწყებნი) პირველ ყოვლისა ხელს ჰკიდებენ დიდ სამღებროებს (ტფილისის, დუშეთის...). ეს მოიჯარადრენი ცნობილი ვაჭარ მოსაქმენი არიან (ქალაქის ნაცვალი მიკირტუმ სურგუნოვი, ავთანდილა მირიმანოვი და სხვ.).

სამღებროთა იჯარა სრული ნებაყოფლობისა და თავისუფალი შესაქმების შედეგია. საიჯაროდ გამოცხადებული საქმე გარკვეული ხნის განმავლობაში (40 დღე) ღიაა კონკურენტთათვის: ვინც მეტს გაიღებს, მას მიეცემა. იჯარა ჩვეულებრივ ერთი წლით იღება. საიჯარო ფული ყოველ თვიურად ეძლევა სამღებროს პატრონს და არა წინასწარ. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ, „თუ ღმერთმან ნუ ქნას. ბარგაშტობა (ირან. ბარგაშო — დაბრუნება; ბარგაშტობა — იჯარის დარღვევა?) რამე მოხდეს“, ე. ი. თუ არა მოიჯარადრის მიზეზით საქმე შეფერხდა და სამღებრო მოცდა, იჯარადარი „სამართალს“ მოითხოვს, ე. ი. ასეთ მოცდენისდა შესაფერისად საიჯარო გადასახადის დაკლებას მოითხოვს.

მოიჯარადრენი უმთავრესად მაინც მღებრები იყვნენ.

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა ორ შეამხანაგებულ მოიჯარადრეთაგან ერთი მღებარია, მეორე კი არა. მათი საამხანაგო პირობა იმითაა საინტერესო, რომ მღებარი ამხანაგი „უჯამაგიროდ“

ძეგობრობას აღუთქვამს არამღებარ ამხანაგს. ცხადია, უკანასკნელი რაიმეთი უნაზღაურებს ამხანაგს „უჯამაგირო“ შრომას.

გამოდის, რომ არამღებარმა ამხანაგმა იმთავითვე დაიქირავა მღებარი (თავისივე ამხანაგი) თავის წილ სამუშაოში.

დაქირავების ეს სახე განსხვავებულია მუშის დაქირავებისაგან. აქედან გადასვლა მღებრის მთლიანად დაქირავებაზე ადვილად შესაძლებელია, თუმცა თავისთავად სავალდებულო არ არის.

ხოლო, რადგან, როგორც ეს ზემოთ ვუჩვენეთ, სამღებრო საქმე გაცხოველებული და მომგებიანია, ე.ი. მდგომარეობა მომწიფებულია, ამიტომ შეამხანაგების ეს სახე (ნახევრად დაქირავება ოსტატისა) შეიძლება ჩვენ გარდამავალ საფეხურად მივიჩნიოთ იჯარადარ მღებრიდან დაქირავებულ (მუშა) მღებრამდის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა სამღებრო ერთნაირ სიდიდისა და შემოსავლის არ იყო. ეს ცხადად ჩანს ამ სამღებროთა საიჯარო ფასების სხვადასხვაობისაგან.

სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი ცნობებიც არ მოგვეპოვება სრულად. ამას გარდა ზოგი სამღებრო სხვა იჯარებთან ერთად აიღებოდა ხოლმე. ასე რომ საერთო საიჯარო ფასიდან სამღებროს საიჯარო ფასის გამოყოფა ძნელდება. ან კიდევ, გვაქვს მაგალითები, როცა რამოდენიმე სამღებროს საიჯარო ფასი ერთადაა ნაჩვენები, და ბოლოს, ეს საიჯარო ფასები სხვადასხვა დროისანი არიან. ყველა ამ ნაკლთა მიუხედავად, ეს ცნობები საერთო წარმოდგენას მაინც იძლევიან სამღებროთა სიდიდეზე, მათ შემოსავლიანობაზე.

მოგვყავს ჩვენს ხელთ არსებული საამისო ცნობები:

ტფილისის სამღებროს საიჯარო ფასი სხვადასხვა რაოდენობისაა ნაჩვენები. დარეჯან დედოფლის მოწმობით ეს სამღებრო ზოგჯერ ხუთას თუმნად გაიცემოდა, ზოგჯერ კი შვიდასადაც.

დარეჯანის ამ ცნობას ჩვენ გადაჭარბებულად ვივიჩნევდით და ამდენადვე ყურადღების ღირსად არ ჩავთვლიდით, რომ ამას მხარს არ უჭერდეს საერთო მოსაზრებათა გვერდით, მისგან სრულიად დამოუკიდებელი მოწმობა მარიამ დედოფლისა, რომლის ჩვენებით (1802 წლის მოხსენება) აღნიშნულ სამღებროს საიჯარო ფასი წლიურად მის დროს (ე. ი. 1799—1801 წ.) 520 თუმანს უდრიდა (Акты 1, 214).

ამავე დროს არსებობს საბუთი, რომ 1796 წელს ტფილისის სამღებრო 240 თუმნად გაიცა. (3875 d. h. ხელნაწ. ინსტ. და საქ. სიძ. III № 337).

საიჯარო ფასის ასეთი სხვადასხვაობა მეტად საინტერესო და დამახასიათებელია.

ეს მაჩვენებელია არა მარტო იჯარის გაცემის დროს არსებულ ბოროტმოქმედებისა, რასაც, როგორც ირკვევა, ჩვეულებრივ ფართე გასავალი ჰქონდა (მოიჯარადრეთა შეთქმა, მოურავის თუ რწმუნებულის მოსყიდვა და ამაების შედეგად საიჯარო ფასის ხელოვნურად დაცემა) — ამას გარდა ეს მაჩვენებელია თვით ქალაქის მიერ განცდილი დღეებისა მისი ზრდისა თუ დაცემის გზით.

მოყვანილ ფასებიდან 240 თუმანი ეს 1795 წლის კატასტროფის, ტფილისის აოხრების შედეგია. 520 თუმანი, მარიამი რომ მოწმობს, მაჩვენებელია იმისა, რომ მეურნეობის ამ დარგში მდგომარეობა სწრაფად გამოსწორების გზაზედ დამდგარა. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ტფილისი გიორგის დროს 1795 წლის წინა დროინდელ კეთილდღეობას არ დაბრუნებია. ასეთ პირობებში შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტფილისის სამღებროს შემოსავლიანობა მხოლოდ ქალაქის მოსახლეობის სიდიდე-კეთილდღეობაზე არ ყოფილა დამყარებული.

დარეჯანის მიერ ნაჩვენები 700 თუმანი, ეს უმაღლესი საიჯარო ფასია, რომლისთვისაც კი მიუღწევია ტფილისის სამღებროს მე-18 ს-ში. ასეთი ფასი, უნდა ვიფიქროთ, ჰგულისხმობს 1795 წლის წინა დროს.

სიდიდე-შემოსავლიანობით მეორე ადგილი გორის სამღებროს უჭირავს. დარეჯან დედოფლის ცნობით, გორისა და სათარხნოს სამღებროთა იჯარიდან მას 160 თუმანი შემოსავალი ჰქონია. სათარხნოს სამღებროს საიჯარო ფასი კი, ჩვენ ვიცით, 12 თუმანი იყო. გამოდის რომ გორის სამღებრო 148 თუმანს საიჯარო ფასს იძლეოდა.

დაახლოებით ასეთივე სიდიდის უნდა ყოფილიყო ცხინვალის სამღებროც (ცხინვალის სამღებრო და სხვა იჯარები ერთად 180 თუმნად გაიცემოდა წელიწადში).

მესამე ადგილი ანანურის სამღებროს ეჭირა. ანანურის სამღებრო და სხვა იჯარები ერთად 65 თუმნად გაიცა 1778 წელს (ც. ა. № 3432), ხოლო 1780 წელს მხოლოდ სამღებრო გაიცა 32 თუმნად.

დაახლოებით ასეთივე სიდიდე-შემოსავლიანობის უნდა ყოფილიყო დუშეთის სამღებრო (დუშეთის სამღებროს, ბაჟის და

ბეჭედის იჯარა 1796 წელს 70 თუმანს უდრიდა — № 3541 d. h.).

შემდეგ მოდის ახალქალაქის, არბოს და წერეთლიანთ (გაერთებამდის) სამღებროები. მათი საიჯარო ფასი წლიურად 12 თუმანი იყო.

დაახლოებით ასეთივე უნდა ყოფილიყვნენ ზოვრეთისა, სამთავისის და საბაშიოს (სურამი, ხეფინისხევი, ბეკამი) სამღებროები.

ვახანის სამღებროს იჯარა ექვსი თუმანი იყო. ასეთივე იყო ქარელის სამღებრო. მისი იჯარა ხუთსა და ექვს თუმანს შორის ქანაობდა (№ 3835 d. h. და № 9640 d. h.), იყო ამაზე მცირე სამღებროებიც. მაგალითად, ქოლაგირის სამღებროს იჯარა 3 თუმანი ღირდა, ხოლო ერისთავიანთ სამღებროსი ორი, ან ორთუმანნახევარი (3569 d. h.).

სამწუხაროდ, ჯერჯერობით გარკვეულს ვერას ვიტყვით კახეთის სამღებროების სიდიდე-სიმცირის შესახებ, რომელნიც „ეკლესიებს შეწირულებს გარდა“ წლიურად ორას თუმანს საიჯარო ფასს იძლეოდნენ. ჯერ ერთი, ჩვენ არ ვიცით რამდენ სამღებროს შეეხება ეს ცნობა და მეორეც: ყველა სამღებრო ხომ ერთნაირი სიდიდისა არ იყო?

საერთოდ კი არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ კახეთის სამღებროები ქართლის სამღებროებიდან (ტფილისის სამღებროს გარდა) სიდიდე-შემოსავლიანობით ერთობ განსხვავდებოდა.

სულ არაფერი ვიცით „გატეხილ ხიდს აქეთ რაც სამღებროებია“ და „სომხით-საბარათიანოს და ყაიყულის“ სამღებროთა შემოსავლიანობის შესახებ. არა თუ კერძოული, აქ არც სუმარული ცნობები გაგვაჩნია ჯერჯერობით.

ამრიგად, ქართლის 13 სამღებროს საიჯარო ფასი 1083 თუმანს უდრიდა. ტფილისის სამღებროს გამოკლებით კი 383 თუმანს. მაგრამ ქართლში სომხით-საბარათიანო ყაიყულის მითვლით 30—35 სამღებრო მაინც უნდა ყოფილიყო (დასახელებით ცნობა ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ 25 სამღებროს შესახებ მოგვეპოვება. მაგრამ სამხით-საბარათიანოდან, ყაიყულიდან თუ ლორე-ბამბაკიდან ამ რიცხვში მხოლოდ სამი სამღებრო შედის. ეხლა, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ სამღებროთა იმ სიხშირეს, საიდანაც კი ცნობათა შედარებითი სისრულე გვაქვს — და თითქმის უკვე წესად ქცეულ ფაქტს, რომ თითოეული ფეოდალი ცდილობს თავისი სამღებრო ჰქონდეს, ჩვენ უფლება გვეძლევა ვიფიქროთ, რომ ქართლის სამღებროების ერთი მესამედი ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია).

კახეთის სადედოფლო სამღვბროთა საიჯარო ფასი 200 თუმანი იყო. ეხლა, თუ ჩვენ დავუშვებთ — და ამის საწინააღმდეგო თითქო არა ჩანს რა, — რომ კახეთის სამღებროთა სახე (სიდიდე-სიმცირე) დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ქართლისა, შეგვიძლია მივიღოთ, რომ რიცხვი კახეთის სადედოფლო სამღებროებისა 6—ან 7 უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კახეთში იყო საეკლესიო სამღებროებიც და ქართლის ანალოგიით უფლება გვაქვს დავუშვათ, რომ იქ სათავადო სამღებროებიც უნდა ყოფილიყო. საეკლესიო სამღებროთა რიცხვი, სულ მცირე, ექვსი მაინც უნდა ვიანგარიშოთ.

ამდენივე, უფლება გვაქვს, სათავადო სამღებროებიც დავუშვათ.

ასე რომ სულ კახეთ-ქიზიყში 16—20 სამღებრო მაინც უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სულ ქართლ-კახეთში 50—60-მდის სამღებრო უნდა ყოფილიყო. ქართლის 12 სამღებროს საიჯარო ფასი 383 თუმანს უდრიდა. ერთ სამღებროზე საშუალოდ 32—33 თუმანი მოდის. მაშ ქართლის ყველა სამღებროთა საიჯარო ფასი 960 თუმნიდან 1050 თუმნამდის შეგვიძლია ვიანგარიშოთ (ტფილისის სამღებროს გამოკლებით). ეხლა, თუ ჩვენ ქართლის სამღებროთა მიმართ მიღებულ საზომს კახეთის სამღებროებზედაც გავავრცელებთ, გამოგვივა, რომ კახეთის ყველა სამღებროთა საიჯარო ფასი 412 თუმნიდან — 660 თუმნამდის უნდა ყოფილიყო. სულ კი ქართლ-კახეთში (ტფილისის სამღებროს ჩათვლით) სამღებროთა საიჯარო ფასი უნდა ყოფილიყო 2072 თ უ მ ნ ი დ ა ნ 2410 თ უ მ ნ ა მ დ ი ს.

რა თქმა უნდა, ეს ჩვენი დასკვნები სასურველ ზედმიწევნილობას მოკლებულია მაგრამ, ვფიქრობთ მდგომარეობის ზოგად წარმოდგენას საკმაოდ სწორს იძლევიან.

ამ დაკვირვებათაგან მიღებული შედეგები მეტად საინტერესონი არიან.

პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს, როგორც სიმრავლე ამ სამღებროთა, ასევე მათი ზრდის ტენდენცია, რაც თავის მხრით ჰგულისხმობს საფეიქრო-სახელოსნო მეურნეობის სათანადო ზრდა-განვითარებას.

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი მასიური მოხმარების საქონელი იღებებოდა აქ, მაგრამ ჩვენი ცნობა

სრული არ იქნებოდა, თუ აქვე არ აღვნიშნავდით, რომ სამღებროებში „დაბალი ხალხის საცმელის“, — ჩითისა, ლეინისა და შალის — გვერდით სხვადასხვაფერად იღებებოდა „ძაფი“, „აბრეშუმი“, „დოლბანდი“, „ყაჭი“ და სხვა.

მოგვეპოვება ღებვის მეტად საინტერესო რეცეპტები, რომელნიც, უეჭველია, ჩვენს სინამდვილეს ჰგულისხმობენ — ერთი მათგანი ბეკამის სამღებროში სახმარებლად არის შედგენილი (3624 H, 3863 d. h.).

სახალხო საქმიანობაში დღევანდლამდის დაცული, ან საამისო „რეცეპტების“ სახით შემონახული ფერთა სიმრავლე, ღებვის რთული პროცესი, საღებავთა მაღალი ხარისხი (ამას უეჭველსყოფენ ჩვენამდის მოღწეული ძველი ნახელსაქმევის ფერები ან ფერწერის ნაშთები), — ყველა ეს უდავოდ მოწმობს, რომ სახელოსნო წარმოების ამ დარგს (მღებრობას) ჩვენში დროისდაშესაფერი განვითარება არ აკლდა.

საფეიქრო წარმოების განვითარების მაჩვენებელია ის გარემოებაც, რომ მღებრობა რთვა-ქსოვისაგან გამოყოფილია და ამ მეურნეობის ცალკე დარგსა ქმნის.

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო აქ მაინც ისაა, რომ ჩვენი სამღებროები მე-18 საუკუნეში მასობრივ მოხმარების საქმეს აწარმოებენ. სწორედ ამით აიხსნება, როგორც ამ სამღებროთა სიმრავლე, აგრეთვე მათი შედარებითი სიდიდეც.

აქვეა მოცემული შესაძლებლობა, რომ ამ სახელოსნოებში სხვაზედ ადრე დაირღვევა ხელოსნურ-ამქრული წარმოების წესი და მის ადგილს მანუფაქტურულ-ბურჟუაზიული წესი დაიჭერს.

წარმოების ესა თუ ის დარგი საშუალო საუკუნოებშიაც შესაძლებელია ამქრულ-ხელოსნურ წარმოების წესს გადასულიყო და ბურჟუაზიულ წესზე გამართულიყო. მაგრამ ეს კიდევ არ ქმნიდა გაზაფხულს, ახალ ხანას. ფეოდალურ მეურნეობის საერთოდ სიმტკიცის პირობებში ასეთი წარმოება არ შეიძლებოდა მასობრივ მოხმარების მთავარ დარგებს საბოლოოდ დაუფლებოდა.

სამღებროთა ბურჟუაზიულად გამართვაც, თუნდაც ამას რომ ადგილიც ჰქონოდა ჩვენში საშუალო საუკუნეებში, თავისთავად კიდევ არ მოასწავებდა ფეოდალურ წარმოების დასასრულის დასაწყისს.

მაგრამ ეხლა მე-18 საუკუნეში, როცა ქვეყნის ყველა კარებით

ევროპის ბურჟუაზია მოსჩანდა თავის წარმოების პროგრესულ წესით (იმ დროისათვის), ასეთ მოვლენას შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა მინიჭებოდა. ასეთი მოსაზრება არც თუ უსაფუძვლო მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ სამთამადნო წარმოებებს (ალავერდი, ჩათახი, ახტალა) და სხვა წამოწყებათა პროექტებს, მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რომ ჰქონდა ადგილი საქართველოში.

ამ სამღებროთა დაახლოებითი სიდიდის რეალურად წარმოსადგენად ჩვენ მივმართეთ აწინდელ მღებრებს. მართალია, მათი ნამბობი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს, ე. ი. საღებავისა და ღებვის საფაბრიკო წესით წარმოებასა და ხელოსნურ სამღებროთა დაჩიავება-გაქრობის ხანას შეეხება, მაგრამ ეს ცნობები, საჭირო სიფრთხილის გათვალისწინებით, რამოდენიმედ მაინც გამოსაყენებელია.

მღებარ ბეგლარიანის მოწმობით, წარსული საუკუნის 90-იან წლებში მთელს ყარსში მხოლოდ ერთი დიდი სამღებრო იყო. ამ სამღებროში 10 კაცი მუშაობდა, 7 ოსტატი იყო შეამხანაგებული, სამი შეგირდი (ზოგჯერ მეტიც) იყო — ამავ ოსტატების შვილები. შეგირდებს არა ეძლეოდათ რა. ქარგლები არა ჰყოლიათ. სახელოსნოს საერთო სალარო ჰქონდა — დაბეჭდილი ზანდუკი, რომელშიაც მთელი შემოსავალი გროვდებოდა. ზანდუკის გასაღები ერთს (სარქარს) ებარა. ყოველ შაბათ საღამოს ზანდუკს გახსნიდნენ და დახლს (შემოსავალს) გაიყოფდნენ. თითო ოსტატს კარგი მუშაობის დროს ყოველ ასეთ გაყოფისას 10-დან 12 მანეთამდის ხვდებოდა.

მღებარ მანუჩაროვის (ტფილელი) მოწმობით წვრილ ხელოსანს ორი ან სამი ქვევრი ედგა.

მღებარი მოსინიანცი მე-19 საუკუნის მიწურულში მოსულა თბილისს და ავაქ მანთაშოვის სამღებროში შესულა შეგირდად. ეს მოზრდილი სამღებრო ყოფილა: ექვსი ქვევრი მდგარა. შიგ ოსტატი, სამი შეგირდი და ერთი ქარგალი მუშაობდენ. შეგირდებს არა ეძლეოდათ რა. ქარგალს — ხუთი მანეთი კვირაში.

მოყვანილ ცნობებიდან ამ ხელად ყველაზედ საინტერესო ყარსელ მღებრის ცნობაა. ყარსის სამღებრო დიდია. მასში 10—12 კაცი მუშაობს. ყოველ კვირეული შემოსავალი 7 თუმნიდან 10½ თუმნამდის აღწევს. ასე რომ წლიურად ყარსის სამღებრო წმინდა შემოსავალს იძლევა 336 თუმნიდან 504 თუმნამდის (წელიწადში ნაანგარიშევია 48 კვირა, ე. ი. 288 სამუშაო დღე.

ამ სამღებროს შედარებისას ტფილისის სამღებროსთან უნდა გათვალისწინებულ იქნას:

1. რომ საიჯარო გადასახადი ყარსის სამღებროს სრულიად არ აწვა.

2. საიჯარო გადასახადს გარდა, რომელიც 520 თუმნიდან 700 თუმნამდის იყო, ტფილისის სამღებროს შემოსავალი საგრძნობი უნდა ყოფილიყო, რომ წარმოების ხარჯები (საღებავი, ხელფასი) დაეფარა და იჯარადარს მოსაგები დარჩენოდა.

3. შედარებისას გათვალისწინებული უნდა იქნას აგრეთვე ფულის კურსის განსხვავება: ორი შესადარებელი თანხა ასი წლით და მთელი ისტორიულ ფორმაციით შორავენ ერთი მეორეს.

4. აქვე გათვალისწინებულ უნდა იქნას ისიც, რომ ორ სახელოსნოსაგან ერთ ერთის მეტი შემოსავლიანობა მის პროპორციულ სიდიდეს შეიძლება კიდევ არ გვიჩვენებდეს. პირველ ყოვლისა გასათვალისწინებელია მათი წარმოების წესი და თუ ის ერთნაირია, მაშინ მეტი შემოსავლიანობა (თუ განსხვავება ერთობ დიდი არაა) ხელოსანთა მეტ დატვირთულობის გზით შეიძლება ავხსნათ.

მოყვანილ მოსაზრებათა ნიადაგზე ჩვენ უფლება გვაქვს, ვფიქრობთ, დავასკვნათ, რომ ტფილისის სამღებრო მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ყარსის სამღებრო მე-19 საუკუნის 90-ან წლებში, უკანასკნელს უფრო გორის სამღებრო უახლოვდება.

მაგრამ ტფილისის სამღებრო გამონაკლისს შეადგენდა. ის საშუალო სიდიდის სამღებროთაგან ორჯერ უფრო დაშორებული იყო, ვიდრე უმცირესი სამღებრო ამავ საშუალო ტიპის სამღებროთაგან (700 თუმანი, 30 თუმანი, 3 თუმანი).

ამდენადვე თბილისის სამღებრო მე-18 საუკუნის სამღებროთა ტიპად არ გამოდგება.

გორის სამღებროც დიდ სამღებროთა რიგს მიეკუთვნება.

უფრო ტიპიურია ანანურის, დუშეთისა და ცხინვალის სამღებროები, — შედარებით პატარა, მაგრამ სრული დატვირთვით მომუშავე საშუალო საუკუნის სახელოსნოები... (დუშეთის სამღებროს საბუთი 3541 d. h.).

სამღებროთა შემოსავალზე ჯერჯერობით დაბეჯითებით გარკვეულს, სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით. ამისთვის, პირდაპირ ცნობათა უქონლობის პირობებში, მრავალი მომენტის გათვალისწინება იქნებოდა საჭირო, რომელთა შესახებ ჩვენ ჯერჯერობით

ცნობები არ გაგვაჩნია. მაგრამ გულდასმით კვლევის შედეგად, დარწმუნებული ვართ, ეს საკითხიც გადაიჭრება.

ზოგად ვარაუდით შეიძლება დაუშვათ, რომ ტფილისის სამღებროს წმინდა შემოსავალი 1200 თუმანზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ამის ანალოგიით გორის სამღებროს შემოსავალი 300 თუმანზედ ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. საშუალო ტიპის სამღებროთა შემოსავალი 60 თუმნიდან არის სავარაუდებელი. მცირე სამღებროებს კი, საფიქრებელია, 20 თუმანი და მეტი შემოჰქონდათ და ბოლოს უმცირეს სამღებროების შემოსავალი, რომელთა საიჯარო ფასი 3 თუმანს უდრიდა, შეიძლება ათი თუმნიდან ვიანგარიშოთ.

რა თქმა უნდა, ყველა ეს ციფრი ერთობ „თავისუფლად" არის აღებული და ამდენადვე არც მეცნიერული პრეტენზიის მქონე შეიძლება იყოს. ისინი ზოგად ორიენტაციისათვის თუ გამოდგებიან მხოლოდ.

*

* *

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროფესორი გ. ნათაძე სამღებროთა რაობის შესახებ სულ სხვა მოსაზრებისაა. მას სამღებრო და საბაჟო ერთისა და იმავე შინაარსის ორი სხვადასხვა სიტყვა ჰგონია. „სამღებრო" მისი აზრით იგივეა რაც „საბაჟო". ასეთი გაგებით აქვს მას გამოყენებული ეს ტერმინი თავის ნაშრომში (იხ. op. cit.), სადაც ის „სამღებროს" „застава"-დ სთარგმნის. ამასვე ამტკიცებს პატივცემული მკვლევარი თავის წლევანდელ მოხსენებაშიაც. ხოლო იმის გამო რომ სიტყვა „სამღებრო" Акты-ს გამომცემელთ „красильня"-დ უთარგმნიათ, პროფ. ნათაძე მწუხარებით შენიშნავს: „Надо заметить, что термин „სამღებრო" в этих печатных документах переведен на русский язык словом „красильня", что совершенно неправильно и создает для историка-экономиста громадное недоразумение (op. cit.)."

მართლაც და, თუ ეს ასეა და პ-ლ პროფესორის გაგება სამღებროს შინაარსისა სწორია, მაშინ მთელი ეს ჩვენ მიერ ჩატარებული შრომაც громадное კი არა, მაგრამ სამწუხარო გაუგებრობა კი იქნებოდა.

ამიტომ ბუნებრივი იყო პირველად სწორედ ეს საკითხი გადაწყვეტილიყო. და ჩვენც ასე მოვიქეცით და მხოლოდ მოხსენების ტექნიკური ხერხით აიხსნება ამ საკითხის ბოლოში მოქცევა.

როგორც თავის წერილში, ისე მოხსენებებში პროფ. ნათაძე „სამღებროში" მხოლოდ და მხოლოდ „застава"-ს, ე. ი. საბა-

ჟოს ხედავს. ტერმინი „სამღებრო“ მას „ს ა ა მ ღ ე ბ რ ო“-დან მიღებული ჰგონია, ხოლო ეს მის მიერ აღდგენილი „საამღებრო“ „აღება“ („ამღებარი“?)-საგან ნაწარმოებად მიაჩნია.

რუსულ „Красильня-ს“ ქართული შესატყვისი, მისი აზრით, „ლილახანაა“ და ცნება „სამღებროში“ ლილახანის მომენტი გამორიცხულია.

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ საბა ორბელიანის, დავით ციციშვილის, დავით ბატონიშვილისა და გოგია ხითარიშვილის მოწმობები, საიდანაც ყოველგვარ შეეჭვების გამორიცხვით ჩანს, რომ **სახლს** (ამ სახლს **ბანიც** შეიძლება ჰქონდეს იხ. საბ. 3643 d. h.), რომელშიაც **ქვევრები** დგას (ამ ქვევრებში შეიძლება ლილა იყოს), სადაც „მღებარი“ „მღებრობს“ (საბ. 10358 d. h.) და ამ „ღებისათვის“ „საღებავის ფასს“ (ზოგჯერ „უზომო მომატებულსაც“ კი) იღებს, აი ასეთ სახლს, დაწესებულებას, სახელოსნოს ეწოდება „სამღებრო“ და ეს ასეა როგორც მე-18 საუკუნის დასაწყისს, ისე მის დასასრულსაც.

მე-19 საუკუნის დამდეგს დავით თარხნიშვილი „ა კ ე თ ე ბ ს სამღებროს“ სოფელ თელათგორში, აპირებს გააკეთოს ასეთივე სამღებროები ნოსტეს, ახალქალაქს. გიორგი მეფის ასული სოფიო, ლუარსაბ თარხნიშვილის მეუღლე ცდილობს „დ ა უ ქ ც ი ო ს“ დავითს თელათგორის სამღებრო; გზავნის იქ იასაულებს და პირდება მათ თელათგორის **„სამღებროს საქონელს“**. თელათგორის სამღებრო მე-19 საუკუნის ოციან წლებამდის მოქმედებდა.

დავით თარხნიშვილის მოწმობით, მისმა ძმებმა ხელი არ შეუწყვეს ამ წარმოებას (საიდანაც მათ მთელი ამ ხნის განმავლობაში ასოცდარვა თუმანი შემოსავალი მიეღოთ) „გ ა ა ო ხ რ ე ს“ და „გ ა ა უ ქ მ ე ს“ ის (საბ. №№ 8096, 8330, 8311 d. h.). ხოლო იმის გასაგებად, თუ რა ხასიათის საქმიანობას ეწეოდნენ ამ სამღებროებში მე-19 საუკუნის პირველ მეხუთედში, საკმაოა ამოვწეროთ „საქართველოს გუბერნატორის“ ხოვენის ბრძანებიდან ის ადგილი, რომლის ქართული თარგმანი „საქართველოს გაზეთში“ არის მოყვანილი:

„საზოგადოსა სარგებლობისათვის თბილისის მცხოვრებთასა ამ წლის დაწყებასა შინა საქართველოს ღუბერნატორის უფლის ღენერალ მაიორის და კავალერის ხოვენისაგან მიწერილ არს ბრძანება თბილისის პოლიცმეისტრისადმი შემდგომისა ჰაზრისა... ა. სამ-

ლებრონი, რომელნიც არიან სამნი ძველს ზარაფხანასთან და ორი ქურქჩებში არა თუ ახდენენ ჰაერსადამპლისსუნითა, არამედ აბილწებენცა წყალსა გავლებითა შეღებულთა საქონელთა და გარეცხითა ჭურჭელთასა. დაცვისათვის სიწმიდისა, ვითარცა ჰაერისა, ეგრეთვე წყლისაცა, გატანილ იქმნენ ქალაქს გარეთ და პატრონთ მიეცესთ ნება, რომ თვით მათ თქვენის თანდასწრებით აღირჩიონ ამისთვის სამჯობინარნი ადგილნი და პაემანი ამის აღსრულებისათვის დაინიშნების თხუთმეტს ამ წლის მარტამდე"... (იხ. „საქ. გაზეთი" № 5. 1819 წ.).

ამრიგად „სამღებროდან" Красильня -ს მომენტის გამორიცხვა, როგორც ამას დაჟინებით ამტკიცებს პროფ. გ. ნათაძე, ყოვლად უდავო შეცდომაა.

ზემომოყვანილი ამონაწერი „საქართველოს გაზეთიდან" რუსულ ენაზედ დაბეჭდილი ბრძანების ქართული თარგმანია, სადაც რუსული „Красильня" გადმოცემულია „სამღებრო-თი"; ხოლო, თუ როგორ სთარგმნიდნენ რუსულად ქართულ „სამღებროს" მე-19 საუკუნის დასაწყისს, ეს ჩანს მთავარმართებლის პავლე ციციანოვის ერთ 1803 წლის მოხსენებიდან საქართველოში ოთხი საბაჟოს (заставы) დაარსების შესახებ (სურამში, წალკაში, ბამბაკში და შამშადილში). ამ თავის მოხსენებას ციციანოვი ურთავს „Ведомость"-ს „О доходах Грузинских и внутренних пошлинных статей собираемых", სადაც სახაზინოდ შერაცხილ მეჯვრისხევის სამღებროს იულონ ბატონიშვილს რომ ეკუთვნოდა, გადმოგვცემს: „С красилень в Меджврисхеви Юлоново—490 руб". (იხ. Акты II, 442). ასე რომ „სამღებრო"-ს „Красильня"-დ თარგმნიდნენ არა მარტო „Акты"-ს გამომცემლები მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, არამედ ერთიმეორის შესატყვისად მიაჩნდათ ეს ორი სიტყვა მე-19 საუკუნის პირველ ოცეულში იოანე ბატონიშვილთან ერთად რუს ციციანოვს და „საქართველოს გაზეთი"-ის ქართველ მთარგმნელსაც. ამდენადვე პროფ. ნათაძის საყვედური ცნება „სამღებროს" შინაარსის უვიცობის შესახებ ამ უკანასკნელთაც უნდა გაიზიარონ.

იმის გასამართლებლად, რომ „სამღებროში" „საამღებრო" იგულისხმებოდა, პროფ. ნათაძემ უნდა დაამტკიცოს, რომ 1. ან „მღებარი" ნიშნავდა „მებაჟეს", 2. ან კიდევ არსებობდა ტერმინი „ამღებარი" იმავ „მებაჟის" მნიშვნელობით.

თუ ვინ იყო მღებარი, ამის შესახებ კატეგორიულ ცნობას გვაწვდიან საბა ორბელიანი (მე-18 ს. დასაწყისი) და იოანე ბატონიშვილი (მე-19 ს. დასაწყისი):

მღებარი — საღებავის მცოდინარე ოსტატი — (საბა).

Красильщик, „ნერკარარ“ — მღებარი (იოანე ბატ-ლი. იხ. ხელნაწ. № 2... H. ხელნაწ. ინსტ.).

ხოლო რომ მღებარი სხვა იყო და მებაჟე სხვა, ამისათვის საკმაოა მოვიყვანოთ: 1796 წელს მარტის პირველს თბილისის სამღებრო დარეჯანმა 240 თუმნად გასცა. 1797 წლის თებერვლის 23-ს, ე. ი. მაშინ, როცა ეს სამღებრო ჯერ კიდევ ამ მოიჯარადრეთა ხელშია, დარეჯანის მოხელე ოჰანეზა სწერს დედოფალს: „მე ხელად თეთრი არა მქონდა (დარეჯანს რაღაც საოჯახო ნივთების ყიდვა დაუვალებია მისთვის), არც მ ე ბ ა ჟ ე მ მომცა, არც ს ა მ ღ ე ბ რ ო ს ი ჯ ა რ ა დ ა რ მ ა. ახლაც ეს წიგნი ორსავ იჯარადარს ვაჩვენე. ავთანდილამ ასე მოგახსენა: ჩემზე აღარ არის დარჩომილიო. კარის მებაჟემ ასე მოგახსენა: ჯერ ერთ თვეს არ გაუვლია და რაც (არც? ნ. ბ.) ბატონი დედოფლის იჯარა მიერთმევაო. მაბლაღი ბარათი მოსულა. წინამძღვარი ეფთიმის ძმისწულსაც ჰქონდა ბარათი და სთხოვდა“ (საქ. სიძ. III 326). აქედან ჩანს, რომ სამღებრო თბილისში სხვაა და ბაჟი სხვა. სულ სხვადასხვა პირებია ს ა მ ღ ე ბ რ ო ს ი ჯ ა რ ა დ ა რ ი და მ ე ბ ა ჟ ე: ერთს სამღებრო აქვს აღებული იჯარით, მეორეს კარის ბაჟი. სამღებროს იჯარადარს მთლად გადაუხდია საიჯარო გადასახადი, ხოლო კარის მებაჟეს ეს ეს არის იჯარა აუღია: ჯერ ერთ თვეს არ გაუვლია.

(აქ ორი რამ განსამარტავია: 1. რატომ არაა მოყვანილ ამონაწერში „მღებარი“? ეს აიხსნება იმ საინტერესო მოვლენით, ზემოთ რომ მივუთითებდით: აქაც სამღებროს იჯარადრებად გამოდიან არამღებრები. უკანასკნელნი მათ დაქირავებული ჰყავთ. 2. რა ესაქმებოდა დედოფალ დარეჯანს უშუალოდ კარის მებაჟესთან, კარის ბაჟი ხომ სამეფო დასტურლამალში შედიოდა? ახსნა ერთია: დარეჯან დედოფალი აქ მებაჟისაგან იმ 80 თუმანს იღებს, რომელიც მას ტფილისის ბაჟებიდან გარდაკვეთით ეძლეოდა მის საკუთარ ყმების — 50 კომლი მოქალაქის ბაჟის ანგარიშში).

ერთი საბუთიც: 1806 წელს აბაშიძიანთ სახლის გაყრაა. მონაწილენი ერთი მეორეს ანგარიშებს უდგენენ. ევგენ აბაშიძე არჩას მიართმევს მდივანბეგს:

„თქვენი მობრძანება მომილოცამს და ახლა გაიხსნა ჩემი შეწუხებული გული. გავყავით და ხელი მოგვაწერინეს. მაინც აქ მარჩობენ და ყაბულიც ვქენით. ერთი კიდეც გაუშვეს და კოპიაც მისცეს. და ახლა ჩემმა რძალმა ორი წლისა ნუსხა შეიტანა სასამართლოში და ხელიც მოწერილი იყო, რომ უნდა მივსცეთ და როდის ვარ უარსა? ბორჯალს დავდებ: ნაკვირაცხოველს სასამართლოს წიგნი და იასაული მებოძოს და ამ ორის წლისა, რაც მ ღ ე ბ ა რ მ ა თქვას, რომ „ეს ერგებოდაო“, რაც ბაჟი იყოს ის მ ე ბ ა ჟ ე მ თქვას: „ეს ბაჟი ერგებოდაო“, მოხელე(ე)ბმა და ვინც ჩემს რძალს გლეხი ერგო, იმათ თქვან ბეგრისა, პურისა თუ ღვინისა, — რასაც ფრისა, — მე გარდვიხდი. არა და არ გადვიხადო, აქა მყავს გლეხი, ყელქცეულსა მყავს გლეხი, ჭალაზედა, გვერდის უბანსა და თქვენმა იასაულმა გადა(ა)ხდევინოს და უბოძეთ.... მარტის კგ ქკს უედ“ (იხ. საბ. № 6979 d. h ხელნაწ. ინსტ.).

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ პოეტ ფეშანგის მოწმობა მღებრის შესახებ:

„მან ოს ტ ა ტ მ ა ნ ჭ ე ლ ო ვ ა ნ მ ა ნ ესე გვარი სადა ღება“?

არა მგონია, კიდევ იყოს საჭირო იმ მრავალ მოწმობათა მოყვანა, საიდანაც აგრეთვე ჩანს, რომ მღებარი არის ის, ვისაც ამ ტერმინში ფეშანგი, საბა, იოანე და ევგენ აბაშიძე გულისხმობენ.

რაც შეეხება პროფ. ნათაძის მიერ აღნადგენ ტერმინს: „ამღებარი“, ასეთი რამ ჩვენ არსად შეგვხვედრია, არც თვით პ-ლ მკვლევარს შეხვედრია ის და სრული საბუთი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ასეთი ტერმინი მებაჟეს მნიშვნელობით არც უნდა არსებულიყო: ამის საჭიროება არ იყო.

პროფ. ნათაძით გამოდის: „ამღებარმა“ (resp. „მღებარმა“) და „საამღებრომ“ (resp. „სამღებრომ“) შეცვალეს ტერმინები „მებაჟე“ და „საბაჟო“. პირუკუ პროცესი არ წარმოიდგინება: „საბაჟო“ და „მებაჟე“ ძველითგანვე არსებული ტერმინები (გარკვეულ დროს მათ შეცვალეს „საზუერე“ და „მეზუერე“). მაგრამ ამ შემთხვევაში უცნაური და გაუგებარია, თუ როგორ მოხდა, რომ არც წერილობით და არც ზეპირ მეტყველებაში არ გადარჩა არც „საამღებრო“ და არც „ამღებარი“? თუ ვიტყვით, რომ ისინი გაუიგივებდნენ „სამღებროსა“ და „მღებარს“ — ასე ფიქრობს პროფ. ნათაძე,— და მაშასადამე უკანასკნელი ორი ტერმინი ამიერიდან შეენაცვლა „საბაჟოსა“ და „მებაჟეს“, მაშინ როგორღა მოხდა, რომ „მღებარსა“ და „სამღებროს“ გვერდით განაგრძობენ არსებობას და იმავე,

შინაარსით დღევანდლამდის მოაღწიეს „საბაჟომ“ და „მებაჟემ“?

და თუ „სამღებროსა“ და „მღებარში“ ოდესმე ასეთი შინაარსი (პროფ. ნათაძით: взымалище და мытарь) მართლაც იგულისხმებოდა (რასაც XVIII—XIX საუკუნეთათვის კატეგორიულად ეწინააღმდეგება, როგორც საქმიან საბუთთა ჩვენებანი, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ტერმინ „სამღებროსა“ და „მღებრის“ გვერდით ცოცხლობენ თითქოს ამ უკანასკნელთა მიერ მოხსნილი ტერმინები „საბაჟო“ და „მებაჟე“), როდისღა და როგორ მოხდა, რომ „მღებარმა“ და „სამღებრომ“ „მებაჟისა“ და „საბაჟოს“ შინაარსი მიითვისეს, რამოდენიმე ხანს ჰქონდათ ის, ვერ შეიშვნეს, მონატაცები ისევ „მებაჟე“ „საბაჟო“-ს დაუბრუნეს და თითონ სრულიად ახალი შინაარსით გამოვლინდნენ (პროფ. ნათაძით მე-18 საუკუნის „სამღებრო“ და „მღებარში“ „Красильня“ და „Красильщик“ გამორიცხულია. ამავე დროს პ-ლ მკვლევარისათვისაც არაა სადაო, რომ ჩვენი დროის „სამღებრო“ და „მღებარში“ მხოლოდ „Красильня“ და „Красильщик“ იგულისხმება)?

საბაჟო მე-18 საუკუნეში სრულიად გარკვეული ცნებაა. საბა ორბელიანის განმარტებით ისაა „ბაჟთ ადგილი“ (საბა. იხ. ს ა ბ ა ჟ ო), ბაჟი კი მისივე განმარტებით ტვირთის ხარკია. (საბას უკანასკნელი განმარტება მე-18 საუკუნის დასასრულისათვის მაინც მთლად სრული არ არის: „სასამართლოს ბაჟი““, „არზის ბაჟი“, ფეიქრის „ორმოს ბაჟი“ და სხვა, რა თქმა უნდა, ტვირთის ხარკი არაა. მაგრამ ამ გარემოებას ჩვენთვის ამჟამად არსებითი მნიშვნელობა არ აქვს).

მე-19 საუკუნის დასაწყისში კი იოანე ბატ-ლი სთარგმნის რუსულ „Таможня“-ს — „საბაჟო“, „საზუერო“.

ასე რომ მე-18 საუკუნეში საბაჟო ცოცხალი სიტყვაა და ესმით Таможня-ს, Застава-ს მნიშვნელობით .(„საბაჟო“ გვხვდება: დმანისს, მირტაშენს, მცხეთას, სადგერს, იფნობს, ზენადრისს. გეოგრაფიულ სახელებად გვხვდება: არაგვის ხევში — „საბაჟო“, ზემო იმერეთში—„საბაჟო“, სამთავროს ახლო—„საბაჟო“ და სხვ.).

რაც შეეხება „მებაჟეს“ ამის შესახებაც უხვად მოიპოვება სრულიად დამაჯერებელი მოწმობანი, რომ ეს ტერმინიც ასევე ცოცხალი იყო მე-18 საუკუნეში და იმავე შინაარსით, როგორც დღეს.

ზემომოყვანილს აქ დავურთავთ ერთ საბუთსაც: „ქ. ჩვენ ბძანება არის. ეს ჩვენმა მებაჟემ ასე იცოდეს: რაც ოსეთის გზაზე საქონელი მოვა და იმაზე ბ ა ჟ ი აიღება, იმის მესამედი ნეტარხსენებულს მამას ჩვენს სვეტიცხოვლისათვის მიერთმია და ჩვენც მივართვით. რადგან იმ შეწირულობის ჟამს ოსეთის გზიდამ მოსულის საქონლის რახტარი მსუბუქად განწესებული ყოფილიყო და მასუკან ჩვენ ჩელიექი განვაწესეთ, ამაზე ლაპარაკი შეიქნა. ახლა ჩვენ ასე განგვიწესებია: ოსეთის გზაზე მოსულს საქონლის ჩელიექს, თუმანზე რომ ხუთ შაურს აიღებთ, იმის მესამედი ჯზის მ ე ბ ა ჟ ე ს უნდა მისცეთ და ის მის უწმიდესობას, ჩვენს ძმას მიართმევდეს. აღიწერა სექტემბერს, კდ, ქ~კს უნთ“.

ამას გარდა, ახლა რომ თუმანზე ხუთი შაური მ ო მ ა ტ ე ბ უ ლ ი ბ ა ჟ ი განვაწესეთ, ამის მესამედი ოსეთის გზაზე მოსულის ბაჟისა ჩვენც სვეტიცხოველს მივართვით. ვინც ამ მ ო მ ა ტ ე ბ უ ლ ი ბ ა ჟ ი ს ამღები იყოთ, რაც ოსეთის გზაზე მოსული საქონლის ბ ა ჟ ი აიღოთ, ამის მესამედიც მათის უწმიდესობის მ ე ბ ა ჟ ე ს მიეცით“. ბ ე ჭ ე დ ი ე რ ე კ ლ ე ს ი. (საბ. № 231 ცენტრ. არქ.). ასეთივე შინაარსით იხსენიება „მებაჟენი“ 1663 წელს (Акты I, 20) 1770 წელს (231 ცენტრ. არქ.), 1797 წელს საქ. სიძ. III, გვ. 328 „კარის მებაჟე“) და სხვაგან.

მაშ როდისღა იყო „მებაჟე“ „მღებარი“ და „საბაჟო“ „სამღებრო“?

პროფ. ნათაძეს თავის მოსაზრების სასარგებლოდ შემდეგი არგუმენტი მოჰყავდა: არსებობს წერილობითი ცნობა სამთავისის სამღებროს შესახებ. ის ამილახვართ ეკუთვნოდა (საბ. № 235 ც. არქ.). ამასთან ერთად პ-ლ მკვლევარს ყურადღება მიუქცევია, რომ დღეს მთელი რეხის ხეობა ს ა ბ ა ჟ ო ს უწოდებს იმ ადგილს, „იგოეთის პირდაპირ ერთი ვერსტის მანძილზე“ ძველი ეკლესიის გარშემო რომ არის. პ. კარბელაშვილის მოწმობით აქ ნანგრევებიც ყოფილა. მისი სიტყვით, ამ ადგილს „ვერ ასცდებოდა უწინ თფილისიდან ქართლისაკენ წამსვლელ მომსვლელი“ (საქ. სიძ. III, დამატება, გვ. 12—13). პროფესორ ნათაძეს ეს ჰგონია სამთავისის სამღებრო.

თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებდით, უნდა დაგვეშვა, რომ ტერმინი „სამღებრო“ საბაჟოს მნიშვნელობით ძველითგანვე არსებულა, მე-18 ს-შიაც ასევე ყოფილა და მხოლოდ მე-19 საუკუნეში შეუცვლია ის ტერმინ „საბაჟოს“ და შეუცვლია ისე საფუძვლიანად, რომ დღეს აღარსად ეს სახელი ამ მნიშვნელობით რეხის ხე-

ობაში არ იხმარება და ამ ყოფილ „სამღებროს“ ხალხი მხოლოდ „საბაჟოს“ უწოდებს.

არა გვგონია, პროფ. ნათაძე ასეთ მოსაზრების დაცვას აპირებდეს.

ის ფაქტი, რომ ხალხი ამ ადგილს „საბაჟოს“ უწოდებს, მოწმობს, რომ „საბაჟო“ ძველიდანვე არსებული სახელია მისი — (მე-19 ს-ში არ იყო შესაძლებლობა „სამღებროს“ შეცვლისა „საბაჟოთ“) და ხალხმაც ის შემოინახა, ხოლო „სამღებრო“ ამ ადგილს არასოდეს არ რქმევია და თუ აქ სამღებროც მოქმედებდა (Красильня) მას საბაჟოს ადგილი არასოდეს სჭერია.

პროფ. ნათაძის მეორე არგუმენტი, ეს ანანურის სამღებროს შესახებ საბუთია.

„ქ. ბატონისშვილის ლევანის სარქრიდამ მე მათმა მონამ ყარახანისშვილმა სულხანამ ჩემის ნებამყოფლობით არაგვის საერისთოს ანანურის სამღებრო, რუსეთს წამსვლელს (და) მოსულს კაცზე რაც იღება, ასევე იქიდამ მოსულს და აქედამ წასულს საპალნეზე რაც ბაჟი იღება, კიდევ ჩერქეზებისა თუ სხვა ქართველისაგან, თუ სომხისაგან მოსულს ცხენზე რაც ბაჟი იღება, კიდევ დუშეთის ბანბაზე, ღვინოზე, მარილზე თუ სხვა ნივთებზე რაც ბაჟი იღება, — ეს ზემოხსენებული შემოსავლები ამ მარტის ათიდამ იმ მარტის ათამდინ სამოცდახუთ თუმნად იჯარით ავიღე. იქნება ამისი ნახევარი 32 თუმანი და 5 მინალი. ამდენი. ეს მაბლაღი იჯარა დაფათით თქვენს სარქარს ვმსახურო. ღ-თინ ნუ ქნას, თუ ერთი რამ ბარგაშტობა მოხდეს, როგორც სხვა იჯარადარს პასუხი მიეცეს, მეც თქვენგან იმ გზით წყალობა დამემართოს. (მარტის ი. ქკს უივ[1])“. პროფ. ნათაძეს ამ საბუთში ჩამოთვლილი ბაჟები („კაცზე“, „საპალნეზე“, „ცხენზე“, „დუშეთის ბამბაზე, ღვინოზე, მარილზე თუ სხვა ნივთებზე“), აქვე დასაწყისში მოხსენებულ „სამღებროს“ შინაარსის გახსნა ჰგონია. (მკვლევარის აზრით, სიტყვა „სამღებროს“ შემდეგ ამ საბუთში ჩვენ უნდა ორი წერტილი დავსვათ და არა მძიმე, როგორც ეს ჩვენ დავსვით). ამდენადვე სამღებრო სახელოსნო პროფ. ნათაძემ ამ „საამღებროდან“ (ისე როგორც ყველა სამღებროდან) გამორიცხა.

ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ამ საბუთში სამღებრო ყარახანაშვილის მიერ იჯარით აღებულ „შემოსავლები“-ს ერთ-ერთი მუხლია.

---

[1] ტექსტში განკვეთის ნიშნები ჩვენია.

აქ ჩვენ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა იჯარადარი აიღებს როგორც „ბაჟს“, ისე „სამღებროსაც“.

სამღებროთა საიჯარო ფასის სიდიდე „საშუალო საუკუნეთა სახელოსნოებისათვის“ არაბუნებრივი ეჩვენ პროფ. ნათაძეს. ამის გამო მას ეჭვი დაებადა, რომ ამ „სამღებროებში“ სახელოსნო(Красильня) კი არა, რაღაც სხვა უნდა იგულისხმებოდეს. ასეთ განწყობილებისას მკვლევარი ზემომოყვანილ არაგვის საერისთოს საბუთს წააწყდა, რომელიც თითქოს განზრახ, ისე შედგენილი აღმოჩნდა, რომ პროფესორ ნათაძემ თავის ეჭვის საფუძვლიანობა (თითქო) თვალნათლივ დაინახა: მან „სამღებროს“ (თითქოს) ნამდვილი შინაარსი აღმოაჩინა (და თავისი მტკიცე წარმოდგენა „საშუალო საუკუნეთა სახელოსნოების“ შესახებ უსიამოვნო გადასინჯვას გადაარჩინა). საბუთი კი ასე შედგენილი იმიტომ აღმოჩნდა, რომ ყარახანაშვილმა იჯარით აიღო არა მარტო ანანურის სამღებრო, არამედ ბაჟებიც (და არა მარტო ანანურის ბაჟები, დუშეთის ბაჟებიც კი), ხოლო მწერალმა საბუთი ისე შეადგინა, რომ „შემოსავლებიდან“ ერთ-ერთი—სამღებრო პირველად დასწერა. ამასვე ხელი შეუწყო იმ არასასიამოვნო ჩვეულებამაც, ძველ მწიგნობრებს რომ ჰქონდათ: განკვეთის ნიშნების უქონლობამ.

პროფ. ნათაძე რომ ამ საბუთის წაკითხვისას მხოლოდ ამ ერთს შეცთომას დასჯერებოდა და მისი დანარჩენი ნაწილი მაინც სწორად გაეგო, ის იძულებული შეიქნებოდა თავის ეს აღმოჩენა თითონვე უარეყო, შეცდომა დაენახა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ამ საბუთის, ჩანს, სხვა ნაწილიც უმართებულოდ ესმის.

საქმე ისაა, რომ ყარახანაშვილმა იჯარით აიღო არა მარტო „საერისთოს ა ნ ა ნ უ რ ი ს ს ა მ ღ ე ბ რ ო“ და ანანურის ბაჟები (ანუ „რ უ ს ე თ ი ს გ ზ ი ს ბ ა ჟ ე ბ ი“ იხ. საბ. 3871 d. h. ხელნ. ინსტ., სიძ. I, გვ. 190), არამედ დ უ შ ე თ ი ს ბ ა ჟ ე ბ ი ც („ბამბაზე, ღვინოზე, მარილზე და სხვა ნივთებზე“).

ნათაძისეულ წაკითხვისას ისე გამოვა, რომ ანანურის სამღებროში, ე. ი. „застава-ში“ დუშეთის ბაჟებიც შედის. ასეთი რამ კი სწორედ პროფ. ნათაძისეულ ინტერპრეტაციის გაზიარების პირობებში არის შეუძლებელი: 1. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ანანურის სამღებრო (застава) და დუშეთში ბაჟების აღება? როგორ შეიძლება ანანურის სამღებროს (застава) შინაარსში შედიოდეს დუშეთის ბაჟი? ცნობილია, რომ „საერისთოში“ (არაგვის ხეობა) არსებობდა ა მ ა ვ ე დ რ ო ს **დუშეთის სამღებროც** (იხ.

საბ. № 3541 d. h. ხელნაწ. ინსტ. და საქ. სიძ. I, გვ. 190), რომ საერისთავოში „ს ა მ ღ ე ბ რ ო ე ბ ი“ იყო (ანანურის, დუშეთის). ეხლა, თუ ანანურის სამღებროში (застава) დუშეთის ბაჟიც შედიოდა, რაღა იყო დუშეთის სამღებრო (застава) და რაღა შინაარსი რჩებოდა მას, ან როგორ შეიძლებოდა არსებულიყო არაგვის საერისთვოს „ს ა მ ღ ე ბ რ ო ე ბ ი ს ბაჟი“??

ასეთმა კითხვებმა იმიტომ არ შეაწუხეს პ-ლი მკვლევარი, რომ მას ზემომოყვანილ საბუთში დასახელებული: „დუშეთის ბამბაზე, ღვინოზე, მარილზე თუ სხვა ნივთებზე“ დუშეთიდან ანანურში გატარებულ სავაჭრო საქონლის სახეები ჰგონია. მაგრამ ასეთი წაკითხვა აშკარა შეცდომაა: შემოსატან თუ გასატან საქონლის შესახებ საბუთში ცხადად არის ლაპარაკი იქ, სადაც სწერია: რუსეთს წამსვლელს თუ მოსულს კაცზე რაც იღება („კაცზე რაც იღება“ აქ უნდა ნიშნავდეს იმ ბაჟს, რომელიც ზურგით გატარებულ სავაჭრო საქონელზე აიღებოდა ხოლმე), ასევე „იქიდამ მოსულს და აქედამ წასულს საპალნეზე რაც ბაჟი იღება“.

ეხლა, მას შემდეგ რაც ჩვენ ვიცით, რომ მე-19 საუკუნის პირველ ოცეულში ლექსიკოგრაფი (იოანე ბატ-ლი), საქართველოს გაზეთის მთარგმნელი და საქართველოს მთავარმართებელი ერთი მეორესაგან დამოუკიდებლად სთარგმნიან „Красильня-ს“ „სამღებროდ“, ხოლო „სამღებროს“ „Красильня“-დ ჩვენთვის აშკარაა ზემომოყვანილ საბუთის პროფ. ნათაძისეული წაკითხვის სრული მცდარობა:

თუ „ანანურის სამღებრო“ საბაჟოა (застава ან взымалище), რომელშიაც სამღებრო სახელოსნო (პროფ. ნათაძით ასეთი ტერმინიც კი „красильня“-სთვის არ არსებობდა, უკანასკნელის ქართული სახელი, მისი აზრით, მხოლოდ ლილახანაა) არ იგულისხმება, მაშინ ასეთივეა ყველა სხვა სამღებროებიც, ტფილისის იქნებიან ისინი თუ მეჯვრისხევის.

ასე რომ, ან ცდებოდნენ მე-19 საუკუნის დასაწყისში, როცა ქართულ ტერმინს „სამღებროს“ „Красильня“-დ სთარგმნიდნენ და სახელოსნოებს, რომელნიც „არა თუ ახდენენ ჰაერსა დამპალის სუნითა, არამედ აბილწებენცა წყალსა გავლებითა შეღებილთა საქონელთა და გარეცხვითა ჭურჭელთასა“, ასეთ სახელოსნოს რუსულ სახელს (რა თქმა უნდა Красильня-ს) ქართულად „სამღებროთი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოგვცემენ ან, თუ ესენი მართალი არიან, ცდება პროფ. ნათაძე.

ვფიქრობთ, აღარაა სადაო თუ ვინ ცდება.

ხოლო თუ ეს ასეა და „ანანურის სამღებროში“ სამღებრო სახელოსნო კი იგულისხმება, მაშინ ანანურის საბუთის წაკითხვა პროფ. ნათაძისა და პ-ლ მკვლევარის მთელი კონცეპციაც სამწუხარო გაუგებრობაა.

როგორც აღვნიშნეთ, პროფ. ნათაძე სამღებროთა საიჯარო ფასის შედარებითმა სიდიდემ შეაეჭვა და ამ ტერმინში რაღაც სხვა შინაარსი ავარაუდებინა (მხოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩინა მან ეს ანანურის საბუთი, რომელმაც, როგორც ვხედავთ, მას მეტად უმადური სამსახური გაუწია).

თავისთავად შეუძლებელი არა არის რა, პირიქით, სრულიად ბუნებრივია, რომ გარკვეულ შინაარსის ტერმინი დროთა განმავლობაში იცვლებოდეს, ახალ შინაარსით ივსებოდეს... ამიტომაც ჩვენთვის უცნაური სრულიადაც არ იქნებოდა, თუ ტერმინ „სამღებროში“ გარკვეულს დროს სხვა შინაარსი აღმოჩნდებოდა, ვიდრე საშუალო საუკუნოების სამღებრო სახელოსნო.

პროფ. ნათაძემ მე-18 საუკუნის „სამღებროში“ საბაჟო (застава, взымалище) დაინახა და მასში სამღებრო სახელოსნოს მომენტი უარყო. უდავო დოკუმენტალური მოწმობანი უარყოფენ, როგორც ვნახეთ, პროფ. ნათაძის ამ გაგებას.

მაგრამ ხომ არ შეიძლება მე-18 საუკუნის „სამღებროში“ სამღებრო სახელოსნოცა და საბაჟოც (застава, взымалище) იგულისხმებოდეს?

პრინციპულად შეუძლებელი არც აქ არის რა. პირიქით, ასეთი რამ შესაძლებელიც იქნებოდა და ადვილასახსნელიც, თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებდით, რომ ძველად საქართველოში (ისე როგორც სხვაგანაც საშუალო საუკუნეებში) ფისკი ერთმანეთისაგან არ არჩევდა სააქციზო და საბაჟო შემოსავლებს და ყველას ერთს სახელს „ბაჟს“ უწოდებდა, რომ სამღებროც, როგორც ერთ-ერთი ასეთი „შემოსავალი“, ჩვეულებრივ სხვა ბაჟებთან ერთად გაიცემოდა ხოლმე იჯარით. ასეთ პირობებში ადვილშესაძლებელი იყო ერთ-ერთი ყველაზედ მნიშვნელოვანი შემოსავლის კერძო სახელი, ვთქვათ, „სამღებრო“, ყველა სხვა შემოსავალთა შემცველ ტერ-

მინად ქცეულიყო. კერძოდ, სამღებროს აქ ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ ის იყო დაწესებულება შენობით, ინვენტარით, მაშინ როცა სხვა საბაჟო შემოსავლები ამას ჩვეულებრივ მოკლებული იყვნენ....

ყველა ეს შესაძლებელია, მაგრამ არც ერთი აქამდის ცნობილი საბუთი არ ადასტურებს ამას[2].

ანანურის საბუთში, როგორც ვნახეთ, „სამღებრო" ერთი „შემოსავალთაგანია", ისე როგორც თითოეული ბაჟი აქ ცალკე „შემოსავალია".

ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს საბუთი № 3509 d. h. „ქკს უჲᲫ ამ წლის მარტის ათს ყარახანაშვილმა სულხანმა ანანურის სამღებრო იჯარით აიღო თორმეტ თუმნად. ეს როგორც დახარჯულა ხურდა ბარათით, ამას ქვეით სწერია"...

როგორც ვნახეთ, 1778 წელს სულხანა ყარახანაშვილმა იჯარით აიღო დუშეთის ბაჟები, ანანურის ბაჟები და ანანურის სამღებრო. ყველა ამაების საიჯარო ფასი 65 თუმანს უდრიდა. 1780 წელს კი მან საიჯარო ფასი 32 თუმანი გაიღო მხოლოდ და ეს იმიტომ, რომ ეხლა მან მარტო სამღებრო აიღო იჯარით.

ამას ადასტურებს „ბარათები", ყარახანაშვილს რომ მოსდის არაგვის საერისთვოს პატრონისაგან (ლეონ ბატონიშვილისაგან), ან მისი მოხელისაგან. ყველა იმ „ბარათებში", რომლებიც მას 1780 წლის მარტის შემდეგ მისვლია, ან ყარახანაშვილი წოდებულია „სამღებროს იჯარადრად" ან კიდევ იჯარის ობიექტია მოხსენებული: „სამღებროს იჯარა" (იხ. საბ. №№ 12399, 2918, 11748 d. h. ხელნაწ. ინსტ.).

ამავე დროს ასეთსავე „ბარათებში" ყარახანაშვილი 1780 წლამდე არც ერთხელ აგრე მოხსენებული არაა. ამ „ბარათებში" ის მხოლოდ გვარით და სახელით მოიხსენიება, ხოლო ბარათებს ანაღდებს „ი ჯ ა რ ი ს ა ნ გ ა რ ი შ ში" (იხ. საბ. 11789, 11774, 12420, 12421, 12422, 12423, 12424 d. h. ხელნაწ. ინსტ.). და ეს იმი-

---

[2] გვაქვს ცნობა, როცა სამღებროს იჯარაში, როგორც საფეიქრო დაწესებულებაში, მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებული სხვა იჯარებიც შესულა. ამის მოწმობაა საბუთი № 172 d. A., საიდანაც ჩანს, რომ 1752 წელს საგარეჯოს სამღებროს იჯარაში ენდროს ყიდვა და ბამბის ცვლაც შედიოდა. მაგრამ ეს, როგორც ვხედავთ, თავისთავად საინტერესო, მაინც სულ სხვა ხასიათის მოვლენაა... და პირიქით, მოწმობაა იმისა, რომ აღნიშნულს გარდა სხვა ბაჟები საგარეჯოს სამღებროს იჯარაში არ შედიოდა.

ტომ რომ 1780 წლამდის ყარახანაშვილი იჯარადარი იყო ყველა შემოსავლების (დუშეთის სამღებროს გარდა), ხოლო 1780 წლის მარტიდან კი ის მხოლოდ ანანურის სამღებროს იჯარადარია.

პაატა აბაშიძის ქვრივი სალომე 1811 წელს განცხადებას აძლევს გორის კაპიტან-ისპრავნიკს და ჩამოთვლის იმ სახელოებს, მის მეუღლეს რომ ჰქონდა „ქართველობის დროს და რუსთ შემოსვლის შემდეგ ჩამოერთვათ“:

„ქ. პირველი სახელო სალაროს ნაზირობა.

ქ. მეორე სახელო ხეფინისხევის მოურავობა.

ქ. მესამე სახელო—სურამი, უკანასკნელის მეფისაგან ბოძებული თ~ა ევგენისა, დავითისა და პაატას სახელზე ჩყ წელსა, აპრილის·დ.

ესეცა არის თანაშეერთებული ხეფინისხევის მოურავობასთან. აქედამ გვქონდა შემოსავალი: ბ ა ჟ ი ს ა თ ი ს თ ა ვ ი, ს ა მ ღ ე ბ რ ო ს ა თ ი ს თ ა ვ ი, დ ა ა ხ ა ლ წ ე ლ ი წ ა დ ს ს ა მ ი დ ღ ე რ ა ც შ ე ი ღ ე ბ ე ბ ო დ ა და საჩექმე, თავის გასამტეხლო, გასამყრელო“... (და სხვა).

აქ აღარაფერია თითქო სადავო, რომ ბ ა ჟ ი ს ხ ვ ა ა და ს ა მ ღ ე ბ რ ო ს ხ ვ ა, რომ „ს ა მ ღ ე ბ რ ო შ ი“ „ბ ა ჟ ი“ არ შ ე დ ი ს. აქ სამღებროს შინაარსიც მოცემულია: „რაც შეიღებებოდა“ (იხ. საბ. 3871 d. h. ხელნაწ. ინსტ.).

1777 წ. „ღმერთმან· ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს კახეთის იჯარადარს კურდღელაშვილს დავითს! ბ ო დ ბ ე შ ი ს ა მ ღ ე ბ რ ო ხ ო მ შ ე წ ი რ უ ლ ი ა და იმასთან ხელი არა მაქვს და რომელიც სომეხი საბოდბლოში ვაჭრობენ, ბოდბელი იმათ ბ ა ჟ ს არ მაძლევს. ჩემო ჭელმწიფევ, შფოთის მორჩილი კაცი გახლავარ; ბოდბელიც აქ გახლავსთ და მთელი ქიზიყიც, მოიკითხეთ და ეს ჩვენი საქმე გა(ა) რიგეთ. ღ~თი გაგიმარჯვებს.. ივნისის იბ ქკს უჯე“... („გუჯრები“... გამოცემა ალ. ხახანაშვილისა, გვ. 87). ბოდბის სამღებრო შეწირულია. ამას სცნობს კახეთის იჯარადარი კურდღელაშვილი, მაგრამ საბოდბლოდან ვაჭრების ბაჟს მაინც მოითხოვს. ცხადია, ბოდბის ს ა მ ღ ე ბ რ ო შ ი ვ ა ჭ რ ე ბ ი ს ბ ა ჟ ი ა რ შ ე დ ი ს.

1803 წელს პ. ციციანოვი ჩამოთვლის სახელმწიფო ბ ა ჟ ე ბ ი ს 15 მუხლს და ამათ შორის ე რ თ-ე რ თ მ უ ხ ლ ა დ მოჰყავს „с красилень в Меджврисхеви Юонова 490 руб.“ (იხ. Акты,II, № 442). ამ „შემოსავლებიდან“ ყველა სხვა სამღებროები (გორის.

ტფილისის, ცხინვალის) გამორიცხულია, ხოლო ბ ა ჟ ე ბ ი კი არა და ეს იმიტომ, რომ ბაჟები სამეფო შემოსავალი იყო (გორისა, ტფილისისა, კახეთისა), მაშინ როცა სამღებროები სადედოფლო ან კიდევ საფეოდალო იყო (მხოლოდ იულონის ნაქონევი სამღებროები ლიახვის ხეობაზე: მეჯვრისხევი, არბო რეკვიზირებული იყო იულონის და ზოგიერთ სხვა ბატონიშვილების განდგომა-აჯანყებასთან დაკავშირებით). ამრიგად, „ს ა მ ღ ე ბ რ ო დ ა ნ“ სხვა ბ ა ჟ ე ბ ი ა ქ ა ც გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ა.

„კახეთში და ქიზიყში რაც სამღებროები არის“, „ეკლესიების შეწირულების გარდა“, ყველა დარეჯან დედოფალს ეჭირა, საიდანაც მას 200 თუმანი საჯარო ფასი შემოსდიოდა წლიურად (საქ. სიძ. III, 297).

ამავე დროს „ქიზიყში რაც ბაჟი ავა, ორი წილი ბატონისაა და მესამედი მოურავისაა“...

„გალმის ბაჟი რაც გამოვიდა, ან ჭარისა, ან ენისლისა, ან შირვანისა, სულ ბატონისა (ე. ი. მეფის) არის, მოურავს ჭელი არ აქვს, გამსვლელი თუ გამომსვლელი“ (საქ. სიძ. III. 134), და ეს ასეა როგორც 1750—1760 წლებში, ისე მე-18 საუკუნის დასასრულამდის (იქვე, გვ. 138). ასე რომ ა ქ ა ც ქ ი ს ი ყ ი ს ს ა მ ღ ე ბ რ ო ე ბ ი დ ა ნ ქ ი ს ი ყ ი ს ბ ა ჟ ე ბ ი, შ ი გ ნ ი თ ი თ უ გ ა რ ე თ ი, გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ა რ ი ა ნ.

„გორისა და სათარხნოს სამღებროს იჯარა წელიწადში 160 თუმანს“ აძლევდა დარეჯან დედოფალს. ეს სამღებროები საკუთრივ მისი იყო.

გორის ბაჟი კი სამეფო იყო და ღედოფალს აქედან 15 თუმანი ეძლეოდა წელიწადში გადაკვეთით მისი გორელი „ყმების ბაჟის მაგიერ“. დარეჯანს გორში 24 კომლი ყმა-ვაჭარი ჰყავდა (იხ. საქ. სიძ. III, 298).

ქალაქის სამღებროც საკუთრივ დედოფლისა იყო. აქედან დარეჯანს წლიური საჯარო ფასი ხან 500 თუმანი, ხან კი 700 თუმანი შემოსდიოდა. ტფილისის ბაჟები კი სამეფო იყო და ღარეჯან დედოფალს ჩელიექის ბაჟიდამ, რომლის წლიური რაოდენობა მე-18 საუკუნის 90 წლებში ოთხი ათას თუმანს უდრიდა (იხ. საქ. სიძ. II, 523), ყოველ წლიურად გადაკვეთით ოთხმოცი თუმანი ეძლეოდა და ეს მისი „ყმების ბაჟის მაგიერ“: დარეჯანს ტფილისში 50 კომლი ყმა-ვაჭარი ჰყავდა (საქ. სიძვ. III, 298).

აქაც, როგორც ვხედავთ, ს ა მ ღ ე ბ რ ო ს უ ლ ს ხ ვ ა ა, ს ა-

ბაჟო კიდევ სხვა. ერთი დედოფლისაა, მეორე სამეფოა; სამღებროდან საბაჟო გამორიცხულია.

მძორეთის სამღებრო ნაზარალიხანის დროიდან სულ ციციანთ ხელშია (იხ. საბ. d. h. ხელნაწ. ინსტ. №№ 7349, 8080, 8090, 13660), ამავე დროს აქაური ბაჟი გორის ბაჟის იჯარაში შედის. ის სამეფოა (Акты, I, 20).

1801 წლის ცნობაში: „В Ахалгори пошлины и красильня остаются в пользу помещика царевича Иоанна. (ეს „Красильня" ჩვენ უფლება გვაქვს „სამღებროდ" მივიღოთ).

სწორედ ამ ხანებში ციციანოვი „სამღებროს" Красильня"-დ სთარგმნის (იხ. Акты 841).

1805 წლის ტფილისის საბაჟოს უწყებაში სამღებროს იჯარა საბეჭდავის, თუთუნის და ყაფნის იჯარასთან ერთად пошлины-საგან სრულიად განსხვავებულ შემოსავლებს ქმნიან [„пошлины и другие сборы". Акты III, 38].

ქართული სამართლის მიხედვით სამღებროები სადედოფლო მონოპოლია იყო. სამღებროები ფეოდალებს (საეროს თუ საეკლესიოს) „წყალობის" ან შეწირულების სახით ჰქონდათ გადაცემული. ახალი სამღებროს გაკეთება თავის ნებით არავის შეეძლო. რუსეთის მთავრობამ ეს მონოპოლია გააუქმა საქართველოში და მე-19 საუკუნის პირველ ოცეულში ახალი სამღებროებიც აშენდა (იხ. საბ. d. h. 8096 ხელნაწ. ინსტ.)

დასაჯერებელია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ნება მისცა ქართველ ფეოდალებს საბაჟოების მათი სურვილისდა მიხედვით გამრავლებისა? პ-ლი გ. ნათაძეც დაგვეთანხმება, რომ ეს დაუჯერებელია: მას უნდა მოეხსენებოდეს რუსული ხელისუფლების საბაჟო პოლიტიკის შესახებ ჩვენში.

დავით იმამყულიხანი XVIII ს-ის დასაწყისს წყალობად აძლევს ღვთაების მონასტერს პატარძეულიდან მარტყოფამდის სამღებროების აშენების უფლებას (იხ. ისტორ. საბ. I, ს. კაკაბაძის გამოცემა). დასაჯერებელია, რომ ეს სამღებროები საბაჟოები შეიძლება ყოფილიყვნენ?

1810 წელს ზურაბ წერეთელი „პირობის წერილს" აძლევს ვახუშტ წერეთელს:... „ჩვენ თვისთვისად ჩვენს მამულში სამღებროები გვქონდა. მარა (sic) ახლა ჩვენის ნებით და კეთილის გან-

ზრახვით ასე გავრიგდით, რომ თქვენი სამღებროები მოშალეთ და ჩვენს სამღებროს შემოაერთეთ რომ საუკუნოდ ამის სანაცვლოდ ჩვენის სამღებროდამ ორასი მარჩილი თქვენ უნდა მოგერთმეოდესთ. თქვენ სამღებრო აღარ უნდა გააკეთებიოთ და ჩვენ ეს ორასი მარჩილი ყოველს წელს უნდა მოგართვათ"—(იხ. საბ. d. h. 3781 ხელნაწ. ინსტ.).

შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს სამღებროები „საბაჟოებია"?

რა შეიძლებოდა ყოფილიყო საბაჟოთა გაერთების მოტივი? ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით საბაჟო პოლიტიკა ხომ არა? ამ დროის იმერეთის სამეფოში და ისიც ფეოდალებს ასეთ რასმეს ამბავინ მიაწერს?

თავის მამულში საბაჟოების (რამდენის?) მოშლით და ზურაბის საბაჟოსთან გაერთებით ვახუშტ წერეთელი რას მოიგებდა? რამოდენიმე საბაჟოს ნაცვლად ერთი საბაჟოს შექმნით ბაჟის საერთო რაოდენობა მოიმატებდა თუ მოიკლებდა?

ხოლო თუ „სამღებროში" არა მარტო გზის ბაჟები იგულისხმებოდა, არამედ ადგილობრივ გასასყიდად მოტანილ საქონელზედ ასაღებიც (ამას ჰგულისხმობს პროფ. ნათაძისეული წაკითხვა ანანურის საბუთისა), მაშინ უნდა საქმე ისე წარმოვიდგინოთ, რომ ვახუშტი წერეთელმა თავისი მამული 200 მარჩილად ზურაბ წერეთლის ხელოსან-მებაჟეთა სარბიელად აქცია.

განა შეიძლება დავუშვათ ასეთი რამ?

1800 წელს დავით თარხნიშვილმა თელათგორს სამღებრო „გააკეთა".

ახალქალაქის სამღებროს პატრონი სოფიო ბატონიშვილი ბევრს ეცადა, მაგრამ თელათგორის სამღებრო ვერ მოაშლევინა. თუ ეს საბაჟო იყო, რას უშლიდა სოფიო საბაჟოს თელათგორის საბაჟო? (სოფიო იმას ჩიოდა, რომ თელათგორის სამღებრო აზარალებდა ახალქალაქის სამღებროს). დავით თარხნიშვილმა თავისი გაიტანა: თელათგორის სამღებრო არ გააუქმეს, ხოლო შემდეგ ჩემმა ძმებმაო, ჩივის დავით თარხნიშვილი, „გააოხრეს და გააუქმეს". თუ ეს საბაჟო იყო, როგორ „გააოხრეს" ის და ან თითონ რატომ უნდა გაეუქმებინათ ასეთი მომგებიანი რამ?

დავითის სიტყვით საფეოდალო სამღებრო ძველადაც იყო. ის იმ დროს „საოჯახო ქარხანა იყო (იხ. საბ. 8130 d. h.)

1810 წელს სიმონოვიჩი იმერეთიდან მოახსენებს ტორმასოვს: Царские доходы состояли большей частью в деньгах, выручаемых с таможни, красилень и лавок в Кутаисе, что ежегодно отдавалось на откуп здешним или Ахалцихским купцам и в последный год за 97 кес.

1821 წელს ქუთაისის საბაჟო და სამღებრო გაცემული ყოფილა ერთ მეიჯარადრეზე თანახმად „ძველითგანვე არსებული ჩვეულებისა". საბაჟოს გამოსასყიდი სოლომონ II დროს შეადგენდა მეფის შემოსავალს, ხოლო როგორც ქუთაისში, ისე წესში არსებულ სამღებროთა შემოსავალი „ყოველთვის დედოფლის საშემოსავლო სტატიას წარმოადგენდა"[2].

ყველა ამ მოწმობათა შემდეგ შეიძლება სამღებროში საბაჟო ვიგულისხმოთ??

1782 წელს აპრილის 30-ს ვახტანგ არაგვის მფლობელი წყალობის წიგნს აძლევს არაგველ აზნაურს ბაბანა ჭილაშვილს:... „გიბოძეთ მილახვრობა, რუსეთს მიმავალის, თუ იქიდამ მომავალის ვაჭრის ბაჟის აღება და აგრეთვე ჩერქეზიდამ მოსულის ცხენების მებაჟეობა, — ესები ყველა შენთვის და შვილთა თქვენთათვის გვიბოძებია. რომელიც განწესებული ბაჟები არის, ამ(ა)ებს ყველას სრულებით შენ უნდა აიღებდე. რაცა შენი რიგი იყოს, მილახვრობიდამაც ის სარგო უნდა აიღო, ამ ზემოხსენებულის ბაჟებიდამაც და სხვა რაც ბაჟი ჩვენი წილი დარჩებოდეს, ყოველს წელიწადს ჩვენს მოხელეებს უნდა მოაბარებდე, ანგარიშს გასწმენდდე და მიბარების ბარათს გამოართმევდე. ამის გარდა სამღებროების ბაჟთან შენ საქმე არ გექნება რა, ამიტომ რომ, რომელიც ჩვენის ბრძანებით, მღებარი დაჯდება, ბაჟს ის აიღებს და ესეც იქნება, რომ, ვინიცობა არის, სამღებროებიც და რუსეთის გზის ბაჟებიც ერთმა კაცმა იჯარით აიღოს და ჩვენ ამაში სარფა გვქონდეს, ბაჟები იმას დარჩებოდეს იმ წელიწადებში, მაგრამ იმ განწესებულს ბაჟს ისევ შენ უნდა აიღებდე და ჩვენს წილს, რომელიც იჯარადარი იქნებოდეს, ანგარიშით იმას მიაბარებდე... ასე ამ წესით გვიბოძებია"... (საქ. სიძ. I, 190). როგორც ვხედავთ ეს საბუთი აღარავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ „რუსეთის გზის ბაჟები", „ჩერქეზიდამ მოსულ ცხე-

---

[2] ეს ცნობა ამხ. პ. გუგუშვილმა მომაწოდა საქ. ცენტრ. არქივის აუწერელ ფონდიდან, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

ნ ე ბ ი ს ბ ა ჟ ე ბ ი“, „რ უ ს ე თ ს მ ი მ ა ვ ა ლ ი ს დ ა ი ქ ე-
დ ა მ მ ო მ ა ვ ა ლ ი ს ვ ა ჭ რ ი ს ბ ა ჟ ი“ ს უ ლ ს ხ ვ ა ა დ ა
ს ა მ ღ ე ბ რ ო ე ბ ი (აქ იგულისხმება ანანურის და დუშეთის სამ-
ღებროები) ს უ ლ ს ხ ვ ა.

და ეს ნათელი გახდა სწორედ იმიტომ, რომ ბაბანა ჭილაშვილს მხოლოდ რუსეთის გზის ბაჟები უწყალობეს და მას სამღებროებთან საქმე არა აქვს. პროფ. ნათაძის თეორიით სწორედ ამ აზნაურს უნდა ეწოდებოდეს „ამღებარი“, ხოლო იმ ადგილს, სადაც ის ამ თავის საქმიანობას ეწევა „საამღებრო“ უნდა ერქვას... ჩვენ კი ვხედავთ, რომ სწორედ სამღებროები არიან პროფ. ნათაძის ამ „ამღებარის“ კომპეტენციის გარეშე.

ამრიგად, ანანურის საბუთის — სულხან ყარახანაშვილის საიჯარო წიგნის პროფ. ნათაძისეული წაკითხვის მცდარობა, სადაც მკვლევარს რუსეთის გზის ბაჟები სამღებროს შინაარსად წარმოუდგენია, ყოვლად უდაო ხდება.

საერისთვოს საბუთებიდან ჩანს: საერისთვოში სამღებროებია, რუსეთის გზის ბაჟები და სხვა ბაჟები. ყველა ესენი იჯარით გაიცემიან ხოლმე ზოგჯერ ერთად, ზოგჯერ ცალკ-ცალკე: „სამღებროებიც და რუსეთის გზის ბაჟებიც“ ერთს კაცს აქვს იჯარით (საქ. სიძ. I, 190), ყარახანაშვილს იჯარით აქვს მხოლოდ ანანურის სამღებრო და ბაჟები (საბ.3432 ც. არქ.). იმავე ყარახანაშვილს მხოლოდ სამღებრო აქვს იჯარით (საბ. 2918 d. h.), მიკირტუმ სურგუნოვს და მის ამხანაგს მხოლოდ „დუშეთის სამღებრო, ბაჟები და იქაური ბეჭედი“ აუღიათ იჯარით (საბ. 3541 d. h.), დაბოლოს გვხვდება იჯარა მხოლოდ სამღებროებისა (საქ. სიძ. I, 190) და მხოლოდ ბაჟებისა (საბ. №...).

ბაბანა ჭილაშვილისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში არის ერთი ადგილი, რომლის მცდარად გაგება ადვილია ამიტომ მას განმარტება სჭირია.

„ამას გარდა ს ა მ ღ ე ბ რ ო ე ბ ი ს ბ ა ჟ თ ა ნ შენ საქმე არა
გექნება რა, იმიტომ რომ, რომელიც ჩვენის ბრძანებით მ ღ ე ბ ა რ ი
დ ა ჯ დ ე ბ ა, ბ ა ჟ ს ი ს ა ი ღ ე ბ ს და ესეც იქნება, რომ, ვინიცობა არის, სამღებროებიც და რუსეთის გზის ბაჟებიც ერთმა კაცმა იჯარით აიღოს და ჩვენ იმაში სარფა გვქონდეს, ბაჟები იმას დარჩებოდეს იმ წელიწადებში...“

აქედან ჩანს, რომ, მართალია, „რუსეთის გზის ბაჟებისაგან“, ვაჭრის ბაჟისა და ცხენის ბაჟისაგან განცალკევებით, მაგრამ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებულა „ს ა მ ღ ე ბ რ ო ს ბ ა ჟ ი“, რომელსაც თურმე „მღებარი“ „აიღებს“.

ჩვენ რომ ეხლა უკვე არ ვიცოდეთ, თუ რა არის გამორიცხული „სამღებროს ბაჟიდან“, მაშინ პროფ. ნათაძესთან ერთად შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ეს სამღებრო „застава“ არის და მღებარი კი „ამღებარი“.

მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს უკვე გამორიცხულია.
მაშ რაღა უნდა იყოს „სამღებროების ბაჟი“, რომელსაც „მღებარი“ იღებს.

თუ რა იყო ანანურის სამღებრო, ეს ჩვენ ზემოთ ვნახეთ, ხოლო თუ რა არის დუშეთის სამღებრო, ეს ჩანს თფილისის ნაცვალის დავთრიდან.

თბილისის ნაცვალი, მიკირტუმ სურგუნოვი სწერს: საბ. 3541 d. h. „ქკს უპბ, ამ წელს იანვრის ა. მე და მღებარი ოსეფამ დუშეთის სამღებრო, ბაჟი და იქაური ბეჭედი იჯარით ავიღევით მეფის ძე ვახტანგის სარქრიდამ სამოცდაათ თუმნად, ამაში მღებარი უჯამაგიროდ უნდა იყოს. რაც ლ ი ლ ა მიყიდნია და გამიგზავნია ამას ქვეით სახელობით სწერია, ვისაც წაუღია“. ღა მოყვანილია რვა შემთხვევა, როცა მიკირტუმ სურგუნოვი ჰყიდულობს ლ ი ლ ა ს და თავის ამხანაგს მღებარ ოსეფას უგზავნის დუშეთს. სულ უყიდია 14 თუმნის და ერთი მინალთუნის ლილა — წონით ორფუთნახევარი, ერთი ჩარექი და თვრამეტი სტილი. ამას გარდა მოყვანილია სამი შემთხვევა ნ ა ხ ე ვ ა რ ბ ა თ მ ნ ო ბ ი თ ლ ი ლ ი ს გაგზავნისა თითოჯერ.

ასე რომ ცხადია: დუშეთის სამღებრო სრულის დატვირთვით მომუშავე სახელოსნოა და არა საბაჟო — „საამღებრო“. (აქ მოხსენებული „ბაჟი და იქაური ბეჭედი“ რომ სხვა შემოსავლებია, ვგონებ, ყველა ზემოთქმულის შემდეგ სადაო აღარ უნდა იყოს). დუშეთის სამღებროსაგან დამოუკიდებლად „დუშეთის ბაჟის“ არსებობას ადასტურებს შემდეგი საბუთი[3]: „ბატონიშვილის არაგვის მპყრობელის ვახტანგის დიდათ იმედათ მისაჩენელო კობიაშვილო ლაზარევ! მერმე, დ უ შ ე თ ი ს ბ ა ჟ ი შენთვის მოგვიცია, აიღებდე. მომტანისას თუ წამღებისას ბაჟს აიღებდე უკლებრად და ჩვენს მოხელებს მოაბარებდე. რაც ახლა ასაღები ბაჟი იყოს, აიღევ და

3 სამწუხაროდ საბუთის № არ აღმინიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე გამომიგზავნე. კარგა გაფრთხილდი, მანდ ბაჟი არ დაგვეკარგოს რა. თებერვლის იბ, ქკს უმზ. ბეჭედი.

Verso. იმავე ხელით: „ლაზარე კობიაშვილი რომ მოვიდეს, ვინც მ ე ბ ა ჟ ე იქნებოდეს, იმას კარგა და რიგიანად შეეწეოდეს და სრულებით აიღებდეს და თუ მადრიელობას გავიგონებთ, მაგიერს წყალობას ჩვენ უზამთ. თიბათვის. ე. ქკს უჲზ“.

მაშ რაღა იყო „სამღებროების ბაჟი?“ მარტო გამოთქმაც კი „სამღებროების ბაჟი“ (აბანოს, არზის, საფეიქრო ორმოს, აბრეშუმის და სხვა ბაჟის გვერდით) საკმაოა იმისათვის, რომ ამ ტერმინში საბაჟო ვერ დავინახოთ.

დავით თარხნიშვილის მოწმობით სამღებროები სათავადოებიც იყო და სადედოფლოებიც და ეს თითქოს იმ თავითვე ასე იყო. ასე იყო თუ არა, ეს სადაოა, მაგრამ ის კი ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ საფეიქრო საქმიანობის ეს დარგი გლეხთათვის აკრძალული ყოფილა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, არც ეს უნდა გავიგოთ აბსოლუტურად.

ჩვეულებრივ სამღებრო ს ა ო ჯ ა ხ ო ქ ა რ ხ ა ნ ა იყო. ფეოდალის სახლში ის თითქო ოჯახის უფროსი ქალის საგამგეოს შეადგენდა. სამეფო დომენში ეს სამღებროები სადედოფლო იყო. დავით თარხნიშვილს თითქო ის სურს სთქვას, რომ ყველა სამღებროთა სადედოფლოდ აღიარება, ეს თავადების უფლებათა შელახვაა, ახალი წესის შემოღებაა, რომელიც იმ თავითვე თითქოს არ არსებობდა...

ეს მართლაც დასაშვებია, რომ ოდესმე სამღებროები სადედოფლო მონოპოლიის საგანს არ წარმოადგენდენ, მაგრამ არა მარტო სადედოფლო მონოპოლია, არამედ არავითარი მონოპოლია იმ თავითვე წარმოების ამ დარგზე არ უნდა არსებულიყო.

მეურნეობის განვითარების გარკვეულს საფეხურზე ფეოდალებს წარმოების ეს დარგი თავიანთ მონოპოლიად მიუტაცნიათ. დედოფალი — მეფე აქ გამონაკლისი არ ყოფილა. მისი ამ გზით საქმიანობა უფრო შორს წასულა და ეს მონოპოლიის უფლება მას ფეოდალებისათვის მიუტაცნია... (შეიძლება საქმე შემდეგ ნაირადაც წარმოვიდგინოთ: სამღებროები პირველად ყველა სადედოფლო მონოპოლია შეიქმნა და მხოლოდ შემდეგ წყალობის თუ შეწირვის სახით გადაეცემოდა ხოლმე საერო თუ საეკლესიო ფეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალებს. ამ შემთხვევაში სამღეგროთა მონოპოლია ერთობ ადრეულ ხანაში უნდა გვევარაუდნა).

გამოთქმას — „სამღებროების ბაჟი“ ჩვენ შეგვიძლია ორგვარი ასეთი ახსნა მოუძებნოთ:

1. სამღებროები, ოდესმე თავისუფალი სახელოსნოები, მონოპოლიის საგანი შეიქმნა. სამღებროსა და ღებვის საქმის მონოპოლია შეიძლებოდა ორი სახით განხორციელებულიყო: უკვე არსებულ „საოჯახო ქარხნებზე“ გადასახადი დაედოთ — ასეთ გადასახადს შეიძლებოდა მხოლოდ „სამღებროების ბაჟი“ სწოდებოდა, — 2. ან კიდევ ასეთი „ქარხნები“ აეკრძალათ და მათ მაგივრად მთელი ოლქისათვის ერთი სამღებრო შეექმნათ. ოლქის მოსახლეობა ვალდებული იყო ნართი თუ ნაქსოვი ასეთ სამღებროში მოეტანა შესაღებად, სადაც მას „ღებისათვის“ „საღებავის ფასს“ ახდევინებდნენ... სრულიად ბუნებრივია, ასეთ გადასახადს სახელი ისევ „სამღებროს ბაჟი“ შერჩენოდა. ასეთ გამოთქმის შენარჩუნებას ხელს უწყობდა ამ სამღებროთა მონოპოლიაც: „საღებავის ფასსაც“ ხომ სანახევროდ სავალდებულო გადასახადის სახე ჰქონდა შენარჩუნებული.

პროფ. ნათაძემ კამათის დროს თავისი დებულების სასარგებლოდ ერთი საბუთი მოიშველია, სადაც თურმე საუბარია „საიასაულო და სამღებრო ხარკის“ შესახებ. მე მოვძებნე ეს საბუთი. ის — № 903 d. h. — ლურჯ თაბახის ქაღალდის მეოთხედზედაა დაწერილი 1801 წელს, აპრილის 10-ს. საბუთი დედანია. სამწუხაროდ, არა ჩანს თუ ვისია.

იკითხება ასე: „ქ. სოლომონ, ჩემი მახტა რვა თუმანი თ(ა)ვის ს(ა)იასაულოთი, შვიდიც ხ(ა)ლვარი პური თ(ა)ვის ს(ა)იას(ა)ულოთი. თუმანზე ათი შაურია. ამას გარდა ხუთი თუმანიც მისესხებია, რომ იქს ოცდა ერთს თუმანს; ამ(ა)ს გარეით რომელიც არის განწესება კომლზე სამი აბაზი. სამღებროც, — სამღებროზედ სამ(ი) მილანთული და (ა)თი შ(ა)ური, — ეს უკლებლად შე უნდა აიღო. ყულის[4] მ(ი)ან(ა)რო. თუ ამაში დ(ა)აკლდა რამე, შენგან იქნება. კ(ა)რან(ა)ც[5] თან უნდა წამოიყვანო და გა(ა)რიგოთ და (ა)იღოთ.

---

[4] აქ პირველი ორი ასო ერთმანეთზე გადაბმულია. ამიტომ შეიძლება იკითხებოდეს „ყელის“-ც.

[5] დამწერი კ'ანისა ვ'ინის მოხაზულობას ერთი მეორესაგან არ არჩევს, ასე რომ შეიძლება წაიკითხოთ „ვ(ე)რან(ა)ც“.

კ(ა)რანას წ(ა)მოუყვ(ა)ნლობა არ იქნება; თუ აქ არ (წამო)ვა[6] ავი იქნება. აპრილის ი. ქკს. უპთ.

ქ. მომბარდა ხვთისოს ხელით (და) დათიას ხელით ხუთმეტი მილანთული. მისის კგ, ქკს უპთ[7]".

ეს საბუთი ყოფ. საისტორიო — საეთნოგრაფიო საზოგადოების საბუთთა კატალოგში შეტანილია შემდეგი სახით: „საიასაულო და სამღებრო ხარკის ნუსხა კომლზე ასაღები და ზედვე მიწერილი ცნობა ხუთმეტი მინალთუნის დავითისა და ხვთისიას ხელით მიბარების შესახებ".

ამ საბუთის შინაარსის გაგებაში პროფ. ნათაძე, ჩანს, სავსებით ეთანხმება ამ უწიგნურ ჩანაწერს. მასაც აქ „კომლზე დადებული სამღებრო (ე. ი. მ ღ ე ბ რ ი ს ა დ მ ი მ ი ს ა ც ე ბ ი) ხარკი" ჰგონია.

მაგრამ როგორღა უნდა გაგვეგო გამოთქმა: **სამღებროზედ** სამი მინალთუნი და ათი შაური"? საბაჟოზედ არის გადასახადი სამი მინალთუნი და ათი შაური? ეს ხომ აბსურდია!

ეხლა, წავიკითხოთ ერთი წამით „სამღებრო ხარკი" და ვიკითხოთ: რატომ აძლევენ ამ მებაჟეს ხარკს? როგორ შეიძლება ბაჟი იყოს „განწესებული კომლზე სამი აბაზი"? და თუ ეს მღებარი მებაჟე არ არის, რას იღებს??

არც ისეთი წაკითხვაა შესაძლებელი, რომელიც კომლზე სამ აბაზს სამღებრო საქმის ბანალიტეტის საზღაურს იგულისხმებდა. არც მღებარი — ოსტატი იგულისხმება ამ სამღებროში: ჩვენ არ ვიცით, რად უნდა იკრიფებოდეს მის სასარგებლოდ კომლზედ სამი აბაზი.

ყველა ამის გამო, ერთად ერთ სწორ წაკითხვად ჩვენ მიგვაჩნია ის, რომელსაც აქ წარმოვადგენთ:

„რომელიც არის განწესება კომლზედ სამი აბაზი", — ამას არავითარი კავშირი სამღებროსთან არ აქვს.

„სამღებროც (იგულისხმე: სამღებროს შემოსავალიც), — სამღებროზედ სამი მილანთუნი და ათი შაური".

ასე რომ ეს საბუთი მხოლოდ პროფ. ნათაძის დებულების წინააღმდეგ მოწმობს.

---

6 ეს სიტყვა დაზიანებულია: ქაღალდი ამოხეულია.
7 სასვენი ნიშნები ჩვენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვრჩა ორი საკითხი:: რით აიხსნება, რომ სამღებროს ლილახანაც ეწოდებოდა და რა მიზეზია, რომ ე-18 საუკუნეში, ისევე როგორც ამაზედ უწინაც, „ბაჟი“ და „მებაჟე“ ხშირად გვხვდება, ხოლო „საბაჟო“ კი შედარებით იშვიათად?

ლილახანა სპარსული ტერმინია (უნდა ყოფილიყო ნილახანა. „ნილ“ — ინდიგო; „ნილე“ = ლურჯი[8], შდრ. ჩვენში „მიწანელა“— ლურჯი მიწა, საღებავად ხმარობენ).

მზამზარეულად შემოვიდა ეს ტერმინი და „სამღებროს“ შეექმნა, თუ აქ შეიქმნა, ამის შესახებ ამ ხელად ვერას ვიტყვით. ხოლო კითხვაზე თუ: რატომ მოხდა, რომ სამღებროს ლილახანაც ეწოდა, შეგვიძლია ვუპასუხოთ: ამის მიზეზი ისაა, რომ მთავარი საღებავი საშუალება სამღებროში ლილა იყო.

ეს ჩანს, როგორც დუშეთის სამღებროს იჯარადარ მიკირტუმ სურგუნოვის ნუსხიდან, ისე მღებარ ბეგლარიანის მოწმობითაც. უკანასკნელის გადმოცემით: „საღებავი მასალის სამი მეოთხედი ლილით იღებებოდა. გლეხებს სხვა საღებავი არა სწამდათ. მომწვანო, ცისფერი, ლურჯი, მუქილურჯი, და მოშავო, — გარკვეულის ოსტატობით ყველა ამ ფერებს ვიღებდით ლილის საღებავისაგან. სხვა საღებავებს გაცილებით მცირეს ვხმარობდით“... ეს ცნობა მართალია მე-19 საუკუნისაა, მაგრამ თავის პირველ ნაწილში სავსებით გამოსაყენებელია მე-18 საუკუნისათვის.

უკანასკნელი საკითხი.

„საბაჟოს“ მოუხსენებლობა ბაჟის აკრების ხასიათით აიხსნება. ამა თუ იმ ადგილის (ქალაქის, გზის) ყოველგვარი ბაჟი ერთ გარკვეულ წერტილში კი არ აიღებოდა, არამედ მრავალ ადგილას. მაგალითად ტფილისში ბაჟს იღებდნენ ხუთივე კარში („კარის მებაჟე“), ყაფანში, ბაზარში.

იშვიათი იყო ისეთი ადგილი, რომლის შემოვლა შეუძლებელი ყოფილიყო და სადაც მებაჟეს დამჯდარს ბაჟი აეღო (ამიტომაც იყო. რომ „მღებარი“ შეიძლებოდა დამჯდარიყო და ემღებრა, ხოლო მებაჟე კი არა). ჩვეულებრივ მებაჟეები დადიოდნენ ხოლმე გარკვეულ რაიონში გზებზე და გამვლელ-გამომვლელ ვაჭრებს ბაჟს ახდევინებდნენ და საამისო საბუთს აძლევდენ. (სადაც ისეთი ყელი იყო, რომ მისი შემოვლა შეუძლებელი იყო, ასეთ

---

[8] ლილას უკვე ვეფხისტყაოსანი ცნობს: „ულურჯესი ლილისა“.

ადგილებს კიდეც ეწოდებოდათ „ს ა ბ ა ჟ ო“ თუ „საზვერე“ (იხ. Акты I, 20.). „რაც ქალაქიდამე, გინა სომხით-საბარათიანოდამე, ანუ თრიალეთიდამე და ან კახეთიდამე ქართლით გაღმა-გამოღმა მგზავრმა შეიაროს და ანუ მზოვრეთსა და მას ქვეშეთ თრიალეთიდამე ჩამოიაროს, რაც გორის მებაჟემ ბაჟი აიღოს, მესამედს ბატონის კ-ზის მებაჟეს ნუ დააკლებს.

მებაჟენი გორისა და ბატონის კათალიკოზისა ერთად უნდა იარონ“...

ვფიქრობთ, ეხლა გასაგებია, რატომ იშვიათობს ტერმინი „საბაჟო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძიებლები

გეოგრაფიულ სახელთა

ავარა 288
ადარბადაგანი 262, 264
ადერბაიჯანი 104, 111, 129, 147, 173, 174, 179, 264
ავსტრია 188
აზია 186
აზოვი 32
აზოვ-დარუბანდის გზა 60, 61
ათონი 196, 209 212, 216
ალავერდი 89, 326
ალაზანი 42, 182
ალბანია 265
ალგეთი 149
ამიერკავკასია 7, 11, 12, 24, 25, 26, 27, 28, 29, 31, 33, 36, 43, 44, 49, 60, 62, 63 (დას.), 67, 70, 71, 75, 77, 80, 87, 90, 96, 102, 104, 112, 113, 120, 121, 124, 125, 126, 129, 131, 132, 133 (აღმ.), 139. 140, 142, 147, 148, 149, 165, 169, 170, 175, 176, 180, 189, 191, 192, 194, 294, 300
ანანური 317, 343, 344, 345, 349
ანაპა 194
ანატოლია 174
არაგვი 19
არაგვის გზა 73
არაგვის საერისთავო 19,103, 335, 336, 337, 339
არაგვის ხევი 33
არაგვის ხეობა 336
არარატი 264
არბო 317, 323, 341
არდაველი 145, 146, 173
არეში 144
არზრუმი 30, 129, 145, 161, 172, 173, 174, 176, 177, 178, 179, 180, 181, 183, 186, 187, 194, 195
არტანუჯი 276
ასტრახანი 10, 11, 16, 25, 27, 30, 31, 38, 39, 41, 47, 50, 59, 82, 94, 103, 105, 143, 155, 156, 157,
Астрахань 56, 152, 152 სქ., 153 სქ., 154, 159
ატენი 260
აფხაზეთი 122, 265, 266, 267, 249
აღმოსავლეთ ამიერ-კავკასია 99
აღსუ, მდ. 144
აღჯაყალა 127, 150
აწყური 186, 187
აჭარა 171
ახალგორი 317
Ахалгори 342
ახალქალაქი 187, 293 (თრიალეთის), 317 318 (ქართლის), 329 (ქართლის), 323, 343
ახალციხე 166, 171, 172, 173, 174, 176, 177, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190, 192, 193, 194, 195, 301 სქ.
ახატანი 283
ახაშენი 317
ახლო აღმოსავლეთი 27, 31, 33, 45, 93, 104, 124
ახლობელი აღმოსავლეთი 300
ახტალა 184, 326

ბათომი 173, 174
ბაიაზეთი 178
Баязет 191
ბამბაკი 330
ბარდავი 262, 264
ბასიანი 129
ბაფრა 174
ბაქო 29, 32, 33, 35, 42 სქ., 66, 83, 102, 114, 117
ბაქო-დარუბანდი 49, 60, 61, 132
ბაქო-შამახია-დარუბანდი 62
ბაღდადი 194
ბედია 253, 254
ბეკამი 317, 323
ბელაქნის წყალი 146
ბერდაძორი 283
ბესარაბია 191
ბიზანტია 46, 112, 269
ბოდბე 317, 340
ბოინაკი 96, 117
ბოლგარეთი 180
ბოლნისი 260
ბორჩალო 294
ბოსნია 175

განჯა 31, 39, 88, 93, 99, 111, 118, 121, 130, 149, 162, 176, 177, 178, 195, 293
განჯა-ყარაბაღი 29, 30, 133
გატეხილი ხიდი 317
გელათი 253
გერმანია 79
გვერდისუბანი 332
გილანი 40, 62, 84, 143
გორი 301 სქ., 340, 341, 350
გუმიშხანე 181
გურგანჯი 10, 62
გურია 122, 171
გურჯისტანი 111, 112, 124, 296
გრემი 36, 37, 91, 119, 144
Грузинская земля 14 სქ., 151
Грузия 12 სქ., 189

Дадианская земля 151
დარიალი 21, 91, 105, 187
დარუბანდი 10, 13, 16, 29, 32, 33, 35 36, 38, 39, 41, 42, 42 სქ., 45, 66, 83, 88, 99, 102, 114, 116, 117
დარუბანდის კარები 29, 42
დარუბანდის სახანო 13
დაღისტანი 14, 15, 16, 32, 35, 36, 39, 45, 52, 57 სქ., 67, 73, 96, 99, 100, 101, 103, 132 სქ., 135, 185
დასავლეთ ევროპა 33, 65, 300
დასავლეთ საქართველო 43
დებედა 127
დებედას ხეობა 149, 150
დვინი 264
დმანისი 149, 150, 317, 333
დონი 11, 32
დუშეთი 317, 320, 344, 315, 346, 350

ეგვიპტე 186
Египет 187, 189
ევროპა 40, 77, 84 (დას.), 109, 110, 301, 303
ენისელი 311
ერანი 12, 14, 17 სქ., 18, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 33, 34, 35, 36, 37, 38, 40, 44, 45, 47, 49, 50, 55, 57 სქ., 58, 60, 61, 62, 63, 64, 67, 69, 70, 71, 75, 77, 80, 82, 83, 84, 85, 87, 90, 91, 92, 96, 99, 101, 102, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 117, 118, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133 სქ., 134, სქ., 135, 136, 137, სქ., 138, 139, 142, 143, 145, 146, 148, 149, 150, 166, 167, 170, 173, 176, 192, 193, 194, 294 სქ., 297, 298, 299
ერაყი 79
ერევანი 88, 104, 105, 113, 114, 126, 128, 129, 130, 131, 135 სქ., 168, 172, 177
ერეთი 288
ესპანეთი 41
ეჩმიაძინი 183, 186

ვალე 277
ვანი 130, 180
Ван 191
ვასფურაკანი 264, 269
ვახანი 183, 184, 317
ვოლგა 11
ვოლგისპირეთი 81
ვსესვიატსკოე (სესენკა) 292

ზადკარეკი 283
Закавказье 125
ზეგანი 240
ზეგანნი 283
ზემო იმერეთი 333
ზემო ქართლი 146, 315
ზენადრისი 333
ზოვრეთი 317, 318
ზიარი 283

თავრიზი 79, 88, 104, 114, 130, 147, 169, 172, 173,
თბილისი 22, 114, 150, 161, 177, 182, 183, 292, 346
თბილისის ციხე 150
თელათგორი 317, 324 329
თელავი 317
თერგი 10 (მდ.), 11 (მდ.), 16, 18, 26, 27, 30, 31, 32, 34, 50, 56, 60, 61, 71, 72, 73, 81, 82, 85, 92, 96, 98, 100, 101, 102, 103, 104, 105, 118, 119, 141, 155, 156, 157
თერგის ციხე 17 სქ., 18, 19, 23, 25, 27, 28, 29, 30, 32, 35, 47, 48, 49, 54, 55, 73, 74, 141, 156
თერგ-კახეთის გზა 20, 31 სქ., 45, 50, 52, 54, 55, 56, 59, 71, 78
Терк 19, 58, 152 სქ., 153 სქ., 154, 157
Терский город 56, 159
თეძი 284
თვალი 317
თორღვა 134
თრიალეთი 350
თურანი 83
Турция 165
თფილისი 266, 270, 272
თხოთი 260

იასა 191
იერუსალიმი 45, 311
Иверская земля 14 სქ., 19, 35, 44, 55, 56, 83, 131 სქ., 151, 153, 154, 157, 158, 159
იმერეთი 119, 122, 166, 171, 172, 173, 174, 175, 180, 185, 187, 192, 293, 297, 344
იმერეთის სამეფო 343
იმიერკავკასია 10, 11, 13, 16, 17, 20, 21, 26, 27, 28, 29, 30, 32 (აღმ.), 34, 35, 36, 41, 44, 49, 60, 71, 73, 79, 80, 106, 141, 142, 167, 170, 186, 193
ინგლისი 41, 185, 190, 300
ისპაანი 110, 173
იფნობი 333
იშხანი 277

კავკასია 13, 14, 19, 22, 24, 27, 38, 40, 49, 58, 61, 63, 67, 71, 73, 79, 99, 100, 104, 105, 112, 114, 125, 142, 143, 145, 166, 175, 186, 193, 299
Кавказ 191
კავკასიონის მთები 141
კაკი 283
კაკ-ენისელი 127, 128
Казаныч 14 სქ.
კალაური 317
კასპიის ზღვა 33
კატეხი 283
კაფატანა 10
კახეთი 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 51, სქ., 52, 53, 54, 55, 57, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 80, 81, 83, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120,

121, 122, 123, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 182, 237, 262, 263, 264, 265, 267, 283, 293, 296, 317, 324, 340, 341, 350
კახეთ-თერგის გზა 18, 34, 39, 51
კახეთის გზა 27
კახეთ-ქიზიყი 324
კესტორი 283
კლარჯეთი 283
კოისუ 38, 39, 52, 72, 82, 82, 84, 85, 103, 104, 119, 145
კოისუს ხეობა 34
კოლა 283
კონსტანტინეპოლი 41, 45, 79, 277
კრწანისი 194
კუმურდო 254
კურბითი 221, 283, 287

ლაგოდეხი 218
ლაგოდეჯი 219, 283
ლარსი 106
ლაშთხვერი 245
ლეკეთი 121, 135
ლენინგრადი 161, 162, 290
ლიხთიმერეთი 116
ლორე 149, 150
ლორე-ბამბაკი 323
ლორის ციხე 127

მაზანდარანი 84
მანავი 317
მანგლისი 260, 275
მარაბდა 296
მარნეული 149
მარტყოფი 294, 317, 342
მაშნარი 317
მახაროანი (მახაროვანი) 218 სქ.,
მახაროვნი 288
მახარონი 283
მესტია 246, 247
Меретские земли 153 სქ.
მექა 185
მესხეთი 93, 112, 245
მეჯვრისხევი 317, 341
Меджврисхеви 340
მზოვრეთი 350
მთიულეთი 19, 21, 106
მიტრაშენი 317, 333
მიჯნაძორი 276
მოზდოკი 179
მოსკოვი 10, 11, 18, 19, 20, 22, 23, 24, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51 სქ., 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 69, 70, 71, 72, 73, 74, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 90, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 112, 113, 115, 116, 120, 121, 124, 125, 126, 128, 130, 131, 132, 133 სქ., 135, 136, 139, 140, 141, 142, 143, 148, 149, 161, 162, 163, 167, 290, 291, 292, 296
მოსკოვის სახელმწიფო 19
Москва 58, 159
მოქვი 254
მურჯახეთი 312
მუღანი 193
მცირე აზია 79
მცხეთა 86, 89, 217, 218, 231, 235, 238, 241, 244, 248, 250, 252, 255, 259, 260, 261, 262, 263, 265, 267, 268, 270, 275, 278, 280, 284, 294, 333

ნადარბაზევი 291, სქ., 292 სქ.
ნაქალაქევი 283
ნაღუარევი 283
ნახჭევანი 114, 129, 130, 172, 186
ნეაპოლი 302
ნიკორწმიდა 275
ნინოწმინდა 317
ნიუნი 94
ნოსორნა 283, 288
ნოსტე 329

ოპიზა 276
ორთაჯ 283
ორომაშენი 250

ოროტანი 283
ოსმალეთი 10, 11, 12, 13, 14, 18, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 47, 48, 49, 50, 55, 57, 58, 60, 61, 62, 63, 64, 65, 67, 70, 71, 73, 75, 76, 77, 78, 79, 80, 82, 84, 87, 88, 90, 92, 93, 96, 99, 101, 102, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 117, 118, 120, 122, 123, 124, 125, 126, 128, 130, 131, 132, 135, 139, 140, 146, 148, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 184, 185, 186, 187, 188, 190, 191, 192, 193, 194, 195, 197, 198, 299, 300
ოტათლოანი 284
ოჩაკოვი 190

პალავრა 245, 283, 288
პატარძეული 342
პეტერბურგი 75 სქ., 161, 176, 193, 304
პრესნა 296, 303, 306
პრუსია 185, 189
Персия 12 სქ., 189

ჟინვანი 19, 36

რაჭა 257
„რეზანის მხარე“ 63
რომი 40, 301
რუისი
რუსეთი 7, 8, 10, 11, 12, 13, 18, 20, 23, 24, 25, 28, 29, 30, 31, 33, 37, 38, 40, 43, 44, 45, 48, 49, 53 სქ., 54, 55, 58, 60, 61, 62, 63, 64, 66, 67, 68, 69, 70, 72, 74, 75, 77, 78, 80, 82, 83, 84, 85, 90, 92, 93, 95, 96, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 106, 112, 113, 116, 117, 118, 120, 121, 123, 124, 125, 126, 132, 136, 137 სქ., 139, 140, 141, 142, 144, 145, 148, 151, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 172, 173, 175, 177, 178, 179, 181, 184, 185, 186, 188, 189, 190, 191, 192, 193, 194, 195, 300, 317, 335, 337, 342, 344
Россия 12 სქ., 165
Русь 55, 153, 154, 158

საბარათაშვილო 315, 316
საბარათიანო 293
„საბერძნეთი“ 98
საბერძნეთი 212, 215
საბოდბლო 340
სადგერი 317, 333
საერისთავო 21 სქ.
სათარხნო 341
საკოეთი 283
სამეგრელო 122, 297
სამცხე 30, 106 ,112, 116
სამცხე-საათაბაგო 296
სამთავისი 317, 318
სამთავრო 333
სანკტ. პეტერბურღი 307
სარატოვი 142
საფრანგეთი 185, 187, 188, 189, 190, 193, 298, 299, 300, 308
საქართველო 6, 7, 8, 10, 11, 12, 16, 17, 18 სქ., 20 სქ., 21 სქ., 22, 34, 35, 36, 41, 43, 44, 45, 46, 57 სქ., 62, 63, 66, 67, 71, 75, 77, 78, 83, 90, 96, 96 (აღმ.), 98, 98 (დას.), 99, 102, 103, 111, 111 (აღმ.), 112, 113, 122, 123, 124, 125, 126, 128, 133 სქ., 134 სქ., 135, 150, 151 სქ. 161, 162, 163, 164, 169, 170, 171, 173, 174, 175, 176, 178, 180, 181, 182, 185, 187, 189, 191, 192, 193, 194, 195, 197, 264, 265, 291 სქ., 296, 297, 298, 299, 300, 301, 302, 304, 307, 309 310, 326, 330, 342.
„საქართველოები“ 44, 45, 62
საჩაჩნო 19
საჩაჩნო-დაღესტანი 167
საჩხერე 317
საშამხლო 11, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 26, 30, 31 სქ., 32, 33, 34, 35, 36, 40, 42, 43, 45, 47, 48, 49, 50,

51, 52 სქ., 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 66, 67, 71, 72, 78, 79, 80, 83, 84, 85, 90, 96, 98, 99, 100, 101, 102, 103, 105, 116, 119, 120, 132, 135, 140, 141, 148
საშამხლო-დაღისტანი 26, 33, 55, 59, 137 სქ. 140
საწერეთლო 317
სვანეთი 240
სივნიეთი 269
სომხეთი 114, 129, 262, 264, 265, 269
სომხითი 104, 183, 315
სომხით-საბარათიანო 323, 350
სოფია 180
სოხუმი 173
სპარსეთი 63, 172, 192, 265, 291 სქ.,
სტამბოლი 30, 40, 76, 110, 121, 166, 167, 169, 170, 171, 172, 174, 177, 178, 179, 181, 183, 185, 186, 192, 193
სუნჯა 19, 47, 119
სუნჯა-თერგი 53 სქ.
სუნჯა-თერგის ხერთვისი 27
სურამი 177, 183, 323, 330, 340
სუჯაკი 173, 174
სხლოანი, 283
სხლობანი 283

ტაო 283
ტარკალი 83, 119
ტარკი 16, 19, 42, 50, 51, 52, 56, 70, 83, 96, 117, 119, 120, 141, 145
Тарки 54
ტაშისკარი 178, 179
ტიუმენი 16, 19, 38, 39
ტიუმენის ციხე 38
ტონთი 288
ტონთოდ 283
ტრაპიზონი 171, 173, 176, 178, 186
ტრაპიზონის ვილაიეთი 176
ტუზლუკი 96, 119
ტფილისი 192, 236, 267, 268. 271, 273, 298, 300, 301, 312, 316, 317, 320, 321, 322, 324, 334, 340, 341, 342

უნგრეთ-ვლახეთი 79
ურბნისი 273, 274
ურმიის ტბა 147
უჯარმო 260

ფამბაკი 317
ფანავრა 283
ფოთი 173
ფოკანი 247, 248

ქაირო 172
ქარელი 317
ქართლი 12, 17 სქ., 22, 29, 72, 77, 88, 89, 99, 100, 104, 106, 107, 111, 112, 114, 115, 116, 119, 122, 123, 125, 126, 127, 128, 132, სქ., 140, 141, 150, 166, 176, 177, 220, 221, 245, 249, 265, 266, 267, 280, 283, 294, 296, 303, 315, 316, 324, 334, 350
ქართლ-კახეთი 30, 75 სქ., 172, 183, 297, 324
ქაშანი 67
ქიაფირყუმუხი 16, 19,
ქიზიყი144, 313, 317, 340, 341
ქუთათისი 253
ქუთაისი 181, 254, 317, 344
Кутаис 344
ქურთისტანი 84

ყაბარდო 73, 78, 98, 105, 106, 167, 193
ყაბარდო-ჩერქეზეთი 32 63
Кабардинские земли 83
ყაზანი 10, 27
ყაზანიჩი 16, 19
ყაზვინი 40, 67, 68, 79, 110, 121
ყაზიყუმუხი 16, 19, 36, 52, 56, 71, 102,
Казыкумук 14 სქ.
ყაიყული 315, 316, 323
ყარაბაღი 111, 148, 149, 170
ყარადაღი 180
ყარსი 129, 174, 176, 180, 183, 194, 326,
ყელქცეული 332
ყვარელი 317

ყინცუისი 283
ყირიმი 10, 11, 27, 28, 30, 35, 36, 49, 63, 82, 167, 170, 196
Крым 189
ყირიმ-დარუბანდის გზა 28, 30, 32, 33,
ყირიმ-ოსმალეთი 28, 29
ყირიმ-საშამხლოს გზა 30
ყუბანი 190, 191
ყუმუხი 71
Кумыцкая земля 53

შავი ზღვა 175
შავშეთი 283
შამახია 10, 32, 35, 39, 80, 83, 88, 102, 103, 105, 114, 117, 118, 121, 130, 132, 140, 144, 145
შამშადილი 330
შამხლის სამთავრო 13
შარვანი 11, 13, 14, 28, 32, 35, 36, 39, 45, 49, 60, 64, 67, 83, 84, 96, 99, 105, 111, 112, 117, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 141, 144, 175
შარვან-დარუბანდის პროვინცია 30
შაქი 144
შაშიანი 317
შვეცია 193
შიდარი 283
შინდები 283
შირაზი 178
შირვანი 16, 29, 33, 293, 341
შირვან-გილანი 33
შირვან-ყარაბაღი 62
შორაგალის მაზრა 317
შულავერი 183
შუშა 183

ჩათახი 326
ჩაქვი 171
ჩერქეზეთი 98
ჩერქეზთა ქვეყანა 19
ჩოჩეთი 283

ცაიში 274, 275
ციხედიდი 284
ცუქითი 283
ცხინვალი 317, 340

ძაღლის კევი 283,
ძეგამი 16, 105, 118, 119, 121, 131, 134, 135, 136, 137, 146
ძეგვი 317

წალკა 330
წახური 19
Цакур, город 14 სქ.

ჭალა 332
ჭარი 183, 141
ჭოეთის ციხე 89
ჭყონდიდი 246, 254, 275

ხადა 106
ხევი 19, 21, 73
ხევ-ყაბარდოს გზა 53 სქ.
ხეფინისხევი 317, 323, 340
ხოი 169, 171, 173, 175, 178, 179, 183
ხუნძახი 19, 50

ჯავახეთი 183, 186, 247, 248, 283, 312
ჯიმითი 317

ჰერეთი 219, 220, 245, 262, 283,
ჰერეთ-კახეთი 235, 237, 244, 245
ჰოლანდია 300

პირთა სახელები

აბასი 262
აბას სუმბატის-ძე
[აბაშიძე] დავითი 340
აბაშიძე ევგენ 331, 332, 340
[აბაშიძე] პაატა 340
აბაშიძე ქაიხოსრო 171, 173, 174, 175, 186, 187
Аббас шах 66
აბდალ-ლატიფ-ფაშა 150.
აბდულა ბუხარელი 84

აბელ (თავადი) 137
აბელ (რუსეთ. ეპისკ. ძმა) 138
აბულაძე ილია 70 სქ.
აბულკასიმი 263, 267, 268, 269, 270
აბულკასიმ იუსუფი 265
აბულ მოზაფ ფირ ფათჰი 263
ადარნასე, ქართველთა მეფე 268
ადარნერსე 269
ავალიშვილი გიორგი 292
ავალიშვილი ზ. 8 სქ.
ავაქა დიღცნუტელი 315
ავთანდილა 331
აზნაუროვი 177
აიტეკ-მურზა 73, 106
ალავერდი ხანი 114
ალექსანდრა, ვახუშტის ასული 293
ალექსანდრე ბაქარის-ძე 169
ალექსანდრე გიორგის-ძე 293
ალექსანდრე დიდი 275, 277
ალექსანდრე იმერთა მეფე 153 სქ.
ალექსანდრე კახთა მეფე 12, 14, 15 სქ. 16, 17, 18, 20. 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 30, 31, 32, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 63, 64, 65, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 85, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 111, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 146, 149, 151, 152 სქ., 152, 153, 155, 156, 157
Александр царь, 54, 55, 153, 154, 157, 158, 159
ალი 111
ალი ამირა 238, 244, 245, 283
ალი მურად-ხანი 177
ალი-ყული სულტანი, ყორჩიბაში 67
ალი-ყული-ხან შამლუ 150
ალი-ხან მოვაფეკ 138
ალი-ხან სულტანი შამსედინლუ 146
ალკას ბატონი აიტეკ მურზას ძმა 73
ალკას მურზა ჩერქეზი 48
ალკას, ჩერქეზ ბატონი 21
Алкас, князь 19
ალმასხან ერეკლეს ძე 186
ამილახვარი ალექსანდრე 169
[ამილახვარი] გიორგი 312
ამილახორი პაპუნა 146
ამირანაშვილი შ. 309
ამირგუნა-ხანი 130, 131
ამონა მონაზონი 276
ანდერმანი 21
ანდი-ბეგი 23, 58, 59, 70, 83, 84, 85
ანდი-ბეგი ხუდაბანდა შაჰის ელჩი 48
ანდრია მონაზონი 276
ანდრია სალოსი 282
ანა, დედაბერი 106
ანა, ვახტ. ბატ. ას. 293 სქ.
ანა, იმპერატორი 294, 295
ანნა, ამილახვრის ასული 311
ანტონი, მელქისედეკის დედი ძმა 282
ანტონ კზი 248
ანტონოვი რუს. ელჩი, 37
ანტონოვი ტორხ მდივანი 156
ანტონ შერლი 79
ანჩაბაძე ზ. 162
არსაკისძე 251, 252
არსენ ბულმაისის ძე კ~ზი 250
არსენ (მამა) 216
არჩილ (მეფე) 123, 297
არწრუნი თომა 264, 265
ასოღიკი 262, 263
აფშინი აბუსაჯის ძე 263
აღა-მაჰმად ხანი 192, 193, 194, 195
აშოტი კურაპალატი 276
აშოტ სუმბატის ძე 262
აჯი ხოსროვი 51 სქ., 61, 65, 67
აჰმად-ხანი, გილანელი 67

ბაგრატ ბატონიშვილი 144, 148
ბაგრატ გიორგი XI-ის ძე 302
ბაგრატ გიორგი I-ის ძმა 265
ბაგრატ იესეს ძმა, ბატონიშვილი 143
ბაგრატ იმერეთის მეფე 123

ბაგრატ იმერთა მეფე (XVI ს.) 275
ბაგრატ კუროპალატი 231, 232, 235, 238, 240, 247, 282, 283
ბაგრატ IV 235, 236, 241, 242, 245, 248, 253, 254, 271, 276, 285, 286
ბაგრატ III 235, 238, 244, 245, 252, 253, 278
ბაინდურ, არაგვის ერისთავის ნუგზარის შვილი 107
ბარამიძე ალ. 295 სქ.
Бартольд 263
ბასილი ბერძენთა მეფე 220, 281, 282, 283, 288
ბაქარ ვახტანგის ძე 293, 304
ბაქარ მეფე 292
ბაქრაძე დ. 217, 230, 231, 232, 233, 234, 237, 240, 276, 290 სქ., 291 სქ., 293 სქ.
Бакрадзе 231, 240, 245
ბებურ [ვაჩნაძე] 147
ბეგ-მირზა, შაჰის მოციქული 69
ბეგლარიანი, მღებარი 312, 326, 350
ბევრელი 248
ბეზბოროდკო 189, 194
ბელოკუროვი 60 სქ., 61 სქ., 64 სქ., 65, 71, 72 სქ., 73 სქ., 74 სქ., 75 სქ., 76 სქ., 77, 78, 79 სქ., 130 სქ., 131 სქ., 134 სქ., 137 სქ., 138 სქ., 139, 140 სქ., 141 სქ., 142 სქ., 143, 144 სქ., 145 სქ., 151 სქ., 152 სქ., 153 სქ., 157 სქ.
Белокуров 8 სქ., 11 სქ., 12 სქ., 13 სქ., 14 სქ, 15 სქ., 17 სქ., 18 სქ., 19, 20 სქ., 21 სქ., 22, 23, 25 სქ., 26 სქ., 27, 28, 30, 31 სქ., 35, 36, 37 სქ., 40 სქ., 41 სქ., 42 სქ., 43 სქ., 45 სქ., 46 სქ., 47 სქ., 48, 49, 50, 51 სქ., 52 სქ., 53, 54, 55, 56, 57 სქ. 80, 81, 82, 85, 86, 88, 89, 92, 93, 94, 95, 96, 97, 100. 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 13—118, 120, 121, 123, 126, 127
ბერნარდეს (პატრი) 301
ბერძენიშვილი ნიკ. 162, 293 სქ.
ბირიბეი, ირანის ელჩი 76
ბირკინი 18, 20, 25 სქ., 30, 43, 155
Биркин Родивон 158, 159
ბოდბელი 340
ბორის გოდუნოვი 46, 50, 51, 51 სქ., 53, 58, 65, 78, 79, 81, 84, 85, 90, 91, 93, 94, 95, 97, 98, 101, 114, 115, 124, 152 სქ.,
ბორის მეფე 79, 80, 130, 131
ბორის ხელმწიფე 140
ბოჭორიძე გ. 257
ბროსე 161, 217, 230, 231, 234, 236, 237, 240, 245, 246, 260, 261, 264, 265, 273, 277, 290 სქ., 291 სქ., 295, 302
Броссе М. 8 სქ., 151
Brosset 230, 264, 274, 275, 277
ბულგაკოვი 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190
ბურნაშოვი 182, 187, 179
ბუტურლინი 97, 100, 105, 114, 119, 120, 121, 132, 135, 139 სქ., 140, 141, 145, 148
Бутков 295 სქ.

გაგიკ დავითის ძე კახთა მეფე 236, 238
გაგიკ ვასპურაკანელი 264
გაგიკი 264
გაგიკ ძე დავითისა 237, 238
[გარსევანიშვილი] გიორგი 291
გარსევანიშვილი იესე 291
გარსევანის-ძე გიორგი 292
გვარამ მამფალი 276
გიორგაძე ბეჟან 162
გიორგი ათონელი 213
გიორგი ალექსანდრე მეფის შვილი, 21, 38, 87, 88, 89, 91, 92, 93, 97, 98, 102, 103, 105, 155
Георгий 153
გიორგი [ამილახვარი] 312
გიორგი აფხაზთა მეფე 262, 275
გიორგი ბატონიშვილი 51, 53, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 125, 126, 128, 129, 130, 132, 134, 135, 136, 137, 138, 139
გიორგი ბეი 175

გიორგი (გურგინა ენაკოლოფაშვილი?) 168
გიორგი იმერეთის მეფე 123
გიორგი XI 297, 311
გიორგი XII 322
გიორგი II 253
გიორგი მეფე 141, 146, 150
გიორგი მეფე (X) 140
გიორგი მთაწმინდელი 216, 226
გიორგი ოლთისარი 209, 216,
გიორგი I 235, 254, 265, 271
გიორგი უფლისწული 50
გიორგი ქართლის მეფე 98, 104, 106, 107, 114, 115, 116, 122, 123, 127
გიორგი ხუცეს მონაზონი 198
გოდუნოვი 15 სქ., 51, 52, 68
გოზალიშვილი გ. 248, 266
გორდეევი დ. 251, 256
გორჯასპი 21,
Горджасп 153
გურამ, ძე აშოტისი 276
გუგუშვილი პ. 344 სქ.
გურგენ დიდი 268
გურიელი 56, 180
გრიგოლ 212
გრიგოლ (მამა) 208, 209, 210, 216
გრიგოლ ღვთისმეტყველი 243
გრიგოლ ხანთელი 277

დაღიანი 56, 116, 180
დავით (ალ. მეფის შვილი) 21, 155
დავით არჩილის ძე 180, 185, 186, 187,
დავით აღმაშენებელი 226, 253
დავით ბატონიშვილი 81, 86, 88, 116, 166, 329
დავით გიორგის ძე 174, 180, 185
დავით ვახუშტი ბატ. ძე 293 სქ.
დავით იმამყულიხანი 342
დავით იმერეთის მეფე 166
დავით (იმერეთის მეფე) 167, 173, 177, 182
დავით, კახეთის მეფე 86, 89, 90, 91, 92, 94, 97
დავით კურაპალატი 271
დავით მეფე 129, 148, 180, 181, 186
დავით სარდალ-მოურავი 311
დავით სოსლანი 314
დავით ტბელიძე 143
დავით ულუ 266
დავით ქართლის მეფე 123
Дивид (ალ. მეფის ძე) 153, 158
Давит (сановник) 153
დათია 349
დათუნა ქსნის ერისთავი 293
დანილოვი 11, 12, 12 სქ., 18, 20
დარეჯან დედოფალი 321, 322, 331,341
დარია ვახ. ბატ. ასული 293 სქ.
დაღალისონელი (იხ. მიქელ დაღალისონელი) 209, 210
დედის იმედი 277
დემეტრე დავითის ძე 247
დინარ დედოფალი 262
Диц 189
დომენტი ვახ. ბატ. ძე 293 სქ.
ღონდუა ვ. 162

ეგნატიოს 197
ედილი ზ. 8 სქ.,
ევსტათი მცხეთელი 261
ეზრა 210
ეკატერინე II 124, 125, 168, 171, 172, 176, 179, 184, 190
ელენე, გიორგი მეფის ასული 140
ელენე, თეიმურაზ ბატონიშვილის და 114, 115
ელისაბედ ხელმწიფე 295
ელისე კზი 264
ელისე ტფილელი 197
Елчин Федот, дьяк 151
ერეკლე 21, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 185, 186, 187, 190, 193, 195
ერეკლე ბატონიშვილი, ალექსანდრეს ძე 31 სქ., 37, 38, 87, 155
ერეკლე ბატონიშვილი, თეიმურაზის ძე 298
ერეკლე II 35, 37 სქ., 75 სქ., 123, 124, 125, 334

ეფთვიმე (მთაწმინდელი) 198, 199, 201, 204, 205, 206, 226, 229
ეფთჳმე მთაწმინდელი 209, 210, 211, 213, 214, 216

ვასილი მეფე 142, 143
ვასილ შუისკი 141
ვასილჩიკოვი 23, 29, 48, 49
ვახტანგ არაგვის მფლობელი 344
ვახტანგ ბატონიშვილი 319
ვახტანგ გურგასალი 251
ვახტანგ VI 35, 123, 124, 125, 170, 292, 296, 316
ვახტანგ მეფე (VI) 29, 291 სქ., 292, 294, 302
ვახტანგ V 123
ვახუშტი 17 სქ., 18 სქ., 27, 236, 237, 251, 276, 290, 291, 293, 294, 295, 296, 302, 303, 304, 305, 306, 307, 308
ვაჩე გუარამის ძე 250
ვაჩნაძე ყაფლან 14 სქ., 36
ველი-ხანი, ირანის ელჩი 76
Веселовский Н. И. 12 სქ., 22, 23, 25, 29, 33, 35, 37 სქ., 49, 51 სქ., 52 სქ., 58, 60 სქ., 61 სქ., 62, 64 სქ., 65, 66, 67, 68, 69, 75 სქ., 76 სქ,. 83, 84, 85, 102, 165

ზაალი 21
За [а] л 153
ზაქარია ნეკრესელი 137
ზასეკინი 47, 85, 101, 102
Зевакин Е. С. 52 სქ., 141 სქ.
ზენგიჩი 114
ზვენიგოროდსკი 37, 58, 59, 63, 65, 67, 68, 69, 156
Звенигородский С. Г. 158
Зирохов оглдуми бек 179
ზოსიმე 210, 212
ზოსიმე გლახაკი

თაგდურ ბეი 185
თამაზ 147
თამაზ, ერანის შაჰი 181
თამაზი, ქართველი თავადი 62
თამაზ-ყული-ბეგი
თამარაშვილი მ. 292 სქ., 299 სქ., 301 სქ., 302 სქ.
თარსა (ალექს. მეფის მდივანი) 17 სქ., 38, 39, 40, 41, 42
თარხნიშვილი დავით 318, 329, 343, 347
თარხნიშვილი ლუარსაბ 329
თაფლაჲსძე 202, 203, 204, 205, 206
თაყაიშვილი ე. 261, 273, 274, 275
Такайшвили 275
თედორე მეფე 18, 19, 20, 21, 32, 47, 52, 63, 65, 71, 78, 152, 155, 157
თედორე გოდუნოვი 141
თედორე ივანეს ძე 28, 151
თედორე რუსთა მეფე 12
თევდორე ბორისის ძე 99
თეიმურაზ ბატონიშვილი 114, 115, 116, 119, 130, 131, 133, 136, 143, 144, 146, 148, 149, 153 სქ., 232, 233, 237
თეიმურაზ, დავით კახთა მეფის ძე 90, 91, 92
თეიმურაზ II, 35, 165
თეიმურაზ I 57 სქ., 123, 297
თეიმურაზ უფლისწული 129
თემურ-ლენგი 275, 277
თემურყვა ჩერქეზთ ბატონი 10, 27
თენდო მღებარი 311
თეოდორე ეპისკოპოსი 273, 274

იაკობ დეკანოზი 209, 212, 215
იაკობ მღვდელი 208, 209, 210, 212
იაკობ შემოქმედელი 297
იასონი 21
Ясон (сановник) 153
იბნ ალ ახირი 262
იბრეიმ-ხანი 169
ი˜ე თაფლაჲსძე 209, 210, 212, 213, 214, 215
ი˜ე კალაკალა 213
ი˜ე მახარებელი 207, 208, 211
ი˜ე მთაწმინდელი 198, 204, 205, 206, 210, 211, 214, 216
ი˜ე მოციქული 194
ი˜ე ქართველი 209
იესე, ალ. მეფის ძმა 143

იესე, გიორგი ბატონიშვილის შვილი, 113
იესე, გიორგის ძე 144, 146, 147
იესე, ლევანის ძე 22
იესე, ოსეს შვილი 170
ივანე აბაზას ძე 236
ივანე IV 27
ივანოვი 97, 99, 102
ილარიონი 211, 212, 214
ილარიონ ქართველი 198, 199, 200, 205, 206, 207, 208, 209, 210
ინასარიძე მიხეილ 312
იოაკიმე, მღვდელი 18, 151, 155
Иаким 153, 157
იოანე ბატონიშვილი 312, 313, 319, 331, 332, 333, 337
Иоан Царевич 342
იოანე (ვახუშტის ძე) 3, 291, სქ., 295
იოანე კათალიკოზი 243, 244, 246, 247
იოანე ოქროპირი (კ~ზი) 248, 249
იოანე მახარებელი 204
იოანე მეოთხე 10
იოანე მთაწმინდელი 226, 229
იოანე მოციქული 214
იოანე სვინგელოზი 201
იოანე ქართველი (მთაწმ.) 200
იოვანე 189
იოვანე (კზი) 286
იოვანე მდივანბეგი 315
იოვანე (მწირველი) 284, 286
იორამი (თავადი) 50.
იოსებ თბილელი 297
ისაყ-ფაშა 193
Исак паша 191
ისმაილ ფაშა 193
Ираклий (ალექს. მეფის ძე) 153, 158
Ираклий 191, 192
იულონ ბატონიშვილი 319, 330, 341
იუსუფ აბუსაჯის ძე 264, 269
ᲘᲝᲕᲐᲜᲔ 227
კაკაბაძე ს. 225, 231, 234, 237, 238, 239, 240, 242, 243, 244, 245, 246, 247, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266, 267, 268, 269, 270, 271, 272, 342
კალაშნიკოვი მ. 256
კამენევი 130, 131, 138
კაპიტან-ფაშა 184, 185
კარანა 348, 349
კარბელაშვილი 247, 248, 331
Карум-ага 170
კაღანკატუელი მოსე 262
კეკელიძე კორნელი 209, 210, 213, 247, 250, 196
Кекелидзе 226
კვირიკე 245, 262, 263
კვირიკე, დავითის ძე სამშვილდარ-ზორაკერტელი 236
კვირიკე დიდი 236, 237, 238
კვირიკე კახთა მეფე 240
კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსი 268
კვირიკე II 237
კვირიკე მეფე 241, 243 245, 288
კვირიკე რანთა და კახთა მეფე 231, 232, 235, 236, 237, 243
კᲗრიკე მეფე 219, 285, 286
კიორ ბეი 186
Киор-бей 171, 175, 182
კირაკოზა, მელეინე 315, 316
კირილე, არქიმანდრიტი 50
კირილე ბერი 18, 151, 155
Кирил 153, 157, 158
კირილე ქსანტოპულო, ბერძენი არქიმანდრიტი 94, 95, 96, 97, 101, 106
კირილე წინამძღვარი 14 სქ.
კობიაშვილი ლაზარე 346, 347
კონსტანტინე ალექსანდრეს ძე 22, 37
კონსტანტინე (ალ. მეფის შვილიშვილი) 51
კონსტანტინე ბატონიშვილი 52 53, 62, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 80
კონსტანტინე დიდი (რომის იმპ.) 46
კონსტანტინე კახთა მეფე 294
კონსტანტინე-მირზა (ალ. კახთა მეფის ძე) 87, 88, 103, 104, 105, 115, 129, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148, 151 სქ.
კოსტანტი ბერძენთა მეფე 281

კოჩუბეი 192, 193, 194, 195
კუდრინი 47
კურდღელაშვილი დავითი 340

ლაჩინ-ბეგი 103
ლევან ბატონიშვილი 335
ლევან დადიანი 153 სქ.
ლევან (მდივანი) 77, 78
ლევან მეფე 27
ლეკი-ბეი 177, 180, 181, 182, 183
Лександр 153
ლენ-პული 264
Лэн-пуль 263, 265
ლეონ აფხაზთა მეფე 254
ლეონ ბატონიშვილი 339
ლეონ ერეკლეს ძე 181
ლეონტიევი 78, 81, 85, 93, 94, 95, 97, 152 სქ.
ლიპარიტ ლიპარიტის ძე 236
Лихачев 223
ლუარსაბ გიორგის ძე 150
ლუარსაბ I 123
ლუი XIV 299

მაკარი მონაზონი 276
მალაქია კზი 274
მანთაშოვი ავაქა 312, 326
მანსური 189
მანუჩარ დადიანი 76
მანუჩაროვი, მღებარი 326
მარიამ დედოფალი 274, 321, 322
მარიამი, გიორგი აბაშიძის ქალი 292
მარკოვა ო. 163
მარი ნ. 314
Марр 276
მაქსიმე კათალიკოსი 167
მარტიროზისშვილი ბეგთაბეგ 292 სქ.
მაჭავარიანი 2 სქ.
მაჰმად-ბეგი 114, 150
მაჰმად-ფაშა 149, 172
მაჰმუდ, სულთანი 118
მაჰმუდ-ფაშა 144
მელქისედეკი 220, 231, 232, 235, 236, 338, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 248, 249, 250, 251, 252, 253, 255, 256, 258, 259, 266, 271, 273, 277, 280, 286, 289
მეჰმედ-ემინ-ფაშა 144
მირიან ბატონიშვილი 166
მირიმანოვი ავთანდილა 320
მიქელ 208, 211, 266, 250
მიქელ დაღალისონელი 199, 205, 207, 208, 209, 210, 211, 212, 213, 215
მიხეილ, რუსეთის მეფე 102
მოლა ბეი 178
მოსინიანცი (მღებარი) 312, 326
მურად ალი-ხანი 173
მურად-გირეი 50
Муруси 194
მუსხელიშვილი ლ. 248
მუფლიჰი 264
მუჰამედ სულტან 150

ნაზარალიხანი 342
ნათაძე გ. 310, 328, 330, 332, 333, 334, 335, 336, 337, 338, 342, 343, 345, 348, 349
ნაშჩოკინი 78, 81, 85, 93, 94, 95, 152 ქს.
ნეელოვი პეტრე 84
ნერსე კათალიკოზი 277
ნიკოლაძე ნ. 8 სქ.
ნიკოლოზ ვახტ. ბატ. ძე 293 სქ.
ნინო წმ. 261
ნუგზარ არაგვის ერისთავი 21, 73, 89, 91, 97, 98, 105, 106, 107, 114, 116

Олександр царь 66
ომანი 31 სქ.
ომან მდივანბეგი 170
ომარ ბეგი 179
ომარ ხანი 177, 182, 183, 184
ომელდანოვი 82, 83, 84
ორბელიანი საბა 329, 331
[ორბელიანი] საბა 302, 313, 332, 333
ოსე, სიონის დეკანოზი 302 სქ.
ოსეფა მღებარი 346

ოსმანი 111
ოსტერმანი 189, 190, 192
ოქროპირი 245, 246, 247, 248, 249, 286
ოჰანეზა, 331

პავლე (მამა) 204
პავლე I 195
პანინი 125
პეისონელი 291 სქ.
პეტერსონი 192
პეტრე დიდი 300
პეტრე მონაზონი 276
პეტრე I 35, 98, 124, 125, 167, 170,
პეტრე ხელმწიფე 293, 294
პივოვი 18, 20, 25 სქ., 30, 43, 155
Пивов Петр 158, 159
პიზანი (=პიზანია) 181, 183
პლეშჩევი 47
Плоен 8 სქ.
პოლიევქტოვი მ. 7, 8
Полиевктов М. 12 სქ., 13 სქ., 17 სქ., 20 სქ.,
პოლუხონოვი 57, 71, 72, 74, 77
პოტიომკინი 179, 192
პროხორე, ი~ე მოციქულის მოწაფე, 199

ჟორდანია თ. 217, 218, 219, 230, 231, 232, 233, 236, 237, 243, 245, 246, 247, 248, 249, 250, 255, 257, 258

რაინექსი 171, 172
რაისეფენდი 184
რომანოზ კეისარი 230, 243, 235, 239, 282
რომოდანოვსკი 79, 81, 82, 85, 102, 141, 142
როსტომი ალექს. კახთ. მეფის ძე 15 სქ. 87
როსტომ იმერთა მეფე 98
რუდოლფ იმპერატორი 65
რუსთველი ეპისკოპოზი 138

საკაძე გიორგი 123
საბა იშხნელი 277
საბა მდივანი 94, 101
სალარი 262
სალომე, პაატა აბაშიძის ქვრივი 340
Сафур 14 სქ.
საჯი 262, 263, 265, 270
სეგიური 189
სელიმი სულტანი 10
სენენბერგი, სეკუნდმაიორი 176
სეფიანები 107
სეფი-მირზა 69
Сеймен Баша 191
სვიმეონ კზი 252
სკმეონ (მამა) 216
სიმონ ქართლის მეფე 17 სქ., 39, 40, 56, 88, 110, 111, 122, 123
სიმონ I 57 სქ. 70, 71, 74
სიმონოვიჩი 344
სოვინი 57, 71 სქ., 72, 74, 77
სოლაღ (Солох) ყაბარდოს ბატონი, 73, 74, 106
Соловьев С. М. 10 სქ., 13 სქ., 17 სქ., 21 სქ., 27, 31 სქ., 61 სქ.
სოლომონი 41, 42, 166, 348
სოლომონი, თავადი 17 სქ., 40, 45, 50, 77
სოლომონ, კახთა მეფის ელჩი 85
სოლომონ II 344
სოლომონ მეფე 185
სოლომონ I 162, 171, 174, 180
სოფიო ბატონიშვილი 343
სოფიო გიორგი XII ასული 318, 329
სტახიევი 168, 169
სტეფანე ხუცესი 245
Стефан, архидиакон 19
სუვოროვი 193
სულეიმან ფაშა 166, 168, 171, 172, 175, 176, 177, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 188, 190
სუმბატ 265, 269
სურგუნოვი მიკირტუმ 320, 345, 346, 350

ტამარა 117
ტატიშჩევი 97, 99, 102

ტიმოთე ქართლის ეპისკოპოსი 197
Тимур абдипаша 191
ტაუფიაკინი 82, 83, 84, 85
ტორმასოვი 344
ტოტლებენი 125, 167, 168
ტრახანიოტოვი 101

უსმი ბეგი 179

ფადლა ქორეპისკოპოსი 262, 263, 265
ფავლენიშვილი 302
ფავნელნი, 217
ფათალი-ხან 169, 170
ფათჰი ძე აფშინისა 265
ფანა იბრეიმ ხანი 180
ფარჰად-ფაშა 31
ფარჰად-ხანი 23, 49, 64, 68, 76
Федор Иванович 55, 66, 153, 154, 158
ფელე (უფალი) 305
ფერარი 191
ფეშანგი 332
ფითუაშვილი ელიზბარა 115, 116
ფროდიჩი (თუ ფროდიგი?) 190

ქაიხსრო ათაბაგი 277
ქაიხსრო ვახტანგ მუხრანბატონის ძე 140
ქაიხსრო (სასიძო) 141
ქაიხსრო ფაშა 93
ქეთევან დედოფალი 91, 115, 129, 146, 147, 148
ქელეშ-ბეი 167
ქერიმი 173
ქერიმ-ხანი 168
ქსენია, რუსეთის მეფის ასული 99

ღვინიევა ე. 163
ღოღობერიძე 265

ყაია, შაჰის შიკრიკი 83
ყარახანაშვილი სულხ. 336, 339, 340, 345, 349
ყარახანისშვილი სულხან 335
ყარჩიხა სულტანი 147
ყაფლან (თავადი) 155
Каплан (кн.) 158
ყვარყვარე, მესხეთის ათაბაგი 93

შაევრდი ბეგი 69
შანშე ერისთავი 293
შაქარაშვილი ფილიპე 197
შაჰ-აბასი 23, 24, 29, 30, 31, 33, 36, 37, 38, 49, 51, 51 სქ., 52, 52 სქ., 57, 58, 59, 50, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 72, 75, 76, 77, 79, 80, 82, 83, 84, 85, 87, 88, 91, 92, 95, 96, 99, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 117, 119, 120, 121, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137 სქ., 138, 139, 140, 141, 142, 143, 145, 146, 147, 148, 149, 150, 296
შაჰ-თამაზი 27
შაჰმირ-ხანი 138, 144, 149
შაჰ-ხუდაბანდა 23, 29, 30, 37, 48, 117
Шевкал 54, 55, 56
შეიხ მანსური 177, 191
შერმაზანი 21
Шермазан 153
შირონოსოვი 95
Ших 19
Ших Мурза 19
შუშანიკი 229

ჩახრუხაძე 314
ჩიქობავა 225
ჩოლოყაშვილი ომან 36, 37
ჩუბინაშვილი გ. 25
ჩუბინაშვილი დ. 217, 218, 219, 230, 231, 232, 233, 234, 239, 245, 247
Чубинов Г. 245
ჩხეიძე გლახა 312

ცაგარელი 167
ცინცაძე ი. 8 სქ., 166, 248

ციციანოვი პავლე 330, 340, 342
Цицианов 163
ციციშვილი დავით 329

წერეთელი 180
წერეთელი გ. 248
წერეთელი ვახუშტი 342, 343
წერეთელი ზურაბ 167, 342, 343
წულუკიძე 180, 182, 183, 187
წულუკიძე (ბერი, გიორგი?) 166, 167
წულუკიძე ბერი 181

ჭავჭავაძე იასონ 76
ჭილაშვილი ბაბანა 344, 345
ჭიჭინაძე 18 სქ. 291 სქ.

ხახანაშვილი ალ. 307, 340
Хаханов А. 291 სქ.
ხახუტელა მამახახლისი 312
ხვთისია 349
ხვოსტოვი 192
ხვოროსტინინი, სარდალი 51, 52, 53, 56, 57 სქ., 58, 70, 96
Хворостинин 54
ხითარიშვილი გოგია 312, 329
ხოვენი, საქ. გუბერნატორი. 329
ხოჯა-მაჰმუდი 29, 30
ხუდაბანდა შაჰი (იხ. შაჰ-ხუდაბანდა)
ხუდია ბორჩალოელი 166, 180
ხურშიტ აღა 14 სქ., 18, 45, 50, 151, 155
Хуршит 153, 157, 158

ჯავახიშვილი ალ. 296 სქ.
ჯავახიშვილი ივ. 8 სქ., 161, 196, 231, 234, 236, 239, 266 303, 305, 307
ჯანაშვილი მ. 251, 291, სქ., 307 სქ.
[ჯანდიერი] დავით 147
ჯანიკლი ალი-ფაშა 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180
ჯაფარ ამირა 236, 266, 267, 270, 272, 273
ჯაფარ ბენ ალი 267, 271
ჯაფარ ბენ მანსური 267, 271
ჯელალ-ედინი 268, 270, 271
ჯიგალ-ოღლი 129, 130, 131, 145, 149
ჯიმშიტ 30
ჯიქია ს. 248

ჰასანი, ირ. ელჩი 79
ჰამზა-მირზა 37, 68
ჰუსეინ-ბეგი (Усеин-бек) 23

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

1. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI — XVII საუკუნეთა მიჯნაზე 5
2. საანგარიშო მოხსენება მოსკოვ-ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებისა (1946 წ.) 160
3. „ათონის კრებულის“ რედაქცია 196
4. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა 217
5. ვახუშტის ბიოგრაფიისათვის 290
6. სამღვბროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში 309
საძიებლები 352

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი დ. ბ ა ქ რ ა ძ ე
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი ლ. ჩ ხ ა ი ძ ე

გადაეცა წარმოებას 18.9.1967; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.9.1967;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 23,13; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 20,78; უე 01370; ტირაჟი 3000; შეკვეთა № 112
ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

Николай Александрович Бердзенишвили

ВОПРОСЫ ИСТОРИИ ГРУЗИИ

КНИГА IV